

რედაქციისაგან

ილია ჭავჭავაძე
(1837-1907)

კაცობრიობის ისტორია იცნობს შემთხვევებს, როცა ჟამთა სიავით დათრგუნვილი ესა თუ ის ერი, უაღრესი ძნელბედობისას, თითქოს საგანგებოდ, დიად, ზეგარდმო მადლით ცხებულ პიროვნებას წარმოშობს, ვინც მხსნელად მოეწვინება მშობელ ხალხს, მის წინამძღვრობას იტვირთავს, გამარჯვების რწმენას შთაბერვას და თან გაიყოლებს უკეთესი მერმისისათვის ბრძოლაში, პიროვნებას, ვინც მშობელი ხალხის ნაციონალურ და სოციალურ იდეალებს კაცობრიობის პროგრესულ მისწრაფებათა თანაზიარად აქცევს, «კაცობრიული წყურვილის მოსაკლავ წყაროს» თავის თანამემამულეებსაც დააწაფებს და ეროვნულ კულტურას, მხატვრულ თუ მეცნიერულ აზროვნებას ახალ სიმაღლეზე აზიდავს.

ეს რჩეული პეიროვნებანი თავიანთი ხალხების ცხოვრებაში ახალი ეპოქის მაუწყებლად გვევლინებიან და მადლიერი შთამომავლობა უკვდავების შარავანდით მოსავს მათ ხსოვნას.

ილია ჭავჭავაძე სწორედ ასეთი რჩეული პიროვნებაა ქართველი ერის ისტორიაში.

პირველ რიგში სწორედ ილია ჭავჭავაძეს უნდა ვუმადლოდეთ ქართული სულის, ქართველთა ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებას და აღზევებას; სწორედ ილას დაუცხრომელი, მრავალმხრივი მოღვაწეობის, მისი ქედუხრელი ბრძოლისა და რუდუნების შედეგია XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში ეროვნული და სოციალური თავისუფლებისაკენ სწრაფვის გაღვივება და განმტკიცება, ახალი იდეურ-პოლიტიკური, სოციალური და მხატვრულ-ესთეტიკური პრინციპების დანერგვა და დამკვიდრება, - ახალი, აღმავალი ეტაპი ქართული საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარებაში.

ამიტომ, რომ ილიას სახელი ჩვენს შეგნებაში სისხლხორცეულად არის დაკავშირებული საქართველოს ეროვნული და სოციალური თავისუფლების, მისი განახლებისა და აღორძინების იდეასთან და ამ იდეის თავდადებულ მსახურებასთან; ამიტომ, რომ - როგორც დიდი აკაკი ამბობდა, - თუკი საქართველოს სიკვდილი არ უწერია, საქართველოსთან ერთად ილია ჭავჭავაძეც უკვდავი იქნება.

ილია ჭავჭავაძემ სამოღვაწეო სარბიელზე გამოსვლისთანავე მიიპყრო ქართველი საზოგადოებრიობის ყურადღება, უმაღვე მოიხვეჭა უდიდესი ავტორიტეტი და პატივისცემა, იმთავითვე მოიპოვა საყოველთაო აღიარება როგორც «თერგდალეულთა» მოწინავე თაობის ღირსეულმა მეთაურმა. «რაც კი რამ იყო ჩვენში ახალგაზრდა, მხნე, ახალი წესის და ცხოვრების მოყვარე, ყველამ იცნო ის პატიოსანი მომავლის დროშა, რომელიც მხნედ ეკავა ილია ჭავჭავაძეს» (ნიკო ნიკოლაძე).

ილიას თანამედროვეებმა იმ ფაქტის გაცნობიერება შეძლეს, რომ «ილია ჭავჭავაძე წარმოადგენს იმგვარ მწერალს და საზოგადო მოღვაწეს, რომელიც, XIX საუკუნის ჩვენი საზოგადოების ცენტრალურ პიროვნებად ჩაითვლება»; რომ ილიას «ნეაწერების შესწავლა შესწავლაა დიდის ეპოქისა... - დიდის ეპოქისა, რადგან მეცხრამეტე საუკუნე იყო ის ხანა, როდესაც ქართველთათვის მეორედ შობა მოხდა და

საქართველომ სცნო და იპოვა თავისი დაკარგული სახე»; რომ ილია ჭავჭავაძე «იყო ამ დაკარგული სახის მაძიებელ-აღმდგენელი», და რომ «ილიას ზრახვათა შეგნება შეგნებაა ზრახვათა მეორედ შობილ და ახლად აღორძინებულ ქართველის ერისა» (არჩილ ჯორჯაძე).

ილიას ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობის მანძილზე, მისი მრავალრიცხოვანი ნაწერებიდან არ ყოფილა არც ერთი, რომელიც მკითხველისა თუ კრიტიკისათვის შეუმჩნეველი დარჩენილიყო და გამოხმაურება არ გამოეწვია, ხოლო არაერთი მისი ნაწარმოები აზრთა სხვადასხვაობისა და ცხარე პაექრობის საგანიც გამხდარა.

ასე იყო ილიას სიცოცხლეში, ასა გაგრძელდა მისი გარდაცვალების შემდეგაც. მძაფრმა პოლემიკამ ილიას შემოქმედებისა და მოღვაწეობის გარშემო ილიას მოწამებრივი სიკვდილის მერეც დიდხანს გასტანა, და ამ პოლემიკასა და აზრთა ჭიდილში თანდათან სულ უფრო და უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა ჭეშმარიტი თვალსაზრისი ბუმბერაზი მოაზროვნისა და მხატვრის მემკვიდრეობის მაღალი ღირებულების შესახებ, - იმ დიდმნიშვნელოვანი მისიის შესახებ, რომელიც მან ქართველი ერის სულიერ და გონებრივ აღორძინებაში შეასრულა.

ილია ჭავჭავაძე იყო არამარტო დიდი მწერალი-განმანათლებელი, მხატვრული სიტყვის უბადლო ოსტატი - პოეტი, ბელეტრისტი, დრამატურგი, მთარგმნელი, - რომლის შემოქმედებამ ერთი უპირველესი ადგილი დაიმკვიდრა ქართული მწერლობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში; არამარტო ქართული სალიტერატურო ენის რეფორმატორი და კანონმდებელი, ხალხური მეტყველებით მისი გამამდიდრებელი; არამარტო ქართული კრიტიკული რეალიზმის, რეალისტური კრიტიკისა და მეზრძოლი პუბლიცისტიკის ფუძემდებელი და უდიდესი წარმომადგენელი, არამედ ასევე ჭეშმარიტად დიდი მასშტაბისა და დიაპაზონის მკვლევარი, რომლის ინტერესები და ენციკლოპედიური ცოდნა მეცნიერების მრავალ დარგს მოიცავდა: ფილოსოფიას, ესთეტიკას, ეთიკას, სოციოლოგიას, ისტორიას, ლიტერატურათმცოდნეობას, ხელოვნებათმცოდნეობას, ფოლკლორისტიკას, ენათმეცნიერებას, პედაგოგიკას, ეკონომიკას, იურისპრუდენციას, სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა დარგებს; ხოლო ილიას დაუღალავი, არაჩვეულებრივად ფართო პრაქტიკული მოღვაწეობა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან უბანს სწვდებოდა და განმსაზღვრელ როლს ასრულებდა მათ წარმატებებში.

ქართველი ერის ისტორიაში - და არამარტო ქართველი ერის ისტორიაში - არ მოიძებნება პიროვნება, რომლის სულიერი და პრაქტიკული მოღვაწეობის არეალი ეგზომ ვრცელი და მრავლისმომცველი ყოფილიყოს, როგორც ილია ჭავჭავაძისა, ხოლო ამ მოღვაწეობის შედეგები - ესოდენ დიდმნიშვნელოვანი მშობელი ქვეყნის საზოგადოებრივი, სულერი და ინტელექტუალური ცხოვრების აღმავლობისათვის.

მაგრამ ილია ჭავჭავაძის ისტორიული ღვაწლი მხოლოდ იმ ფასდაუდებელი წვილით არ განიზომება, რომელიც მას ქართული მხატვრული და მეცნიერული აზროვნებისა თუ ქართული საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების სხვადასხვა სფეროთა განითარებაში აქვს შეტანილი.

თავისი ცხოვრების ერთადერთ მიზნად ილია ჭავჭავაძეს - დიდ ჰუმანისტსა და ინტერნაციონალისტს - მშობელი ქვეყნისა და ერის სამსახური, მისი აწყმოს გაუმჯობესებისა და მისი ბედნიერი მყოფადის მოპოვებისათვის ბრძოლა მიაჩნდა: «ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილიაო», - ამბობდა ილია და მთელი თავისი მოღვაწეობით, მთელი თავისი მრავალფეროვანი შემოქმედებით, მთელი თავისი ტიტანური

შემართებითა და ძალისხმევით ამ დიადი მიზნის განხორციელებას - «განთვითეულებული», დაშორიშორებული, «ერთის გაწყვეტილის ჯაჭვის რგოლებივით» დაცალკევებული ქართველების ერთიან, მონოლითურ ორგანიზმად შეკავშირებას, მისი თვითშეგნების გაღვივებასა და განმტკიცებას, მისი ეროვნული და სოციალური თავისუფლების მოახლოებას ემსახურებოდა. ხოლო უპირველესი ამოცანა «საყოველთაო საქართველოს კეთილდღეობისათვის» ბრძოლაში ილიასათვის ქართული ეროვნული სულის, ქართველთა ეროვნული მეობის აღორძინება იყო - «ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან».

ილია ჭავჭავაძეს ცხადად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ «მინამ ჩვენი ვინაობა თავის შესაფერს და კუთვნილს ადგილს არ დაიჭერს ჩვენს ცხოვრებაში და საზოგადო საქმეთა სათავეში არ მოექცევა», - «სხვა საგანი ამაზედ უმძიმესი, ამაზედ უსაჭიროესი არა აქვს ეხლანდელს საქართველოს შვილს». სწორედ ამიტომ მოუწოდებდა ილია ასე დაბეჯითებით ქართველობას: «ყველამ, ვისაც რამ შეუძლიან, ამ მიმართულების ქვეშ უნდა მოიყაროს თავი და ერთად, ძმურად იმოქმედოს. ყოველივე საქმე, ყოველივე საგანი, რაც ჩვენის ცხოვრების მიმავლობაში თავისით თუ სხვისით აღმოჩნდება, სულ ყოველისფერი ჩვენს ვინაობის საქმეს უნდა შევურჩიოთ, ქვეშ დავუყვინოთ. სკოლაა, ბანკია თუ თეატრი, ყველაფერს სულ მაგისაკენ უნდა მივუბრუნოთ თავი... აი, რისთვის უნდა მომზადდეს ჩვენი ყმაწვილ-კაცობა, მთელის ევროპის მეცნიერებით და გამოცდილებების ფარხმალით შეჭურვილი. აი, რა მოედანი უნდა შემოიხაზოს თავისის მოქმედებისათვის და რა გზა უნდა ამოირჩიოს».

პირველ რიგში სწორედ ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამებრძოლების დამსახურებაა, - ამ თანამებრძოლთაგან კი განსაკუთრებით აკაკი წერეთლისა, - რომ XIX საუკუნის 60-იანი წლების საქართველოში - ილიასავე სიტყვით რომ ვთქვათ, - კვლავ «გამობრწყინდა დავიწყებული სიტყვა «მამული» მთელის თავის გულთ-მიმზიდველ და დიდებულ მნიშვნელობითა» და ამ წმიდათაწმიდა სიტყვამ, «რომელიც ჟამთა ვითარებამ უძრავ ქონების სახელამდეღა დააქვეითა და დაამდაბლა... კვლავ დაიჭირა ჩვენში კუთვნილი ადგილი, ვითარცა მზემ, და თავისი სხივოსანი შუქი მოჰვინა მთელს სივრცეს ჩვენი ცხოვრებისას»; პირველ რიგში სწორედ ილიას ძალისხმევის შედეგია, რომ «მამულის» ცნებამ კვლავ აღიდგინა ბინა ქართველთა გულში. ხოლო «აღდგენილმა მამულმა დაჰბადა მამულის სიყვარული, მამულის-შვილობა, და საკვირველი არ არის, რომ მისი წარსული, მისი აწმყო და მერმისი კვლევისა და გამოძიების საგნად შეიქმნა. «ვინა ვართ და რაინ ვართ» - ამ ზღვაებრ ფართო საკითხს შემოეჯარა გარს ჩვენი მწერლობა, გვერდს ამოუდგა სხვადასხვა მხრიდამ და ერთიანის ძალ-ღონით ფეხზე წამოაყენა გონების თვალის გულღვიძლამდე გასაბნევად».

უპირატესად სწორედ ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამებრძოლების დამსახურებაა ისიც, რომ ახალმა ქართულმა მწერლობამ «აქამომდე დამალულ წყლულსაც საზოგადოებურ სატკივარისას», - მდაბიოთა «უნუგემო ყოფასაც... თავისი ძლიერი კლანჭი გამოჰკრა და შეჰზარა ქართველთა გული მწვავის სურათებითა»; თვალსაჩინო გახადა, «რომ მდაბიოთა ცხოვრებაშიაც არის ადამიანური გულთა-თქმა; რომ ამ მდაბიოთა გული იგივე ზღვაა, საცა, თუ არ მეტი, ნაკლები მარგალიტები არ არის გლოვისა და სიხარულისა, ჭირისა და ლხინისა, ძულებისა და სიყვარულისა; რომ ამ მდაბიოთაცა აქვთ თავისი იდეალები, თავისი სანატრელები»...

რალა თქმა უნდა, «მამულიშვილური და მოქალაქური გულისტკივილი», ეროვნული და სოციალური სატკივრისა და სიმძიმის მწვავე შეგრძნება,

პროტესტი ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ილია ჭავჭავაძის წინამორბედი ქართული მწერლობისათვისაც იყო ნიშანდობლივი. მაგრამ მოწინავე ეროვნულმა და სოციალურმა იდეალებმა, ერის ხსნისა და გადარჩენის გზების ძიებამ პირველად სწორედ ილიას შემოქმედებაში პოვა იმ მწყობრი და თანმიმდევრული კონცეფციის სახე, რომელიც მთელი ქართველი ხალხის ქმედებისა და ბრძოლის ნათლად გააზრებულ პროგრამად იქცა, - პროგრამად, რომლის საბოლოო მიზანს ეროვნული და სოციალური ბორკილებისაგან თავდაღწეული, «შრომის სუფევასა» და «ძმობის, ერთობის, თავისუფლების» პრინციპებზე დამყარებული საზოგადოების აშენება წარმოადგენდა. ილია ჭავჭავაძე იდეური ბელადი იყო ქართველ მოღვაწეთა იმ პლეადისა, რომელმაც ქართულ სინამდივლეში ასეთი საზოგადოების აშენებისა და მშობელი ქვეყნის ბედნიერი მომავლის რწმენა დანერგა.

ილია ჭავჭავაძე იყო XIX საუკუნის საქართველოს უდიდესი ეროვნული მოღვაწე, - ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულისჩამდგმელი და წინამძღოლი; იგი იყო ჭეშარიტი სულიერი მოძღვარი ქართველი ერისა, - ქართველობის «ვინაობის» ამაღორძინებელი და ნათელი სამომავლო გეზის დამსახველი. ამაშია, უწინარეს ყოვლისა, ილიას ეპოქალური დამსახურება ქართველი ერის წინაშე.

ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე თვალის ერთი გადავებითაც მკაფიოდ წარმოჩნდება, თუ რაოდენ დაძაბული და ნაყოფიერი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი ცხოვრების გზა განვლო ილიამ, როგორი ფართო და მრავალმხრივი იყო მისი სამოღვაწეო სარბიელი, რამდენად მიზანდასახული, მტკიცედ გააზრებული, თანმიმდევრული და განუხრელი იყო მისი სამოქმედო გეზი.

ილია ჭავჭავაძე დაიბადა 1837 წლის 27 ოქტომბერს (ძველი სტილით), ყვარელში, გადამდგარი ოფიცრის, თავისი დროისათვის საკმაოდ განათლებული პიროვნების, თავად გრიგოლ პაატას ძე ჭავჭავაძის ოჯახში. მშობლიური ლიტერატურის სიყვარული მომავალ მწერალს დედამ შთაუწერა - მარიამ ქრისტეფორეს ასულმა ბებურიშვილმა, რომელმაც, ილიას გადმოცემით, «მშვენივრად იცოდა მაშინლდელი ქართული მწერლობა. სულ ზეპირად ჰქონდა დასწავლული თითქმის ყველა ლექსი და ყველა ძველებური მოთხრობა და რომანი, რომელიც კი იმოვებოდა მაშინ ან დაბეჭდილი და ან ხელნაწერი...»

ილიას ათის წლისას გარდაეცვალა დედა, თხუთმეტი წლისას - მამა, დაობლებული ილიას და მისი და-ძმების მოვლაპატრონობა იტვირთა მამიდამ - მაკრინე ჭავჭავაძე-ერისთავისამ, რომელმაც ძმისწულების მიმართ დედური მზრუნველობა გამოიჩინა.

1848 წელს ილია თბილისის ერთ-ერთ საუკუეთესო კერძო პანსიონში მიაბარეს, სადაც აღსაზრდელებს «საზოგადო საგნებს გარდა, ასწავლიდნენ ძველ ენებში - ლათინურს, ახალში - ფრანგულს, გერმანულს» (გრიგოლ ყიფშიძე). 1852-1856 წლებში ილია თბილისის გიმნაზიის მოსწავლეა, 1857 წელს კი, გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, სწავლის გასაგრძელებლად იგი რუსეთს მიემგზავრება და პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი ხდება.

სტუდენტობის ოთხი წელი - დროის ეს მცირე მონაკვეთი - უაღრესად მნიშვნელოვანი პერიოდია ილია ჭავჭავაძის ცხოვრებაში: ეს წლები, ილიასავე სიტყვებით რომ ვთქვათ, იყო მისი «ცხოვრების საძირკველი, ცხოვრების წყაროს სათავე, ბეწვის ხიდი, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული», ეს იყო ილია ჭავჭავაძის - როგორც პიროვნების, მოაზროვნისა და მწერლის - ფორმირებისა

და სრულყოფის ხანა, ხანა ილიას პროგრესული საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ფილოსოფიური და მხატვრულ-ესთეტიკური მრწამისის შემუშავებისა.

თანამედროვეთა გადმოცემით, «უნივერსიტეტში ილიას განსაკუთრებით პოლიტიკური და ეკონომიური საგნები აინტერესებდა» (კობტა აბხაზი); იგი თავაუღებლივ მეცადინეობდა, «თვითონ იკაფავდა გონების გახსნის გზას» და «ცხოვრების დაკვირვებით, ლიტერატურის გაცნობით, კითხვით, ფიქრით, ბაასით, მოქმედებისა და წერის ცდით» ისწრაფვოდა «მომზადებულიყო ჩვენი ქვეყნის სასარგებლო მსახურად» (ნიკო ნიკოლაძე); ილია ინტენსიურად მუშაობდა საქართველოს ისტორიისა და მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის ღრმად და საფუძვლიანად შესასწავლად, რუს და ევროპელ მწერალთა და მეცნიერთა მემკვიდრეობის დასაუფლებლად; გატაცებით დაეწაფა რუსეთის რევოლუციონერ-დემოკრატების-ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის ნააზრევს, აითვისა და გაითავისა მათი მოწინავე იდეოლოგია.

შემდგომში ილია ჭავჭავაძე საგნგებოდ მიუთითებდა იმ სასიკეთო ზემოქმედებაზე, რომელიც რუსულმა მწერლობამ და მეცნიერებამ მისი თაობის მსოფლმხედველობის შემუშავებაზე მოახდინა: «თქმა არ უნდა, - წერდა ილია, - რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზე და დიდი ზედმოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერ ძალ-ღონეს შეადგენს და ჩვენს გონებაზედ, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დააჩნია მან თვისი ავკარგებლობა. არ არის დღეს ჩვენში არც ერთი მოღვაწე და მომქმედი კაცი მწერლობაში თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზედ, რომ თავისუფალი იყოს ხსენებულ ლიტერატურის ზედგავლენისაგან. საკვირველიც არ არის: რუსულმა სკოლამ - მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მოაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოჰკვება ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ. თვითოეული ჩვენგანი, გინდა თუ არა, უნდა დასწაფებოდა ამ ორს წყაროს თავის სულიერ წყურვილის მოსაკლავად. სხვა გზა არ იყო. ამიტომაც საბუთი გვაქვს ვსთქვათ, რომ თვითოეული ჩვენგანი რუსულის ლიტერატურით გაზრდილა, თვითოეულს ჩვენგანს მის გამონაკვევზედ აუგია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმისათვის ამ გამონარკვევის მიხედვით გამოურჩევია».

მაგრამ სხვა ეროვნული კულტურის კეთილისმყოფელი ზემოქმედების აღნიშვნასთან ერთად, ილია ჭავჭავაძე ხაზგასმით მიუთითებდა საკუთარ კლასიკურ მემკვიდრეობასთან ამ კულტურის მონაპოვრის შეთანხებისა და მისი კრიტიკული ათვისების აუცილებლობაზე. რასაკვირველიაო, წერდა ილია, «ამ ზედმოქმედებამ რუსულის ლიტერატურისამ მარტო იმას შესძინა სიკეთე, რომელმაც ყოველი გამონარკვევი ამ ლიტერატურისა თავის საკუთარ კრიტიკის ქარცეთხლში გაატარა, ბრმად არ იწამა, ბრმად არ მიიმჩემა და ამრიგად არ დაიხვია ხელზედ ცხოვრებაში იოლად წასვლისათვის... ჩვენდა საბედნიეროდ, ვიტყვით, რომ ზოგნი ჩვენში, რუსულ ლიტერატურის მეოხებით გაზრდილნი და გაწურთნილნი, ასე ბრმად ტყვედ არ მისცემიან ამ ლიტერატურის აუცილებელს ზემოქმედებას. ამაც ჯერ გამოუძიებიათ მისი გამონარკვევნი და მერე ისე ან შეუთვისებიათ, ან უარყვიათ. ჩვენდა სანუგეშოდ, მარტო ამას არ დასხერებიათ: იმავე კრიტიკით და გამოძიებით მხარდამხარ ასდევნებიათ ამ ლიტერატურის წინსვლას, წარმატებას და არ გაჩერებულან მის რომელსამე ხანაზედ».

ილია ჭავჭავაძე უკვე სტუდენტობის წლებშივე ჩამოყალიბდა იმ მაღალი რანგის მოაზროვნედ, რომელიც კაცობრიობის აზროვნების გამოცდილებასა და მონაპოვარს

არასოდეს ბრმად არ იწამებს, უთუოდ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარებს და მხოლოდ ამის შემდეგ გამოიყენებს საკუთარი შეხედულების, საკუთარი თვალსაზრისის მასალად თუ დასაყრდენად...

სტუდენტობის წლები უმნიშვნელოვანესი პერიოდთაგანია ილია ჭავჭავაძის შემოქმედებით ბიოგრაფიაშიც.

სწორედ ამ წლებში ქმნის ილია თავისი მადლიანი ნიჭით და მკაფიო მხატვრული ინდივიდუალობით აღბეჭდილსა და მაღალი მოქალაქოებრივი პათოსით განსმსჭვალულ უბრწყინვალეს მხატვრულ ნაწარმოებებს, რომელთაც არაჩვეულებრივად ძლიერი საზოგადოებრივ რეზონანსი მოიპოვეს და ახალი ეტაპი შექმნეს XIX საუკუნის ქართული ლიტერატურისა და, საზოგადოდ, მთელი ქართული მხატვრული აზროვნების ისტორიაში.

ამ პერიოდშია დაწერილი ილიას პოეტურ ნაწარმოებთა დიდი უმეტესობა და, მათ შორის, ისეთი დიდმნიშვნელოვანი ნაწარმოებები, როგორცაა პოემა «აჩრდილი» (პირველი ვარიანტი, 1859 წ.), რომელიც მშობელი ხალხის უმწვავეს ეროვნულ და სოციალურ პრობლემებზე ღრმად დაფიქრების ნაყოფს წარმოადგენს და ეროვნული და სოციალური თავისუფლების მძაფრი წყურვილითა და სამშობლოს ნათელი მერმისის მტკიცე რწმენითაა განსმსჭვალული; ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეებით შთაგონებული დრამატული პოემა «ქართველის დედა» (პირველი ვარიანტი, 1860 წ.) რომელშიც ქართველი ხალხის მომავალი განმათავისუფლებელი ბრძოლების ემოციურად დამუხტული სურათია წარმოსახული; პოემა «რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან» (1860 წ.), - საოცრად მძლავრი და თამამი პროტესტი XIX საუკუნის საქართველოს უმთავრესი სოციალური ბოროტების - ბატონყმობის წინააღმდეგ.

ამავე პერიოდს განეკუთვნება როგორც ილიას პოეტურ თარგმანთა უდიდესი ნაწილი (პუშკინის, ლერმონტოვის, შილერის, ჰაინეს, ბაირონის და სხვათა ნაწარმოებების თარგმანები) და მთელი მისი სატრფიალო ლირიკა, რომლებმაც ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი დაიმკვიდრა XIX საუკუნის ქართული პოეზიის ისტორიაში, ასევე საზოგადოებრივი პრობლემისამდი მიძღვნილი, პროგრესული სოციალური და ეროვნული იდეალებითა და მხატვრული სიახლით აღბეჭდილი საყოველთაოდ ცნობილი ლექსები: «ხმა სამარისადამ», «გუთნისდედა», «ქართველის დედას», «ჩემი თარიარალი», «ნანა», «ელეგია», «მუშა», «იანიჩარი», «ქართველ სტუდენტების სიმღერა», «გაზაფხული» («ტყემ მოისხა ფოთოლი»...); «პოეტი», რომელიც ნათლად არის ჩამოყალიბებული ილიას შეხედულება პოეზიისა და პოეტის საზოგადოებრივი მისიის შესახებ; «მესმის, მესმის, სანატრელი», - შთაგონებული იტალიის სახალხო გმირის ჯუზეპე გარიბალდის ლეგენდარული რაზმის ძღვევამოსილი განმათავისუფლებელი ბრძოლებით, - რაზმისა, რომლის წევრად გახდომა ჭაბუკი ილიას სანუკვარი ოცნება იყო.

ამავე ხანებში იქმნება ილიას მხატვრული პროზის უშესანიშნავესი ნიმუშები, რომელთაც განმსაზღვრელი როლი შეასრულეს ქართული კრიტიკული რეალიზმის განვითარებაში: მახინჯი სოციალური სინამდვილის, ბატონყმური ინსტიტუტის მანკიერებათა მამხილებელი მოთხრობა «გლახის ნაამბობი» (პირველი ვარიანტი) და ესკიზები მოთხრობისა «კაცია-ადამიანი?!», სადაც მებატონეთა გადაგვარებული, ისტორიულად განწირული კლასის ყოვლად უგვანი და უშინაარსო, მცონარული ყოფის მაღალმხატვრული სატირული ასახვა საზოგადოდ ადამიანის, მისი ზნეობის, მისი ცხოვრების აზრისა და მიზნის ზოგადკაცობრიულ პრობლემებზე დაფიქრებას იწვევს.

დაბოლოს, ამავე ხანებში იწერება ილია ჭავჭავაძის პირველი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილი - «ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგან «შეშლილის» თარგმანზედა», რომელმაც ახალი თაობის ლიტერატურული მანიფესტის მნიშვნელობა შეიძინა და დასაბამი მისცა ქართულ პროფესიულ სალიტერატურო კრიტიკას. მასში, ისევე როგორც მომდევნო წერილებში - «პასუხი» (1861 წ.) და «საქართველოს მოამბეზედ» (1863 წ.), ნათლად არის ჩამოყალიბებული რეალისტური მწერლობისა და სალიტერატურო კრიტიკის - და საკუთრივ ქართული რეალისტური მწერლობისა და კრიტიკის - ძირითადი პრინციპები, ხელოვნებისა და ლიტერატურის არსისა და საზოგადოებრივი დანიშნულების, ობიექტური სინამდვილისადმი მათი მიმართების, მათი განვითარების კანონზომიერებისა და სპეციფიკის მატერიალისტური გაგება; დასმულია და დასაბუთებული სალიტერატურო ენის განმარტივების, საერთო-სახელხო ენასთან მისი დაახლოების აუცილებლობა. სწორედ «ორიოდე სიტყვა...» იქცა საწყისად ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა ორი თაობის იმ მწვავე, უკომპრომისო პოლემიკისა, რომელიც «მამათა» და «შვილთა» ბრძოლის სახელითაა ცნობილი და რომელიც «შვილების» ისტორიული გამარჯვებით დაგვირგვინდა.

1861 წელს ილია ჭავჭავაძე რუსეთიდან საქართველოში დაბრუნდა.

ხანგრძლივი განშორების შემდეგ სამშობლოსთან შეხვედრის მოლოდინით აღძრულმა ფიქრებმა და ემოციებმა, მისი ჭირ-ვარამის, მისი «დაყურებული ტკივილების» მძაფრმა განცდამ და მზადყოფნამ მშობელი ქვეყნისა და ხალხის ერთგულად მსახურებისა - მაღალმხატვრული ასახვა პოვა ილიას შესანიშნავ ნაწარმოებში «მგზავრის წერილები», რომელიც არამარტო მისი ავტორის ან მხოლოდ «თერგდალეულთა» თაობის მიზნებსა და ამოცანებს, მათს ნათელ იდეურ და პოლიტიკურ პროგრამას, არამედ საზოგადოდ ქართველი ხალხის სასიცოცხლო მოთხოვნილებებს, მთელი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის უწმინდეს იდეალებს გამოხატავს და მიზანდასახული აქტივობის, მოქმედებისა და ბრძოლის წყურვილითა და მოწოდებით არის განმსჭვალული.

იმ ცნობილი სიტყვებით, რომელთაც «მგზავრის წერილების» პერსონაჟი - მოხვეე ლელთ ღუნია წარმოთქვამს: «ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო», სრულიად აშკარად და მკაფიოდ არის გაცხადებული ეროვნული თავისუფლების დიადი იდეა, - ილია ჭავჭავაძის ურყევი ეროვნული მრწამსი, რომელიც მთელი ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობის ძირითად ორიენტირად და საბრძოლო ლოზუნგად იქცა.

1863 წელს ილია ჭავჭავაძე აარსებებს და რედაქტორობს ჟურნალს «საქართველოს მოამბე», რომელიც, მიუხედავად უმძიმესი საცენზურო პირობებისა, თავისი არსებობის ერთი წლის მანძილზე ქართველ სამოციანელთა პროგრესული საზოგადოებრივი და ეროვნული იდეალების მაღალ ტრიბუნას, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჭეშმარიტ მედროშეს წარმოედგინა. ეპოქის მოწინავე დემოკრატიული იდეების პროპაგანდით, პატრიოტული გრძნობების გაღვივებით, მაღალიდური და მაღალმხატვრული ხელოვნების დამკვიდრებისათვის დაუცხრომელი მოღვაწეობით «საქართველოს მოამბემ» უდიდესი როლი შეასრულა ქართული ჟურნალისტიკის, მწერლობის, საზოგადოებრივი აზროვნებისა და კულტურის ისტორიაში. პირველად სწორედ «საქართველოს მოამბის» ფურცლებზე დაიბეჭდა ილიას «კაცია-ადამიანი?!, «გლახის ნამბობისა» და «კაკო ყაჩაღის» პირველი ნაწილები, ნაწყვეტები «აჩრდილიდან», მოქალაქეობრივ-პატრიოტული ლირიკის შედეგები - «მას აქეთ, რაკი» და «ჩემო

კალამო», სტუდენტობის წლებში დაწერილი ლექსების მნიშვნელოვანი ნაწილი, უბრწყინვალესი ფილოსოფიურ-პუბლიცისტური წერილი - «საქართველოს მოამბეზე» და არაერთი სხვა.

1863 წლის 21 აპრილს ილია ჭავჭავაძე დაქორწინდა ოლღა თადეოზის ასულ გურამიშვილზე, ადამიანზე, რომელიც ილიას ცხოვრების ერთგული და განუყრელი თანამგზავრი გახდა.

ქორწინების ერთი წლის თავზე «ილიამ გადასწყვიტა ნივთიერ საღსრის მოსაპოვებლად სამსახურში შესულიყო» (გრ. ყიფშიძე). იგი ჯერ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის საგნებო მინდობილობათა მოხელედ იწყებს მუშაობას, შემდეგ, იმავე წლის ნოემბრიდან, საქართველოში საგლეხო რეფორმის გატარებასთან დაკავშირებით, ინიშნება მომრიგებელ შუამავლად აღმოსავლეთ საქართველოში; 1868-1873 წლებში იგი დუშეთის მაზრის მომრიგებელი მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობს და დუშეთშივე ცხოვრობს.

ეს პერიოდი ერთობ საყურადღებო აღმოჩნდა ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფიისათვის. მიუხედავად სამსახურებრივი საქმეებით დატვირთულობისა, ილია ამ ხანებში გატაცებით აგროვებს ქართული ხალხური სიტყვების ნიმუშებს - ლექსებს, ზღაპრებს, თქმულებებს, ლეგენდებს, ანდაზებს - და განაგრძობს ინტენსიურ შემოქმედებით მუშაობას: ამ ხანებში დაწერა მან «გლეხთა განთავისუფლების პირველი დროების სცენები» (1865 წ.), გადაამუშავა «ქართველის დედა» (1871 წ.) და «აჩრდილი» (1872 წ.), დაასრულა მუშაობა დიდი ხნის წინ ჩაფიქრებულ «მგზავრის წერილებსა» (1871 წ.) და «გლახის ნაამბობზე» (1873 წ.). ამავე პერიოდში შეიქმნა პარიზის კომუნისადმი მიძღვნილი ილიას შესანიშნავი ლექსი - «1871 წელი, 23 მაისი (კომუნის დაცემის დღე)», ეროვნული წყლულების მტკივნეული აღქმით გამოწვეული სატირული ლექსები - «რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით» და «ბედნიერი ერი», ქართული პატრიოტული ლირიკის ერთი უმშვენიერესი ქმნილებათაგანი - «ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია», რომელშიც მშობელი ქვეყნის ბედნიერი მომავლის სანუკვარი იმედია გამოხატული; ამავე პერიოდს განეკუთვნება ილიას მწვავე სატირულ-პუბლიცისტური ლექსები: «გამოცანები», «კიდევ გამოცანები» და «პასუხის პასუხი» (1871-1872 წწ.), რომლებშიც არამარტო მხილებული და გამათრახებულია «მამათა» კონსერვატიული ბანაკი, არამედ მკაფიოდ არის ფორმულირებული «შვილების» იდეური მრწამსი, მათი საზოგადოებრივი და პატრიოტული მიზნები, მათი ეროვნული და მოქალაქეობრივი პოზიცია.

1873 წელს ილია ჭავჭავაძე დუშეთიდან თბილისში ბრუნდება და აქტიურად ებმება პრაქტიკულ საზოგადოებრივ საქმიანობაში, რომელსაც, პროვინციაში ცხოვრების გამო, ბოლო წლებში რამდენადმე ჩამოცილებული იყო. 1875 წელს მას ირჩევენ სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის თავმჯდომარედ, რომელიც ილიას მოღვაწეობის შედეგად ფაქტობრივად ქართულ ეროვნულ ბანკად იქცა და უდიდეს ფინანსურ დახმარებას უწევდა საქართველოს ყველა ძირითად კულტურულ-საზოგადოებრივ თუ საგანმანათლებლო დაწესებულებას («ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადებას», ქართულ თეატრს, ქართულ გიმნაზიას, წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლას და სხვ.). ამ თანამდებობაზე ილია 1905 წლამდე მუშაობს და პარალელურად მრავალმხრივ საზოგადოებრივ და შემოქმედებით საქმიანობას ეწევა: 1877 წელს ილია ჭავჭავაძეს ირჩევენ «საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების» ვიცე-პრეზიდენტად; 1881 წელს - მისვე ინციატივით დაარსებული ქართული დრამატული საზოგადოების თავმჯდომარედ;

1879 წლიდან ილია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილეა (თავმჯდომარე - დიმიტრი ყიფიანი), ხოლო 1885 წლიდან სიცოცხლის დასასრულამდე - საზოგადოების უცვლელი თავმჯდომარეა.

1877 წეს ილია ჭავჭავაძემ დაარსა პროგრესული პოლიტიკურ-ლიტერატურული პერიოდული გამოცემა - «ივერია», რომელიც ილიას და მის თანამებრძოლთა დაუცხრმელი მოღვეწეობის მეოხებით, სამი ათეული წლის მანძილზე საქართველოს საზოგადოებრივი, სულიერი და ინტელექტუალური ცხოვრების ძირითად ცენტრს წარმოადგენდა, სათავეში ედგა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას, წარმართველ როლს ასრულებდა ჰუმანისტური, დემოკრატიული, პატრიოტული და ინტერნაციონალური იდეალების დანერგვასა და განმტკიცებაში, ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებაში.

უაღრესად ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი იყო ამ პერიოდში ილია ჭავჭავაძის შემოქმედებითი მოღვაწეობაც: 1873 წელს ილია, ივანე მაჩაბელთან ერთად, თარგმნის შექსპირის ტრაგედიას «მეფე ლირი»; 1878 წელს ამთავრებს მუშაობას ისტორიულ პოემაზე «დიმიტრი თავდადებული», რომელიც საქართველოს მეფის - დემეტრე მეორის მოწამებრივი აღსასრულის მხატვრული წარმოსახვით სამშობლოსათვის თავგანწირვის პატრიოტული იდეის ცხოველყოფას ემსახურება.

1879 წელს ილია აქვეყნებს უდიდესი შთამბეჭდავი ძალის მოთხრობას - «სარჩობელაზედ», რომელშიც გადმოცემული «პატარა ამბავი! - უთვისტომო, ცხოვრებაში გზააზნეული ძმების ტრაგიკული თავგადასავალი - ამ «უსამართლო ქვეყანაში» ადამიანის ხვედრის, ადამიანისა და საზოგადოების ურთიერთმიმართების, მათი უფლებებისა და მოვალეობების, დანაშაულისა და სასჯელის ურთულეს ფილოსოფიურ, ეთიკურ და სოციალურ პრობლემებს აღძრავს.

1882-1883 წლებში ილია ქმნის ღრმა ფილოსოფიური შინაარსის პოემას «განდევილი», - ერთ-ერთ უდიადეს მხატვრულ ნაწარმოებს ქართული მწერლობის ისტორიაში, რომელშიც სულისა თუ ხორცის არჩევანის - ზეციერისა თუ მიწიერის, იდეალურისა თუ მატერიალურის, - «სააქაოს» მიღება-არ მიღების მარადიული პრობლემა დასმული და რომლის მხატვრული ლოგიკით დაგმოილია სოციალური «ასკეტიზმი» და ეგოცენტრიზმი, ქვეყნისაგან, ცხოვრებისაგან განდგომა, და ადამიანის არსებობის აუცილებელ პირობად, მის უმთავრეს დანიშნულებად და მოვალეობად ამა სოფლისათვის, მოყვასთათვის ზრუნვაა დასახული; 1883 წელს ილია წერს შესანიშნავ ლექსს «ბაზალეთის ტბა», რომელიც ქართველი ერის აღორძინების ნატვრითა და იმედითაა განმსჭვალული; 1887 წელს ილია ქმნის ქართული პროზის ერთ უბრწყინვალეს ძეგლს - მოთხრობას «ოთარაანთ ქვრივი», რომელშიც საგლეხო რეფორმის შემდეგდროინდელი ქართული ყოფის რეალისტური სურათი - თავადაზნურობისა და გლეხოების ურთიერთობანი და ამ ურთიერთობათა გადაულახავი წინააღმდეგობებია ასახული. მაღალ და დაბალ წოდებათა შორის ილიას მიერ წარმოჩენილი «ჩატეხილი ხიდი» მკითხველს საზოგადოდ ადამიანთა სულიერი კონტაქტების სიძნელეზე და ადამიანის სიმარტოვისა და წუთისოფლის გაუტანლობის «საჭირბოროტო და წყველა- კრულვიან» საკითხებზე დააფიქრებს, ხოლო ნაწარმოების მთავარი პერსონაჟის, ილიას მხატვრული ტალანტით ხორცმესხუმული ქართველი დედის წარუშლელი სახე მთელი ქართველი ხალხის სულიერი ძლიერების, მისი შეუპოვრობისა და ქედუხრელობის სიმბოლოდ აღიქმება.

70-90-იანი წლებში იწერება და ქვეყნდება ილია ჭავჭავაძის მრავალრიცხოვანი, თემატურად უაღრესად მრავალფეროვანი და იდეურ-პოლიტიკური თვალსაზრისით

ძალზე აქტუალური ნაშრომები, ნარკვევები და წერილები, რომლებიც ილიას თანამედროვე სინამდივლის სხვადასხვა სფეროებს შეეხება და რომელთაც უდიდესი როლი შეასრულეს ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და ეროვნული ცხოვრების გააქტიურებასა და განვითარებაში.

უაღრესად მნიშვნელოვანია ილია ჭავჭავაძის ამ პერიოდის ნაშრომები და წერილები ლიტერატურათმცოდნეობის დარგში. მათ შორის ძალზე საყურადღებოა ილიას წერილი - «აკაკი წერეთელი და «ვეფხისტყაოსანი» (1887 წ.) რომელსაც ფრიად საპატიო ადგილი განეკუთვნება რუსთველოლოგიური კვლევა-ძიებისა და საერთოდ ქართული ლიტერატურულ-კრიტიკული აზროვნების ისტორიაში; მეტედ მნიშვნელოვანია ილიას «წერილები ქართულ ლიტერატურაზე» (1892 წ.) - პირველი წარმატებული ცდა ახალი ქართული ლიტერატურის განხილვა-დახასიათებისა და მის მთლიანობასა და განვითარებაში.

ასევე ფრიად მნიშვნელოვანია ილია ჭავჭავაძის ამავე პერიოდის ნაშრომები ისტორიის დარგებშიც, რომლებიც ცხადად მოწმობენ, რომ ილიას «საქართველოს ისტორიოგრაფიაშიც ისეთი ღვაწლი ჰქონია, რომლის დავიწყების უფლება არც ერთს ქართველს არა აქვს» (ივ. ჯავახიშვილი). განსაკუთრებული რეზონანსი პოვეს ილიას პოლემიკური ხასიათის წერილებმა - «აი ისტორია» (1889 წ.) და «ქვათა ღაღადი» (1899 წ.), რომლებითაც გამანადგურებელი პასუხი გაეცა საქართველოს ისტორიისა და კულტურის განმაქიქებლებსა და ფალსიფიკატორებს.

პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა პედაგოგიკის პრობლემებისადმი მიძღვნილ ილიას ნაშრომებსა და წერილებს. მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია «ბ-ნ იანოვსკის წერილისა გამო» (1881 წ.) და «პედაგოგიის საფუძვლები» (1888 წ.), რომლებიც დღესაც ინარჩუნებენ მაღალ შემეცნებით ღირებულებას.

ქართული თეატრმცოდნეობისათვის ფუძემდებლურია ილიას წერილები ეროვნული თეატრისა და დრამატურგიის შესახებ.

ქართული პუბლიცისტიკის განვითარებას ძლიერი ბიძგი მისცეს ილიას სისტემატურმა «შინაურმა მიმოხილვებმა» (1879 - 1885 წწ.), რომლებშიც იმჟამინდელი ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების უკლებლივ ყველა საჭირობოროტო საკითხი იყო წამოჭრილი და საფუძვლიანად განხილული.

უდიდეს როლს ასრულებდნენ ილიას მრავალრიცხოვანი ნაწერები, მიძღვნილი საქართველოს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებისადმი.

ძალზე საყურადღებოა ამ პერიოდში გამოქვეყნებული ილიას ნარკვევები და წერილები პოლიტიკური ეკონომიის საკითხებზე: «ცხოვრება და კანონი» (1877 - 1881 წწ.), «კერძო და სათემო მიწათმფლობელობა» (1886წ.), «ხიზნების საქმე» (1880, 1886 წწ.), «საზოგადოებრივ ცხოვრების ნაკლნი და მისი ეკონომიური მიზეზები» (1897 წ.) და სხვანი; წერილები ბანკის, კრედიტის და ფინანსების საკითხებზე; წერილები მრეწველობაზე და სხვ. აღსანიშნავია, რომ ამ ნარკვევებსა და წერილებში, რომლებშიც ილია, საქართველოს კონკრეტულ ვითარებასთან მიმართებით, პოლიტიკური ეკონომიის საკვანძო საკითხებს ეხებოდა, ცხადად ჩანს როგორც კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტეკონომიის, ასევე მეცნიერული აზრის უახლესი მონაპოვრის ღრმა, საფუძვლიანი ცოდნა და, კერძოდ, ცოდნა «სახელოვანი», «დიდებული მარქსის» (ილიას გმოთქმით) ეპოქალური თხზულებებისა (თუმცა, რა თქმუ უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ილია ყოველთვის ეთანხმებოდა მათში განვითარებულ შეხედულებებს).

ასევე ძალზე საყურადღებოა ილიას წერილები ციკლი სოფლის მეურნეობის საკითხებზე (მევენახეობასა და მეღვინეობაზე, სოფლის მეურნეობის ძვირფას

კულტურებზე, მესაქონლეობაზე და ა.შ.); წერილები უცხოეთის შესახებ - ევროპისა და ადრეულ საზოგადოების ქვეყნების პოლიტიკაზე და არაერთი სხვა.

ილიას მძლავრი ინტელექტით, ენციკლოპედიური ცოდნით, ფაქტებისა და მოვლენების ღრმად განსჯისა და ფართო განზოგადებათა იშვიათი უნარით აღბეჭდილი ეს შესანიშნავი ნაშრომები, ნარკვევები და წერილები საერთოდ XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებრივ აზროვნების მაღალი შესაძლებლობების ნათელი დადასტურებაა.

1905 წელს, რევოლუციის დაწყებისთანავე, ილია ჭავჭავაძემ საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნა წამოაყენა, კიტა აბაშიძე ასე აღწერდა ამ დიდად მნიშვნელოვან ფაქტს: «...მახსოვს მოძღვარი იმ დროს..., მახსოვს დიდებული კაცი, რომელმაც ჩვენ, მასზე უფრო აღზნებულებს, - გარეგნად მაინც, - თავისის დინჯის და წყნარის შენიშვნით ის ნაბიჯი გადაგვადგმევინა, რომელიც უიმედოდ მიგვაჩნდა იმ წრესა და პირობებში, სადაც ვმოქმედებდით. «პეტიცია» თავად-აზნაურთა კრებებისათვის უნდა მიგვეღებინებინა. ამ თავადაზნაურობისაგან... არას გამოველოდით და ამიტომ ვცდილობდით მეტად დიდი გასაბედავი არ მოგვეთხოვა, რომ მცირეზედაც უარი არ გვეთქმევინებია, და საქართველოს ერის უფლებები მხოლოდ კილოკავად მოვიხსენიეთ; მახსოვს მოძღვარი, რომელმაც განაცხადა: მე მაგას ხელს ვერ მოვაწერ, მანდ ქართველის ერისათვის არაფერია, ჩასწერეთ შიგ მოთხვნილება ავტონომიისა და პირველი ვაწერ ხელს»... - კი მაგრამ, რომ არ მიიღოს კრებამ? - ამ ამ ჩემს თავზე მიდვიაო» (გაზ. «ისარი», 1907, №206). და მართლაც, თავისი დიდი ავტორიტეტის მეოხებით, ილიამ თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებას თითქმის ერთხმად მიაღებინა ეს მოთხოვნა და პეტერბურგში გასაგზავნად პეტიციაში ჩააწერინა: «სახელმწიფოს საერთო სარგებლობა და საჭიროებანი აიძულებენ თავადაზნაურობას გამოსთქვას თავისი რწმენა, რომ ქართველი ხალხის კულტურული განვითარება იქნება შესაძლებელი მხოლოდ მაშინ, თუ საქართველოს, რომელმაც ნებაყოფლობით შეუერთა თავისი ბედი რუსეთის ბედსა, მიენიჭება უფლება, იქონიოს საკუთარი მართვა-გემგეობა და კანონები, წარმომადგენელთა ადგილობრივ კრებისაგან შემუშავებული და გამოცემული, და ამ კრებისათვის წარმომადგენლები საყოველთაო, პირდაპირის, საიდუმლო და ყველასათვის თანასწორ კენჭისყრით თუ იქმნებიან ამორჩეულნი». (გაზ. «ივერია», 1905, №43). ასეთივე მოთხოვნე გაეგზავნა იმპერატორს დასავლეთ საქართველოს თავად-აზნაურთა სახელითაც.

1906 წელს ილია ჭავჭავაძეს ირჩევენ სახელმწიფო საბჭოს წევრად. «სახელმწიფო საბჭოში თუ თავადაზნაურთა სახელით შევდივარ, - ამბობდა ილია, - ეს მხოლოდ ფორმალური, იურიდიული მხარეა. არ დავფარავ და ვიტყვი: საბჭოში მთელ საქართველოს და ქართველთა ინტერესების დამცველი ვიქნები».

სწორედ ამიტომ - სწორედ მთელი საქართველოს, მთელი ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესების დაცვის გამო მოკლეს ილია საქართველოს მტრებმა.

ეს დიდი ეროვნული ტრაგედია 1907 წლის 30 აგვისტოს მოხდა.

«ილიას მკვლელებს რომ შეეძლოთ, საქართველოს მოჰკლავდნენ», - წერდა ვაჟა-ფშაველა.

მაგრამ საქართველოს მოკვლა, მოკვლა ქართული ეროვნული სულისა და ეროვნული და ეროვნული თავისუფლების დიადი იდეისა, რომლის აღორძინებას ილიამ საკუთარი სიცოცხლე მოუტანა მსხვერპლად, უკვე შეუძლებელი იყო.

«ილიას წმიდა სისხლის ღვარი» იმ ემბაზად იქცა, რომელშიაც განბანილმა და ნათელღებულმა ქართველმა ერმა, «სულით ამაღლებულმა და გონებით

გამოფხიზლებულმა» (კ. აბაშიძე), ილიას ანდერძნამაგი ხელთუქმნელ განმად შერაცხა, თავისი ცხოვრების განუმორებულ თანამგზავრად აქცია, ფარად იაფარა და უქრობ ჩირაღდნად წარიმძღვარა დრო-ჟამის ქარტეხილებთან ჭიდილში.

ჭემმარიტი წინასწარმეტყველური აღმოჩნდა ილიას ნემტის წინაშე აკაკის მიერ წამრთქმული სიტყვები: «შენი საქმეები და ღვაწლი თავისთავად ილაღადებენ... თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები». ილია ჭავჭავაძე - მისი წმიდა სახეა, მისი ნამოღვაწარი და ნაანდერძვეი - საქართველოსთან ერთად ცოცხლობს, სამარადჟამოდ განუყოფელია სრულიად საქართველოსაგან, «მარად და ყველგან» საქართველოსთანაა, ვით მისი «თანამდევნი უკვდავი სული».

* * *

1987 წლის ნოემბერს 150 წელი სრულდება ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან.

ამ დიდად ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით, რომელსაც ზეიმით აღნიშნავს ქართველი ხალხი მთელ საბჭოთა ხალხთან და მრავალრიცხოვან საზღვარგარეთელ მეგობრებთან ერთად, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით იწყება ილიას თხზულებათა სრული აკადემიური კრებულის გამოცემა ოც ტომად.

დღემდე ილია ჭავჭავაძის თხზულებათა მრავალი სხვადასხვა ტიპის გამოცემა არსებობს. მათ შორის საგანგებოდ აღსანიშნავია რამდენიმე გამოცემა, რომელთაც თავის დროზე საეტაპო მნიშვნელობა ჰქონდათ.

პირველად ილია ჭავჭავაძის თხზულებანი ოთხ ტომად დაიბეჭდა 1892 წელს, ამ გამოცემას განსაკუთრებულ ღირსებას ჰმატებს ის გარემოება, რომ იგი მომზადდა უშუალოდ ავტორის მეთვალყურეობით. ერთხანს რატომღაც გარვეცილებული იყო მცდარი აზრი, თითქოს ეს გამოცემა ავტორის ჩაურევლად განხორციელებულიყოს. რის გამოც ზოგი სპეციალისტი მას უნდობლად ეკიდებოდა. თავისთავად ძნელი წარმოსადგენია, რომ მწერალი გულგრილი დარჩენილიყო თავის თხზულებათა პირველი სოლიდური გამოცემის მიმართ. მართლაც, ამ ბოლო დროს გამოვლენილმა მასალებმა სავსებით დაადასტურა, რომ ილია 1892 წლის გამოცემის მომზადებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა.

თავის თხზულებათა გამოცემისათვის ზრუნვა მწერალს ჯერ კიდევ 1885 წელს დაუწყია და სათანადო ხელშეკრულებაც დაუდგია ქართული წიგნის გამომცემელ ვარლამ ჭილაძესთან. ვ.ჭილაძის დავალებით გადმოწერილი თხზულებანი ავტორს ხელთ ჰქონია სარედაქციოდ. მაგრამ იმჯერად ილიას თხზულებათა გამოცემის ცდა, ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო, უშედეგოდ დასრულდა.

ამის შემდეგ, 1891 წელს, ილიას თავისი ნაწერები გამოსაცემად გადაუცია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის, მაგრამ შემდეგ წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ - ცხადია, ავტორის თანხმობით, - ამ თხზულებათა გამოცემის უფლება დაუთმო ახლად დაარსებულ «წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობას», რომელსაც ალ. ჯაბადარი ხელმძღვანელობდა. ამ ამხანაგობამ პირველმა გამოსცა ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, მაგრამ ნაცვლად განზრახული 10 ტომისა გამოსცა მხოლოდ 4 ტომი,

რომლებშიც თავმოყრილია ილიას მხატვრული ნაწარმოებები (პოეზია, პროზა, თარგმანები). კრიტიკული და პუბლიცისტური წერილები, სამწუხაროდ, გამოუცემელი დარჩა.

მეორე ცდა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის გამოცემისა, უკვე მწერლის სიკვდილის შემდეგ, ეკუთვნის ცნობილ ექიმსა და საზოგადო მოღვაწეს მიხეილ გედევანიშვილს. 1912 წელს მან შეადგინა სარედაქციო კომისია, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობას იღებდნენ თვალსაჩინო ქართველი მწერლები, მეცნიერები და საზოგადო მოღვაწენი: კიტა აბაშიძე, არჩილ ჯორჯაძე, გრიგოლ ყიფშიძე, ივანე ჯავახიშვილი იოსებ გედევანიშვილი, ივანე გომართელი, გიორგი ლასხიშვილი და სხვები. კომისიის მუშაობა დაგვირგვინდა 1914 წელს ილია ჭავჭავაძის თხზულებათა I ტომის გამოქვეყნებით, რომელიც თავისი დროისთვის მაღალ მეცნიერულ დონეზე იდგა და პოლიგრაფიულადაც მშვენივრად იყო გამოცემული (მხატვრული გაფორმება ეკუთვნის მხატვარ პენრიკ ჰრინევსკის). ტომს ახლავს გრიგოლ ყიფშიძისა და კიტა აბაშიძის წერილები ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, მიხეილ და იოსებ გედევანიშვილების წინასიტყვა და შენიშვნები. I ტომში შედის მწერლის მხოლოდ ორიგინალური მხატვრული ნაწარმოებები (ლექსები, პოემები, მოთხრობები), რომელთაც დართული აქვთ ვარიანტები, ყრმობის ლექსები, ნაწყვეტები. აქვე პირველად არის წარმოდგენილი ილიას უნიკალური იკონოგრაფიული მასალა.

მომდევნო ტომებში უნდა დაბეჭდილიყო დიდი მწერლის კრიტიკულ-პუბლიცისტური მემკვიდრეობა, მაგრამ გამოცემა შეჩერდა პირველი მსოფლიო ომის გამო, როგორც მოღწეული მასალებიდან ჩანს, მიხეილ გედევანიშვილს 1922 წელს უცდია დაწყებული საქმის გაგრძელება, მაგრამ მოულოდნელმა სიკვდილმა მას ამ განზრახვის სისრულეში მოყვანა აღარ დააცალა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ილიას თხზულებათა სრული კრებულის გამოცემა ითავა ახლად დაარსებულმა გამომცემლობამ «ქართულმა წიგნმა», რომელმაც 1925-1929 წლებში დაბეჭდა დიდი მწერლის თხზულებათა ათი ტომი პავლე ინგოროყვასა და ალექსანდრე აბაშელის რედაქციით. ეს გამოცემა თავიდან ცხრა ტომად იყო დაგეგმილი და ასეც არის აღნიშნული სატიტულო ფურცლებზე, მაგრამ შემდეგ რედაქციას საჭიროდ მიუჩნევია ტომების რაოდენობის გაზრდა: «ახალ მასალათა აღმოჩენის გამო, ილიას მთელი ლიტერატურული მემკვიდრეობა ვერ მოთავსდება ცხრა ტომის ფარგლებში, და ამ ძირითადი სერიის (ცხრა ტომის) დასრულების შემდეგ, განზრახულია რამდენიმე დამატებითი ტომის გამოშვება» («რედაქციისაგან», ტ. VII, 1928, გვ.V). დამატებითი ტომების გეგმას რედაქცია უფრო დაწვრილებით აცნობს მკითხველს IX ტომის წინასიტყვაობაში: «მეორე სერიაში (დამატებით ტომებში) შევა ილიას ნაწერების შემდეგი ციკლები: ა. საზოგადოებრივი ცხოვრების დღიური; ბ. წერილები სახალხო მეურნეობის საკითხებზე; გ. წერილები უცხოეთზე; დ. ილიას კორესპონდენცია. - ავტობიოგრაფიული მასალები; ე. დამატებანი. უკანასკნელ წიგნში დაიბეჭდება ილიას ბიოგრაფია და კრიტიკული მიმოხილვა ილიას ნაწერებისა. - აქვე მოთავსდება აგრეთვე ბიბლიოგრაფიული და ქორონოლოგიური საძიებლები» («რედაქციისაგან», ტ. IX, 1928, გვ. VII).

განზრახული დამატებითი ტომებიდან 1929 წელს გამოიცა მხოლოდ X ტომი, რომელშიაც მოთავსებულია «წერილები უცხოეთზე», დანარჩენი ტომების გამოცემა კი მაშინ ვერ განხორციელდა. მიუხედავად ამისა, ამ გამოცემას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ილია ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულებს შორის, რადგანაც მასში

მხატვრულ თხზულებებთან ერთად (ტ. I-III) პირველად არის წარმოდგენილი მწერლის კრიტიკულ-პუბლიცისტური მემკვიდრეობა (ტ. IV-X). აქვე დაბეჭდილია მანამდე უცნობი რამდენიმე მხატვრული ნაწარმოებებიც, აგრეთვე - ცალკეულ ნაწარმოებთა ბოლო რედაქციისაგან საგრძნობლად განსხვავებული ადრინდელი ვარიანტები. ტექსტები დადგენილია პირველწყაროებზე დაყრდნობით და დალაგებულია თემატურ-ქრონოლოგიური პრინციპით, უმეტესობას ახლავს ვრცელი კომენტარი.

ამ გამოცემის სამეცნიერო აპარატი შედგენილია ცნობილი მეცნიერის პავლე ინგოროყვას მიერ, რომელსაც განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლისა და გამოცემის საქმეში. მისი რედაქტორობით განხორციელდა ილიას თხზულებათა კიდევ ორი გამოცემა - ხუთ ტომად და ათ ტომად.

ხუთტომეულის პირველი ტომი, რომელსაც პ. ინგოროყვასთან ერთად რედაქტორობდა ალ. აბაშელი; მკითხველმა მიიღო დიდი მწერლის დაბადების ასი წლის თავზე - 1937 წელს. ეს ტომი მთლიანად მოიცავს ილიას ორიგინალურ მხატვრულ თხზულებებს - ლექსებს, პოემებს, მოთხრობებს, პიესას. დანარჩენი ტომები გამოიცა მხოლოდ პ. ინგოროყვას რედაქტორობით. II-IV ტომები და V ტომის ნაწილიც დათმობილი აქვს კრიტიკულ-პუბლიცისტურ თხზულებებს. V ტომში წარმოდგენილია აგრეთვე ილიას პირადი წერილები. აქვეა დაბეჭდილი პ. ინგოროყვას ვრცელი ნარკვევი «ილია ჭავჭავაძე» და «ილიას შემოქმედებითი მატიანე», ყოველ ტომს დართული აქვს რედაქტორის «სარედაქციო შენიშვნები» და თხზულებათა ვარიანტები.

აღნიშნული ტომები დიდი ინტერვალებით გამოდიოდა (II ტ. 1941 წ., III ტ. - 1952 წ., IV ტ. - 1955 V ტ. - 1962 წ.), ასე რომ მთლიანად ხუთტომეულის გამოცემას ოცდახუთი წელი მოუწდა. ამასობაში წამოწყებული იქნა და უფრო ადრე დასრულდა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის კიდევ ერთი გამოცემა ათ ტომად (1951-1961).

ათტომეული გამოიცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის გრიფით და ცნობილია აკადემიურის სახელით, მაგრამ იგი კვლავ პავლე ინგოროყვას რედაქტორობით არის გამოცემული, მისივე წინა გამოცემების პრინციპებს ემყარება და ბოლომდე არ იცავს აკადემიური გამოცემისათვის სავალდებულო მოთხოვნებს.

საერთოდ პ. ინგოროყვასეული გამოცემების დიდ ღირსებას შეადგენს ილიას მანამდე უცნობი მრავალი თხზულების გამოვლენა, ავტოგრაფებისა და ნაბეჭდი წყაროების ღრმა ანალიზი და ფრიად საგულისხმო, ვრცელი კომენტარები. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ამ გამოცემებს ზოგი ხარვეზიც ახლავს როგორც მასალის სისრულის, ისე ტექსტის დადგენის პრინციპების მხრივ.

პ. ინგოროყვა გამოცემიდან გამოცემამდე თანდათანობით ავსებდა ილიას ტომებს ახლად მოპოვებული მასალით, მაგრამ ამის შემდეგაც მეცნიერული კვლევა-ძიებით კიდევ გამოვლინდა ახალი წერილები, რომლებიც უთუოდ ილიას კალამს ეკუთვნის. მხედველობაში გვაქვს უმთავრესად «დროებასა» და «ივერიაში» ხელმოუწერლად დაბეჭდილი მეთაური წერილები, რომლებიც შინაარსობრივად მეტად მრავალფეროვანია, რაოდენობით კი რამდენიმე მოზრდილ ტომს შეადგენს. მათი ილიასეულობა ამჟამად უკვე ეჭვმიუტანლად არის დადგენილი (თ. მაჭავარიანის, პ. კეშელავას, ალ. კალანდაძის, შ. გოზალიშვილის, ა. კენჭოშვილის, ნ. ტაბიძის, ლ. ჭრელიაშვილის, ნ. შალუტაშვილის, ვ. ჟვანიას და სხვათა ნაშრომებით).

დღემდე არსებულ გამოცემებში არ შესულა და სრულიად უყურადღებოდ იყო დატოვებული ილიას ხელით დაწერილი ბევრი დოკუმენტი და საარქივო მასალა, ასევე თარგმანების ერთი ნაწილი.

ამ გამოცემების ნაკლია აგრეთვე ის, რომ ილიასეულ ტექსტში შეტანილია ზოგიერთი გაუმართლებელი ცვლილება, ნაბეჭდი წყაროები და ვარიანტები სრულად არ არის აღნუსხული.

ყოველივე ამან და კლასიკოსთა გამოცემის საქმეში დაგროვილმა ქართული საბჭოთა ტექსტოლოგიური მეცნიერების მდიდარმა გამოცდილებამ განაპირობა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ახალი სრული აკადემიური კრებულის გამოცემის აუცილებლობა, ბუნებრივა, რომ ეს გამოცემა დაუკავშირდა დიდი ილიას დაბადების საიუბილეო თარიღს.

ახალი აკადემიური გამოცემა, რომელიც ოც ტომად არის ნაგარაუდები, სრულად მოიცავს მწერლის მხატვრულ, კრიტიკულ, პუბლიცისტურ და ეპისტოლარულ მემკვიდრეობას, აგრეთვე - დოკუმენტებსა და საარქივო მასალებს, ერთი სიტყვით, ყველაფერს, რაც დღესდღეობით ილიას კალმის ნაყოფად არის ცნობილი.

ნაწარმოებთა განაწილება ტომებში ემყარება ჟანრობრივ-ქრონოლოგიურ პრინციპს: ჟანრობრივად ერთგვაროვანი მასალა ლაგდება ქრონოლოგიურად. I ტომი მოიცავს პოეზიას, II ტომი - პროზაულ და დრამატულ თხზულებებს, III-IV ტომები - მხატვრულ თარგმანებს, V-XVI ტომებში თავმოყრილია ილიას უმდიდრესი კრიტიკულ-პუბლიცისტური მემკვიდრეობა, XVII -XVIII ტომებში - პირადი წერილები, XIX ტომში - საარქივო მასალები და დოკუმენტები, უკანასკნელი ტომი კი ეთმობა ბიბლიოგრაფიულ მასალებსა და საძიებლებს.

აკადემიური გამოცემის დევიზია - მკაცრი მეცნიერული საფუძვლიანობა. ამასთან დაკავშირებით ორიოდ სიტყვა უნდა ითქვას ტექსტის დადგენის თაობაზე.

ილია ჭავჭავაძე იყო ქართული სალიტერატურო ენის დიდი მოამაგე და ნორმათა კანონმდებელი, რომელმაც განსაზღვრა მისი განვითარების ძირითადი გეზი XIX ს. 60-იანი წლებიდან ჩვენს ეპოქამდე. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ილიას მოღვაწეობის ნახევარსაუკუნოვან გზაზე მწერლის ენამ გრამატიკულ ნორმათა თვალსაზრისით საგრძნობი ევოლუცია განიცადა. ეს იყო ხანგრძლივი პროცესი, რამაც განაპირობა პარალელურ ენობრივ ფორმათა სიმრავლე ილიას ენაში და ერთგვარად გაართულა მისი თხზულებების ტექსტის დადგენა.

პარალელურ ფორმათა უნიფიცირება და ერთი პრინციპის გატარება უთუოდ ყალბ წარმოდგენას შეუქმნიდა მკითხველს ილიას ენაზე და არ მოგვცემდა საშუალებას, დაგვენახა ფორმათა ნაირფეროვნება და ურთიერთჭიდილი, რასაც ადგილი ჰქონდა ქართულ სალიტერატურო ენაში XIX ს. მეორე ნახევარში. მაგრამ ისეთ შემთხვევაში, როცა თვიონ მწერალი აღიარებს ამა თუ იმ ფორმის უპირატესობას და ცდილობს მის დამკვიდრებას, ბუნებრივია, ჩვენც დავიცვათ ავტორის ნება და ცალკეული ფორმები მისსავე ნორმას შევუფარდოთ.

თუ რა გრამატიკულ ნორმებს იცავდა ილია საბოლოოდ, ეს კარგად ჩანს 1892 წელს გამოცემული მისი თხზულებების ოთხტომეულიდან, სადაც ავტორს არაერთი ენობრივი შესწორება აქვს შეტანილი მხატვრულ ნაწარმოებთა ტექსტში.

ჩვენს გამოცემაში, რა თქმუ უნდა, ეს ტექსტები იბეჭდება იმ სახით, როგორც ისინი საბოლოოდ გამოვიდა ავტორის ხელიდან, ე.ი. როგორც წარმოდგენილია 1892 წლის გამოცემაში. მაგრამ როგორ მოვექცეთ იმ ადრეულ ნაწარმოებთა ტექსტს, რომლებიც აღნიშნულ გამოცემაში არ არის შეტანილი ან სარეთოდ არ დაბეჭდილა ავტორის სიცოცხლეში?

აღიარებული ტექსტოლოგიური პრინციპის მიხედვით, მაქსიმალურად უნდა დავიცვათ ავტორისეული ტექსტი და თავი შევიკავოთ მისი ყოველგვარი სწორებისაგან. მაგრამ ეს არ ეხება ორთოგრაფიულ ნორმებს. უამისოდ საგრძნობლად გაიზრდებოდა ფომათა სიჭრელე, კერძოდ, ისეთ ფორმათა რაოდენობა, რომლებსაც, როგორც ავღნიშნეთ, მართებულად არ მიიჩნევადა თვით ილია ჭავჭავაძე. ასეთ ფორმებს იგი თვითონვე ასწორებდა გვიანდელ გამოცემებში. ამასთანავე, თუ ადრეულ ფორმებს დავტოვებდით მხოლოდ იმ ნაწარმოებებში, რომლებიც ავტორის სიცოცხლეში საერთოდ არ გამოქვეყნებულა, ან გვიან აღარ დაბეჭდილა, დანარჩენ თხზულებათა ტექსტს კი წარმოვადგენდით ილიასეული გვიანდელი ორთოგრაფიით, ამით მკითხველს მაინც ვერ შევუქმნიდით სწორ წარმოდგენას ილიას ენის ევოლუციის პროცესზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე გამოცემის მომზადებაზე მომუშავეთაგან ზოგი არ უჭერდა ამას მხარს, სარედექციო კოლეგიამ მიზანშეწონილად ცნო ილიასეულ ტექსტში ცალკეულ ორთოგრაფიულ და გრამატიკულ ფორმათა შესწორება იმ ნორმათა შესაბამისად, რომელთაც იცავდა თვითონ ავტორი. სახელდობრ:

ე.წ. «ზედმეტი ასოები» (Í, ð, þ) ამოღებულია და შეცვლილია თანამედროვე ორთოგრაფიის შესაბამისად.

თანამედროვე ნორმების მიხედვით არის გამართული პუნქტუაცია და კომპოზიტების მართლწერა (მცირე გამონაკლისის გარდა).

ვითარებითი ბრუნვის ნიშნად ყველგან ხშირია -ად, -დ და არა -ათ, -თ (თუ ის განმტკიცებული არ არის რითმით).

ზმნისწინებში წარმოდგენილია მო, შე, შემო და სხვა სახეობანი (ეს არ ეხება პერსონაჟთა მეტყველებას).

უ ხმოვნის წინ I სუბიექტური პირის ნიშანი ვ ყველგან დაცულია.

III სუბიექტური პირის ნიშნად მრ. რიცხვში სათანადო შემთხვევაში წარმოდგენილია -ნენ სუფიქსი და რა -ენ.

-ავ თემის ნიშნით არის შეცვლილი -ამ თემის ნიშანი იმ ზმნებში, სადაც მისი ხმარება სალიტერატურო ენის ნორმებს არ შეესაბამება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს სწორებანი საერთო ანგარიშში ფრიად მცირე და იშვიათია.

აღნიშნული სწორებანი არ ეხება «სხვადასხვის» სახელწოდებით გაერთიანებულ მხატვრულ ნაწარმოებებს, პიესებს, პირად წერილებს, დოკუმენტებს, აგრეთვე ვარიანტებში წარმოდგენილ რედაქციებს, სადაც გავასწორეთ მხოლოდ უნებლიე ლაფსუსები.

სწორება არ შეხება ისეთ პარალელურ ფორმებს, რომელთა ხმარების მხრივაც ილიას ენაში რაიმე კანონზომიერება არ შეინიშნება. ასე, მაგალითად, მწერალი არაიშვიათად ხმარობს ფორმებს: ახალგაზდა, გძელი, ფთხილი და სხვანი, სადაც თანხმოდანთა შორის მოქცეული რ დაკარგულია. ასეთი დაწერილობა უფრო ხშირია ადრეულ ავტოგრაფებსა და გამოცემებში, მოგვიანებით კი ბევრი მათგანი შესწორებულია და რ ილიას მიერ აღდგენილია, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ამგვარი სწორება ბოლომდე იყოს გატარებული.

ერთმანეთის პარალელურად, ზოგჯერ ერთსა და იმავე ნაწარმოებშიც კი გვხვდება ფორმები: თავისუფლება და თავისიუფლობა, ერთგულება და ერთგულობა, უბედურება და უბედურობა, ცხოვრებს და ცხოვრობს და ა. შ.

ასევე ენაცვლებიან ერთმანეთს წუთისოფელი და წუთის-სოფელი, შევარდენი და შავარდენი, საღმრთო, სამღვთო და საღვთო, გარეშემო, გარშემო და გარშამო და სხვ.

სიტყვა ბავშვი, რომლის დაწერილობის მხრივაც XIX საუკუნეში დიდი სიჭრელე შეინიშნება, ილიასთან უმეტესად გვხვდება **ბავშვის** ფორმით. როგორც ჩანს, მწერალს სწორედ ეს ფორმა მიაჩნდა მართებულად: ასეა ეს სიტყვა ყოველთვის წარმოდგენილი ავტოგრაფებში და ხშირად ამ სახითვე არას გასწორებული პირველნაბეჭდისეული **ბავშვი** ხელახალი გამოცემის დროს (სახელდობრ, ილიას თხზულებათა 1892 წლის გამოცემაში). ამიტომ რედაქციამ საჭიროდ მიიჩნია დაეცვა ეს ილიასეული ფორმა, მაგრამ ხელი არ გვიხლია არც იმ ფორმისათვის რომელიც დღევანდელ სალიტერატურო ენაში არის დამკვიდრებული.

აღნიშნულთა მსგავსი პარალელური ფორმები ილიას ტექსტში დატოვებულია იმ სახით, როგორც გვხვდება ძირითად რედაქციაში (A ვარიანტში). იშვიათად, როცა A ვარიანტისეული დაწერილობა ძალზე სპეციფიკურია და სალიტერატურო ენისათვის უჩვეულოა, ის შეცვლილია სხვა ვარიანტებში წარმოდგენილი ან ილიას ენაშივე სხვაგან დადასტურებული უფრო მართებული ფორმით (შაბადი - შაბათი, მზგავსი - მზგავსი, შხირად - ხშირად, აქედ - აქეთ...).

ყოველი შესწორება საგანგებოდ არის აღნიშნული თითოეული ტომის ბოლოს დართულ ვარიანტებსა და შენიშვნებში. იქვე სათანადოდ არის ასახული როგორც ხელნაწერი, ისე ნაბეჭდი პირველწყაროების ვარიანტები.

თითოეულ თხზულებას ერთვის აგრეთვე ტექსტოლოგიური და ისტორიული-ლიტერატურული ხასიათის კომენტარები.

ლექსები

ყვარლის მთებს

სამშობლო მთებო! თქვენი შვილი განებებთ თავსა,
მაგრამ თქვენ ხსოვნას ვერ მივცემ მე დავიწყებასა:
თქვენ ჩემთან ივლით გაუყრელად, ვით ჩემი გული,
თქვენთან, ჰე, მთებო, ბუნებითა შეუღლებული!
მახსოვს, ყრმა ვიყავ, ძლივს მოსული გონს და ცნობასა,
როს სიდიადე თქვენი მგვრიდა კანკალს, ჟრჟოლასა...
იგი არ იყო შიშის ჟრჟოლა, შიშის კანკალი,
იგი არ იყო ძვრა გულისა, ფრთხალი და მხდალი.
მე თრთოლით ვჭვრეტდი ლაჟვარდ ცაზე თქვენსა სიმაღლეს
და შევნატრიდი ყმაწვილურად თქვენს ზემო მხარეს;
სადაც ღრუბელნი ვერ ჰბედავდნენ შიშით სრბოლასა,
სადაც ისმენდით ამაყადა გრიგალთ ქროლასა,
სადა წეროთა ქარავანი, ცას დალუპული,
თქვენ თავთან ოყო თითქმის ძლივ-ძლივ გასწორებული, -
იქ მე ვნატრობდი, ყმაწვილ ყრმობის სიმარტივითა,

ფრენას და ტანტალს თქვენს საშინელ გრიგალივითა.
ვნატრობდი ხოლმე, რომ ვეხვიო სუბუქსა ქარსა
ან თავისუფალ არწივისა ძლიერსა ფრთასა,
რომ აღმოვფრინდე და შევეხო თქვენს ამაყ თავსა.
როცა ჰღმუოდნენ ხევში მძვიფრნი სასტიკნი ქარნი,
ვით ას მრისხანე დაჭრილ ლომთა საშიშნი ხმანი, -
ვითა ფოთოლი, ისე ვთრთოდი, ვუგდებდი რა ყურს,
იმ ხმებში ვგრძნობდი მე რაღაცას ნაცნობს, მშობლიურს.
თუ მაშინ ყრმისთვის უცხო იყო თავმოწონება,
აწ მომწონს თავი, მეგობრებო, რომ დაბადება
თქვენ შორისა მხვდა, ბუნებისა თქვენის ვარ შვილი,
გრიგალთა, მეხთა, ქუხილთ შორის ქართველად გაზრდილი.
როს ყმაწვილური მწუხარება ჩემს ყმაწვილურს გულს
სჩაგრავდა ხოლმე, თქვენ წინ ვღვრიდი ჩემ ცრემლთ ნაკადულს,
თქვენ შეგჩიოდით, შეგტიროდით, თუმც კი იმ ჩემს ცრემლს,
როგორცა ეხლა, ისე მაშინ არ სცემდით ნუგეშს...
და ეს აჩრდილნი საოცნებელთ წარსულთა წამთა
ჩემს სიკვდილამდე მემარხება გულშია ღრმათა!..

რარიგ მიყვარდით, მეგობარნო ჩემ ყმაწვილ ყრმობის,
და აწ მაშორებს თქვენთან ვალი ამ წუთის-სოფლის,
მომავლის ბედი გაყრას ითხოვს ჩემგან მსხვერპლადა,
და რას მომთხოვდა უარესსა დასასჯელადა?!
ყოველი ნაბიჯი ჩემის ცხენის თქვენთან მაშორებს,
ყოველი წუთი გკარგავს თქვენა და მეც მაობლებს...
აგერ თქვენც ქრებით თანდათანა... თქვენსა მწვერვალსა
ძლივს ვარჩევ... წუთიც!.. მხოლოდლა ვსჭვრეტ ციაცსა ცასა.
ამოდ ვებრძვი მანძილსა და ჰაერის სისქეს
და მოუსვენრად ვატანტალე მწუხარს თვალსა ჩემს!..
თქვენი მწვერვალნი აღარ სჩანან და მშვენივრად ცას
აღარ უმკობენ ერთნაირსა ციაცს კამარას!..

მშვიდობით, ჩემნო, თვალში ცრემლით განებებთ თავსა...
უცხოეთიდამ კვლავ მოგაწვდენტ ჩემს გულს და თვალსა;
კვლავ გაგილიმებთ შორ ქვეყნიდან თქვენ ჩემი სული,
და დამიწყებსცა სიყვარულით ფეთქასა გული.

1857-სა წელსა, 15-სა აპრილსა,
ს. კარდანახი.

სანთელი

ვზივარ და შევჭვრეტ ჩემ წინ სანთელსა,
რომელიც წელან უხვად ნათელსა
ჩემს ოთახს ჰფენდა და აშუქებდა
და თვალწინ ბნელსა განმინათლებდა;

აწ მიწურვილა გასაქრობლადა,
შანდლისა თავზედ ძლივ-ძლივლა ბჟუტავს,
ხან ჩაქრება და ხან მნათობლადა
კვლავ შანდლიდამა წამოიხედავს...

ებრძვის სიკვდილსა ჩემი სანთელი,
მაგრამ მას, წყეულს, რა დაამარცხებს?
ლაქვარდად ქმნილი სუსტი ნათელი
შანდლის ჯურღმულში თავსა ანარცხებს.

აგერ ოთახსაც ჩრდილმა გადაჰკრა,
კედლებზე ძლივს სცემს ბნელადა შუქი;
აგერ სანთელიც შანდალში ჩაქრა...
რა დამრჩა მისგან? - მწვარი პატრუქი.

ეგრედაც კაცი ძლიერი ქრება,
რა ეწვევა მას სიკვდილი - მტერი;
მშვენიერ არსის მაგიერ გვრჩება
ერთი მუჭალა გამხმარი მტვერი.

1857-სა წელსა, 16-სა დეკემბერსა,
ს.-პეტერბურლი.

ხმა სამარიდამ

I

სამართალს ფულითა ვსჭრიდი,
გროშისათვის კაცს გავყიდდი,
თვით ძმას ორმოს გავუთხრიდი
და ჩემს ჯიბეს ნელ-ნელ ვზრდიდი.
საზრდოს გლეხსა წავართმევდი,
მშიერს, მწყურვალს დავაგდებდი,
თუ შიმშილით მოკვდებოდა,
მე ის არ დამნანდებოდა.
რაც კი რამ ჰქონდა საწყალსა,
ჩემს ჯიბეს აძლევდა ხარჯსა.
ჩემი ჯიბე ვტენე, ვტენე,
ისე მოვკვდი, ვერ გავტენე.

II

ობლის ვედრება, ტირილი
ჩემთვის ოყო გაუგებრად, -

განა ვიყავ მე გულჩვილი? -
სხვის ტირილი მიჩნდა მღერად.
წვრილშვილნი გლეხთა ქვრივებსა
შიმშილით ეხოცებოდნენ, -
მათაც კი ვსთხოვდი ფულებსა,
როს საქმისთვის მოვიდოდნენ.
ირჩობოდა, კაცს ვხედავდი,
მე შემემლო მის მორჩენა, -
მის მორჩენას გავხედავდი,
თუ მესმოდა ვერცხლის ბზენა.

III

თუ არა და ხელსა ვკრავდი
და მას წყალში მე ჩავკლავდი.
ბევრსა საქმეს ამის მსგავსსა
მე ვიქმოდი მეტად კარგსა.
სიცოცხლეს კარგად ვიცნობდი
და იმ ცნობით ვსარგებლობდი:
დროზედ სიბრმავე ვიცოდი,
დროზედ თვალის ახილება,
დროზედ სიფიცხით ვიწოდი,
ხანც ვიცოდი დაზანტება.

IV

გლეხებთან ვიყავ ჭკვიანი,
ტუტუცი ნაჩალნიკთანა;
უხმოსთან ვიყავ ხმიანი
და უსიტყვო ხმიანთანა.
ვინც მე შიშით მიყურებდა,
მას ბრაგაბრუგს დავუწყებდი,
და ვინც კი დამიყვირებდა,
მას მე ფეხქვეშ ვუძვრებოდი.
ღმერთმა მომცა მარდი ხელი,
დაუღლეელი თავის დღეში,
მუნით ცურდებოდა ჭრელი
ჩემ გაუმაძღარ ჯიბეში.

V

სულ ჯიბისთვინა ვცდილობდი,
მისთვის კაცსა ტყავს ვაძრობდი:
ეს წყეული ვტენე, ვტენე,
აჰა, მოვკვდი, ვერ გავტენე...
რაღა გითხრათ? ვიყავ კარგი,

ქვეყნისათვის დიდი მარგი.
არც ვიყავ დიდი, არც მცირე,
ჩემს დღეში ცრუადა ვსწირე;
არც ვიყავ გლეხი, არც ბეგი;
მაშ რა ვიყავ? მდივანბეგი!
და აწ მეხი გლეხებისა,
ერთგული ყმა ფულებისა,
მტვრადა ვდევარ სამარესა,
მოდი, ენდე ცრუ სოფელსა!..
შეიბრალეთ ჩემი გვამი!..
თუ ოდესმე ვინმემ ნახეთ,
საიქიოს თუა ქრთამი,
გამახარეთ, ჩამომძახეთ.

1857-სა წელსა, 27-სა დეკემბერსა,
ს.-პეტერბურდი.

ღამე

როცა ყაყანი ქვეყანისა სრულად მიწყდება
და აღარ ისმის ბოროტების ხმა მოსაწყენი,
როს მძინარს სოფელს კამარა ცის ზედ გარდემლება, -
სამხრეთის ღამევ, მაშინ მიყვარს ყურება შენი!

[1857 – 1861 წწ.]

გაზაფხული

ვიშ, გაზაფხული
მოდის მორთული,
მოდის და მოაქვს
ციტ სიხარული.

ამწვანდა მთები,
ტყე და მინდვრები,
ათასფრად ჰყვავის
ბაღი და ზვრები.

განახლებული,
გაცოცხლებული
ჰლხინობს და ჰსტკბება
ყველა სულდგმული.

ბელურა იქ ჰმდერს,
ბულბული აქ სტვენს,

თვის მიჯნურ ვარდსა
დაჰკვნესს და დაჰკვნესს.

აგერ პეპელა
ფრთააკრეფილი
ყვავილს სწოწნს ნელა
და თრთის ყვავილი.

იქავ კურკურით,
ჩუმის ჩურჩულით
წყარო ჩამორბის
ლხენით, ჩუხჩუხით.

რარიგად ჰგიჟობს
ბრწყინვალე წყარო,
მიცურს და ჰხარობს:
"ყინვით არ ვარო".

ზამთრითა შეკრულს,
წყალს დამონებულს
ყინვა აღნება,
მონებაც სწყდება.

მიდის, აძლევს ბანს
ქვეყნის გალობას
და მით მადლს უხდის
თავისუფლობას.

ყველა ყვავდება,
გველი ახლდება,
რა ჰხედავს ტკბილ დღეს,
გამოცოცხლდება, -

და მარტო გული,
ერთხელ მოკლული,
არც აყვავდება,
არც გაცოცხლდება!

1858-სა წელსა, 7-სა მარტსა,
ს.-პეტერბურდი.

ჩიტი

ვგალობ და ვგალობ
და იმით ვხარობ,
რომ მე ქვეყანას

გალობით ვატკობ.

ჩემია წერა:
მღერა და მღერა,
ლხენა, გალობა,
თავისუფლობა.

ღვთით მოცემული
დიდ არს ქვეყანა,
გახარებული
ვფრინავ ყველგანა.

სადაც კი მინდა,
გადავფრინდები,
ნიჭი მაქვს წმინდა,
საფრენად - ფრთები.

ლურჯსა ჰაერში
ჩავილუპები,
ფოთლიან ტყეში
დავიბუდეები.

ღამეს ვატარებ
ხეზედა ძილით,
დილას ვახარებ
გალობით ტკბილით.

და რა მზე მალვით
თავს შორს ამოჰყოფს,
მის სხივი კრძალვით
ფოთლებს ააშრობს, -

გავიშლი ფრთებსა,
გავიჭიმები,
გავიწვდი ფეხსა,
გავიზმორები.

ჯერ შევხედავ ცას,
ქვეყნის დამბადავს,
მერედ - მთა და ბარს,
ჩემსა შემნახავს,

მერედ - ჩემს ფრთებსა,
ჩემ საყვარლებსა...
მათის იმედით,
მღერით და ლხენით,

მსწრაფლ ისარივით
ცას აღვფრინდები
და შორს ქარივით
თვალწინ გავქრები.

მინამ ვარ უფლად
ჩემის თავისა,
მხიარულ სტუმრად
ვარ მაისისა,

და როს ცდუნებით,
ძალდატანებით,
გალიას ჩამსმენ, -
მშვიდობით, ველო,
მაშინ აღარ გსტვენ,
საწყალობელო!

დაღონებული,
ფრთებდაშვებული,
დავიწყებ ჭკნობას,
სიკვდილის ხმოზას...

და, ველო, შენსა
გამღვიძებელსა
შენს ჩიტს პატარას
მალე ნახავ მკვდარს.

რაი სურს კაცსა,
რომ მიზამს ფრთასა?
თავისუფლება
ჩიტის ჰშურდება?!

1858-სა წელსა, 7-სა მარტსა,
ს.-პეტერბურდი.

სიმღერა

სად მიგყევარ, მდინარევ
მოწყენილ სიცოცხლისავ!
ჩემს მცირეს ნავს რას არხევ,
ზვირთო წუთისოფლისავ!
რას შემამთხვევ, ვინ იცის
აზრი შენის ცივის წყლის?
აწმყო კეთილს არ ამბობს
და წარსულიც მას სთანხმობს.

შორს მომავლის ვარსკვლავი
თუმც არის უხილავი,
მაგრამ, ვგრძნობ, შეხვალ დიდ ზღვას
და იქ ჩაჰლუპავ ჩემს ნავს,
და მარდად შენი წყალი
წაშლის ჩემს ურგებს კვალსა...
თუ ეს მაქვს გარდუვალი,
ვსწყევლი ჩემ შობის წამსა.
რად მინდოდა სვლა ქვეყნად,
თუ ეგ ბოლო მხვდა მხვედრად?..
ვინც კი ეგრედ მსვლეელია,
შესაბრალებელია!...
ორსა, ობლად მცურავსა,
მე და ჩემს მცირეს ნავსა,
ჰოი, გვედრებ, მდინარევ,
იმ დიდ ზღვაში ნუ შეგვრევ!

1858-სა წელსა, 4-სა ივნისს,
ს.-პეტერბურდი.

გუთნის დედა

"გადი-გამოდი, გუთანო,
ღირღიტავ, ბანი უთხარო".

ერთს ბედ-ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ,
წილად გვარგუნეს შავი მიწა ჩვენ.
ერთგულად ვჭიმოთ ჭაპანი ჩვენი,
უსიხარულოდ დავლიოთ დღენი,
ბელტი ბელტზედა გადმოვაწვინოთ
და შრომის ოფლი მიწას ვაწვინოთ.
ნუ დამიღონდი!.. შენი უღელი
ჩემს უღელზედა არ არის ძნელი:
მეც შენებრ მიწას დავყურებ თვალით,
რადგანაც ზეცა წამართვეს ძალით;
შენებრ მეც მელის მიწა, ვით მსხვერპლსა,
სიკვდილის შემდეგ დასავიწყელსა.
შენ პირუტყვი ხარ და მე მეტყველი?!..
ეგ, ჩემო ლაბავ, ნუ შეგშურდება...
რად მინდა ხმალი, თუნდ იყოს მჭრელი,
თუ სიმართლისთვის დამიჩლუნგდება?
აბა, რას გვარგებს ჩვენ ის გუთანი,
რომე აჩეჩოს მარტო მიწანი
და არ მოსთხრიდეს ძირით იმ ბალახს,
რომელიც უშლის თესლსა ამოსვლას

მე ჩემის ჭირის, ჩემის წუხილის,
ჩემის კაცობის გულის დუდილის
სიტყვანი გულში მეზადებიან,
მაგრამ გულშივე უხმოდ ჰკვდებიან.
შენ ვერ გაიგებ მეტყველის ტანჯვას,
როცა სიტყვასა მართალს გულში ჰკლავს!...
აქ მენდე, ლაბავ, ჩემი უღელი
შენს უღელზედა უფროა ძნელი.
მაშ რა გაღონებს?.. გასწი ჭაპანსა
და გაიტანე გუთანი ბოლოს,
ნუ უღალატებ ძველს ამხანაგსა,
ის შენ აცხოვრე, მან შენ გაცხოვროს!..

1858-სა წელსა, 4-სა ივნისს,
ს.-პეტერბურდი.

მეც შავს თვალებს

მეც მინახავს თვის სიბნელით თვალნი,
ვითა მწყვდიადი, ისე ღრმათ-ღრმანი,
საშიშნი ცეცხლით, დაუმონავნი,
ვით ქარიშხალში ავ-ფთონი ზღვანი.

სიცოცხლე მათში ისე დულს ცეცხლით,
რომ დაიდაგო მისის ნაპერწკლით,
სიცოცხლესთანა ჰსცნობ შერიგებას
და არ ინდომებ სხვა ნეტარებას.

რარიგ ჩანს ტრფობათ ამღვრეულობა
და არწივისა თავისუფლობა
მათ დიდ, მშვენიერ სიბნელის ტბაში,
მათ გრძნეულ, უხმოდ, ცხად გამოთქმაში!

მშვენიერების ამპარტავნება,
სიყვარულისთვის ცეცხლად ანთება
და დიდ სურვილის უგუნურება
რა მაცდურებით იქ იხატება!

როს დაიწყებენ იგინი ცქერას,
გული სხვა გრძნობით მოჰყვება ძგერას:
ვგრძნობ, რომ საბრალო გული განგიწვეს
და ჰძრწი, რომ სრულად მათ წარგიკითხეს.

რაგინდ ტკბილ იყოს თავისუფლება,
მათგან უფრო ტკბილ არს დამონება!

ვეძებ და ვეძებ აქ მე შავს თვალებს,
მარამ რუსეთში ვინ დამანახვებს!..

1858-სა წელსა, 20-სა ივნისსა,
სოფ. ტიარლევო.

გიყვარდეს!

- კაცო, გიყვარდეს! -
ცათ შთამომძახეს,
როს მათ დამბადეს.
ყველგან ეს სიტყვა
ლამპრად წინ მიმყვა
და ქვეყნად ჩემს სვლას
ჰსცემდა წმინდ ნათელს.
მისთვისც გეტყვი ძმას:
შენცა გიყვარდეს!...

1858-სა წელსა, 23-სა ივნისს,
სოფ. ტიარლევო.

სიზმარი

ტიალ სივრცეში ოხრად ვნახე ბნელი უფსკრული,
ჯოჯოხეთისა სიწყვდიადით ღრმად გადაკრული.
და იმ საშიშარ, სამარისებრ, უზომო სიღრმეს
ვსჭვრეტდი არეულთ ურთიერთთან ნგრეულთა ქვეყნებს.
რისხვა წყევლისა, შეჩვენების და განგდებისა
იყო თან-მგზავრად გაწირულის იმ ქვეყნებისა.
სისხლით აღვსილსა ფიალასა იქ მზენი ჰგვანდნენ
და ჯოჯოხეთის უფსკრულადა ვარსკვლავნი სჩანდნენ.
მზე, მთვარე, ზეცა, დედამიწა საშიშ გრიალით
უგზო-უკვლოდა წანწალებდნენ ტრიალით მალით.
აქ მთვარე მზესა - იმ სისხლის ტბას - მიაწყდებოდა
და ზარით, გრგვინით და ქუხილით უკუხტებოდა...
და მზიდამ თითქო სისხლი სიღრმეს ღვარად სდიოდა
და მუნით ალი ჯიგრისფრად ამოდიოდა.
და ის ქვეყნები იმ ალისფრით იყვნენ ისეთი,
თითქო უზომო სივრცეს მოცურს თვით ჯოჯოხეთი.
და ღვთის რისხვისა ხმისა მძაფრი და ყრუ გრიალი,
ქვეყნებთა მრავალთ უგზო-უკვლოდ წყევლით ტრიალი,
გრიგალთა, ცეცხლთა, წყალთა, ხმელთა ერთად მოდენა,
"წყეულიმც იყავ, წყეულიმცა!" - ამის მოსმენა,

მეგონა, დემონთ, აღმშფოთველთა, ლხინად ეყოფათ,
მაგრამ ზოგად შიშით კაცებრ მხთალად ყველა ემონათ,
კაცებრ დემონნიც, ჩვეულებრივ, სულით ძლიერნი,
იმ შეჩვენებულ ქვეყნებშია თრთოდნენ, ვით ხენი...
კაცებო დემონნიც ურთიერთსა კბილით ხორცს ჰგლეჯდნენ
და სამარცხვინო სიმხთალით კბილით აკრაჭუნებდნენ.
ყველა ელოდდა, განუშლიდა ხელებს სიკვდილსა,
იწვევდა, როგორც უკანასკნელს ნუგეშს შთომილსა,
მაგრამ სიკვდილიც იქ თვის მეხთა არ აღვიძებდა
და იმა ქვეყნებს ღვთის რისხვასა მიაწებებდა!..

15 ივლისს, 1858-სა წელსა,
სოფ. ტიარლევო.

ლოცვა

მამაო ჩვენო, რომელიცა ხარ ცათა შინა,
მუხლმოდრეკილი, ღმობიერი ვდგევარ შენ წინა;
არცა სიმდიდრის, არც დიდების თხოვნა არ მინდა,
არ მინდა ამით შეურაცხვჳყო მე ლოცვა წმინდა...
არამედ მწყურს მე გამინათლდეს ცით ჩემი სული,
შენგან ნამცნების სიყვარულით აღმენტოს გული,
რომ მტერთათვისაც, რომელთ თუნდა გულს ლახვარი მკრან,
გთხოვდე: "შეუნდე, - არ იციან, ღმერთო, რას იქმან!"

1858-სა წელსა, 17 ივლისს,
სოფ. ტიარლევო.

უცხოეთში

მთვარე მიცურავს დინჯადა ცაზედ
და თვის მკრთალ სხივთა ჰყრის ქვეყანაზედ;
მძინარ სოფელსა კამარა ცისა
თვის სიმშვიდითა არ უფრთხოვს ძილსა.
ყოველი ჰჩუმობს გარშამო ჩემსა,
სძინავთ ნიავთა, სძინავთ ფოთლებსა,
ყველა ტკბილ ძილში ბედითა სტკბება,
ყველას მშვიდობა გარს ეფინება, -
და მხოლოდ ჩემი, ურვით მოკლული,
შემომტირის მე მწყუხარედ გული...
მისთვის ხომ არა, რომ ვსჭერეტ სხვა ზეცას,
სხვათა უფერულთ ვარსკვლავთა დენას?
თუ მოაგონდა, რომ ერთხელ მეცა
ეგრედ დამცქერდა სამშობლოს ზეცა,

ზეცა სულ სხვაფრად გაბრწყინებული
და სულ სხვარიგად დამშვიდებული.

23-სა ივლისს, 1858-სა წელსა,
სოფ. ტიარლევო.

ლოთის რჩევა

მმანო! სიცოცხლეს ნუ მოჰკლავთ ცდაში,
სულ ამაოა ამ ქვეყანაში:
ქვეყნის დიდებას, ქვეყნის სიმდიდრეს,
რისთვისაც კაცი თავ-კისერს იმტვრევს,
არ გავცვლი ტრფიალ ქალის კოცნაში
და კახურ ღვინით ერთ სავსე ყანწში.
ორს პატივს სცემდეთ ამქვეყნიურსა:
მხიარულს ბახუსს და ცელქს ამურსა...
მენდეთ, ამათგან დაწულ გვირგვინით
სიცოცხლეს ჩიტებრ განვლით ღიმილით.
ნუ დაუჯერებთ უგემურსა ჭკვას,
გრძნობის განსჯაში ყოველთვისა ბრმას,
გულის კითხვაზედ უარისთვის მზას;
რა უნდა ჰსჯობდეს, მითხარით, ამას,
რომ ერთის ხელით ეხვიო მიჯნურს,
მეორით - ყანწით ჰყლაპავდე კახურს?
ან ღვინის ორთქლით გახურებულსა,
რა დაგკოცნის შენ სხივი ავრორის,
ცელქ სიყვარულით გაღვიძებულსა,
შენ საყვარლისა ხვევნათა შორის
შენს თავს იხილავ... მაშინ ჰკითხე ჭკვას -
რა უნდა ჰსჯობდეს მაგ გაღვიძებას!

1858-სა წელსა, 1-სა აგვისტოს,
სოფ. ტიარლევო.

როდემდის

როდემდის უნდა ჩვენ არ ვსცნობდეთ სიცოცხლის ფასსა?
როდემდის არ ვსცემთ ღვთიურს ნიჭსა ღირსსა თაყვანსა?
მის ყოველ წუთსა სიფრთხილითა რატომ არ ვხარჯავთ
და მის აქ ყოფნას ამოებად რისთვისა ვსახავთ?
ძრწოდე, სულელო! ნუთუ ქრისტის არ სცნობ სიტყვათა,
ნუთუ შენს თავსა, მტვრითა შექმნილს, ჰხედავ კვლავ მტვრათა
და შენს სიცოცხლეს, ამ უკვდავ ნიჭს - მტვრის თანამგზავრად?
რომ მარტო მისთვის იგი არ გაქვს, ქრისტემ სთქვა ცხადად...

ნუთუ არ იცი, რას გამცნებდა ღმერთი ჯვარცმული,
როს ბძანა: "ვითა მამა ზეცის, იყავ, შენც სრული".

1-სა აგვისტოს, 1858-სა წელსა,
ს. ტიარლევო.

ლოცვა

ოდეს დემონი ურწმუნოების,
უკუთქმისა და მაცდუროების
საწამლავით თვის სავსეს თასს მაცდურს
წინ დაუდგამდეს ჩემს სულსა უძლურს, -

ნუ მანდობ, ღმერთო, ბედისა ტრიალს,
ნუ დამაწაფებ დემონის ფიალს,
და უკეთუ არს შესაძლებელი,
მე განმარიდენ იგი სასმელი!

მარამ თუ, ღმერთო, შენ ღვთაებას სურს,
რათა გამოცდა მით ჰქონდეს ჩემს სულს,
განჰქრენ შენ ხმასთან სურვილნი ჩემნი
და იყავ ნება, უფალო, შენი!

28 აგვისტოს, 1858-სა წელსა,
ს. ტიარლევო.

* * *

ვიხილე სატრფო: იგი ცრემლს ჰღვრიდა,
ბედს და სიყვარულს მოთქმით დასტირდა,
მის ცრემლი დამჰკნარს ვარდს დასდიოდა
და მეც შორს მისგან ცრემლი მცვიოდა!

მოვიდა სხვა დღე, - განქრა მის დარდი,
მას ხელთა ეპყრა სხვა ტურფა ვარდი,
იმ ვარდს ტრფობითა ის დაჰლიმოდა -
და მე კი მაინც ცრემლი მცვიოდა!

1858-სა წელსა, 26 ოქტომბერს,
ს. პეტერბურდი.

* * *

ერთხელ ჰჯდა ჩემთან ქალი ლამაზი,
ამას მეტყოდა ნარნარი, ნაზი:

- "ჭაბუკო, რისთვის-ხარ მოდრუბლული,
როს დღე აგრეა გაბრწყინებული?
შეხედე მზესა, ვით აბნევს ნათელს,
ადნობს თოვლ-ყინვას და ათბობს სოფელს".
- "რა შევხედო მზეს? ვიცი, გადმოყრილს,
კაცთ მაცოცხლებელს არც ერთსა მის სხივს
არ ძალუმს ჩემის გულის გათბობა,
არც ჩემის დარდის ცრემლად დადნობა".

1858-სა წელსა, 26-სა ოქტომბერსა,
ს. პეტერბურდი.

* * *

მარტო მივცურავ ცხოვრების ზღვაში,
თითქო უსურვლოდ და უფიქრელად,
და ზღვის დელვაში, გრიგალთ ქროლაში
არარა აქვს რა ჩემს გულს იმედად.

ზვირთი ზვირთზედა ჩემკენა სრბიან,
ჯერ ჩემს მცირეს ნავს ზედ ასქდებიან
და, ვუჭვრეტ რა მე ჩემ ნავის რხევას,
ვუცდი ანუ მის, ანუ ზღვის ძლევას.

რარიგ მაქანებს ზღვა გამოუცდელს
და მათამაშებს თვის მსხვერპლს წარუვლელს;
ვიცი, როს კი სურს, გადამკრავს მძლავრს ხელს
და ჩამღუპავს მე თვის ცივსა სიღრმეს;

და ურგებს ჩემს კვალს იგი სიჩქარით
სქლადა დაჰფარავს ზვირთთა კამარით...
თუ ეგრე წარვხდე, ნუ ატირდები,
მე იმ ცრემლებად არ ველირები!..

1858-სა წელსა, 5 ნოემბერს,
ს. პეტერბურდი.

* * *

დაე, თუნდ მოვკვდე, არ მეშინიან,
მარამ კი ისე რომ ჩემი კვალი
ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან,
თქვან: აღასრულა მან თვისი ვალი;

რომ ჩემს საფლავზედ დაყუდებულმან
ქართველმა, ჩემგან შეყვარებულმან,

გულწრფელობითა და სიმართლითა
მე ჩამომძახოს თუნდ ჩუმის ხმითა:

- იყავ მშვიდობით შენს მყუდრო ძილში,
შენ გიცოცხლია, როგრც უნდოდა!
თქვას: შენი ქნარი შორს ჩვენგან - ჩრდილში -
ამაოდ ჩვენთვის არ ხმაურობდა.

1858-სა წელსა, 17-ს ნოემბერს,
ს. პეტერბურდი.

ქართველის დედას

"აწმყო, შობილი წარსულისაგან,
არის მშობელი მომავალისა"
ლ ე ი ბ ნ ი ც ი .

ქართველის დედაო! ძუძუ ქართველისა
უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა;
დედის ნანასთან ქვითინი მთისა
მას უმზადებდა მომავალ გმირსა...
გაჰქრა ის დროცა!.. დიდმა ნაღველმა,
კირთების ქვეშე დაჩაგრულ ბედმა
სრულად მოგიკლა სიცოცხლის ძალა,
თვით შენი შვილიც ჩრდილად შესცვალა,
მითხარ, სადღაა მამაჰაპური
მხნეობა, ხმალი, მკლავი ქველური,
სახელისათვის ამაყი თრთოლა,
მამულის მტერთან მედგარი ბრძოლა?
მას ნუღარ ვსტირით, რაც დამარხულა,
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა;
მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლას,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...
აქ არის, დედავ, შენი მაღალი
დანიშნულება და საღმრთო ვალი!
აღზარდე შვილი, მიეც ძალა სულს,
საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას,
შთააგონებდე კაცთა სიყვარულს,
ძმობას, ერთობას, თავისუფლებას, -
რომ სიკეთისთვის გული უთრთოდეს
და მომავლისთვის ბედთანა ბრძოდეს...
მენდე, მიიღებს ნერგს, შენგან დარგულს,
და მოგვეცემს ნაყოფს, ვით კაცი კაცურს.

დედავ! ისმინე ქართველის ვედრება:
ისე აღზარდე შენ შვილის სული,
რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება,
უკან ჰრჩეს კვალი განათლებული.

1858-სა წელსა, 15-სა დეკემბერს,
ს. პეტერბურდი.

* * *

ბევრი ვიტანჯე, ვიცი, რომ მელის
ბევრიც სხვა ტანჯვა მომავალშია,
მაგრამ ეს არ არს მიზეზი ცრემლის,
რომელიც მარად თრთის ჩემ თვალშია.

ყველას გავუძღებ: სასტიკ ტანჯვასაც,
ჩემ საყვარელთა იმედთ დანთქმასაც,
თვით სიყვარულის ფიცისა ღალატს
და თვით ჩემ ბედსაც, ამ უგრძნო ჯალათს.

ყველას გავუძღებ, როგორც კლდე ქვისა,
ბედთანა ბრძოლა ვით მეშინება?!
ხოლო ჩემ თავის არაფრობისა
არ ძალმიძს, ძმანო, ვერრით გაძღება!

1858-სა წელსა, 26-სა დეკემბერს,
ს. პეტერბურდი.

რისთვის მიყვარხარ?

რისთვის მიყვარხარ? მისთვის, რომ ცრემლსა
ჰზადავს ჩემს თვალში ეს სიყვარული;
მისთვის, რომ მტანჯველს ჩემ ავსა ბედსა
უფრო სასტიკად ებრძვის ეს გული.

რისთვის მიყვარხარ? მისთვის, რომ შენს თვალს
ჩემ გულის ალი არ უდნობს ცრემლსა;
მისთვის მიყვარხარ, რომ მაძღვე ტანჯვას
და იმ ტანჯვაში სრულ სიცოცხლესა.

1858-სა წელსა, 31-სა დეკემბერს,
ს. პეტერბურდი.

* * *

მაშინ დავსტკბები სრულის სამოთხით,
როს, ვით მე გეტრფი, შენცა მეტრფოდე,
და ქალწულების კრთომით, მორცხვობით
მე შენს სიყვარულს მეუბნებოდე;

მე დაგყურებდე ტრფიალებითა,
შენ ჩემს გულზედა თავი გესვენოს;
მწყუროდეს, მაგრამ კრძალულებითა
მე შენთვის კოცნაც ვერ გამებედნოს.

ვიშ, მაგ შენს ნარნარს გულისცემასა,
ვით ლოცვის ბგერას, ლმობით ვისმენდე,
და ცოდვილთ ფიქრთა ზედ-მოსევასა
შენის სიწმინდით ვიგერიებდე...

[1858 წელი, 15 დეკემბრის შემდეგ
პეტერბურგი.]

ჩემი თარიარალი

(მიბაძვა ალ. ჭავჭავაძისადმი)

ჰე, ძმანო! ნეტავი ჩვენა,
ჰარიარალი!
დღეს მოგვეცა შვება-ლხენა,
თარიარალი!
მამულისა სიყვარულმა
ძმობა გულში ჩაგვიყენა.

რაგინდ რომ ცარი ღრინავდეს,
ჩვენის სისხლისთვის გრგვინავდეს,
ვერ შეგვაშინებს ჩვენ ცარი,
თუ გულში ძმობა ბრწყინავდეს.

მინდა ვსთქვა, კალამი მამე,
ცენზორო, დასტური დამე,
მონება კაცთ არ შეშვენისთ,
ქრისტეა ამის მოწამე!

ცარმა რა ერთხელ ინება
მორჭმულ კაცის დამონება,
თვის სხეული კერპად დასვა,
სული ეშმაკთ მიანება.

ჰე, ძმანო! ჩვენ მათ განვმორდეთ,

ჩვენ ჩვენს მამულს ვეპატრონეთ,
ქართველს ვაჩვენოთ ქართველობა,
მერე თუნდა დავიხოცნეთ.

თუ ერთობა ჩვენ გვექნება,
მტერი წინ ვით დაგვიდგება;
ჩვენგანი ქართველის დამთრგუნველს
ან მოჰკლავს, ან შეაკვდება.

თუ ჩვენში ძმობა იქმნება,
საქმე არსად წაგვიხდება,
აგერ თვით დიდი ეზოპი
თავის ზღაპრით მემოწმება.

ჰე, ძმანო, ვიყვნეთ ერთ ბედით,
წინა წავიდეთ გაბედვით,
ჩვენ ცარი ვერას დაგვაკლებს
თვისის ბრმა წინასწარხედვით.

დავეხსნათ ჩინის ძებნასა,
ემაგ ფუჰსა დიდებასა!
ჩინოვნიკი სულ ძილს ჰფიქრობს
და ჩვენ კი - გამარჯვებასა.

ვემსხვერპლოთ ქრისტისა მცნებას,
ვაშოროთ ქართველი მონებას,
ქართველის უბრალო მადლობა
გვერჩივნოს ყოველ დიდებას!

ჰე, ძმანო! თქვენც მეთანხმებით
ამგვარის ჰაზრის ხსენებით:
სიბრიყვის კარი გავტეხთ
მონარხთა გამოჯავრებით.

ამა სოფლისა ცხოვრება
განყოფით არ იპოვება.
ვინცა ძმობით არ ყოფილან,
მათ მოჰხვედრიათ მონება.

მაშ, მოდით, ისევ ძმობითა
დრო გავატაროთ შრომითა,
მამულს სიცოცხლე შევსწიროთ
შვილურის ერთგულობითა.

თუ დავესწრათ გაზაფხულსა,
ჩვენგან ნათესს აღმოსულსა,

მეტი ჯილდო რაღად გვინდა,
თუ ვსჭვრეტთ მამულს გაფურჩენილსა?!

ჰე, ძმანო! ეგ ჩვენ რომ ვნახოთ,
თუნდ სამოთხე მით დავკარგოთ,
მხიარულების სიმღერა
თვით ჯოჯოხეთს შემოვსძახოთ.

ქართველის ქვეყნისა ვართ შვილნი,
ქართველის ძუძუთი გაზრდილნი.
მაშ, მოდით, ქართველნო, ძმობით,
ჰარიარალი,
ვიშრომით ჩვენთვის ერთობით,
თარიარალი!

1858-სა წელსა, ს. პეტერბურგი.

* * *

მითხარით, რისთვის ჩემ თავთანა მსურს
უფრო და უფრო დავრჩე ხშირ-ხშირად?
რისთვის ვღალატობ კრებას მხიარულს,
მის შორის ვღალატობ ძვირად და ძვირად?

მითხარით, რისთვის მე ვეძებ გულით
განმარტოებულს უხმო მალნარსა?
და გრძნობით ტკბილად მინაზებულთ
ვეტრფი და ვეტრფი სულ ერთს ვარსკვლავსა?

რისთვის მივრბივარ, სადაც მცინარი
მხიარულად ჰსჩქევს წყარო მდინარი?
სადაც ველია ნაზი და მტკბარი,
სად სიყვარული ისე ცხად არი?

მისთვის, რომ იქ ჰფრენს ხშირად ბულბული,
სიყვარულითა აღტაცებული,
იქ შეყვარებულს ჩემ წამხდარსა გულს
ვასწავლი მისგან წმინდა სიყვარულს.

1858-სა წელსა, ს. პეტერბურდი.

ხმა გულისა

ჩემ მალნარშია წამოწოლილი
ვიყავ, ზედ მედგა ხის უხვი ჩრდილი,

და საიდღამაც ნაზი ბულბული
სტვენდა სიყვარულს გაგიჟებული.

დიდხანს და დიდხანს ვუგდებდი მე ყურს
იმ ხმას საკვირველს, იმ ხმასა გრძნეულს;
ვგრძნობდი ჩემ სულის მშვიდ აღმაფრენას
და გულის ჩემის სულ სხვარიგ ცემას.

დიდხანს ვატარე, დავღალე თვალი,
ვერსად ვერ ვპოვე ის მომღერალი;
თურმე ჩემს გულში ნაზი ბულბული
სტვენდა სიყვარულს გაგიჟებული.

1859-სა წელსა, 11-სა იანვარს,
ს. პეტერბურდი.

* * *

(მიზაძვა ჰეინესი)

მეცა მქონია კარგი მამული!..
თურმე სუფევდა იქ სიყვარული,
თურმე იქ ჰფრენდა ბედი მდიმარი, -
ეხლა კია ეს მარტო სიზმარი!

თურმე იქაცა ბრწყინავდნენ დღენი,
იქაც სცხოვრობდნენ ერთგულნი ძენი,
ღია ჰქონიათ მაშინ ცის კარი, -
ეხლა კია ეს მარტო სიზმარი!

1859-სა წელსა, 19-სა იანვარს,
ს. პეტერბურდი

გავსწორდეთ, ბედო!

ეჰ, ჩემო ბედო! ჩემ სიცოცხლეში
სულ შენს ნებაზედ მითამაშნია;
მოგიკლავს ბევრი კარგი ნუგეში,
ტკბილ ოცნებებზედ გინავარდნია.
სისხლისა ცრემლით დამწვი თვალები,
გულზედ მატყვია შენი ბრჭყალები.
გეყო!.. მოვიდა დრო ანგარიშის,
მოდი, გავსწორდეთ, ნუ მემალეები!
წარვიდნენ დღენი შენის უფლების,
დროა დავსცვალოთ ჩვენ ადგილები...

შენს დუდუკზედა აქამდის ვხტოდი,
ბევრჯერ და ბევრჯერ შენ მაძრუწუნე,
ეხლა დუდუკი მე მაქვს, აქ მოდი,
მე დავუკრავ და შენ კი იხტუნე!

1859-სა წელსა, 19 იანვარს,
ს. პეტერბურდი

* * *

ვაი!.. მას, ვისაც ვაძლევდი მსხვერპლად
ჩემს თავს, სიცოცხლეს, გრძნობას, სურვილსა,
ის აღარ ჰყვავის ამა ბნელ ქვეყნად,
ეხლა ის არის მცხოვრები ცისა.

გამიქრა ბედის ჩემის ვარსკვლავი,
კვლავ დამიოხლდა ობოლი თავი,
წამერთო ყველა და ნუგეშად დღეს
მარტოლა ცრემლნი მე დამშთენიეს.

1859-სა წელსა, 19 იანვარს,
ს. პეტერბურდი.

სიხარული

(მიზამვა)

სიხარული ჰგას გზის პირას გაზდილს,
გავლით მოწყვეტილს სუნნელსა ყვავილს,
რომელიც ხელში დიდხანს არ გრჩება,
მცირეს ხანს გატკობს და მერე ჰჰკნება.

1859-სა წელსა, 3-სა მარტსა,
ს. პეტერბურდი.

ციურნი ხმები

ციურნი ხმები,
ეგ საკვირვლები,
როს მომესმიან,
მსწრაფლ მომითხრობენ,
საიღამ სრბიან
და სად სცხოვრობენ,

და ნელს სიხარულს
მიგალობებენ.
ციურნო ხმებო,
ოჰ, საკვირვლებო!

მეც ქვეყნის ხმითა,
ხმით ცოდვილითა,
მათ ვაძლევ ბანსა,
და მშვიდობასა,
აღტაცებასა
ჰგრძნობს ჩემი გული,
და შევჰვრეტ ცასა
განცვიფრებული.
ციურნო ხმებო,
ოჰ, საკვირვლებო!

1859-სა წელსა, 27-სა მარტსა,
ს. პეტერბურდი.

ალაზანს

“სიჭაბუკისა ყვავილი
დამიჰკნო ჟამთა დენამა,
ნდომა მომაკლო, დამიგდო
სასაპყროდ გული რბენამა”.
საბა ორბელიანი

მდინარევ, ჩემის მშობლიურ მთის ცრემლით შემდგარო!
ან შენს კიდეზედ ვდგევარ, დაგცქერ მე, მეგობარო!
დაგცქერ ჰმუნვითა და შენს წყალში ვეძებ ჩემს წარსულს,
დროთა ბრუნვისგან შენ ზვირთ შორის დამარხულს,
დანთქმულს.

რაც კი არს ჩემ წინ, მომაგონებს მას, რაც დავკარგე
და რის წუხილიც უნუგეშოდ გულში ღრმად ჩავრგე!..
აგერ ის მუხა, რომლის ჩრდილქვეშ ვისხედით ერთად
მე და ის, ვინცა აღმიჩნდა მე ცხოვრების ღმერთად.
მუნით დაგცქერდით: შენ გრგვინავდი აღელვებული,
ვით შენ ჰღელავდი, ისეც ჩვენში ჰღელავდა გული;
ორნივ გავსცქერდით დაუდგრომელ ზვირთთა დენასა,
მაგრამ მასში ჩვენ არ ვეძებდით შედარებასა.
რად გვინდოდა ჩვენ მომავალი, როს აწმყო ტკბილი
ისე შევენოდა, ვით უმანკო დილის ღიმილი?
მაგრამ წარივლტო წუთის შვება ჩვენის გულისა,

გაჰქრა სიბრმავე აღტაცებულ სიყვარულისა!..
წამერთო ყველა და წარვიდა ბედიც მლიმარი,
წარვიდა, ვითა მაშინდელი ზვირთი მდინარი...
შენც გამოცვლილხარ, ალაზანო, მუხაც გამხმარა,
მეც უდრო-უდროდ გამერია თმებში ჭადარა...
სად არს ის ღმერთა, იგი გრძნობა, ის სიყვარული?
ყველა წარსულა, რად არ მიდის ხსოვნა ბედკრული?

[1859 წელი, 13 აპრილამდე.]

ნანა

ნანა, შვილო, ნანინა!
ნეტა რამ შეგაშინა?
რაზედ შეჰკრთი, მტირალნი
რისთვის მომაჰყარ თვალნი?
ჯერედ ხომ შენი ბედი,
გრძნობა წინამორბედი
არ უხატავს მაგ შენს თვალს
ქართველთადმი ღვთიურს ვალს!
მაშ, რალამ შეგაშინა?
ნანა, შვილო, ნანინა!

ჯერ, მინამ ხარ ყმაწვილი,
მინამ დრო მოგესწრება,
ისწრაფე, შვილო, ძილი,
ისწრაფე განსვენება!
მოვა დრო, გაიზრდები,
მკლავი გაგიმაგრდება,
შვილო, ყრმობის სიზმრები
ბრძოლაზედ გაგეცვლება.
არ შემიდრკე მაშინა,
ნანა, შვილო, ნანინა!

გაიგებ მამულისას,
ბედქვეშ დაჩაგრულისას,
კვნესის ხმასა მწუხარეს,
შველის ძახილს მმუდარეს;
დალოცვილსა ჩემგანა
გული აგიღელდება,
შვილო, დედისა ნანა
ხმლის ჟღერად შეგეცვლება.

არ შემიდრკე მაშინა,
ნანა, შვილო, ნანინა!

ჰნახავ ჩვენ ბედშობას,
ჩვენს ერთობას დაკარგულს,
ჩვენსა წამხდარს გმირობას
და მამულს დაობლებულს...
აინთე ცეცხლით გული,
მტერსა დაეცი მეხად
ან, ვით შვილი ერთგული,
დააკვდი მამულს მსხვერპლად!

არ შემიდრკე მაშინა,
ნანა, შვილო, ნანინა!

დედათა გული ჩჩვილი
მამულისთვის მაგრდება,
რად მინდა იგი შვილი,
თუ მისთვის არ მოჰკვდება!
ვისაც ძე არ შეუკლავს,
როს მამულს სჭირებია,
შვილო, იმ ვაგლახ დედას
შვილი არ ჰყვარებია!

მე ისე არ წავხდები,
ნანა, შვილო, ნანები!

ჩემის მამულისათვის
მე ჩემს ძუძუს გაწოვებ,
მისის სიკეთისათვის
გაგწირავ და გაბრძოლებ...
მას დედის ძუძუ ტკბილი
შხამადაც შერგებია,
მამულისთვის სიკვდილი
ვისაც დაზარებია!

შენ ისე არ წახდები,
ნანა, შვილო, ნანები!

იცოდე, ეგ სიკვდილი
მეტი დიდი რამ არი!
უკვდავი არის შვილი,
მამულისთვის მომკვდარი!
მამულს მიგცა ზეცამა
და თუ ზედ დააკვდები,
ნუგეშ იცეს დედამა,
რომ კაცი კაცად ჰკვდები.
ნუგეშს ვიცემ მაშინა,

ნანა, შვილო, ნანინა!

სიკვდილის წამში მამულს,
შვილო, შენ გაუდიმებ,
რომ სისხლს, მისგან მოცემულს,
მასვე გმირებ უბრუნებ.
აღსრულდები ღიმილით,
რომ მამულს არ უმტყუნე
და შენ შენის სიკვდილით
მის სიკვდილი დასთრგუნე.

გაიხარებ მაშინა,
ნანა, შვილო ნანინა!

თუ ეგრე შენ მოჰკვდები,
ნუ გინდა ნურა ძეგლი,
ისეც უკვდავ იქმნები,
ვით დედის შენის ცრემლი!
ჩემი ნანა ეს არი,
შვილო, მას უერთგულე:
რაც მე სიტყვით გითხარი,
შენ საქმით აღმისრულე!

ნანა, მამულის მსხვერპლო,
პაწაწინა ქართველო!

[1859-სა წელსა, 6-სა აპრილს,
ს.პეტერბურგი; 13 აპრილს,
1859-სა წელსა, ს.პეტერბურდი.]

ელეგია

მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა
მშობელს ქვეყანას ზედ მოჰფენოდა
და თეთრი ზოლი შორის მთებისა
ლაჟვარდ სივრცეში დაინთქმებოდა.

არსაიდამ ხმა, არსით ძახილი!..
მშობელი შობილს არრას მეტყოდა,
ზოგჯერ კი ტანჯვით ამოძახილი
ქართველის ძილშია კვნესა ისმოდა!

ვიდექ მარტოკა... და მთების ჩრდილი
კვლავ ჩემ ქვეყნის ძილს ეალერსება.

ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,
როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!

1859-სა წელსა, 4-ს ივნისს,
ს. პეტერბურდი.

მტკვრის პირას

ლ . მ ა ლ ა ლ ა შ ვ ი ლ ს

კვლავ ჩემ წინ მტკვარი მორბის ქუხილით,
ამ ქუხილში ვცნობ მშობლიურს გრგვინვას,
კვლავ ჩემი გული იმავე წუხილით
შეჰკვვნეს მღვრიე ზვირთთ მღერითა დენას.

კვლავ განიღვიძეს ჩვეულთა ფიქრთა
და აღმეშალა დიდის ხნის წყლული...
შეკვვნეს, შევსტირი მე ამა ზვირთთა,
თითქო მათ შთანთქეს ჩვენი წარსული.

წაგშლიან კვალნი, დროო ნეტარო!
მტვრად აღუგვიხარ საუკუნესა...
მისმინე აჯა, მისმინე, მტკვარო,
იმ დროთ გარდაეც ეს ჩემი კვნესა!

ტფილისი, ოქტომბრის 3-სა,
[1859 წ.]

* * *

ოჰ, სად არიან, სიჭაბუკე, სიტკბონი შენნი?
სად არს აღმტაცის სიყვარულის ტანჯვა, სამოთხე?
განძრცვნილვარ გრძნობით, უდროოდა მეკვეთენ ფრთენი,
გაზაფხულია, მე კი ვდგევარ, ვით უფოთლოდ ხე.

აღმესპნენ იგი საოცარნი ყრმობის სიზმარნი,
გულმა დაჰკარგა იმ სიზმრების სარწმუნოება..
თვალწინ მიყრია უკეთესნი ყვავილნი მჰკნარნი,
მომიკვდა ეჭვქვეშ მაცხოვარი თვით სასოება.

ჰკუამ მოჰკვეთა ფრთა ჩემ ჰაბუკ დღის ლაღსა გრძნობასა,
ცივად დაარქვა “ფუჭი ალი” ღვთიურ ტრფობასა,
მან დამინგრია წმინდა გრძნობის წმინდა ტაძარი...

ვაი მას, ვინცა ჭაბუკობას ჭაბუკ არ არი!...

30 ნოემბერს, 1859-სა წელს.

დაკარგული ედემი

ვის უნახავს ის ედემი შლილი,
სადაც ისე ტკბილ არ არის ძილი,
როგორც ტკბილია გამოღვიძება;
სადაც ბუნების თავისუფლება
მონებას, როგორც უხმო ყვედრება,
ცოცხალ ფშვენითა უყენებს თვალსა;
სად დაუკარგავს მშვენიერ ხალხსა
იმ თვით ედემში თვისი ედემი?
ვის უნახავს ის, სამშობლო ჩემი?..

26-ს დეკემბერს, 1859 წელსა.

ძმის სიკვდილზედ

ვაიმე, ძმაო, ბნელ სიკვდილმა მოგსპო, ვაიმე!..
მე დავრჩი მარტო, უბედური, შენად მახვრალი.
არ გამითენდა შენ შემდეგა ვაების ღამე,
მთელი ქვეყანა შემექმნა მე ნგრეულ, ტიალი!...

შენთან დავმარხე, ჩემო თემურ, ყოველიფერი!..
ქვეყნად ნუგეშად დამშთა მხოლოდ მე ცრემლი მწარე,
სალოცავადა ძმაო, შენი ობოლი მტკვერი
და უცხო ქვენად მდგომი შენი წმინდა სამარე!..

[1860 წ., აპრილი-მაისი.]

მძინარე ქალი

მე შენ დაგყურებ
მშვიდ მძინარესა
და დავტრიალებ
შენს ბროლის მკერდსა;
მესმიხ მის რხევა
შუქშესხმულისა
და ნელი ღელვა
წრფელის გულისა.

აგწითლებიან
ნაზი ლოყები,
ღიმილით თრთიან
ტუჩთა ლაღები;
წრფელი გაქვს ძილი,
ვით ხილვა ცისა,
ზედ გადგა ჩრდილი
ანგელოზთ ფრთისა.
შენ თვითან წრფელსა
წრფელიც გაქვს ფშვენა,
ნეტა მის ბედსა,
ვისიც ხარ შენა!..

19 ივნისი, 1860.

მწუხარება

ქვეყანაზედ და ზეცაზედა იყო დუმილი,
მოლხენით იყვნენ უდარდელნი მთიებნი ცისა...
და მე კი მკლავდა მწუხარების წყლულთა ტკივილი,
შიგ გულში მედვა სასიკვდილო გესლი სევდისა.

სული მიგუბდა, გული მტეხდა ტკივილით, ტანჯვით,
თითქოს ჩემ გვამსა ზედ გადესხა ნავთი მდულარე,
ძარღვნი სკდებოდნენ საშინელის წვითა და დაგვით,
ტვინი მეწოდა, გესლი მწვეთდა თვალთაგან მწარე.

ესე უწყალოდ გაწირული და დაშთომილი
ვეგდე მარტოკა უცხო ცის ქვეშ დიდ კლდისა პირსა,
ქვეყანაზედ და ზეცაზედ კი იყო დუმილი,
მოლხენით იყვნენ უდარდელნი მთიებნი ცისა!

1860, 11 ივლისსა [პავლოვსკი].

მუშა

«В труде проходит жизнь его
И не приносит ничего».

I

გოლვიან დღესა ტფილისშია შუა ბაზრისკენ

მე ჩამივლია... ჩემო მუშავ, მინახვიხარ შენ
კედელთან მწოლი; მხურვალე მზე ზედ დაგყურებდა,
ჩუმი ღიღინი შენი ხშირად გულს მიწყლულელებდა.
ნაღვლიან ხმაში სულ ისმოდა შენი ცხოვრება,
დღიურ ლუკმისთვის ტანჯვა, შრომა და მწუხარება.
ვინა ხარ შენა, ჩემო ძმაო? სიდამ მოსულხარ?
ბატონის მათრახს ვერ გაუძელ, გამოქცეულხარ,
მოშორებულხარ ჯალაბობას, შენსა სახლ-კარსა,
მინდორს მამეულს და შეჩვეულს მიწასა, წყალსა?
თუ უნებლიედ გადმოგტყორცნა მუხთალმა ბედმა,
ან მოგიტაცა სხვა კაცზედა მაცდურ იმედმა?
აქ სად მოსულხარ?.. რაც დაჰკარგე და რაც დასტოვე,
მის მაგიერი ტფილისშია აბა რა ჰპოვე?..

II

აი, ტვირთქვეშე მოკაკულხარ, საბრალოვ, შენა!
ოფლი წურწურით პატოსან შუბლით გედვრება,
შეგუბებულის სულის ისმის დაღლილი ქშენა,
მიხვალ, საწყალო, ტომარის ქვეშ მუხლთ გეკეცება!..
ვინ შეგიბრალებს?.. აგერ მოჰქრის დიდკაცის დროშკა,
შენს პირდაპირა იგი მორბის დაუდევნელად,
აგერ წამოგწვდა, დაგეჯახა, - და, როგორც კოკა,
შენ, კერძო ღვთისა, არ დაგინდო დასამსხვრეველად...
შენ გარდიქეცი ტომართურთ და გამვლელ ხალხმა
მაგ შენ ყოფაზედ იწყო უგრძნოდ მაღლა ხარხარი...
რასც მაშინ ვგრძნობდი, ყოველი სთქვა მწუხარმა თვალმა:
შენს დუმილშია იყო ღვთისა რისხვისა ზარი!
იმავე დუმილით მიხველ, წევა დაუწყე ტვირთსა,
ძარღვნი გალურჯდნენ შენს სახეზედ, თითქო სკდებიან,
სწევ, ვერ ეწევი, - გეკარგება შენ საზრდო დღისა...
ხალხი გიყურებს - და არავინ არა გშველიან!..

III

აჰა, მიხვედი, მიუტანე ტვირთი პატრონსა,
რუსულ ფარაჯის კალთით შუბლზე იწმენდავ ოფლსა,
განივრად იძვრის დიდი მკერდი სიგრილეშია, -
იცდი, საწყალო! - შენი ლუკმა იმის ხელშია!..
ხშირად ამ ლუკმის მთლად მოცემაც იმას შენთვის ჰპურს,
ხშირად ფასს გიკლებს შიშველს, მშიერს, მწყურვალს,
უბედურს!
"ნუ მიტეხ ლუკმას, - ეუბნები, - ღმერთსაც შეხედე!
მე ეგე ლუკმა პირუტყვისავით ზიდვით ვიყიდე".
შენ უღონო ხარ... და უღონოს კაცი იბრიყვებს,
მდიდარს მეტს მისცემს, შენ კი გროშზედ შეგევაჭრება,

ვისაც არ უჭირს, მას გაადლობს, და შენ კი გიკლებს,
შენ, რომელსაცა ერთის გროშით დღე გემატება.
ეგრედ დასჯილი უსამართლოდ ბევრჯერ წამოხვალ
და, თუ დაღამდა, თავთ დაიდებ ერთგულ კურტანსა
და სადმე ქვებზედ მიეგდები იმ ფიქრით, რომ ხვალ
ისევ ამრიგად განაგრძელებ უღმრთო შრომასა.

IV

შენს სიცოცხლესა დაადამებ ესრეთს შრომაში,
კაცი კაცურად ვერ იცხოვრებ ვერც ერთსა დღესა...
მერე, ვინ იცის, რომელ ქოხში, რომელ სარდაფში
დაუწყებ ბრძოლას სასიკვდილოდ მოსულსა სენსა.
მარტო ეგდები და ლეიბად გექმნება ნამჯა
და სახურავად, თუ კი მოგყვა, რუსის ფარაჯა!
მარტო იცოცხლებ და მარტოცა, ძმაო, მოჰკვდები!
ჯალაბი შენი ვერ დაგასხამს მდუღარე ცრემლსა,
ვერ დაგტირებენ საბრალონი შენი შვილები,
ამაოდ მათკენ სიკვდილის ჟამს გაიწვდი ხელსა.
მოჰკვდები და მსწრაფლ ჩაგჭედავენ საკაცემია,
უცრემლოდ, ძმაო, ჩაგიშვებენ სამარეშია!
ეგრედ უბრალოდ გაფუჭდები, - და ჩვენ ხსოვნასა
არაფერი არ მოაგონებს შენს "აქ" ყოფნასა.

ივლისი, 12-სა დღესა 1860,
პავლოვსკი.

თ. ალექსანდრე ჭავჭავაძე

Его стихов пленительная сладость
Пройдет веков завистливую даль.
პუშკინი.

მისი ლექსი შვებით, ლხენით
ხან მეჯლისში შეჰფრინდება,
გულს ჩაეკვრის, ჰლალობხ, ჰხარობხ,
გამღერებს და ამღერდება;

ხან ღონდება ნაზ ქალსავით
უიმედო სიყვარულით,
ხან იფეთქებს ჭაბუკსავით
და განდევნის სევდას გულით;

ხან ბუჩქებში მიმალული

ჰზის მარტო, ვით იადონი,
შეჰყევს ვარდსა გულსაკვდავად
ტრფობის ისრით განაწონი;

ხან ჰრზის ველად, მარტო ჰგალობს
უდაბნოში, ვითა მწირი,
შეჰკვნესს შავ ბედს ქვეყნისასა,
ქვეყნისათვის ანატირი;

ხან დაჰყურებს ნაღვლიანად,
დაფიქრებით გოგჩის ტბასა
და ემდურის მწვავის მოთქმით
დაუნდობელ დროთ ბრუნვასა.

16 ივლისს, 1860.,
პავლოვსკი.

თ. ნიკოლოზ ბარათაშვილიზედ

როს წარვიკითხე მისი ლექსები
ვერარა ვსთქვი რა განცვიფრებულმა!..
ვით ქარიშხალით ატეხილ ბუქმა
ცას განუბნივოს შავი ღრუბლები,
ისე იდარა ჩემ მწუხარ შუბლმა!
ხალხო ობოლო, შენ მებრალეები,
რომ დაგაობლა მის ციურ შუქმა
და განგაშორა თვისი სხივები!..

როს წარვიკითხე მისი ლექსები,
აღმოვიკვნესე დაობლებულმა!..

19 ივლისს, 1860.,
პავლოვსკი.

ს... ჩ... სას

სატრფოვ! ხშირად ლალი ფიქრი
გამიტაცებს სუბუქ ფრთითა,
ვითომც მე შენ მოგხვევივარ
სავსეს ეშხის სიამითა.

"დასტკბი, გიჟო! - მეუბნები, -
აჰა ჩემი წრფელი გული!
ბაგე ბაგეს ჩავაკონოთ
და ჩავართათ სულთან სული!"

თუმც ეს, ტურფავ, სიზმარია,
მითაც სტკბება გული კრული...
თუ არ სიზმრით, მაშ რით დასტკბეს
უიმედო სიყვარული!..

21 ივლისსა, 1860,
პავლოვსკი.

ჩ... სას

უცხო თემის ყარიბ მთქმელსა
რად აღმიგზენ სიყვარული?
ლამის, ტურფავ, შენს ტრფობაში
მე შთავწურო სრულად გული!

ერთხელ მითხრა: "ცხოველ ქვეყნის -
ივერიის შობილი ხარ;
მაღალ მთების ქარიშხალით,
ელვით, ჭექით გაზრდილი ხარ.

"მე ჩრდილეთის ველზედ ვყვავი,
ზამთრის სუსხით დაჩაგრული;
შენს მხურვალს გულს ვითა გასცემს
პასუხს ჩემი ცივი გული?!"

ტურფამ ეგრე განირიდა
ჩემი წმინდა სიყვარული!
სჩანს ოდითვე დანიშნულა
სამარტოდ ჩემი გული!

22 ივლისსა, 1860,
პავლოვსკი.

პოეტი

მისთვის არ ვმღვერ, რომ ვიმღერო,
ვით ფრინველმა გარეგანმა;
არამარტო ტკბილ ხმათათვის
გამომგზავნა ქვეყნად ცამა.

მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის,
მიწიერი ზეციერსა;

ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,
რომ წარვუძღვე წინა ერსა.

დიდის ღმერთის საკურთხევლის
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,
რომ ერისა მოძმედ ვიყო
ჭმუნვასა და სიხარულში;

ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,
მეწოდეს მის ტანჯვით სული,
მის ბედით და უბედობით
დამედაგოს მტკიცე გული...

მაშინ ციდამ ნაპერწკალი
თუ აღმიფეთქს გულში ცეცხლსა,
მაშინ ვიმღერ, მხოლოდ მაშინ
მოვსწმენდ ერსა ტანჯვის ცრემლსა!

23 ივლისსა, 1860,
პავლოვსკი.

* * *

მესმის, მისმის სანატრელი
ხალხთ ბორკილის ხმა მტვრევისა!
სიმართლის ხმა ქვეყნადა ჰქუხს
დასათრგუნვლად მონებისა.

აღმიტაცებს ხოლმე ის ხმა
და აღმიგზნებს იმედს გულში...
ღმერთო, ღმერთო, ეს ხმა ტკბილი
გამაგონე ჩემს მამულში..

29 ივლისსა, 1860,
პავლოვსკი.

ქართველ სტუდენტების სიმღერა

დედამ რომ შვილი გაზარდოს,
ემაგრე ჩვენისთანაო, -
ძმურად გამოსადეგნი ვართ
ყველგან და ყველასთანაო.

ლხინში მოლხინეს მოვულხენტ,
ჭირში მოჭირნეს ვუშველით;
ფიქრის, საქმის, შრომის დროსა
ბრძენსაც არ დავუვარდებით.

დიდს არ გავექელვინებით
და მხარს მივსცემთ პატარასა;
ძალას გულდაგულ დავხვდებით
და თაყვანს ვსცემთ სამართალსა.

წინ წასვლაში არ დავიხვეთ,
არ გავწირავთ უკან რჩომილს:
ჩვენც ვიცით, რომ შველა უნდა
უღონოსა და დავრდომილს.

უანგაროდ მივალთ წინა,
მარტო ის გვაქვს გულში ფიქრად,
რომ წინანი უკანასთვის
უნდა იქმნენ გზად და ხიდად.

მამულისა შვილნი ჩვენც ვართ
და მისთვის ვზრდით ჭაბუკს სულსა
რომ ოდესმე გამოვადგეთ
დაობლებულს ჩვენს მამულსა.

მაგრამ ეხლაც საქმით, სიმხნით
სხვას არც ჩვენ დავუვარდებით;
ეხლაც რომ მამულმა გვიხმოს,
ეხლაც კი გამოვადგებით.

ეგერე გამოსადეგნი ვართ
ყველგან და ყველასთანაო, -
თუ დედამ შვილი გაზარდოს,
ემაგრე ჩვენისთანაო!

1860 წ., 18 აგვისტოს,
პავლოვსკი.

თ. ნიკოლოზ ბარათაშვილზედ

ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის
ეს განწირული სულის კვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი,
მერანო ჩემო, მაინც დარჩება.
ნ . ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი .

აღარა გვეყვება!.. უღმრთო იყო შენი სიკვდილი!
ვინ უწყს, რავდენი საუნჯენი დავმარხეთ ჩვენა,
ეგ მტკიცე გული, სიყვარულის სხივქვეშ გაშლილი,
რაოდენ გრძნობით, ჯერ უთქმელით, ჩვენ ჩაგვესვენა?
ვინ იცის, თანა რაოდენი წარიღე ფიქრნი?
მათ მნიშვნელობა დაგვეკარგა ჩვენ საუკუნოდ...
რაოდენ იმედთ და ნუგეშთა კოკრად ყვავილნი
ჩასჭკნენ შენს გულში განუშლელად ეგრე უდროოდ?
არა დედ-მამა, - მაგ სიკვდილით დაობლდა ერი!..
ვისლა მივანდოთ ჩვენი გრძნობა, ტანჯვა და ლხენა?
მაგრამ, პოეტო საყვარელო, ხარ ბედნიერი,
რომ შენი ლექსი სიკვდილითაც არა გკლავს შენა!

პავლოვსკი, აგვისტო, 1860წ.

* * *

Да вряд ли есть родство души.

ლერმონტოვი

ჩემო მკვლელო! ვიცი, ვიცი,
არ ხარ ისე მშვენიერი,
რომე შენის ერთის ნახვით
განცაცვიფრდეს უქმი ერი.

მაგრამ შენში რაღაცაა,
ის ათრთოლებს ნატვრით გულსა...
ეხლა კი მწამს, რომ ჰქონია
თვისტომობა სულთან სულსა.

აგვისტო, 1860,
პავლოვსკი.

მეფანტურე

ერთხელ დამღერდა ბრმა მეფანტურე თვის მარტივ ფანტურს,
გულამოსკვნითა, სევდით „კვნესითა იგლოვდა წარსულს,
მაგრამ მხოლოდ მთა, ნაღვლით მზირალი, მას ყურს უგდებდა
და ჩამაფიქვრელ მწუხარე ხმითა ბანს გამოსცემდა:
მოდით, მოდით!... აჰ მოგროვდით,

გეტყვიტ გულის გასათბობსა,
თვალნი ჩემნი, აწ გამქრალნი,
ხილულ იყვნენ წარსულ დროსა.
იმ დროს, როცა ქართველის ბედი
ჩვენვე - ქართველთ - გვეპყრა ხელში,
ოდეს მამულისშვილობა
საკვებურად იყო ჩვენში,
შვილნო, თქვენნი წინაპარნი
ეგრე ცივად როდი იყვნენ,
შვილი მამას, მამა შვილსა
მამულს ხოლმე შესწირვიდნენ.
შვილის ყოლა გლახს თუ თავადს
მარტო მისთვის გვიხაროდა,
რომ მამულსა მეომარი
მით ერთი ემატებოდა.
დედა თვის შვილს ტკბილსა ძუძუს
იმ იმედით აწოვებდა,
რომ სიცოცხლით ან სიკვდილით
ის მამულს ასახელებდა.
უწინ ქართველს უხაროდა
მამულისთვის მტერთან ომი,
ან მოჰკლავდა, ან თუ არა -
მოკვდებოდა, როგორც ლომი.
მამულისთვის ივიწყებდა
ის განსაცდელს განსაცდელში,
ტროფობა აქვდა გულში ბოძად
და საშველად - ხმალი ხელში.
ეგრე, შვილნო, აქ ცხოვრობდა
უწინდელი ქართველის შვილი,
მის ცხოველი ნატვრა იყო
ან სახელი, ან სიკვდილი.
მათ მომდევარს, ყოველს თქვეგანს
ჰყვანდა დიდი წინაპარი...
დაცვა რჯულის, მიწა-წყლისა
მის მოწამედ თქვენდა არი!...
აწ მიხარის, რომე თვალნი
აწმყოსათვის ჩემნი ჩაქრნენ,
თვარა იმა დროთ მნახველნი,
აწმყოს როგორ აიტანდნენ!"...
ეგრეთ დამღერდა ბრმა მეფანტურე თვის მრტივ ფანტურს,
ეგრეთ იგლოვდა სევდით, კვნესითა საყვარელ წარსულს,
მაგრამ მხოლოდ მთა, ნაღვლით მზირალი, მას ყურს უგდებდა
და ჩამაფიქვრელ მწუხარე ხმით ბანს გამოსცემდა.

იანიჩარი

აგერ რაზმიდამ ისკუპა ყარაბაღულმა მერანმა,
შორსა გაჰვანტა თრთოლით ხმა მისმა რახტისა ჟღერამა ...
მიჰქრის, მიფრინავს, მიჭექავს, უკან მისდევს მტვრისა ბუქი,
მასზედ ჰზის ივერიელი ჭაბუკი ვინმე ჩაუქი.
აგერ უეცრად რაღაცამ ჰაერში გაიკრიალა,
თურმე, მან თოფი თავისი შეაგდო, შეატრიალა,
მერე ლამაზად ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ გადმოწვებოდა,
ხან ცხენიდანა ხტებოდა, ხან ზედვე შეჰფრინებოდა.
შვენოდა იგი ჭაბუკი ცხენზედა, ვით ალვა რგული,
მაგრამ მე, მის მჭვრეტელს, ნაღვლით ამერია სული, გული...
ვსთქვი თუ: ვისთვის შენ კისკასობ, ვისთვის იჩენ სიმარდესა?
შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამღუპველს ოსმალეთსა?
შენს სიმარდეს, სიჩაუქეს ქართლი შენი არ დაჰყურებს,
მეფე შენი თავის ქებით ჭაბუკს გულს არ გიხალისებს!..

5 ნოემბერი, 1860წ.
პეტერბურგი.

* * *

გახსოვს, ტურფავ, ჩვენს დიდ ბაღში
მე და შენ რომ ერთად ვრბოდით?
ნეტა იმ დროს!.. სიყვარულის
მეტს"არაფერს ჩვენ არ ვგრძნობდით!

შენ მოსწყვიტე ქორჯა ვარდი,
გადმომიგდე საყვარელსა
და მითხარი: ჩემო გიჟო!
ჩემ სახსოვრად გქონდეს ესა!"

ან შენ მაშინ რა იცოდი,
ან შენმ გიჟმა რა იცოდა,
რომ იმ ვარდზე ადრე შენი
სიყვარული დასჭკნებოდა!..

გახსოვს, ტურფავ, იმავ ბაღში
აყრდნობდი ჩემს მხარზე თავსა,
შენ ჩემს სუნთქვას ვგუშაგობდი
და მე შენსა წრფელ სუნთქვასა.

დაგყურებდი, ველარ გავძელ,
ლოყით კოცნა მე მოგპარე;
შენ შეჰკრთი და ლამაზ თითით
ღიმილით დამემუქარე.

ან შენ მაშინ რა იცოდი,
ან შენმ გიჟმა რა ოცოდა,
რომ ის კოცნა ბოლოს გესლად
შენის გამოვით შემეცვლოდა.

5 ნოემბერს, 1860 წელსა,
პეტერბურდი.

წუხილი

როცა წუხილი მჩაგრავს უწყალოდ,
კაცთან არ ვილტვი მის განქარვებად;
მყის თავისთავად ლალი, უბრალო
სიმღერა მორბის ნუგეშსაცემად.
და იმ სიმღერას ჩემს წუხილს ვანდობ,
ის ჩემებრ არი სევდით ბურვილი,
მის მწუხარ ხმებში ჩემს გულის ხმას ვცნობ
და მევე მიყვარს ჩემი წუხილი.

[1860 წ., 20 ნოემბრამდე].

* * *

დაბნელდა სული, გარშამოც ბნელა,
სიცივე მკვიდრობს ეხლა ჩემ გულში;
აღარ მაქვს საზრდო სულისათვის მე
არც სიძულვილში, არც სიყვარულში.

დიდხანს ვებრძოდი სიმდაბლეს, მტრობას.
და გავიმაგრე ჭაბუკი მკლავი,
ბევრჯერ მამარცხეს, მაგრამ არვის წინ
არ მომიხრია ამაყი თავი.

ვისაც ვებრძოდი, ბრძოლად არ ჰღირდნენ,
გვიან შევიტყე ეს ცდომილება;
ეხლა მათ საზიზღ, მდაბალ მტრობაზედ
არც მეცინება, არც მეტირება.

დაბნელდა სული, გარშემოც ბნელა,
სიცივე მკვიდრობს ეხლა ჩემ გულში;
აღარ მაქვს საზრდო სულისათვის მე
არც სიძულვილში, არც სიყვარულში!

25 დეკემბერი, 1860 წ.,
პეტერბურგი.

* * *

უსულდგმულო ცხოვრება
ცის ნიჭად ნუ გგონია, -
იგი მიწის ყოფილა,
რასაც ბოლო ჰქონია!

ცხოვრებას აცისკროვნებს
სული, საქმით მეტყველი,
და ის უბოლო არის,
ვით სულის შთამბერველი.

ნეტა ვინც კარგის საქმით
აღნიშნავს თავის დროსა!
ის აქავ ეწაფება
უკვდავების წყაროსა!..

პეტერბურგი, 1860 წ.

* * *

ჩემო სიმღერავ, ნუ დადუმდები,
შენითლა ლხინობს ეს კრული გული!
შენში ცხოვრობენ ჩემი დარდები,
ჩემი ნაღველი და სიხარული.
კაცში მოვტყუვდი, კაცმა დამშხამა
და ჩემსა გარეთ ბედს აღარ ვეძებ,
გმობით მომწამლა მეგობრობამა
და ეხლა ჩემ გულს მარტო ვაბერებ.
მთელ გულის ტანჯვით მეგობრობასა
მივანდე გული გამოუცდელი,
თურმე ყმაწვილურს იმა ნდობასა
შხამსა ასმევდა მეგობრის ხელი.

თვისი სამარე ჰპოვა იმაში,
რაშიც სიცოცხლეს ეძებდა გული...
აწ ვილას ენდოს ის ქვეყანაში,
ესდენ უწყალოდ მოტყუებული?!

[1860 წ.]

გაზაფხული

ტყემ მოისხა ფოთოლი,
აგერ მერცხალიც ჭყვივის,
ბაღში ვაზი ობოლი
მეტის ლხენითა სტირის.

აყვავებულა მდელო,
აყვავებულან მთები;
მამულო საყვარელო,
შენ როსლა აყვავდები?

28 იანვარი, 1861 წ.
პეტერბურდი.

* * *

მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული,
ჰოი, მამულო, გამიკრთა მე ძილი და შვება!
შენს ძარღვის ცემას მე ყურს ვუგდებ სულგანაბული,
ღამე თენდება ეგრეთ ჩემი და დღე ღამდება.

დაჟინებითა ფიქრი ფიქრზედ მოდის, გროვდება,
გრძნობა გრძნობაზედ შეუპოვრად იძვრის ჩემს გულში,
და მე არ ვჩივი, — მიხარიან, რომ ეგრეთ ჰშვრება
ჩემი ცხოვრება შენსა ფიქრში, შენს სიყვარულში.

მაგრამ მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი,
ის არი მხოლოდ სავალალო და სამწუხარო,
რომ შენს მიწაზედ, ამდენ ხალხში, კაცი არ არი,
რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი განვუზიარო!..

6 აგვისტო, 1861 წ.
ს. ყვარელი.

* * *

ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში?
რასაც ვმსახურებთ, მას ერთგულად კვლავ ვემსახუროთ,
ჩვენ წმინდა სიტყვა უშიშრად მოვფინოთ ხალხში
ბოროტთ საკლავად, — მათ სულთ-ხდომის სეირს ვუყუროთ.

თუ კაცმა ვერ სცნო ჩვენი გული, ხომ იცის ღმერთმა,
რომ წმინდა არის განზრახვა და სურვილი ჩვენი:
აგვიყოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართველის ბედმა
და დაე გვძრახონ, — ჩვენ მის ძეგნით დავლიოთ დღენი.

ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართველისას ამბობს,
ჩვენს ცუდს არ მაღავს, ეგ ხომ ცხადი სიძულვილია!”
ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს —
ამ სიძულვილში რაოდენიც სიყვარულია!

ოქტომბერი, 1861 წ.
ს. ყვარელი.

გ. აბზ [აზს]

ღმერთო!.. აკურთხე ამ ყმისა ძალნი,
ხალხთ სამსახურად მიეცი ღონე,
აღუხსენ ხედვად მშიშარნი თვალნი,
ტანჯვის ნუგეში მას შთააგონე.

ღმერთო!... მოჰმადლე მადლი ზეცისა,
შთაბერე ყრმასა ძლიერი სული,
რათა შეიქმნეს თავის ერისა
მომე ერთგული და მოყვარული.

ღმერთო!.. თან სდევედე უსუსურს ბავშვსა,
რომ დღენი ისე არ დაელიოს,
მინამ ტანჯვისა ცრემლი თვის ხალხსა
ცოტათი მაინც მან არ მოსწმინდოს.

1863 წ.

1871 წელი 23 მაისი

(კომუნის დაცემის დღე)

ტვირთმძიმეთ და მაშვრალთ მხსნელი

დიდი დროშა დაიშალა...
კვლავ ქვეყნისა მჩაგრავ ძალამ
იგი დროშა დასცა დაბლა.

კვლავ ეწამა მოყვასთათვის
საოცარი იგი ერი,
კვლავ დაიდგა დიდ წამების
მან გვირგვინი მშვენიერი.

კვლავ ქვეყნისთვის დაიღვარა
წმინდა სისხლი წემებულის,
კვლავ დამარცხდა დიდი საქმე
ყოვლად მხსნელის სიყვარულის.

კვლავ ძირს დასცეს იგი მცნება,
ქვეყნის ხსნად მოვლინებული,
რომლისთვისა თითონ ღმერთი
იყო ტანჯულ და ჯვარცმული.

კვლავ შეფერხდა ისტორია,
განახლების შესდგნენ ძალნი,
და კვლავ დღესასწაულობენ
გამარჯვებულნი მტარვალნი.

29 მაისი, 1871 წ.

რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტის საუკუნისა

ერთხელ მე და პაპაჩემი
ერთს ადგილს შევიყარენით;
ჯერ, როგორც მოგეხსენებათ,
მრავალჯერ დავამთქნარევით.

მერე ვუთხარ: - პაპაჩემო!
უწინდელი რამ გვაუწყეთ:
რით ვიდიდეთ თავი ჩვენი,
სახელი რით მოვიხვეჭეთ?

მაგალითებრ, მაშინ, როცა
მიიწურა ქართლის ბედი,
როცა მოგვიკვდა ერეკლე,
ის ჩვენის ქვეყნის იმედი, -
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?

- შენი მტერი!... პირლიადა
დავრჩით და ცას შევყუროდით.

მერე, როს მეფე გიორგი
დაჯდა შერყეულსა ტახტზედ,
შინ თვისტომნი აუჯანყდნენ,
წამოასხდნენ მტრადა თავზედ, -
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
- ჩვენც ერთმანეთს გულმოდგინედ
ვწეწდით და ვიწეწებოდით.

მერე, როცა ემაგ წეწვით
მეფეს საქმე გავუჭირეთ
და ქვეყანას ერთგულობა
ჩვენი ურცხვად დავუძვირეთ, -
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
- რუსეთისკენ სახვეწნელად
გავრბოდით და გამოვრბოდით.

მერე, როცა საწყალ მეფემ
დაგვიყენა ლეკნი მცველად, -
თვის ქონება სრულად დასდვა
ჩვენის ქვეყნის დასახსნელად, -
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
- მაღლიერნი მუთაქაზედ
ვიწექით და ვნებივრობდით.

მერე, როცა მოკვდა მეფე,
აიშალნენ მეფეთ ძენი
და ერთმანეთის შურითა
სულ ძირს დასცეს ქართლის ბჭენი, -
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
- ჩვენც ლამაზად სულ ყველასა
თვითო-თვითოდ ვღალატობდით.

მერე, როცა დაქსაქსულნი
უცხო ხალხმა ხელთა გვიგდო,
ქართველის ბედი ბურთსავითა
სათამაშოდ წინ გაიგდო, -
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
- ჩვენც ყაზახზე ვაჟკაცურად
ვჯირითობდით, ვბურთაობდით!

მერე, როცა გაგვიჭირდა
ყოფნა უცხო ხალხის ხელში,
როს საშველად მოწვეულმა

წაგვიჭირა თოკი ყელში, -
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
მაშინ მივხვდით, რომ ყველანი
ერთს ტაფაში ვიწვევდით.

მერე, როცა ამ წვა-დაგვამ
დღენი ჩვენი მოგვაწბილა;
ტანჯვა ველარ ავიტანეთ,
სინიდისმაც გაგვამხილა, -
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
- შერცხვენილნი და დამწვარნი
აქა-იქა ვჩურჩულობდით.

მერე, როცა ეგ ჩურჩული
შეგვიტყვეს თუ შეგვამცნიეს,
როცა ცხვრისა ფარასავით
მოგვკრიბეს და შეგვამწყვდიეს, -
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
- ფერმიხდილნი ბეზლობაში
ერთმანეთს ვეჯიბრებოდით.

მერე, როცა მაგ ბეზლობით
ზოგმა თავი გადვირჩინეთ,
ქვეყნისათვის ზრუნვა, ფიქრი
ჩვენ თავიდამ ავიცდინეთ, -
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
- მოვყევით და სიხარულით
ყოველდღე ვბედოვლათობდით.

მერე, როს ბედოვლათობით
საქმე ხელთ არ მოდიოდა,
რაც რამ გვქონდა, სულ გავფლანგეთ,
არარა შემოგვდიოდა, -
რა აკეთეთ? რას ვშვრებოდით?
- ერთმანეთს უსინიდისოდ
მამულებს ვეცილებოდით.

მერე, როცა მაგ ცილობით
ერთმანეთი ჩვენ დავლუპეთ,
ერთმანეთის მტრობით ჩვენს სახლს
ცეცხლი ჩვენვე წავუკიდეთ, -
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
- ჭკვიანურად იმ ცეცხლის წინ
ვასხედით და ხელს ვითბობდით.

მერე, როს ხელთ სათბობადაც

ჩვენი სახლი აღარ ვარგდა,
როცა დიდი და პატარა
გალარიზდა, გალატაკდა, .-.
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
- თვით შევსხედით მაღლა თაროს,
დაბლა ყმებსა ტვინსა ვწოვდით.

მერე, როცა ის ყმებიცა
დროთა ბრუნვით ჩამოგვერთვნენ
და ცხოვრების ჩვენის წყარო
მაგ გზობითაც თითქო შესწყდნენ, -
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
- მაგას, შვილო, ნულარ მკითხავ...
ვტიროდით, ვიხოცებოდით!..,

მერე, როცა მაგ ტირილით
ყმები აღარ დაგვიბრუნდა
და ყმებისა მოშორების
გულს ტკივილი დაგვიყუჩდა, -
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
- რაღაც ბანკი მოვიგონეთ
და მასზე ვლაზღანდარობდით.

მერე, როს საშვილიშვილოს
ბანკს უმუხთლა თქვენში ერთმა:
ჩემთვის ბანკი რა ჭკვააო,
არ მომცაო შვილი ღმერთმა, -
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
- “Наплечи”-ბა გვასწავლეო,
მთავრობას ვეხვეწებოდით.

მერე, როცა... - კიდევ როცა!.. -
აქ გამიწყრა პაპაჩვენი:
- შემაწუხე ამდენ კითხვით,
"პოჟოლუსტა", დამეხსენი!
რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით?
მას ვშვრებოდით, რომ თქვენსავით
უსაქმოდ ვეხეტებოდით.

24 აგვისტო, 1871 წ.

ბედნიერი ერი

ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?

მძიმე ყალბით,
ლამაზ ფალბით
მორთული და მშვენიერი;
უწყინარი,
უჩივარი,
ქედდრეკილი, მაღლიერი;
უშფოთველი,
ქვემპრომელი,
რიგიანი, წესიერი;
ყოვლად მთმენი,
ვით ჯორ-ცხენი,
ნახედნი და ღონიერი.

ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!

ყველა უნჯი,
ყველა მუნჯი,
გულჩრვილი და ღმობიერი;
თვალაბმული,
თავაკრული,
პირს ლაგამი ზომიერი;
ყველა ყრუი,
ყველა ცრუი,
ჭკვადამჯდარი, გულხმიერი;
მცირე, დიდი -
ყველა ფლიდი,
ცულლუტი და მანკიერი.

ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!

მტვერწაყრილი,
თავდახრილი,
ყოვლად უქმი, უდიერი;
უზღუდონი,
გზამრუდონი.
არგამტანი და ცბიერი,
მტრის არმცნობი,
მოყვრის მგმობი,
გარეთ მხდალი, შინ ძლიერ;
არრის მქონე,
არრის მცოდნე,
უზრუნველი და მშიერი.

ჩვენისთანა ბედნიერი
კიდევ არის სადმე ერი?

გამოცანები

1

ულვაშსრული, მელოტია,
უთაური თავიანი,
ხელთა მლოკი, ქონდრის კაცი,
დიდგულადა ბოხხმიანი.
თუმცა ტანად პატარაა,
სხვაფრივ კი კარგა დიდია,
ქვეყანა და ქვეყნის თხოვნა
იმას ფეხებზედ ჰკიდია.

2

კოხტაა და ღობემძვრალა,
პატარა და ჩამომხმარი,
ცხვირნისკარტა, ნიკაპწვეტი,
უჟამური, განს გამდგრი.
ჰკვით და გულით მოცვეთილა,
ქვეყანაზედ უქმად გდია,
თვით მაღლა ზის, - ქვეყნის საქმე
მასაც ფეხებზედ ჰკიდია.

3

ბულაა და კისერმოკლე,
პირრგვალი და ტანად სრული,
ლაჟღანდარა და მასხარა,
ქვეყნისაგან ლაფდასხმული.
გაქნილობა რომ გაუდის,
ჰკვის ხმა აქვს დავარდნილია,
მაგრამ ჰკვიანი არ არის,
იგი მარტო გაქნილია.
ტაციობით დღეს აღამებს,
გულმურტალი და ფლიდია,
ყველა ლანძღავს, მაგრამ ყველა
იმას ფეხებზედ ჰკიდია.

4

ცხვირდიდა და თვალდიდრონი

მსუნაგი და ტრაბახია,
ერთი უშნოდ აწოწვილა,
ერთი რაღაც ახმახია;
სეხნია ჰყავს სახელდიდი,
თითონ კი მარტო გრძელია,
ძველის მცოდნეა, მაგრამა
ყბედი და ჰკვაზედ თხელია,
ენაპრტყელია, გულმრუდე,
ადვილად მოსასყიდია,
ამ ყლაპიასაც ქვეყანა,
ძმანო, ფეხებზედ ჰკიდია.

5

თეთრ-წითელი ვაშლსავითა,
ხაშხაშლოყა, მსუქანია,
რაც ნახირში გაერია,
არ არის დიდი ხანია;
ქვეშქვეშაა, მელაძუა,
მორიელი, ფრთხილი, წყნარი,
თქვენ იმას კარგად არ იცნობთ,
დიდი კუდიანი არი.
ქალაჩუნა და ლუჩუნა,
ფარისეველი მშვიდია,
ამ მძრომსაც თავის ქვეყანა,
ძმანო, ფეხებზედ ჰკიდია.

6

პირტიტველა და ჭროლთვალა,
თავმდაბლად გამომხედია,
არც კარგი, არცა რამ ავი
მის ხელთ არ უმოქმედია.
ყველას უყვარს, ყველა უყვარს,
ყველასთვის მეტად ტკბილია,
ზემოთქმულ ღობემძვრალისა
უკან მიმყოლი ჩრდილია.
მე ვიცი, რომ ქვეყნისადმი
მის გულში ტრფობა დიდია,
მაგრამ საქმით კი ქვეყანა
მასაც ფეხებზედ ჰკიდია.

7

ერთი ვინმე შავგვრემანი
სუსტია და პირად ხმელი,

დიდებში ბრძნად ქებულია,
ჭკვამოკლე და ენაგრძელი.
დიდთა ქებით გაბერილა,
ვით ავის სენით ტრიკია,
ახლის აღთქმის კაცი იყო,
ებლა ქვემძრომი ხვლიკია.
ახლისა და ძველის შუა
ის ჩატეხილი ხიდია,
ამ ტყუილს ბრძენსაც ქვეყანა,
ძმანო, ფეხებზედ ჰკიდია.

8

მოხუცია იგი ჯმუხი,
პირად ბადრი, ტანდაბალი,
საქმით წმინდა, გულმხურვალე,
სიტყვატკბილი, ჭკვამალალი.
ძველთაგანა ეგლა დარჩა
გრძნობით სავსე, გონიერი,
მაგრამ გაუბედავია,
თუმცა უყვარს თვისი ერი.
ის ძველის და ახლის შუა
შემაერთავი ხიდია,
მაგრამ ამ კარგსაც ქვეყანა
ზოგჯერ ფეხებზე ჰკიდია.

9

მეცხრე გამოცანად ითქმის:
- ეს ვის დაუწერიაო?
ნუ გაწუხებთ და ნურც იტყვიოთ:
- იგი ჩვენი მტერიაო,
თუ გაწყრებით, რა მენადვლის?!
მე არ მაქვს თქვენი რიდია,
ვით თქვენ ქვეყანა, მეც წყრომა
თქვენი ფეხებზედ მკიდია.

7 დეკემბერი, 1871 წ.

კიდევ გამოცანები

1

ოინბაზი, ლაქათაა,
გრძლად გალეული მელია,
ბაზრის ბიჭად გაჩენილა,

ეხლა ქვეყნის მმართველია;

ცულლუტია, ხერხიანი,
ენაცქვიტი, ყურმახვილი;
დროთა ბრუნვის შესაფერი
კარგად იცის მოძახილი.
მარჯვედ მოდის კოჭის ყრაში,
სურს აღჩუა, სურს თაფია;
ბევრჯელ გაძვრა და გამოძვრა,
მაგრამ ვერ გახდა გრაფია.
გრაფობისთვის ერი დაკლა,
ცოდვა დაიდვა დიდია,
მაგრამ ერიც და ქვეყანაც
იმას ფეხებზედ ჰკიდია.

2

ერთი არის ტანად მომცრო,
კარგად ჩასხმულ მხარ-ბეჭია,
თამამია, უანგარო
და ლაპარაკში ღმეჭია.
თუმც ბევრს იმის ჯურის ხალხსა
ქართველობა ეთაკილება,
მაგრამ ის მაინც ქართველობს,
ამით ეთქმის ჩვენგან ქება,
სხვა სიკეთე მე იმისი
არარა გამიგონია,
თუმც სიკეთის ქმნად შემთხვევა
იმას მრავალჯერ ჰქონია,
ჩვენგან შორსა მას უჭირავს
რადაც ადგილი დიდია,
ნეტა ვიცოდე: ქვეყანა
მასაც ფეხებზედ ჰკიდია?!

3

ბაიყუშივით თავდიდა,
დაღვრემილი და ბღვერია,
მუდამ გაბუტვილი დადის,
რადაც უტყვი და შტერია;
თავმძიმეა, ჰკვასუბუქი,
ცომივით გათქვლეფილია,
ჯილდოსთვის ბევრი დაქსაქსა
მან საქართველოს შვილია.
დედათ წყევლამა აუგო
მას საქოლავი დიდია,

მაგრამ წყევლაც და ქვეყანაც
იმას ფეხებზედ ჰკიდია.

4

პირტუჩრგვალი, მუდამ წმიდად
ლოყებჩამოფხევილია,
თავისთავის მოარშიყე,
თუმც ასაკმიდრევილია;
პრანჭიაა და გრეხია,
საკოპწოდ უტოკს ტანია;
ამბობენ, რომ ყურმარჯვეა
და ცოტად ენამტანია.
ჩინოვნიკობაში იგი
თურმე გამოქნილი არი,
ისე როგორც უღლის ქვეშა
ჩვენი გლეხიკაცის ხარი.
ეგ უსახო და უხამო
ქართული მალჩალინია,
თავი მოჰსწონს მხოლოდ მით, რომ
ზედიზედ მოჰსდის ჩინია,
წვრილებში თავმომწონეა,
სხვილებში ფეხის მტვერია,
მამის სახელით გამოდის,
რადგან თვით არაფერია.
მის ჯურის ხალხს მწერლად მოსწონს,
ვერ კი შეუტყეს მრუდობა,
რომ სხვის წიგნიდამ ფრაზების
იცის ცოტა რამ ქურდობა.
რაგინდ მძიმე საქმე იყოს,
ანუ ძნელი სავეზირო,
ის მაშინვე წაეჩრება,
ვითომ მეც ნახირ-ნახირო.
ეს გამოცანა, მკითხველო,
ახირებულად გრძელია,
ფუყე, უსახო კაცისა
მოკლედ აღწერა ძნელია.
ვირემმაკა და ორპირი,
ეგ დიდად მოსარიდია,
ქართლი, სომხეთი, რუსეთი -
სამივ ფეხებზედ ჰკიდია.

5

ერთის კარგის საქმის იგი
დამწყობი, მეთაურია;
თქმულა, - ნაყოფისაგანო

ხე იგი საცნაურია.
თუ ესეა, მაშ არ აღვწერ
მის ნიშნებს და მის სახესა,
მარტო ნაყოფს დაგანახვებთ
და მით ჰსცნობდეთ თვითონ ხესა.
ჩვენის ქვეყნის საკეთილოდ
მან მარტომან შეგვძრა ყველა,
ერთმანეთის მტრებს გვასწავლა
ერთმანეთის ძმური შველა.
ბანკის ძირი იმან ჩარგო,
ლონე ხსნისა მოგვცა ხელთა;
ვახ! დაგვიხეს ზოგთ ეს საქმეც!
წყევა ჩვენი მათ - ჩვენ მტერთა!
ამ უკაცურ კაცთა შორის
მე იგი კაცად მგონია
მით, რომ საქმითაც ქვეყნისა
მას სიყვარული ჰქონია.
ბევრი ვიცი მე ამისი
ცოდვა და ნაკლულოვნება,
მაგრამ კარგის საქმის დამთესს
ბევრიც რამ მიეტევება.
რაც არის, კიდევ ეგ არის
ჩვენში ხელმოსაკიდია,
მარტო მას, ვგონებ, ქვეყანა
ფეხებზედ არა ჰკიდია.

6

აღწერილთა ჯურის ხალხი
სხვანიც მრავალნი ყვავიან,
მაგრამ მე იმათ არ ავსწერ,
რადგანც თვის ქერქში არიან.
დიდთა ნახირში არ ისმის
მათგან არც ერთის ბლავილი,
თუმცა იმათში ზოგიერთს
ჭირად სჭირს ენის ქავილი.
მათში ბევრი წურბელაა,
გველი, ხვლიკი, ლოკოკინა;
იციან, რომ არ ვარგანან
და თავისთვის სხედან შინა.
ხროვა ეგე, ანუ ჯოგი,
საუბედუროდ, დიდია;
მათ ყველას ერთად ქვეყანა
შინვე ფეხებზედ ჰკიდია.

7

ესეც გამოცანად ითქმის:
- "ნეტა ამას რისთვის სწერსო,
მეთაურნი დაგვილანძღა,
მით ახარებს ჩვენსა მტერსო?"
ჩვენი მტერი სიბრმავეა,
უვარგ კაცზედა დანდობა,
ჩვენი მტერია ზოგ-ზოგის
ფლიდობა და თვალთმაქცობა.
ის ზოგ-ზოგნი ჩრდილში იყვნენ,
ეხლა მზეზედ გამოვფინე,
ყველას თავისი მივუწყე
და მართალი აღვადგინე.
მინდა, რომ თქვენ შეურჩიოთ
თხა თხასა და ცხვარი ცხვართა
და, ვით თქმულა, მიანებოთ
მკვდარნი დაფლვად მისთა მკვდართა;
მინდა, რომ ვინც ჩვენის ქვეყნის
ჩვენში პირმომარიდია,
ის თქვენც ფეხებზედ გეკიდოსთ,
ვით მე ფეხებზედ მკიდია.

7დეკემბერი, 1871 წ.

პასუხის პასუხი

I

ჩვენ უჩინონი,
ჩვენ უჩინონი
თქვენ, ჩინიანთა, ბუზად გგონივართ...
იქიდამ ვკნავით,
სად თქვენის მადლით
ხაფანგებ ქვეშ დამწყვდეული ვართ.

ჩვენ ვვლეთ რუსეთი,
მაგრამ არც ერთი
ხელობა თქვენი არ გვისწავლია;
ჩვენი ქვეყანა,
მკვდარი თქვენგანა,
თქვენებრ ჩინებზედ არ გაგვიცვლია.

ლიბერალობა,
პატრიოტობა
სალანძღავ სიტყვად არ გაგვიხდია;
თქვენგან ჩაგრული,

დაბრმავებული,
ერი ჯვრებზედ არ გაგვიყიდია.
ქვეყნისა ბედი
და ხსნის იმედი
თქვენებრ ხელში მჩვრად არ გაგვხდომია;
კაცის მხნეობა,
კაცის ზნეობა
თქვენებრ ჩინებით არ გვიზომია.

სარწმუნოება
და სათნოება
ფარისევლობად არ შეგვიქმნია,
თქვენი სლოკინი,
ხელთა ფოტინი
ღვთისადმი ლოცვად არ მიგვაჩნია.

როს მოვედით ჩვენ,
მსწრაფლ გიცანით თქვენ,
შორს დავიჭირეთ თქვენი ანბანი:
რად ჰკვირობთ მასა,
რომ თქვენს ანბანსა
ვერ შეაჩვიეთ ვერვინ ჩვენგანი.

II

მითამ რად გიკვირთ,
რომ მაღლა ვყვირით
მილიონებზედ და სხვაზედ არა!
თქვე ყოვლად ბრმანო!
თვით ოკეანო
ერთად თავმოყრილ წვეთით შემდგარა.

მაშ რაღადა გვგმობთ,
ოდეს ჩვენ ვცდილობთ
ერთმანეთობით მილიონრობას?
თქვე ნაცარმქექნო
და გულნამცეცნო,
აქაც ძირს უთხრით ღარიბთ ერთობას.
ვართ უღონონი,
უგზო-უკვლონი
მით, რომ თქვენ ჰყრიხართ უქმად ჩვენშია,
ჩვენ მოკუნტულნი,
თქვენ გაბღინძულნი,
ვერა ვთავსდებით ერთმანეთშია.

III

იმით თამამობთ,
რომ ბეზღით გვწამობთ
ურჯულოებას, ღვთის უარყოფას?
ღმერთი არმობის,
ღმერთი ყალბობის
არ ურწმენია ჩვენსა თაობას;

ღმერთი მზაკვრობის
და თვალთმაქცობის,
ღმერთი უქმობის უარუყვია,
ღმერთი ხარბობის
და მმარცველობის
თქვენთა მზგავსთათვის მას დაუთმია.

ხოლო გვწამს ღმერთი -
უქმთა წარმწყმედი,
ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა მხსნელი,
ღმერთი ტანჯულთა,
ღმერთი ჩაგრულთა,
ღმერთი უძლურთა შემწყნარებელი;

ყოველთა ძმობის,
თანასწორობის
მოძღვრობისათვის ქვეყნად ჯვარცმული,
ძლიერთ დამხმელი,
უძლურთ ამხსნელი,
თქვენგვარ კაცთან გმობილ-დევენული:
ორგულობისა,
ორპირობისა
ძირსა დამცემი და დამთრგუნველი,
ფარისეველთა,
სადუკეველთა
გამკიცხველი და გამდევენელი.

მან კუბოს მორთულს,
შიგ სიმყრალით სრულს,
თქვენებრი კაცი არ დაადარა?!
ზაკვით სავსენო,
ავმორწმუნენო,
ის თქვენ სიტყვით გწამთ და საქმით არა.

IV

"მტერობა ენის
არს მტერობა ქვეყნის" -
მაგ აზრისა ვართ თანახმა ჩვენა,
მაგრამა გმობა,

ენისა მტრობა
ბრალად ვის დავდვით - ჩვენა თუ თქვენა?

ეხლა რომ ბლავით,
თქვენ არ იყავით
ენის პატრონად ჩვენზე უწინა?!.
ჩვენ ძუძუს ვწოვდით,
როცა თქვენ ჰგმობდით
ენას და ხალხსაც გარედ თუ შინა.

ის არ ხართ თქვენა,
რომ ღვიძლი ენა
ბძანებით დასთმეთ აღმოსაკვეთად?!
შიშით არც კარში
და აღარც სახლში
მას აღარ ხმარობთ თქვენდა სარცხვენად.
“ენა მაღალი,
მის სიღრმე, ძალი”,
ჩვენგან კი არა, თქვენგან წამხდარა;
პირველ თქვენგანმა,
იმა ბედშავმა,
მას მკვდრის სუდარა გადააფარა.

V

ენა მდიდარი,
თქვენს ხელში მკვდარი,
ჩვენ მიგვიღია გასაცოცხლებლად,
და ამასაც თქვენ
ცოდვად გვითვლით ჩვენ,
რად პირითა დახვალთ ამ ქვეყნად!

თქვენგან გმობილი,
თქვენგანით ლტოლვილი
ენა ჩვენს ქოხში ჩვენ შევაფარეთ;
კარგად თუ ავად,
ჩვენ მას ვინახავთ
და მის სიკვდილით არ გაგახარებთ.

გვიან თუ მალე,
დღესა თუ ხვალე,
რაც ენას ვცოდეთ, ის გასწორდება,
მაგრამ კი თქვენი
მრუდე საქმენი
ისევ ისევე მრუდედ დარჩება.

VI

“უგზოდ მვლელნოო,
უსწავლელნოო”, -
ასეთმა ფურმა უნდა დაგვწიხლოს,
რომ ჩვენზე ბევრსა
თვით იწველდესა,
- ვაი თქვენს ხელში ჩვენს საქართველოს!

ვინა ყრიხართო,
ვირები ხართო, -
მაგ თქვენს ზდილობას ვით ეკადრება?
მაგრამ შოთამ ჰსთქვა, -
რაც კოკაში ჰსდგა,
იგივე თურმე წარმოსდინდება.

28 იანვარი, 1872 წ.

რჩევა

თუ გინდა, ძმაო, იგემო
ამა ქვეყნისა შვებანი,
დიდთა საფეროდ მოჰმართე
შენი გულ-სიტყვის ებანი.
მერე ბრძნობით შეიმოსე,
დიდთა უკმიე, სხვათ არა,
და იქადაგე - “წესია,
რომ დიდმა ჰყლაპოს პატარა”.
ამა წესის სიმართლისა
შენ საბუთი ვინც მოგკითხოს,
- “ჯერ ეგრე-თქო, დამიჯერეთ,
საბუთი-თქო მერე იყოს”.
დიდნი ხომ დაგიჯერებენ,
აბა უარს რად იტყვიან?!
პატარებს ჯანიც გავარდეს,
დიდნი მადლს გადაგიხდიან.
თუმცა დიდთა პირფერობა
არის მონებური ქცევა,
მაგრამ მაღლა აცოცვისთვის
უნდა თურმე კუდის ქნევა.
ამას გირჩევ, იმიტომ რომ
ჩვენ გვყავს ერთი მეგობარი,
რომელიცა ამგვარ ქცევით
ჩვენში ბედნიერი არი.

1872 წ., მარიამობის 29-სა

[დუშეთი]

* * *

ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია!..
აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია,
თუმცა ძველნი დაგშორდნენ, ახალნი ხომ შენია...
მათ ახალთ აღგიდგინონ შენ დიდიების დღენია, -
ჩემო თვალის სინათლევე, რაზედ მოგიწყენია?

წვრილშვილნი წამოგესწრნენ ნაზარდნი, გულმტკიცეები,
მათის ზრუნვის საგანი შენ ხარ და შენ იქნები,
არ გიმტყუნებენ შენა, თუკი მათ მიენდები.
მათის ღვაწლით შეგექმნეს სახე ბედით მთენია, -
ჩემო თვალის სინათლევე, რაზედ მოგიწყენია?

მათი გული შენისა ტრფობის ფართო ბუდეა,
მათი გულთა ფიცარი შენი მტკიცე ზღუდეა...
ვერ წაბილწავს მათს გრძნობას სიმუხთლე, სიმრუდეა!
მათ თვის მკერდით შეჰმუსრონ მტერთა სიმაგრენია, -
ჩემო კარგო ქვეყანავ, მაშ, რად მოგიწყენია?

15 სექტემბერი, 1872წ.

* * *

აღარც ნატვრა და აღარც იმედია!..
ყველა წარხდა... ვაი, ესრედ შთომილსა!
ვაი იმას, ვისაც ჩემებრ სცემია
გულს ისარი უიმედო ტრფობისა!..

ახ, რად გნახე შენ ჩემს საუბედუროდ?
რამან შეგქმნა ეგრე სავსე სიკეთით?
ეჰა, გულო, ერთხელ დაწყნარებულო,
ერთხელ მკვდარო, რაღად აღზდექი მკვდრეთით?

მე მისი ვარ, ის კი არ არის ჩემი,
ის სხვას ასმევს ნეკტარს ნეტარებისას;
სხვას თავს ევლის, სხვას შეჰხარის, სხვას ეტრფის,
მე კი ვწყევლი დღეს ჩემის გაჩენისას.

სად წარვიდე, ვის შევჩივლო, ვის ვუთხრა?
ვინ განმიღებს დახშულს კარსა ბედისას?

ვინა ჰკურნებს უკურნებელსა სენსა
სამუდამოდ წაწყმედილ იმედისას?

1877 წ.

კ. ბ. მ - სას

ნუ, ნუ მაყვედრი, რომ ყოველს ჩვენგანს
ხელსა ვაწვდიდი მეგობრობისას,
რომ უარვეყოფდი ჩემთ მოძმეთ შორის
სულის სიმდაბლეს, შხამსა მტრობისას...

მე კაცთ სიკეთის მხურვალე რწმენა
ჭირში თუ ლხინში წინ მიმიძლოდა...
გული, თრობილი მის წმინდა მადლით,
ჰკუის ცივს თათბირს ეურჩებოდა.

ნუ მეუბნები, რომ იგი იყო
უგუნურება და ცდომილება, —
ოღონდ კვლავ მომე: ის ცდომა მიჯობს,
ვიდრე უცდომი გამოცდილება!

დავკარგე იგი!.. აწ მის დამკარგავს
უმაღლ, უნუგემ მივის-ღა გული...
უმისოდ გული ცივია, ბნელი,
ვითა სადგური გაუქმებული.

ნეტა მას, ვისაც იმ რწმენის შუქი
ერთხელ მაინცა გულსა ჰფენია!
უფრო ნეტა მას, ვისც სამარემდე
გულით რწმენილი გულსვე შთენია!

ნუ, ნუ მაყვედრი, რომ ყოველ ჩვენგანს
ხელსა ვაწვდიდი მეგობრობისას,
რომ უარვეყოფდი ჩემთ მოძმეთ შორის
სულის სიმდაბლეს, შხამსა მტრობისას!..

1877წ.

ბაზალეთის ტბა

ბაზალეთისა ტბის ძირას
ოქროს აკვანი არისო,
და მის გარშემო წყლის ქვეშე,

უცხო წალკოტი ჰყვავისო.

მწვანეა მუდამ წალკოტი,
არასდროს, თურმე, არ სჭკნება,
ქვეყნისა დროთა ტრიალსა
იგი არ ემორჩილება.

ვერ ერჩის, თურმე, მის მწვანეს
ვერც სიცხე, ვერცა ზამთარი,
და იმის მზიან ჩრდილებში
მუდამ გაზაფხული არი.

წალკოტის შუაგულშია
ის აკვანი ასვენია,
და ჯერ კაცთაგან იქ ჩასვლა
არავის გაუბედნია.

მარტო ერთნი სირინოზნი
იმ აკვანს გარს ეხვევიან,
მარტო იგინი გრძნეულნი
დასტრფიან და დამღერიან...

ამბობენ, — თამარ დედოფალს
ის აკვანი იქ ჩაუდგამს,
და ერს თვისთა ცრემლთ ნადენით
ტბა კარვად ზედ გადუხურავს.

ამას კი აღარ ამბობენ —
აკვანში ვინ ჩააწვინა,
ან თვით ერმა თვისი ცრემლი
ზედ ტბად რისთვის დაადინა...

იქნებ, აკვანში ის ყრმა წევს,
ვისიც არ ითქმის სახელი,
ვისაც დღედაღამ ჰნატრულობს
ჩუმის ნატვრითა ქართველი?

თუ ესე არის, ნეტა მას,
ვაჟკაცსა სახელოვანსა,
ვისიცა ხელი პირველად
დასწვდება იმა აკვანსა!

თუ ესე არის, ნეტა მას,
დედასა სახელდებულსა,
ვინც იმ ყრმას პირველ მიაწვდის
თვის ძუძუს მადლით ცხებულსა!

დამაკვირდი

I

კაცად მაშინ ხარ საქები,
თუ ეს წესი წესად დარგე:
ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო, -
აბა, მე დღეს ვის რა ვარგე?

II

სიკეთით სძლიე შენს მტერსა,
ერიდე სისხლით ზღვევას:
სულგრძელობითა ძლევა სჯობს
ვაჟკაცობითა ძლევასა.

III

ვაჟკაცთ ცრემლსა რად უძრახვენ?
რკინაც სტყდება, როს სცემს გრდემლი...
კაცთ და პირუტყვთ გასარჩევად
ღმერთმა შეჰქმნა მარტო ცრემლი.

IV

წუთის-სოფელი ესეა:
ღამე დღეს უთენებია.
რაც მტრობას დაუქცევია -
სიყვარულს უშენებია.

V

ხმალი იმოდენს ვერას იქმს
მრისხანე და ძლიერიო,
რასაც იქმს მშვიდობიანი
კალმის პატარა წვერიო.

VI

შუბი დიდია და მძლავრი,

სისხლმღვრელი, სისხლის მსმელია,
წნარი, პაწია ნემსი კი
შიშველ-ტიტველთა მცმელია.

VII

არა, არ ვუქებ ვაჟკაცსა
კაცთა მუსრვას და ომსაო!..
ვაჟკაც იგია, ვინც მართალს
ეტყვის ქვეყანას მცდომსაო;
ვინც არ შეუდრკა მრავალსა,
ხშირად მართლისთვის მწყრომსაო,
ვინც კრავს უმანკოს ეკრძალვის
და პირში უდგა ლომსაო.

VIII

მადლმა სთქვა: წუთის-სოფელში
ყოფნა, ვაი, რა ძნელია!
ძალი ჰძალოვნობს, ჰბატონობს,
მე გული გადამელია;
საცა კი შევხვდი, დამძლია,
ვერ შევუბრუნე ხელია...
მართალი უთქვამს, ვინცა სთქვა:
"ძალა აღმართის მხვნელია".

IX

თუ სახელის შოვნა გინდა,
დღეს ისეთი ნერგი დარგე,
რომ ხვალემა მადლობით სთქვას:
ნანერგითა შენით მარგე.

X

ვაჟკაცად იმას არ ვაქებ,
ვინცა სისხლისა მღვრელია,
ვაჟკაცად იგი მიქია,
ვინცა უბედურთ მხსნელია.

XI

ჭკუამ სთქვა: წუთის-სოფელსა
აღმართი მე ვახვნევიანე,
თესლი მოვკრიბნე და ხნულში
დავთესე, დავაბნევიანე.

ულონოს ღონე მე მივეც,
ხელი მე გავაქნევი.
გულმა სთქვა: ჭკუავ, მართალ ხარ,
და ზოგიც მე მათქმევი!
ჩენი ნახნავის გორახი
ფარცხით მე მომაფშენეტინე
ნაგოლვი, მშრალი ბელტები
ცრემლით მე მომარწყვევი;
შენი ნათესი, ნანერგი
სისხლის ღვრით გამაზღვევი;
შენსა ჯეჯილში, ყანაში
ღვარძლი მე ამარჩევი;
ნამაგარი ძნად შევკარ,
ზვინად მე დამადგმევი...
კვწნეს, რომ ერგოს ყველას სწორად,
და შენ ეს ვერ გაქმნევი, -
არ იქმნა, ჭკუავ, მაღლის გზა
მე შენ ვერ დაგაქნევი.

XII

ამოწვდილს ხმალსა მტრისასა
წინ მიაგებე ფარიო:
ღროზე ნახმარი ფარიცა
იგივე ხმალი არიო.

XIII

პატიოსანთ მტერთა შორის
მოციქული ნამუსია

XIV

გებრალეზოდეს, ნუ ჰრისხავ
კაცს შენზე შურით მწდომსაო!..
კეთილი ფარად უფარე
შენთვის ბოროტის მდომსაო,
მაღლისა წყაროს ასმევდე
ცოდვის გუბეში მდგომსაო.

[1886 წ.]

კითხვა

კარგი რამა ხარ, ჩემო ქვეყანავ,
ლამაზად მორთულ და მოკაზმული;
მაგრამ რამდენადც მშვენიერი ხარ,
იმდენად უფრო მიკვდება გული.

გიმზერ და მზერა კვლავ სწყურიან თვალს,
გისმენ და სმენით ყური ვერ სძლება;
მაგრამ რამდენადც საყვარელი ხარ,
იმდენად უფრო გული მიკვდება.

რა დაგრჩენია კვლავ სანატრელი,
ღვთისგან რა არ გაქვს მომადლებული?!
მაგრამ რამდენადც მაღლით სავსე ხარ,
იმდენად უფრო მიკვდება გული.

ვინ მოგმართოს შენ და წინ არ დახვდეს
შენი სიმდიდრე, შენი უხვება;
მაგრამ რამდენადც მდიდარ-უხვი ხარ,
იმდენად უფრო გული მიკვდება.

მარქვი, რად არის იქ გულთა კდომა,
სად სიცოცხლეა გახარებული,
და რამდენადც შენ ცხოველმყოფელ ხარ,
იმდენად უფრო რად კვდება გული?

პასუხი

- მე სამოთხე ვარ და თქვენ კი, თქვენ კი!...
ვაი, ძე ჩემი ბედკრულ, უძღური!..
იქ თვით სამოთხეც ჯოჯოხეთია,
სად თვის შხამს ანთხევს მტრობა და შური.

საყვარელი ვარ... ჩემს მზიან ჩრდილში
სიყვარულს უნდა თვის ტახტი ედგას, -
და, ვაი, ამის სანაცვლოდ თქვენ კი
ერთმანეთს აყრით კრულვას და წყევლას!..

მაღლით სავსე ვარ და, ვაი, ჩემს შვილს
ეგ მაღლი ჩემი ვერ უშვნევია;
და ან იქ რა ჰქმნას თვით წმინდათ-წმინდამ,
სად ცოდვას მაღლი დაუძლევია?

მე მდიდარი ვარ და თქვენ კი, თქვენ კი...

ლუკმანატრულნი ერთმანეთსა სჭამთ,
მე ტკბილ ცხოვრების წყაროსა გაწვდით
და, ვაი, თქვენ კი ძმა ძმის სისხლსა სვამთ!..

იქ თვით სამოთხის წალკოტი, მდელი
უდაბნოდაა ურგებ-ურწყული,
სადაც არ აბნევს თვის წმინდა ნამსა
სული მართალი და წრფელი გული.

[1894 წ.]

ორხმიანი საახალწლო ოპერეტი

I

გ ი ო რ გ ი წ ე რ ე თ ე ლ ი

მე ვარ და ჩემი ნახატი,
გამთენებელი ღამისა,
ბებერი, მაგრამ მაინცა
თავი ახალის დასისა.

ხ ო რ ო

ბებერსა, სასძლოდ მორთულსა,
უფრთხილდი, მოერიდეო.

II

ზ ო ი ლ ი

ვისაც ვებრძვი, არ მებრძვიან,
მაშ მე ვარ გამარჯვებული.

ხ ო რ ო

ქორი ბუზს არა იკადრებს,
არცა სდევს საჭმლად ნდომითა,
სონდული მუმლის შეპყრობად
ფრთებსა არ გაშლის ზომითა.

III

“ კ ვ ა ლ ი ”

ორი წელია დავდივარ,
ბევრი ვთხზე სხვებზე არაკი,
ბევრსა შემწევდა ამაში
ჩვენი პოეტი აკაკი.

ხ ო რ ო

ბევრი რამ ვიციტ ჩვენ თქვენი
უფროსნი ამოებანი:
ცუდს კაცსა მწე ააზავებს,
მტყუანს - ტყუილი ქებანი.

” კ ვ ა ლ ი ”

გავწმინდე ენა ქართული,
უწყლოსა წყალი ვადინე,
მდიდარი პირქვე დავეცი
და ღარიბი აღვადგინე.

ხ ო რ ო

მკვებარის სიტყვა ზღვა არის,
მღელვარე, კლდისა მცემელი,
არა მდუმარე წვიმისებრ
ნაყოფის გამომცემელი.

” კ ვ ა ლ ი ”

მინდა მაღალი დამდაბლდეს,
ამაღლდეს დამდაბლებული,
მდიდარი წყალმა წაიღოს,
ცხონდეს ლატაკი ვნებული.
ეს მცნება მე ჩემს დროშაზედ
მოქარგვით დამიწერია,
თურმე მის გამო მებრძოდა
მდიდართა ყმა ”ივერია”.

ხ ო რ ო

მაგვარები ბევრს სხვა ცულლუტს
წინადაც დაუწერია,
მაგ საკენკით მხოლოდ მარტო
ბლარტები დაუჭერია.
ეგ ჟღარუნა არა-მცნება
მარტო ბალღთ საცდუნელია,
მაგისტანა მალაყები

არ ახალია, ძველია.

” კ ვ ა ლ ი ”

კიდევ ვიტყვი, მე გავბედე
ღარიბთ სარჩლი, მდიდართ გმობა;
ბედნიერ ვარ: ამით ვპოვე
ახალგაზრდათ თანაგრძნობა!...

ხ ო რ ო

სტყუის!.. ტყუილად ჰქადულობს
ახალთა თანაგრძნობასა,
"კვალის" ჟღარუნზე ვინ მივა,
თუკი კაცია ცნობასა?
ვერ მოტყუვდება ახალი
ამისთანა გუნდრუკთ კმევით,
მის წინ "კვალი" ფონს ვერ გავა
ლაქუცით და კუდის ქნევით.

” კ ვ ა ლ ი ”

სულგრძელება ჩემი იცით,
გზაზე ჩემი მტკიცედ დგომა,
ვერ დამაფრთხობს "ივერიის"
კუტრუში და მაღლა ხტომა...
მე ჩვენს ახალს თაობაში
ვპოვე ღონე ღერმეთელი,
შევკარ დასი, სარდლად მივეც
გეურქ-ალა წერეთელი.
ვერ გამტეხოს "ივერიამ",
ერთსა მცემდეს გინდ ასია...
ჩამოდექით!.. მოზრძანდება
ჩემი მესამე დასია!..

ხ ო რ ო

(ახალგაზრდობას)

ტრელთა ენათა ერიდეთ,
კაცი გიყვარდეთ ცნობილი,
ტრაბახთა ყოლე ნუ უსმენთ,
სიტყვა ნუ გინდათ გმობილი;
ერთბამად ფრინველს ნუ უწოდთ
შავარდენსა და ძერასა,
სჩხრეკავდეთ ყვავთა ჩხავილსა,

ბულბულთა ტკბილსა მდერასა;
ტყუილ ფრაზების რახარუხს,
გულის მართალსა ძგერასა,
ჭკვათამყოფელთა მოძღვრებას,
სულელთა უგვანს ჟღერასა;
თვალსა ქორულებრ მჭვრეტელსა,
”კვალის” ქვეშქვეშა მზერასა...
თვალთხედვის სულ არქონა სჯობს
“კვალის”თვალთხედვით ცქერასა.
კანს ნუ ენდობით, უჩხრიკეთ
ღვიძლი ჭეშმარიტს წერასა,
და ნურას შეუშინდებით
გეურქ წერეთლის ბღვერასა.

IV

ს ი ლ ო ვ ა ნ ხ უ ნ დ ა ძ ე

პოეტი ვარ და არვის სწამს,
ბრძენი ვარ და არვის სჯერა...
აფსუს ჩემი სიბრძნე-ცოდნა,
აფსუს ჩემის ჩანგის ჟღერა!..

ხ ო რ ო

ტყუილად იქადს... ხომ იცით,
ანწლი ვერ მოგცემსთ ყურძენსა;
ბუისგან ნუ გამოელით
ბოლოკარკაზის ბუდესა.

V

ი ლ ი ა ხ ო ნ ე ლ ი

ღმერთად მიმაჩნდა ქართული,
ტაძრად მწერლობა მისიო,
მაგრამ გავექეც: არ მიყვარს
მე ბატონყმობა სხვისიო.
მას აქეთ დავწანწალებდი,
ვერსად დავიდე ბინაო...
საძუე რომ შემომაწყდა,
ეხლა დავბრუნდი შინაო,

ხ ო რ ო

სად გინდ ეგდოს, ვინ რას აქნევს

ნაქაჯსა არცოდნისასა?
მისი მწერლობა კვალსა ჰგავს
ზღვაზედა ნავთმავლისასა,
ბურუსსა ქართ მოკვეთებულს,
ანაზდსა დასავლისასა,
ისტორიულ აბდაუბდას
გიორგი წერეთლისასა,
უმარილო ლექსთა წყობას
პოეტის სილოვნისასა,
კვალდაუჩნეველ ლაქლაქსა,
ნაყოფს წყალთა ნაყვისასა.

VI

”მოამბე”

გვიხაროდენ!.. აწ ხონელი
გაზეთს ”კავკაზს” გაეყარა...
თავისუფლება მიკმია
და ჩემს ჭერს-ქვეშ შეეფარა.
გვიქადის, თუ: - მეც კაცი ვარ,
სხვებზე ნაკლებ არ ჭკვიანი,
ჩემს მერანსაც გადუქნია
გზა მწერლისა ეკლიანი.
დავიჯერეთ, თუმც აქამდე
მის ჭკვა არ გაგვიგონია...
ან რა ექნა? ვით ეჩინა,
რაც მის დღეშიც არ ჰქონია.
აწ იქმნება საახალწლოდ
ღმერთმა ჭკუით დააბერა
და ასწავლა, როგორ უნდა
მართებული თქმა და წერა...
ხონელიდამ ზოილამდე
რალა დიდი მანძილია,
და ვფიქრობთ, ერთად შევყაროთ
ეს ერთმანეთის ჩრდილია.
იქნება ქართველთ მწერლობა
ღმერთმა მათით ააზეოს,
წყვდიადი და ბნელი ჩვენი
გაანათოს, დაამზეოს.

ხ ო რ ო

მე ნუ მომცეს ღმერთმა იგი,
რაც ხონელმა სთესოს, ფარცხოს;
მე იმ პურს ნულარ მაჭმევთ,

რაც ზოილმა გამოაცხოს.
ნუთუ ხონელ-ზოილია
წყალზე გამდები ხიდისა!..
ნუთუ ეს დაგვრჩა სანაცვლოდ
მის იმედისა დიდისა?!..

VII

აკაკი

დავბერდი, დავჩაჩანაკდი,
წვერი შემექნა ჭალარა...
ტყუილს ვინც სჩივის, მართალიც
ჩემი არ სჯერათ, აღარა!
ანტონმაც მე წინ გამიგდო,
გული დასერა, დაჰლარა...
რაცა ხარ, იმას გამხელო,
დაჰკრა ბუკი და ნალარა.
მოვიმკვდარუნე მე თავი,
ვთქვი: აწ იტყვიან რასაო?
ვნახოთ, რა ძამას ჩაიცმენ,
როცა რომ მნახვენ მკვდარხსაო?
ან ვით მაქებ-მადიდებენ
მე ქართველთ ერთგულ ყმასაო?
ან რას ეტყვიან პასუხად
მაგ ჩვენს კოჭლს ანტონასაო?
დავბერდი, დავჩაჩანაკდი,
წვერი შემექნა ჭალარა...
ჩემი მევე ვთქვი ქებანი,
სხვამ რომ არა სთქვა არარა.
ვინც რომ გავკაწრე ბასრ ენით,
აწ აღარ მინდობს, აღარა...
ეხლა ბევრს ვნანობ, - ეს რად ვქმენ,
რალა თქმა უნდა, რალა რა?!

ხორო

გვიანლა ჰნანობს, თუ ჰნანობს,
ამაოდ დაშვრნეს ენანი:
წამხდარს საქმესა რას არგებს
მერმელა თითზე კბენანი?
ნურვინ ემდურის სხვას ვისმე,
სოფელს ეს უდევს წესია:
მთესველი მარტო მას მომკის,
რაც უხნავს და უთესია.
იგი დიდ მანძილს ვერ გავა,

ტყუილ-უბრალოდ ჰშვრებაო,
ვინცა სოროში თავსა ჰყოფს,
კუდი კი გარედ ჰრჩებაო.

VIII

მ ი ხ ე ი ლ მ ა ჩ ა ბ ე ლ ი

მე იგი ვარ, ვინც თიანეთს
გადალახა მთა და გორი...
თავი ყოლა ნუ ჰგონია
ვისმე ჩემი თანასწორი.
საცა გინდათ, მე მგზავნიან,
გზაა მოკლე, თუნდა შორი!..
არვინ უვით ჩემისთანა
გრძლად მეტყველი ორატორი.
ორატორი მას არ ჰქვია,
ვინც სადმე სთქვას ერთი-ორი,
გძელი სიტყვა მოკლედ მოსჭრას
და გაქირდეს, ვითა ჯორი.
ვითა ცხენსა შარა გძელი
და გამოსცდის დიდი რბევა,
მართ აგრეთვე ორატორსა
გძელთა სიტყვათ ცუდად ბნევა,
უპრაგონო ლაპარაკი,
გულში ცემა, ხელთა ქნევა,
არდაღალვა, არ დაქანცვა,
ოფლის წურვა, ოფლის ფრქვევა...
აჩუმებდნენ, არ დაჩუმდეს,
არ დაუწყოს სიტყვამ ლევა...
ნუ გეშინით!.. სტყუის, ვინც სთქვა
მუნჯისაგან ყბედის ძლევა.
მეც ეგრე ვარ, როგორც მხედავთ,
ორატორთა კარგთა სწორი
ვფქვავ, რაც ენას მომადგება -
თუნდ მართალი, თუნდა ჭორი...
არას ვნაღვლობ, თუ რამე ვთქვი
უმზავსო და შორი-შორი,
არა ვტყდები, თუმცა ხშირად
ბურტყლს მადენენ, ვით გნოლს ქორი.

ხ ო რ ო

ეგ ის არის, ვისც პორტფელი
ილლიას ქვეშ მუდამ სჩრია...
არც ბევრი რამ თვითონ არის,

არც პორტფელში რამ უყრია.
ბევრს მეტყველობს, ცოტას ჰფიქრობს,
არ მისდევს ცოდნას, მცნებასა,
და, ვით თვით სთქვა, აჰყოლია
ბურუსში ძაღლის ყეფასა.
რაც გინდ გძლად სთქვას, მაგის თქმულსა
ჰკვიანნი ვერ მიხვდებიან,
თვით არ დაშვრების, მსმენლისა
ყურნი კი დავაღდებიან.

IX

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე

დავბერდი, დავჩაჩანაკდი,
წვერი გამიხდა ჭალარა...
ზოილი აბუჩად მიგდებს,
ხონელი მწყალობს აღარა.
ჩემს ზარმაცობას, არცოდნას
რალა თქმა უნდა, რალა რა...
ამისთვის მარტო ვანოსი
კმარა ბუკი და ნალარა.
დავბერდი, დავჩაჩანაკდი,
თავზე მექცევა ბჭენიო...
ვაიმე ბედკრულს, შემომწყურნენ
მე ძმანი ყიფშიძენიო!..
ეს არ მაკმარა მე ბედმა,
სხვებრ შემიმუსრა ფრთენიო:
აილო და გადამკიდა
მიშო, კაცი რამ ბრძენიო.
დავბერდი, დავჩაჩანაკდი,
აღარ ვარ ჩემსა ნებასა,
ისევ სჯობს სადმე წავიდე,
ბანკში ურგებად გდებასა.
ისევ სჯობს ასე მოვიქცე,
ავყვე მე მიშოს მცნებასა,
ვით იგი აჰყვა თიანეთს
ბურუსში ძაღლის ყეფასა.
დავბერდი, დავჩაჩანაკდი,
წვერი შემექნა ჭალარა...
ერთი მაღონებს, ერთი მკლავს,
მარტო ერთს ვჩივი, სხვას არა,
რომ ვანოს მოძულეებული
მიშოს უნდივარ აღარა!..
მე ამა ჭირმა გამტეხა,

გული დასერა, დაჰღარა.

ხ ო რ ო

ჭირში გატეხა არ უნდა,
თუ კაცი გონიერია,
წავა და ყველგან დარჩება,
ქვეყანა ღონიერია.
ესეც კი ითქმის: კაცსა რა
აუხდეს ნატვრა გულისა,
ხსოვნა არა ჰხამს ჭირისა,
ვით დღისა გარდასულისა.

X

ი ვ ა ნ ე მ ა ჩ ა ბ ე ლ ი

მე საქოჩრიდამ თვალთ მიჩანს,
ჩვეულება მაქვს ბრმისაო,
დავიარები ამ ქვეყნად
ხელით მძებნელი ჭკვისაო.
რაც ხელთ მხვდება, ჭკვა მგონია,
აღარ ვუჩხრეკავ პირსაო...
მათამამებენ, ვთამამობ,
დარდი არა მაქვს სხვისაო.
ერთი რამა მჭირს მხოლოდ მე:
მეტეჩარა მაქვენ ენანი,
ჯერ ვიტყვი ხოლმე, მერე კი
ჩემს ნათქვამს მევე ვინანი.
რა ვუყო? რა ვქნა? მეც ვჩივი,
ენა არ მეკითხებაო:
თუნდ მკითხოს, - ჩვენში კი დარჩეს, -
ბევრს არას გამომრჩებაო.
მაგრამ მაინც იმედია,
თავ-ხედ გასდონ წკირი, ჩხირი,
მეც ფასი მაქვს, ვიდრე კიდევ
ხილად გადის პანტის ჩირი

ხ ო რ ო

ელოდოს, ვიდრე თავ-ხედა
გასდებს ვინმე წკირს ან ჩხირსა,
ღმერთმა ნუ ჰქმნას, დრო მოვიდეს,
ხილად ვხადდეთ პანტის ჩირსა.
მიდის, მოდის ეგ ბატონი,
იბრძვის, შფოთავს, ჰთრთის და ჰღელავს...

თვითც არ იცის, - ცელს რას აქნევს,
რასა სთიბავს, რასა სცელავს?
თუ კაცია, თვის თავს ეტყვის,
რასა ჰქსოვს და რასა სთელავს!..
ამად ვწუნობ ამგვარს კაცსა
სულ ბნელია რასაც ელავს.

XI

ნ . ზ . ც ხ ვ ე დ ა ძ ე

ამას ვამბობ და ვლაღადებ,
ისმინეთ ჩემი თხრობილი:
ნუ არიდებთ შვილს სასწავლოდ,
რა ხელს მოგცემთ უწვრთნი შვილი!..
ქვანიცა ჰყრიან მინდორად
უხმარი და განაწბილი.
ისმინეთ, აი რას ამბობს
პედაგოგია ბრძნობილი:
”ვით ახალ ნორჩი ვაზისა
ხელს მიჰყვეს საფურჩქენელადა,
ეგრედ ახალი მოზარდი
კარგს ოსტატს გასაწვრთნელადა.
სწავლას ნურას დააბრალებთ,
თუ ვერ იქნა შვილი წვრთნილი,
ცემა გმართებთ გამზრდელისა,
რა ყრმა ჰნახოთ ავად ზრდილი”.

ხ ო რ ო

ვითა კლდე-ტინი, მაგრად სდგას
და უძლებს ქართა ქროლასა,
ისე ჰკვიანი სწავლული -
ამა საწუთროს რჩოლასა.
საჭირო არის წვრთნა, სწავლა,
ვითა ფარ-ხმალი ბრძოლასა,
სჯობს ყოლა უწვრთნის ძაღლისა
უწვრთნელის შვილის ყოლასა.

XII

ი . გ ო გ ე ბ ა შ ვ ი ლ ი

ჩემი აწ სცანით ყოველმან,
მას ვაქებ, რაცა მიქია:
დედაენა მიჩნს სახელად,

არ თავი გამიქიქია.
იგია ფუძე ქართველისა,
მაგარი, ვითა ჯიქია...
დედაენითა წვრთნა ყრმისა
მე ბევრჯერ მითქვამს, მიქია.
დედაენა პირველადვე
სიბრძნისაა ერთი დარგი,
ტკბილი ტკბილად გასაგონი,
ყრმათა წვრთნისთვის დიდი მარგი...
მით ზრდას არვინ დამიწუნებს,
თუ კაცია მართლა ვარგი...
სიტყვა სრულად გულსა სწვდება,
დედაენა მით არს კარგი.

ხ ო რ ო

მოგახსენებთ, ეგე სწავლა
ჩვენთვის ყოვლად სოფლად ჰღირდეს,
მაგრამ რა ვქნათ, როგორ გავძლოთ,
როს ჩვენ ჭირი შინვე გვჭირდეს?
როს გიორგი წერეთელი
დედაენას სთხრიდეს, ჰრყვნიდეს
და მაინც კი კადნიერად
მის განწმენდას იქადიდეს?
არ მიიღოს მან შენგან წვრთნა,
არ გისმინოს, ნუ გიკვირდეს:
გონიგრსა მწვრთნელი უყვარს,
უგუნურსა გულსა ჰგმირდეს.

[1894 წლის დამლევს].

* * *

1

რად გვინდა ვინ ხარ, სიდამ ხარ,
ვისი სისხლი, ვისი შვილი?
თვითონ გიცნობთ, რაც კაცი ხარ,
არად უნდა ამას ცილი.
წა, უკუსდეგ, - აი შმაგი,
უმეცარი, შლეგი, წბილი!
შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი,

შაბაშ საქმე შენგან ქმნილი!
უმენოდ ვერ სძლებს "Листок"-ი
ვერც ჯდომას, ვერცა წოლასა;
შენთაგან გაჭრას გიწონებს
და ეშმაკებთან სრბოლასა;
შენთან არავინ ჰკადრულობს
არცა ზავს, არცა ბრძოლასა, -
სჯობს უყოლობა კაცისა
შენისთანისა ყოლასა.

2

ჩემი აწ ესე ნათქვამი
მისი სახე და დარია:
ვითომდა იღვწის ჩვენთვისა,
ჩვენთვის სდის ცრემლთა ღვარია,
ძმობას გვიქადის, ერთობას,
ისმის ზათქი და ზარია,
მაგრამ რა "ღუმას" შეერთვის,
მაშინ ის ჩვენთვის მკვდარია.
ბევრს აქეთ-იქით თავს ახლის,
ჩლუნგია, არა მჭრელია;
რაზომცა ჰნათობს სინათლე,
მისთვის ეგრეცა ბნელია.
ახლებში თავს სდებს, გვატყუებს,
არ ახალია, ძველია,
რაც გინდ რამ ქერქი იცვალოს,
გველი ეგრევე გველია.

3

კალამი რამ უშოვნია -
მით ჰლამობს განვლოს ფონია,
მაგრამ უნარი წერისა
არცა აქვს, არცა ჰქონია;
თავს იქებს, თუმცა მის ქება
სხვისგან არ გაგვიგონია;
ყვავი რა ვარდსა იშოვის,
თავი ბულბული ჰგონია.

[1890-იანი წლები].

აჩრდილი

ვუძღვნი
ივ. პოლტარაცკის და
ილია წინამძღვრიშვილს

”რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს, დაამჟნაროსა,
იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბადნაროსა”.

რუსთაველი.

I

აღმოზრწყინდა მზე დიდებულათა
და განანათლა ქვეყანა ბნელი,
კავკასის მთების წვერთა მაღალთა
ზედ გადაჰფინა ოქროს ნათელი.
აღმოჩნდა მთების ზემოდ მყინვარი,
ცისა და ქვეყნის შუა დაკიდულ,
იგივ დიადი, იგივ მძვინვარი,
იგივ დიდებულ და დადუმებულ.
ქვესკნელთ ძალთაგან იგი მთა მედგრად
ცის გასარღვევად აღმოზიდულა,
მაგრამ მის სრბოლა ცაში უეცრად
თითქო განგებით შეყენებულა.
მისი ყინულით ნაკვეთი თავი
მოირთო მზისა ოქროს სხივებით,
ქვეყანას მშიშარს მის ფრთეთა ზვავი
დასცქერის რისხვით და მუქარებით,
თითქო ელისო განკითხვის დღესა,
რომ იგრიალოს, წამოიქუხოს,
ხმელეთს დაეცეს, მერმედ ქვესკნელსა,
თვითც დაიღუპოს, ისიც დაღუპოს.

II

მაგრამ ისეთი მშვიდი, ნარნარი
იყო იმ დღისა ლამაზი დილა,
რომ თვით მყინვარის რისხვა და ზარი
იმ დილის მადლსა დაემორჩილა.
ქვეყანაც იყო დადუმებული,
თითქო დუმილით ყურს უგდებს ცასა, —
და ცაც უღრუბლო და მხიარული
გადმოაფენდა მადლს ქვეყანასა.
ხოლო კი ჩემი უნდო გონება
არ მოიხიბლა იმ დილითაცა...
“ნუ გჯერსო, — მითხრა, — ეს მყუდროება,
სტყუისო ზეცაც და ქვეყანაცა!
ამგვარი დილა ქვეყანას ბედკრულს

ბევრჯერ სხვა დროსაც გასთენებია,
მაგრამ არც ერთხელ მის გულსა ვნებულს
მადლი ცისა არ მიჰკარებია.
სულ ტყუილია, რასაც ეხლა ჰგონობ...
ქვეყნის დრტვინვაა დაუძინარი,—
ღრმად ჩააკვირდი მის დუმილს და სცნობ,—
თვით მაგ დუმილში რა წყევლა არი!..”

III

ბოლოს კი დილის სიტკბოებამა
მეც განმიფანტა ეჭვთა ღრუბელი
და ყოვლად მხსნელმა სასოებამა
მომცა ნუგეში მაცხოვრებელი.
ვსთქვი, თუ: სადაც ცა ეგრე მჭვირვალეbs,
ღამე ესეთის დილით თენდება,
სადც მზის ნათელი ეგრე ბარწყინვალეbs,
იქ ძალუმს კაცსაც ბედნიერება.
ამა ნუგეშით აღძრული სული
აღმევსო ნელის სიხარულითა,
ეჭვთაგან წინად გვემული გული
განცხოვლდა წმიდის სიყვარულითა;
გარდმომევილნა ყოვლად შემძლები
ქვეყნისა ამის სიკეთის რწმენა,
აღმიფრთოვანა მან ოცნებები
და განმიწმინდა ხედვა და სმენა.
თვალთ ჩემთ განშორდა თითქო სიბნელე
ხედვად უცნაურთ სახილველისა,
მოეხსნა ყურთა თითქო სიძნელე
სმენად ბუნების მეტყველებისა.
მეწვივნენ იგი უცხო ხილვანი,
სავსენი ლხენით, ნეტარებითა,
რომელთაც წარაქვთ კაცთ გულისთქმანი
საიდუმლობის მაცდურებითა.

IV

და მომევილნა მე კაცი დიდი,
მყინვარზედ მდგომი მოხუცებული;
ვითა ქვეყანა, ისც იყო მშვიდი, —
უძრავი, უხმო, დაფიქრებული.
მარჯვენა ხელით ეჩრდილნა თვალნი,
ყურადღებითა შორს გაჰყურებდა,
მის გარეშემო შვენოდნენ მთანი

და მათ ფეხთა ქვეშ თერგიც გაჰყევდა.
თერგი მრისხანე, თერგი მბდღვინვარე
ქაფისა ზვირთთა მიაქანებდა.
ვით შმაგი ლომი დაჭრილი, ცხარე,
ჰრბოდა, ჰბლაოდა, მიღრიალებდა,
სჭექდა და ჰქუხდა... კლდენი და მთანი,
თვის მაშფოთარ შვილს გადმოჰყურებდნენ
და მის ბლავილთან მათი ყრუ ხმანი
ხეობაშია მგზავრს აშინებდნენ.
იქით, შორს, სჩანდნენ მინდორნი, ტყენი,
და იმათ შორის — არაგვიც ჩვენი...

V

ჩვენო არაგვო! რა რიგ მიყვარხარ!...
ქართველის ცხოვრების მოწამედ შენ ხარ...
შენს კიდებზედ ჩემი მამული
იყო ერთ დროსა გამშვენებული!
ჩემის მამულის დიდება ძველი
შენს წმინდა თვალწინ აღყვავებულა,
მიყვარხარ მისთვის, რომე ქართველი
აქ — შენს კიდებზედ დაბადებულა.
შენ ზვირთებ შორის ჩემის ქვეყნისა
გრძელი მოთხრობა დამარხულია
და წმინდა სისხლი ქართველებისა
შენს კიდებზედ გადასხმულია.
იქ, სადაც შენსა ძლიერსა წყალსა
შეურევ მღვრიეს და მდოვრსა მტკვარსა,
იქ ერთხელ ქართველთ სიცოცხლე ჰდუღდა,
იქ მამულისთვის ქართველთ ხმა ჰქუხდა.
შენს ზვირთებს გაჰყვენენ საუკუნენი
და საუკუნეთ — იგი ქართველნი!..
გულხელთ დაკრეფით შენსა წმინდა წყალს
რამდენჯერ ტანჯვით ვადევნებდი თვალს!...
რას ვეძებდი მე? ჩემ ქვეყნის წარსულს,
შენ წინ დაღუპულს ჩემს ძველსა მამულს, —
და მარტო სისხლი ჩემს თვალს დაღალულს
აძლევდა ხოლმე გულსაკვდავ პასუხს.

VI

მაგრამ საკუთრად არცა არაგვმა,
არც თერგმა, არც ტყემ და არცა მთამა
არ მიიზიდა მოხუცის თვალი,

მთიდამ ამაყად გადმომზირალი.
სრულ საქართველო მოჩანდა შორსა...
იგი მოხუცი მას დააცქერდა;
ქვეყნის მარგალიტს მაგა ობოლსა,
სიყვარულითა იგი დამზერდა.
— საიდამა ხარ, რამ მოგავლინა,
ჰოი, საკვირველო კაცო, მითხარი?
რათ დაგიგდია შენ შენი ბინა
და ამა მთაზედ რისთვის ხარ მდგარი?
და, რა ვსთქვი ესა, მსწრაფლვე მომესმა
იმა მოხუცის დიდებული ხმა:

VII

“მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა!..
მე ვარო შენი თანამდევი, უკვდავი სული.
შენთა შვილთ სისხლით გული სრულად გარდამებანა,
ამ გულში მე მაქვს შენი აწმყო, შენი წარსული.
მეცა ვტანჯულვარ, ჰე ბედკრულო, შენის ტანჯვითა,
შენისა ცრემლით თვალნი ჩემნი მიტირებია,
მეც წარტყვევნილვარ წარსულთ დღეთა შენთა ნატვრითა,
შენის აწმყოთი სული, გული დამწყლულეზია.
წარვლილთა დღეთა შენთა მახსოვს დიდებულეზა,
ვიცი, რომ იყავ ერთხელ შენცა მორჭმულ-ძლიერი,
შენცა გფენია ქვეყნის მადლი — თავისუფლეზა,
ეხლა აღგვილა ყველა ესე, ვითარცა მტვერი...
და ძესა შენსა დღეს არც კი სწამს შენი აღდგენა,
განწირულების შთასდგომია მას გულში წყლული,
მას დაჰკარგვია ტანჯვათ შორის შენდამი რწმენა
და დაუგდიხარ, ვით ტადარი გაუქმებული.
ვიდრე ძე შენი არ გაიკვლევს ზოგადს ცხოვრებას
და, მცნების ნათლით ზეაღზიდულ, ამაღლებული,
ქკვით არ განსჭვრიტავს საზოგადო ცხოვრების დენას,
იმ დრომდე იგი, უიმედო, შეწუხებული,
უქმისა დრტვინვით, გულის წვითა მწარე ცრემლს დაღვრის,
მაგრამ არ ირწმენს, წამებულო, შენს აღდგენასა
და იგი ცრემლი ურწმენობის, ეჭვის და ტანჯვის
ჰლაღადებს მხოლოდ ძისა შენის უძღურებასა.

VIII

“აქ არვის — დიდსა თუ პატარასა —
ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული,

დაჰვიწყებია, რომ ქვეყნად ცასა
ღვთად მოუცია მარტო მამული;
დაჰვიწყებია, რომ დიდი არი
ღვთისა წინაშე იგი ცხოვრება,
რომელიც ქვეყნის წვითა დამწვარი
ქვეყანასავე შეეწირება.
წმინდაა იგი, ვისაც ეღირსა
მამულისათვის თავის დადება!..
ნეტა იმ ვაჟკაცს, ნეტა იმ გმირსა,
ის თავის ხალხში აღარ მოჰკვდება.
მას განაცოცხლებს სიმღერა ხალხთა,
შორს საუკუნეთ ეტყვის მის სახელს,
და არა ერთხელ ჭაბუკთა ყრმათა
ხლმის ტარზედ ძლიერს აუთრთოლებს ხელს.
იმ სიმღერას რა ისმენს მხცოვანი,
სიბერის ჟამსა კვლავ მოიფონებს,
გმირის სიკვდილი სახელოვანი
ახლად ცხოვრებას მას მოანდომებს;
აკვანზედ დედა უმღერებს შვილსა
ტკბილისა ხმითა იმ სიმღერასა,
და თუ ინატრებს რასმეს მისთვისა, —
ინატრებს გმირის მის დიდებასა;
და უფრო ხშირად იმღერს ქალწული,
გმირს მოიგონებს და გამხნევდება; —
ყოველი იმღერს და სხვა მორჭმული
გმირი იმ მღერით დაიბადება.

IX

“მაგრამ, ქართველნო, სად არის გმირი,
რომელსაც ვეძებ, რომლისთვისც ვსტირი?
იგი აღარ გყავთ... მის მოედანი
ჯაგით აღვსილა, ვერანად ქმნილა,
გმირის დამბადი დიდი საგანი
თქვენში სპობილა და წაწყმედილა.
გადასდგომიხართ თქვენ ქართველობას,
დაგინგრევიათ დიდი მამული, —
რალა დაჰზადავს თქვენში დიდს გრძნობას?
რითი აღტკინდეს ქველისთვის გული?
თქვენ გარს მადლითა სავსეს ბუნებას
შეუკრებნია ყოველიფერი.
რომ მისცეს თქვენში ზრდა დიდს ცხოვრებას,
ჰყოს იგი ძლიერ და ბედნიერი.
ვიმ, ეს ქვეყანა, ხმელეთის თვალი,
დიდის სამოთხის კუთხე პატარა,
ქედმოდრეკილა ნალვლით საწყალი,

რომ მისი ტრფობა თქვენში შემწყდარა;
რომ დაგიგდიათ უმწედ, უნუგემ,
თქვენის სიავით დაწყლულეზულა,
თქვენგან გმობილი, უცხოს კალთის ქვეშ,
ვითა ობოლი, შეფარეზულა.

X

“ზოლო აქაც კი ვრდომილთ შორისა
ღვთის ნაპერწკალი ზოგჯერა ჰკრთების,
ქვეყნის წარხდომას გული ზოგისა
შეებრძვის და არ ემორჩილების;
მაგრამა ლალვა, შური და მტრობა
იმ ზოგთა შორისც ღრმად ჩანერგულა,
ამა ჭირთაგან მათი მხნეობა
აღძვრისა უმაღ გაცუდებულა.
აგერ ორ-სამს კაცს რაღაც უგრძენიათ,
ქვეყნისა სახსრად ერთად მოდიან,
ერთის საქმისთვის გაუღვიძნიათ
და ერთმანეთს კი არ ენდობიან.
ერთმანეთისა მათ სიკეთე ჰშურთ,
თუმც ერთისათვის თითქო იღწვიან;
თვით ამხოზენ მას, რის აღდგენაც ჰსურთ,
თვით ჰშველიან მას, რასაც ებრძვიან.

XI

“აგერ უფალი და მისი მონა!¹
თრთოლით სასწორზედ ხარჯს უწონს ძნელსა
და, რა დაჰსწორდა სასწორზედ წონა,
უფალი პინას ზედ ადგამს ფეხსა
და მით მის ხარჯსა ერთსა ორად ჰხდის...
მონამ მწუხარედ გულს გაიღვიძა,
უმწეობითა თავის ხარჯსა ჰზრდის
და საწყლის თვალთგან ცრემლმა იწვიძა.
მაგრამ ქვა არის ბატონის გული,
ვერ დაარბილებს მას შებრალება;
ვერა გაჰკურნოს მან მონის წყლული,
ვინც მონებას თვით ემორჩილება.
მონა ბედშავი, მონა საწყალი
სდგას, ევედრება მის თვალი შვეებას,
და გულში ჰფიქრობს: ვიშ, ჩემი ბრალი!

¹ ეს იმ დროს ეკუთვნის, როცა ჩვენში ჯერ ბატონყმობა გადავარდნილი არ იყო.

რით შევძლებ შვილთა ჩემთ გამოკვებას?
ვიშ, ჩემი ოფლი, მათთვის დაღვრილი,
ნაყოფი, იმა ოფლით გაზრდილი,
დღედაღამ ჩემი უწყვეტი შრომა,
დარში, ავდარში ცის ქვეშე დგომა,
ვაი, ვაგლახი, ჭირნახულობა,
თმენა, ცდა, სიმხნე და უძილობა —
მარტო ბატონის თვალსა ახარებს
და თქვენ, ცოლ-შვილო, კი არას გარგებს.
ვაიმე, ბედკრულს რაღა დამრჩება,
რომ გავახარო ცოლ-შვილის თვალი?..
ვინა შრომობდა და ვინა ჰძღვება,
ღმერთო, სად არის აქ სამართალი?!..

XII

“შენში კაცისას გრძნობას არ ხედვენ,
დედას ძუძუდგან შვილსა აჰგლეჯენ,
ვინ იცის, სიდამ სად გაჰყიდიან...
უწმინდურისა ხელითა სთხრიან
დედისა გულში უკეთესს გრძნობას, —
ცოდვად უთვლიან შვილისა ტრფობას.
თუ ღმერთმა მისცა შენსა ასულსა
სილამაზე და მშვენიერება, —
მონავ ჩაგრულო, ვითამ შენს გულსა
სასიხარულოდ ეგე ექმნება?
ქალს წაგართმევენ, ქალს გაჰყიდიან,
ნამუსს მოუკვლენ შეუბრალებლად
უბრყვილო გულში ღვარძლს ჩაასხმიან,
გახდიან ყვავილს ფეხ ქვეშ სათრევლად.
უმანკო პირზე შენს ტურფას ქალსა
გარყვნა დაასვამს საზარო დაღსა...
მას, რაც გიყვარდა, ნახავ დაცემულს,
ნამუსწართმეულს და შეგინებულს!..
პირს უკუიქცევ და შეძრწუნდები,
ცრემლს მოინდომებ და არ გექმნება,
წყევლით, ვაებით მას განშორდები
და ქალი შენი შენ შეგზარდება, —
და მაშინ იტყვი: ნეტავი გველად,
გველის წიწილად მე მომცემოდი,
რომ ქვეყნის ქელვად, ქვეყნის სათრევლად
შენ, შვილო ჩემო არ გამხდომოდი.

XIII

“შრომისა შვილო, მძიმე უღელი
ქვეყნის ცოდვისა შენ გაწევს კისრად,
თუმცა ტვირთმძიმეთ შემწყნარებელი
შენის დახსნისთვის ჯვარს ეცვა ქვეყნად;
თუმცა ქვეყანას მისი მოძღვრება
დღეს მარტო სიტყვით უქმით რწმენია,
მაგრამ ცხადად ჰხმობს მის წმინდა მცნება,
რომ მყოობადი მარტო შენია.
შრომა, აწ ქვეყნად ტყვედა პყრობილი,
მძარცველობის ქვეშ ჩაგრულ-ვნებულა,
ხოლო რღვეულა მისი ბორკილი
და დასამსხვრევად გამზადებულა.
შრომისა ახსნა — ეგ არის ტვირთი
ძლევა მოსილის ამ საუკუნის,
კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი
მაგ ახსნისათვის მედგრადა იბრძვის.
ველარ განუძლებს ქვეყანა ძველი
განახლებისა გრიგალის ქროლვას,
ველარ განუძლებს ქვეყნის მძარცველი
ჭეშმარიტებით აღძრულსა ბრძოლას, —
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,
და ახალს ნერგზედ ახლად შობილი
ესე ქვეყანა კვლავ აღყვავდების.

XIV

“შრომის სუფევა მოვა მაშინა
ჭეშმარიტების მის ძლიერებით
და განმტკიდება სოფელსა შინა
კაცთმოყვარების სახიერებით.
ყველასთვის იქმნეს იგი სუფევა
თანასწორადა ნიჭთა მფენელი;
მის მაღლით წარწყმდეს ძარცვა და რბევა
და ერთგან სძოვდეს ცხვარი და მგელი.
მაშინ უქმ სიტყვად არ იქმნებიან
ძმობა, ერთობა, თავისუფლება,
ეკლის გვირგვინით აღარ ივლიან
კაცთმოყვარება და სათნოება.
აღლო აილო ქვეყანამ ძველმა,
რომ დღედადღე მის წყობა ირღვევა.
და ამ ზვიადმა საუკუნემა
უნდა შვას იგი შრომის სუფევა.

მაშინ, მაშვრალო, შენც განკაცდები,
წართმეულთ ნიჭთა კვლავ მოიპოვებ,
სხვას ძირს არ დასწევ, თვით აღმალდეები,
არც ვის ემონვი და არც იმონებ.
მაშინ ეგე ხმა შენის სიმღერის,
დაბლად ღულუნნი დაღონებული,
მღერა, ვით კვნესა საწყალის მეხრის,
შორი ხმა მწყემსის დაობლებული —
მხიარულ ხმებად გარდაგეცვლების
და შენს გუთანზედ გულით ლმობილი
იტყვი სიმღერას თავისუფლების.
ეგ სიმღერაა, ვით ლოცვა ტკბილი!..
მინდორნი, ტყენი, ნახნავნი, ველნი
შენის ლხენითა განიხარებენ,
შენგან შემკულნი იგი ყოველნი
შენს ტკბილს სიმღერას ბანს გამოსცემენ.

XV

“აგერ დიდკაცი დარბაისელი
კმაყოფილების განცხრომაშია
მაშინ, როს მისი მოძმე საწყალი
სასოწარკვეთილ მონებაშია.
მოძმეთა ხსნისთვის თავისდადება
წმინდა მხვედრია მხოლოდა გმირთა
და მას ვით შესძლებს თავმოყვარება,
რომელიც იმა დიდკაცთა სჭირთა?
ის რად ინდომებს ქვეყნისა ბედსა,
როს მასა შველის მის ბედკრულება?
რად შეებრძვის ის სიბოროტესა,
როს მეოხებით მისით თვით ჰრჩება?
აგერ ვაჭარიც ცბიერის ღიმით
მოძმეთ ატყუებს, რა ჰყიდის ნივთსა,
და ძმა მის მოკვდეს თუნდა შიმშილით,
უნაღვლოდ განვლის ცხოვრების ხიდსა.
აგერა მღვდელნიც — ერთა მამანი —
რომელთ ქრისტესგან ვალად სდებიათ
ამა ერისა სულის აღზრდანი,
რარიგ გულ-ხელი დაუკრებიან!
სად არის სიტყვა დიდის სწავლისა,
სიყვარულის და სამართალისა,
რომ მათ ბაგეთგან არ მომდინარებს
და ერს დაცემულს არ აღამალლებს?
სად არის იგი, მღალადებელი
ქვეყნის ხსნისათვის ჭემმარიტება?

სად არის იგი, ბიწის მდევნელი
ჯვარცმულის ღმერთის მაღალი მცნება?

XVI

“აგერ ტფილისიც!.. ყრმასაც და ბერსაც,
ქალსა მახინჯსაც და მშვენიერსაც,
დიდსა, პატარას, თავადსა, გლეხსა
მე უხილავი ყურსა ვუგდებდი,
მაგრამ კი, ვფიცავ ქართველის სახელსა,
მათს აზრში აზრსა მე ვერ ვპოვებდი.
ერთგზით შეჰხედავ და იქ ცხოვრება
მართალ ცხოვრებად მოგეჩვენება:
ჰლხინობენ კიდეც, კიდეც ჰხარობენ,
ჰფიქრობენ, ჰგრძნობენ და ჰმოქმედობენ,
ჰხედავ ფაცაფუცს და ყველგან ჟღივილს,
უბედურ ცრემლთან ბედნიერს ღიმილს, —
მაგრამ მათ ცრემლსა, ღიმილს თუ გრძნობას,
ჰმუნვას, სიხარულს თუ მოქმედობას,
ფრჩხილის ოდენიც არა აქვს აზრი
და ყველა იგი თვალთმაქცი არი.
ფუჭია იგი მისი ცხოვრება,
უფერულია და ცალიერი,
არც სიცოცხლეა, არც გემოვნება,
არცა საგანი გულწარმტაცველი!
იქ დღე ჰრბის დღესა, ვით ჰრბოდა გუმინ,
ერთნაირად და უგემურადა, —
რისთვისც მამანი იღვწოდნენ უწინ,
დღეს შვილთ არ უღირთ არც ერთ ფლურადა.
გრძნობას ოქროსა ფასად ჰყიდიან,
მთავრის ღიმილზე — პატეოსნებას,
და დაჟანგებულ ბორკილზე სცვლიან
თავის მამულის თავისუფლებას.

XVII

“აგერა მცხეთაც — სავანე გმირთა,
დიდი აკლდამა დიდის ცხოვრების,
სად პირველ ქართველის მორჭმულთა შვილთა
ღრმად ჩარგეს ძირი თავისუფლების;
სადაც ჰყვაოდა ხე ცხოვრებისა,
ქართველის გულიდამ აღმოცენილი,
და წყარო იგი წყაროდ შვებისა
სჩქეფდა იმ გულით გარდმოდენილი;

სად ის ხე ნამვის მის სუნნელისა²
ჰყვოდა ქართველის წყლულთა კურნებად
და მის ქვეშ წყარო უკვდავებისა
სცემდა იაზმას ერის ცხოვრებად;
სად იმ ხის წმინდის ფოთოლი, ხილი
საკვდავადც დაჭრილს ეკურნებოდა;
სად იმა წყაროს წყლით დაბანილი
ქართველის ტკივილი დაყუჩდებოდა.
აწ აღარა სჩქევს წყარო ცხოველი,
ხე ცხოვრებისაც იგი დამჭკნარა
და იგი დედაქალაქი ვრცელი
აწ სამიკიტნო დაბად გამხდარა.
ნგრეულან მისნი დიდნი პალატნი,
დიდი ცხოვრება მის დაცემულა,
დღეს იმ ცხოვრების წმინდა ალაგნი
პირუტყვთა ქელვითა შეგინებულა.

XVIII

“ქართველის სამკვიდროვ, ქვეყნის თვალად დაბადებულო,
რამდენს ვაებას შენსა თავზედ გარდაუვლია!..
ჯვარცმულის ღვთისთვის თვით ჯვარცმულო და წამებულო,
ეკლიანს გზაზედ შენებრ სხვასა რომელს უვლია?
სხვა რომელია, რომ ათასთ წელთ ბრძოლა მედგარი
გამოევლოს და სრულიად მტვრად არ აღგვილიყოს?
შენ ხარ, მარტო შენ!.. მაგალითი სხვა არსად არი,
რომ სხვა ქვეყანას, სხვასა ერსა ეგ შესძლებიყოს.
შენთა შვილთ გული შენთა მტერთა შეაკლეს ზედა,
ორი ათასის წლის ბრძოლაში მათ სისხლი ჰღვარეს,
მაგრამ ამაყი თვისი თავი ქვეყანაზედა
არავის წინა სამუდამოდ არ მოიხარეს.
ორი რამ იყო, რისთვისაც ძე შენი იღვწოდა, —
ბედმა უწყალომ სხვა საქმისთვის არ მოაცალა, —
მამულისა და რჯულისათვის იგი იბრძოდა,
ორივ დაიცვა, მაგრამ ყველა მათ ანაცვალა.

XIX

“თვალწინა მიდგა ის კირთების ბედშავნი დღენი,
როს შენ დაგიპყრო მაკედონის გმირის ლაშქარმა
და შეგირყია დიდ ცხოვრების სამკვიდრო ბჭენი

² ამ ნამვის ხეზედ თქმულობა იხილეთ ვახუშტის გეოგრაფიაში.

შენმა მოძულემ და მოლაღემ უცხო მთავარმა.
სძულდა ქვეყანა, რომელიც მას ეპყრა ხელთა,
სძულდა თვით ერიც, მის სიკეთე, ნიჭიერება...
ვერა, ვერ ჰმართონ ვერსად ერი იმა მმართველთა,
ვისც არ აქვთ ერის სიყვარული და შეწყნარება.
ერის მჩაგვრელი, ქვეყნის მთხრელი იგი მმართველი
მთელს საქართველოს თვის ფერხთა ქვეშ მჩვარებ ჰქელვიდა,
ერის იმედის, სასოების, ნიჭის მმუსრველი
თვით ერის ენას — მაგ ერის განძს — იგი სდევნიდა.
სმაგდა ყოველი, რაშიც იყო ერის ღირსება,
რაშიაც ერი თვისთა ნიჭთა იყო მსახველი,
რაშიაც იყო მის დიდება, პატიოსნება,
რისთვისაც დაშვრა მამა-პაპის გული და ხელი.
მას ჰმორჩილებდა ერი შენი მძულვარებითა,
დევნულების და კირთების ქვეშ თავსა იხრიდა,
და მონებურის თვალთმომქცევის კრძალულებითა
ზღვევისა წადილს გულდაკეპით დღედაღამ ჰზრდიდა.

XX

“მოვიდა ის დღეც შურისგებისა,
მტარვალს აღუდგა ქართველის ქველობა...
მართალი არის ხმალი ზღვევისა,
როს ხელს ჰკიდებს მას მამულის ტრფობა.
მახსოვს ფარნავაზ ჰაეროვანი,
გულმტკივნეული შვილი ქვეყნისა...
მან იღვა თავსა სახელოვანი
ის დიდი საქმე შურისგებისა.
ერის და ქვეყნის შეურაცხყოფას
ვეღარ გაუძლო ჭაბუკმა გმირმა,
ვეღარ გაუძლო მტარვალთ ურცხვობას
იმა მამულის ამაყმა შვილმა.
გადგა და დასცა თავზარი მტერსა,
დაამხო პირქვე ყმობა, მონება,
და უცხოთ ხელთქვეშ დაჩაგრულს ერსა,
ვით მზე, მოჰფინა თავისუფლება, —
და შენ, ჰე, ქართლო მტრისგან რღვეული
კვლავ შეგაერთა ერთის ცხოვრებით,
ქართველის სახელი დამცირებული
კვლავ შეჰმოსა მან პატიოსნებით.

XXI

“მას აქეთია, ქართლო, შენს შვილსა
არ ჩაუგია ქარქაშში ხმალი...

შენზედ მოიქცა ძველის ქვეყნისა
გაუმაძღარი და ხარბი თვალი.
მას აქეთია ოთხკუთხივ მტერნი
შენს თავსა შენვე გეცილებოდნენ,
მაგრამ ვაჟკაცნი შვილები შენნი
გულდაგულ მტერსა წინ უდგებოდნენ.
იყო დრო, რომ შენს ძახილზედ, ხმაზედ
მამულის დროშა გაიშლებოდა
და ჭაბუკთ რაზმი შენს მოწვევაზედ
მტრის დასახვედრად მოგროვდებოდა.
იყო დრო, როცა შენის გულისთვის
თვითონ სიკვდილსაც ლხინად ჰხადოდნენ
და თავდადებას მამულისათვის
ერთმანეთს ომში ეცილებოდნენ.
ეხლა რაღაა!.. გაჰქრნენ ის დღენი,
გაჰქრა იგიცა ძალგულოვნება,
და საკვირველნი მამათ საქმენი
ეხლანდელ შენს შვილს არც აგონდება.

XXII - XXIII

.....

XXIV

«წამხდარა ყველა, ის ღონე და ის ძლიერება,
მტვრად გარდაქმნილა ახოვანი იგი ცხოვრება,
აწ იგი თითქო თვის დენაში შეყენებულა...
ხოლო ოდესღაც მოდენილა თვის ფართო გზაზედ,
ბევრჯერ უსაგნოდ, ბევრჯერ აზრით აღელვებულა...
ქართველის ტკივილი ყოველთვის კი სჩნევია მას ზედ.
დენილა იგი ტანჯვათ შორის და სიამეთა,
ხან დაცემულა და მიმქრალა, ხან აღდგომილა,
ხან შური, მტრობა, ერთურთ ლალვა სთხრიდა კიდეთა,
რომელთ შორისაც ის ცხოვრება მძლავრი ჰშობილა.
მაშინ გათხრილნი ის კიდენი მთლად დარღვეულან,
ძლიერნი ზვირთნი იმ ცხოვრების აღქაფებულნი
სხვადასხვა ტოტად გადმოსულან, გადაგდებულან,
დაუნთქავთ შრომა, წინაპართა სისხლითა რწყულნი.
როდისღა ვნახავ მშვენიერსა ამ ქვეყანასა
თვისთა დიდების ნაშთსა ზედა კვლავცა აღმდგარსა,
დროსთან დანთქმულსა სხვადასხვათა კავშირთა ბრძოლას,
ერთის ცხოვრების, ერთის სულის ძლიერსა ქროლას?»

როს ესე ტოტნი ერთ ცხოვრების, ერთ არსებისა,
ეხლა გაყრილნი, ერთ მდინარედ შეერთდებიან?
როს იგი ტომნი ცად მიღწეულ მძლავრ კავკასისა
ერთისა აზრით, ერთის ფიქრით განდიდდებიან?
თავისუფლების მშვენიერის სხივით მხურვალეობა
როდის დაადნობს დაჟანგებულს დიდ ხნის ბორკილსა
და ქართველობა სიქადულად როდის ექმნება
ქვეყნის წინაშე ყოველ ქართველის ერთგულსა შვილსა?”

XXV

ამ დროს ქუხილმა დაიგრიალა,
გრგვინვა დაიწყო მისმა ხმამ მთებში,
ცაზედ ელვამა გაიპკრიალა
და გაანათა მდინარე ხევში.
ცას გადაედვნენ შავნი ღრუბელნი,
ნისლში შთაცვივდნენ მთანი და ველნი;
ქარმა დაჰღმუვა ხევ-ხუვსა, მთებსა,
ბუქი სვეტსავით აატრიალა,
რისხვითა ჰგლეჯდა კლდესა და ღრესა
ზვავმაც მაღლიდამ დაიგრიალა, —
და მყის ბუნების მშვიდი დუმილი
ზნელ ჯოჯოხეთად გადიქცევოდა,
წყალი და ცეცხლი, მეხი, ქუხილი
ერთმანეთშია აირევოდა.
მაშინ შევხედე მყინვარსა მძლავრსა...
დიდხანს ვეძებდი იქ მოხუცს კაცსა,
მაგრამ შავისა ღრუბლისა სისქეს
ვერ გაატანა თვალმა უძლურმა...
“ნუთუ გათავდა ამით ხილვა ეს!” —
შემომტირა მე მწუხარე გულმა.
მცირეს ხანს შემდეგ გადიწმინდა ცა,
გამოილიმა ნათლად მთამაცა
და მზისა სხივით გაბრწყინვებული
კვლავ დავინახე მოხუცებული.
ცისკენ აღეპყრნა თრთოლითა ხელნი
და მოედრიკნა მუხლნი ძლიერნი...
თურმე მოხუცი ის ჰლოცულობდა
და ღმერთსა ესრედ ევედრებოდა:

XXVI

“დედავ ღვთისაო! ეს ქვეყანა შენი მხვედრია...
შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულს ხალხსა;

სადმართოდ მიიღე სისხლი, რომელ ამ ხალხს უღვრია,
ჩაგრულთ სასოო, ნუ არიდებ მოწყალე თვალსა!

რაცა ტანჯულა ეს ქვეყანა, ტანჯვად ეყოფა,
მოეცი ძალი დავრდომილსა კვლავ აღდგომისა,
სახელოვანი განუახლე წარსულთ დღეთ ყოფა,
მამაპაპური სული, გული მოჰმადლე შვილსა.

ძლიერო ღმერთო! შენთვის ჰბრძოდნენ ქართველისა ძენი,
დასაბამითვე არ იციან, რა არს მშვიდობა...

იკმარე სამდართოდ მათ პატიჟნი და სისხლის ძღვენი,
თუ რამ შეგცოდეს, — შეისყიდეს ტანჯვით შენდობა.

მოჰმადლე ქართველს ქართველის ნდობა და სიყვარული
და აღუდგინე მშვენიერი ესე მამული!..

ჰოი, სახიერო! ცისარტყელა განავლე ცასა,

რათა წარღვნისა მოლოდინი წარხოცო ხალხსა!...”

XXVII

მსწრაფლ გადმოეშო ცისა ლაჟვარდსა

შვიდფეროვანი სარტყელი ცისა

და გადეფინა ჩემს ქვეყანასა

მახარობელად ტკბილ იმედისა.

ამენტო გრძნობა მადლითა ცეცხლებრ,

ერთს ფიქრს მიეცა გულისთქმა ყველა,

და მაშინ ვიგრძენ, რომ მშვენი მისებრ

ჯერ არ მენახა მე ცისარტყელა.

[26 იანვარს, 1859-სა წ.,

პეტერბურგი, - 1872 წ., დუშეთი].

ქართველის დედა

(სცენა მომავალ ცხოვრებიდან)

გაგვიძელ, ბერო მინდიავ,

მუხლი მაიბი მგლისაო,

გაიყოლიე უმცროსნი,

ვისაც თავი აქვს ცდისაო.

ხ ა ლ ხ უ რ ი ს ი მ ღ ე რ ა .

ვუძღვნი

პ ე ტ რ ე ნ ა კ ა შ ი ძ ე ს

აჰა, იმ დროთგან ერთი სახე ამოღებული,
რომელნიც ერთად გვინატრია უცხოეთში ჩვენ,
რომელთ იმედი, ღვთიურ სხივით გაბრწყინებული,
დღესაც გულში გვაქვს მტკიცე რჯულად, ძმაო, მე და შენ.

მყობადს ავხადე ერთი კუთხე დიდის ფარდისა
და ეს ვიხილე, — მომიტევე მე სითამამე...
ეს არს ნაყოფი აწმყოსაგან შობილ დარდისა,—
ამით მამართლე, მიიღე და ნუ გამკიცხავ მე.

(სცენად არის ოთახი, რომლის ფანჯრებიც ქუჩას გადაჰყურებენ, ერთ მხრივ ტახტზედ ლოგინში წევს სნეული, ძალიან მისუსტებული და მოხუცებული დედა)

დედა

თუმცა სიცოცხლე სნეულთათვის წვალეზა არი,
მაგრამ, ჰე ღმერთო, გმადლობ, ამ დღეს რომ შემასწარი
და აქამომდე არ მოჰკვეთე ჩემი ცხოვრება:
ჩემი მამული, საქართველო, დღეს მიცოცხლდება!
ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს,
კასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდინა ერთს ფიქრსა ჰფიქრობს, —
და ეგ ფიქრია მთელ კავკასის თავისუფლება!..
დიდია ხალხი, როს ეს გრძნობა წინ წარუძღვება!
ერთი შვილი მყავს, საყვარელი და სანატრელი,
იგია მარტო თავის დედის ნუგეშმცემელი,
იგია ჩემი სიცოცხლეი და სიხარული,
იმითი მიდგა უძღურს ტანში უძღური სული,
ჩემის სიბერის მისაყრდომად ისლა მშთენია,—
მაგრამ მამულო, წაიყვანე, დღეს ის შენია...

(შეწუხებული ჩაფიქრდება და მცირეს ხანს შემდეგ იტყვის)

ის დღეა დღეს, რომ მამულს ვუძღვნა ძის სიყვარული,
ან ძეს შევწირო საყვარელი დიდი მამული...
ამ ორის გრძნობის ბრძოლა გულმა ვით გადიხადოს?
ძის სიყვარული, თუ მამულის, — რომელი დასთმოს?..
ეჰა, ამ დღისთვის გაგიზარდე, მამულო, შვილი,
სიცოცხლე მივეც, რომ შეიძლოს შენთვის სიკვდილი...
დედისერთა მყავს, მაგრამ შენთვის მე მას ვშორდები.
ვინ იცის, შვილო, რომელს ველზედ მტრისგან მოჰკვდები?
დამტირებელი დედა ახლოს არ გეყოლება,
ძის ცხარე ცრემლი სისხლიანს მკერდს არ გეპკურება,
დედისა ხელით ვერ შეიხვევ განგმირულს გულსა
და ეგრედ შენს თავს მტლად დაუდებ შენსა მამულსა!..
შენს სიკვდილშია ჩემი ვაიც და ნეტარებაც,

მისთვის რომ მე ვარ დედა შენიც და ქართველის დედაც:
ვით დედა შენი იმ სიკვდილით შენით ვივაებ,
ვით ქართველის დედა ვინეტარებ და ვისახელებ.

(ჩაფიქრდება და მცირეს ხანს შემდეგ)

თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი,
შენ ხარ ჩაგრულის, წვალებულის წმინდა საფარი,
შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა,
შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა.
მტარვალთა თქმითა ოდითვე ხარ შენ აკრძალული,
ხე ცნობადისა, ედემს რგული, შენი ხე იყო;
მაგრამ სამოთხეც, ყოველისფრით აღსავსე, სრული,
პირველ კაცთათვის უშენოდა არარა იყო.
რა განიცადეს იმათ შენთა მადლთა უხვება,
მსწრაფლ აღვიარეს, ჰოი, ღმერთავ თაყვანებითა,
მსწრაფლ მოგიპოვეს: ფასად მისცეს თვის უკვდავება
და სამოთხეც სთმეს სრულის მისის ნეტარებითა.
ეგრედ ნაშოვნნი რად წაგვერთვი მოსავთა შენთა?
რალად ჰღვრის დღესაც შენთვის სისხლსა ადამიანი?
რად შეიღებე კაცის სისხლით საშიშრად ჩვენდა
და რისთვის დახვალ ამა ქვეყნად პირსისხლიანი?
თვით ხარ მშვიდობა, უხვად მადლთა ქვეყნად მომფენი,
მაგრამ სისხლით კი იკვლევს გზასა მძებნელი შენი!
რად არ შენდება უსისხლოდა მისი ტაძარი,
მისი, რომელიც თვით მშვიდობის ღვთაება არი?..

შვილი

(შემოდის გახარებული)

მოვიდა ჩვენი სანატრელი, დედავ, ამბავი:
ჩვენი ქვეყანა, საქართველო, გაღვიძებულა,
მთელი კავკასი, მტერზედ რისხვით აღმომქშინავი,
ერთისა აზრით, ერთის გრძნობით აღელვებულა.
მომილოცნია!.. გაგვითენდა ძლივს ბნელი ღამე!..
მაგრამ შენ სწუხარ, თითქო ამ თქმით მე ვერ გაამე.

დედა

მე ვწუხვარ მარტო მასზედ, რომე ჩემს სიბერესა
სანუგეშებლად მხოლოდ ერთი მოეცა შვილი,
მე ვწუხვარ მასზედ, რომ ჩემს მამულს ამ ნეტარ დღესა
მხოლოდლა ერთი შეაკვდება ჩემგან შობილი.
ვაი, რომ ჩემის სიცოცხლისა მზე მაშინ ჩადის,
როცა ამოდის ჩემის ქვეყნის მზეი დიადი!...
ვაი, რომ ბინდი დღეთა ჩემთა სიკვდილს მიქადის,

როს ჩემის ხალხის დიდებისა სჩანს განთიადი!
ამაზედ ვწუხვარ... მაგრამ ამას რაღა ეშველოს?
ღმერთს მარტო ერთს ვსთხოვ, მკვდარი დედა ძემ ასახელოს.

შვილი

როგორ? მეც მგზავნი საომრად, დედისერთასა,
რომ თავი დავსდო მამულისა ჩვენის სახსნელად?

დედა

სულზედა დიდი ცოდვა უნდა ედვას დედასა,
რომ შვილი ამ დროს არ გაჰგზავნოს ძმათა საშველად...
ღმერთმა გვაშოროს, შვილო, ჩემო, იმა სირცხვილსა,
რომ შენ შინ იჯდე, ოდეს სხვანი იხოცებიან,
ვინც მამულისთვის არ იმეტებს თავისა შვილსა,
მას შვილი თვისი, ჩემო კარგო, არ ჰყვარებიან...
ვაჟკაცად იყავ, — ჩემი თხოვნა არის მხოლოდ ეს.

შვილი

არასდროს არა მყვარებიხარ ისე, როგორც დღეს,
შენ, დედაჩემო!.. რასაც მნუკავ, აღვისრულდება...
შენგან შობილი შვილი განა მხდალად მოკვდება?!

(ისმის გარედგან ჯარების ხმაურობა, შვილი ფანჯარას მივარდაბა)

დედა

(თავის-თავად)

არ იცი, შვილო, როგორ მიღირს მე ეს სიტყვები,
და ვერც შეიტყობ მაგას ჩემგან, ისე მოკვდება...
იმ დრომდე სულსა დანაშთენსა ღონეს მოვუკრებ,
ვიდრე საომრად, შვილო, ჩემო, შენ გაგისტუმრებ,
რომე სიკვდილმა ჩემმა უცებ არ დაგაბრკოლოს, —
და მერე კი, ვგრძნობ: ბედი ჩემი მომიღებს ბოლოს.

(ისმის ჯარების სიმღერა ორ-პირად)

“ქართველო, ხელი ხმაღს იკარ,
დღე გათენდა დიდებისა,
თოფ-იარაღი აისხი,
დრო მოდის გამარჯვებისა.

მამულის დახსნის დღე არის,
ქვეყანა გვნუკავს შველასა,

თავისუფლების შოვნაი
სჯობს საშოვნელსა ყველასა.

მამულის დამხსნელს ვაჟკაცის
ხმალი და გული სდომია,
ვაჟკაცის გამომჩენელიც
მტერთან გულდაგულ ომია.

თავისუფლების მშოვნელი
ამ ქვეყნად მარტო თოფია,
შინ უღლით გაქნილს მშვიდობას
ომში სისხლის ღვრა სჯობია!

მაშ, მამულს თავი შევსწიროთ
საშველად, გამოსახსნელად,
თუ მისთვის დავიხოცებით,
ჩვენ ის გვეყოფა სახელად.

ქართველო, ხელი ხმალს იკარ,
დღე გათენდა დიდებისა,
თოფ-იარაღი აისხი,
დრო მოდის გამარჯვებისა!,,

(ქუჩიდამ ისმის დედაკაცების და სოფლის პატარა
ბიჭების ძახილი: "ჯარს გაუმარჯოს, ჯარს გაუმარჯოს",
ისმის კიჟინა და ხმაურობა)

დედა
(აღელვებული)

მიმიყვა, შვილო, დამანახვე ქვეყნისა მხსნელნი,
რომ მით დავიტკბო დღენი ჩემნი უკანასკნელნი.

შვილი
(ჩამოიყვანს ლოგინიდან დედას, შეუჯდება მხრებში და
მიიყვანს ფანჯარასთან)

შეხე, დედილო, ამ განწირულ ყმაწვილკაცობას,
ისე მიდიან სასიკვდილოდ, როგორც დღეობას.

(დედა, რა დაინახავს ჯარს, ცრემლს ვერ იმაგრებს და სტირის)

შეხედე, ხალხი რა რიგ ლოცვით ჯარსა აცილებს,
დიდი, პატარა მხიარულობს, შენ რა გატირებს?

დედა

ღმერთმა კურთხევა დიდ საქმეში წინ წაგიმძღვართ!
ჩვენ კი, დედებმა, ღვთის წინ უნდა ცრემლები ვღვართ,
რომ ჩვენ შეგვასწროს — მამულისთვის თავდადებულნი
კიდევ ვიხილოთ შინ მოსულნი, გამარჯვებულნი.
მიმიყვა შვილო, ლოგინთანვე, მუხლი მეჭრება.

(შვილს დედა უკანვე მიჰყავს)

ვიამე, შვილო, რამდენს დედა აუტირდება,
როს ვედარ ნახავს თავის შვილსა უკანვე მოსულს!..

შვილი

რა ვუყოთ, თუ კი სხვა გზით შველა არა აქვს მამულს!

(ამ დროს ერთი ცხენოსანი მოადგება ფანჯარას და
გარედამ იძახის)

ცხენოსანი

კიაზო, წამო!..რადას იცდი, გვიგვიანდება,
დრო საშურია...ჩვენს ძმებს ჩვენით მშველი აკლდება.

შვილი

აჰა, მოვდივარ! აბა, დედი, მოიეც გული!
ჩემგან — მეომარს, შენგან — შვილსა ითხოვს მამული.

(დედა გადაეხვევა შვილს და გულზედ მიიკრავს)

მშვიდობით, დედი! შენ ჩემზედა ნუ დაღონდები,
ცოცხალი მოვალ, თუ არა და ისე მოგკვდები,
რომ ჩემს სიცოცხლეს ამჯობინო ჩემი სიკვდილი...
ნუ სტირი, დედი!.. გზადა ვდგევარ, დამლოცე შვილი.

დედა

ვაი შენს დედას!.. მოვიდა დრო განშორებისა
და გული მიმდის... უძლოურია გული დედისა...
მაგრამ ნუ სწუხარ... გადამივლის... შვილო, მშორდები?!
ვაი თუ მოკვდე და ვისგანღა დავიტირები?..

(სტირის და უფრო მაგრად გულზედ მიიკრავს შვილს. მერე
უეცრად ხელს ანებებს და ზარდაცემულსავით თვალში თვალს

უყრის და მცირეს ხანს ამ ყოფით არის).

დედა

დედა არ გიყვარს, დედა შენი მოხუცებული?

შვილი
(გაოცებით)

მერე, რო მიყვარს?

დედა
(ძლივს ბედავს თქმას)

მასთან დარჩი!

შვილი

მერე — მამული?

დედა
(თითქო ეხლა გაახსენდაო)

მართლა, მამული!.. იგი უფრო საყვარელია,
მაშ წადი, შვილო!.. ღმერთი იყოს შენი მხსნელია...
მაგრამ, ვიშ! მე რომ უშენოდა მართო მოვკვდები,
ვილა დამმარხავს?.. წადი... წადი...ნუ გვიანდები.

შვილი

ეჰა, მამულო! შენის ტრფობის ძალსა ღვთიურსა
რა დაუდგება? კლდის სიმაგრეს აძლევე უძლურსა...
ოდეს შენდამი სიყვარული დაიძვრის გულში,
დედაც კი შვილის სიყვარულს ჰკლავს შენს სიყვარულში!
რა სხივოსანი შენი შუქი აღმოზრწყინდება
კაცისა გულში, ყველა გრძნობა მასშია ჰქრება,
ვითა მზის შუქში უმცირესი მნათობი ცისა,
ვითა ზღვაშია დაცემული წვეთი წვიმისა.
მშვიდობით, დედი! ძნელი არის შენი დათმობა,
მაგრამ უფრორე ძნელი არის მამულის გმობა.

(შვილი გადის)

დედა
(ღონემიხდილი გადიქცევა ლოგინზედ და სულთმოზრმავე ამბობს)

ვიამე, შვილო!.. შენს წასვლასთან მიქრება ალი

ჩემი სიცოცხლის... უშენოდა ძნელია ყოფნა...
დიდხანს ებრძოდა შვილის ტრფობას მამულის ვალი.
ვალმა აჯობა, მაგრამ ძვირად დამიჯდა ჯობნა.
სულიც ამომდის... არ ყოფილა ძნელი სიკვდილი,
როცა შენ შენი აღასრულე... მამული... შვილი!..

(კვდება)

[14 ივლისსა, 1860 წელსა, პავლოვსკი, -
1871 წელსა, 18-სა მარტსა].

რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან

მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები,
მიღწვიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები.

შოთა რუსთაველი.

სამშობლოს ცასა ბნელად გაშლილი
მწუხრის ზეწარი გადაეფარა
და მთვარის შუქზედ მთებისა ჩრდილი
ალაზნის ველზედ წამოიხარა.
ლამის გუმაგი, მუდამ მჭმუნავი,
მთვარე მეფურად მძლავრად ვიდოდა,
მთებისა ყინვით ნაკვეთი თავი
იმის სხივებთან მუსაიფობდა.
შორნი მნათობნი მოკამკამენი
იმ მწუხარს ღამეს მხიარულობდნენ,
მდუმარს ქვეყანას, ვით საყვარელნი,
სხივებს ესროდნენ, ზედ დაჰხაროდნენ.
და იმ მნათობთა სხივის ალერსით
ველს მშვენიერსა ჩასძინებოდა,
მხოლოდ ნიავი მთისა მოლხენით
ტყეში ფოთლებთან ლაზღანდარობდა.
და ალაზანი შეუპოვარი
ჰჩიოდა, თითქო კაცს ემდუროდა,
მის ბუტბუტს მარტო მთაი მდუმარი
დაფიქრებული ყურს მიუპყრობდა.
ყველას ეძინა, დღით ჰფეთქავს რაცა,
თითქო დადლილა მიწაც და ცაცა!..

მხოლოდ კი ერთგან ურემი მძიმე
მიჭრიალებდა, გზას აღვიძებდა,
და ნაღვლიანად მასზედ მეურმე
მწუხარს სიმღერას დაჰლულუნებდა.

ღულუნი იგი ჩამრჩენია გულს,
მწუხარე არის, ვით გლოვის ზარი,
მაგრამ თუ ნაღველს მოჰბერს დაჩაგრულს,
უკუჰყრის კიდევ ვით ღრუბელს ქარი.

მიდის ურემი და უეცრად
ვიღაცამ ტყივად ასკუპა ცხენი,
მოვარდა იგი ურემს მედგრად,
მჭმუნვარე სახის ამაყად მჩენი.

— ვერ მიმასწავლებ კუდიგორის გზას? —
ჰკითხა თამამად მან მეურმესა.

— რატომ ვერ, ძამო! აგერ აიმ მთას
მარჯვნივ აუხვევ და გახვალ ხევსა,
ერთი საურმე გზა დაგიხვდება;
იმ გზას დაადეგ, წადი, — და როცა
ცხვირწამოწვდილი მთა შეგეყრება,
ის მთა იქნება კუდიგორაცა.

იქ რა გინდა შენ? — ჰკითხა მან ბოლოს,
როს გაათავა გზისა სწავლება: —
იქ საფრთხე რამე არ დაგემართოს,
ბლაჭიაშვილი იქ იმყოფება.

მე როგორც ვხედავ, შენც კი გაქვს მკლავი,
ბევრს შენს ტოლს ბიჭს არ დაუვარდები,
მაგრამ მაინც თუ გებრალვის თავი,
ბლაჭიაშვილს ნუ დაენახვები,
ნურც დაანახვებ შენს ქურანს ცხენსა,
თორემ ის ბიჭი განანებს ბევრსა!
მალთა, როგორც ხირიმის ტყვია,
და ტყვიასავით დაუნდობელი;
თუ სისხლი ჰმართებს, ისა სჯობია,
შეარჩინო და აიღო ხელი.

— შენ ფიქრი ნუ გაქვს!.. მეც იმას ვეძებ,
მეც მისებრ, ძამო, მიღრინავს გული;
როგორც ის ცხოვრობს, ისე ვიცხოვრებ
ამ დღიდგან თავზედ ხელაღებული! —

და, რა სთქვა ესა, მოხდენით ცხენი
მოსხლიტა უცებ ლაზათიანმა;
გაფრინდა ცხენიც, ვით შავარდენი,
და მის ფეხის ხმას ხმა მოსცა მთამა.

თითქო შენატრდა იმას მეურმე,
“ახ, ნეტავი შენ!” — წაიდუდუნა
და, გაიქნივა რა თავი მერმე,
შურით ხარს შოლტი გაუტყლაშუნა.

და მერმე ისევ უფრო მწუხარედ
თვისი სიმღერა დაიღულუნა.

კუდიგორასთან ერთი ტყე არი, —
უწინ ყაჩაღის იყო საფარი, —
საშიში, ბნელი, გულდახურული,
შეუვალი დ წამობურული.
იქა ჰცხოვრებდა ბლაჭიაშვილი
კაკო, ყაჩაღად გამოვარდნილი.

მთვარე ჩასული იყო დიდხნისა,
როცა იმ ტყეში, ერთ ხის ძირასა,
ფრთხილად ეძინა ბლაჭიაშვილსა,
ბედისაგან მწარედ განაწირალსა.
მის შორიახლო ლამაზი ცხენი
კაზმმოუხდელი სძოვდა ბალახსა,
და მას ფოთოლნიც მოშრიალენი
ხშირად უფრთხოვდნენ მოსვენებასა.
უეცრად შეჰკრთა, აცქვიტა ყურნი,
თავი აიღო და გაიხედა;
მერე ტირილით იწყო ფრუტუნი
და ერთს ალაგსა ზედ დააცქერდა;
დიდხანს უცქერდა და, რა მოესმა
თავისის მოძმის ცხენის ფეხის ხმა,
ვერ მოითმინა, დაიხვიხვინა
და პატრონს ძილი დააფრთხოვინა.
წამოხტა კაკო ლომივით ზეზე,
თოფი მოზიდა და შეაყენა
და, რა იხილა მხედარი ველზე,
შეჰკვივლა: “მითხარ ვინა ხარ შენა?
რისთვის მოსულხარ, — მოყვრად თუ მტრადა?”

მხედარი

— მოყვრად, გულფიცხო, იყავ მშვიდადა.

კაკო

— თუ მოყვარე ხარ, მაშ გამარჯობა!
კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა.

მხედარი

— ამინ!..შენ არ ხარ ბლაჭიაშვილი?

კაკო

— დიაღ! გახლავარ!..რა გნებავს შენა?

მხედარი

— შენთან სიცოცხლე, შენთან სიკვდილი,
შენთან ყოფნა და შენთან დარჩენა.

კაკო

— მომწონს ეგ სიტყვა... შენც მომეწონე
და ამისთვისაც გენდობი შენა.

მხედარი

— გულს გული იცნობს და ღონეს— ღონე,
მენდე, გაგიყო ჭირი და ლხენა.

კაკო

— ხომ-გელდი, ძმაო!.. მე ვარ მდიდარი,
ამ ტყეში მარტო მე მაქვს მეფობა;
გაშლითა არის ჩემი სახლ-კარი,
და ვერას მაკლებს აქამდინ მტრობა.
ყოველ ხის ძირას ჩემი სახლია,
სადც მილამდება, იქ მითენდება;
თუმცა ბევრი რამ მე აქ მაკლია,
მაგრამ აქ ჭირიც მიადვილდება...
უსახლკარობა, შიში, შიმშილი,
მარტოკა გდება მხეცივით ტყეში,
ყურდღელსავითა ფხიზელი ძილი
და იარალი დღედაღამ ხელში, —
მართალია, ძმავ, კაცს მოსწყინდება
ძუნწი ცხოვრება ეს დასაღონი,
მაგრამ იქ ყველა გვიადვილდება,
სადაც ჩვენვე ვართ ჩვენი ბატონი!..
მე თანა მყვანან რკინისა ძმები:
ჩემი სიათა, დამბაჩა, ხმალი...
არც მიმტყუნებენ, არც ვემტყუნები,
მინამ მაქვს მკლავი თავისუფალი.
ეს ცხენიც, ძამო, ჩემთან შეზდილა,
მოუდრეკია, როგორც რომ ჟინი;
ჩემთან საფრთხეში ბევრჯერ ყოფილა,
გამოუვლია ჭირი და ლხინი.
ამათ მივანდე ჩემი ცხოვრება!
არ აიყრიან გულსა ჩემზედა,
და კაკოც ისე არ გაძუნწდება,
რომ არ დააკვდეს ერთგულებს ზედა,

ჩემი სიმდიდრე აი ეს არი!..
ჩემს სამეფოში არ არის გმობა,
თუმც ორგულთან ვარ დაუნდობარი,
მაგრამ ერთგულთან მეც ვიცი ძმობა.
ჩამოხედ, ბინას გაჩვენებ წამო!
ღარიბულადა მე დაგიხვდები,
და ნუ დამძრახავ ყაჩაღსა, ძამო,
თუ მასპინძლად ვერ მოგეწონები.

მხედარი მყისვე გადმოხტა მარდად
და წამოჰყარა აღვირი ცხენსა;
ჩამოუჭიმა ყურები მაგრად
და თვალზედ მზრუნველს უსვამდა ხელსა.
მოჰხსნა ნაბადი, ჩაკრული უკან,
ხურჯინიც სავსე გადმოიღო მან,
მერე გადაჰკრა ხელი გავაზედ
და მყის გაიგდო ცხენი ბალახზედ.
შემდეგ მოვიდა იგი სტუმარი,
კაკოს პირდაპირ დადგა მდუმარი.
მათ ერთმანეთი თვალით გაზომეს,
და მოეწონნენ ორნივ ერთმანეთს.
მივიდნენ წყნარად და ხის ძირს დასხდნენ,
მდუმარედ იყვნენ ორნივ დიდხანად,
ერთმანეთს თითქო კიდევ შინჯავდნენ,
ბოლოს კი კაკომ უთხრა თამამად:
— ვიცი მე, ძამო, არ გამიწყრები
და არ დამძრახავ მეტ კითხვისთვინა
მითხარ, საიღამ გემცნაურები?
ჩემთან მოსვლა რამ გაგაბედვინა?

მხედარი

— შენი გაცნობა არ არის ძნელი,
ამაზედ რაღა ვილაპარაკო,
შორს გავარდნილა შენი სახელი,
ბავშვმაც კი იცის, ვინ არის “კაკო”!
შენზედ მოუბნობს კაცი და ქალი,
ვისაც ენა აქვს, შენ ყველა გაქებს?
შენი ამბავი, ეხლა მართალი,
ზღაპრად მიუვა ჩვენს შვილიშვილებს.
შენზედ ამბობენ, რომ ხარ მამაცი,
გამოჰქცევიხარ უსამართლობას,
ამბობენ, თურმე გიყვარს გლეხკაცი,
ბარაქალა მაგ გულკეთილობას!..
რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს,
ეგ ვერაფერი სიყვარულია, —
სიტყვა ის არის, კაცს ის უყვარდეს,

ვინც ბედისაგან დაჩაგრულია!
მარტო არსენას, თუ გახსოვს შენა,
გლებკაცი, როგორც ძმა ჰყვარებია,
გლებკაცის ბედი, ჭირი და ლხენა
შვილსავით კალთით უტარებია.
აბა, კაციცა ისა ყოფილა
და ქუდიც იმას, ძმავ, ჰზურებია!
ნეტავ იმ დედას, ვისგანც გაზრდილა
და ვისაც ძუძუ უწოვებია!..
მისებრი შვილი, ბევრიც ინატროს,
ეხლანდელ დედამ ველარ გაზარდოს...
ჯერ არ მენახე, მაგრამ გიცნობდი,
შენი ცხოვრება მენატრებოდა;
შენთან წამოსვლას ბევრჯერ ვფიქრობდი,
მაგრამ სახლ-კარი მენანებოდა,
ბოლოს კი, ძამო, გამიწყრა ღმერთი,
დამიტრიალდა უკუღმა ბედი!..
ყური მომიგდე, გეტყვი ყველაფერს,
რაც გადამკიდა მწუხარებამა
და, როგორც ერთ დროს ბედის მადლიერს,
გზა დამიხლართა ბედისწერამა!
მაშინ თორმეტი წლისა ვიყავი,
როცა ბატონმა სახლს მომაშორა.
წამსვე ძროხაში მე მიკრეს თავი,
ჩემს სახლ-კარიდან გამაგდეს შორა.
ჯერ კი დავლონდი, დაჩაგრდა გული,
ყოფნა უმშობლოდ მეძნელებოდა...
სხვები ჰლხინობდნენ, და მე კი ლული
ცრემლისა თვალზედ არა მშრებოდა.
პატარა ჩემი ამხანაგები
ჩემ გულჩვილობას იქ დასცინოდნენ,
დავიწყებოდათ თავის დარდები,
როცა ისინიც ჩემებრ სტიროდნენ!..
მეც კი მრცხვენოდა ჩემის ცრემლისა, —
ჩემს ამხანაგებს გავექცევოდი,
მივუჯდებოდი ერთ ბუჩქის ძირსა
და იქ მარტოკა დიდხანს ვტიროდი.
მაგრამ ღრუბელმა გადაიარა,
თან გადიტანა ჩემი ნალველი;
პატარა გულმა გამოიდარა
და შეუბრუნა ნალველსა ხელი.
ჩემს ყოფას მალე შევეჩვიე მე,
კიდევ ვლხინობდი, კიდევ ვმღეროდი,
ჩემს სახლ-კარზედა არც დღე, არც ღამე
აღარ ვფიქრობდი, არ ვლონდებოდი.
ძამო! რა ტკბილად, არ უდარდელად

ჩემი დღეები იქ მიდიოდნენ!..
არარა მქონდა იქ საფიქრელად,
ჩემი მოძმენი არ მამალებდნენ.
ძროხას ვუვლიდით ჩვენ ერთგულადა,
გავიზიარეთ ყველამა საქმე
და რიგ-რიგადა ყველა ძმურადა
ვყარაულობდით ძროხასა ღამე.
რაკი მთას იქით მზე დაწვებოდა
და გაეკვროდა ვარსკვლავი ცასა,
გაშლილი ძროხა მოგროვდებოდა
და დავიწყებდით ყველანი თვლასა.
და დავაბამდით რაკი ძროხასა,
ტყის პირს ერთს დიდ ცეცხლს გავაჩაღებდით
და მოვიტანდით ჩვენ ჩვენს საგზალსა,
ცეცხლსა გარშამო მოვუსხდებოდით.
ჩვენი ხუმრობა, მღერა, სიცილი,
ხეზედა მძინარ ფრინველს აფრთხოზად;
მოგვერეოდა თუ მერე ძილი,
ერთი ჩვენგანი ზღაპარს იტყოდა.
რაკი ტრედისფრად ცა ინათებდა
და შორს ცისკარი კამკამს იწყობდა,
მეძროხე ვინმე დაგვიძახებდა
და დილის ტკბილსა ძილს დაგვიფრთხოზდა.
ავიშლებოდით და ჩვენის ხმითა
მკვდარი მთა-ბარი გაცოცხლდებოდა,
და თავის ძროხას ყველა ზღაზვნითა
ასაშვებლად მიესევოდა.
ზოგი აქ მიდის თექამოსხმული
და მიიფშვნეტავს ზარმაცად თვალსა,
სხვა იქ მიიმღერს დაღონებული
და ერეკება თავის ძროხასა;
და ერთს წუთს უკან ძროხა ბღავილით
გაიშლებოდა ფართო მინდორზედ...
და ჩვენ კი ხტომით, მღერით, ძახილით
მოვგროვდებოდით მთის ცივ წყაროზედ:
პირს დავიბანდით, ძილს დავიფრთხოზდით,
მთის წყაროს წყლითა გავგრილდებოდით,
ვხტოდით, ვიძახდით, ვლაზღანდარობდით
და ზეზეურად დავნაყრდებოდით;
მერე ვმართავდით თამაშობასა:
ხან ქვას ვისროდით, ხან ბურთსა მაღლა,
და შუადღისა გოლვისა ჟამსა
ჩამოვრეკავდით ძროხასა დაბლა;
ალაზანშია ვყრიდით ძროხასა,
თან ჩავყვებოდით უკანაც ჩვენა...
ბევრიც სხვა ახსოვს ჩემ ბიჭობასა,

მაგრამ სად არის ეხლა ის ლხენა?!..
საღამოს ჟამზედ ისევ იმრიგად
ცეცხლსა ანთებულს მოვუსხდებოდით
და ისევ ზღაპარს გლეხურს მორიგად
თითოსა მაინც ყველა ვიტყოდით.

ის ზღაპრები მე გულს მიღონებდნენ
და აქამდინა დამრჩნენ ხსოვნაში,
ძველებურს დროსა შემაყვარებდნენ
იმ ჩემ მხიარულ ყმაწვილობაში.
ეჰ, მარტო ერთი იმ ზღაპებისა
ღვიძლ დედასავით მე შემეთვისა!
ის მე ბევრს რასმე გულს ჩამძახებდა,
ხან მომაღხენდა, ხან მაღონებდა...
არსენა ჩვენი, ის მხნე არსენა,
ჩვენამდინ, ძამო, ზღაპრად მოსული,
ის იყო ჩემი ჯავრი და ლხენა,
ის იყო ჩემი გული და სული.

ეგრედ გონება ხალისიანი
არსენას ამბით მე მეზრდებოდა;
მიყვარდა მე ის კეთილდღიანი
და არსენობა მენატრებოდა.
ეგრედ მინდორზედ, ძმაო, ვყვავოდი
ჩემს ბიჭობაში შეუპოვარი,
ჩემს სახლ-კარზედა არა ვდარდობდი,
შინაურობის არ მქონდა ჯავრი!
მე ჯერედ ვიყავ პაწაწკინტელა
და მაღლიერი ჩემ კეთილ დღისა
და მე მეგონა, რომ ჩემებრ ყველა
მაღლიერია თავის ბედისა.

მე მამა მყვანდა მხნე კაცი, მარჯვე,
დაუღლელი და ბეჯითი, გამრჯე;
თუმცა ხელმარტო ის ცოდვილობდა,
ჩვენ კაცებშია ბევრი არ სჯობდა.
იმ დალოცვილსა ვერვინ ასწრობდა
ვერც ხვნას, ვერც თესვას და ვერცა მკასა;
ღმერთიცა მართლა უხვად სწყალობდა
და წყალობითა უვსებდა სახლსა.
ეგრე იქმნება მუდამ, მეგონა,
მაღლიერად და უნაღვლოდ მამა,
მაგრამ კი ბოლოს ის დააღონა,
მწარედ უმტყუვნა ბედისწერამა...
შენც, ძამო, ვიცე, გაგიგონია,
ყმის ბედი რარიგ სწრაფად იცვლება!
თუ ყმასა გუშინ ბედი ჰქონია,
არ იჯერებს, რომ დღესაც ექმნება.
ჩვენი წადილი, ჩვენი იმედი

ყოველთვის, ძამო, არის საფრთხეში,
გლახკაცის და ყმის ლიტონი ბედი
ვერა, ვერ გასძლებს ბატონის ხელში...

დრო გადიოდა და თან მოჰქონდა
მამიჩემისა უბედურობა,
მამა თანდათან მიბერდებოდა,
ბოლოს წაერთო საწყალს მხნეობა!..
თუმცა კი შერჩა წადილი ძველი,
შრომის სურვილი იმ უბედურსა,
მაგრამ არც ღონე და აღარც წელი
აღარ მოსდევდა დროგარდასრულსა.
საბრალო მამა ჰხედავდა ცხადად,
რომ რამდენადაც ღონე აკლდება,
ოჯახი უკან მიდის იმდენად
და სახლ-კარიცა სულ ეღუპება.
იმ სიბერესთან იმ უბედურსა
ერთი სხვა ჭირიც ზედ გამოება
და შეეყარა საწყალს, უძლურსა
გამუდმებული ციებ-ცხელება.
ეგრეა, ძამო, კაცის ბედი,
ის უკუღმართი, უღმრთო, წამწყმედი,
თუ ერთხელ ღერძი გადუბრუნდება,
სულ უკუღმართად დატრიალდება!

მაშინ შევიქენ მეც ოცის წლისა...
კვებნით არ ვიტყვი, ბევრ ჩემ ტოლს ვჯობდი;
კარგად შემემძლო მოვლა სახლისა,
თუ გულს-მოდგინედ მივეშველოდი.
მაგრამ მე კიდევ ბატონსა ვყვანდი,
შინ არ მითხოვდა, არ მეშვებოდა,
მე იქ სხვისთვისა ჩემს თავს ვლუპავდი,
შინ კი ოჯახი მეღუპებოდა.

ერთხელ გამხდარი, გაყვითლებული,
ილაჯნაწყვეტი სნეულებითა,
საწყალი მამა მოხუცებული
ეახლა ბატონს თხოვნით, ხვეწნითა.

მხეცი რამ იყო ბატონი ჩვენი,
ერთი აჯამი, გულქვა, რეგვენი,
იმას კაცებრი გული არ ჰქონდა,
რომ მამაჩემი შეჰბრალებოდა.
რა გავაგრძელო, თავადის-შვილი
კარგი რა არის, ავი რა იყოს?!
და მამაჩემი გულმოწყვეტილი
იახლა ამგვარს უხამსსა ბატონს.

— შენი ჭირიმე, — უთხრა, — ბატონო,
სახლს ვერ გავუველ მე მარტოხელი...
დამითმე შვილი... არ დამაღონო,

არ დამიღუპო ოჯახი ძველი.

ბატონი

— რაო, რას ბოდავ?

მამა

— შენს სადღეგრძელოდ
ოღონდ ზაქარა შინ დაითხოვე,
რომ უკან წასულს ოჯახს ვუშველოთ,
და მერე თუნდა ჩიტის რძე გვთხოვე.
კულუხს, კოდის პურს, გადასახადსა
ერთი-ორადა მოგართმევთ შენა;
თუ დავაყენებთ ფეხზედ ოჯახსა,
არ გავექცევით სამსახურს ჩვენა.

ბატონი

— ეგ რომ არ იყოს, გაექცევოდი
შენ ჩემს სამსახურს, ჩემს ბრძანებასა?
ქოფაკო!.. ნუთუ მაგას ჰფიქრობდი,
რომ მიბედავდი ემაგის თქმასა?

მამა

— არა მქონია მაგის ფიქრი მე,
შენი რისხვაცა არ გამიწყრება...
მაგრამ მიბრძანე, შენი ჭირიმე,
რით გემსახურო, რაც არ მექმნება?
ღმერთი ხომ ჰხედავს, მე დავსწეულდი,
ღონე, ილაჯი გამიწყდა სრულებ...
მარტო ვერას ვიქმ, მთლად დავუძღვრდი,
თორემ ჩემს შვილზედ არ შეგაწუხებ.
მინამ შემეძლო, სახლს ვინახავდი,
არც ღონე მშურდა და არცა ძალა,
დღედაღამ ოფლსა მე ვიწურავდი,
მაგრამ ეხლა დრო გამომეცვალა;
აწ არაქათი გამიწყდა სრულად,
უდროდ დავბერდი, ჯანი წამერთო,
ვეღარა ვუვლი ოჯახს ერთგულად,
თუმცა კი მინდა, ხომ ჰხედავ, ღმერთო!..
ოჯახი ეხლა მეღუპება მე,
კაი ოჯახი, კაი სახლ-კარი!..
ნუ! ნუ დაღუპავ, შენი კვნესამე,
მინამ პატრონი ცოცხალი არი.

სიყრმით ჩამიკლავს მამულში თავი,
მანდ დამიღლია ძარღვი და მკლავი,
გამომიზრდია ჩემის ოფლითა,
ვაი-ვაგლახით, წვით და დაგვითა.
მძიმე უღელი მე მიწევია
ჩემის სახლ-კარის და ოჯახისთვის,
ამდენი ჯაფა გამიწევია
ნუთუ, ბატონო, ამ შავის დღისთვის,
რომ უდროო-დროდ, ადრე და მალე
მევე დავმარხო ჩემი გაზრდილი?
ნუ იქ მაგასა, შენ გენაცვალე,
ნუ მიზამ მაგას, დამითმე შვილი!

ბატონი

— მერე მე ძროხა ვის ჩავაბარო?
სადღა ვიშოვნი კარგ მემძროხესა?
ვერა, ვერ მოგცე შენი ზაქარო,
თუნდ სულ დაგენტქას ოჯახი დღესა!
ვერ უყურებთ ამ ქოფაკს, ჩერჩეტას!
მირჩევს, ჩემიო გერჩივნოს შენსას...
არა, ერთი, “მაქვს“ სჯობს ათასს “მქონდეს”...

მამა

— მე ჩემი მომეც, შენ შენი გქონდეს
და შენს სახელსა მტლად დავედები.

ბატონი

— გამეცა, ვირო, ნუ მეღრიჯები!

მამა

— რომ გაგეცალო, ვისღა მივმართო,
ვინ მომაშველებს ხელს დაღუპვილსა!
მარტომ ოჯახი როგორ მოვმართო,
თუ არ დამითმობ, ბატონო, შვილსა?
რა ვუყო, რა ვქნა, რა მეშველება,
მიბრძანე, შენი კვნესამე, შენი!

ბატონი

— თუნდ სულიც გაგძვრეს, არ მენადვლება,
თავში ქვა იეც და ისა ჰქენი.

მამა

— შენ დალოცვილო, ქვა ვიცე თავში, —
რა პასუხია, როგორ იქმნება!..
ჩვენც ვურევივართ კაცებში, ხალხში,
ჭამა-სმა გვინდა, გვინდა ცხოვრება...

ბატონი

— სუ!.. შე ქოფაკო!... გაიკმიდე ხმა!..
ხმა... კრინტი-მეთქი!.. ძაღლო, თორემა
მე არ მივხედავ მაგ შენს სიბერეს
და უკან ჩაგჩრი ჯოხით მაგ სიტყვებს...

მამა

— როგორ თუ ჩამჩრი... კაცს შიმშილით მკლავ,
ცოცხალსა მმარხავ, ოჯახს მილუპავ,
ბებერკაცს ლუკმაპური უწყდება,
შვილსა შიმშილით მამა უკვდება,
შვილს შეუძლიან მამის დარჩენა, —
და ამის ნებას არ აძლევ შენა!..
მე ჩემს ღვიძლ შვილსა აღარ მანებებ,
რომ შემინახოს სიბერის დროსა,
მართალს სიტყვასაც არ მათქმევინებ, —
ფუ, შენს სამართალს, შენს სამსჯავროსა!..
ეს იყო, ძამო!.. ამ სიტყვებმა ჰქმნეს
შვილის და მამის უღმრთოდ წახდენა...
შენ მეტყვი, რომ არ უნდა ეთქვა ეს,
მაგრამ რა ექმნა, აბა სთქვი შენა?
ეხვეწებოდა განა ცოტასა
იმ სულწაწყმედილს საწყალი მამა!..
მაგრამ როგორც ცივს რკინას და ქვასა,
ვერ დაუღობო, ვერ, გული ხვეწნამა.
ისც კაცი იყო... ვერ მოუთმინა
იმედგაწყვეტილ, მოკლულმა გულმა,
და რაც შიგ ჰქონდა, სულ ათქმევინა,
უსამართლობამ წრიდამ გასულმა.
ჩიბუხის ტარით მამაჩემს მტრულად
ეცა ურჯულო ბატონი ჩვენი...
უნდა კი გითხრა, რომ მამა სრულად
არ გაღახულა თავისი დღენი.
საწყალი იყო თავისმომწონე,
სირცხვილმა გული გადმოუბრუნა...
თუმც აღარ ჰქონდა მკლავებში ღონე,

მაინც კი ხელი შემოუბრუნა.
როგორ თუ ხელი მომიბრუნაო, —
“ბიჭო, როზგები! ბიჭო როზგები!”
და მამაჩემსა მოხუცსა, ძმაო,
წამოეჭიდნენ მისივ მოძმები!..
როზგით მიცემეს მამა სნეული,
მამა მოხუცი, პატივს ჩვეული...
იმისი კვნესა და მწუხარება
გულს მიკლავს ხოლმე, რომ მაგონდება...
არც უღონობამ, არც სიგამხდრემ,
არც სიბერემ, არც თეთრმა წვერმა,
არც კაცის და არც ღვთის სამართალმა
არ მიპატივეს ბებერი მამა!..
მაშინ იქ ვიდექ მე საცოდავი...—
გულამომჯდარმა წაიდუდუნა,
მერმე მწუხარემ მწუხარე თავი —
ამოიკვნესა და ძირს ჩაღუნა.
წამოხტა კაკო განრისხებული,
მას აერია სული და გული
და შეუტია მწყრალად ზაქროსა:
— შენ იქ იდექი, ამბობ, იმ დროსა
და იქამდინა მიუშვი მტერი,
რომ აცემინე მამა ბებერი?!
მითხარ, დედალო, რას აკეთებდი,
რას გეუბნოდა გული იმ დროსა?
იქ რომ მდგარვიყავ, ჩაგამაღლებდი
ჯერ შენ და მერე იმ შენს ბატონსა!..
რას უყურებდი? ნუთუ სეირსა, —
როგორ სწუწვნიდნენ მამაშენს სისხლსა!..
ფუ, შენს ნამუსსა, მამა შვილობას,
ფუ, შენს სახელსა, შენს ვაჟკაცობას!..
მამას გიკლავდნენ, არ იღებდი ხმას...
შენ იქ იდექი, გულით იძუნწე!
რა ოხრობასა აქნევდი მაგ ხმალს,
რომ ნაჭერ-ნაჭერ ხლმით არ აჰკუწე
სულწაწყმედილი შენი ბატონი!
ემაგ შერცხვენილ ხლმისა პატრონი
ჩემთან მოსვლასა როგორ ჰბედავდი?
ნუ მარცხვენ ყაჩაღს, გამეცა წადი...
შენ, ძმავე, ყაჩაღად არ ვარგებულხარ,
შენ დედაკაცად დაჰბადებულხარ!
ფუ, მაგ კაცობას!

მხედარი

— კაკო, ნუ სწყრები!

კარგად არ იცნობ ჯერ ხომ ზაქროსა?
ჩემს ტოლს ბიჭს არც მე დავუვარდები,
არც გავექცევი ხმალში კაკოსა.
ეგრე ადვილად ნუ არცხვენ ჩემს ხმალს
და იმის პატრონს ნუ მეძახი მხდალს.
ეგრე ნუ მძრახავ... მომიგდე ყური:
მაშინ იქ ვიდექ მე უბედური...
მინამ ბატონი ხელითა სცემდა,
როგორცა ძალი ხორცსა ვიგლეჯდი...
"მოჰკალ!" — რაღაცა ხმა მაძალებდა,
მაგრამ როგორღაც თავს ვიმაგრებდი.
მომეკლა, ვიცი, მამას მოჰკლავდნენ,
მკვდარსა თუ ცოცხალს კბილით შესჭამდნენ,
ამის მიზეზი მე ვიქნებოდი, —
და არ მომეკლა, უღმრთოდ სტანჯავდნენ,
ეგრე ორ ცეცხლში ვიმყოფებოდი.
მაშინ კი, როცა წამომიქციეს
და მოხუცებულს როზგი დამიკრეს,
თვალთ დამიბნელდა, ამენტო გული
მივვარდი თოფსა გამწარებული,
მხრიდამ გადვიგდე მაშინვე თექა,
და, რო ყვიროდა: "დაჰკარ, დაჰკარი!"
მაშინ ჩემ თოფმაც გამოიჭექა
და შეუნგრია გულის ფიცარი
იმ ჩემს ბატონსა, ჩემს დამლუპველსა,
თავისთავის და სხვის წამწყმენდელსა.

კაკო

— შენი გამჩენის ჭირიმე, შენი!
ბიჭი ყოფილხარ, ხლმისა დამშვენი...
შენ დაგიკვეხოს შენმა მშობელმა —
რომ იმის ძუძუ შენ შეგრგებია,
აი დალოცოს ის ქრისტე-ღმერთმა,
ვისაც შენებრი დაჰზადებია!
მამო, გამჩენის შენის ჭირიმე,
რაც წელან გითხარ, ყველა დამითმე.
ლამის დამადნოს ჩემმა სირცხვილმა
და კაკომ შენ წინ თავი დაიღოს.

მხედარი

— განა საქები არის, რომ შვილმა
თავისი მამის სისხლი აიღოს?
ამას იქმოდა ყოველი კაცი,
თუნდა მხდალი და თუნდა ვაჟკაცი.

ვით მეტი იყო წედან ძაგება,
ისე მეტია ეხლა ეგ ქება.
მაგრამ, ეჰ, კაკო!.. მე მაგ სიკვდილმა
გულის ჭრილობა არ გამიმრთელა;
მამის გულისთვის გაწირულ შვილმა
მამას ვერაფრით ვეღარ უშველა.
მაშინ თავი არ მაგონდებოდა
და დაჭერისაც არ მეშინოდა...
მივვარდი მამას. .უსულოდ ეგდო!
მუხლი მომეჭრა, ცეცხლი მომედო!
ის საწყალი სულ დალურჯებული
ეგდო უძრავად, გაშეშებული!..
ვაიმე, მამა მე მომკდომიყო
როზგ ქვეშა უღმრთოდ, უზიარებლად!..
მაგრამ, ეჰ, ძმაო, რაც იყო, — იყო,
ჯოჯოხეთია მოსაგონებლად”.

და, რა სთქვა ესა, ზაქრო მწუხარედ
პირქვე დაეცა დადუმებული;
დიდ ხანსა ეგდო ეგრე მდუმარედ
გულში ვაების ცეცხლმოდებული.
ამ საწყალს შვილზედ კაკოც შეწუხდა,
ორივ წაიღო ერთმა ნაღველმა...
ამ ორს გულში რა ბალღამიც დუღდა,
წარმოიდგინოს თითონ მკითხველმა.

1860 წ., 11 დეკემბერს,
პიტერი.

მეფე დიმიტრი თავდადებული

ვუძღვნი
თ. პეტრე ნაკაშიძეს

უქმე დღე იყო, ტვირთმძიმეი და დამაშვრალი,
საყდრის წინ ჯგუფად ხალხი იდგა და ჰყაყანებდა;
იქავე ახლოს, ცაცხვის ხის ქვეშ ერთი საწყალი
ბრმა მეფანტურე იჯდა ცალკედ და მდუმარებდა.

“ეჰ, რას ჰყაყანებთ,— დაიძახა ყმაწვილმა ბიჭმა, —
შინაც ძლივს ვუძლებთ დღემუდამის ჭირს, ვაგლახობას!
აქ მაინც ცოტად ფრთა გაშალოს გულის წადილმა...”

ბრმა მეფანტურეც, გვითხარ რამე, მამაშვილობას!
გვითხარი რამე, ბერო კაცო, ნასმენ-ნახული,
ეგებ გულს ჟანგი მოაშორო კარგის ამბითა...

კარგს მიქმელს ტყვედ რჩების ნატკივარი გული ჩაგრული,
გული, გაზდილი ვაებითა, წვით და დაგვითა”.

ბრმა მეფანტურე გაიმართა მაშინვე წელში,
სახე ღრუბლვილი გაუნათლდა რაღაც მადლითა;
მისწვდა, აილო თვის უბრალო ფანტური ხელში,
დაჰკრა ფანტურსა და დამღერა ნელისა ხმითა:

I

“მოდით, შვილნო, აქ მოგროვდით,
გეტყვით გულის გასათბობსა, —
ვინ ვიყავით, რა ვიყავით
ჩვენ, ქართველნი, წინა დროსა.

იმ დროს, როცა ქართველის ბედი
ჩვენ, ქართველთვე, გვეპყრა ხელში,
როცა მამულისშვილობა
სასახელოდ იყო ჩვენში.

შვილნო, თქვენნი წინაპარნი
ეგრე გულქვად როდი იყვნენ...
ძმა ძმასა და მამა შვილსა
მამულს ხოლმე შესწირვიდნენ.

შვილის ყოლა გლახს თუ თავადს
მარტო მისთვის გვიხაროდა,
რომ მამულსა მეომარი
მით ერთი ემატებოდა.

ტკბილსა ძუძუს დედა შვილსა
იმ იმედით აწოვებდა,
რომ სიცოცხლით ან სიკვდილით
ის მამულს ასახელებდა.

უწინ ქართველს უხაროდა
მამულისთვის მტერთან ომი,
ან მოჰკლავდა, ან თავისთავს
შეაკლავდა, როგორც ლომი.

მამულისთვის ვის ახსოვდა
განსაცდელი განსაცდელში!
ტროფობა გვქონდა გულში აბჯრად
და სატევრად — ხმალი ხელში.

ეგრედ, შვილნო, აქ სცხოვრებდა
უწინდელი ქართველის შვილი,
მის მუდამი ნატვრა იყო
ან სახელი, ან სიკვდილი.

მათს მომდევარს ყოველს თქვენგანს
ჰყვანდა დიდი წინაპარი...
რჯულის დაცვა, მიწა-წყლისა
მის მოწამედ თქვენ წინ არი...

II

“ებლა რა ვართ? საწველ ფურად
თავი ჩვენი გადვიქციეთ;
ის სახელი, ის დიდება,
ის ოჯახი დავაქციეთ...”

რაც ვყოფილვართ, ის აღარ ვართ,
რაც ვართ, ის ნულარ ვიქნებით...
ღმერთი გვიხსნის, თუ შვილთ მაინც
გზად და ხიდად გავედებით.

წინა კაცი უკანასი
ხიდაო, ნათქოშია,
დღეის ვაგლახს ამით დასძლევს,
ვინცა ხვალისა მდომია.

ტყუილია სულთქმა, უში,
კაცი უნდა კაცად იყვეს,
სანთელსავით თვით დაიწვას
და სხვას კი გზას უნათვიდეს.

ამით იყო საქართველო
უძლეველი და ძლიერი,
ამით ედგა მტერს გულდაგულ
ეს პატარა ქართველის ერი.

III

ყური მიგდეთ, გეტყვით ამბავს
უტყუარსა და მართალსა:
ერთი მეფე თურმე ჰყვანდათ
უწინ ჩვენ მამა-პაპასა.

— დიმიტრი ერქვა სახელად,
მხარბეჭპრტყელი, ტანმაღალი,
ჯირითში თუ შვილდ-ისარში
არავინ ჰყვანდა ბადალი.

კაცი იყო, მეფე-კაცი,
თვალად, ტანად მშვენიერი,
გარედ — რისხვით მტრისა მსრველი,
შინ — მოწყალე, ღვთისნიერი.

ღამით თურმე ჩაიცვამდა
უბრალო კაბა-ჯუბასა,
წავა და ინახულებდა
საწყალის ხალხის უბანსა.

მოივლიდა ქვრივს და ოხერს,
დავრდომილსა და ობოლსა,
თავის ხელით ურიგებდა

მოწყალებას და საზრდოსა.

ვის რაც გულში დარდი ჰქონდა —
წავა — იმას შესჩივლებდა,
გლახის, ობლის, ჩაგრულისას
სარჩლსა არ ითაკილებდა.

ყველგან იმის სამეფოში
თხა და მგელი ერთად სძოვდა,
ერი, ბერი, ობოლ-ქვრივი
სულ იმის დღეს ჰლოცულობდა.

IV

“მის დროს იყო ყეინობა,
მეფე ყეინს ჰმორჩილებდა,
მაგრამ თავის ქვეყნის საქმეს
თვის ნებაზედ განაგებდა.

ერთხელ ყეინს აეშალა
თათარივე კაცი ერთი,
იმძლავრა და გადიყენა
ნახევარი სათათრეთი.

მეფე ჩვენი ყეინს თურმე
არ გადუდგა სხვასავითა...
ვაჟი-კაცის წესი არის —
კაცს შეჰრჩება ძმასავითა.

შეიბნენ და შეიჭიდნენ
ყეინი და გადგომილი;
ძმას ძმის ძვალი ატეხინეს,
მამის სისხლსა ღვრიდა შვილი.

დამარცხდა ბოლოს ყეინი,
გამდგარმა აკი აჯობა,
ის მოკლა და თვით დაიპყრო
სათათრეთის ბატონობა.

ის ხომ მოკლა, მის ცოლ-შვილიც
ცხენსა კუდით ათრევინა,
საცა კი მის მომხრე იყო,
თავები დააყრევინა.

V

“ჯერი მიდგა ჩვენს მეფეზეც...
— “რატომ მე არ მომიდგაო,
იმას ცოცხალს არ გავუშვებ,
თუ პირში სული მიდგაო”.

გაუგზავნა მოციქული:

— “გამოცხადდი ჩემ წინ შენო,

თუ არ მოხვალ, შენს ქვეყანას
ნაცარტუტას ავადენო”.

დაგვიღონდა მეფე ქველი,
იმ ურჯულოს მიხვდა წადილს,
ისიც იცის, — იმ ღვთისრისხვას
ჯართ სიმრავლე შესწევს ქადილს.

რა ჰქნას? თითონც მამაცია,
მამაციც ჰყავს ჯარი, ერი,
მაგრამ ერთს რომ ასი გცემდეს,
კლდეც რომ იყო, გაგტეხს მტერი.

დიდს ჩავარდა საგონებელს,
შეუდგა ბჭობას, რჩევასა...

— “წავალ — მომკლავს, — და არ წავალ —
ამიოხრებს ქვეყანასა”.

ბოლოს ბძანა: “თავს მოვუყრი
მღვდელმთავართ და დიდებულთა,
ოცჯერ ზომვა, ერთხელ ჭრაო —
წესია მეფეთ ქებულთა.

ვნახოთ ერთი, რას მეტყვიან, —
წასვლას, თუ წაუსვლელობას?
ორში ერთს რას აირჩევენ, —
მეფის, თუ ქვეყნის დამხობას?”

VI

“ბძანა და მსწრაფლ შეიყარნენ
დიდებულნი, მღვდელმთავარნი,
ვეზირნი და ნაზირები,
ბჭე-მდივნები, სპასალარნი.

წადგა მეფე კრების წინა
თამამად და დიდებულად;
ყველამ, დიდმა და პატარამ,
თაყვანი სცეს ბატონს ყმურად.

ასე ჰშვენის მეფე იმ დღეს
ტანად, თვალად, იერითა,
მნახველთ თვალი ვერ გაიძღეს
იმის ჭვრეტით, ყურებითა.

უბრძანა თუ “დიდებულნო,
საქმე მძიმე მაქვს თქვენთანა...
ის დღეა დღეს, — ან მე ვიყო,
ან ჩვენი ტურფა ქვეყანა.

შეიტყობდით, მომივიდა
მე ყეინისა მოციქული,
აქ მოდიო, მე მიბარებს
ჩემზედ გაბოროტებული.

თუ არ მოხვალ, მე მოვალო,

აგიოხრებ ქვეყანასა,
საცა კი ფეხს დავადგამო,
ავადენ ნაცარტუტასა,
თუ წავედი, თქვენც ხომ იცით,
მე სიკვდილი არ ამცდება...
თქვენ რას მირჩევთ, მართალი სთქვით,
მართლის თქმაა ერთგულება”.

VII

“დიდებულნი წინ წამოდგნენ
ამ ამბით შეწუხებულნი,
მოვიდნენ და თაყვანი სცეს,
აემღვრიათ მწარედ გულნი.
— “მეფევ! ნეტა რა გვიბძანე,
რა ასმინე ყურსა ჩვენსა!..
თუ შენ მოგკვლენ, შენს სანაცვლოდ
რაღა დარჩეს ერსა შენსა?!
თუ შენ აღარ გვეყოლები,
რად გვინდა სახლი, ქონება...
ჩვენ შენისთანა დიმიტრი
სხვა არვინ დაგვებადება.
მოვიდეს, რომ იმუქრება
ის ურჯულო სისხლისმსმელი,
მოვიდეს და წინ დახვდების
შენი ერთგული ქართველი.
მტრის მუქარას ერი შენი,
გვითხარ, როდის გაჰქცევია,
გვითხარ, როდის ქვეყნის მტრის წინ
ქართლს უკან დაუწევია!
ბძანე და იმ მუქარასა
ჩვენს მოსისხლეს შევანანებთ,
ან შევმუსრავთ მამაპაპებრ,
ან მეფისთვის თავსა დავდებთ.
სირცხვილია ერისათვის,
თავის მეფე მისცეს მტერსა...
მეფევ, სირცხვილს ნუ შეაჭმევ
ერსა შენსა შემნატვრელსა.
ნუ, ნუ გვაჭმევ ემაგ სირცხვილს,
წამყოლს შვილისშვილამდიე...
აქ მოვიდეს, მის დახვედრა
ამ ჩვენს ქედზედ დააჭდიე”.

VIII

“ახლა წადგა სპასალარი...

—”მეფევ, რაც სთქვეს, მართალია.
შენ წახვიდე, შენ იქ მოგკლან, —
ჩვენ წელზედ გვერტყას ხმალია?!
თუნდ რომ დავჩეთ, ვინ რას გვეტყვის,
რით ჩავრეცხოთ ეს სირცხვილი?
არა, მეფევ!.. ძველებს უთქვამთ, —
სახელიო, ან სიკვდილი.
ნუ შეგვიშლი მამათ ანდერძს,
სირცხვილისგან დაგვიხსენი!..
მეფეს ვფიცავ, — მამა-პაპებრ
დღესაც გასჭრის ხმალი ჩვენი”.
ბატონმა თავი ჩაჰკიდა
გვირგინოსანი, ცხებული,
დიდხანს იყო დაღონებით
ეგრე თავჩაკიდებული...

IX

“ბოლოს ბძანა: — ეს ქვეყანა
ღვთისაგან მაქვს მონაზარი...
მე დავრჩე და იგი წახდეს,
მიტხარით, რა მაღლი არი!
ათი ერთზე რომ მოვიდეს,
მუქარას მტერს შევანანებ;
რა ვქნა, — ასი ერთზედ მოვა,
ამას ვწუხარ და ვვალალებ.
ჩვენი კაცი ერთი ასსაც,
ვიცი, არ შეუშინდება,
მაგრამ ბოლოს სიმრავლე გვძლევს,
ხალხი ურგოდ გამიწყდება.
მერე უკაცურს ქვეყანას
დასწვავს, დაჰბუგავს, დაანგრევს,
საყდრებსა და მონასტრებსა
დააქცევს, მიანგრ-მოანგრევს.
ხატებს, მამათ სალოცავსა,
წამურტლავს და შეგვიგინებს,
ამოიღებს მკვდრებს საფლავით,
ძაღლსა და ღორს ათრევინებს.
ქალწულთ-ქალზედ ძალით მივა,
წაჰბილწავს, ნამუსს დაუმხოვს;
ორსულ დედაკაცებს კიდე
მუცლებსა ხანჯლით დაუპოვს.
დედას თავის ძუძუთა შვილს
კბილითა დააგლეჯინებს,
უსუსურს ბავშვებს ძნად ჩაშლის
და ზედ კალოს ალეწვინებს.

X

“ამდენი სული უბრალო
ტანჯვითა ამოწყდებიან,
საწყალის ხალხის ცოდვითა
ქვანიც კი ატირდებიან.

ქვეყნის ამოდენი ცოდვა
ჩემს თავზედ დატრიალდება,
წაწყმდება აქაც და იქაც
დიმიტრი მეფის ხსენება!

ეს სულ რისთვის? მარტო მისთვის,
რომ მე შიშსა გავექეცი,
ჩემი თავი გადვირჩინე
და ერი კი წყალს მივეცი.

მე მეფე ვარ და მეფობის
რიგიც ვიცი რაში არი...
ფუ იმ მწყემსსა, თავს უშველოს,
მგელს დაუგდოს თავის ცხვარი...

სირცხვილს ამბობთ! — რა სირცხვილი?
მე ვემღევი ნებით მტერსა,
ჩემს სიცოცხლეს, ჩემსა სისხლსა
თვითონ ვწირავ მე ჩემს ერსა.

თუ სიკვდილი სახელად გაქვთ
მაგდენს ჩემთვის — ერთისათვის,
მაშ რად მიშლით თავდადებას
მე ერთს — მთელის ერისათვის!..

არა! წავალ, არ დავდგები,
დე, ასრულდეს ნება ღვთისა,
ხორცი მოკვდეს, სული ცხონდეს
მეფის თქვენის დიმიტრისა.

XI

— “შენ რას ბძანებ, მღვდელმთავარო?
სიტყვა შენი გვიღირს ძვირად:
მართებს თუ არ ერისათვის
მეფეს თავი გასაწირად?”

ატირდა და მოახსენა:
— “ჰე, მეფეო, მე თქმა მიჭირს,
მართალს ვიტყვი, თუმცა შენთვის
სული მიწუხს, გული მიტირს.

მეფევ, უნდა თავი დასდო
ერისა და ქვეყნისათვის,
ღმერთს შესცოდავს, ვინც გამკიცხავს
მე ამ მწარე რჩევისათვის.

მეფევ, რაკი ბედმან დაგდო
შენ ეგ მძიმე საზღაური,
სხვას უკეთესს ვერას გირჩევს
სიყვარული ბატონ-ყმური...

ვსტირ და გირჩევ თავგანწირვას,
რაკი რომ ეს დღე გვეწია, —
მოყვასთათვის თავდადება
ქრისტე-ღმერთის ანდერძია.

ვსტირ და გირჩევ ღვთის სახელით
ხორცი დასთმო სულისათვის,
უკვდავება არ დაჰკარგო
წუთის-სოფლის გულისათვის!.. ”

XII

“მეფეს ძლიერ მოეწონა
მღვდელმთავრისა სიტყვა ბრძნული,
წარდგა ისევ კრებულის წინ
უფრო გათამამებული:

— “დიდებულნო, ხომ ისმინეთ,
რაც სთქვა წმინდა მღვდელმთავარმა!..
მოყვასთათვის თავდადება
გვიბძანაო მაცხოვარმა.

ნუ გადმიყვანთ ღვთისა სიტყვას,
ერს მეფე ვერ ვუღალატებ!..
წავალ და, თუ ღმერთს სწადიან,
ერისათვის თავსა დავსდებ.

მე წავალ და ეს ქვეყანა
თქვენ უნდა გებარებოდეს,
ღარიბს ისე მოუაროთ,
რომ მდიდარს არ შენატროდეს.

გლებს თუ თავადს, დიდს თუ მცირეს
მადლი თანასწორ მოჰფინოთ,
ობოლი, ქვრივი, უძლური
ძლიერს არ დამიჩაგვრინოთ.

თუ დავბრუნდი, თქვენს სამსახურს
გადაგიხდით ორად ერთსა,
თუ არა და — სული ჩემი
შეავედრეთ მაღალ ღმერთსა”.

ატირდა და აატირა
ყველა კაცი იქა მდგომი;
გულის სილბო სიტურფეა,
თუ კაცია სხვაფრივ ლომი.

მართალს ვაჟკაცს ის ამშვენებს,
როცა გულითაც ლბილია;
რკინის კაცის თვალში ცრემლი

დიდსულოვნობის შვილია.

XIII

“ბრძანა და მსწრაფლ დაიშალა
დიდებულთა იგი კრება...
უხმო მხლებელთ და უბძანა
წასასვლელად მომზადება.

სთქვა და ურდოს კიდევ წავა
მეფე იგი უშიშარი,
თქმულა: გმირის კაცისათვის
თქმა და ქმნაო ერთი არი.

გაათავეს სამზადისი
და მოვიდა დღეც წასვლისა;
ვით ჭინჭველა ჰფუსფუსებდნენ
შინაყმანი სასახლისა.

ხმა გავარდა ქალაქშიაც:
მეფე ჩვენთვის სდებს თავსაო,
უშლიდნენ, არ დაიშალა, —
ვერ ვულალატებ ხალხსაო.

შეიძრა მთელი ქალაქი,
ხალხი ეცა ერთმანეთსა,
მოზღვავდა და იგრიალა
და მიაწყდა სასახლესა.

მივიდნენ, ნახეს მზად არი
რაზმი მეფის ამალისა,
სულ სავსეა ცხენოსნებით
მოედანი სასახლისა.

წინად ბარგით გაეგზავნათ
ჯორი, ცხენი დატვირთული,
აქ ვინც იყო, სალთად იყო,
ტურფად კაზმულ-დარახტული.

XIV

“თავადნი და აზნაურნი
სულ ოქროს და ვერცხლში ისხდნენ,
ვერ იტყოდი, ვინ ვის სჯობდა, —
ყველა ასე კარგნი იყვნენ.

წყობით იდგნენ და ისმოდა
აბჯრისა და რახტის ჟღერა.
საამოა გაწყობილის
ვაჟკაცების რაზმის მზერა!

კაცი თვალს ვერ აშორებდა
მხედარსა და იმის ცხენსა,
თვით წუნი წუნს ვერ დასდებდა

მათს სიკეთეს, სიტურფესა.

მარქაფად ცხენს ბევრს სხვასაცა
რაზმ-გარედა ატარებდნენ,
მათი მხედნი დიდებულნი
მეფეს სასახლეში ახლდნენ.

იმ ცხენების მორთულობა
კაცს უშურველს შურს მოჰგვრიდა,
მძიმე რახტით დატვირთულნი
თითო თითო სოფლად ჰღირდა.

მაგრამ მათში ერთი იყო
თეთრი ცხენი არაბული,
უკეთესს ვერ ინატრებდა
კაცის უძღომელი გული.

მეფისა იყო ის ცხენი,
თამამი — თითქო ვეფხია,
იმის უზანგში მეფის მეტს
ვერვის შეედგა ფეხია.

ამაყი იყო ლომსავით
და ნაზი როგორც მშველია,
სხვა მას ვერ იმორჩილებდა,
თუ არ ბატონის ხელია.

ცეცხლს აფრქვევდა თვალთაგანა,
ჰქუხდა, სჭექდა, მრისხანებდა,
თითქო ლოდინს ჰთაკილობსო,
ჰშფოთავდა და ტოტსა სცემდა.

XV

“გამობძანდა ბოლოს მეფეც,
თან გამოჰყვნიენ დიდებულნი,
ხმალ-კაპარჭით გაწყობილნი,
სამგზავროდ გამზადებულნი.

მეფეს ახლდა მხარმარჯვნივა
გულმწუხარე მღვდელმთავარი
და მხარმარცხნივ — შუბლშეკრული
ჯავრით სავსე სპასალარი.

მღვდელმთავარი სწუხს და ჰვებს
მეფის თავგადადებასა,
სპასალარი კი ჰთაკილობს
უომრად დამარცხებასა.

ხალხიც დაჰხვდა თავის მეფეს
ვიშითა და წუხილითა,
მეფეს გული ამოუჯდა
მათთვის გულისტკივილითა.

უბძანა თუ: — “რასა სწუხართ?
იქმნას, რაც კი საქმნელია!..

ერისათვის თავდადება
მეფისათვის სახელია.
რაც მომივა, მომივიდეს,
მე იმისთვის არ ვინაღვლო...
თქვენ ჭირს დაგსხნით... დეე, ვიქმნე
მე ქვეყნის ჭირის სანაცვლო”.
ხმა ჩაუწყდა, ველარ-რა სთქვა,
მოეგუბა თვალში ცრემლი...
თქმულა: ქვასაცა მაგარსა
გასტეხს ტყვიის რბილი გრდემლი.
მოუმატა ხალხმაც სულთქმა,
ხმა გაისმა ქვითინისა,
გულსა ჰკლავდა გლოვა, ვიში
ობლისა და ქვრივ-ობრისა.

XVI

“უცებ მეფემ თვალი მოჰკრა, —
ხალხი გაირღვა შუაზედ,
ორს მარჯვე ბიჭს ბერიკაცი
მოჰყავთ მის წინ მოედანზედ.
მოჰყავთ ცახცახით, ხანხალით
ჩაჩანაკი და ბებერი,
მკერდზედ სცემდა თოვლივითა
მოხუცებულს თეთრი წვერი.
მოვიდნენ და გააჩერეს
ის მოხუცი მეფის წინა,
ბიჭები კვლავ მხრებში უსხდნენ,
თუმც ყავარჯენს დაებჯინა.
ის ამ ქვეყნის აღარ იყო,
ფეხი ედგა სამარეში,
მაგრამ მაინც კი უცემდა
ადრინდელი გული მკერდში.

XVII

“მოახსენა: — “ჰე, მეფეო,
ნუ შემრისხავ ერგულ ყმასა!
მე ხომ მხედავ, გარდავსრულვარ,
სამარიდამ გაძლევ ხმასა.
მეფევ, კისრად აგიღია
ტვირთი ჩვენის შავის ბედის,
ბედისწერას მისცემიხარ
უბედურის ჩვენის ქვეყნის.
ვიციოთ, რომ არ შეშინდება
გული მეფის დიმიტრისა,

როცა ნდომობს თავგაწირვას
დიდი საქმე ქვეყნის ხსნისა.
მაგრამ ჩვენ რა გვეშველება,
ჩვენ, მეფეო, შენთ დამკარგველთ?
მამობასა ვილა უზამს
შენგან დაობლებულ ქართველთ?
ერს ოფლის მღვრელს და ტვირთმძიმეს
ჭირსა ლხინად ვილა გვიქცევს?
წუთისოფლის მძიმე უღელს
შენებრ, მეფევ, ვინ გაგვიწევს?
ამას ვსტირით, რომ მიდიხარ
და აობლებ შენსა ერსა,
ჩვენს ბედსა და მშვიდობასა
ველარ მოუმართავ ხელსა.
ჩემებრ უძღურს, გაჭირებულს
მწედ ველარ მიეშველები,
ღარიბს, ობოლს, ქვრივს და ოხერს
პატრონად არ ეყოლები!

XVIII

“ნუ სწუხართო!..განა, მეფევ,
ჩვენ ხელთ არის ეხლა გული?
რკინაც იყოს — მაინც დასდნეს
ამებრ ცეცხლში ჩაგდებული.
გულს რად გვიკლავ? რად მისდიხარ?
ნუთუ, მეფევ, ხსნა არ არი!..
ქუდზედ კაცი დაუძახე,
მოაგროვე სპა და ჯარი.
ცოტა ვართ, მაგრამ კარგნი ვართ,
ვინც კია, ყველა დევია...
ბევრჯერ უნახავს ქართველის მტერს,
რომ ცოტაც ბევრის მძლევია.
აჰა, მეფევ, ორი ბიჭი,
მხრებში რომ ამომჯდომია,
ორივ ჩემი შვილი არი,
ერთი მეორის მჯობია;
მიირთვი და ინაცვალე,
ჩემს ქვეყანას მტლად დაუდე!
ომში, მეფევ, გაჩვენებენ,
რა ლომებს ჰზრდის ქართველის ბუდე.
შეჰკრიბე დიდი, პატარა,
გაუბედ წინამძღოლადა,
მტერს წინ დახვდი... ვინც უკუდგეს,
დედა შეერთოს ცოლადა!
ჩვენს საქართველოს, ჰე, მეფევ,

ბევრი რამ გადახედია,
მაგრამ უომრად მტრისა წინ
არ წაუხრია ქედია.
ნურც დღეს ვიზამთ ამ საქმესა,
უომრად ნუ დავმარცხდებით,
თუ ვერა ვძლევთ, დავიხოცნეთ
სახელითა და დიდებით!..”

XIX

“უბძანა თუ : — ბერო კაცო,
მესმის შენი ერთგულება...
შაბაშ ქართველს!.. გული თურმე
სამარემდე გულად ჰრჩება.
მაგრამ გეტყვი: ჯარს არ შევკრებ,
არ ვინდომებ სისხლის ღვრასა,
მარტო ჩემის გულისათვის
არ შევაკლავ მტერს ათასსა.
ჩვენის ქვეყნის შავი ბედი,
როგორც ტაროსი, იცვლება,
დრო მოვა და თქვენი თავი
უფრო მეტად დასჭირდება.
მე ერთი ვარ, თქვენ მრავალი,
გვიჯობს ერთით ბევრის რჩენა:
თუ თქვენ მე არ გემეტებით,
მე რად გაგიმეტებთ თქვენა?..
განა თითონ ქრისტე-ღმერთსა
გადარჩენა არ ძალ-ედვა,
არ ინება და ქვეყნისთვის —
ღმერთი იყო და — ჯვარს ეცვა.

XX

“მაშ რად არის მეფე მეფედ,
თუ არ ქვეყნის ჭირთა მძლეა?
თუნდაც მოჰკვდეს ქვეყნისათვის,
ეს სიკვდილი სიცოცხლეა.
არ არის მკვდარი, ვინც მოჰკვდეს
და ხალხს შესწიროს დღენია,
მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია.
არ დავიშლი, ვსთქვი და კიდევ
თავი უნდა გავიწირო,
ისე მოვკვდე, რომ ჩემ გამო
დედა შვილზედ არ ვატირო.

წავალ-მეთქი!.. თუ ღმერთს უნდა,
მოხდეს იგი, რაც მიმელის...
მაგრამ ჯავრი თან მიმყვება
საყვარელის ჩემის ქვეყნის.

ეჰ, რაც ჰსურდა, არ დაჰცალდა
ჩემს წყურვილსა სულისასა!..
აწ იქმნას ის, რაც სწადიან
განგებასა უფლისასა.

თქვენ ხომ მაინც აგცილდებათ
ხოცვა, ჟლეტა, სრვა და რბევა,
მე კი...მეყოს, თუ გამყვება
თქვენი ლოცვა და კურთხევა”.

XXI

“თითქო ზეცით ზარი იყო,
თითქო ღმერთი მოევლინა, —
ხალხი პირქვე მყის დაემხო
საკვირველის მეფის წინა...

თურმე დიდებას მადლისას
კაცი მსწრაფლ დაუმონია,
ვით დიდს ბოროტს, ისეც დიდს მადლს
თავისი ზარი ჰქონია.

XXII

“მეფეს ერი შეეცოდა,
სთქვა: — “მეც ვწუხვარ, რომ გმორდებით,
ღმერთს ვსთხოვ, იყვნეთ ჩემს შემდეგა
მშვიდობით და გამარჯვებით.

ნურას გიკვიროთ, რომ ქვეყნისთვის
მეფე თქვენი თავს არ ჰზოგავს!
ამასა იქმს ყველა, ვინც კი
ჰკუთით სჭრის და გულით ჰზომავს.

მე მივდივარ!.. მეფე თქვენი
დიდს და მცირეს გეთხოვებით,
რაც დაგაკლეთ, ნუ შემრისხავთ,
რაც შეგცოდეთ, შემინდევით”.

ბძანა და ცხენიც მოართვეს,
ზედ მოახტა ვეფხვსავითა;
ცხენზედ იგი დალოცვილი
გამობრწყინდა მზესავითა.

მტერსაც კი რომ დაენახა,
თვალი გაუშტერდებოდა,
მისებრი ცხენზედ მოხდენა
ბევრს ვაჟკაცს ენატრებოდა.

გამოეთხოვა ყველაკას,
ვინც კი შინ, სახლში ჰრჩებოდა,
სხვა კი ამხედრდა დიდკაცი—
ყველა, ვინც უნდა ჰხლებოდა.

ამხედრდა თვით მღვდელმთავარიც,
შინ დარჩენა არ ინება,
შეევედრა თან წაყვანას
და მეფემაც დართო ნება.

წაბმანდა და თან იახლა
ის ამალა და მხედრობა,
უკან მისტირს ერი, ბერი,
გლებობა თუ დიდკაცობა.

XXIII

“მინამ მეფე მიმავალი
ურდომდინა მივიდოდა,
იმისი მისვლის იმედი
ყეინსა გადასწყვეტოდა...

ებმანა თავის სარდლისთვის:
— “შეჰკრიბე ჯარი ლაშქარი,
წადი, დიმიტრი მომგვარე
ან ცოცხალი, ანუ მკვდარი;
თუ არა, იმის ქვეყანას
შეესიე და მოსრეო,
სულ ძირს დაეც, რაც წინ შეგხვდეს,
ქალაქი თუ სიმაგრეო”.

წინ შეხვდა მეფეს ეს ჯარი,
მრავალი და უთვალავი,
მაშინვე მიხვდა: აქაო
ამბავია რაღაც ავი.

უხმო მხლებელთ და უბმანა:
— “ფიცსა გთხოვთ და უნდა მომცეთ:
თუ უკადრისი მაკადრონ,
თქვენ არავინ ხმა არ გასცეთ.

თავს დაიხოცთ, ვერას უზამთ,
ჯარია მოზღვავებული;
თქვენს სიკვდილსაც არ იკმარებს,
თქვენგნით გაბოროტებული, —
წავა და ხალხს ამოგვიჟლეტს,
ავგიოხრებს ქვეყანასა...
ნუთუ მთელს ხალხს ანაცვალებთ
ვაჟკაცთა თაკილობასა?!

ღმერთს აცადეთ... დეე იქმნას,
რაც ჩემს თავზე განგებულა!
საცა არ სჯობს, გაცლა სჯობსო, —

ბრძენთაგანა ასე თქმულა.

კვლავ ფიცსა გთხოვთ: სისხლს ნუ დაღვრით,
ნულარ დამიმძიმებთ სულსა!..
განკითხვის დღეს მეფეს ჰკითხვენ
ყმის სისხლს, უქმად დანთხეულსა”.

XXIV

“რას იქმოდნენ? მისცეს ფიცი
გამწყრალთა, გაბრაზებულთა,
სირცხვილის ჭამა ირჩიეს
ქვეყნისთვის დავალებულთა.

ბევრმა იკრა გულში ხელი,
სთქვა გულმწარედ: “ვაი დედას!
დრო მოგვივა და ამ თათრებს
არ შევარჩენ ჩვენს შერცხვენას!”

ბატონმა ბძანა: — “ვინა ხართ?
წადით, ჰკითხეთ — რა სწადიან?
თუ მე უნდივართ, აქა ვარ,
ჰქმნან ის, რასაც მიქადიან...”

მალე დაბრუნდა უკანვე
მეფის კაცი მოციქული,
მოახსენა: — “სარდალს ვუთხარ,
მეფევ, შენი ბძანებული;

მითხრა: —“მეფე შენი გვინდა,
თუ მოგვეცა თავის ნებით,
არას ვერჩით თქვენს ქვეყანას,
აქედამვე დავბრუნდებით...”

იამა, ბძანა: —“მადლი ღმერთს,
რომ ქვეყანა გადმირჩება
და ცოდვილი ჩემი სისხლი
ამაოდ არ დაიღვრება”.

თვით წაბძანდა სარდლისაკენ,
მის წინ შეაყენა ცხენი,
უბრძანა თუ : —“მე ვარ მეფე,
რაც გენებოს, იგი ჰქმენი”.

მისცვიდნენ უკადრისადა,
ვით ძეს ღვთისას ურიანი,
შეჰკრეს, შეჰბაწრეს ტყვესავით
მეფე, ხელმწიფე სვიანი.

XXV

“მიჰგვარეს ყეინს ურჯულოს,
სისხლმსმელს ადამიანისას...”

საღერღელი აეშალა,
ვით კრავის წინ მხეცსა ტყისას.

გაჰწყრა: —“როგორ გაბედო,
არ გადუდეგ ჩემს მოსისხლეს?
სთქვი პასუხი და იცოდე,
შენი განკითხვის დღეა დღეს.

იცოდე, რომ წინვე მითქვამს:
თავი უნდა მოგეკვეთოს!
ამის შეცვლა თვითონ ღმერთმაც
ჩემმაც მე ვერ შემომბედოს.

მინამ მოგკლავ, მსურს აქ ჩემ წინ
შეინანო ბრალი შენი,
აქ ჩემ ფეხთ წინ აღიარო
შენვე შენი სიმუხთლენი...”

მეფემ უთხრა: —“შენისთანა
ჩემი რა გამკითხველია!
ნუ მოგაქვს თავი იმით, რომ
ძალა აღმართის მხვნელია.

შენ-წინ მოთქმა რას მიქვიან?
რას მიქვიან შენანება?
ჩემი გამკითხველი არი
ნამუსი და ჩემი ნება.

ჰქმენ რაც გინდა!.. მე არ გკითხავ, —
რად გწადს მომკვეთო თავიო...
სვავს ვინ ჰკითხავს, სისხლს რადა ჰსვამ,
სვავო, რადა ხარ სვავიო?... ”

გაწყრა ყეინი ამაყი,
ეს როგორ გამიბედაო!
უბძანა: — “ჰგვემეთ და სცემეთ,
ბნელეთს ჩააგდეთ ეგაო”.

წაიყვანეს მეფე ჩვენი
და საბნელეთში ჩააგდეს;
შემოარტყეს გარს მცველები,
კარს კლიტეები დაადეს.

XXVI

“სასჯელი დაუგვიანა
იმ ღვთის მგმობელმა თათარმა,
მინამ მოაკვლევინებდა,
სცემა, ჰგვემა და აწამა;
აწამა, ვით სვავმა ტრედი,
მეფე იგი საკვირველი
და ვერ გაძლა მის წვალებით
ის უღვთო და სისხლისმსმელი.
ერთხელ მეფე, ნაწამები

ძლიერად და უღმობელად,
ბნელში ეგდო ძალმიხდილი,
უპატრონოდ, უზრუნველად.

როცა ღონეზედ მოვიდა,
ადგა, მუხლი მოიყარა,
პირქვე დაემხო ლოცვითა
და ცრემლები გადმოჰყარა.

მოსთქვამდა თუ: —“ღმერთო, ღმერთო!
გთხოვ, მიწყალო, შემიბრალო,
რაც გადამხდა, განკითხვის დღეს
მადლად მე არ ჩამითვალო.

მე არა გთხოვ, — მანდ წამება
აქ წამებით შემიმცრო,
მე გთხოვ, — სისხლი აქ დაღვრილი,
ჩემი სხვისთვის შეიწირო.

ღმერთო, ღმერთო!.. თვალწინ მიდგა
დიდ ტანჯული მე ძე შენი...
ვით ძით ყველა, ისეც ჩემით
ერი ჩემი დაიხსენი”.

XXVII

“უეცრად კარი გაიღო,
რკინით, კლიტით დაჭედილი;
ორი ვიღაც შემოვიდა
ფეხაკრეფით, როგორც ჩრდილი.

მივიდნენ და თაყვანი სცეს
მეფესა გაოცებულსა...
მერე იცნა, მისნი იყვნენ,
და ჩაიკრა ორივე გულსა.

მოახსენეს: —“შევისყიდეთ
და გავტეხეთ ქრთამით კარი...
ყველა მზაა!.. თავს უშველე,
აწ შენი ხსნა შენს ხელთ არი.

ნულარ იცდი... თუ არ ეხლავ,
მერე გვიანლა იქნება:
ხვალ თავს გჭრიან, — ასეაო
ყეინისა თურმე ნება“.

უბმანა თუ: —“ადრეც მითქვამს,
არ გადვირჩენ სხვისით თავსა,
ჩემ მაგიერ არ დავლუპავ
ჩემს ქვეყანას და ჩემს ხალხსა.

ჩემს გაქცევას ხომ ზედ მოჰყვა
ხალხის სრვა და ქვეყნის რბევა!
არა, არ ვიქ!.. ტყუილია
თათბირი და ყველა რჩევა!”

ბევრს ევედრნენ და არ გაჰყვა
მეფე თავის ერთგულ ყმათა...
ნეტა რა გულმა გაუძლო
მათ ხვეწნას და მუდარათა!

XXVIII

“გათენდა დღე ზართამხდელი,
ვაი იმა დღის დამსწრესა!
ტყვე მეფე გამოიყვანეს
მოედანსა თავთ-საკვეთსა.
ხალხი, თამაშად მოსული,
ვით ჯინჯველა ირეოდა,
თვით ვეზირიც ყეინისა
იქ იყო და რიგს აწყობდა.
ვეზირს გვერდთ ედგა ჯალათი
ერთი რაღაც საზარელი,
ილიამდინ დაემკლავა
მარღვიანი ტლანქი ხელი.
ამ ორ-შუა ჩააყენეს
ფერმიხდილი წვალეებითა...
დადგა მეფე... ღმერთს შეხედა
ნაღვლით სავსე თვალეებითა.
მერე თვალი იმავ ნაღვლით
მოედანს შემოატარა...
ის ყოფა და ის ჯალათი
სანახავად შეეზარა...
შეჰკრთა როგორც ხორციელი,
უმისოდაც ქანცწყვეტილი,
დასუსტდა და წაბარბაცდა,
როგორც ერთი დაბნედილი.
მაგრამ ისევ თავს უშველა,
არ დაუთმო ხორცსა სული...
ამ დროს ტირილიც მოესმა,
ქვითინი გამწარებული...
გაოცდა და მიიხედა,
ჰნახა თვისნი დიდებულნი!..
სულ მთლად იქ მოგროვილიყვნენ,
ვინც კი იყვნენ თან ხლებულნი.
მღვდელმთავარიც მათთან იყო,
თავთ იცემდნენ, პირს იხოკდნენ,
მათი ცოდვით და ვაებით
ქვებიც კი ატირდებოდნენ.
თავისიანთ დანახვაზედ
მოაგონდა ყველაფერი,
სახლი, კარი, თვისი, ტომი,

ქვეყანა და თავის ერი...
ეჰა, გატყდა რკინის გული,
მეფე მაგითი იძლია!
ამას კი ველარ გაუძლო,
აქ კი ხორცმა სულსა სძლია!..
მოზრუნდა და ორსავ თვალზედ
კვნესით ხელი მიიფარა...
ვეზირს უთხრა: — “დამიხსენი!..
რაც გადამხდა, ისიც კმარა!..”
სთქვა და თქმული თვით შეჰზარდა...
სახელი არ წაიხდინა...
—“ჰა, ჯალათო!” — დაიძახა
და კისერი გაიწვდინა.
მანც აიღო ხელთ ნაჯახი,
ერთს წამს კისერს დაუსწორა,
დასცა და ერთის დაკვრითა
თავი ტანსა მოაშორა”.

[12 სექტემბერი, 1860 წ.
პავლოვსკი; 1877 — 1878 წწ.]

განდევილი

(ლეგენდა)

ვუძღვნი
ოლგა ჭავჭავაძისას

I

სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა
ორბნი, არწივნი ვერ შეჰხებიან,
სად წვიმა-თოვლნი, ყინულად ქმნილნი,
მზისგან აროდეს არა ჰდნებიან,
სად უდაბურსა მას მყუდროებას
კაცთ ჟრიამული ვერ შესწვდენია,
სად მეუფება ჭექა-ქუხილსა,
ყინულს და ქართა მხოლოდ ჰშთენია, —
უწინდელს დროში ღვთისა მოსავთა
გამოუქვაბავთ მუნ მონასტერი
და იმ ყინულში შეთხრილს ღვთის ტამარს
ბეთლემს უწოდებს დღესაცა ერი.
ფრიალოსაებრ ჩამოთლილი აქვს
იმ წმინდანთ სადგურს ყინულის ზღუდე
და ზედ კარია გამოკვეთილი,
ვით კლდის ნაპრალზედ არწივის ბუდე.

ზღუდის ძირამდე რკინის რამ ჯაჭვი
ზედა ჰკიდია თურმე იმ კარსა,
და თუ არ ჯაჭვით, სხვაფრივ ვერა გზით
ვერ ძალუმს ასვლა ვერარა კაცსა.

II

აქა ყოფილა უწინ კრებული
ღვთისთვის ქვეყნიდამ განდევილ ძმათა
და მყინვარს ამას უდაბნოს თურმე
ისმოდა ქება წმიდა-წმიდათა.
აქა გამდგარან, განშორებთან
ამ წუთისოფლის სამაცდუროსა,
აქ ჰღირსებთან მართალთა თანა
სავანესა მას საუკუნოსა.
გასულან ამა ქვეყნით მამანი
და ტაძარი ღვთის გაუქმებულა...
იმათის ღვაწლით იმ ტაძრის მადლი
მთიულთა შორის ყველგან განთქმულა.
და ის ადგილი, ის არემარე
ესოდენ წმინდად სწამს დღესაც ერსა,
რომ ნასროლს ნადირს, მუნ შეფარებულს,
მონადირეცა ვერ ახლებს ხელსა.
თუ არ ღვთის ღირსი, სხვა ვერვინ თურმე
ამ წმინდა ადგილთ ვერ შეეხება,
და თუ შეჰბედავს, მსწრაფლ რისხვა ღვთისა
ჭექა-ქუხილით მოევლინება.

III

ოდესღაც ტაძარს იმ გაუქმებულს
მეუდაბნოე შეჰკედლებია;
საიქიოსთვის ეს სააქაო
დაუთმია და განშორებია.
განშორებია ვით ცოდვის სადგურს,
ვით სამეუფოს ბოროტისასა,
სადაც მართალი გზას ვერ აუქცევს
განსაცდელსა მას ეშმაკისასა,
სად ცოდვა კაცსა სდევნის დღედაღამ,
ვითა მპარავი და მტაცებელი,
სად, რასაც ჰხადის მართალი მართლად,
მას უმართლობად ჰქმნის ცოდვის ხელი,
სად რყვნა, წაწყმედა და ღალატია,
სადაც ძმა ჰხარბობს სისხლსა ძმისასა,

სად ცილი, ზაკვა ძულეზადა ჰხდის
წმინდა სიყვარულს მოყვასისასა.
განშორებია ამ წუთისოფელს,
სად ყოვლი ნიჭი მაცდურებაა,
სად თვით სიტურფე და სათნოება
ემშაკის მახე და ცდუნებაა.

IV

განდეგილა და ამ ყინულებში
სულ მარტოდმარტო დაყუდებულა
და გვამი მისი ცოდვილთ ფიქრთაგან
იმ დღიდგან აღარ შეძრწუნებულა.
განუდევნია გულიდამ ყველა –
მსოფლიო ზრახვა, ფიქრი, წადილი,
რათა წარუდგეს უფლისა მსჯავრსა
სულით განწმენდილ და განზანილი.
დღედაღამ ლოცვით, გოდებით, გვემით
ხორცი სულისთვის უწამებია,
და ვით ჭურჭელი იგი წყმედილი,
ცრემლით ურეცხავს, უსოლებია.
დღედაღამ სულთქმა და ღაღადება
მოჰფენია კლდეს ყინულისასა,
და არ შემწყდარა მუნ ლოცვის ცრემლი,
ვითა ღელესა მას გლოვისასა.
განყენებული წუთისოფლისგან
აქ სული მისი აღყვავებულა
და ხორციელი გულისთქმა ყველა
დამარხულა და განსვენებულა.

V

არ იყო ხნიერ, მაგრამ ვით წმინდანს
სულის სიმალლე ზედ დასჩნევოდა,
ზედ ეტყობოდა, რომ სული მისი
სულ სხვა მსოფლიოს შეჰხიზნებოდა.
სახე გამხდარი, კუმტი და მწყრალი,
სიწმინდის მადლით დაჰშვენებოდა,
და მაღალს შუბლსა, ნაოჭად შეკრულს,
შარავანდედი გადაჰფენოდა.
მისთა მცხრალ თვალთა ღრმა მეტყველება
ესოდენ იყო წყნარი და ტკბილი,
თითქო მათშიგან ჩასახებულა

თვით სათნოება, კდემით მოსილი;
თითქო ნელისა სიხარულითა
სამოთხის ღია კარს შეჰხარია
და სულთან ერთად უფლისა მიმართ
სასოებითა მიისწრაფიან.
ლოცვით და მარხვით ხორც-უძლოურქმნილი
ჰგვანდა წმინდანსა იგი წამებულს,
მრავალგზით ტანჯულს და ტანჯვათ ზედა
ძლევეთ მოსილსა და განდიდებულს.

VI

წამება მისი ღმერთს შეუწირავს,
ვედრება მისი ღმერთს უსმენია
და სასწაული ნიშნად მაღლისა
მღალადებელზედ მოუვლენია.
ბნელსა სენაკსა, სად იგი მდგარა,
ჰქონია მზის მხრივ ერთი სარკმელი,
და მუნით თურმე გადმოდენილა
შუქი მზისა და მთვარის ნათელი.
ოდეს უდაბნოს გასწვრივ მთის წვერზედ
მზე სხივგაფენით ამოვიდოდა,
იმ სარკმლით სხივი მისი სენაკში
სვეტად ბრწყინვალედ ჩაეშვებოდა.
როს ჰლოცულობდა, იმ სხივსა თურმე
თვის ლოცვანს მწირი ზედ დააყრდენდა,
და ხორცთუსხმელი მზის სხივი იგი
უფლის ბძანებით ზედ შეირჩენდა.
ეგრე ვიდოდნენ დღენი და წელნი,
ეგრე უბიწოდ იგი სცხოვრობდა...
და თვის სიწმინდეს ყოველდღე თურმე
ამ სასწაულით შეიმოწმებდა.

VII

ერთხელ, საღამოს, ლოცვით დაღლილი,
გადმომდგარიყო ზღუდის კარებსა
და დაფიქრებით გადმოჰყურებდა
მწვანით დაფენილს მთისა კალთებსა.
მზე გადახრილი ჯერ კიდევ სრულად
მთისა გადაღმა არ დასულიყო
და მთის წვერზედ, ვით ცეცხლის ბორბალი,
იმრგვლივ სხივგამლით ანთებულიყო.
ცისა ლაჟვარდი, ვით ნაკვერჩხალი,

წითლად და ყვითლად მზისგან ჰლუვოდა
და განმსჭვალული მისით ღრუბელი
შორს ათასფერად სხივებში ჰთრთოდა.
ამა უბიწო დიადის ხილვით
წარტყვევნილ იქმნა განყენებული
და ვით ცხოველს ხატს ღვთის დიდებისას,
შესცქერდა მზესა განცვიფრებული.
უეცრად ასტყდა რამ ნიავ-ქარი,
დაჰბერა კლდეთა, ნაპრალთ და მღვიმეთ,
და მყინვარიდამ ვითა ვეშაპი,
შავი ღრუბელი დაიდრა მძიმეთ.

VIII

დაიდრა მძლავრი, უზარმაზარი,
ცაზედ განერთხო და გაიშალა,
და იქ, თითქო მტერს შეეჯახაო,
ჭექა-ქუხილით დაიგრიალა.
შეირყა მთელი ცა და ქვეყანა
იმა ჭექით და იმა ქუხილით,
ცა აირია, დაბნელდა უცებ
და წამოვიდა სეტყვა შხუილით.
ქუხვა და ჭექვა, ელვა და სეტყვა,
არევ-დარევით ღრუბლების სრბოლა,
ქართა, აწ გრიგლად რადმე ქცეულთა,
ზარით და ზათქით კლდეებში ქროლა,—
ესე ყოველნი, ერთად რეულნი,
ჰგვანდნენ ცით ვლენილს რისხვას ღვთისასა,
თითქო ღმერთი სჯის ქვეყანას ცოდვილს
დღეს მას საშინელს განკითხვისასა.
ამ დროს ის მწირი სენაკში იყო,
ცრემლით ალტობდა ღვთისმშობლის ხატსა
და ხელაპყრობით ევედრებოდა
წარწყმედისაგან ქვეყნისა ხსნასა.

IX

უცებ მოესმა რაღაც კაცის ხმა...
ეოცა ეს ხმა უჩვევი მწირსა.
ყური ათხოვა, — და თითქო ვიღაც
ჰკივის, იმახის ზღუდისა ძირსა.
ეცა მსწრაფლ კარებს და გადიხედა...
ვიღაც კარის ჯაჭვს ზედ მოსდგომოდა,
და ვით ყრმა ვინმე, ღალადების ხმით,

შესაფარებელს ბინას ითხოვდა.
თუ ძეა კაცის, რამ მოიყვანა
ამ დროს, ამ ღამეს ქვეყნისა რღვნისას?
მხეციც, ნადირიც თვის ბუდეში ჰძრწის,
მორიდებული ამ რისხვას ღვთისას!
ჰკითხა: — „ვინა ხარ? კაცი თუ მავნე,
აქ მოგზავნილი ეშმაკისაგან?“
— „კაცი ვარ, კაცი!.. მომეცი ბინა,
მიხსენ, ღვთის მადლსა, სიკვდილისაგან.
ვერ ჰხედავ, ლამის ცა ჩამოიქცეს
და ზედ დაეცეს დედამიწასა?
რა დროს კითხვასა?.. შემიბრალე მე
და ნუ დამიჭერ ჭერსა, ბინასა“.

X

— „მართალი სთქვი შენ... თუ ხარ ძე კაცის,
ცოდვას გარეთ დაგტოვო ამ დროს;
თუ მაცდური ხარ, სჩანს, ღმერთს სწადიან,
მწირი ცოდვილი დღეს გამომცადოს.
ამოვედ, ვინც ხარ!.. იყავნ ნება ღვთის!..
ხელი ჩაავლე ემაგ რკინის ჯაჭვს,
ნუ შეშინდები... კიბეა იგი
და ზედ რგოლები საფეხურად აქვს“.
და იმ ბნელაში იგი წვალეზით
ავიდა მალლა იმა ჯაჭვითა.
მუნ დახვდა მწირი... რაა? ვინ არის?
ვერ გაარჩია სიწყვდიადითა.
— „გამომყევ, ვინც ხარ! ბინას მოგცემ შენ,
გაგიზიარებ ჩემსა სენაკსა...
სახლი ღვთისაა... შენც შეგივრდომებს,
შენებრ მახვეწარს მრავალსაც სხვასა“.
წაუძღვა წინ და შევიდნენ სენაკს...
იქ უფრო, ვიდრე გარედ, ბნელოდა,
მხოლოდ კი ერთგან ღველფად ქცეული,
ცეცხლი ჩამქრალი ფერფლქვეშე ჰჩნდოდა.

XI

რა დედაღვთისამ სენაკს შეუშვა
და არ შერისხა იგი მოსული,
გულში სთქვა მწირმა: ძეა კაცისა

და არა მავნე, ბოროტი სული.
სტუმარი იგი დანაცრულს ცეცხლსა
ფიცხლავ მივარდა დამზრალი, სველი,
ღველფი გაქეჟა, ჩაჯდა ცეცხლაპირს
და გაიწოდა სათბუნად ხელი.
— „უჰ, უჰ, რა ცივა!.. — სთქვა მან სტუმარმან, —
ლამის გავშემდე სიცივისაგან!..“
მწირს ხმა ეოცა... ქალის ხმას ჰგვანდა...
შეკრთა, შეშინდა ამა ხმისაგან.
ნუთუ აწ ბედმა ქალის სახითა
განსაცდელი რამ მას მოუვლინა?
და ვითა ელვამ, ამისმა ფიქრმა
გულში ზარცემით მწირს გაურბინა.
მაგრამ იქმნება ბედმა ეგე ჰქმნა
მისდა საცდელად თვით უფლის ნებით!..
და კისრად იდო, ვით ნება ღვთისა,
სასოებით და გულდამშვიდებით.

XII

— „შემა არა გაქვს? — ჰკითხა სტუმარმა, —
მოიტა ცეცხლი ავანთო ერთი!
ხვალ თუნდა მთელ ზურგს მე ამოგიტან,
ოღონდ დღეს გავთბე, შენ, შენი ღმერთი!“
მეუდაზნოემ იქავ კუთხიდამ
მოზიდა შემა, ცეცხლი აანთო.
რა გაძლიერდა, ცეცხლისა შუქმა
ბნელი სენაკი სინათლით მორთო.
ხოლო რა შუქი იმა ცეცხლისა
სტუმარს, იქ მჯდომელს, ზედ მიეფინა,
გასაოცარი რაღაც შვენება
განდეგილს თვალწინ წარმოედგინა:
ყმაწვილი ქალი, სავსე სიცოცხლით,
სავსე შვენების ჯადოთი, გრძნებით,
ნაზად, ამაყად ცეცხლაპირს იჯდა,
ვით მინდვრის შველი ყელმოღერებით.
ეშხითა მფრქვევსა მის შავსა თვალებს
თვით ცეცხლი სითბოს ეცილებოდა,
მის ელფერთაგან თვით ცეცხლის შუქი,
ვითა ძლეული, უკუ-ჰკრთებოდა.

XIII

თვით მადლს ტრფობისას რომ მოესურვოს
ხორცსხმულად ვლენა ოდესმე ქვეყნად,
უკეთესს სახეს ვერ ინატრებდა
თავის სიცხოვლის გამომსახველად.
მაშინაც ვინ სთქვას, — ვინ ვის აშვენებს,
მადლი ამ სახეს, თუ სახე მადლსა!..
თვით შური, მტრობა ვერ უპოვიდა
ქალს მშვენიერსა ვერაფერს ნაკლსა.
მის თვალთა ელვით, ღაწვთა შუქფენით,
გულ-მკერდის რხევით ვინ არ ათრთოლდეს!..
დახე მის ტუჩთა!.. თითქო თვით ტრფობას
თვის ნაზი კოცნა ზედ დარჩენოდეს.
ვის არ მოიმხრობს, მოინადირებს
ყოვლად ძლიერი მშვენიერება!..
თქმულა — მხეციც კი გააფთრებული
მის წინ დატკბება და დაწყნარდება.
და დაუწყნარდა ძალს მშვენებისას
იგი მწირიცა მწყრალი, გულმშრალი,
და უცოდველის გულისტკივილით
ქალს შეაჩერა ტყვექმნილი თვალი.

XIV

ბოლოს ჰკითხა მან: — „ვინა ხარ, შვილო?
ამ უდაბნოში რამ მოგიყვანა?
მერე ამ დროსა, როს ავდრისაგან
ლამის წაირღვნას მთელი ქვეყანა?“
— „მწყემსი ქალი ვარ... აქ მთის კალთებზედ,
ცხვარს ვამოვებდი მამიჩემისას,
ბალახმა ცხვარი ამოიტყუა
და მეც ამოვყვე ფარასა ცხვრისას.
ლამაზი იყო ამ დღის საღამო,
რარიგ ჰშვენოდა მზე დამავალი!
შევხედე თუ არ იმ მზეს, იმ ცასა,
გავშტერდი, ველარ მოვსხლიტე თვალი.
ღვთის სახესავით გარს შუქმოსხმული
მთის წვერზედ დიდი მზე ბრწყინვალეობდა
და საკვირველი ის სანახავი
თვალთანა ერთად გულსა მტაცებდა.
სულ დამავიწყდა მამის ნათქვამი: —
ნუ ენდობიო, შვილო, ამ მყინვარს,
ნახავ, მზე ადგას, უცებ გაწყრება
და წამოხეთქავს ციდამ ნიაღვარს.

XV

„მაგრამ რას იზამ? მოდი, გულს უთხარ, —
კარგ სანახავზე ნუ ხარ-თქო ხარბი!..
მე იქ გავერთვი... მყინვარმა თურმე
უცებ შეიკრა მრისხანედ წარბი.
ცა მოიღრუბლა, წამს ჩამოზნელდა,
მთილამა ცივი ავარდა ქარი,
მოვინდომე ცხვრის გამოზრუნება,—
გვიანდა იყო, ვერ მოვასწარი.
უცებ შემემთხვა იქავ ავდარი,
სეტყვა ტყვიასებრ წამოუშინა,
ცხვარი გამიფთხო, ვერ მივეშველე,
ბნელაში ფეხიც ვერ წავდგი წინა.
მართლა უნდობი ყოფილა ეს მთა!
უცებ სცოდნია ჩამოზნელება,
უცებ სამოთხეს ჯოჯოხეთად ჰქმნის,
უცებ გიტკობს და უცებ აფთრდება.
ვიშ!.. რად გავტეხე მამის ნათქვამი!..
ახია ჩემზედ, რაც დამემართა!
მამის ურჩსაო, გამიგონია,
გზა თურმე არსად არ წარემართა.

XVI

„დავლუპე ცხვარი მე მამის ურჩმა,
მე გავცემ პასუხს, ჩემი ბრალია!..
მაგრამ შენვე სთქვი: განა წაუხვალ,
რაც ფათერაკად მოსავალია?
თვითონ ცხვარს მაშინ როდი ვჩიოდი,
მე მამაჩემი მეზრალეობდა,
მამისერთა ვარ, მამას ვუყვარვარ,
ვწუხდი, რომ ჩემთვის შეწუხდებოდა.
ცხვარი დავლუპე, — ეგ ერთადერთი
მამის სარჩო და საბადებელი,
მაგრამ წარბსაც კი არ შეიხრიდა,
ოღონდ ვენახე მე უვნებელი.
ვიდექ სეტყვის ქვეშ ბნელაში სერზედ...
ცა ქვეყნის დანთქმას თითქო ჰლამობდა,
ჰქექდა და ჰქუხდა... და ჩემთა ფეხქემ
თვითონ მთის ძირიც იძროდა, ძრწოდა.
რა მექმნა ბეჩავს!.. საბრალო თავი
სად შემეფარა, გადამერჩინა?
ვსთქვი, — აქავ დავრჩე და ბედს მივენდო,
თუ გავბედო და წავიდე შინა?

XVII

„დავრჩენილყავ, - მერე ვინ იცის,
გავაღწევდილა ამ ღამეს ბედშავს?..
წავსულიყავ და - ამ ბნელაშია
კლდე-ღრეში სადმე ჩავიჩეხდი თავს...
მაინც გავბედე შინისკენ წასვლა,
ვთქვი, რაც მომივა, დე მომივიდეს!
თურმე ნუ იტყვი, გზა ამრევია
და მოვსდგომივარ მონასტრის ზღუდეს.
ჯაჭვს ზედ წავაწყდი... და მაშინ მივხვდი,
რომ აქ მყინვარის მონასტერია,
ისიც ვიცოდი მამიჩემისგან,
რომ მონასტერში ვილაც ბერია.
გახარებული გემახდი დიდხანს,
შენც კი კარგა ხანს მე ხმა არ გამე...
ვსთქვი, — ვაიმე, თუ ვერ გავაგონო
და აქ მომიხდეს ვათიო ღამე!..
მაგრამ მიბრალა ჩემმა გამჩენმა
და შენამდე ხმა ამოვაწვდინე...
სხვა ხომ შენც იცი... ღმერთმა გარჩინოს,
როგორც შენ მე დღეს გადამარჩინე”.

XVIII

— „მე ნუ მიმადლი, შვილო, შენს დახსნას,
ღმერთია ყველას მშველელი, მხსნელი...
ღვთით არგანწირულს ყველგან წინ უძღვის
მისი მარჯვენა შემწყნარებელი”.

— „შენ კი ეშმაკი, მგონი, გეგონე”.

— „ნუ მიწყენ, შვილო, და ნურცა გიკვირს!..
შენვე სთქვი, სხვა ვინ მოხედავს ქვეყნით
ერთს დავიწყებულს და განდეგილს მწირს!”

— „განა ქვეყნადა შენ არავინ გყავს,
ან ძმა, ანუ და, ან ნათესავი?”

— „მყვანდნენ... და ყველას გამოვეთხოვე,
აქ მოველ და ღმერთს შევწირე თავი”.

— „მას აქეთ ბევრი წელიწადია?”

— „არ ვიცი”. — „როგორ?” — „არ ვთვლი წელთა სვლას,
მოვშორდი, შვილო, წუთის-სოფელსა
და რაღას ვაქნევ იმის ჟამთა ცვლას!”

— „მოშორდი და აქ სულ მარტოკა ხარ?”

—„ეგეთი არის, სჩანს, ნება ღვთისა“...

—„როგორ თუ ღვთისა? ღმერთს რაში უნდა ამ ყინულებში ყოფნა კაცისა?“

XIX

„ღმერთო ნუ მიწყენ, ნურც შენ გამკიცხავ
მე უმეცარსა მეტის თქმისთვისა...
როცა აქ ცხვარი მიძოვებია
და შემიხედავს მყინვარისთვისა,
მომგონებია მამის ნათქვამი, -
იქ, ყინულებში კაცი სცხოვრობსო,
სულისთვის ხორცი გაუწირნია,
უწუთისოფლოდ მარტოდა სძლებსო, —
გამკვირვებია მე ეს ამბავი,
მითქვამს: იქ ყოფნა რას არგებს სულსა?
განა სწყინს ღმერთს, რომ კაცი შეჰხარის
ქვეყანას, ღვთითვე დაბადებულსა?
ვფიქრობდი: ნეტა, მაშ, რისთვის მორთო
ესე ლამაზად წუთის-სოფელი?
განა მისთვის, რომ ადამიანმა
შეაჩვენოს და აილოს ხელი?
ყველაფერს უნდა გამოვეთხოვო,
ჩემს ტოლს და სწორსა, ლხინს და სიხარულს?!
ღმერთო, ნუ მიწყენ... ვერ ვიზამ მაგას!
ადრე და მალე ვერ მოვიკლავ გულს!..“

XX

„ან შენ როგორ სძლებ უწუთისოფლოდ!
მერე იცი კი რარიგ ტკბილია?!
აქ სიკვდილია, იქ კი სიცოცლე,
აქ ჭირია და იქ კი ლხინია.
ნუთუ თვისტომი, ტოლი და სწორი -
ყველა გულიდამ ამოგიღია?
ნუთუ ნაღველი, დარდი და ჯავრი
თან არავისი წამოგიღია?
არ გაგონდება არც მამა, დედა,
ან ძმა, ანუ და, ან სახლი, კარი?
ნუთუ მის დღეში არა გყოლია
მოკეთე, გულის შემატკივარი?!
როგორ მოშორდი?..“ — „რა გითხრა, შვილო?
ყველაზე უფრო სული ტკბილია,
იგი ტყვე არის წუთის-სოფლისა
და ეგ ყოველი მის ბორკილია“.
— „მაშ, ვინც ქვეყნად ვართ, ყველა წავწყდებით,

ველარ დავიხსნით ვერაფრით სულსა?”
— „ხსნა ყველგან არის... ხოლო გზა ხსნისა
ესეთი მერგო მე ... უბედურსა...”

XXI

„უბედურსაო“?!.. და მწირსა უცებ
გულს ელდა ეცა ამ სიტყვის თქმაზედ...
ესეთი სიტყვა ხომ ჩივილია
და ვით მოადგა იგი ენაზედ?
„უბედურსაო“?!.. - ეგ ხომ სიტყვაა
გულისტკენის და სამდურავისა!
ეგ ხომ სულთქმაა, აღმოკვნესაა
ბედნიერების დამკარგავისა!..
მან რა დაჰკარგა?.. ნუთუ არ ჰყოფნის,
რომ მან დასძლია საწუთროება,
განდგა მისგან და აქ მოიპოვა
სულის მშვიდობა და მყუდროება?
ნუთუ დაკარგვად აწ მიიჩნია
დამარხვა ხორცის, გულთქმის ვნებისა,
და არა ჰკმარის, რომ სულს დაუდგა
წმინდა საყდარი უკვდავებისა?
რა დაემართა? რა მოუვიდა?
ნუთუ უჩივის აწ იგი ბედსა?
ნუთუ აწ ჰნანობს ქვეყნის დათმობას
და მუნათს რასმე სდებს შემოქმედსა?

XXII

არ შეჰკადრებს ღმერთს იგი სამდურავს!
არ გასწირავს სულს შევედრებულსა!
ვით არ იკმარებს ღვთისა კურთხევას,
მასზედ გულუხვად მომადლებულსა!..
არა და არა!.. მაშ რამან სძლია
და ეს სიტყვა რამ ამოაკვნესა?
მიმოიხედა თვის გარს საბრალომ,
თითქო მტერს ეძებს შემაცდენელსა.
არავინ იყო... ხოლო ცეცხლაპირს
ქალს დაღალულსა მისძინებოდა
და ცეცხლის შუქი მის ტურფა სახეს,
ვით საყვარელსა, ზედ დაჰხაროდა.
საოცარ იყო მიძინებული
იგი სიტურფე, იგი შვენება!..
თითქო მის შექმნას ერთად ცდილანო
თვით საყვარული და ნეტარება.
თითქო თვით მადლსა შვენებისასა

თვისი საუნჯე აქ დაჰბნევია
და ეშხსა, ვითა იადონს ვარდზედ,
სული მის ღაწვზედ დაულევია.

XXIII

და რა იხილა კვლავ იგი მწირმა,
დაუცხრა სული აქოთებული
და რაღაც ძალით ქალზედ კვლავ დარჩა
თვალი ტყვექმნილი, გამტერებული.
რად შეემსჭვალა თვალი ამ სახეს?
ის სახე ატკბობს, თუ ეოცება?
მორიდება ჰსურს და ნეტა თვალი
რად ეურჩება და არ ჰნებდება?!
დიდხანს დასცქერდა... ნეტა რა სხივი
გულს ჩაეფინა ნელი და თბილი!..
ჰძრწის, მაგრამ იგი ძრწოლა რად არის
ესოდენ ამო, ესოდენ ტკბილი!
აქამდისაც ხომ გული უძგერდა...
ეხლა სულ სხვაა მის გულის ძგერა!..
ეხლა მის გული თითქო ებანს სცემს
და ისმის ჩუმი ებნის სიმთ ჟღერა.
როგორ იწამოს და რა დაარქვას
ამ ჯერ არ ცნობილს სიტკბობასა?
თუ ცოდვა არის, ეგრე რადა ჰგავს
სულისთვის აღთქმულ უკვდავებასა?

XXIV

ფეხი წინ წადგა... არ იცის კი რად...
ქალს კვლავ ეძინა ნეტარის ძილით,
ძილში ჩაყოლილს ფიქრს თუ ოცნებას
ბაგე გაეპო ლადის ღიმილით.
იმა ღიმილის გრძნეული ჯადო
ზედ დასაკვდომად კოცნას იწვევდა
და იმა წვევის მაცდურებასა
ზეარსთა ძალიც ვერ გაუძლებდა...
და ვერ გაუძლო საწყალმა მწირმაც...
და დაიხარა თავი თუ არა,
უცებ გაშეშდა... ეჰა, წაწყმედავ,
ეს რა სურვილი გულს გაიტარა!..
ნუთუ იძლია? არა და არა!..
მის სასოება არ დაუძლურდეს
და რაცა სწყურდა აქამდე მის სულს,
იგივე უნდა ბოლომდე სწყურდეს!..
არა და არა!.. არ აიყრის მადლს,

და სულს, ღვთისაგან უკვე მიჩნეულს,
არ ანაცვალეbs და არ დაუთმოbs
ხორცს, ესდენ ღვაწლით და ტანჯვით ძლეულს!

XXV

მაგრამ ეს რაა?.. „წაწყმდი თუ არა!..“-
ეს ვინ ჩასძახის ნიშნებით ყურში!
„დაგძლიე თუ არ!... - ეს ვინ გაჰკვივის
გახარებული იმის მკვდარ გულში!
ეს რა ჰხარხარებს! ეს რა დასცინის!
ეს რა ხმა ისმის მის გარს ლხენისა!
მართლა ეგრეა, თუ ყველა ესე
მხოლოდ ცდომია ყურთასმენისა!..
და შიშით, ზარით გარს მოიხედა...
კვლავ არვინ იყო... ქალს კვლავ ეძინა...
იდგა და უცებ ძრწოლით, კანკალით
პირქვე დაემხო ღვთისმშობლის წინა.
მით რა ეშველა?.. იგივე ქენჯნაა,
იგივე ძრწოლა, შიში და ზარი!
რად არ დადგება, რად არა სცხრება
იგი ნიშნების წყეულთ ხარხარი!
სული გულს იწვევს ღვთისა ვედრებად,
გული სხვას ამბობს, არა ჰნებდება...
ნუთუ ღვთისმშობლის საფარველქვეშეც
წყეული ხორცი არ დაწყნარდება!..

XXVI

ზე აიხედა... დედა-ღვთის ხატსა
მავედრებელი შეჰმართა თვალი...
და ვაი, წმინდა ღვთისმშობლის ნაცვლად,
თვალწინ დაუდგა იგივე ქალი!
ეს რა ეწვია? ამას რას ჰხედავს?
ცხადია იგი, თუ აჩრდილია?
ნუთუ მის ცოდვით თვით წმინდა ხატი
ამ ცოდვილ სახედ გარდაქმნილია?
ნუთუ აწ ღმერთი ღირსად არ ჰხადის,
რომ დედა-ღვთისა კვლავ ინახულოს
და მის შეწევნით მისვე წინაშე
ხორცზედ კვლავ ძლევა ისასწაულოს?..
პირჯვარი უნდა — ხელი არ ერჩის,
ლოცვის თქმა უნდა — ენა ებმება,
ხატის ხილვა სწყურს და იგივე... იგივე...
ქალი წყეული თვალთ ელანდება!
„აბა სძლიეო!..” და კვლავ ვიღაცამ

გაიხარხარა იმის სენაკში...
აწ იმა ხარხარს ვედარ გაუძლო
და როგორც გიჟი გავარდა კარში.

XXVII

რიჟრაჟი იყო და ჰტენდებოდა,
გადაყრილიყო ციდამ ღრუბელი
და დაწყნარებულს წუთის-სოფელსა
დილის ნიავი დაჰქროდა ნელი.
ეს ვინ ჰრბის, დამრწის? ეს ვინ ჰტანტალეხს
იმ კლდეებშია თმააბურმენული?
ნუთუ მწირია?.. იგია, იგი,
ვითა სიკვდილი გაფითრებული.
აჰა მოვარდა, ზღუდის პირს დადგა
და მწყურვალეებით უცქერს მთის წვერსა,
თითქო იქიდამ გამოელისო
თვის უკანასკნელს ნუგეშს და ბედსა.
მზის ამოსვლასა ელოდებოდა...
რად არ ამოდის? რად გვიანდება?
დღემდე თვით ჟამი არარა იყო,
და ეხლა წუთიც რად უძნელდება?..
ამოვიდა მზეც... მსწრაფლ უკუიქცა,
შევარდა სენაკს გახარებული,
და კვლავ მზის სხივი იმავე სვეტად
ჰნახა სარკმლიდან გადმოშვებული.

XXVIII

გულზედ მოეშვო... კვლავ სასოებით
დედა-ღვთისასა მიაპყრა თვალი,
კვლავ ჰნახა იგივე ცხოველი ხატი
მადლით, ნუგეშით გადმომზირალი.
არ შერისხულა, სჩანს ჯერეთ ღვთისგან!..
და ღმერთს მადლობა ცრემლით შესწირა...
მივარდა ლოცვანს, დააყრდნო სხივზედ
და, ეჰა, სხივმა არ დაიჭირა!..
დაესხა რეტი, თვალთ დაუბნელდა,
გაშრა, გაშეშდა ზარდაცემული,
ერთი საშინლად შეჰბლავლა ღმერთსა
და იქავ სხივქვეშ უტევა სული.

და იქ, სად წმინდანთ უდიდებიათ
ღმერთი მსჯავრის და ჭემმარიტების,

იქ, სად უწირავთ უფლისა მიმართ
მსხვერპლი ქებისა და ღალატების, —
აწ შორის ნანგრევთ და ნატამალთა
მარტო ქარილა დადის და ქშუის,
და გამომფრთხალი ჭექა-ქუხილით
მუნ შეხვეწილი ნადირი ღმუის...

6 თებერვალი,
1883 წ.

ყრმობის დროინდელი ლექსები

რწყილთაგან ტანჯვაი და მათი ანზავი

კვლავ მოგითხრობთ ჩემს ანზავსა, საშინელსა, საკვირველსა,
იგია წმინდა, მართალი, დამიჯერეთ მის მნახველსა,
სიმრუშე დიდი ცოდვაა, ჭმუნვას მოგვრის მომსმენელსა,
რაც რომ ჩალაუბანს მხედია, ვეტყვი ყველას წამკითხველსა.

სოფელი ჩალაუბანი მცირე რამ ნუ გეგონებათ,
მუნ არის რწყილთა სამეფო, საკურველი სასმენელათ,
მუნვე ალაგი რჩეული - რწყილთა მეფის საბრძანებლათ,
ყოველი მათი მნახველი არ წამოვა უვნებელად.

დღესა ერთსა რწყილთა მეფეს სენი ძველი გაუახლდა,
სენმან მწარეთ შეაწუხა, მეფე ველარ გარდ[ა]ახლდა,
დიდებულნი და აქიმნი შემოკრებით გარსა ახლდა,
იგი შავცმული მეფე საიქიოს გარდასახლდა.

რწყილთა ბევრი ივაგლახეს, იტირეს და თავში იცეს,
მერეთ თქვეს: - იგი წავიდა, ახლა სხვა უნდა მოგვეცეს.
აღმორჩიეს სხვა მეფე, კაცის თმაჲ სკიპტრათ მისცეს,
იგი მეფე შაოსანი ფიცს მოითხოვს დიდსა, მტკიცეს.

მეფემ ბრძანა: - ჰე, რწყილნო, დიდი ლხინი დღესა გვმართებს,
აწ ავიყარნეთ, წავიდეთ, არ დავადინებთ ჩვენ კაცებს,
ტკბილ ხორციანი მოვნახოთ, იგი ჩვენა ძრიელ გვარგებს,
ვწუწნოთ ხორცი და უყუროთ, კაცი როგორ ივაგახებს.

აქ დაიწყობა ამბავი, ჩემი ზემოთ მოხსენებული,
ეგე ამბავი სწორეა, არ არის მოგონობული,

რაცა რომ მითქვამს, ეგე მაქვს ელჩისგან გაგონებული,
რომელიც იყო რწყილთაგან საელჩოთ ჩემთან რებული.

რა მოახლოვდა ჩემს საწოლს რწყილთა მეფისა ლაშქარი,
მათმან მეფემან მიხილა მე მძინარე, ვით მომკვდარი,
დიდსა სპასპეტსა უბძანა: - კაცი ვგზავნოთ მაცნობარი!
- ეჰე, მეფეო, - ჰკადრა მან, - საქმე სთქვი [შენ] საქებარი.

მომივიდა მე მუნ ელჩი, რწყილთა მეფის მოგზავნილი,
მოვიდა, ცხვირზედ მიკმინა, მისგან ვიქმენ შეკრთომილი,
განვიღვიძე და ვიხილე იგი რწყილი, შავმოსილი,
ჰკადრე მასა: - რა გაწყინე, დამიკარგე ძილი ტკბილი?

მან მიპასუხა, მე ვარო მონად რწყილთა მეფისა,
გამოგზავნილი შენდამი, ელჩი ვარ მის დიდებისა,
აწ მე გეტყვი ყველაყასა, ჰვცანი ძალი მის ნებასა,
შენს ტანზე ამაღამა ლხინი გვინდა რწყილებისა.

ოხ, რა გავკვირდი, რომ ვნახე რწყილი ნალაპარაკავი,
ჩვენებურისა ენითა სთქვა, მით ამცირა ჩვენი თავი,
ვიცი, ღმერთმან ლაპარაკი კაცსათვისა არ ჰქმნა ავი,
იგი რწყილთა წაგვართვეს, გაუტყდესთ მათ თავი შავი.

ჰკადრე ელჩსა, უპასუხე: - გეაჯები, შემიწყალეთ,
ძილი მინდა, დავღალულვარ, აი ამით შემიწყალეთ,
თქვენ ინებეთ წოწვნა ჩემი, ხოლო ხვეწნა აღმისრულეთ,
ხორცი არა მაქვს მე ტკბილი, წადი, მეფეს უთხარ მალეთ.

რა ელჩი ურდოს მივიდა - გეტყვით სიტყვითა მოკლითა, -
აიყარნეს, წარმოვიდნენ რწყილნი დიდის მოლხენითა,
იგი მეტად გულოვანი მოდიოდნენ რაზმებითა,
რა დავინახე იგინი, გული ვიმსე ვაებითა.

შემომესივნენს იგინი, გაიმართა დიდი ბრძოლა,
ზოგი ცხვირს მკბენს, ზოგი ლოყას, მით იხმარეს დიდი ძალა,
შემოხვევნა მათი გარსა ჩემთვის იყო დიდი ბალა,
ზოგსა ვხოცდი, ზოგსა ვსტყორცნი, ზოგი სადღაც დამემალა.

რწყილთა სპასპეტს მოვახსენე: - აწ მითხარით, მებძვით მე რათ?
მან არა მიპასუხა რა, გაუტეხე თავი ორად,
რწყილნი გმირულად ილტვოდნენ, მეც კი ვიყავ ვაჟკაცურათ, -
რომელი რომელს შევსტყორცნე, დაიხოცნენ უზრუნველათ.

ჩემი ტანჯვად ღამეს კალმით ვით აღიწერება,
ჰკადრე ღმერთსა: - ტანჯვა მეყო, განმიქარვე მწუხარება,
თუ არა აწვე მომკალი, სიცოცხლედ მეზარება,

დავსუსტდი და ვივაგლახდი, არსად იყო შეწყნარება.

აბა, რაღას ვაგრძელებ მე ამბავსა საკურველსა,
დამტანჯეს, ვითა ჯოჯოხეთს სტანჯენ დიდსა შემცოდესა,
დიდი ტანჯვა და ჭმუნვაჲ მერგო მათსა მასპინძელსა,
თრთოლას მიყოფს, რომ ვიგონებ ღამესა მას მაშინდელსა.

სრულ იქმნა

[1840 წ.].

* * *

დავსწერ სოფლისას ქებასა მე ყრმაჲ გამოუცდელი,
სახელათა მძევს ილია, ვარ რა სოფლისა მნახველი,
მე არა ვსცხოვრობ მას შინა, ხოლო ვარ იქა მყოფელი,
და რაც არ მეცადა, მუნ ვცადე, ჭმუნვა რა ვნახე ყოველი.

აწ, წამკითხველნო, მიპყარით ყურნი თქვენი გონიერათ,
განკვირდებით, რომ დავიწყე ქება მისი ღმობიერათ,
მაგრამ გემო მაწვნისა მის პირს მიმჟავის მშვენიერათ,
და ამ მიზეზით ვაქებ მასა გავხდი მასთან კადნიერათ.

ნუ გეგონოსთ, რომ მე მინდა პოეტობის სახელდება,
ეჰა, ღმერთო, შენ ხომ იცი, ეგე მე არ მეაზრება,
ეგ სახელი დიდებისა უცდელს ყრმასა ვით უნდება,
და თუ მე ეგე ვითვისო, ენას ბრჭვალს მომედება.

როგორც ხმასა ყორანისას ბულბული არ მოიწონებს,
ისე ჩემსა ლექსთ-თხზულებას პოეტი არ შეიწყნარებს,
ვიცი, ამის წამკითხველი შეცდომასაც ბევრსა პოებს,
და მე იგივე შემიწყნარებს, შემიწყალებს, მომიტევებს.

ვახსენოთ ღმერთი, დავიწყოთ ქებაი მისი სოფლისა,
მას ჩალაუბნათ უხმობენ, სახელი არის რომლისა,
დიდი, მდიდარი ყოვლისფრით, შემწყნარებელი ყოვლისა,
და თვით სოფელია უებრო, საყრმოა აფხაზოვისა.
ჩალაუბნისა სიკეთე რაზომც არ დამახსოვდება,
მუნ ვცანი დიდი განჯვად, მუნვე ბუნების დიდება,
მისთვის მოვიხმე კალამი და სრული გონიერება,
რომა ვახსენო, ვადიდო მე მისი მშვენიერება.

სამთა მთათ შუა მდებარე, ვნახე მე იგი სოფელი,
მაწონსა, რძესა, ნაღებსა მუნ ჰპოებს სული ყოველი,
იგია კახთა ქალისა სიმაგრე დიდი მომვლელი,
აი, რით არის მდიდარი მუნ მყოფი ყოვლი ცხოველი.

მას გარეშემო არტყია მთანი თვალმიუწვდომელნი,
მათ ზედა ტყესა მოსილსა შეენატრიან იქა მყოფელნი,
მწვანის ხავერდით მოსილნი ამაყობენ მისი ველნი,
და ამით არიან საქებნი ჩალაუბანს მცხოვრებელნი

კვლავცა დავწერამ მე აქა ჩალაუბნისა ქებასა,
წყაროა იქა მდინარე, ვიგონებ მისსა ჩქეფასა,
მისი ტურფად კამკამი ვადარე ელვარებასა,
ყოველი მისი მნახველი უძღვნის უფალს დიდებასა.

უფრო შეიმკო ნაქები ეს ჩვენი ჩალაუბანი,
გაბედნიერდა, გაკეთდა, რა ნახა თავადობანი;
მათმან მშვენიებამ აღავსო ამ სოფლის ნაკლუნებანი,
აბა, მსმენელნო, მოგიხმობ, მივსცეთ ურთიერთს ჩვენ ბანი.

ამას სოფელს შიგან ვნახე დიდი საკვირველებად,
პირველ ტურფა მშვენიერი მას არტყია ბუნებად,
მერეთ ვირი იქ არ ჰსცხოვრობს, ეგე მისი თვისებად,
ოჰო, წამკითხველნო, განკვირდით, ვირსა მართებს ვაებად.

აწ მოგახსენებთ, სად არის ამ სოფლის არემარე,
იგი ყოვლისფრით შემკული ქიზიყსა არის მდებარე,
ყოველს ქიზიყის სოფელშიდ ვირი არის ასიც ბარე,
და მე რომ ვნახე მუნ ვირი, საკვირველებას ვადარე.

ეჰა, საწუთროვ, რათ დააკელ იგი მოზრდილ ყუროვანი,
იგი ტურფათ გასაგონი, მხეცთა შორის გულოვანი,
ესე იგი შავი ვირი გულით არის ბუნდოვანი,
ჩალაუბანს მცხოვრებელნო, ქვა იკარით დიდროვანი.

აბა, საწუთროვ, ჩალაუბანმა რა გაწყინა, რა შეგცოდა,
მის საგანგებოს სიტურფეს დიდყუროვანი დააკლდა,
რატომ არ უძღვენ მას ვირი, მითი მას გული დალბოდა,
მაშინ სიტურფით სრული ჩალაუბანი დიდს მადლობას
გეტყოდა.

ქება დასრულდა

[1840-იანი წლების დამლევი]

ჩემი გონებიდგან განუმორებელო დაო ნინავ!

ჩემს საყვარელს დას, სასურველს ნინას,
წიგნსა მოგწერ, თუ ყურს მისცემ სმენას,

შენის ლოცვისთვის ვსტანჯავ მე ენას,
შენთვის ღმერთსა ვსთხოვ შვებას და ლხენას.

ღმერთმან ისმინოს ჩემი ზრახვანი,
რომე გიქარვოს შენნი ტანჯვანი,
მაშინ მაღირსოს შენი ნახვანი,
აი, რა არის ჩემი ნატვრანი.

იყავ მშვიდობით, სავსე ბედით, ყოვლის სიკეთით,
სტკბებოდე ლხინით, სიამოვნით, ყოვლისა ბედით,
მაშინ აღტაცებულ ვისიამოვნებ შენთანა ხლებით,
და უფალს მადლობას შევწირამ დიდისა ქებით.

ამ წიგნთან გიძღვნი ჩალაუბანის ქებას,
თუ წარკითხვისთვის დართობ შენს ნებას;
მრავალსა ჰპოვებ მუნ შეცოდებას,
და რათლა ვიფიქრებ მის მოწონებას.

შენსა შვილსა, ჩემს დისწულსა გიგოსა,
მაგ ვარდის კონას, დრამის წონას, გვრიტოსა,
ათასჯერა ჩაუტყლომნი მის თვალებსა ცქვიტოსა,
და შემწეობას მისთვის მასსა ვთხოვ, ვისთვის მან თეთრი იმოსა.

ბევრსა მოგწერდი, მარამა ენა არა მაქვს ტკბილია,
ჩემი ნალექისი სიტყვები გულისთვის მტათ ლბილია,
მისთვის ვასრულებ ამ წიგნსა, თვალსაც მომედვა ძილია,
და დავშთები აქა შენი ძმად, მე ჭავჭავაძე ილია.

[1852 წ.]

სიტკბოება თვის მამეულში

მოდით, შორს მყოფნო, თქვენს მამეულში,
მის სიტკბოება მაქვს მეტი გულში,
მე მუნ შთავარდი ბედშია სრულში,
ამას სწორეთ ვიტყვი, არა ვარ მრუში.

თქვენ იგი სახლი, მოდით, იხილეთ,
სადაც იშვენით, თვალნი ახილეთ,
სადაც, დედისა ალერსი ხილეთ,
სადაც მამისა სიყვარული სტკბილეთ.
ალაგსა იმას თქვენ მუნა ნახამთ,
სადაც კეთილად თქვენ ყველას ზრახამთ,
სადც ყმაწვილობის ჟამი გიმარხავთ,
სადაცა ჰპოვებთ, რაც გულს გისახამთ.

თქვენს ყმაწვილობას მუნ განიახლებთ,
დიდს სიტკბოებას გულს განიტარებთ,
ყოველი საგანი მოგიალერსებთ -
და რას სიამოვნებას გულს განიაზრებთ.

აი, რით განიახლებ შენ ყმაწვილობას,
მე ყველას გეტყვი, გიზამ წყალობას,
ყური დაუგდე ჩემს არ გალობას,
ქვე თვალი ავლე ჩემს ლექსთ მოწყობას.

აბა შეხედე შენ იმა ხესა,
მის ქვეშ ყმაწვილობას [დეგ] მახესა,
ჩიტსა იჭერდი მეტათ ბრთხალესა,
ღიმილს მოგვრიდი შენსა სახესა.

აი ალაგი, სადაც შენ ქოხი
უნდა დაგედგა, მოგქონდა ჯოხი,
მაზედ წვალობდი, იძახდი ოხი,
მერე იხარი, რა დადგი ქოხი.

აგე ის ბაღი, სადაცა შენა
დარბოდი, ხტოდი, არ გქონდა ქშენა,
გახსოვს, შენ ოდეს ჩიტის დაშტვენა
ვითა გიამა, ვით დაგამშვენა.

გახსოვს, შენ ოდეს პეპელას ზდევედი,
მის დასაჭერათ შენა მიზდევედი,
შენ დაღალვასა არათ იმჩნევდი,
ამათ მამეულში მოიგონებდი.

მოდით, შორს მყოფნო, შენს მამეულში,
მის სიტკბოება მაქვს მეტი გულში,
მე მუნ შდავარდი ბედშია სრულში,
ამას სწორეთ გეტყვი, არა ვარ მრუში.

მუნ თითქო წყალი, მოსრული რუით.
მოგიალერსებთ თვისის შუილით,
თითქო მუნ სადღაც, თვისის ღმუილით
შვიდობას გეტყით ენით ტყუილით.

[1840-იანი წლების დამლევი
50-იანი წლების დასაწყისი]

ჭაბუკობაზედ

კაცის სიცოცხლეს აქვს გაზაფხული,
მას სიჭაბუკე აქვს წოდებული,
ვინც მაგ ხანშია შეწონებული,
არის ყოველთვის შენატრებული.

შენ, სიჭაბუკეთ, სიცოცხლის ვარდო,
კაცთ შემკობელო, მისვე ნავარდო,
შენ ყველა გეტრფის, სიცოცხლევ მარდო,
შენ მოხუცისავ მწველო და დარდო.

შენს ხანში კაცსა ყველა უნდების,
ყველას ინატრის, თუკი შეხვდების,
ვისაც იხილებს, მას მიენდობის,
ლამაზის ქალის ცეცხლი ედების.

შენ ხანში კაცი არს უდგრომელი,
მისი, რაც დღეს აქვს, არს უნდომელი,
მრავალი მას აქვს მოსანდომელი,
რომე მით იქმნას მიუწვდომელი.

შენს ხანში კაცი ყოველგან დარბის,
მას პოვნა უნდა უეკლოს ვარდის,
რომ ვერა პოვოს, არას იდარდის,
და თუ იდარდის, მალე განქარდის.

შენს ხანში კაცსა არა მოშივდეს,
უნდა სიცოცხლე ეგრეთ განვიდეს,
დღესა არ დასთეს[ს], რომ ხვალ არა მკიდეს,
თუ ზედამხედი მასთან არ ვლიდეს.

შენ, ჰეი, ჭაბუკო, ხარ უმეცარი,
სიტყვა მაქვს შენთვის შთასაგონარი,
ყური მომიპყარ, არა სთქვა უარი,
მით ნუ იქნები გაუგონარი.

ჭაბუკობაში სიკვდილს არ აზრობთ,
რატომ არ იცით, იგი ვით გასწრობთ,
ბერსაც, ჭაბუკსაც იგი მოგასწრობთ,
ყელსა წაგიჭერთ, ისე დაგარჩობთ.

იმისთვის გეტყვით, რაც აქა ბრწყინავს,
ხვალ დაბნელების, ამ სოფელს ბრუნავს,
თქვენ ის ეძებეთ, რისთვის ბერი ძრწუნავს,
სამოთხეს პოებთ, მუნ ბნელიც ბრუნავს.

[1840-იანი წლების დამლევი
50-იანი წლების დასაწყისი]

დაღონებული, არ ვიცი რაზედ,
ვიჯექ ბნელს ღამეს მე მოაჯარზედ;
ერთი ვარსკვლავი არა სჩნდა ცაზედ,
ვერას ვხედიდი ჩემს წინა მთაზედ.

შავნი ღრუბელნი გარს მოდებულნი,
თითქო ქვეყანზედ შეშფოთებულნი,
თითქო წვიმისთვის გამზადებულნი,
სივრცესა ცისას იყვნენ კრებულნი.

არ გამოვიდა მცირედი ხანი,
ქარისა ქროლით მეწეწნენ თმანი,
მან გარდაყარა ღრუბლისა მთანი,
მაშინ გარდვავლე გარს ჩემი თვალნი.

მაშინ განათლდა მთელი ბუნება,
რაცო სიბნელემ ნათლად ცვლილება,
მაშინ ვიხილე ქვეყნის დიდება,
ვაქე, ვადიდე მისი თვისება.

შავხედე ცასა, ვარსკვლავთ ჭედილსა,
ამას წინათა ღრუბლით ფენილსა,
მუნ უყურებდი მთვარეს ჩენილსა.
ამათ ღრუბლიდგან გამოჩენილსა,

ჯერეჟა ვნახე მთვარეს ნაწილი,
ღრუბლით იჭვრეტდა, ვითა ყმაწვილი,
ვითა ფიალა შემოვერცხლილი,
მერეთ გამოჩნდა მთვარე აღვსილი.

სივრცესა ცისას იგი ცურავდა,
სხივსავე თვისას ყველას ფინავდა,
საგანსა ბინდათ [მი]მოხატავდა
და მშვენიერათ [გამო]სახავდა.

ვარსკვლავნი, მისგან გაბრწყინვებულნი,
მის გარემემო მოწიწებულნი,
ვითა წინწკლები განფატებულნი,
ცას ამშვენიებდნენ ერთათ კრებულნი.

სიამოვნით სრულსა მომეცა ლხენა,
მაშინ ატოკდა ეს ჩემი ენა,
ატოკდა, ღმერთი ეგრეთ ახსენა:
ღმერთო, გადიდებს ქვეყანა შენა.

ნელი ნიავი ფოთოლს ანძრევდა,
თითქო ნანის ხმათ ჩემს ყურს აძლევდა,
ძილი მიქროლა, თვალსაც დამთლემდა,
მუნ დავიძინე, ვიდრე გათენდა.

მოთქმა საწყლისა

სად მოვასვენო საწყალმან თავი,
არცა მაქვს სახლი, არც ქოხი ავი,
მზისგან დამწვარი მაქვს ტანი შავი,
ქვეყნათ არავინა მყავს მე შემნახავი.

რა ვქნა, რა ქვად მე თავში ვიცე,
ქვეყნათ ცხოვრება არა მაქვს მტკიცე,
ვისაც შევჩივლე და ღმერთი ვფიცე,
არ შემიბრალა საწყალი მტიცე.

ერთხელ მეც მქონდა ბედნიერი დრო,
როს დედ-მამასთან მე მქონდა ყუდრო,
მარა სიკვდილმან იგი წამართო,
ჰმუნვითა დამყო წყეულმან მარტო.

ვხედამ მე ბევრსა, ბედით არს მტკბარი,
ყოვლისფრით სავსე არს მოცინარი,
ხოლო გზა ჩემი მათ გვერდზედ არი
და ჩემს თვალზედა არ რის დარი.

მე ბედი სხვისა არაფრათა მშურს,
იგი ყველასთვის წმინდის გულით მსურს,
მარამ მე ვსჩივი ჩემს თავს დადაგულს,
ვაი, ჰმუნვაო, რათა სწვამ ჩემსა გულს.

მე ვარ საწყალი ქვეყნათ უსუდრო,
არცა მაქვს არსად მცირედი ყუდრო,
რომე მუნ მივწვე, მუნ მივეყუდრო,
კარი-კარ პურს ვითხოვ, უდროთ უდრო.

ოხ, უხვო ღმერთო, მარტო შენგანა
არა ვარ დავიწყებულ ობლად ყველგანა,
შენის წყალობის წყაროდთ განა
არ გინდა ყოვლის ერდგან გაბანა!

ყოველს სოფელში გაქვს ეკლესია,
იგი ყოველთვის განგიწესია,
მეფეც, საწყალიც, თუნდა მწყემსია,
მუნ გადიდებენ, რავარც წესია.

და წყალობა შენი უდიდესია,
რომ მუნ ალაგი მეც მიწესია.

მუნ შენა გხედამ ჩემსა გამჩენსა,
მხურვალის გულით სახელსა შენსა
გაქებ, ვადიდებ სახელსა შენსა,
წმინდის ლოცვითა უფალსა ჩემსა.

მე ამ ქვეყანას ქვეყნიერს ვაძლევ,
ვიტანჯვი, ტანჯვას ლოცვითა დავძლევ,
შენ საიქიოს დიდს იმედს მაძლევ,
გმადლობ შენ, ღმერთო, ყოვლისა დამძლევ!

შენი ბრძანებით გაიხსნება ზეცა,

მუნ ყველა მივა, რა ჩავა მზეცა,
თუმცა სახლი, კარი აქ არ მომეცა,
შენგან ალაგი მუნ ხომ მაქვს მეცა!
შენ, ჩემს უფალსა, გადიდებ, ღმერთო,
არსებით სამო და პირით ერთო,
შენი წყალობა ქვეყნათ გაერთო,
საწყლის, მდიდრისთვის არის საერთო,
გმადლობ შენ, ჩემო უფალო ღმერთო!

[1840-იანი წლების დამლევი
50-იანი წლების დასაწყისი]

ალბომში კნეინის ნატალია ანდრონიკოვისას

ნელი ტანის რხევა, ნაზი ქცევა მე შენი ვნახე,
არს შენნი თვალნი, განათალნი, ჭაბუკთთვის მახე,
ტუჩთა ღიმილი, შენი სიცილი გულსა ვისახე,
ორთა, ვით დათა, ცელქობამ კავთა გიშვეს შენ სახე, -
როს თამაშობა ქორწინობას მე შენი ვნახე.
გიძღვნი ამ ლექსსა საალბომოთ, სხვათა მივბაძე,
რომ მომიგონო, ძმათ მიგონო მე - ჭავჭავაძე.

[1852 - 1856 წწ.]

კნიაჟნა თიკოს ჭავჭავაძის ალბომში

ჩემებრსა სუსტსა შენი ქება ვით შეეძლება?
შენ ხარ ქებაზედ აღმატებულ, ესე მეთქმება,
შენ თვითონ იცი, რალა ფიცი მე მომინდება,
რომ შევწევა შენი ქვეყნიერსა არ ედარება.
გთხოვ, ამ სუსტსა ლექსსა ალბომში მისცე მცირედი წილია,
რომ წარკითხვითა მიგონო მე შენი ძმა ილია.

[1852 - 1856 წწ.]

ავტორის მიერ დაწუნებული ლექსები

პავლოვსკის პარკი

პავლოვსკის პარკიში, დაღონებული,
ბევრ ფიქრით დამონებული,

ჩემს აგარისკენ ვიდოდი ნელათ,
სდგა ღამე და ცა სჩნდა მწყვდიად-ბნელათ.
პარკს დასდებოდა ბურუსი სქლათა,
ტყე, ხენი იყვნენ თითქო მძინრათა,
არსად ჩუჩუნი, არსაიდამ ხმა..
მეც ამიტაცა ჩვეულებამა
და ჩამაფიქრა ჩემს სიცოცხლეზედ
და ჩემ ქვეყნისა შორ ტკბილ კიდეზედ,
და ნათლათ წამნი, იქ დამარხულნი,
წინ განმიტარა გაცოცხლებულნი.
ყველას ვჭკვრეტდი მე: მშობელ მთა და ბარს,
ველსა, ედემის ღირსათა მღიმარს,
განრისხებულთა წყალთ გრგვინვით დენას,
და სამხრეთის ცის თავისუფლებას.
ისე ტკბილ იყო ის დავიწყება,
რომ აღარ მსურდა მე გაღვიძება
ჩემ მოწყენილის ცხადისათვისა,
ჩემ ქვეყნის გარე სიცოცხლისთვისა.
ეგრეთ ვეტრფოდი იმ ღვთიურს ხილვას
და გასაოცარ უძილო სიზმარს...
მარამ ვიღაცამ მხარი მხარსა მცა,
ხილვაც დამიფთხო, ბედიც წარმსტაცა!..
აღშფოთდა გული განრისხებული,
იმ ტკბილ ოცნებებს მოშორებული...
ზე ავიხედე და ქართველის სახე
იმა წყვდიადში მე დავინახე,
ჩემ ქვეყნის შვილი იდგა ჩემ წინა...
გაკვირდი და ვსთქვი: ოცნებამ მცინა...
დიდხანს შევყურე განცვიფრებული
მის ვაჟკაცურსა შავგვრემან სახეს, -
ჩემ ქვეყნიდამ აქ გადმოგდებული,
ვით ვერ ვიცნობდი ჩემ ძმასა ქართველს?!
ვიცან და გული გაკვირვებული
მკერდში ათრთოლდა გახარებული.
ბედო, იმ სიზმრის სიმტკბარე წმინდა
ამ გაღვიძებათ ყოველთვის ღირდა;
მის მაგიერსა შენ თავის ჟამში
ვერას მომცემ ამ ცივ ქვეყანაში.

1858-სა წელსა, 1-სა აგვისტოს,
ს. ტიარლევო.

ს . . . ს

მას აქეთ, რაც შენ მე შემეყვარდი,

ადარ შორდება ჩემ გულსა ურვა,
უიმედობის ჰკლავს იმას დარდი
და ჩემს ბედზედა უბოლო მდურვა.
მე შენ არ გასმენ ჩემსა ტანჯვასა,
მას, რაც ნელ-ნელათ მითხრის საფლავსა
შენ წინ დავფარავ თვალში მთრთოლარს ცრემლს,
შობისა უმაღ მოვკლავ ოხვრას ჩემს...
არა, ვერ გასმენ მას, რაიც შობავს
იმ ცრემლის გუბეს, იმ ოხვრის სუნთქვას.
ჩემ საწყალ გულთან ეს სიყვარული,
შენგან ჩაგრული და განგდებული,
წავა, საფლავში დაიმარხება
ისე, რომ არც კი დაგემდურება...

1858-სა წელსა, 30-სა დეკემბერსა,
ს.პეტერბურდი.

* * *

მითხარ, "მიყვარხარ", - და იმავ წამში
ერთს გაშმაგებულ მხურვალ ხვევნაში,
ერთსა ანთებულს ცეცხლებრ კოცნაში,
დავანთხევ რა მთელს სიცოცხლის ძალსა,
მე სამუდამოთ დავხუჭავ თვალსა...
მაგრის სიკვდილით დაგვირგვინება
ჩემ მრავალ ტანჯვის ჯილდო იქნება!...

18 იანვარს, 1859 წელს,
პეტერბურდი.

* * *

ტუჩთა მიკონვა, ტუჩთ ჩაკოკრება,
თუმც ხან ჩვენ გულში გესლათ იღვრება,
მაგრა მაინც კი, როს ვჭვრეტ ორ ტუჩთა,
დასადნობლათა ჩაკოკრებულთა, -
ღმერთო, შემინდე! - მოვყვები კანკალს
და მსუნავსავით ნერწყვისა ყლაპვას.

1859-სა წელსა, 20-სა თებერვალს,
ს. პეტერბურდი.

სიზმარი

ძმაო, სურვილით
ანთებულ გულით,
რაც ცხადათ მწადადა,
სიზმარი ხატდა.

ვნახე სიზმარი,
ოხ, რარიგ მტკბარი!
მესიზმრა მშობელ
ქვეყნის მთა-ბარი;
ხვევნა მსურდა მთის,
ჩემ ძველ ნაცნობის,
შთანთქმა ტკბილ ხმისა
ქართველის სიტყვისა,
ალერსით შეპყრა
ჩვენ მზის სხივისა;
ვსჭვრეტდი ჩემს მშობელს
მთის პირში სოფელს,
ვით ჩემ დროს, ისევ
ისევე მყოფელს.
იქ ვნახე სახლი,
სადაც მე თვალი
პირველ ვახილე,
და რა ვიხილე?
ტახტზედ ჯდა ქალი,
სწვიმდა მის თვალი;
ჩემს თავსა ვკითხე,
ვინ არს მტირალი?
არის ვითომ ის?..
განა ყვავილის
ჩრდილი თვით ყვავილს
რითმე ედრების?
ვსცნობდი, არც ვსცნობდი
მტირალსა ქალსა
და გულში ვგრძნობდი
რიღაცის ალსა.
დიდხან და დიდხან
ცრემლს თვალით ღვრიდა
და ყრუთ ხანდისხან
კვნესდა, ოხვრიდა,
მერეთ გახეჩნა
ბაგე ფერკრული
და რა ახსენა? -
დავიწყებული
ჩემი სახელი.
მსმენმან იმ ხმისა
გავშალე ხელი, -

ის იყო!.. ისა!..
მსურდა შემეპყრა,
გულსა მიმეპყრა...
და ნაცვლათ მისა -
ჩემ სარეცლისა
ცივი რკინა ხელს
შემრჩა მღვიძარეს.
ეგრეთ ვჭვრეტ სიზმარს,
ვბედნიერდები,
ვიდრე, ძმა, ცივ ცხადს
არ შევეყრები.

[1857წ. ივლისი - 1859 წ. ნოემბერი].

ზოგიერთს

თუმც მეც მქონია ყრმობას სხვათაებრ ბევრი ცოდვები,
მის უვიწყრობა სულელობით არ გამართლდება:
სასაცილოა, რომ ვისც ყრმობას მოხვდა როზგები,
მივიდეს ეხლა და ითხოვოს პასუხისგება;
ანუ ყმაწვილმა გაუსვაროს ვისმეს ხელები,
როს გაიზარდოს, მაშინ უწყოს შურისძიება...
აქ სიდაბლეს; რას იტყვიან პატიოსნები,
ამგვარ გასვრაში მითამ იყოს პატიოსნება?...
ღმერთო! გთხოვ, ხალხს არ დაავიწყო ჩემი ლექსები,
ისე, ვით ზოგიერთს ცოდვა ჩემი არ ავიწყდება.

6 ოკტომბერს, 1860
პეტერბურგი.

ექსპრომტები

კოლა ერისთავს

სხვისა სიტყვა, შენგან თქმული,
კეთდება და უფრო შვენის.

[1890-იანი წლები]

ეკატერინე სარაჯოვისას

ამ ლექსს გიწერ ჩემს სახსოვრად,
და გაგიხვევ შიგ ჩემს გულსა,
სადც ვინახავ, ვით მარგალიტს,
მე შენს და-ძმურს სიყვარულსა.

[1890 – 900-იანი წლები]

* * *

ამ შენს სახეს როცა ვუცქერ,
მაგონდება ყასაბ ღაღო,
რით ვერ გასძელ ღორის ჭამით,
ღორმუცელავ, ყურუმსაღო!

[1890 – 900-იანი წლები]

ფრაგმენტები

* * *

ჯერეთ ყრმა ვიყავ და ვიცოდი, რა არის სიტკბო,
ისე ვიცოდი, როგორც დედის ხვევნისა სიტკბო.
დაუდევნელად, ყმაწვილურად ჩემ სწორთა შორის
ვილხენდი, ვიდრე . . .

[1859 – 1860 წწ.]

* * *

ერთხელ ვიყავ ბედნიერი
ყმაწვილ-ყრმობის სილაღითა
მიყვარდა მე

[1860 – 1861 წწ.]

სამი სიკვდილი

ყრმავ, დაუჯერე პაპის სწავლასა,
დამიჯერე

[1860 წ.]

* * *

დიამბეგის შვილს ნანა, პატარა დიამბიკოს,
გაიზღება დედ-მამის სალხენად, სადიდებლად;

ვით მამა ქრთამს იღებდა, შვილმაც რომ ისე იღოს...

[1861 წ.]

* * *

რითაც ვიყავ მოქადული,
ყველა მე შენ განაცვალე:
სული, გული, ცნობა, გრძნობა,
დღეისი და ჩემი ხვალე.
შენ გემსხვერპლა ცნობა, გრძნობა,
აღარარა შემრჩენია,
ესღა შემ[რჩა შენი სახე]
გულშ[ი ხატად მისვენია
მას ვლოცულობ მე დღედაღამ,
მას შევხარი, მას შევცქერი]

[ირაკლი]

მამა

გული მეპობა, რომა ეგრეთ ვხედავ ჩემ შვილსა!
აღბეჭდილი აქვს მაღალ შუბლზე მუდამ ტანჯვანი.
დადის მარტოკა მოუბარი, ხან კლდისა პირსა
ზის და სჭვრეტს, ვითა ჰქაფდებიან მის ფეხქვეშ წყალნი.
ხან მწუხრის ჟამს ყურს უგდებს ტყეში მტირალსა ქარსა,
ხან მიწოლილი ხის ჩრდილშია არის მდუმარე,
ხან ნათელ ღამეს თვალთ მიაპყრობს დიდ ხნობით ცასა,
თითქო იქ ეძებს დაკარგულ ბედს იგი მწუხარეს!...
და თუ მოვა შინ, იგი იცავს ბნელ მდუმარებას,
და თუკი იტყვის, გულს განხვრეტენ იგი სიტყვანი...
თვალნო, დაბნელდით, რომ არ სჭვრეტდეთ მის მწუხარებას!
ცავ, მე დამითმე ჩემის ძისა უღვთო ტანჯვანი!
აგერ თვით მოდის, მის მხედველნი ტირიან ქვანი...

(დაეყუდება ორივე ხელზედ და აიფარებს თვალთ)

ირაკლი
(შემოდის)

ესე ვიცხოვრო და სულ ესრეთ - უღვთობაა.
მე ვეღარ ვიტან ჩემთა ფიქრთა მძიმესა ტვირთსა.

მამა

გასინჯე, შვილო! მშობლისთვის რა მწველი გრძნობაა,
რომ ემაგ ყოფით იგი ხედავ[ს] თვის ხორცს და სისხლსა!

ირაკლი

რა ვქნა, მამავო! ვცხოვრებ, ვითა უნდა ცხოვრება,
ვით[აც] შეშვენი მას, ვინ ღირს[ი] არის ფიქრისა,
და ვისაც ერთხელ ამ ცხოვრების ცნობა ერგება -
იგი დღედაღამ გაუწყვეტლათ ითხოვს სიკვდილსა.
ესე ქვეყანა არ არს სფერა უკვდავებისა,
იგი ვიწროა, უკვდავება ვერა შლის ფრთასა!..
ოხ! მე ვიპოვე სხვა ქვეყანა, სხვა თვისებისა,
იქ, მე ვფიქრობდი, განვასვენებ ჩემ დაღლილ თავსა.
იქ, მე ვფიქრობდი, ჩემთა აზრთა განვაზიარებ,
იქ, მე ვფიქრობდი... მაგრამ რაღა სიტყვას ვაგრძელებ,
იქ მე ვიპოვე ნახევარი ჩემის სულისა,
ვისაც შეეძლო ტვირთვა ჩემთან მძიმე უღლისა,
ვისაც ძალ-ედვა, რომ განეყო ჩემი ტანჯვანი,
ვისაც ძალ-ედვა, რომ გაეგო ჩემ აზრთა წვანი...
მან მეც გამწირა, მან უწყალოდ მე განმირიდა!..
მისდა მიწდომა რაოდენათ (ცრემლად მიღირდა!)
მე მივსწვდი და ვერ მოვსწყვიტე ის ვარდი [სულისა],
ეგრე მოვსტყუვდი, და არ გიკვირს ცოცხალს [სჭვრეტ შვილსა]?

მამა

შენ გყვარებია თურმე ვინმე, ეგრე სთქვი განა?!

ირაკლი

მე მყვარებია, კიდევ მიყვარს და მეყვარება,
და მართოდ დავშთი ჩემ ტანჯვასთან და აზრთა თანა
და მათ განმყოფი აღარავიბ არ მეყოლება.

მამა

შენ ჭაბუკი ხარ, გამოიცვლი კვლავ სიყვარულსა,
სხვასა შეხვდები, გაგიმთელებს ხვაშიად წყლულსა.

ირაკლი

არა, მამავო, არა! არა! ათასჯერ არა!
ვინცა ჩემზედა მაგას იტყვის, იგი შემცდარა!
მე იგი ვარ, ვინც ერთხელ იგრძნობს და იგრძნობს სრულად,
ვინც ერთ ტრფობაში სულ შთასწურავს თავისა გულსა,
ვინც წყლულს დაიჩნევს, და დაიჩნევს მოუკვლელ წყლულად,

ასი სიკვდილიც ვერ მომიკლავს ერთ სიყვარულსა.
ყველა გაუქმდა! აღარა მაქვს მე მომავლი!...
თუ ის არ არის, აღარც არის ცხოვრების ალი.

მამა

ნუ იტყვი, შვილო! ეს ქვეყანა ბაღია ღვთისა,
არ დაილევა მასში ვარდი, მჯობი მჯობისა,
და მშვენებაზედ უფრო მჯობი მშვენიერება.
ეგრე ყოფილა, ეგრე არის, ეგრე იქმნება!

ირაკლი

მე არა ვპოვებ მშვენებასა იმ არსებაში,
სადაც არა სცემს ძარღვი, ძალა უკვდავებისა,
და ვინ მეტყვის მე, რომ იმ ვარდში, იმ შვენებაში,
რომელსაც ამბობ, არის ცეცხლი პრომეთეისა?

მამა

არის, რადგანაც შექმნილია შემოქმედისა.

ირაკლი

ეგე ცოტაა! განა ღმერთმა არ აღუკრძალა
პირველთა კაცთა ის ნაყოფი მცნებისა ხისა?
იმ ნაყოფშია უკვდავების უკვდავი ძალა,
სჩანს, უკვდავება არ უნდოდა შენს ღმერთს ჩვენთვისა.

მამა

მაგას ნუ ამბობ, შვილო! შვილო! ნუ გმობ უფალსა!

ირაკლი

არც მილოცნია ის ჩემ დღეში და ვერც ვგმობ მასა.
მე ხოლოთ ვამბობ - მას აკლია ერთი თვისება...

მამა

სუ! ველარ შევძელ ორ სიყვარულთ ერთათ ტარება:
ერთი ღვთისადმი და მეორე თვით ჩემ ძისადმი!
ღმერთო, ნუ გამყრი ნურც ერთთან უკუნისამდე!

(გადის)

ირაკლი
(მარტო)

საბრალო მამავ! მძიმე არის ტვირთი მცნებისა,
განა! მძიმეა!... ძალა არ გაქვს მის ტარებისა.
ჩემ ჭვრეტას ვერ სძლებ, მე გამეჩეც, მე - ძესა შენსა,
[და ვაგლახ!] მე კი... სად გავეჩეცე თვით თავსა ჩემსა!
რათ გვინდა ჩვენ იქ (...) უკვდავი აზრი,
რომელსაც უნდათ დაუნიშნონ ვითომც საზღვარი,
ან რათ შთააცვი უკვდავ სულსა ეს ხრწნადი ტანი,
რომელს არ ძალუმს აიტანოს სულის ტანჯვანი
თუ უკვდავი ვარ, რათ არა მაქვს სრულ უკვდავება?
თუ მე მაქვს იგი, ნახევარი რაღათა კვდება?
თუ შენ შეგვქმენ ჩვენ და მოგვე ნიჭი სიყვარულისა,
რათ არ აღკმალე მისი შექმნა - მონათ რჯულისა?
თუ შენ მოგვეცი უსაზღვარო უკვდავი აზრი,
რაღათ დანიშნე თვითან შენა ვითომც საზღვარი?
თუ უკვდავი მქმენ, რათ არა მაქვს სრულ უკვდავება,
და თუ მაქვს იგი, ნახევარი რაღათა კვდება?
თუ იტყვი, რომა თქვენ მოგეცით თავისუფლება, -
თუ მოგვეცი და რაღათ გინდა ჩვენზედ უფლება?
ან რათ მითხარი, უნდა იყო ხოლოთ კეთილი,
ან რათ შთააცვი ხრწნადი ტანი უკვდავსა სულსა,
თუ ვერ აიტანს ვერც დიდს ტანჯვას, ვერც სიხარულსა.

(დაჩუმდება და ფიქრში მივა და ჯდება ფაჯარასთან, საიდანაც
სჩანს მთები და მოწმენდილი ცა)

აგერა წიგნი, რომლისც ასო ვარსკვლავებია!
აგერა ღირსი სარბენალი კაცის ფიქრისა,
ისე უსაზღვრო, ვით უსაზღვრო თვით ფიქრებია!
რა ბედნიერი ვიქმნებოდი მთიებთ შორისა!
იქ ისმის ფშვენა ახოვანის, დიდის სულისა,
მწყობრი გალობა, გარმონია, ხმა სისრულისა!
შენ, ვინცა შეჰქმენ მირიადნი ესე ქვეყნები
და ყოველს მათგანს დაუნიშნე სარბენი გზები,
შენ, მისაწდომო და ხილულო ამ ქმნულებაში,
მიუწდომი ხარ, უხილავი ჩვენ არსებაში.
თუ შენ შეგვქმენ ჩვენ, მოგვე ნიჭი სიყვარულისა,
რათ არ აღკრძალე მისი შექმნა - მონათ რჯულისა?
მისთვის, რომ იტყვი: თქვენ მოგეცით თავისუფლება, -
თუ მოგვეცი და რაღათ გინდა ჩვენზე უფლება?
თუ შენ შეგვქმენ ჩვენ და მოგვეცი უსაზღვრო აზრი,
რაღათა ბძანე: მე ვარ ჭკვისა თქვენის საზღვარი?
თუ უკვდავი ვარ, რათ არა მაქვს სრულ უკვდავება,
და თუ მაქვს იგი, ნახევარი რაღა მიკვდება?

რისთვის შთააცვი ხრწნადი ტანი ჩვენ უკვდავსა სულს,
თუ ვერ აიტანს ვით დიდ წუხილს, ისეც სიხარულს?
მიუწდომელი, [უცნაურ] ხარ ამ უკუთქმებში,
ყველგან გხედავ და ვერ გხედავ ხოლოდღა ჩემში.

(სანთელი ქრება)

სანთელიც გაქრა! გარს მომერტყა ღამისა ჩრდილი,
მეც დავუძღურდი ჩემ თავთანა მძიმე ბრძოლილი,
თუნც დავიძინო, შესვენებას არ მომცემს ძილი...
თუ შენ გიყვარვართ, რალათ ითხოვ ჩვენგან ლოცვასა,
სიყვარულშია ალაგიცა არა აქვს თხოვნასა.
შენ დესპოტი ხარ! გიყვარს ხვეწნა და თაყვანება,
მაგრამ მათ ჩემგან შენი სიბრძნე ნუ ელოდება.
მაგრამ შენ იყავ თუნდ ბედნიერ, მე ეგ არა მშურს:
ისე ბედნიერ, ვით შენა ხარ, ყოფნაც არა მსურს.
მწარებაშიც, სიხარულშიც შენა ხარ მხოლო,
მაგ მხოლოობას, როგორც თვით შენ, არა აქვს ბოლო.
მხოლოობა და სრული, სავსე ბედნიერება,
ურთიერთ[თ]ანა არადროსა არ შეთანხმდება!

(ამ დროს მოეჩვენა თვალწინ მშვენიერი ქალი, მძინარე,
რომელსაც ადგა რაღაც ჩრდილი)

ირაკლი
(შეკრთომით)

ამას რას ვხედავ!.. ეს რა არი? ნუ[თუ] სიზმარი?
თვალთ მიბნელდება! თავბრუ მესხმის! ფეხთ მეკვეთება!
ქალია! დიალ! ქალი არი! მერეც მძინარი.

(ისმის სიმღერის ხმა)

ცავ! შენ შეჰქმენ, თუ მიწამ შეჰქმნა ეგრეთ მშვენება!
არა! ედემში უნდა სცხოვროს შენებრ მსახურმა,
და არა ამან, თავისუფალ მფშვენავმა სულმა.

ხმა

ხმა ჩაიწყვიტე, შემარცხვენო ღვთის ქმნილებისა!

ირაკლი

იგი ედემი მგზავსი არის თქვენივე ღვთისა,
ჩვენი სამოთხეც, ჯოჯობეთიც თვითონ ვართ ჩვენა.

ხმა

შენ ბოროტი ხარ!

ირაკლი

შენის ღმერთის ვარ დანაბადი,
მაშ ის სიკეთე როგორღაა, მას ჰკითხე, წადი!

ხმა

საბრალო ხრწნადო!

ირაკლი

შენი თავი თვით შეიბრალე,
მე ნუ მიბრალებ, წადი, სულო, წა, გამეცალე!
მე თვით მრცხვენია ემაგ შენის შებრალებისა,
წადი, ღირს არ ხარ ჩემთა ფიქრთა ზიარებისა!

ხმა

საბრალო ხრწნადო!

ირაკლი

ოხ! დამეხსენ მაგ სიტყვებთანა!
შენ უკვდავი ხარ, და მას მოჰკვებ, მონავ, ჩემთანა!
შენ დამცინი მე! შენ, უკვდავო მსახურო ცისა,
მარადის მყოდო, შენ, მონაო, მყოდ ტირანისა!
შენ, რომელიცა სხვის ნებისა აღსრულებაში
უნდა ხედავდე ყოველთვის შენს ნეტარებასა,
შენ, რომელიცა შენ მტანჯველის სულის ქებაში
უბრალოდა ღლი ემაგ შენსა უკვდავებასა!

(დიდი ხნით მდუმარება. ამ დუმის განგრძობებაში
ირაკლი ჩაფიქრებული დაჰყურებს მძინარს ქალს. მცირეს
ხან-შემდეგ ქალი იღვიძებს)

შენ კიდევ გძინავს? აღსდექ, ჩემო! ცოცხლათ მეჩვენე!
აზდექ! ვგრძნობ, ის ხარ შენა, ვინცა ესოდენ გძებნე.
აზდექ! ვგრძნობ, შენ ხარ ტბა უკვდავის სიყვარულისა,
სადაც დაითქმის, განისვენებს ტანჯვა სულისა!
არ სდგები შენა!.. შენს ლოდინში დავლიე თვალნი.
მე შენი თავი ვარსკვლავთ შორის მომიძებნია,
და დამიწურავს ფსკერამდინა უპირო ზღვანი,

მიწა და წყალნი ტანჯულ ფიქრით გამირბენია!...
არ სდგები შენა!..

[1860 წ.]

ვარიანტები შენიშვნები კომენტარები

ტექსტისათვის

წინამდებარე ტომში მოთავსებულია და ჟანრობრივ-ქრონოლოგიური პრინციპითაა დალაგებული ილია ჭავჭავაძის ყველა ორიგინალური პოეტური ნაწარმოები.

საერთო ქრონოლოგიას არ დავუმორჩილეთ და ცალკე გამოვყავით ილიას პირველი პოეტური ცდები - მისი ყრმობის დროინდელი ლექსები, რომლებიც აქ პირველად იბეჭდება სრული სახით. გამოყოფილია აგრეთვე ექსპრომტები, პოეტის მიერ დაწუნებული ლექსები და დაუმთავრებელი, ფრაგმენტული ხასიათის ტექსტები.

ილიას ბევრი ლექსი პოეტის მიერვეა დათარიღებული. ასეთ შემთხვევებში, ცხადია, ავტორისეული თარიღი წარმოდგენილია უცვლელად; ამავე დროს დაცულია დათარიღების ილიასეული სტილი (თუ წყაროებში ამ თვალსაზრისით რაიმე სხვაობაა, ძირითად ტექსტში გამოტანილია უფრო ზუსტი და სრული დათარიღება, განსხვავებანი ასახულია კომენტარში). თუკი თარიღი კვლევით არის დადგენილი ან პირობითია, მას ვათავსებთ კვადრატულ ფრჩხილებში. ამ შემთხვევაში შენიშვნებში ვიძლევიტ ტექსტის დათარიღებისათვის ჩვენ მიერ წამოყენებული მოსაზრების დასაბუთებას. როცა მოგვეპოვება ამა თუ იმ ნაწარმოების რამდენიმე ავტორისული ვარიანტი, რომელთა შორის არ არის არსებითი ხასიათის სხვაობა, ძირითადი ტექსტის დათარიღებისას ვემყარებით პირველი ვარიანტის შექმნის თარიღს, ხოლო როცა ტექსტებს შორის მკვეთრი, რედაქციული სხვაობაა, მაშინ ნაწარმოებს ვაძლევეთ ორმაგ ან ფართო თარიღს; პირველ შემთხვევაში თარიღებს შორის ვსვამთ მძიმეს. - მაგ: [1876 წ., 1880 წ.] ხოლო მეორე შემთხვევაში - ტირეს. - მაგ: [1870-1878 წწ.].

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა წინამდებარე ტომი, როგორც ყველა აკადემიური გამოცემა, ძირითადად ავტოგრაფებსა და მწერლის სიცოცხლეში დაბეჭდილ ტექსტებს ეყრდნობა. მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა არც ავტოგრაფი მოგვეპოვება და არც პოეტის სიცოცხლისდროინდელი ნაბეჭდი წყაროები, მივმართავთ სხვათა მიერ გადაწერილ ან ილიას გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნებულ ტექსტებს. ამრიგად, ჩვენს გამოცემაში ავტორისეული ტექსტი ძირითადად უშუალო წყაროების შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზეა დადგენილი. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ეს წყაროები წინამდებარე ტომის საკვლევ აპარატში ბევრად უფრო ფართოდ და სრულადაა წარმოდგენილი, ვიდრე წინა გამოცემებში³. ამ წყაროების

³ მხედველობაში გვაქვს შემდეგი გამოცემები:

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, ტომი I, ტფილისი, 1914, მიხეილ გედევანიშვილის გამოცემა; ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად, შედარებული პირველ

ურთიერთშეჯერების შედეგად - პირველად ჩვენს გამოცემაში - ნაჩვენებია ტექსტის ყველა ვარიანტული სახესხვაობა, რაც თვალსაჩინოს ხდის ნაწარმოების სრულქმნის პროცესს. ასევე მაქსიმალურად არის გათვალისწინებული ავტორის უკანასკნელი ნება, რაც აკადემიური გამოცემის უმთავრეს პირობას წარმოადგენს ძირითადი ტექსტის დადგენის დროს.

ძირითადი ტექსტის დადგენისას, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა (როცა, მაგალითად, ცენზურის ჩარევა აშკარაა), ვეყრდნობით 1892 წელს გამოცემულ ილიას თხზულებათა პირველ ტომს (თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, 1892, ტფილისი, «წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის» გამოცემა, №10), რადგან, როგორც ცნობილია, ეს ტომი ილიას ზედამხედველობით მზადდებოდა. ამას მოწმობს ის გარემოებაც, რომ 1892 წლის გამოცემის ტექსტებში შეტანილი ცვლილებები მანამდე, მეტწილ შემთხვევაში, არც ერთ წყაროში არ გვხვდება. თუ აღნიშნული ტომის ცალკეული ტექსტების ჩასწორებებს შევაჯამებთ, მათი რაოდენობა საკმაოდ დიდი აღმოჩნდება. ცხადია, ილიას სიცოცხლეში მის დაუკითხავად ვერც ერთი რედაქტორ-გამომცემელი ტექსტში ამდენ ცვლილებას ვერ შეიტანდა. ხოლო თუ როგორი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა თვით ილია გამოსაქვეყნებელი ნაწარმოების ტექსტს, ამის დამადასტურებელი არაერთი ფაქტი არსებობს. ბუნებრივია, რომ კიდევ უფრო მეტ ყურადღებას გამოიჩინდა იგი თავისი თხზულებათა კრებულის მიმართ, რომელიც პირველად ქვეყნდებოდა.

1892 წლის გამოცემების ტექსტში შეტანილი სწორებები, უმნიშვნელო გამონაკლისით, ილია ჭავჭავაძის სიცოცხლეშივე დამკვიდრდა შემდგომ გამოცემებში, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს ამ სწორებათა ილიასეულობას. ყოველივე ამის გამო 1892 წლის გამოცემა ავტორისეული ნების გამომხატველად მივიჩნიეთ და წინამდებარე ტომში ძირითადი ტექსტის დადგენისას უმთავრესად ამ გამოცემით ვიხელმძღვანელებთ⁴ (მასვე ეყრდნობა 1914 და 1925-1951 წლის გამოცემები, რომლებშიც - განსაკუთრებით უკანასკნელ გამოცემებში, - ავტორისეულ ტექსტში, რიგ შემთხვევაში სხვადასხვა სახის სწორებებია შეტანილი. ამ სწორებათაგან კომენტარებში, როგორც წესი, აღვნიშნავთ ისეთ შემთხვევებს, როცა ავტორისეულ ტექსტში შეტანილია არა მარტო ორთოგრაფიული, არამედ უფრო არსებითი ხასიათის ცვლილებები (მაგ., მწერლის ბოლო ნების გამომხატველი ტექსტი ჩასწორებულია უფრო ადრეულ წყაროებზე დაყრდნობით, ესა თუ ის ილიასეული

წყაროებთან და შევსებული ახალი ტექსტებით, პავლე ინგოროყვას და ალ. აბაშელის რედაქციის, ტ. I, ლექსები და პოემები, ტფილისი, 1925; ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, სრული კრებული ხუთ ტომად, ტ. I, ლექსები, პოემები, მოთხრობები, პავლე ინგოროყვას და ალ. აბაშელის რედაქციით, თბილისი, 1937; ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტომი I, თბილისი, 1951 (ამავე პერიოდში თუ შემდგომ გამოქვეყნებული ილიას პოეტურ ნაწარმოებთა სხვა კრებულები აღნიშნულ გამოცემებს ეყრდნობა).

ზემოთ ჩამოთვლილ გამოცემებს შენიშვნებში მეტწილად შემოკლებით ვასახელებთ: «1914 წლის გამოცემა» (ან: «მ. გედევანიშვილისეული გამოცემა») და «1925-1951 წწ. გამოცემები».

⁴ დასახელებული გამოცემა სანდო არ არის მხოლოდ ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებთა დათარიღების თვალსაზრისით. ამის თაობაზე გამომცემლები თვითვე მიუთითებდნენ ტომში (გვ. 297): «შეცდომით მოგვივიდა, რომ ზოგიერთი ლექსი ამ წიგნში დაბეჭდვის წელიწადით არის აღნიშნული, მაშინ როდესაც აზრად გვქონდა ლექსები დაწერის წელიწადით აღგვენიშნა». ამ ხარვეზის გამოსწორებას ტომისათვის დართული სარჩევის მეშვეობით ვარაუდობდნენ: «სარჩევში ვაჩვენებთ ცალკე წლობით - როდის რა ლექსია დაბეჭდილი», - მაგრამ სინამდვილეში სარჩევში არაერთი უზუსტობაა დაშვებული.

სიტყვა შეცვლილია სხვა სიტყვით და სხვ.). როცა ილია ჭავჭავაძის ამა თუ იმ პოეტური ნაწარმოების ჩვენ მიერ წარმოდგენილი დათარიღება არ ემთხვევა ტრადიციით დაკანონებულ შეხედულებას, რომელიც 1925-1951 წლების გამოცემებშია ასახული, კომენტარებში მოვიხსენიებთ ნაწარმოების ადრე არსებულ დათარიღებასაც⁵.

ყოველგვარი ვარიანტული სხვაობა ასახულია წინამდებარე განყოფილებაში («ვარიანტები, შენიშვნები, კომენტარები»). აქვეა მოცემული აგრეთვე ყველა საჭირო ცნობა ტექსტთან დაკავშირებით. თავდაპირველად წარმოდგენილია ნაწარმოების ე. წ. პ ა ს პ ო რ ტ ი, რომელშიც ჩამოთვლილია ძირითადი ტექსტის ყველა დღემდე ცნობილი ავტოგრაფი და ავტორისდროინდელი ნაბეჭდი წყარო⁶, მათგან მიმდინარე სათაურები, ქვესათაურები, თარიღები, ავტორისეული ხელმოწერები და ეპიგრაფები. პასპორტის შემდეგ მოცემულია ტექსტის დადგენასთან დაკავშირებული საკითხები, წყაროების მოკლე აღწერილობა და ძირითად ტექსტსა და ვარიანტებს შორის არსებული ნაირწაკითხვები, რომლებიც ავტორისეულად მიგვაჩნია (ვარიანტულ წაკითხვებში არ ვუჩვენებთ იმ სხვაობებს, რომლებიც რედაქტორის ან სხვა პირის მიერ არის შეტანილი, ასევე, თუ წყაროებში უმნიშვნელო კორექტურული შეცდომებია გაპარული). თუ ძირითად ტექსტთან შედარებით რომელიმე ტექსტი მისგან რედაქციულად განსხვავდება, ამ განსხვავებულ ტექსტს აქვე ვბეჭდავთ სრულად. აქვე ვიძლევით აგრეთვე ძირითად ტექსტთან დაკავშირებულ შენიშვნებსა და კომენტარებს⁷.

ვარიანტულ ნაირწაკითხვათა ჩვენებისას შავი კორპუსით აღნიშნული ციფრი წინამდებარე ტომის გვერდს მიუთითებს, დანარჩენი ციფრები - ნაწარმოებთა სტრიქონებს (სტრიქონების გადათვლის დროს მხედველობაში არ ვიღებთ ტექსტების სათაურებს, ქვესათაურებს და ეპიგრაფებს). პოემებში - როცა პოემა თავებად არის დაყოფილი - სტრიქონები თავების მიხედვით გადაითვლება. თუ ესა თუ ის ლექსი ერთ გვერდზეა თავების მიხედვით გადაითვლება. თუ ესა თუ ის ლექსი ერთ გვერდზეა დაბეჭდილი, მაშინ ამ გვერდს აღარ მივუთითებთ და მხოლოდ სტრიქონების აღნიშვნით ვკმაყოფილდებით.

რ. კუსრაშვილი

პირობითი ნიშნები

⁵ ჩვენი გამოცემის სარედაქციო კოლეგიის თვალსაზრისი ი. ჭავჭავაძის რიგ პოეტურ ნაწარმოებთა დათარიღების თაობაზე არ თანხვდება ტომის შემდგენლის - რ. კუსრაშვილის შეხედულებებს (იხ. რ. კუსრაშვილი, ზოგიერთი საკითხი ი. ჭავჭავაძის პოეტური ნაწარმოებების დათარიღების შესახებ, ჟურნ. «მაცნე», № 2)

ტომში წარმოდგენილი დათარიღებანი გამოხატავს რედაქციის თვალსაზრისს. რედ.

⁶ წინამდებარე ტომისათვის ბიბლიოგრაფია შეადგინა ს. ყუბანეიშვილმა, რომელიც ეყრდნობა თ. ნაკაშიძისა და ნ. კორძაიას «ილია ჭავჭავაძის ბიბლიოგრაფიას» (თბ., 1966), შ. გოზალიშვილის «ილია ჭავჭავაძის ავტოგრაფებს» (თბ., 1951) და სხვა ბიბლიოგრაფიულ ცნობარებს.

⁷ ძირითადი ტექსტისა და ვარიანტების ურთიერთშედარებაში მონაწილეობა მიიღეს გ. მათიაშვილმა და ნ. ზღულაძემ. გ. მათიაშვილი მონაწილეობდა აგრეთვე კომენტარებისა და შენიშვნების მომზადებაში - რედ.

განყოფილებაში - «ვარიანტები, შენიშვნები, კომენტარები» - ლექსებისა და პოემების სათაურის შემდეგ, პასპორტში, დასახელებულია წყაროები, რომელთაც ვხელმძღვანელობდით წინამდებარე ტომზე მუშაობის დროს. ხელნაწერი-ავტოგრაფები ცალკეა გამოყოფილი, ნებეჭდები - ცალკე. ორივე დალაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. თითოეულ მათგანს მიწერილი აქვს ლიტერი (A, B, C...), როცა ისინი რაიმე ნიშნით განსხვავდებიან ძირითადი ტექსტისაგან. თუ მითითებული ტექსტი არ განსხვავდება ძირითადი ტექსტისაგან, მაშინ მას ლიტერით აღარ აღნიშნავთ. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი თანხვდება ძირითად ტექსტს.

A ლიტერით აღნიშნულია წყარო, რომელიც საფუძვლად დაედო ამოსავალ, ძირითად ტექსტს.

ვარიანტების ჩვენება რომ უფრო ნათელი იყოს, მიღებული გვაქვს შემდეგი პირობითი ნიშნები:

] ნაცვლად: მაგ. მამული] სამშობლო BC; ნიშნავს, რომ ჩვენს გამოცემაში დაბეჭდილი «მამულის»-ს ნაცვლად BC წყაროებშია «სამშობლო».

+ ტექსტს ემატება: მაგ. დედა+ჩემო D; ნიშნავს, რომ ჩვენს გამოცემაში დაბეჭდილი სიტყვა «დედა» D-ში იკითხება სიტყვად «დედაჩემო».

- არ არის: მაგ. წუხილი - E; ნიშნავს, რომ «წუხილი» ძირითადი ტექსტისაგან განსხვავებით E-ში არ არის.

~ სიტყვები გადასმულია: მაგ., «ხელთა ეპყრა» ~ F ნიშნავს: F ვარიანტში იკითხება: «ეპყრათ ხელთა».

[...] - ვერ ამოვიკითხეთ.

[] - ამ ფრჩხილებში მოთავსებული ტექსტიდან ძნელად ამოკითხული სიტყვები.

M - გ. ლეონიძის სახ. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ფონდი.

U - საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ილია ჭავჭავაძის ფონდი.

a - საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი.

K - ნ. ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული კირილე ლორთქიფანიძის არქივი.

ყვარლის მთებს (გვ. 35)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : U: ავტოგრაფი, კრებული № 108, გვ. 25 (B).

ნ ა ბ ე ჭ დ ი : თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, 1892, გვ 5 (A).

თ ა რ ი ღ ი : 1857 A; 1857-სა წელსა, 15-სა აპრილსა, ს. კარდანახი B.

«ყვარლის მთებს» ილია ჭავჭავაძის სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ გამოქვეყნდა (A). ამ წყაროში ლექსის 21-ე სტრიქონი ასეა დაბეჭდილი: «ვით ას მრისხანე დაჭრილ ლომთა საშიშნი ხმანი». ასე იკითხება ციტირებული სტრიქონი ავტოგრაფშიც (B); ამავე სახით დაიბეჭდა ეს სტრიქონი 1914 წელსაც - ი. ჭავჭავაძის თხზულებათა მიხ. გედევანიშვილისეულ გამოცემაში, - როგორც ძირითად ტექსტში, ასევე ლექსის პირველი ვარიანტის ტექსტშიც. 1925-1951 წწ. გამოცემებში კი ეს სტრიქონი პირვანდელი სახით მხოლოდ ვარიანტულ ტექსტშია დატოვებული, ხოლო ძირითად ტექსტში სიტყვები «ვით ას» გამომცემლობის მიერ შეცვლილია

სიტყვით «ვითარ» («ვითარ მრისხანე დაჭრილ ლომთა»...). სიტყვა «ვითარ» დამკვიდრდა აღნიშნული ლექსის შემდგომ პუბლიკაციებშიც.

რადგან ილიასეულია «ვით ას» (და არა «ვითარ»), ამიტომ წინამდებარე ტომში, ლექსის 21-ე სტრიქონში კვლავ ეს სიტყვები აღვადგინეთ.

ავტოგრაფის შედარებამ ძირითად ტექსტთან ასეთი ვარიანტული სხვაობა მოგვცა:

35. 1 განებებთ თავსა] თავსა განებებ B. 2 მაგრამ] მარამ B; ვერ მივცემ მე დავიწყებასა] დავიწყებას ვერ მივანებებ B. 3 გაუყრელად] თუმც აჩრდილათ B. 5-6 მახსოვს... ჟორჟოლასა] მახსოვს ჯერ ყრმობას, უზრუნველათ თქვენ დიდ სივრცეში დავინთქებოდი ნორჩის სულით, ვით ზღვის სიღრმეში B. 7 - 8 იგი არ იყო... ფრთხალი და მხდალი - B. 9 მე თრთოლით] თრთოლითა B 10 შევნატრიდი] შევნატრიდი მე B. 13 ქარავანი] გრძელ ქარავანი 3. 16 თქვენს საშინელ] თქვენსა მძვიფრსა B. 18 ძლიერსა]ძრიელსა B.

36. 3 თავმოწონება] ამპარტავნება B. 4 მომწონს თავი, მეგობრებო] ვამპარტავნობ, ჰეი, მთებო B. 5 ბუნებისა თქვენის ვარ შვილი] თქვენ ბუნების მძღავრის ვარ შვილი B. 6 გაზრდილი] აღზრდილი B. სჩაგრავდა ხოლმე] ააშფოთებდა B თქვენ] თქვენს B. 11 საოცნებელთ... წამთა] გასაოცართ... წამსთა B. 12 ჩემს სიკვდილამდე] ჩემს სიკვდილამდინ B. 14. თქვენთან] თქვენგან B; ვალი ამ წუთის-სოფლის] მთებო, სიმუხთლე სოფლის B. 15 მომავლის] უწყალო B. 16. მომთხოვდა] მამთხოვდა B. 17 ჩემის ცხენის] აწ ჩემ ცხენის B. 18 გკარგავს] B გკარგამს B. 19 ჰქრებით... მწვერვალსა] ქრებით... მწვერვალსა B. 20 მხოლოდდა] ხოლოდდა AB. 21 ამაოდ ვებრძვი მანძილსა და] სრულათ ამაოთ ველტვი, ვებრძვი B. 22 მოუსვენრად] მოუსვენლათ B. 23 მწვერვალნი აღარ სჩანან და მშვენივრად ცას] მწვერვალნი ჩვეულებრივ მშვენივრათა ცას B. 25 ჩემნო] მთებო B; თავსა] მე თავსა B. 26 - 28 უცხოეთიდან... სიყვარულით] და უცხო ხალხში გავადვიძებ თქვენს მოგონებას, და კვლავ შორ ქვეყნით გაგიღიმებთ თქვენ ჩემი სული, და მეც დამიწყობს ძველებურათ B.

«ყვარლის მთებს» 19 წლის ილიას სოფ. კრადანახში დაუწერია, სადაც იგი, პეტერბურგში სასწავლებლად გამგზავრების წინ, ალბათ სტუმრად იმყოფებოდა თავის უფროს დასთან, ნინოსთან (ნინო ჭავჭავაძე გთხოვების შემდეგ -1951 წლიდან - სოფ. კრადანახში ცხოვრობდა, მეუღლის - ნიკოლოზ აბხაზის მამულში).

მანამდე კი აი, რას სწერდა ილია თავის დას: «...ვაპირობ წასვლას რუსეთში, მაგრამ, შენმა გარდამ, ისე მეძნელება დატევება ამ ჩვენ ყვარლისა, ნამეტნავათ ამ ჩვენ სახლისა, სადაც ყოველი ნაწილი ალაგისა მომაგონებს ხოლმე ჩემს დაუდევნელ ყმაწვილობის დროს, სადაცა ყოველი ხე არის ძვირფასი ჩემთვის სასიამოვნო მოგონებები[თა]. ერთის სიტყვით, ვესალმები ყოველს ფერს, რადც არის ჩემის გულიდან დაუვიწყარი, და მივდივარ ერთს უცხო ქვეყანას, სადაც ერთი ტკბილი ნათესავური სიტყვა, სავსე სიყვარულითა, ეღირება ჩემთვის ნეტარებათ, სადაც უბედურობაში არავინ მეყოლება ნუგეშმცემელი და სიამოვნებაში ჩემთან მოხარული. მაგრამ ყოველი ჩემებრი, რომელსაც მომავალ დრომს შავ ღრუბელში აღუბრწყინდება ბედნიერების ვარსკვლავი და რომელსაც სურს შეეყაროს იმ ბედის ვარსკვლავს, ყოველთვის ტკბილს მდგომარეობას დაუტევებს და სიმწარით განვლის გზას მისთვის, რომ უფრო უტკბილესად შეხვდეს თავის ბედნიერებას. შენ თვითონ იცი, ვარდსა წინ მოუძღვის ეკალი, ვისაც სურს ვარდის მოწყვეტა, არ უნდა შიშობდეს ეკლისგან»... (ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. X, 1961, გვ. 7).

რადგან ლექსის პირველ და მეორე ვარიანტს შორის არ არის რედაქციული სხვაობა, «ყვარლის მთებს» დავათარიღეთ პირველი ვარიანტის მიხედვით: «1857-სა წელსა, 15-სა აპრილსა, ს. კარდანახი».

ასევეა დათარიღებული ლექსი ი. ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემაშიც, - «1857 წ., 15 აპრილი, სოფ. კარდანახი» (სარჩევში); 1925-1951 წლების გამოცემებში კი ასეთი დათარიღება («15 აპრილი, 1857 წ., კარდანახი») აქვს მხოლოდ ლექსის პირველ ვარიანტს (B), რომელიც ცალკე, ვარიანტების განყოფილებაშია დაბეჭდილი, ხოლო მეორე ვარიანტს (ძირითად ტექსტს) თარიღად უზის «1857 წ.»

სანთელი (გვ. 37)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : U: ავტოგრაფი, კრებ. №108, გვ. 56 (B).

ნ ა ბ ე ჯ დ ი : თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 8 (A).

თ ა რ ი ღ ი : 1857 A; 1857-სა წელსა, 16-სა დეკემბერსა, ს. პეტერბურლი B.

37. I შევჭვრეტ] B. 2 უხვად] 2 უხვად] უხვად B. 3 ჩემს ოთახს ჰვენდა და აშუქებდა] ჩემ მცირეს ოთახს დასსაჩუქრებდა B. 5 აწ მიწურვილა გასაქრობლადა] ეხლა მიწურილ არს გასაქრობლათ B. 6 ბჟუტავს] ბჟუტამს B. 7 ხან... ხან] ხანა... ხან B; მნათობლადა] მნათობლათ B. 8 წამოიხედავს] წამოიბჟუნტამს B. 10 მაგრამ] მარამ B. 14 კედლებზე ძლივს სცემს] საგანთა ძლივ ჰსცემს B.

38. 1 ეგრედაც] ეგრეთაც B. 2 რა ეწვევა მას] რა მოვა მასთან B. 4 მუჭალა] მუჭაი B.

ხ მ ა ს ა მ ა რ ი დ ა მ (გ ვ . 3 9)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : U: ავტოგრაფი, კრებ. №108, გვ. 15 (B).

ნ ა ბ ე დ ჯ დ ი : ჟურნ. «საქართველოს მოამბე», 1863, №11, გვ. 31 (C);

ჩონგური, შედგენილი ვ. ლორთქიფანიძისაგან, ს. პეტერბურლი, 1864, გვ. 40 (D); დედა და შვილი და რამდენიმე ლექსი თ. ილია ჭავჭავაძისა, ზ. ჭიჭინაძის გამოც., ტფილისი, 1882, გვ. 11 (E); ჩანგი, შედგენილი ვ. აბაშიძისა, ტფილისი, 1889, გვ. 125 (F); თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 12 (A); სიტყვიერების თეორია, შედგენილი არხიმანდრიტის კირიონისა და გრ. ყიფშიძის მიერ, ტფილისი, 1898, გვ. 567 (G); ლექსები ილია ჭავჭავაძისა, მად. «ცოდნის» გამოცემა, ტფილისი, 1904, გვ. 44; ილია ჭავჭავაძის რჩეული ლექსები, წ. კ. გ. საზ-ის გამოცემა, №81, ტფილისი, 1907, გვ. 7.

ს ა თ ა უ რ ი : ხმა სამარიდან G.

ს ა თ ა უ რ ი ს ქვეშ: სატირა G.

თ ა რ ი ღ ი : 13 დეკემბერს, 1857 წ. DE; 1857 A; 1857-სა წელსა, 27-ს დეკემბერს, ს. პეტერბურლი B.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : *** CD; ი. ჭავჭავაძე (სარჩევი) F.

39. 2 გროშისათვის კაცს] გროშისთვის კაცსა BC; 3 გაუთხრიდი] გაუთხრიდი B. 4 ჩემს] ჩემ BF; ვზრდიდი] ვზდიდი BC (ყველგან ასეა - რ.კ.). 5 საზრდოს] საზდოს B. 8 დამნანდებოდა] შემზრალდებოდა BCDEF. 12 მოვკვდი] მოვკდი B. 14 გაუგებრად] გაუგებრათ B. 16 მღერად] მღერათ B.

40. 1 ქვრივებსა] ქვრივებსა B. 5 ირჩობოდა] იხჩობოდა BC, იხრჩობოდა DEF. 11 მსგავსსა] მგზავსა BC, მზგავსსა D, მზგავსა F. 13 კარგად] კარგათ B. 18 ხანც ვიცოდი] დროზედ მქონდა CDEF. B-ში ეწერა: «დროზედაც კი დაზანტება», შემდეგ შესწორებულია - «ხან ვიცოდი გაზანტება», სადაც გ იქვე დ-დ არის გადაკეთებული («დაზანტება»). 24 ბრაგა-ბრუგს დავუწყებდი] ბრაგი-ბრუგს დაუწყობდი BC. 26 ვუძვრებოდი] უძვრებოდი B.

41. 1 ჯიბისთვისა ვცდილობდი] ჯიბისთვისა ვსცდილობდი BC. 6-7 სტრიქონებს შორის («ქვეყნისათვის...» «არც ვიყავ...») B-ში ეწერა: «ცრუპენტელა, წიწირაქი, მოქრთამე და ლაწირაქი», გადახაზულია. 8 ცრუადა] ცრუათა C. 13 მტვრადა] მტვრათა B. 17 თუა] თუ არს B. 18 ჩამომძახეთ] ჩამამძახეთ BC. 11-18 და აწ... ჩამომძახეთ - F.

ლექსი დავათარილეთ ავტოგრაფის მიხედვით

ღამე (გვ. 42)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : U: ავტოგრაფი, №106.

ტექსტი ნაწერია შავი მელნით. ლექსის მე-2 სტრიქონში, ნაცვლად სიტყვისა «ბოროტების», ჯერ ეწერა: «ბრიყვთ კაცების», - გადახაზულია.

ი. ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემაში, რომელშიც ლექსი პირველად დაიბეჭდა, - სარედაქციო შენიშვნების განყოფილებაში (გვ. XXV), - ნაცვლად ავტოგრაფისეული სიტყვისა «სრულად» დაბეჭდილია «სრულიად».

მითითებულ გამოცემაში ლექსი დათარიღებული არ არის.

«ღამე» ავტოგრაფში დუთარიღებულია, მაგრამ, როგორც პ. ინგოროყვა აღნიშნავს, ავტოგრაფი ამ ლექსისა «წერის ხასიათის მიხედვით ეკუთვნის ილიას სტუდენტობის დროს - 1857-1861 წწ.» (იხ. ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე , თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, 1951, გვ. 410, 436).

მართალია, ტექსტის დათარიღება მხოლოდ ხელნაწერის მიხედვით ნაკლებ სარწმუნოა, მაგრამ ვითვალისწინებთ რა ლექსის შინაარსს, ხასიათს, მის მხატვრულ თავისებურებებს, - დამკვიდრებული ტრადიციისამებრ ლექსს პირობითად ვათარიღებთ 1857-1861 წლებით.

გაზაფხული (ვიშ, გაზაფხული...) (გვ. 43)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : U: ავტოგრაფი, კრებ. №108, გვ. 18 (B)

ნ ა ბ ე ჭ დ ი : თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 25 (A).

თ ა რ ი ღ ი : 1858 A; 1858-სა წელსა 7-სა მარტსა, ს. პეტერბურლი B.

რადგანაც B ავტოგრაფი ვარიანტულად საკმაოდ განსხვავდება A ტექსტისაგან, ამიტომ ქვემოთ ვბეჭდავთ მას მთლიანად:

ეს გაზაფხული

ტკბილ არს მორთული,

ქვეყანას დაჰფრენს

ციოთ სიხარული.

ყველა ყვავდება,

ყველა ახლდება,

რა ხედავს თბილ მზეს,

გამოცოცხლდება...	რარიგათ გიჟობს ბრწყინვალე წყარო, მიცურს და ხარობს: «ყინვით არ ვარო!»
ბალი ყვავილით ნორჩ ყმაწვილივით რა არის ძილათ, ღიმილობს ტკბილათ.	ზამთრითა შეკრულს წყალს დამონებულს ყინვა აღნება, მონებაც სწყდება.
ფრინველი იქ მღერს, ბულბული აქ სტვენს. თვის მიჯნურს ვარდსა დაჰკვნესს და დაჰკვნესს.	მიდის, აძლევს ბანს ქვეყნის გალობას, ყველა ყვავდება, ყველა ახლდება, ხან დაბერდება, ხან გაცოცხლდება,
და იქ პეპელა, ფრთააკრეფილი, ყვავილს სწოწნს ნელა და თრთის ყვავილი.	და მარტო გული ჩემი, ბედკრული, არც აყვავდება, არც გაცოცხლდება.
იქავ კურკურით, ჩუმის ჩურჩურით, წყარო ჩამორბის ცელქათ, მურმურით.	

ლექსი დავათარილეთ ავტოგრაფის მიხედვით.

ი. ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემაში 1858 წლის 7 მარტით დათარიღებულია (სარჩევში, გვ. V) «გაზაფხულის» პირველი ვარიანტი (B), რომელიც ვარიანტების განყოფილებაშია დაბეჭდილი (გვ. 499-500), მეორე ვარიანტის (A) თარიღად კი (სარჩევშივე, გვ. II.) მხოლოდ 1858 წელია მითითებული (ლექსის დაწერის თვის, რიცხვის და ადგილის აღუნიშვნელად); 1925-1951 წწ. გამოცემებში «7 მარტი, 1858 წ. პეტერბურგი» წარმოდგენილია ლექსის მეორე ვარიანტის თარიღად (პირველი ვარიანტი ამ გამოცემებში დაბეჭდილი არ არის).

ჩიტი (გვ. 45)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : U: ავტოგრაფი, კრებ. №108, გვ. 51 (B)

ნ ა ბ ე ქ დ ი : თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 27 (A).

თ ა რ ი ღ ი : 1858 A; 1858-სა წელსა 7-სა მარტსა, ს. პეტერბურდი B.

45. 1-4 ვგალობ... ვატკობ] უსტვენ და უსტვენ, შურითა მჭვრეტენ, არაფერს დავსდევ, შრომას რას ვაქნევ B. 7 ლხენა, გალობა] დაუდევნლობა B. 16 საფრენად] საფრენათ B.

46. 3 «ფოთლიან»-ის ნაცვლად B-ში ჯერ ეწერა «ნისლიან», გადახაზულია. 6 ხეზედა ძილით] ფოთლიან ხეზედ B. 8 გალობით ტკბილით] სხადასხვა ხმებზედ B. 10 ამოჰყოფს] ამოჰყოფს B. 11 კრძალვით] გრძალვით B. 19, 21 მერედ] მერეთ

B.20 ჩემსა შემნახავს - B. 23 – 24 მათის იმედით, მღერით და ლხენით - B. 28 თვალწინ გავქრები] ჩავილუპები B.

47. 1 უფლად] უფლათ B. 3 სტუმრად] სტუმრათ B. 6 ძალდატენებით] და მოტყუებით B. 7 ჩამსმენ] ჩამსვენ B. 13 დავიწყებ] დავიწყობ AB. 17 შენს] შენ B. 22 ჰშურდება] შურდება B.

ლექსს ვათარილებთ ავტოგრაფის მიხედვით.

ი. ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემაში 1858 წლის 7 მარტით - ლექსის დაწერის ადგილის მიუთითებლად, - დათარიღებულია (სარჩევი, გვ. V) ლექსის პირველი ვარიანტი (B), რომელიც ვარიანტების განყოფილებაშია დაბეჭდილი, «ჩიტის» მეორე ვარიანტის (A) თარიღად კი (სარჩევში. გვ II.) მითითებულია მხოლოდ წელი - «1858 წ.»; 1925 – 1951 წწ. გამოცემებში ლექსის პირველი ვარიანტი დაბეჭდილი არ არის, მაგრამ მის მიხედვით დათარიღებულია ლექსის მეორე ვარიანტი, - ძირითადი ტექსტი («7 მარტი, 1858 წ., პეტერბურგი»).

სიმღერა (გვ. 48)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : M: ავტოგრაფი, კრებ. № 17501, გვ. 14 (B); U: ავტოგრაფი, კრებ. №108, გვ. 44 (C).

ნ ა ბ ე ჭ დ ი : თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 17 (A); ჩენი მწერლობა, I. მგოსნები, შედგენილ-გამოცემული ს. გორგაძის მიერ, თბილისი, 1907, გვ. 37 (D).

თ ა რ ი ღ ი : 1858-სა წელსა, 4-სა ივნისს, ს. პეტერბურდი B, 1857 AD.

48. 3 რას]რათ B. 4 წუთისოფლისა] წუთის-სოფლისავ C. 5 რას] რა C; შემამთხვევ] შამამთხვევ B. 8 სთანხმობს] თანხმობს BC. 11. მაგრამ] მარამ B; მაგრამ... დიდ] ვგრძნობ, რომ შეხვალ დიდსა C. 12 ჩაჰლუპავ] ჩალუპამ BC. 13 მარდად] მარდათ BC. 14 ჩემს ურგებს] ჩემ ურგებ C. 15 გარდუვალი] წარუვალი BC. 17 რად] რათ BC; ქვეყნად] ქვეყნათ BC. 18 მხვდა მხვედრად] მყვა მხვედრათ C. 19 ეგრედ] ეგრეთ C.

49. 1 ორსა] ორთა BC; ოზლად] ოზლათ ABC. 3 ჰოი] ზ BC. 4 შეგვრევ] შავვრევ B.

ლექსი დავათარილებთ ავტოგრაფების მიხედვით. ვიცავთ C-ს დათარიღების სტილს.

ი. ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემაში «სიმღერა» დათარიღებულია 1857 წლით (სარჩევში, გვ. I).

გუთნისდედა (გვ. 50)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : M: ავტოგრაფი, კრებ. №17501, გვ. 13 (B); U: ავტოგრაფი, კრებ. №108, გვ.42 (C).

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ჟურნ. («საქართველოს მოამბე», 1863, №6, გვ. 30 (D); ჩონგური, შედგენილი კ. ლორთქიფანიძისაგან, ს. პეტერბურდი, 1864, გვ. 80 (E); დედა და შვილი და რამდენიმე ლექსი თ. ილია

ჭავჭავაძისა, ზ. ჭიჭინაძის გამ., ტფილისი, 1882, გვ. 18 (F); ჩანგი, შედგენილი ვ. აბაშიძისა, ტფილისი, 1889, გვ. 128 (G); თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 135 (A); სონარი, შეკრებილი კ. ოცხანელის მიერ, ოზურგეთი, 1894, გვ. 38 (H); ლექსები ილია ჭავჭავაძისა, მად. «ცოდნის» გამოცემა, ტფილისი, 1904 წ., გვ. 39 (I); ქართველი მწერლები, წ. I, შედგენილი ივ. გომელაურის მიერ, ტფილისი, 1906, გვ. 136 (J); რჩეული ლექსები ილია ჭავჭავაძისა, წ. კ. გ. საზ-ის გამოცემა, № 80, გვ. 15; იგივე გამოცემა, №81, ტფილისი, 1907, გვ. 25; ჩვენი მწერლობა, I, მგოსნები, შედგენილ-გამოცემული ს. გორგაძის მიერ, თბილისი, 1907, გვ. 51 (K).

თ ა რ ი დ ი : 1858-სა წელ. 4 ივნისს, ს. პეტერბურდი B; 1858-სა წ., 4-სა ივნისს, ს. პეტერბურდი C; 15 დეკემბერს, 1858 წ. F; 1863 AGK.

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : *** D; ი. ჭავჭავაძე (სარჩევში) GH.

ე პ ი გ რ ა ფ ი : - BC.

ნაბეჭდ წყაროებს შორის უმნიშვნელო სხვაობაა:

50. 1 ერთს] ერთ DE. 5 ბელტი ბელტზედა] ბელტო ბელტოზედ D; გადმოვაწვინოთ] გადავაწვინოთ G. 9 დავეყურებ] დავჰყურებ E. 14 შეგშურდება] შაგშურდება D. 18 რომ] რომა E.

51. 1 მოსთხრიდეს] მოჰსთხრიდეს DE. 11 გასწი] გაჰსწი DE.

ავტოგრაფები კი საგრძნობ ვარიანტულ სხვაობას იძლევა ძირითად (A) ტექსტთან. რადგანაც ამ ავტოგრაფებიდან პირველი (B) უფრო დაცილებულია A-ს, ამიტომ მას ქვემოთ მთლიანად ვბეჭდავთ; ხოლო შემდეგ ვუდარებთ მეორე (C) ავტოგრაფს, რომელიც უმნიშვნელოდ განსხვავდება B-სგან.

B: გავჭიმოთ, ლაბავ, ჩვენი ჭაპანი,
მხვედრათ გვრგებია მიწანი შავნი;
ბელტო ბელტოზედ გადმოვაწვინოთ
და ჩვენი ოფლი მიწას ვაწვიმოთ.

ნუ სწუხარ, ლაბავ, შენი უღელი
ჩემს უღელზედა არ არის ძნელი.
მეც შენებრ მიწას დავყურებ თვალით
მისთვის, რომ ზეცა წამართვეს ძალით.

შენებრ საზდოსა მიწით მოველი,
რა ცით აღარ მაქვს საზდო ცხოველი;
შენებრ მეც მელის მიწა, ვით სხვერპლსა,
საფლავის შემდეგ დასავიწყელსა.

შენ ხარ პირუტყვი, მე ვარ მეტყველი?!..
ეგ, ჩემო ლაბავ, ნუ შაგშურდება...
რათ მინდა ხმალი, თუნდ იყოს მჭრელი,
თუ სიმართლისთვის დამიჩლუნგდება;

რათ მინდა, მითხარ, იგი გუთანი,
რომე აჩეჩოს მარტო მიწანი
და არ მოსთხრიდეს ძირით იმ ბალახს,
რაიც დაუშლის ნათესს აღმოსვლას?..

ჩემისა ურვის, ჩემის წუხილის,
ჩემ კაცობრობის დადრგუნვილ სულის
სიტყვანი ვით გულს მეზადებიან,
ისევ იქ შიშით უხმოთ კვდებიან.

შენ ვერ გაიგებ მეტყველის ტანჯვას,
როს მართალს სიტყვას გულში უხმოთ ჰკლამს.
აქ მენდე, ლაბავ, ჩემი უღელი
შენს უღელზედა უფროა ძნელი.

მაშ რა გაღონებს? გასწი ჭაპანსა,
ნუ მიღალატებ ძველს ამხანაგსა,
მე შენა გშველი, შენ მე მიშველე,
გავსწიოთ ჭაპანს, ვიდრე გაწყდება
ან ვიდრე ჩვენთვისც მზე
გაბრწყინდება.

«ნუ მიღალატებ»... - ამ სტრიქონის შემდეგ გადახაზულია «ორთავ
ვმსახურებთ მიწასა შავსა».

C შემდეგ სხვაობას იძლევა B-სთან შედარებით:

13 შენ ხარ პირუტყვი, მე ვარ მეტყველი] შენ პირუტყვი ხარ და მე მეტყველი
C. 14 მაგშურდება] შეგშურდება C. 18 მარტო] ხოლოთ C. 22 კაცობრობის]
კაცობრიულ C. 24 იქ შიშით უხმოთ] იმავე სიღრმეს C. ბოლო სტროფის ნაცვლად
წერია:

მაშ რა გაღონებს? გასწი ჭაპანსა,
ნუ მიღალატებ ძველს ამხანაგსა.

C-ში ლექსი ამ სტრიქონებით მთავრდება.

რადგანაც ავტოგრაფებსა და ნაბეჭდებს შორის არ არის რედაქციული
სხვაობა, ამიტომ შესაძლებლად მიგვაჩნია ლექსი დავათარილოთ BC წყაროების
მიხედვით; ვიცავთ C-ს დათარიღების სტილს.

ი. ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემაში ლექსის (A ვარიანტის)
დაწერის თარიღად მითითებულია (სარჩევში, გვ. I): «1858წ., 4 აპრილი,
პეტერბურგი», ხოლო პირველი ვარიანტის თარიღად (სარჩევში, გვ. V) – «1858 წ.,
7 აპრილი».

1925-1951 წლების გამოცემებში «გუთნისდედა» (ძირითადი ტექსტი, - A)
დათარიღებულია 1858 წლის 4 ივნისით და იქვე ამ დათარიღების შემდეგ
აღნიშნულია, რომ ეს არის ლექსის პირველი ვარიანტის თარიღი, ბოლო
ვარიანტი კი, რომელიც ძირითად ტექსტად არის დაბეჭდილი, 1863 წელს

განეკუთვნება. კერძოდ, 1925 წლის გამოცემაში ძირითად ტექსტს თარიღად მიწერილი აქვს: «4 ივნისი, 1858 წ. პეტერბურგი (1863 წ.)», სქოლიოში კი განმარტებულია: «ამ ლექსის პირვანდელი ვარიანტი დაწერილი 4 ივნისს 1958 წლისა, ხოლო აქ მოთავსებული ბოლო რედაქცია თარიღდება 1863 წლით» (იხ. მითითებული გამოცემა, გვ. 34); 1951 წლის გამოცემაში აღნიშნული განმარტება აღარ არის მოცემული და ლექსის დათარიღება ასეთი სახითაა წარმოდგენილი: «4 ივნისი, 1858 წ. პეტერბურგი. (ბოლო რედაქცია 1863 წ.)».

მეც შავს თვალებს (გვ. 25)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : U: ავტოგრაფი, კრებ. № 108, გვ. 5 (B).

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ჟურნ. «ცისკარი», 1859, № 3, გვ 157 (A).

თ ა რ ი ღ ი : ივლისის 20-სა დღესა, 1858 წელსა, სოფ. ტიარლევო (B);

1858-სა წელსა, 20-სა ივნისსა, სოფ. ტიარლევო A.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თ. ილიკო ჭავჭავაძე A.

ლექსი ავტორის სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ დაიბეჭდა, როცა პოეტი ჯერ კიდევ პეტერბურგში სწავლობდა. ავტოგრაფსა და პირველნაბეჭდს შორის არის ზოგიერთი სხვაობა: 4 ავ-ფთონი] აღმშფოთნი B. 5 ისე დულს] დულს იმა B. 6 დაიდაგო] დაიდაგვო A; მისის ნაპერწკლით] ძირის ნაპერწკლით A (აქ «ძირის» უთუოდ ხელნაწერის მცდარად წაკითხვის ნაყოფია და გამოცემებში ის ავტოგრაფის მიხედვით არის გასწორებული); 18 მოჰყვება ძგერას - B (ეს სიტყვები ავტოგრაფში მოხეულია). 20 განგიწვეს] განგიწვეს A («ცისკარში», ჩანს, აქაც კორექტურული შეცდომა).

უკვე ილიას გარდაცვალების შემდეგ, 1909 წელს, ჟურნ. «ფასკუნჯში» (№ 6, გვ. 1), სიტყვა «ავ-ფთონი» შეცვლილია ავტოგრაფისეული «აღმშფოთნი»-თ. ასევეა მიხ. გედევანიშვილისეულ გამოცემაში (1914 წ.). შემდგომში პ. ინგოროყვამ კვლავ აღადგინა «ავ-ფთონი» (1925-1951 წწ. გამოცემებში). დასასრულ, ილიას რჩეულ თხზულებათა ხუთტომეულის I ტომში (ტომი შეადგინეს, შესავალი წერილი და შენიშვნები დაურთეს ს. ცაიშვილმა და გ. გვერდწითელმა, - 1985 წ.) ისევ «აღმშფოთნი» არის დაბეჭდილი. ამ სიტყვებმა ბოლო დროს საკმაოდ დიდი კამათი გამოიწვია (იხ. რ. კ უ ს რ ა შ ვ ი ლ ი , ილიას პოეტურ თხზულებათა ტექსტების დასაზუსტებლად, აღმანახი «კრიტიკა», 1984, № 3; ნ. წ უ ლ ე ი ს კ ი რ ი , «ავ-ფთონი» და «ანასუნი», «კრიტიკა», 1986, № 5; თ. კ ვ ა ჭ ა ნ ტ ი რ ა ძ ე , «ავ-ფთონი» ანუ ავად მღელვარი, «კრიტიკა», 1987, №1; ს. მ ხ ა რ გ რ ძ ე ლ ი , რას ნიშნავს ილიასელი «ავ-ფთონი» ანუ ავად მღელვარი, «კრიტიკა», 1987, №1; ს. მ ა ხ ა რ გ რ ძ ე ლ ი , რას ნიშნავს ილიასეული «ავ-ფთონი?», «წიგნის სამყარო», 1987, №12, 24, VI).

სარედექციო კოლეგია იზიარებს იმ აზრს, რომ ავ-ფთონი უთუოდ ილიასეული სიტყვაა (ნიშნავს «ავად მღელვარეს») და ის თავის ადგილზე უნდა დარჩეს.

ლექსი დავათარიღეთ ავტოგრაფის მიხედვით.

სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილებით, ილიას მართლწერის გათვალისწინებით, ლექსის ტექსტში შეტანილია რამდენიმე სწორება: 52. 7 შერიგებას] შარიგებას AB. 12 უხმოდ] უხმოთ AB. 14 ცეცხლად] ცეცხლათ AB. 53

1 დაიწყებენ] დაიწყობენ AB. 4 სრულად] სრულათ AB. იგნორირებულია ჟურნალ ცისკრისეული ვ და უ .

გიყვარდეს! (გვ. 54)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : M: ავტოგრაფი, კრებ. № 17501, გვ. 16 (B); U: ავტოგრაფი, კრებ. № 108, გვ. 45 (C).

ნ ა ბ ე ჭ დ ი : თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 19 (A).

თ ა რ ი ღ ი : 1858 A; 23 ივნისს, 1858-სა წელსა, სოფ. ტიარლევო B; 1858-სა წელსა, 23-სა ივნისს, სოფ. ტიარლევო C.

54. 5 ლამპრად] ღმერთათ BC. 7 ჰსცემდა] სცემდა B. 8 მისთვისც] მისთვის B. ლექსი დავათარილეთ ავტოგრაფების მიხედვით, ვიცავთ C-ს დათარიღების სტილს.

სიზმარი (გვ.55)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : U: ავტოგრაფი, კრებ. № 108, გვ. 127 (B).

ნ ა ბ ე ჭ დ ი : თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 30 (A).

თ ა რ ი ღ ი : 1858 A; 15 ივლისს, 1858-სა წელსა, სოფ ტიარლევო B.

ე პ ი გ რ ა ფ ი : რა არს სიზმარი? იგივე ცხოვრება ნამდვილი, მაგრამ სიზმარში მარტო გამოხატულება წარმოებს (ვალტერ სკოტი) B.

B შავია, ნასწორები, ბოლო სტროფი გადახაზულია.

55. 4 ურთიერთთან] ურთიერთან B. 9 ზეცა, დედამიწა] მიწა, სხვა პლანეტნიც B. 10 უგზო-უკვლოდ] უგზო-უკლოთა B; წანწალებდნენ] წანწალებდენ B. 11 მზესა... ტბას] მზეს... ტბასა B. 12 გრგვინით] გვრგვინვით B. 13 ღვარად სდიოდა] ჩაიღვრებოდა B. 13 ღვარად სდიოდა]ჩაიღვრებოდა B. 14 ჯიგრისფრად] ჯიგრისფრათა B. ამოდიოდა]ამოსქდებოდა B. 15 ისეთი] ასეთი B. 18 უგზო-უკვლოდ] უგზო-უკლოთ B.

56. B 3, 5 დემონნიც] ეშმაკნიც B. 3 B-ში «ძლიერნი»-ს ნაცვლად ჯერ ეწერა «ბნელნი», რომელიც გადასწორებულია სიტყვად «ძლიერნი». 5 ჰგლეჯდნენ] ჰგლეჯდენ B. 6 სამარცხვინო] სასირცხვილო B. 8 იწვევდა] უძახდა B. 9 იქ თვის მეხთა]თვის მეხთა იქ B.

1925-1951 წლების გამოცემებში ილასეული მხთალად, სიმხთალით, ელოდდა, შეცვლილია ლიტერატურული ფორმებით: მხდალად, სიმხდალით, ელოდა. ჩვენს გამოცემაში, AB წყაროების შესაბამისად, ილასეული ფორმებია აღდგენილი.

A-ში გატარებული ნორმების თანახმად შესწორდა გაუსწორებლად დარჩენილი რამდენიმე ფორმა: 55. 8 უფსკრულადა] უფსკრულათა AB. 10 უგზო-უკვლოდა] უგზო-უკვლოთა AB. 56. 4 თრთოდნენ] თრთოდენ AB.

ლოცვა (გვ. 57)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : M: ავტოგრაფი, კრებ. №17501, გვ. 2 (B); U: ავტოგრაფი, კრებ. №108, გვ. 2 (C).

ნ ა ბ ე ქ დ ი : ჟურნ. «საქართველოს მოამბე», 1863, გვ. 32 (D); დედა და შვილი და რამდენიმე ლექსი თ. ილია ჭავჭავაძისა, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, ტფილისი, 1882, გვ. 28 (E); თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 137 (A); ჩანგი, შედგენილი ვ. აბაშიძისა, გამოცემა მე-2, ტფილისი, 1892, გვ. 120 (F); სიტყვიერების თეორია, შედგენილი არხიმანდრიტის კირიონისა და გრ. ყიფშიძის მიერ, ტფილისი, 1898, გვ. 578; ჩანგი, შედგენილი ვ. აბაშიძისა, გამოცემა მე-4, ბათომი, 1900, გვ. 140 (G); ლექსები ილია ჭავჭავაძისა, მად. «ცოდნის» გამოცემა, ტფილისი, 1904, გვ. 55; ილია ჭავჭავაძის რჩეული ლექსები, წ. კ.გ. საზ-ის გამოცემა, №80, ტფილისი, 1907, გვ. 17 (H), იგივე გამოცემა, №81, გვ. 16 (J).

თ ა რ ი დ ი : 1863 AD; 1858-სა წელსა, 17 ივლისს, ს. ტიარლევო BC.

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ი. ჭავჭავაძე (სარჩევში) FC.

57. 1 ჩვენო] ჩემო BC. 2 ვდგევარ] ვსდგევარ CD. 3-5 არცა სიმდიდრის... არამედ მწყურს მე] არა სიმდიდრის, არა ვერცხლის სავედრებლად, არც დიდებისა, არც ბედსა გთხოვ მე ამა ქვეყნად, არამედ კი მსურს C; არა სიმდიდრის, არა ვერცხლის სავედრებელათ, არც გთხოვ ამ ქვეყნის ჩემ მხელ ტანჯვათ შემსუბუქებათ; არამეთ კი მსურს B. 5 არამედ მწყურს მე] არამეთ კი მსურს D. 7 თუნდა] უნდა HJ; რომ მტერთათვისაც... მკრან...] რომ ჩემ მტერთათვის, რომელთაც გულს მახვილი მკრან BC. 8 ღმერთო] რათა B.

ლექსი დავათარილეთ BC ავტოგრაფების მიხედვით.

უცხოეთში (გვ. 58)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : M: ავტოგრაფი, კრებ. № 17501, გვ. 8 (B); U: ავტოგრაფი, კრებ. № 108, გვ. 9 (C)

ნ ა ბ ე ქ დ ი : თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 20 (A).

ს ა თ ა უ რ ი : მთვარეს BC.

თ ა რ ი დ ი : 1858 A; 1858 -სა წელსა, 23-სა ივნისს, სოფ. ტიარლევო C. 23-სა ივლისს, 1858 წელსა, სოფელი ტიარლევო B.

ავტოგრაფებიდან B უფრო ადრინდელია, ნასწორება, C კი თეთრია და უახლოვდება A ტექსტს.

1 მთვარე მიცურავს დინჯად] მთვარევ! გჭვრეტ მშვიდათ მიცურავ BC. 2 თვის] შენ BC; ჰყრის] ჰყრი BC. 3 მძინარ სოფელსა] და მძინარ სოფელს BC. 6 სძინავთ ნიავთა] სძინავს ნიავსა B. 7 სტკბება] სტკება B. 8 გარს ეფინება] ეალერსება BC. 8-9 სტრიქონებს შორის («ყველას მშვიდობა»... «და მხოლოდ»...) B-ში ფანქრით არის ჩამატებული: «ყოველი ჩემს გარს მიყრუებულა, ისე საოცრად მიდუმებულა, თითქო», გადახაზულია. 9 მხოლოდ] ხოლოთ BC. 10 მწუხარედ] მწუხარეთ BC. 13 B-ში «თუ მოაგონდა»-ს ნაცვლად ჯერ ეწერა: «მისთვის ხომ

არა», გადახაზულია. 14. ეგრედ] ეგრეთ BC. 15 სულ სხვაფრად გაბრწყინებული] სულ სხვაფრად გაბრწყინებული C; სხვა რიგათ დამშვიდებული B. 16 და სულ სხვარიგად დამშვიდებული] ზეცა სულ სხვა ფრათ გაბრწყინებული B.

ი. ჭავჭავაძის თხზულებათა მიხ. გედევანიშვილისეულ გამოცემაში (1914) ამ ლექსის ორი ვარიანტი (A და C) დამოუკიდებელ ლექსებად არის დაბეჭდილი, - სათაურით «მთვარეს» (გვ. 16, ჩვენი C ვარიანტი) და სათაურით «უცხოეთში» (გვ. 32, ჩვენი A ტექსტი). იმავე გამოცემის სარედაქციო შენიშვნებში (გვ.V) ნათქვამია: ლექსი «მთვარეს» პირველად ქვეყნდებაო, მაგრამ რომ ამ ლექსის ბოლო ვარიანტს ეწოდება «უცხოეთში», რომელიც პირველად 1892 წელს გამოქვეყნდა, არ არის აღნიშნული; იქვე სარედაქციო შენიშვნებში მითითებულია, რომ «მთვარეს» გვხვდება ორ ხელნაწერში (დასახელებულია B და C ავტოგრაფები), და რომ «რიცხვი დაწერისა ამ ორს ხელნაწერში განსხვავდება»; გამოცემა C ავტოგრაფის დათარიღებას უჭერს მხარს და, შესაბამისად, ლექსის დაწერის თარიღად (სარჩევში, გვ I.) 1858 წლის ივნისია მითითებული, ხოლო «უცხოეთში» დათარიღებულია (სარჩევში, გვ. II) 1858 წლით, - დაწერის თვის, რიცხვის და ადგილის მითითების გარეშე.

ვინაიდან C ავტოგრაფი B-ზე გვიანდელია - და, მამასადამე, ნაკლებად სანდო დათარიღების მხრივ, - ლექსს ვათარიღებთ B ავტოგრაფის მიხედვით.

ლოთის რჩევა (გვ. 59)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : M: ავტოგრაფი, კრებ. № 17501, გვ. 171.

თ ა რ ი ღ ი : 1858 წელსა 1-სა აღვისტოს, სოფელი ტიარლევი.

ტექსტი ნასწორებია.

16-17 სტრიქონებს შორის («მეორით»... «ან ღვინის...») ხელნაწერში გადახაზულია:

ბახუსი გიჟობს მხიარულ წამით,
ცივს ჭკვასა გიკლავს ღვინითა მწარით,
აქავ ამური მაცდურის თვალთ
ცელქობს და სდაგავს გულს ტრფობის ალით,
და მსწრაფლ მორფეი, ყოველთვის ზრდილი,
გაცნებს, სად უფრო ტკბილია მილი.

17 «ან ღვინის ორთქლით გახურებულსა», - ამის ნაცვლად ჯერ ეწერა:
«ტრფობისა ალით გახურებულსა», გადახაზულია.

ტექსტში შეტანილია ორიოდე შესწორება ავტორისეული ენობრივი ნორმების შესაბამისად. ავტოგრაფშია: 1 მოჰკლამთ. 16 ჰყლაჰამდე.

ლექსი პირველად დაიბეჭდა 1914 წელს, ილია ჭავჭავაძის თხზულებათა მიხ. გედევანიშვილისეულ გამოცემაში (გვ. 19).

როდემდის (გვ. 61)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : M: ავტოგრაფი, კრებ. № 17501, გვ. (B); U: ავტოგრაფი, კრებ. № 108, გვ. 10 (C).

ნ ა ბ ე ჭ დ ი : თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ.42 (A); ილია ჭავჭავაძის რჩეული ლექსები, წ. კ.გ. საზ-ის გამოცემა, № 80, ტფილისი, 1907, გვ. 11; იგივე გამოცემა № 81, გვ. 11.

თ ა რ ი ღ ი : 1858 (სარჩევში - 1859) A; 1-სა აღვისტოს, 1858 წელსა, ს. ტიარლევო B; - C.

C ავტოგრაფი ბოლონაკლულია და წყდება მე-8 სტრიქონზე (... ქრისტემ სთქვა ცხადათ...»).

1 არ ვსცნობდეთ სიცოცხლის] სიცოცხლის არ ვსცნობდეთ B. 3 სიფრთხილითა] სიფთხილითა CB. 4 ამოებად] ამოებათ BC. 5 სცნობ] ჰსცნობ BC. 6 მტვრითა] მტვრათა AC. 7 შენს] შენ BC; უკვდავ] უკვდავს BC; თანამგზავრად] თანამგზავრთა BC. 8 ცხადად] ცხადათ BC. 9 ნუთუ არ იცი... ჯვარცმული] ნუთუ არ გახსოვს, ვით ძე ღვთისა ჯვარზედ განთხმული B. 10 როს ბძანა] გვეტყოდა B; იყავ] იყავნ A.

ლექსი დავათარიღეთ B ავტოგრაფის მიხედვით.

ი. ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემაში ლექსი დათარიღებულია 1859 წლით (სარჩევში, გვ II), - დაწერის თვის, რიცხვის და ადგილის მითითების გარეშე.

ლოცვა («ოდეს დემონი...») (გვ. 62)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : M: ავტოგრაფი, კრებ. № 17501, გვ. 9.

ლექსი პირველად დაიბეჭდა 1914 წელს, ილია ჭავჭავაძის თხზულებათა მიხ. გედევანიშვილისეულ გამოცემაში (გვ. 22).

*** «ვიხილე სატრფო»... (გვ. 63)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : M: ავტოგრაფი, კრებ. № 17501, გვ. 2 (B); U: ავტოგრაფი, კრებ. № 108, გვ. 3 (C); K: ავტოგრაფი, № 1038 (D).

ნ ა ბ ე ჭ დ ი : გაზ. «ივერია», 1877, № 17, გვ. 8 (E); გაზ. «ივერია» 1878, № 26, გვ. 36 (F); დედა შვილი და რამდენიმე ლექსი თ. ილია ჭავჭავაძისა, ზ. ჭიჭინაძის გამ., ტფილისი, 1882 წ., გვ. 31; თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 180 (A); ჩანგური, შედგენილი სპ. ჭელიძისა, ბათუმი, 1904, გვ. 132 (G).

თ ა რ ი ღ ი : 1877 (სარჩევში - 1859) A; 1859 წ. პეტერბურგი D; 1858 -სა წელ., 26 ოქტომბერს. ს. პეტერბურდი B; 1858-სა წელსა, 26 ოქტომბერს. ს. პეტერბურდი C.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილია ჭავჭავაძე D; *** E; ილ. ჭავჭავაძე (სარჩევში) G.

63. 1 ვიხილე] ვნახევი DF ჰღვრიდა] ღვრიდა DEFG; ცრემლს ჰღვრიდა] ცრემლთ ღვრიდა BC. 2 მოთქმით დასტირდა] მწარეთ დასტირდა BC, დაჰსტირდა D. 4 შორს მისგან] მის ახლოს D; მცვიოდა] მცვივოდა EF. 5 მოვიდა] გათენდა BCDF; განქრა] განჰქრა BDEFG, გაქრა C 6 მას ხელთა] ხელში მას B; ხელთა] ხელში C; ხელთა ეპყრა ~ F; სხვა ტურფა ~ B. 7 ტრფობითა] გრძნობითა BCD.

ლექსი ჩართულია ილიას წერილში კირილე ლორთქიფანიძისადმი (D). აქვეა ჩაწერილი ილიას ლექსები: «ჩემო მკვლელო...» (იხ. გვ. 108), «მაშინ დავსტკბები...» (იხ. გვ. 71) და ნიკოლოზ ბარათაშვილის - «დამქროლა ქარმან სასტიკმან...» ამ ლექსებთან დაკავშირებით ილია კ. ლორთქიფანიძეს წერს: «რაკი არ მომეშვი, აი «ტრფიალების» ლექსს ჩემსას გიგზავნი და ერთს ნ. ბარათაშვილისას, თუ ჭკვაში მოგივიდეს, დაბეჭდე. ხანდისხან ამისთანა ლექსებიც ჰსდომებია ამ უდარდელს და ცრუდ-მოტრფიალეს ქვეყანას» (იხ. ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე , თხზულებათა სრული კრებული, ტ. X, 1961, გვ. 29).

ჩვენს ლიტერატურისმცოდნეობაში უკანასკნელ ხანებში გამოითქვა მოსაზრება, რომ «ვიხილე სატრფო» წარმოადგენს მიბაძვას ჰაინეს ლექსისა «ძილში ვსტიროდი». (იხ. ვ. კავთიაშვილი, ჰაინრიხ ჰაინე ქართულ ლიტერატურაში, თბ., 1978, გვ. 39-40). მართლაც, «სიტუაციისა და მოტივის სხვადასხვაობის მიუხედავად.., «ვიხილე სატრფო» განწყობილებით და ინტონაციით ისე ახლო დგას ჰაინეს «ძილში ვსტიროდისთან», რომ იგი, უეჭველია, ამ ლექსის შთაბეჭდილებით არის ნაკარნახევი». (იხ. დ. ლ ა შ ქ ა რ ა ძ ე , გერმანული კლასიკური ლიტერატურა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში, თბ., 1981, გვ. 107).

ლექსს ვათარილებთ BC ავტოგრაფების მიხედვით.

*** «ერთხელ ჰჯდა!... (გვ. 64)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : M: ავტოგრაფი, კრებ. №17501, გვ. 3 (B); U: ავტოგრაფი, კრებ. № 108, გვ. 3 (C).

ნ ა ბ ე ჭ დ ი : თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 37 (A).

თ ა რ ი ღ ი : 1858 A; 1958-სა წელსა, 26 ოქტომბერს, ს. პეტერბურდი B; 1858-სა წელსა, 26 ოკტომბერსა, ს. პეტერბურდი C.

BC ავტოგრაფები ერთმანეთს მისდევს.

1 ჰჯდა] ჯდა BC. 2 ნარნარი] ის მარდი BC. 3 ჰაბუკო] ყმაწვილო B. 4. გაბრწყინებული] გაბრწყინებული B. 5 შეხედე მზესა, ვით აზნევს ნათელს] შახედე მზესა, როგორ ხატავს ველს BC. 6. ადნობს თოვლ-ყინულსა] ყინვასაც ადნობს BC. 7 შევხედო] შევხედო BC. 8 კაცთა მაცოცხლებელს] ნარნარათ ცხოვლათ BC. 10 ჩემის დარდის] ჩემ წუხილის BC; ცრემლად] ცრემლათ C.

ლექსი დავათარილეთ BC ავტოგრაფების მიხედვით, ვიცავთ C-ს დათარიღების სტილს.

*** «მარტო მივცურავ»... (გვ. 65)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : M: ავტოგრაფი, კრებ № 17501, გვ. 5.
თ ა რ ი ღ ი : 1858 წელსა, 5 ნოემბერს, ს. პეტერბურლი.

ავტოგრაფის ბოლოს არის მინაწერები: «და ურგებს», «ჩემს კვალს», «კვალს, კვალს სიჩქარით».

ლექსი პირველად დაიბეჭდა 1914 წელს, ილია ჭავჭავაძის თხზულებათა მიხ. გედევანიშვილისეულ გამოცემაში (გვ. 23), დათარიღებულია 1858 წ. 5 სექტემბრით (სარჩევში, გვ. 1).

სარედექციო კოლეგიის გადაწყვეტილების თანახმად, ტექსტში ილიასეული ენობრივი ნორმების შესაბამისად გასწორდა რამდენიმე ფორმა.

ავტოგრაფშია: 2 უსურვლოთ და უფიქრელათ. 4 იმედათ. 7 უჭკვრეტ. 8 უცდი. 11 გადაძკრამს. 14 სქლათა. 16 ცრემლებათ.

*** «დაე, თუნდ მოვკვდე»... (გვ. 66)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : M: ავტოგრაფი, კრებ. № 17501, გვ 6.
თ ა რ ი ღ ი : 1858-სა წელსა, 19-ს ნოემბერს, ს. პეტერბურლი.

ტექსტი იბეჭდება ავტოგრაფის მიხედვით.

ლექსი პირველად დაიბეჭდა 1914 წელს, ილია ჭავჭავაძის თხზულებათა მიხ. გედევანიშვილისეულ გამოცემაში (გვ. 24), დათარიღებულია 1858 წ. 19 სექტემბრით (სარჩევში). ტექსტი თანხვდება ავტოგრაფს (გარდა ერთი შემთხვევისა, რომელიც, ჩანს, კორექტურული მიზეზითაა გამოწვეული: ლექსის მესამე სტრიქონში, ნაცვლად სიტყვისა «ვინცა», დაბეჭდილია «ვინც»). 1925-1951 წლების გამოცემებში ილიასეულ ტექსტში ორიოდ გრამატიკული სწორებაა შეტანილი (ავტოგრაფისეული «შაყვარებულმან» შეცვლილია ფორმით - «შეყვარებულმან», «ჩამამძახოს» - «ჩამომძახოს», «ამაოთ» - «ამაოდ»). სარედექციო კოლეგიის გადაწყვეტილებით, ეს სწორებანი გატარებულია ჩვენს გამოცემაშიც.

ავტოგრაფი ჯვარედინად გადახაზულია მეღნით.

ქართვის დედას (გვ. 67)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : M ავტოგრაფი, კრებ. №17501, გვ. 23 (B); ავტოგრაფი, კრებ. № 108, გვ. 60 (C).

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ჩონგური, შედგენილი კ. ლორთქიფანიძისაგან, ს. პეტერბურლი, 1864, გვ. 33 (D); დედა და შვილი და რამდენიმე ლექსი თ. ილია ჭავჭავაძისა, ზ. ჭიჭინაძის გამ., ტფილისი, 1882, გვ. 14 (E); თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 38 (A); ჩანგი, შედგენილი ვ. აბაშიძისა, გამოცემა 2- ტფილისი, 1892, გვ. 111 (F); სოინარი, შეკრებილი კ. ოცხანელის მიერ, ოზურგეთი, 1894, გვ.40 (G); სიტყვიერების თეორია, შედგენილი არხიმანდრიტის კირონისა და გრ. ყიფშიძის მიერ, ტფილისი, 1898, გვ. 570 (H); ჩანგი, შედგენილი ვ. აბაშიძისა, გამოცემა მე-4, ბათომი, 1900, გვ. 132 (J); ლექსები ილია ჭავჭავაძისა, მალ. «ცოდნის» გამოცემა, ტფილისი, 1904 წ., გვ. 10 (K);

ჩანგური, შედგენილი სპ. ჭელიძისა, ბათუმი, 1904 წ., გვ. 54 (L); ილია ჭავჭავაძის რჩეული ლექსები, წ. კ. გ. საზ-ის გამოცემა, №80, ტფილისი, 1907, გვ. 7 და იგივე გამოცემა, № 81, გვ. 38; ჩვენი მწერლობა, I, მგოსნები, შედგენილ-გამოცემული ს. გორგოძის მიერ. თბილისი, 1907, გვ. 56 (m).

ს ა თ ა უ რ ი : ქართლის დედას AE (A-ს სარჩევშია «ქართველის დედას»).

თ ა რ ი ღ ი : 1858 (სარჩევში - 1859) A; 1859 m; 15 დეკემბერს, 1858 წელსა, პეტერბურგი B; 1858-სა წელსა, 15-სა დეკემბერს, ს. პეტერბურდი C; 15 დეკემბერს, 1858 წ. D; 29 ივლისს, 1860 წ. E.

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : *** D; ი. ჭავჭავაძე (სარჩევში)GJ; ილია ჭავჭავაძე (სარჩევში) EL.

ე პ ი რ გ ა ფ ი : FGHIKL;

67. 1 ქართველის დედაო] ქართლის დედაო A; ქართველისა დედავ B; ჰე, ქართველის დედავ CD. 2 უზრდიდა] უზდიდა BC. 4 მომავალ] მომავალს BCH. 5 გაჰქრა] გაქრა BC. 7 სრულად] სრულათ BC. 8 ჩრდილად] ჩრდილათ BC; შესცვალა] შეჰსცვალა C. 10 მხნეობა] ზნეობა D. 11 სახელისათვისა] სახელისთვისა C; 12 მედგარი] სასტიკი BCD. მე-3 სტროფი («მითხარ, სადღა...») – L. 13. ვსტირით] ვჰსტირით D. 14 უწყალოს დროთ] უწყალო დროს BC; დროთ] დრო D. 16 ვსდიოთ] ვზდევდეთ BC, ვსდევდეთ DFL. 17 ჩვენი ვშვათ მყოობადი] ვშობოთ ჩვენი მყოობადი BCDKL.

68. 2 დანიშნულება] მნიშვნეულობა BD; საღმრთო] სამღთო B, საღმთო C. 3 მიეც] მიე BCD. 4 საზრდოდ... ქრისტესა] საზდოთ... ქრისტისა BC. 5 კაცთა] კაცის BCL. 6 ძმობას, ერთობას, თავისუფლებას] DE; ერთობას] თანასწორობას C. 8 მომავლისთვის ბედთანა] მყოობადისთვის ის ბედთან BCDL; ბრძოდეს] ჰბრძოდეს FL. 9 დარგულს] ჩარგულს BCD. B-ში 10-11 სტრიქონებს შორის («და მოგვეცემს...» «დედავ...») გადახაზულია: «უთხარ, მამული ელის მაგასა, მაგის სიკეთეს, მაგის ძალასა». 13 წინ გაუძღვეს] წინა ჰქონდეს BCDEL. 14 უკან ჰრჩეს] და უკან BCDEL.

ლექსი დავათარიღეთ ავტოგრაფების მიხედვით, ვიცავთ C-ს დათარიღების სტილს.

ლექსის ეპიგრაფი, როგორც ჩანს, წარმოადგენს პერიფრაზას ცნობილი გერმანელი მოაზროვნის გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცის (1646-1716 წწ.) შეხედულებისა, რომელიც მას თავის შრომებში რამდენჯერმე აქვს განმეორებული. ასე, მაგ., «მონადოლოგიაში» (1714 წ., § 22) ვკითხულობთ: «...მარტივი სუბსტანციის ყოველი აწინდელი მდგომარეობა ბუნებრივად არის მისი უწინდელი მდგომარეობის შედეგი, ისე როგორც თავის მხრივ აწმყო მძიმეა მომავლით». იხ. ლაიბნიცი, მონადოლოგია, - თარგმანი ს. დანელიასი, თბ., 1940, გვ. 27 (ასეთივე შეხედულება ლაიბნიცს გამოთქმული ჰქონდა აგრეთვე ნაშრომში: «ახალი გამოკვლევები ადამიანის გონების შესახებ» (1704 წ.). ამის შესახებ იხ. დ. გამეზარდაშვილი, ილია ჭავჭავაძის აკადემიური გამოცემისათვის, გაზ. «კომუნისტი», 1983, 12 VI, № 135).

*** «ბევრი ვიტანჯე...» (გვ. 69)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : M: ავტოგრაფი, კრებ. № 17501, გვ. 29 (B); U: ავტოგრაფი, კრებ № 108, გვ. 40 (C).

ნ ა ბ ე ჯ დ ი : «კრებული», 1871, წიგნი მე-4 გვ. 52 (D); თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 166 (A); ჩანგი, შედგენილი ვ. აბაშიძისა, 1889, გვ. 130 (E).

თარიღი: 26 დეკემბერს 1858 -სა წელსა, ს. პეტერბურდი B; 1871 (სარჩევში - 1859) A; 1858-სა წელსა, 26-სა დეკემბერს, ს. პეტერბურდი C.

ხელმოწერა: *** D; № (E).

4 ჩემ] ჩემს BC. 5, 9 გაუძღვებ] გაუძღვებ BC. 8 ბედსაც] სევსაც B. 10 ბედთანა ბრძოლა ვით მეშინება] B-ში ჯერ ეწერა: «დღეს ვიტანჯები, ხვალ მეღბინება» გადახაზულია. 11 ხოლო] მაგრამ B, მარამ C.

ლექსი დავათარიღეთ BC ავტოგრაფების მიხედვით, ვიცავთ C-ს დათარიღების სტილს.

რისთვის მიყვარხარ? (გვ. 70)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : M: ავტოგრაფი, კრებ. № 17501, გვ. 30 (B); U: ავტოგრაფი, კრებ. № 108, გვ. 36 (A)

თ ა რ ი ღ ი : 31 დეკემბერი, 1858 წ. B; 1858-სა წელსა, 31-სა დეკემბერს, ს. პეტერბურდი A.

B-ში ლექსს ბოლოში ერთვის კიდევ ორი სტრიქონი: «შენ ჩემი ცრემლი ბედს მოგიწამლავს, ოხ! მძიმე ოხვრა გულს შემძრწუნებს...» (დაუმთავრებელია).

ლექსი დავათარიღეთ A ავტოგრაფის მიხედვით.

ტექსტში შესწორდა ერთი ფორმა: 4 სასტიკათ - სასტიკად.

«რისთვის მიყვარხარ?» პირელად გამოქვეყნდა 1907 წელს (იხ. გაზ. «ისარი», 1907, № 228 და გაზ. «ჩვენი გზა», 1907, №37); 1914 წლის (მიხ. გედევანიშვილისეულ) გამოცემაში აღნიშნულია, ლექსი პივრელად იბეჭდებო (შენიშვნები, გვ. V).

*** «მაშინ დავსტკბები»... (გვ. 71)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : M: ავტოგრაფი, კრებ. № 17501, გვ. 3 (B); U: ავტოგრაფი - კრებ. № 108, გვ. 4 (C) და გვ. 171 (D); K: ავტოგრაფი, № 1038 (E)*.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : გაზ. «ივერია», 1878, № 26, გვ. 6 (F); თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 183 (A); ჩანგური, შედგენილი სპ. ჭელიძისა, ბათუმი, 1904, გვ. 127 (G); საყოველთაო კალენდარი 1905 წლისა, შედგენილი ვ. თავართქილაძის მიერ, ტფილისი, 1904, გვ.143 (H).

ს ა თ ა უ რ ი : ს...ს BCE; მაშინ დავსტკბები H.

თ ა რ ი ღ ი : 1878 (სარჩევში - 1859) A; 1858 წელსა, 15-სა დეკემბერს, ს. პეტერბურდი BC; 1858 წ., პეტერბურდი E; - D.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : - ილია ჭავჭავაძე E; ილ. ჭავჭავაძე (სარჩევში) G.

* E ავტოგრაფში ლექსი ჩართულია კირილე ლორთქიფანიძისადმი მიწერილ ილიას ბრათუმი (იხ. კომენტარი ლექსისა «ვიხილე სატრფო»..., - წინამდებარე ტომი, გვ. 340).

1 დავსტკბები] დავჰსტკბები EF. 3 მორცხოვობით] მორცხოვობით E. 6 შენ ჩემს გულზედა] შენ ჩემს მკერდზედა D; და შენ ჩემს მკერდზედა E. 8 კოცნაც] კოცნა DE. მე-3 სტროფი («ვიმ მაგ...») E-ში ასე იკითხება:

მე ძლიერსა შენს გულისცემასა,
მე ყურს ვუგდებდე ნატვრით და თრთოლით,
მაშინ... მაშინ კი მე ვირწმენ კაცსა,
მაშინ აღვივსებ გულს წმინდის ლოცვით.

9 ვიმ, მაგ შენს ნარნარს] ნებიერს შენსა D. 10 ვით ლოცვის ბგერას, ლმობით ვისმენდე] ნატვრით და თრთოლით მე ყურს უგდებდე D; ეწერა: «მე ყურს უგდებდე ნატვრით და თრთოლით». გადახაზულია. 11 « და ცოდვილთ...» D-ში ჯერ ეწერა: « მაშინ... მაშინ კი მე ვირწმენ ცასა», გადახაზულია. 12 «შენის სიწმინდით...» D-ში ჯერ ეწერე: « მაშინ აღვივსებ გულს წმინდა ლოცვით» გადახაზულია.

A-სგან საგრძნობლად განსხვავდება BC ავტოგრაფების ტექსტები. მოვიტანთ პირველი ავტოგრაფის ტექსტს (B) მთლიანად:

მაშინ დავსტკბები სრულ სამოთხითა,
როს სულ შენს ცისფერს შავყურებდე თვალს,
ვცხოვრობდე ხოლოთ მის გამოთქმითა,
ჩემს გულზედა ვგრძნობდე მოხრილს შენს ნაზ თავს,
ვსთნქავდე შენ სუნთქვას მთელისა გრძნობით,
მაშინ, ოხ, მაშინ კი დავლოცავ ცას,
მაშინ აღვივსებ გულს წმინდის ლოცვით!

ამ ტექსტისაგან C-ში განსხვავებულად იკითხება მხოლოდ მე-4 სტრიქონი: «ჩემ გულზედა ვგრძნობდე შენს მშვენიერს თავს».

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემაში, ძირითად ტექსტებს შორის, დაიბეჭდა როგორც ლექსის პირველი ვარიანტი - C ავტოგრაფის მიხედვით და ავტოგრაფისეული სათაურით «ს...ს» (წინამდებარე ტომში იხ. გვ. 297), - ასევე მეორე: «მაშინ დავსტკბები...» (1892 წლის გამოცემების მიხედვით). ლექსის პირველი ვარიანტის თარიღად ამ გამოცემაში (სარჩევში) მითითებულია 1858 წლის 27 დეკემბერი, მეორე ვარიანტის თარიღად - 1859 წელი (თვის და რიცხვის აღუნიშვნელად).

ლექსის ორივე ვარიანტია დაბეჭდილი 1925-1951 წწ. გამოცემებში:

პირველი ვარიანტი, C ავტოგრაფის მიხედვით, - ვარიანტების განყოფილებაში, ავტოგრაფისეული სათაურითა და თარიღით, მეორე ვარიანტი (1892 წ. გამოცემის მიხედვით) - ძირითად ტექსტებს შორის, 1858 წ. თარიღით.

როგორც ეს ილიას თხზულებათა 1925-1951 წწ. გამოცემების სარედაქციო შენიშვნებშიც არის აღნიშნული, ლექსის საბოლოო ვარიანტის (A) შექმნის ზუსტი თარიღი არ არის ცნობილი: D და E ავტოგრაფებიდან, რომლებიც საფუძვლად დაედო ი. ჭავჭავაძის თხზულებათა 1892 წლის გამოცემის ტექსტს (A), პირველი დათარიღებული არ არის, ხოლო მეორეში მხოლოდ დაწერის ადგილი და წელია აღნიშნული («1858 წ., პეტერბურდი»), თვის და რიცხვის

მითითების გარეშე, თუმცა ცხადია, რომ ეს ვარიანტი შექმნილია არა უადრეს 1858 წლის 15 დეკემბრისა: ლექსის პირველი ვარიანტი (BC) რომლისგანაც D და E ვარიანტები რედაქციულად განსხვავდება, როგორც ზემოთ უკვე აღნიშნა, ავტოგრაფებში ასეა დათარიღებული: «1858 წელსა, 15-სა დეკემბერს, ს. პეტერბურდი».

ყოველივე ზემოთქმულის გამო, ლექსს მიახლოებით ვათარიღებთ: [1858 წელი, 15 დეკემბრის შემდეგ, პეტერბურგი].

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემისთვის დართულ შენიშვნებში (გვ. V) ლექსის პირველი ვარიანტის სათაურის («ს...ს») შესახებ ნათქვამია: «ვერ გამოვარკვით, ვის ეკუთვნის ეს ინიციალებიო», ხოლო 1925-1951 წლების გამოცემებში აღნიშნულ სათაურთან დაკავშირებით არავითარი განმარტება არ არის მოცემული.

სავარაუდოა, რომ ეს ლექსიც იმავე პიროვნებისადმი მიძღვნილი, ვისაც ეძღვნება ილიას ლექსები «ს... ჩ...სას» (იხ. გვ. 101) და «ჩ...სას...» (იხ. გვ. 102), რომელთა ადრესატის თაობაზე უკანასკნელ ხანებამდე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. 1914 წლის გამოცემის სარედაქციო შენიშვნების თანახმად, ეს ლექსები «რამდენდაც ირკვევა, დაწერილია სოფიო ჩაიკოვსკისაზედ - ცნობილი რუს კომპოზიტორის ჩაიკოვსკის დის შესახებ» (გვ. VIII), მაგრამ ეს ცნობა, რომელმაც ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში ფართოგავრცელება პოვა, გარკვეულ დაზუსტებას მოითხოვს.

ის ფაქტი, რომ - როგორც ილია ჭავჭავაძის ბიოგრაფი გრ.ყიფშიძე წერდა, - სტუდენტობის წლებში «პოეტის გული მოინადირა და გაიტაცა გენერალ ჩაიკოვსკის ასულმა, უნობილი რუს-კომპოზიტორის დამ» (ილიას თხზულებათა 1914 წ. გამოცემა, გვ. XVIII), ემყარებოდა ილიას სიყრმისა და სტუდენტობის მეგობრის კობტა აბხაზის მოგონებას, რომელიც 1914 წლის გამოცემის მესვეურთა თხოვნით დაიწერა და სავსებით სანდო წყაროს წარმოადგენს ილიას ბიოგრაფიისათვის. «პეტერბურგში ილია მეტად აღტაცებული იყო გენერალ ჩაიკოვსკის ქალით (ცნობილი რუსი კომპოზიტორის და), - ვკითხულობთ კობტა აბხაზის დასახელებულ მოგონებაში, - ამ ოჯახში ხშირად დავიარებოდით და კარგადაც გვიღებდნენ და გვექცეოდნენ» («ლიტერატურული მემკვიდრეობა», წიგნი J, ტფილისი, 1935 წ., გვ. 565). ამდენად, უთუაოდ სავარაუდოა, რომ ილიას ზემოაღნიშნული «ორი საუცხოვო სალირიკო ლექსი», რომელთაგან ერთს სათაურად აქვს «ს. ჩ[აიკოვსკი]სას», ხოლო მეორეს «ჩ[აიკოვსკი]სას», «ნაყოფია ამ ტრფობა-გატაცებისა» (1914 წ. გამოცემა, გვ. XVIII).

როგორც ჩანს, სწორედ ამ ლექსების ადრესატი უნდა იგულისხმებოდეს ილიას 1859 წლის 18 თებერვლის წერილშიც, რომელიც მან პეტერბურგიდან თავის უფროს დას - ნინოს გამოუგზავნა კარდანახში; «...ერთი რამა მაქვს შენთვის სათხოვარი და თუ გიყვარდე, თუ ჩემი მცირედი სიყვარული გაქვს, ამისრულე. ერთმა ქალმა ქალური ვერცხლისა ქამარი მთხოვა ხანჯლითა და დავპირდი. შენი ჭირიმე, ნინუცი, ნუ გამამტყუნებ იმ ქალთან, მერე უნდა იცოდე, რა ქალია! იმათ ოჯახში როგორც შვილი ისე ვარ მიღებული, ასეთი დედ-მამა ჰყავს, რომ თავი შემაყვარეს» (ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. X, 1961, გვ. 9).

მაგრამ აღსანიშნავია, რომ არც ილიას ციტირებულ წერილში, არც კობტა აბხაზის მოგონებაში და არც გრ. ყიფშიძის მიერ დაწერილ ილიას ბიოგრაფიაში არ ფიგურირებს ილიას სტუდენტობის დროინდელი ამ «ტრფობა-გატაცების»

(და, შესაბამისად, - ილიას მითითებული ლექსების ადრესატის) სახელი. ეს სახელი - სოფიო, - როგორც უკვე ითქვა, ილიას თხოულობათა 1914 წლის გამოცემის შენიშვნებში იქნა მოხსენიებული, შემდეგ კი ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაშიც ფართოდ გავრცელდა შეხედულება, რომ ილიას ზემოდასახელებული ლექსები («ს...ჩ...სას» და «ჩ...სას») «დაწერილია სოფიო ჩაიკოვსკისათვის», რომელიც ილიას უყვარდა სტუდენტობის წლებში» და რომელიც «არის დაი ცნობილი რუსი კომპოზიტორის ჩაიკოვსკისა» (იხ. 1925-1951 წწ. გამოცემების სარედაქციო შენიშვნები).

უკვე 1937 წელს გამოითქვა დაეჭვება აღნიშნული შეხედულების თაობაზე: «უნივერსიტეტში ყოფნის პირველ წელსვე,- წერდა ი. ბალახაშვილი, - ილია გაიეცნო და დაუახლოვდა გენარალ ჩაიკოვსკის ასულ სოფიოს. ილიას ბიოგრაფები ერთხმად აღიარებდნენ, თითქოს ეს სოფიო იყო და ცნობილ კომპოზიტორის პ.ი. ჩაიკოვსკისა. კომპოზიტორის ბიოგრაფიასთან გაცნობისას გამოირკვა, რომ ილიას სატრფო არ არის მისი და: იხ.კომპოზიტორის ძმის მ. ჩაიკოვსკის სამტომიანი გამოკვლევა «Жизнь Петра Ильича Чайковского» (ი. ბალახაშვილი, ილია ჭავჭავაძის მოწაფეობა და სტუდენტობა, თბ., 1937, გვ. 62); ხოლო 1978 წელს შ. ალხაზიშვილმა წამოაყენა მოსაზრება, რომ «ილია ჭავჭავაძის სამი სატრფიალო ლექსის ადრესატი სოფიო ჩაიკოვსკაია კომპოზიტორ ჩაიკოვსკის ბიძაშვილია და არა ღვიძლი და» («ილია ჭავჭავაძის სამი ლექსის ადრესატის დაზუსტებისათვის», - «სახალხო განათლება», 1978, 8. XII, № 88).

მართლაც, დიდი რუსი კომპოზიტორის პეტრე ილიას ძე ჩაიკოვსკის დათაგან უფროსს ზინაიდა ერქვა (1929-1978 წწ.), უმცროსს - ალექსანდრა (1842-1891 წწ.), ხოლო სოფიო (1833-1888 წწ.) რქმევია პ.ი. ჩაიკოვსკის ბიძაშვილს - ერთ-ერთ ქალიშვილს გენერალ პეტრე პეტრეს ძე ჩაიკოვსკისა (1788-1871 წწ.), რომელიც კომპოზიტორის მამის, გენერალ ილია პეტრეს ძე ჩაიკოვსკის (1795-1880 წწ.) უფროსი ძმა იყო. ამრიგად შ. ალხაზიშვილის მოსაზრება ილიას ზემოაღნიშნული ლექსების ადრესატის ვინაობის თაობაზე დამარწმუნებელი ჩანდა.

მაგრამ უკანასკნელ ხანებში აღნიშნულ საკითხზე განსხვავებული შეხედულებაც გამოითქვა. კერძოდ, ჯ. მუჯირის მხატვრულ ნარკვევში - «შრომანების ფიანდაზი», ჭაბუკი ილიას სატრფოდ პ.ი. ჩაიკოვსკის უმცროსი და - ალექსანდრაა გამოყვანილი (თუმცა, საამისოდ, რაიმე არგუმენტები არ არის მოხმობილი (იხ. მუჯირი, შრომანების ფიანდაზი, გაზ. «თბილისი», 1982 წ., 10 IX), ხოლო გ. შარაძემ ყურადღება მიაქცია იმ ფრიად საგულისხმო ფაქტს, როგორც ეს არაერთგზისაა აღნიშნული პ.ი. ჩაიკოვსკის ძმის, მ.ი. ჩაიკოვსკის ზემოთ მითითებულ ნაშრომში («ცხოვრება პეტრე ილიას ძე ჩაიკოვსკისა», ტ. I - III, მოსკოვი-ლაიფციგი, 1903 წ.), «ალექსანდრა ჩაიკოვსკაიას ყმაწვიქალობაში საშას, საშენკას, სანას, სანიუშას ეძახდნენ», და გამოთქვა ვარაუდი, რომ «თუ სანდოა კოხტა აფხაზის ცნობა (დაეჭვებისათვის კი არავითარი საფუძველი არ არსებობს) გენერალ ჩაიკოვსკის ასულისა და გენიალური რუსი კომპოზიტორის პეტრე ჩაიკოვსკის დაზე პეტერბურგში სტუდენტობისას ილია ჭავჭავაძის გამიჯნურების შესახებ, მაშინ უნდა ვირწმუნოთ, რომ ეს ყოფილა ალექსანდრა, იგივე საშა, ჩაიკოვსკაია (და არა სოფიო ჩაიკოვსკაია), რაც ემთხვევა კიდევ ილიას ლექსის სათაურში მოცემულ ინიციალებს: «ს[აშა] ჩ[აიკოვსკი]სას» (გ.

შარაძე, ილია ჭავჭავაძე და ჩაიკოვსები, გაზ. თბილისი, 1886, 17. XII, № 289). ეს ვარაუდი, ვფიქრობთ, ადეკვატურად გამოხატავს რეალურ ვითარებას.

გარდა ილია ჭავჭავაძის ზემოდასახელებული ლექსებისა, ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, ს. ჩაიკოვსკაიასადმია მიძღვნილი, აგრეთვე, ილიას ლექსი «ჩემო მკვლელო» (ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. X, სარედაქციო შენიშვნები, გვ. 472). მართალია, პირდაპირი ცნობა ასეთი შეხედულების სასარგებლოდ არ მოიპოვება, მაგრამ, ჩანს, ეს მართლაც ასე უნდა იყოს. ოღონდ ამ შემთხვევაშიც მითითებული ლექსის ობიექტად უნდა მივიჩნიოთ არა სოფიო პეტრეს ასული ჩაიკოვსკაია, არამედ ალექსანდრა ილიას ასული ჩაიკოვსკაია.

ჩემი თარიღი (72)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : U: ავტოგრაფი, კრებ. № 108, გვ. 15 (C); ხელნაწერი, კრებ № 136, გვ. 19 (A); K: ხელნაწერი, № 21 (B)⁹.

თ ა რ ი ღ ი : 1857 года (A); 1857 ან 1858 წ. (B); 1858 წელსა, ს. პეტერბურგი (C).

ამ ლექსის სრული ავტოგრაფი დღემდე მიუკვლეველია. 1925 წ. პ. ინგოროყვამ გამოაქვეყნა ლექსის ბოლო სტროფი, რომელიც დაცულია ი. ჭავჭავაძის ავტოგრაფ-კრებულში (U, № 108). ამის თაობაზე მკვლევარი წერდა: «ამ ლექსის არსებობის შესახებ არავითარი ცნობა ლიტერატურაში არ მოიპოვებოდა. პირველად ამ ლექსის კვალს მივაგენით 1925 წელს... ილიას ლექსების ერთ ხელნაწერში (იგულისხმება U კრებ. № 108), რომელიც თვით ილიას მიერ არის გადაწერილი სტუდენტობის წლებში... შემხვდა ნაწყვეტი ამ ლექსისა, რომლის მხოლოდ ბოლო, უკანასკნელი ხანაა გადარჩენილი. ეს ნაწყვეტი დავებქდეთ კიდეც 1925 წლის გამოცემაში და იკითხვის შემდეგნაირად:

მაშ, მოდით, ქართველნო, ძმობით,

ჰარიარალი!

ვიშრომით ჩვენთვის ერთობით,

თარიარალი!

1858 წ. პეტერბურგი.

1925 წლის გამოცემის შენიშვნებში ამ ნაწყვეტის გამო ვწერდი: ფრაგმენტის თავი დაკარგულია და შენახულია მხოლოდ უკანასკნელი ხანა, რომელიც წარმოადგენს ლექსის მოძახილს, რეფრენს» (ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე , თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, 1951, გვ. 383).¹⁰

⁹ ლექსი გადაწერილია კირილე ლორთქიფანიძის მიერ.

¹⁰ იქვე, გვ. 450-ის სქოლიოში აღნიშნულია: «ლექსის მოძახილი ხელნაწერში ასე იკითხვის: B ხელნაწერის (იგივე U, კრებ. № 108) პირველ სტრიქონში «ჰარიარალი», მეორე სტრიქონში - «თარიარალი», ხოლო N ხელნაწერში (იგივე კირ. ლორთქიფანიძის ხელნაწერი) ორივეჯერ «ჰარიარალი». ჩვენ დავიცავით ავტოგრაფის წაკითხვა».

ლექსი ავტორის სიცოცხლეში არ დაბეჭდილა. იგი პირველად გამოაქვეყნა ი. ბალახაშვილმა 1936 წელს გაზ. «ლიტერატურულ საქართველოში», №12. აქ ტექსტი დაიბეჭდა კ. ლორთქიფანიძის მიერ შედგენილი და გადაწერილი ქართული პოეზიის ანთოლოგიიდან - «ქართველი მწერლების თხზულებები», რომელიც კერძო პირის (ივ. კაკაბაძის) საკუთრებას წარმოადგენდა (ამჟამად დაცულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში).

ლექსი დათარიღებული არ არის. ი. ბალახაშვილმა ტექსტის დაშიფრული ადგილები არასწორად ამოხსნა და «ც» გაიგო, როგორც სიტყვა «ცენზორი». ამის გამო ლექსში დაირღვა მარცვალთა რაოდენობა და ტექსტი დამახინჯდა¹¹. პ. ინგოროყვამ კი თავისი ვარაუდით, სავსებით სწორად, «ც» გაშიფრა, როგორც «ცარი», რაც მიესადაგა ლექსის შინაარსსაც და მის ზომასაც (დაწვრილებით ამის შესახებ იხ. პ. ინგოროყვას რედაქციით გამოცემული ი. ჭავჭავაძის თხზულებათა I ტომი, 1951 წ., გვ. 382-386 და გვ. 450-452).

ამრიგად:

კ. ლორთქიფანიძის ხელნაწერ-კრებულში წერია:

«რაგინდ რომ ც... ღრინავდეს».

«ვერ შეგვაშინებს ჩვენ ც»...

«ც... რა ერთხელ ინება».

«ჩვენ ც... ვერას დაგვაკლებს».

«ლიტერატურულ საქართველოში» დაიბეჭდა:

«რაგინდ რომ ცენზორი ღრინავდეს».

«ვერ შეგვაშინებს ჩვენ ცენზორი».

«ცენზორმა რა ერთხელ ინება».

«ჩვენ ცენზორი ვერას დაგვაკლებს».

პ. ინგოროყვამ გამართა:

«რაგინდ რომ ცარი ღრინავდეს».

«ვერ შეგვაშინებს ჩვენ ცარი».

«ცარმა რა ერთხელ ინება».

«ჩვენ ცარი ვერას დაგვაკლებს».

1951 წლისთვის გამზადებული ი. ჭავჭავაძის თხზულებათა I ტომის სარედაქციო შენიშვნები უკვე აწყობილი ყოფილა, როცა შ. გოზალიშვილმა მიაკვლია ამ ლექსის ახალ ხელნაწერს (ჩვენს A ტექსტს); იგი დათარიღებულია ასე «1857 года» (იხ. U კრებ. №136, გადამწერი უცნობია)¹². ამის შესახებ პ. ინგოროყვა აღნიშნავდა: «ხელნაწერის აღმოჩენის შემდეგ დოკუმენტურად

¹¹ ი. ბალახაშვილმა იგივე ლექსი დაბეჭდა თავის მონოგრაფიაშიც (შესწორებით) «ილია ჭავჭავაძის მოწაფეობა და სტუდენტობა», 1937 წ., გვ. 63-65.

¹² ამ სტრიქონებში კ. ლორთქიფანიძეს ჯერ სრულად ჩაუწერია სიტყვები (ცარი, ცარი, ცარმა ცარი), შემდეგ წაუშლია და მხოლოდ პირველი ასო ც დაუტოვებია.

დადასტურდა, რომ სწორია ჩვენს მიერ აღდგენილი ტექსტი ამ ლექსისათვის» (ტ. I, 1951 წ., გვ. 451). სამწუხაროდ, პ. ინგოროყვას არ ჰქონდა საშუალება ამ მიკვლევული ხელნაწერის მიხედვით აღედგინა და გაემართა ტექსტი. ამავე დროს პ. ინგოროყვასათვის უკვე ცნობილი ყოფილა კ. ლორთქიფანიძის არქივში დაცული ხელნაწერიც, რომლის შესახებ ცნობა მიუწოდებია პრ. კეკელიძეს მასთან საუბრის დროს (იქვე, სქოლიო).

პრ. კეკელიძემ მიკვლევული ხელნაწერის შწესახებ დაწვრილებითი ცნობები გამოაქვეყნა ნაშრომში: «ილია ჭავჭავაძის ლექსის «ჩემი თარი-არალი» ახალ აღმოჩენილი ხელნაწერი» (უნივერსიტეტის შრომები, 1951, № 45, გვ. 229-240), სადაც წერს: «ამ ოთხიოდე წლის წინათ ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო სახელმწიფო მუზეუმში მუშაობის დროს ჩვენ წავაწყდით მითითებული ლექსის ხელნაწერ ტექსტს. მანუსკრიპტი გადაწერილია ისევ კირილე ლორთქიფანიძის ხელით და დაცულია კ. ლორთქიფანიძის არქივში (№21)».

ეს ხელნაწერი (B), რომელსაც მიწერილი აქვს თარიღი - «1857 ან 1858 წ.» და ჩვენ ძირითადი ხელნაწერი (A) ერთმანეთს მისდევს ერთი-ორი ნაირწაკითხვით: დაგვიდგება] წავვიდგება A; დამლუპველს] დამთრგუნველს A.

ჩვენ ძირითადად დავეყრდენით A ხელნაწერს, ოღონდ ილიასეული ენობრივი ნორმების მიხედვით გავასწორეთ ორიოდე ფორმა: 2 მოჰკლამს-მოჰკლავს. 5 რალათ-რალად.

ლექსი დავათარიღეთ ავტოგრაფის მიხედვით, სადაც, როგორც ზემოთ ითქვა, შემონახულია ლექსის მხოლოდ ბოლო ორი სტრიქონი და თარიღი (ამჟამად ისინიც გადამლილია მეღნით, მაგრამ გარჩევა მაინც შეიძლება)¹³.

«ჩემი თარიარალი» დაწერილია გამოჩენილი ქართველი პოეტის ალექსანდრე ჭავჭავაძის (1786-1846 წწ.) ლექსის «მუხამბაზი ლათაიურის» მიბაძვით.

გვ. 73 ე ზ ო პ ი : ესოპე, ძვ. საბერძნეთის დიდი იგავთმწერალი (VI ს. ძვ. წ.).

*** «მითხარო, რისთვის»...(გვ. 75)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : M: ავტოგრაფი, კრებ. №17501, გვ. 31 (B); U: ავტოგრაფი, კრებ. №108, გვ. 34 (A).

თ ა რ ი დ ი : 1859-სა წელს... პეტერბურდი (A); 1858 წელსა, ს. პეტერბურდი B.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემაში (სარჩევში, გვ. II) ლექსი დათარიღებულია 1859 წლით. ჩვენ ვათარიღებთ B ავტოგრაფის მიხედვით.

ავტოგრაფებს შორის მცირე სხვაობაა: 7 მინაზებულთ] დადუნებული B. 8 სულ ერთს] ერთსა B. 15 იქ შეყვარებულს ჩემ წამხდარსა გულს] და შეყვარებულს იქ წამხდარს ჩემს გულს B.

სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილების თანახმად, ავტოგრაფულ ტექსტში ავტორისეული ენობრივი ნორმების შესაბამისად შეტანილია შემდეგი

¹³ «ჩემი თარიარალის» აღნიშნული ნაწყვეტი არ არის მოხსენებული შ. გოზალიშვილის წიგნში «ილია ჭავჭავაძის ავტოგრაფები» (აღწერილობა), თბ., 1951 წ.

შესწორებანი: 2 შხირ-შხირათ - ხშირ- ხშირად (ასევე: 13 შხირათ-ხშირად). 4 ძვირათ და ძვირათ-ძვირად და ძვირად. 7 ტკბილათ-ტკბილად. 10 მხიარულათ ჰსჩქებს-მხიარულად ჰსჩქეფს.

ლექსი პირველად გამოქვეყნდა გაზ. «ისარში», 1907, № 232.

ხმა გულისა (გვ. 76)

ხელნაწერი: M: ავტოგრაფი, კრებ. № 17501, გვ. 4 (B); U: ავტოგრაფი, კრებ. № 108, გვ.6(A).

ს ა თ ა უ რ ი : გულის ხმა B.

თ ა რ ი ღ ი : - A; 1859-სა წელსა, 11-სა იანვარს, ს. პეტერბურღი B.

ამ ავტოგრაფებიდან ადრეულია B ტექსტი. იგი შავია, ნასწორები. მის თეთრს წარმოადგენს ავტოგრაფი A, რომელიც ბოლონაკულია: კრებულს აკლია მე-7 გვერდი, რომელზეც გადადიოდა ლექსის ბოლო ორი სტრიქონი. ამიტომ, ბუნებრივია, A ტექსტის თარიღიც ტექსტის ბოლოსთან ერთად დაიკარგებოდა. ეს დეფექტი, ჩვენი ვარაუდით, B ავტოგრაფის მეშვეობითაა გამოსწორებული გაზ. «თემის» პუბლიკაციასაც (1913 წ.) და 1914 წლის მიხ. გედევანიშვილისეულ გამოცემაში.

3. საიდღამაც] B-ში ჯერ ეწერა: «ფოთლებ შორის», გადახაზულია. 10 ვერსად ვერ ვპოვე ის] B-ში ჯერ ეწერა: «მაგრამ ვერ ვპოვე იქ», გადახაზულია.

B-ში მე-3 სტროფის პირველ სტრიქონად თავდაპირველად ეწერა: «დიდხანს ვატარე ფოთლებში თვალი». ავტორს «ფოთლებში» გადაუხაზავს და ზედ «დავღალე» დაუწერია «ვატარე» კი გადაუსწორებია (უფრო მუქი მელნით) სიტყვად «ვეძებე». სტრიქონმა ახალი გააზრება მიიღო «დიდხანს ვეძებე, დავღალე თვალი». ამ სტრიქონების ორივე ვარიანტი სავსებით გამართულია აზრობრივად. მაგრამ გადათეთრებისას პგოეტს ისევ «ვატარე» დაუტოვებია (A) და ტაეპი საბოლოოდ ასე გაუმართავს: «დიდხანს ვატარე, დავღალე თვალი».

1914 წლის გამოცემაში B ტექსტის დამუშავებული სტრიქონი დაიბეჭდა («დიდხანს ვეძებე, დავღალე თვალი»), 1925-1951 წწ. გამოცემებში კი ეს სტრიქონი A ტექსტიდან იქნა შეტანილი («დიდხანს ვატარე, დავღალე თვალი»). რადგანაც ეს უკანასკნელი ავტორის ბოლო ნებას გამოხატავს, ამიტომ ჩვენც იგი ძირითად ტექსტად მივიღეთ.

ტექსტში გასწორდა ორიოდე ფორმა: 5 დიდხან უგდებდა-დიდხანს ვუგდებდი. 6 საკურველს - საკვირველს (შდრ. ასეთივე შესწორება თვით ილიას მიერ ლექსში «ციურნი ხმები». იხ. გვ. 81).

«ხმა გულისა» პირველად დაიბეჭდა გაზ. «თემში», 1913 წ., №147, გვ. 2. 1914 წლის გამოცემაში კი აღნიშნულია, ლექსი პირველად იბეჭდებოდა (იხ. შენიშვნები, გვ. VI).

*** «მეცა მქონია...» (გვ. 77)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : M: ავტოგრაფი, კრებ. № 17501, გვ. 19 (B); U: ავტოგრაფი, კრებ. № 108, გვ. 38 (C).

ნ ა ბ ე ქ დ ი : «კრებული», 1871, № 4, გვ. 128 (D); თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 144 (A).

ს ა თ ა უ რ ი ს მ ა გ ი ე რ : მიბაძვა ჰეინისადმი B; (მიბაძვა ლეინესადმი) CD.

თ ა რ ი ღ ი : 19 იანვარი, 1859-სა წელსა, ს. პეტერბურღი B; 1859-სა წელსა, 19-სა იანვარს, ს. პეტერბურღი C; 1859 წ., პეტერბურღი D; 1871 (სარჩევში-1863) A.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : *** D.

2 სუფევდა] სცხოვრებდა BCD. 4, 8 კია ეს] კი ეს არს B. 6 სცხოვრობდნენ] სცხოვრებდნენ B. 7 ღია ჰქონიათ მაშინ ცის კარი] თურმე ეპოვნათ ძმობით ცის კარი B, თურმე გაეღოთ მაშინ ცის კარი CD.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა მიხ. გედევანიშვილისეულ (1914 წ.) გამოცემაში ეს ლექსი მოთავსებულია ორიგინალურ ლექსთა შორის, 1925-1951 წლების გამოცემებში კი თარგმანებშია გადატანილი. რადგანაც ლექსი არის «მიბაძვა ჰეინესი» (კერძოდ, მიბაძვა ჰაინეს მესამე ლექსისა ციკლიდან «უცხოეთში») და არა ჰაინეს ლექსის თარგმანი ან გადმოკეთება, ამიტომ ჩვენც იგი ორიგინალურ ლექსთა შორის მოვათავსეთ (სპეციალურად ამ საკითხზე იხ. ა ლ . კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე , ნარკვევები ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან, თბ., 1965, გვ. 338-339; დ. ლაშქარაძე, გერმანული კლასიკური ლიტერატურა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში, თბ., 1981, გვ. 104-105).

ლაქსი დავათარიღეთ BC ავტოგრაფების მიხედვით; C-ს დათარიღების სტილს.

გავსწორდეთ, ბედო! (გვ. 78)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : M: ავტოგრაფი, კრებ. № 17501, გვ. 20 (B); U: ავტოგრაფი, კრებ. №108, გვ. 50 (C).

ნ ა ბ ე ქ დ ი : თხზულაბანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 45 (A); ჩვენი მწერლობა, I. მგოსნები, შედგენილ-გამოცემული ს. გორგაძის მიერ, თბილისი, 1907, გვ. 37 (D).

თ ა რ ი ღ ი : 1859 AD; 19 იანვარს, 1859-სა წელსა, ს. პეტერბურღი B; 1859-სა წელსა, 19 იანვარს, ს. პეტერბურღი C.

1 ეჰ] ეხ BC; ჩემ] ჩემს B. 2 შენს] შენ BC. 5 სისხლისა ცრემლით] სისხლის ცრემლებით D. 7 მოვიდა] დადგა BC; ანგარიშის] ანგარიშისა C. 9-10 წარვიდნენ დღენი... ჩვენ ადგილები] წარვიდნენ დღენი შენ უფლებისა, დროა დავსცვალოთ ჩვენი როლები BC. 11 აქამდის] აქამდინ ABC. 12 ბევრჯერ და ბევრჯერ შენ მაძრუწუნე] ბევრჯელ და ბევრჯელ შენ მაწრუწუნე BC.

ტექსტში გასწორდა ერთი ფორმა: 14 დავუკრამ-დავუკრავ (მსგავსი ავტორისეული სწორებანი ილიას თხზულებაში მრავალია).

ლექსს ვათარიღებთ BC ავტოგრაფების მიხედვით, ვიცავთ C-ს დათარიღების სტილს.

ი. ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემაში (სარჩევი, გვ. III) ლექსი დათარიღებულია 1859 წლის 14 იანვრით.

*** «ვაი! მას, ვისაც...» (გვ. 79)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : M: ავტოგრაფი, კრებ. № 17501, გვ. 21 (B); U: ავტოგრაფი, კრებ. № 108, გვ. (C);

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ჟურ. «ცისკარი», 1860, № 9, გვ. 74 (D); თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 99 (A).

თ ა რ ი ღ ი : 1860 A; 19-სა თებერვალს, 1859 წელსა, ს. პეტერბურდი B; 1859-სა წელსა, 19-სა თებერვალს, ს. პეტერბურდი C.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თ. ილია ჭავჭავაძის D.

ძირითადი (A) ტექსტისაგან განსხვავებულია BCD წყაროები. ამ წყაროებში ლექსი სამსტროფიანია, ხოლო A-ში ორსტროფიანი. პირველი სტროფი, რომელიც A-ს გარდა ყველა წყაროშია, ასე იკითხება (უმნიშვნელო ვარიანტული სხვაობით):

ერთხელ მეც, ძმანო, მეც მყვარებია,
გული წმინდ ალით მეც ამნთებია,
რა მას უყვარდი და მეც მიყვარდა,
ცხოვრება ჩვენი ბევრს კარგს გვიქადდა.

A-სთან შედარებით BCD წყაროები ასეთ ვარიანტულ სხვაობას იძლევა:

1. ვაი] მარამ BC, მაგრამ D; მსხვერპლად] მსხვერპლათ C. 3 ამა] ამას D; ქვეყნად] ქვეყნათ C. 5-6 გამიქრა ბედის... ობოლი თავი] გაქრა ჩემ ბედის ვარსკვლავი ცაში და ჩაემარხა იმის საფლავში BCD. 7 ნუგეზად] ნუგეზათ C. 8 დამშთენიეს] დამრჩენიეს BC.

ი. ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემაში ლექსის პირველი (BCD) და მეორე (A) ვარიანტები ორ დამოუკიდებელ ლექსად არის დაბეჭდილი, ძირითად ტექსტებს შორის: *** «ერთხელ მეც, ძმანო...» (გვ. 39), რომელიც დათარიღებულია 1859 წლის 19 თებერვლით (სარჩევში, გვ. II) და ***«ვაი, მას ვისაც...» (გვ. 70), - დათარიღებული 1860 წლით (სარჩევში, გვ. III).

1925-1951 წლების გამოცემებში ლექსის პირველი ვარიანტი (BCD) - ***«ერთხელ მეც, ძმანო...» დაბეჭდილია ვარიანტების განყოფილებაში, თარიღით: «1859 წ. 19 თებერვალი, პეტერბურგი», ხოლო ძირითად ტექსტს - მეორე ვარიანტს (***«ვაი, მას...») ამ თარიღის გარდა დართული აქვს განმარტება, რომ ტექსტის საბოლოო რედაქცია 1860 წელს ეკუთვნის: კერძოდ, 1925 წლის გამოცემაში «ვაი, მას...», ასეა დათარიღებული: «19 თებერვალი, 1859წ პეტერბურგი (1860 წ.),» სქოლიოში კი აღნიშნულია: «ამ ლექსის პირვანდელი ვარიანტი დაწერილია 19 თებერვალს 1859 წლისა. ხოლო აქ მოთავსებული ბოლო რედაქცია თარიღდება 1860 წლით» (გვ. 63); 1951 წლის გამოცემაში ლექსის დათარიღება მითითებული განმარტების გარეშეა წარმოდგენილი (გვ.41): «19 თებერვალი 1859 წ. პეტერბურგი (ბოლო რედაქცია 1860 წ.).»

ლექსს ვათარილებთ BC ავტოგრაფების მიხედვით, ვიცავ C-ს დათარიღების სტილს.

სიხარული (გვ. 80)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : M ავტოგრაფი, კრებ. № 17501, გვ. 21 (B); U: ავტოგრაფი, კრებ. №108, გვ. 20 (C).

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ჟურნ. «საქართველოს მოამბე», 1863, №9, გვ. 28 (D);
თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 41 (A).

ს ა თ ა უ რ ი ს ქვეშ: (მიბაძვა) - BCD.

თ ა რ ი ღ ი : 1 8 5 8 (ს ა რ ჩ ე ვ შ ი - 1 8 5 9) A; 1858 წ. C; 1859-სა შელსა, 3-სა მარტსა, ს. პეტერბურდი B.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : *** D.

C-ში თარიღი ფანქრითაა მიწერილი (ვის ეკუთვნის ეს მინაწერი - გაურკვეველია).

2 გავლით] გზაზედ BC; სუნნელსა] სურნელსა BC. 3 ხელში დიდხანს ~ ABC.
4 და მერე ჰჰკნება] მერე დაჰკნება BC.

ლექსს ვათარილებთ B ავტოგრაფის მიხედვით.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემაში «სიხარული» ილიას ორიგინალურ ლექსებთან ერთადაა დაბეჭდილი (დათარიღებულია 1859 წლით, - სარჩევში, გვ. II), 1925-1951 წლების გამოცემებში კი გადატანილია თარგმანებში. ჩვენ, როგორც მიბაძვა, იგი ისევ ორიგინალურ ლექსებს შორის მოვათავსეთ.

ი. ჭავჭავაძის თხზულებათა 1925-1951 წლების გამოცემებში შეცდომით მითითებულია, თითქოს ლექსს ფანქრით მიწერილი აქვს 1859 წელი (იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, 1951, გვ. 430). ამ გამოცემებში ლექსს თარიღად უზის: «7 მარტი, 1859 წ.», ხოლო სარედაქციო შენიშვნებში მითითებულია ილიას ავტოგრაფი (ჩვენი ლიტერით B), რომელშიც «სიხარული» თითქოს 1859 წლის 7 მარტით არის დათარიღებული (ფაქტობრივად, როგორც აღნიშნული გვაქვს, ავტოგრაფში ლექსს მიწერილი აქვს «...3-სა მარტსა...»).

როგორც ჩანს, ილიას «სიხარულის» შექმნას ბიძგი მისცა ჰაინეს «ლამენტაციების» ეპიგრაფმა, - კერძოდ, ამ ეპიგრაფის პირველმა სტროფმა (იხ. ი. კენჭოშვილი, ჰაინე და ილია ჭავჭავაძე, «ლიტერატურული გაზეთი», 1962, №182; დ. ლაშქარაძე, გერმანული კლასიკური ლიტერატურა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში, თბ., 1981, გვ. 105-106).

ციურნი ხმები (გვ. 81)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : M: ავტოგრაფი, კრებ. № 17501, გვ. 22 (B); U: ავტოგრაფი, კრებ. № 108, გვ. 37 (C).

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ჟურნ. «საქართველოს მოამბე», 1863, № 3, გვ. 48 (D); ჩანგი, შედგენილი ვ. აბაშიძისა, გამოცემა მე-2, 1892, გვ. 380

(E);თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 139 (A);

თ ა რ ი ღ ი : 1863 (სარჩევში - 1859) A; 1859-სა წელსა, 27-სა მარტსა, ს. პეტერბურღი BC.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : *** D; ი. ჭავჭავაძე (სარჩევში) E.

2 საკვირვლები] საკურვლები BC. 5 სრბიან] რბიან E. 7-8 და ნელს სიხარულს მიგალობებენ - BC. 10 ოჰ, საკვირვლებო] თქვე საკურვლებო BC. 12 ხმით] მაგ. B. 15 აღტაცებას] სასოებასა BC. 17 შევჭვრეტ] შეჰსჭვრეტს CD, შემჭვრეტს B.

ლექსი დავათარიღეთ ავტოგრაფების მიხედვით.

ალაზანს (გვ. 82)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : M ავტოგრაფი, კრებ. № 17501, გვ. 25 (B); U: ავტოგრაფი, კრებ. № 108, გვ. 35 (C).

ნ ა ბ ე ჭ დ ი : თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 71 (A).

ს ა თ ა უ რ ი ს ქ ვ ე შ : მიზამვა BC.

თ ა რ ი ღ ი : 1859 AC.

C-ში თარიღი მიწერილია უცნობი ხელით, ფანქრით.

B-ში ეპიგრაფი იგივეა, რაც A-ში, იმ განსხვავებით, რომ B-ში ეპიგრაფს მიწერილი აქვს: «ქილილა და დამანა», საბა ორბელიანი».

ეს ლექსი პოეტის სიცოცხლეში ერთხელ დაიბეჭდა (A). ამ პუბლიკაციაში მე-20 სტრიქონს მარცვალი აკლია, რის გამოც ლექსის ზომა დარღვეულია: «მეც უდროოდ გამერია თმებში ჭალარა». 1914 წლის გამოცემაში ეს სტრიქონი ასევეა დატოვებული (გვ. 48), 1925-1951 წლების გამოცემებში კი სიტყვა «უ დ რ ო ო დ » შეცვლილია სიტყვით «უ დ რ ო ო - დ რ ო დ » და სტრიქონი, ზომის თვალსაზრისით, გასწორებულია («მეც უდროოდ-დროდ გამერია თმებში ჭალარა»). მაგრამ, ვინაიდან ილიას ორსავე ავტოგრაფში (BC) არის ოთხმარცვლიანი, სალექსო ტაეპს კარგად მორგებული სიტყვა «უ დ რ ო - უ დ რ ო თ » (და არა «უ დ რ ო ო დ » ან «უ დ რ ო ო - დ რ ო დ »), ამიტომ ჩვენს გამოცემაშიც ავტოგრაფიდან მომდინარე ილიასეული ფორმა აღვადგინეთ, ოღონდ ავტორის ბოლო ნების შესაბამისად შევასწორეთ ვით. ბრუნვის ნიშანი («მეც უდრო-უდროდ გამერია თმებში ჭალარა»). პირველნაბეჭდის (A) «უ დ რ ო ო დ » კორექტურული შეცდომა უნდა იყოს.

ავტოგრაფების შედარება A-სთან ასეთ სხვაობას იძლევა: 82. 1 მდინარევ, ჩემის] ჰე, ალაზანო BC. 2 ვდგევა] ვზდგევარ B; მე] ძველ BC. 4 დროთა ბრუნვისაგან] სასტიკ დროისაგან BC. 6 უნუგეშოდ] უნუგეშოთ C; ღრმად] ღრმათ C. 7 ერთად] ერთათ C. 8 ვინცა... ღმერთად] არსი, ვინც აღმიჩნდა სიცოცხლის ღმერთათ B, სატრფო, ვინც აღმიჩნდა ცხოვრების ღმერთათ C. 10 ჰღელავდი... ჰღელავდა] ღელავდი... ღელავდა BC. 12 მაგრამ] მარამ BC. 13 რად] რათ C; აწყო] აწყო AB.

83. 6 თმებში] თმაში B. 7 ღმერთა] ღმერთაც B; B-ში ნაცვლად სიტყვებისა «იგი გრძნობა, ის» ეწერა: «აღარ უნდების გულს», - გადახაზულია. 8 რად არ მიდის ხსოვნა ბედკრული] რათ არ მიდის ჩემ ცრემლთა რული BC; C-ში «რული»-ს რ გადახაზულია და ზედ ლ აწერია («ლული»).

ლექსი თარიღდება A და C წყაროებით, სადაც ლექსის დაწერის წელია აღნიშნული; თარიღის დაზუსტება შესაძლებელი ხდება B ავტოგრაფული კრებულის მიხედვით, რომელშიც ლექსი თუმც დათარიღებული არ არის, მაგრამ მოთავსებულია კრებულის იმ ნაწილში, რომელიც - როგორც ეს პ. ინგოროყვამ გაარკვია - გადაწერილია 1859 წლის 6-13 აპრილს (იხ. ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. I, 1951, გვ. 413).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ლექსს პირობითად ასეთ დათარიღებას ვაძლევთ: [1859 წელს, 13 აპრილამდე].

ი. ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 და 1925-1951 წლების გამოცემებში ლექსს თარიღად უზის 1859 წ.

ნანა (გვ. 84)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : M: ავტოგრაფები - კრებ. № 17501, გვ. 26 (B) და გვ. 32 (C); U: ავტოგრაფი, კრებ. №108, გვ. 28 (D); K: ავტოგრაფი, № 1036, გვ. 1(E).

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ჩონგური, შედგენილი ვ. ლორთქიფანიძისაგან. პეტერბურდი, 1864, გვ. 12 (F); სალამური ანუ ლექსთა კრება, ქართველთა მეწერალთა, გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან ტფილისი, 1877, გვ. 3 (G); სალამური ანუ ლექსთა კრება, № 1, გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან ტფილისი, 1882, გვ. 1 (H); თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 73 (A); ჩანგი, შედგენილი ვ. აბაშიძისა, გამოცემა მე-2, ტფილისი, 1892, გვ. 363 (I); სიტყვიერების თეორია, შედგენილი არხიმანდრიტის კირიონისა და გრ. ყიფშიძის მიერ, ტფილისი, 1898, გვ. 571 (J); ჩანგი, შედგენილი ვ. აბაშიძისა, გამოცემა მე-4, ბათუმი, 1900, გვ. 299 (K); ჩანგური, შედგენილი სპ. ჭელიძისა, ბათუმი, 1904, გვ. 14 (L); ქნარი, შედგენილი სპ. ჭელიძისა ბათუმი, 1904, გვ. 14 (m); ლექსები ილია ჭავჭავაძისა, მად. «ცოდნის» გამოცემა, ტფილისი, 1904, გვ.13 (n); ჩვენი მწერლობა, I. მგოსნები, შედგენილ-გამოცემული ს. გორგაძის მიერ, თბილისი, 1907, გვ. 54 (O); ილია ჭავჭავაძის რჩეული ლექსები, წ.კ.გ. საზ-ის გამოცემა, № 81, ტფილისი, 1907, გვ. 12 (P)¹⁴.

ს ა თ ა უ რ ი : ნანა ქართველისა B; ნანა ქართველის აკვანზედ C; ქართველის ნანა ქართველის აკვანზედ D.

ს ა თ ა უ რ ი ს ქ ვ ე შ : უძღვნი ყოველ ნამდვილს ქართველის დედას B.

¹⁴ ამ ლექსის ნაბეჭდი წყაროების თაობაზე პ. ინგოროყვა წერს: «ლექსი ილიას სიცოცხლეში ორჯერ დაიბეჭდა: 1864 წელს, კრებულში «ჩონგური» და 1892 წელს, «ქართველთა ამხანაგობის» გამოცემაში»-ო (ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1951, გვ. 393).

თ ა რ ი დ ი : 1859 წ. AEGHP; 1859-სა წელსა, 6-სა აპრილს, ს. პეტერბურგი B; 13 აპრილს, 1859-სა წელსა ს. პეტერბურდი C; 1859-სა წელსა, 13-სა აპრილს, ს. პეტერბურდი D; 13 აპრილს, 1859 წ. F.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : *** EF; ი. ჭავჭავაძე GH; ი. ჭავჭავაძე (სარჩევი) IK ილია ჭავჭავაძე (სარჩევში) Lm.

ე პ ი გ რ ა ფ ი : «Спи ж, пока забот не знаешь, баюшки-баю.»

(Лермонтов)¹⁵ DEF.

B-ში ტექსტი გადახაზულია მუქი მელნით. C სუფთა ხელნაწერია. ძირითადად (A) ტექსტთან ყველაზე ახლოს დგას E ავტოგრაფი, რომელიც პოეტს გაუგზავნია პეტერბურგში კირ. ლორთქიფანიძისათვის «ჩონგურში» დასაბეჭდად.

BCD ავტოგრაფები საგრძნობ ვარიანტულ სხვაობას იძლევა A ტექსტთან. B პირველი ავტოგრაფია და ამავე დროს, პირველი ვარიანტიც ამ ლექსისა. ვბეჭდავთ მას ქვემოთ სრული სახით:

ნ ა ნ ა ქ ა რ თ ვ ლ ი ს ა

(უძღვნი ყოველ ნამდვილ ქარვლის დედას)

¹⁵ მ.ი. ლერმონტოვის (1814-1841 წწ.) ლექსიდან «Казачья колыбельная песня».

ნანა შვილო, ნანინა,
მიტხარ, რამ შაგაშინა?
რაზედ შეკრთი? მტირალნი
რათ მომაპყარ მე თვალნი?
 ნანა, შვილო ნანინა!
 მიტხარ, რამ შაგაშინა?
ჯერ ხომ შენი ბედი,
გრძნობა წინა მორბედი,
არ უხატავს შენ ნორჩს თვალს
ქართველთადმი ღვთიურს ვალს?
 ნანა, შვილო, ნანინა!
 მიტხარ რამ შაგაშინა?
ჯერ მინამ ხარ ყმაწვილი,
მინამ გაგიავდრდება,
ისწრაფე, შვილო, ძილი!
ისწრაფე განსვენება!
 ნანა, შვილო, ნანინა!
 მიტხარ, რამ შაგაშინა?
მოვა დრო, გაიზრდები,
მკლავი გაგიმაგრდება,
შვილო! ყრმობის სიზმრები
ბრძოლაზედ შეგეცვლება.

 ნანა, შვილო, ნანინა!
 ნუთუ მან შაგაშინა?!

გაიგებ მამულისას,
ცულ ქვეშ დაჩაგრულისას,
მძიმე კვნესის ხმას, მწარეს,
შველის ძახილს მწუხარეს;
 ნანა, შვილო, ნანინა!...
 ნუ[თუ] მან შაგაშინა?!

დალოცვილსა ჩემგანა
გული აგიტირდება,
შვილო! შენ დედის ნანა
ხლმის ჟღერათ შეგეცვლება.
 ნანა, შვილო, ნანინა!
 ნუთუ მან შაგაშინა?!

ნახამ ქართველთ მცრობას,
ძველს ერთობას დაკრავულს;
ქართველთ დანთქმულს გმრობას,
მათგან მამულ[ს] განწირულს.
 ნანა, შვილო, ნანინა!
 ნუთუ მან შაგაშინა?!

აღგენტება შენ გული,
დაეცემი მტერს მეხათ

ან, ვით შვილი ერთგული,
თავს მისცემ მამულს სხვერპლათ.
ნანა, შვილო, ნანინა!
ნუთუ მან შაგაშინა?!
სცანი, შვილო. ჩვენს მამულს
უძღვნი დედურ სიყვარულს,
და შენ, ჩემს საყვარელს ძეს,
სხვერპლათ მიგცემ ქართველის მტერს.
ნანა, შვილო, ნანინა,
ნუთუ მან შაგაშინა?
შენში უმზადებ მამულს
შვილსა ერთგულს, განწირულს;
ვფიცავ! პირველ ძახილზედ
გაგზავნი ბრძოლის ველზედ.
ნანა, შვილო, ნანინა!
ნუთუ მან შაგაშინა?!
ვაი, თუ დაგცენ ზარი...
მაშინ მეც ავტირდები...
მამულისთვის მომკვდარი
ჩემ ცრემლათ ეღირები...
ნანა, შვილო, ნანინა!
ძლივ ჩემ ხმამ ჩაგაძინა?

CD ავტოგრაფები B-სთან შედარებით უფრო ვრცელია, ამავე დროს, B -სგან განსხვავებით. აქ რეფერენი ორი სტროფის (ე.ი. 8 სტრიქონის) შემდეგ მოდის, «შაგაშინა»-ს ნაცვლად კი არის «შეგაშინა». D-ს რეფერენში სიტყვას «მითხარ» ხშირად ენაცვლება «მამ მრქვი», ხოლო «ნუთუ»-ს «ვიშ». C-შიც ორგან არის ბოლოში «მამ მრქვი».

B ვარიანტის 27-28 მძიმე კვენესის ხმას მწარეს, შვილის ძახილს მწუხარეს] კვენესის ხმასა მწუხარეს, შვილის ძახილს მდუმარეს CD; 32 გული აგითირდება] მკლავი აგითოლოდება CD. 49-ე სტრიქონიდან კი («სცანი, შვილო, ჩვენს მამულს»...), B-სგან განსხვავებით, CD-ში. ტექსტი ასე იკითხება:

... დედისა გული ჩვილი
მამულისთვის მაგრდება,
რათ მინდა იგი შვილი,
თუ მისთვის არ მოკვდება?
ვფიცავ! შვილო, ჩვენს მამულს
მივცემ დედურ სიყვარულს!
ვფიცავ! მამულს გაუზდის
ეს ძუმუ ერთგულსა შვილს!
ნანა, შვილო, ნანინა,
ნუთუ მან შეგაშინა?!

გაგზორდრი ჭემმარიტ ქართველათ,

ქართველის ერთგულ მებრძოლ ძმათ,
ქართველის პირველ ძახილზედ
გაგზავნი ბრძოლის ველზედ.
წახვალ, შვილო, შორს წახვალ...
შორს გამქრალი, საწყალი,
თუ შინ ვედარ მომიხვალ,
ვაი! შენ დედის ბრალი!
ნანა, შვილო, ნანინა,
ნუთუ მან შეგაშინა?!

სისხლის ცრემლს, შვილო, დავღვრი,
მთელი ცრემლათ დავდნები,
მამულისთვის მომკვდარი
იმ ცრემლათ ეღირები...
მამულს მიგცა ზეცამა,
მას სისხლათ გადესხმები,
ეგრეთ მომკვდარა მამა,
შვილიც ეგრე მოკვდები.
ნანა, შვილო, ნანინა,
მაშ მრქვი, რამ შეგაშინა

შემდეგ C-შია:

სიკვდილის წამში თვით ჰგრძნობ
საკურველს სიტკბოებას,
შვილო, ვნუგეშობ, რომ ჰსცნობ
ქვეყნათ ცის ნეტარებას.
მამულისთვის სიკვდილი
მოგცემს იმ ნეტარებას,
სისხლი, მასში ჩაღვრილი,
გაზდის თავისუფლებას.
ნანა, შვილო, ნანინა,
მაშ მარქვი, რამ შეგაშინა.
წახვალ, შვილო, ჩაქრები...

ამ სტროფის ნაცვლად D-შია:

სიკვდილის წამში მამულს
შვილო, შენ გაუღიმებ,
რომ სისხლს მისგან მოცემულს,
მასვე გმირებ უბრუნებ.
მამულისთვის სიკვდილი
სჯობს თვით ცის ნეტარებას...

შემდეგ კი CD-ში კვლავ

ერთნაირად იკითხება:

ნუ გინდა ნურა ძეგლი,
ისეც უკვდავ იქნები,
ვით დედის შენის ცრემლი.
ნანა, შვილო, ნანინა,
ძლივს ჩემ ხმამ ჩაგაძინა,
ძლივს დედის შენის სიტყვამ
შენ გული მოგიღბინა.
ნანა, მამულის სხვერპლო,
პაწაწინა ქართველო.

CD ავტოგრაფებს მოსდევს E ავტოგრაფი, რომელიც საფუძვლად უნდა დასდებოდა დაბეჭდილი ტექსტების ახალ რედაქციას. E ავტოგრაფი და გამოქვეყნებული ტექსტები უკვე ჩვენს ძირითად ტექსტს ემთხვევა. მათი შედარებისას გაირკვა, რომ ნაბეჭდში (F-ის გამოკლებით) ცენზურას ლექსიდან ამოუღია მესამე სტროფი («გაიგებ მამულისას...»)¹⁶ Lm-ში ამოღებულია მე-7 სტროფი («იცოდე, ეს სიკვდილი...»). გარდა ამისა, აღინიშნება მცირეოდენი ნაირწაკითხვები ძირითადად (A) ტექსტთან შედარებით.

84. 5 ჯერედ ხომ] ჯერ ხომა EFGH. 11 მინამ] სინამ J. 12 მოგესწრება] მოგესწრობა H.

85. 11 ჰნახავ] ნახამ EFH. 26 სჭირებია] ჰსჭირებია FG. 27 ვაგლახ] ვაგლახს F. 29 წავხდები] წარვხდები F. 30 ნანები] ნანინა F.

86. 2 ჩემს] ჩემ H. 8 დაზარებია] დაჰზარებია EFGH. 17 ნუგემ იცეს] ნუგეში გცეს GH. 19 ნუგემს ვიცემ] ნუგემ ვიცემ EF, ნუგეში ვცემ G, ნუგეში გცემ H. 21 სიკვდილის წამში მამულს] სიკვდილს წამში მამულსა CH. 25 აღსრულდები] აღსრულდება CH. 26 უმტყუნე] უმტყუნებ GH. 29 გაიხარებ] გაიზრდები E.

87. 3 იქნები] იქმნები EFGH.

ლექსს ვაძლევთ ორმაგ თარიღს, - პირველი ვარიანტისა (B) და მეორე ვარიანტისა (CD) შექმნის თარიღებს; ვიცავთ B და C ავტოგრაფების დათარიღების სტილს.

ი. ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემაში «ნანა» (ძირითადი ტექსტი) - რომელიც 1892 წლის გამოცემის მიხედვით დაიბეჭდა, - დათარიღებულია 1859 წლით (სარჩევში, გვ. II), ხოლო 1925 - 1951 წლების გამოცემებში - 1859 წლის 13 აპრილით. მითითებულ გამოცემებში, ვარიანტების განყოფილებაში, «ნანას» ვარიანტებიც არის დაბეჭდილი: 1914 წლის გამოცემაში - «ქართველის ნანა ქართველის აკვანზედ», რომელიც დათარიღებულია 1859 წლის 13 აპრილით (სარჩევში, გვ. V), ხოლო 1925-1951 წლების გამოცემებში - დასახელებული ვარიანტიც და, ასევე, ლექსის პირველი ვარიანტი - «ნანა ქართველის აკვანზედ», დათარიღებულია 1859 წლის 6 აპრილით.

¹⁶ მითითებული სტროფი აღდგენილია ი. ჭავჭავაძის თხზულებათა 1925-1951 წლების გამოცემებში E ავტოგრაფზე დაყრდნობით. ეს არჩევანი ჩვენც გამართლებულად მივიჩნით.

ელეგია (გვ. 88)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : M: ავტოგრაფი, კრებ. № 17501, გვ. 35 (B); U: ავტოგრაფი, კრებ. № 108, გვ. 33 (C).

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ჟურნ. «ცისკარი», 1859, № 11, გვ. 192 (D); ჩონგური, შედგენილი კ. ლორთქიფანიძის მიერ, ს. პეტერბურდი, 1864, გვ. 67 (E); სალამური ანუ ლექსთა კრება ქართველთა მწერალთა, გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან, ტფილისი, 1877, გვ. 8 (F); სალამური ანუ ლექსთა კრება № 1, გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან, ტფილისი 1882, გვ. 5 (G); თხზულებანი ილია ჭავჭავაძისასა, I, ტფილისი, 1892, გვ. 47 (A); ჩანგი, შედგენილი ვ. აბაშიძისა, გამოცემა მე-2, ტფილისი, 1892, გვ. 47 (A); ჩანგი, შედგენილი ვ. აბაშიძისა, გამოცემა მე-2, ტფილისი, 1892, გვ. 377 (H); სოინარი, შეკრებილი კ. ოცხანელის მიერ, ოზურგეთი, 1894, გვ. (I); სიტყვიერების თეორია, შედგენილი არხიმანდრიტის კირიონისა და გრ. ყიფშიძის მიერ, ტფილისი, 1898, გვ. 571; ჩანგი, შედგენილი ვ. აბაშიძისა, გამოცემა მე-4, ბათუმი, 1900, გვ. 311 (J); ჩანგური, შედგენილი სპ. ჭელიძისა, ბათუმი, 1904, გვ. 148 (K); ლექსები ილია ჭავჭავაძისა, მად. «ცოდნის» გამოცემა, ტფილისი, 1904, გვ. 36; ქართველი მწერლები, წიგნი I, ტფილისი, 1906, გვ. 137; ჩვენი მწერლობა, I, მგოსნები, შედგენილ-გამოცემული ს. გიორგაძის მიერ. თბილისი, 1907, გვ. 39 (L); ილია ჭავჭავაძის რჩეული ლექსები, წ. კ. გ. საზ-ის გამოცემა, № 80, გვ. 8; იგივე გამოცემა, № 81, გვ. 12, ტფილისი, 1907.

ს ა თ ა უ რ ი : - HJK.

თ ა რ ი ღ ი : 1859 AEL; 1859-სა წელსა, 4 ივნისს, პეტერბურდი (B);
1859-სა წელსა, 4-სა ივნისს, ს. პეტერბურდი C;

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თ. ილია ჭავჭავაძე D; ილ. ჭავჭავაძე (სარჩევში) E; ი. ჭავჭავაძე (სარჩევში) FGI.

1. მთვარისა] თვარისა I. 2 მშობელს... მოჰფენოდა] მშობელ... გადესხმოდა B, 4 დაინთქმებოდა] დაინთქებოდა C, ჩაინთქმებოდა I. 6 მშობელი შობილს] შობილს მშობელი BCGI. 7 ამოძახილი] გამოძეხილი BCEFIL. 8 ქართველის] ქართლისა GEI. 10 კვლავ ჩემი ქვეყნის ძილს] სამშობლოს ძილსა BC. 11 ოხ] ოჰ F. 12 გვეღირსოს] გვექნება BCDEFFG.

როგორც ვხედავთ, ლექსის ბოლო სტრიქონში ნაცვლად სიტყვისა «გვეღირსოს» ჯერ იყო სიტყვა «გვექნება». ამაზე გიორგი ბარათაშვილმა შენიშვნა მისცა პოეტს თავის კრიტიკულ წერილში «წერილი რედაქტორთან» (ჟურნ. «ცისკარი», 1861, № 6 გვ. 151), რომელშიც აღნიშნავდა: «ელეგიაში» უფ. ჭავჭავაძე ამბობს: «როსლა გვექნება ჩუენ გაღვიძება». უთუოდ ხუმრობით მოსვლია ესეთი ლექსი, თორემ განა თითონ უფ. ჭავჭ. არ იცის, რომ არ ითქმება «გვექნება გაღვიძება» და უნდა იყოს: «როს გვეღირსება ჩვენ გაღვიძება».

ჩანს ილიამ გაითვალისწინა ეს შენიშვნა და 1892 წლის გამოცემაში «გვექნება» შეცვალა სიტყვით «გვეღირსოს». ასევეა შემდგომ პუბლიკაციებში.

ლექსი დავათარიღეთ BC ავტოგრაფების მიხედვით, ვიცავთ C-ს დათარიღების სტილს.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემაში «ელეგია» დათარიღებულია 1859 წლის 4 აპრილით (სარჩევში, გვ II).

მტკვრის პირას (გვ. 89)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : M: ავტოგრაფი, კრებ. №17501, გვ. 65 (B); U: ავტოგრაფი, კრებ. № 108, გვ. 104 (C).

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ჟურნ. «საქართველოს მოამბე», 1863, №9, გვ. 29 (D); საჩუქარი ქართველ ყმაწვილებს, გამოცემული ზაქარია ჭიჭინაძისაგან, ტფილისი, 1878, გვ. 6 (E); დედა და შვილი და რამდენიმე ლექსით. ილია ჭავჭავაძისა, ზ. ჭიჭინაძის გამ., ტფილისი, 1882, გვ 24 (F); თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 100 (A); სიტყვიერების თეორია, შედგენილი არხმიანდრიტის კირონისა და გრ. ყიფშიძისა, ტფილისი, 1898, გვ. 577 (G).

ს ა თ ა უ რ ი : მტკვრის პირზედ BC.

ს ა თ ა უ რ ი ს ქ ვ ე შ : მოძღვნა არ აქვს BCEG.

თ ა რ ი დ ი : 1860 A; 1863 EF; ტფილისი, ოქტომბრის 3-სა B; ტფილისი, 1860 C.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ***D; თ.ი. ჭავჭავაძე E.

ე პ ი გ რ ა ფ ი :

«დავანატრი დროთა, როს აქვნდათ ტრფობა
მამულისადმი გულს აღბეჭდილად».

თ. გრ. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი B.

B-ში თარიღის თავზე მიწერილია «სექტემბრისთვის», გადახაზულია. C-ში თარიღი («1860») გვიანდელი მიწერილია, უცნობი ხელით, ფანქრით¹⁷.

1 მტკვარი მორბის ~ BC. 2 ამ] და BC; ამ ქუხილში ვცნობ] კვლავ უჩმენ ჭმუნვით B; ვცნობ] ვჰსცნობ E. 4 შეჰკვვენეს] შეჰყებს B, შეჰყეფს C. შეჰკვენეს G; ზვირთთ] ზვირთ C. 6 აღმეშალა] აღმეშალნენ C. 7 შეეკვენეს] შეეჰკვენეს C. 8 შთანთქეს] დანთქეს BCG. B-ში მე-8 სტრიქონის ბოლოს თავდაპირველად ეწერა «წარსულნი», რომელიც ავტორისავე მიერ გადასწორებულია სიტყვად «წარსული». 10 მტვრად] მტვრით BC. 11 აჯა] გვედრებ B; თხრობა C.

ი. ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემაში, სარჩევში (გვ. II), «მტკვრის პირას» 1860 წლით არის დათარიღებული, - თვის და რიცხვის მითითების გარეშე («1860 წ. ტფილის»), 1925-1951 წწ. გამოცემებში კი ლექსი დათარიღებულია 1859 წლის 3 ოქტომბრით.

ასეთი დათარიღების მართებულობა 1925 წ. გამოცემაში (გვ. 410) დასაბუთებულია იმით, რომ ლექსი მოთავსებულია C ავტოგრაფის იმ ნაწილში, რომელიც შეიცავს ილიას პოეტურ ნაწარმოებებს, ჩაწერილს 1859-1860 წლებში¹⁸,

¹⁷ არსებობს მოსაზრება, რომ ეს გვიანდელი მინაწერი თვით ილიას ეკუთვნის. - იხ. ილია ჭავჭავაძის ავტოგრაფები. აღწერილობა (შეადგინა და დასაბეჭდად მოამზადა შ. გოზალიშვილმა), თბ., 1951, გვ. 49.

¹⁸ ავტოგრაფის ქრონოლოგიური საზღვრების შესახებ იხ. ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, 1951, პ. ინგოროყვას სარედაქციო შენიშვნები, გვ. 408-409; ავტოგრაფის აღწერილობა იხ. წიგნში: ილია ჭავჭავაძის ავტოგრაფები. აღწერილობა (შეადგინა და დასაბეჭდად მოამზადა შ. გოზალიშვილმა), თბ., 1951, გვ. 38-62.

ხოლო რამდენადაც B ავტოგრაფში ილიას მიერ ლექსს მიწერილი აქვს - «ტფილისი, ოკტომბრის 3-სა», ჩანს, «მტკვრის პირას» 1859 წელსაა დაწერილი, რადგან 1859 წელი ერთადერთია ილიას სტუდენტობის პერიოდიდან, როცა ზაფხული და შემოდგომის ნაწილი პოეტმა საქართველოში გაატარა¹⁹.

დამოწმებული არგუმენტები დამაჯერებლად მიგვაჩნია და ვთვლით, რომ «მტკვრის პირას» მართლაც 1859 წელს უნდა იყოს დაწერილი.

ლექსს ვათარილებთ B ავტოგრაფისეული სტილის დაცვით: ტფილისი, ოკტომბრის 3-სა [1859 წ.].

ლ. მაღალაშვილი: ლუარსაბ (შაქრო) მაღალაშვილი, ილიას მეგობარი, რომელიც პოეტთან ერთად სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში. ითვლებოდა «თერგდალეულთა» ჯგუფის წევრად. შემდგომში - აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურობის მარშალი.

*** «ოჰ, სად არიან...» (გვ. 90)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : M: ავტოგრაფი, კრებ. № 17501, გვ. 36 (B); U: ავტოგრაფი, კრებ. № 108, გვ. 104 (C).

ნ ა ბ ე ჭ დ ი : «კრებული», 1871, წიგნი მე-2, გვ. 146 (D); თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 94 (A).

ს ა თ ა უ რ ი : ჩემი სიჭაბუკე B.

თ ა რ ი ღ ი : 1860 A; 30 ნოემბერს, 1859-სა წელს B; - C.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : *** D.

1 ოჰ] ახ CD; ოჰ, სად არიან, სიჭაბუკევე] ახ! სიჭაბუკევე! სად არიან B. 3 განძრცვნილვარ] განცრცვნილვარ C; განცრცვილვარ D; უდროოდა] უდროოთა C. 4 ვდგევარ] ვსდგევარ BCD; უფოთლოდ] უფოთლოთ C. 8 სასოება] სათნოება B. 10 ცივად] ცივათ C.

მე-3 სტროფი B-ში ასე იკითხება.

ჭკვამ მოჰკვეთა ფრთა ჩემის გულის ფრენას, ლაღობას,
ცივათ დაარქვა «ფუჭი ალი» ღვთიურსა ტრფობას.
მან დამინგრია ტკბილ გრძნობათა წმინდა ტაძარი,
ვაი მას, ვინცა ჭაბუკ ჟამში ჭაბუკ არ არის!..

¹⁹ ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე , ნაწერების სრული კრებული, ტ. I, ტფ., 1925, გვ. 391, 410.

ი. ჭავჭავაძის თხზულებათა 1951 წლის გამოცემაში (გვ. 431) აღნიშნული ლექსის 1859 წლით დათარიღების წყაროდ მითითებულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული - ჩანს, სხვადასხვა პირთა მიერ გადაწერილი - ნუსხა (№ 3723 - S), რომელშიც, ქართველ მწერალთა რიგ ნაწარმოებებთან ერთად, ილიას რვა ლექსიც არის შეტანილი და მათ შორის «მტკვრის პირას», 1859 წლის თარიღით («1859-სა წელსა, ტფილისი»). ამ გამოცემაში B ავტოგრაფი არ არის დამოწმებული და შეცდომითაა აღნიშნული, თითქოს C ავტოგრაფში, ლექსის დაწერის ადგილთან ერთად, თვეც და რიცხვიც იყოს მითითებული. ფაქტიურად, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, C ავტოგრაფში ლექსის მხოლოდ დაწერის ადგილი და წელია აღნიშნული (წელი - «1860» - გვიანდელი მინაწერი), ხოლო თვე და რიცხვი (ადგილთან ერთად) - B ავტოგრაფშია.

სადაც პირველ სტრიქონში ჯერ ეწერა: «ჭკვათ ურწმუნებას ეძებს ყველგან დასამტკიცარსა», გადახაზულია.

ტექსტში გასწორდა ერთი ფორმა: ფრთენნი - ფრთენი.

ლექსი დავათარილეთ B ავტოგრაფის მიხედვით.

ი. ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემაში ლექსი დათარიღებულია 1860 წლით (სარჩევში, გვ. III), - დაწერის თვის და რიცხვის აღნიშვნის გარეშე.

დაკარგული ედემი (გვ. 91)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : M: ავტოგრაფი, კრებ. № 17501, გვ. 36.

თ ა რ ი დ ი : 26 დეკემბერს, 1859 წელსა.

1925 წლიდან ყველა გამოცემაში ილიასეული ფორმები: უნახამს, დაუკარგამს, შეცვლილია ფორმებით: უნახავს, დაუკარგავს. ჩვენმა სარედექციო კოლეგიამაც გაიზიარა ეს შესწორებანი.

«დაკარგული ედემი» პირველად გამოქვეყნდა გაზეთ «თემში», 1913, № 147, გვ. 2. 1914 წლის გამოცემაში კი აღნიშნულია - ლექსი პირველად იბეჭდებო (შენიშვნა, გვ. VII).

ძმის სიკვდილზედ (გვ. 92)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : M: ავტოგრაფები - კრებ. № 17501, გვ. 85 (B), გვ. 86 (C); U: ავტოგრაფი, კრებ. № 108, გვ. 103 (A).

ს ა თ ა უ რ ი : - BC.

B შავია, შავი მელნით ნაწერი. ასეთივე მელნით არის ნაწერი C ავტოგრაფიც. B-ში ჩანს ავტორის მუშაობა ტექსტზე, განსაკუთრებით ლექსის დასაწყისზე, რომელიც რამდენჯერმეა გადახაზული:

«ძვირფასო ძმაო, შენ დაგკარგე».

«ძვირფასო ძმაო» ბნელ სიკვდილმა მოგისპო დღენი».

«და მეც უბედურს, ამომგლიჯა».

«მე დავრჩი მარტო! უბედური, მარად მახვრალი».

«ძვირფასო ძმაო! ბნელ სიკვდილმა მოგსპო, ვაიმე,

და მე უბედურს დღეთ დღე არ მაქვს და ღამეთ ღამე,

მე დავრჩი მარტო უბედური, მარად მახვრალი

და შენ დაგეძებ»...

3 ვაეზის] მწყვდიადი B, წყეული C. 4 მთელი ქვეყანა] და თვით ქვეყანაც B.

B- ში მე-2 სტროფი, განსხვავებით A-საგან («შენთან დავმარხე»...), ასე იკითხება:

აღარა მაქვს რა, გამიცუდდა მე ყველაფერი,

მარტო ნუგეშად [.....] მაქვს ცრემლი მწარე,

და შენი, ძმაო, საყვარელო, უბიწო მტვერი,

და შენი, ძმაო, საყვარელო, წმინდა სამარე.

პირველ და მეორე სტროფებს შორის C-ში გადახაზულია:

შენ დამკარგავმა, მე დავკარგე ყოველიფერი.
ნუგეშათ ხოლოთ თვალში დამრჩა [მე] ცრემლი მწარე,
ქვეყანაზედა შენი, ვაი, უბიწო მტვერი,
და შენი, ძმაო, საყვარელო, წმინდა სამარე.

5 თემურ] ძმაო C. 6 ქვეყნად ნუგეშად დამშთა მხოლოდ] ნუგეშად ხოლოთ შევირჩინე C. 7 სალოცავადა, ძმაო, შენი ობოლი მტვერი] და სალოცავად, საყვარელო ძმავე, შენი მტვერი C.

A-ში 2 «შენად», თავდაპირველად იყო «მარად»; 3 «ვაების», ჯერ იყო «წყეული»; 7 ჯერ იყო «და სალოცავად ხოლოთ შენი უბიწო მტვერი».

ტექსტში გასწორდა ერთი ფორმა: 6 ხოლოთ - მხოლოდ.

ლექსი დაწერილია ილიას უმცროსი ძმის, თემურის გარდაცვალების გამო. თემური სწავლობდა პეტერბურგში, კადეტთა კორპუსში. იგი გარდაიცვალა სრულიად ახალგაზრდა. ილიამ მთელი გულით დაიტირა თავისი უსაყვარლესი ძმა: «ვაიმე, ჩემო პატარა ძმაო, ჩემო კარგო და ჭკვიანო თემურა, რაზედ დამაობლე და დამაგდე?! შენ წახვედი, მოგვმორდი და შენ მაგიერ დაგვიგდე ნუგეშათ ცრემლი და წუხილი», - მოთქვამს პოეტი მამიდისადმი მიწერილ 14 მაისით დათარიღებულ წერილში (იხ. ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. X, 1961, გვ. 19). სიკვდილის დღეებში (თემური გარდაიცვალა 1860 წლის აპრილში - რიცხვი არ არის ცნობილი). ამიტომ ლექსიც პირობითად ასე დავათარიღეთ: [1860 წ., აპრილ-მაისი].

«ძმის სიკვდილზედ» პირველად დაიბეჭდა 1914 წელს, ილია ჭავჭავაძის თხზულებათა მიხ. გედევანიშვილისეულ გამოცემაში (გვ. 44), - 1859 წლის თარიღით (იხ. სარჩევი, გვ. II), ლექსის დაწერის თვის და რიცხვის აღნიშვნის გარეშე.

1925-1951 წლების გამოცემებში ლექსს თარიღად უზის მხოლოდ წელი: «[1860 წ.]», თუმც სარედაქციო შენიშვნებში ნათქვამია, რომ «ყველა ნიშნით ეს ლექსი დაწერილია 1860 წელს, 14 მაისს ახლო, რა რიცხვითაც დათარიღებულია ილიას წერილი მამიდასთან თემურის სიკვდილის გამო: როგორც ლექსი, ისე ეს წერილი ერთი შთაბეჭდილებით არის ნაწერი, არის შეხვედრა ფრაზებში. აღსანიშნავია, რომ თვით ქალაქი, რომელზედაც დაწერილია ილიას ეს წერილი 14 მაისისა, იგივეა რაც. «ავტოგრაფში» (მითითებულია ავტოგრაფი C). - იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, 1951, გვ. 436.

მძინარე ქალი (გვ. 93)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : U: ავტოგრაფი, კრებ. № 108, გვ. 105 (B).

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ჟურნ. «საქართველოს მოამბე», 1863, № 4. გვ. 79 (C);

თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 138 (A);

ჩანგი შედგენილი ვ. აბაშიძისა, გამოცემა მე-2, ტფილისი, 1892, გვ. 381 (D); სალხინო სახანდარი ანუ უქმ-დროების შემაქცევარი სიმღერების კრება ძველთა და ახალთ მწერალთა, შედგენილი და შეთხზული გ.ი. სკანდარნოვისაგან, გამოცემა მე-4, ტფილისი, 1895, გვ. 160 (E).

თ ა რ ი ღ ი : 1859 A, 19 ივნისი 286 B.

B - ში ტექსტი მელინითაა ნაწერი, ფერგადასულია.

3 დავტრიალებ] დავსტრფიალებ BC, დავსტრფილებ DE. 4 შენს] შენ B.

ლექსს ვათარღებთ ავტოგრაფის მიხედვით.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემაში ლექსი დათარიღებულია 1860 წლის 10 ივნისით (სარჩევში, გვ. II).

მწუხარება (გვ. 94)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : M: ავტოგრაფი - კრებ. № 17501, გვ. 46 (B), გვ. 47 (C), გვ. 50 (D), გვ. 51 (E); U; კრებ. № 108, გვ. 106 (F).

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ჟურნ. «ცისკარი», 1860, № 9, გვ. 75 (G); თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 91 (A); ილია ჭავჭავაძის რჩეული ლექსები, წ. კ.გ. საზ-ის გამოცემა, № 80, გვ. 12; იგივე გამოცემა, № 81, გვ. 19, ტფილისი, 1907.

თ ა რ ი ღ ი : 1860 A; 1860, 11 ივლისსა B; 11 ივნისი, 1860 წ., პავლოვსკი F; 1860 წელსა, 19 ივნისსა, ს. პიტერი G.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თ. ილია ჭავჭავაძე G.

როგორც ზემოთ არის აღნიშნული, ავტოგრაფ-კრებულში № 17501 ამ ლექსის ოთხი ვარიანტია (BCDE). პირველი სამი ვარიანტი (BCD) საგრძნობლად განსხვავდება ძირითადი (A) ტექსტისაგან, ბოლო (E) ვარიანტი კი უფრო უახლოვდება მომდევნო F ავტოგრაფს და ძირითად (A) ტექსტს.

ნაბეჭდ წყაროებს შორის ტექსტობრივი სხვაობა თითქმის არ არის.

პირველი სტროფი («ქვეყანაზედ და ზეცაზედა...») ყველა ავტოგრაფულ ვარიანტში ასეთ ნაირწაკითხვას იძლევა: 3 მკლავდა] მწვავდა B; წყლულთა] ძნელი BCD, ისართ EFG. 4 შიგ] და BCD; სასიკვდილო] სასიკვდინო BCDEFG.

B-ში ეს ლექსი ორ სტრიოფადაა წარმოდგენილი: ჩვენი ტექტის II და III სტროფების ნაცვლად «სული მიგუბდა»... «ესე უწყალოდ»... B-ში ერთი სტროფია:

ტირილი მსურდა და გამიშრა ცრემლიცა ტკბილი.
ლოცვა მინდოდა, დამეკარგა სიტყვაც ლოცვისა,
ქვეყანაზედ და ზეცაზედ კი იყო დუმილი,
მოლხენით იყვნენ უდარდელნი მთიები ცისა.

CD-ში ლექსი სამსტროფიანია.

ს-ში II და III სტროფი ასე იკითხება:

სული მიგუბდა და ვიწოდი უთქმელ ტანჯვითა,
თითქო ჩემს გულსა ეცა ას ისარი ერთათ,
[... ძარღვნი] უსახელო, უღმთო დაგვითა,
[მთელი სიმწარე ჯოჯოხეთის იმ წუთში შავსვი].
იმ ტანჯვის ზღვაში უღმთოთ ვიყავ მე ჩაღუპული,
ლოცვა მინდოდა, დამეკარგა სიტყვა ლოცვისა;
ქვეყანაზედ და ზეცაზედ იყო დუმილი,
მოლხენით იყვნენ უდარდელნი მთიებნი ცისა.

D-ში:

სული მიგუბდა და ვიწოდი უთქმელ ტანჯვითა,
თითქო ჩემს გულსა ერთათ ეცა ასი ისარი,
ძარღვნის სქდებოდნენ უსახელო, უღმთო დაგვითა,
არა, მის მგზავსი ჯოჯოხეთშიც ტანჯვა [არ] არი.

ისე ღრმათ ვიყავ იმ ტანჯვაში მე ჩალუპილი,
რომე გამიწყდა სიტყვა და ხმა წმინდა ლოცვისა.
ქვეყანაზედ და ზეცაზე კი იყო დუმილი,
მოლხენით იყვნენ უდარდელნი მთიებნი ცისა:
განა, ოხ, ღმერთო! ისე ვიყავ შენ წინ ცოდვილი,
რომ არც კი მომე მაშინ სიტყვა წმინდა ლოცვისა.

D-ს მე-5 - 6 სტრიქონები გადახაზულია:

EF ავტოგრაფების II-III სტროფები ძირითადი ტექსტისაგან ასეთ სხვაობას იძლევა: 5 გული მტეხდა ტკივილით, ტანჯვით] და ვიწოდი უთქმელ ტანჯვითა EF. 6 ჩემ გვამსა ზედ გადესხა] ჩემს გულსა გარდაესხა EF; E-ში «გარდაესხა ნავთი მდულარე»-ს ნაცვლად ჯერ ეწერა «ერთათ ეცა ისარი ასი», გადახაზულია. 7 სკდებოდნენ საშინელის წვითა და დაგვით] სქდებოდნენ უსახელო, უღვთო დაგვითა EF. მე-7 სტრიქონის ნაცვლად E-ში ჯერ ეწერა: «ღმერთო, ნურვის ნულარ შეიქმნ ჩემებრ მწუხარე», გადახაზულია. 9 უწყალოდ... და...] უღვთოთა... მე E; უწყალოდ გაწირული] უღვთოთა გაწირული F. 10 უცხო ცის ქვეშ] უნუგეშოდ E, მკვდრისა მზგავსი F.

ძირითად ტექსტში, მე-2 და მე-12 სტრიქონებში, C და D ავტოგრაფზე დაყრდნობით «მთიები» შეიცვალა მართებული ფორმით - «მთიებნი».

როგორც ვარიანტებიდან ჩანს, ლექსის პირველი სტროფის მე-3 სტრიქონში ნაცვლად სიტყვისა «წყლულთა» («წყლულთა ტკივილი») პირვანდელ ავტოგრაფებში (BCD) ჯერ ეწერა «ძნელი» («ძნელი ტკივილი»), შემდეგ ეს სიტყვა ავტორს EF ავტოგრაფებში შეუცვლია სიტყვით «ისართ» («ისართ ტკივილი») და ჟურნ. «ცისკარშიც» ასე დაიბეჭდა. ამის გამო გ. ბარათაშვილი სტატიაში «წერილი რედაქტორთან» შენიშნავს: «მწუხარებაში» ამბობს: «და მე კი მკლავდა მწუხარების ისართ ტკივილი», უფ. ჭავჭავ. ვერა ყოფილა კარგათ შეწუხებული, თორემ «ისართ ტკივილს» ყურს არ ათხოვებდა და არც მესმის რა სნეულება ეჭირვებოდათ ისართ?» (იხ. ჟურნ. «ცისკარი», 1861, № 6, გვ. 151). ილიამ გაიზიარა ეს შენიშვნა და 1892 წლის გამოცემაში სიტყვა «ისართ» შეცვალა სიტყვით «წყლულთა», რომელიც შემდეგ საბოლოოდ დამკვიდრდა ამ ლექსში.

ლექსს ვათარილებთ B ავტოგრაფის მიხედვით. დაწერის ადგილს ვუთითებთ F ავტოგრაფიდან.

ლექსი დაწერილია პოეტის უმცროსი ძმის, თემურის სიკვდილით გამოწვეული მწუხარების გამო (თემური გარადიცვალა 1860 წლის აპრილში, იხ. შენიშვნა, გვ. 367).

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემაში «მწუხარების» ძირითადი ტექსტი (A) დათარილებულია 1860 წლის 11 ივნისით (სარჩევში, გვ. II), ხოლო ვარიანტების განყოფილებაში დაბეჭდილი უფრო ადრეული სამსტროფიანი ვარიანტი ლექსისა (D ავტოგრაფის მიხედვით) – 1860 წლის 11 ივლისით (სარჩევში, გვ. V).

1925-1951 წლების გამოცემებში «მწუხარების» ძირითად ტექსტს, ისევე როგორც ვარიანტების განყოფილებაში დაბეჭდილ ორსტროფიან ვარიანს (B), მიწერილი აქვს - «11 ივლისი, 1860 წ. პავლოვსკი», ხოლო სარედაქციო შენიშვნებში ნათქვამია: «წყაროებში თარიღისა და დაწერის ადგილის შესახებ მცირე სხვაობაა: ...ავტოგრაფში (მითითებულია ჩვენი ლიტერით B ავტოგრაფი - რ.კ.): 1860 წ. 11 ივლისი პავლოვსკი; ...ავტოგრაფში (ჩვენი ლიტერით F - რ.კ.): 1860 წ. 11 ივნისი («პავლოვსკი» მერეა მიწერილი). ხოლო პირველნაბეჭდში («ცისკარი», 1860, № 9) ნაჩვენებია: 1860 წ. 19 ივნისი, პეტერბურგი. - ჩვენ უპირატესობას ვაძლევთ ...ავტოგრაფს [B], რომელიც წარმოადგენს ამ ლექსის პირველნაწერს შავს (... ავტოგრაფში [F] მერეა გადაწერილი). კერძოდ «ცისკრის» ცნობა, თითქოს ეს ლექსი პეტერბურგშია დაწერილი, კორექტურის ან გადაწერის შეცდომაა: ილია 1860 წელს ივლისის ამ რიცხვებში პავლოვსკში მიყოფებოდა» (იხ. ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე , თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, 1951, გვ. 432). ჩვენ ვიზიარებთ ზემოაღნიშნულ მოსაზრებებს და ლექსს B ავტოგრაფის მიხედვით ვათარილებთ (ოღონდ ვინაიდან B ავტოგრაფში, ზემოაღნიშნულ მოსაზრებათა საწინააღმდეგოდ, ლექსის შექმნის ადგილი - პავლოვსკი - არ არის მითითებული, ამ დასახელებას კვადრატულ ფრჩხილებში ვსვამს).

მუშა (გვ. 95)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : M: ავტოგრაფი, კრებ. № 17501, გვ. 57 (B); U: ავტოგრაფი, კრებ. № 108, გვ. 106 (C).

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ჟურნ. «საქართველოს მოამბე», 1863, № 1, გვ. 4 (D); ჩონგური, შედგენილი კ. ლორთქიფანიძისაგან, ს. პეტერბურგი, 1864 გვ. 96 (E); დედა და შვილი და რამდენიმე ლექსი თ. ილია ჭავჭავაძისა, ზ. ჭიჭინაძის გამ., ტფილისი, 1882 გვ. 26 [F]; თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, გამ., ტფილისი 1892 გვ. 81 (A); ლექსი ილია ჭავჭავაძისა მალ. «ცოდნის» გამოცემა, ტფილისი, 1904, გვ. 41 (G); ილია ჭავჭავაძის ლექსები რჩეული ლექსები, წ. კ.გ. საზ-ის გამოცემა, № 80, ტფილისი, 1907, გვ. 10 და იგივე გამოცემა № 81, გვ. 17; ჩვენი მწერლობა, I. მგოსნები, შედგენილ-გამოცემული ს. გორგაძის მიერ, თბილისი, 1907, გვ. 51 (H).

თ ა რ ი დ ი : 1860 წ. AH; - B; ივლისი, 12-სა დღესა, 1860, პავლოვსკი C; ივლისის 12 დღესა, 1860 წ. D; 12 ივლისს, 1860 EF.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : *** DE.

ე პ ი გ რ ა ფ ი : - B; C-ში ეპიგრაფად ჯერ იყო:

ვინ გამოსცადეთ, ძმებო, ტანჯვა იმა გრძნობისა,
როს სჭვრეტ, რომ ფუჭათ ხდება კერძო ღვთაებობისა.

ეს სიტყვები გადახაზულია და სხვა მელნით არის მიწერილი ის ეპიგრაფი, რომელიც ჩვენს ძირითად ტექსტს ერთვის.

B ავტოგრაფი პირველი ვარიანტია ამ ლექსისა. იგი დაწერილია ყავისფერი მქრქალი მელნით. ტექსტი ნასწორებია და განსხვავდება ყველა დანარჩენი წყაროსაგან. აღსანიშნავია, რომ ჩვენი (A) ტექსტის I თავი B-ში II თავად მიდის, II თავი კი I თავად.

B ტექსტი:

I

მძიმე ტვირთ ქვეშ მოკაკულხარ, საბრალო, შენა!
ოფლი წურწურით პატიოსან შუბლით იღვრება,
შეგუბებულის სულის ისმის დადლილი ქშენა,
მიხვალ, საწყალო, ტომარის ქვეშ მუხლთ გეკეცება.
ვინ შეგიბრალეbs? აგერ, მოქრის დიდკაცის დროშკა,
შენ პირდაპირა იგი მორბის დაუდევენელად,
აგერ, წამოგწვდა, დაგეჯახა და, როგორც კოკა,
შენ - კერძო ღვთისა - არ დაგრიდა დასამსხვრეველად.
შენ გარდიქეცი ტომართურთ და გამვლელ ხალხმა
შენ მაგ ყოფაზედ მოჰყვა უგრძნოთ მაღალა ხარხარი...
რასც მაშინ გრძნობდი, ყოველთვი სთქვა შენ მწუხარ თვალმა,
შენს დუმილშია იყო ღვთისა რისხვისა ზარი.
იმავ დუმილით მიხველ, წევა დაუწყე ტვირთსა,
ძარღვნი აგევსნენ სისხლით, თითქო აწ დასქდებიან,
სწევ, ვერ ეწევი, გეკარგება შენ საზდო დღისა.
ხალხი დაგყურეbs და არავინ არა გშველიან.

II

გოლვიან დღესა ტფილისშია შუა ბაზრისკენ
მე ჩამივლია, ჩემო მუშავ, მინახივხარ შენ
შენ ძმათა შორის, მხურვალე მზე შენ დაგყურებდა,
ღიღინი თქვენი ჩუმი ხშირად განმაცვიფრებდა.
ნადვლიან ხმებში სულ ისმოდა თქვენი ცხოვრება,
იმედთ მუხთლობა, ტანჯვა, შრომა და მწუხარება.
ვინა ხართ თქვენ? ჩემო ძმებო! სიდამ მოსულხართ?
ბატონის ტანჯვას ვერ უძელით, გამოქცეულხართ.
განშორებულხართ თქვენ სახლ-კარსა, ჯალაბობასა,
მინდორსა, ტყესა და შეჩვეულ თქვენ მიწა-წყალსა,
თუ უნებლიეთ გადმოგტყორცნათ მუხთალმა ბედმა,
ან მოგიტაცათ სხვა კაცზედა მარტივ იმედმა.
რად არ იცოდით, რომ კაცნი [...] ვგავართ
და რა იპოვეთ მის მაგიერ, რაც დაგიკარგავთ?

III

აჰა, მიხვედი, მიუტანე ნივთი პატრონსა,

რუსულ ფარაჯის წვერით შუბლზედ იწურავ ოფლსა,
განივრათ იძვრის დიდი მკერდი სიგრილეშია.
იცდი და გროში მოგაწოდეს გაწვდილ ხელშია.
შენ ეხვეწები, შრომის ფასს თხოვ, ის შენ გაგინებს,
ქახალდში არ შურს ფულის ფანტვა და შენ კი გიკლებს,
სხვაგან ფულს აპნევს, ვით მტვერს, შენ კი ის გევაჭრება,
შენ, რომელსაცა ერთის გროშით დღე გემატება.
ეგრეთ დასჯილი უსამართლოთ წყევლით წამოხვალ.
და თუ დაღამდა, თავთ დაიდებ ერთგულ კურტანსა
და სადმე ქვებზედ მიეგდები იმ ფიქრით, რომ ხვალ
ისევ ამრიგათ განაგრძელებ უღვთო შრომასა.

IV

შენ სიცოცხლესა დაადამებ ესრეთს შრომაში,
გროშ[ს] ვერ იშოვი სიბერისთვის მოსახმარესა,
მერე ვინ იცის, რომელ ქოხში, რომელ სარდაბში
დაუწყებ ბრძოლას სასიკვდინოთ მოსულსა სენსა.
მარტო ეგდები, ქვეშ ლეიბათ გექმნება ნამჯა, თუ მინამ გასძლო,
სახურავათ ძველი ფარაჯა.
მარტო იცოცხლებ და მარტოცა, ძმაო, მოკვდები!
ჯალაბი შენი ვერ დაგასხამს თვის მდულარ ცრემლსა!
არ დაგტირებენ პატარები შენი შვილები,
ამათ მათკენ სიკვდილის ჟამს გაიწვდი ხელსა,
მოკვდები და მსწრაფლ ჩაგაგდებენ შენ საკაცეში,
წაგიღებენ და ჩაგიშვებენ ბნელ სამარეში.
ეგრედ საბრალოთ მიეცემი უცხო მიწასა,
არაფერი არ მოგვითხრობს შენ «აქ» ყოფნასა.

დანარჩენი წყაროები მისდევს A ტექსტს და მასთან შედარებით ასეთ ვარიანტულ სხვაობას იძლევა:

95. 3 მხურვალე... ზედ] მხურვალი... შენ C. 4 ჩუმი ღიღინი შენი] ღიღინი შენი ჩუმი C. 6 ლუკმისთვის] საზდოსთვის C. 7 სიდამ] სიდან F. 8 გაუძელ] უძელი C. 9 მოშორებულხარ... შენსა სახლ-კარსა] განშორებულხარ... შენ სახლსა, კარსა C. 12 მაცდურ] მარტივ CDEF. 13 აქ სად მოსულობარ] სად მოსულობარ აქ C. 14 ტფილისშია] თბილისშია F.

96. 1 ქვეშ] ქვეშა CDEF. 4 საწყალო] საბრალოვ C. 6 მორბის] მოდის G. 10 მაგ შენ ყოფაზედ იწყო] შან მაგ ყოფაზედ მოჰყვა C. 11 მწუხარმა] შენ მწუხარ CDE. 14 სკდებიან] სქდებიან DE. 15 საზრდო] საზდო DE. 17 მიხვედი] მოხველი H. 18 შუბლზე] შუბლზედ CDE. 20 საწყალო! - შენი ლუკმა იმის ხელშია] და გროში მოგაწოდეს გაწვდილ ხელშია C. 22-28 ხშირად ფასს... დღე გემატება].

შენ ეხვეწები, შრომის ფასს სთხოვ, ის შენ გაგინებს,
სხვაგან ფულს აპნევს ბედოვლათად, შენ გევაჭრება,
ქახალდში არ შურს ფულის ფანტვა და შენ კი გიკლებს,

შენ, რომელსაცა ერთის გროშით დღე გემატება C.

27 და შენ კი გიკლებს] და შენ დაგიკლებს D.

97. 1 C-ში ნაცვლად სიტყვისა «ბევრჯერ», ჯერ ეწერა «წყევლით», გადახაზულია. 6 იცხოვრებ] იცოცხლებ CE. 8 სასიკვდილოდ] სასიკვდინოთ C. 13 ვერ] არ CF; საბრალონი] პატარები CDE. 15 ჩაგჭედავენ] ჩაგჭედამენ CDE. 16 უცრემლოდ, ძმაო] დაუტირებლად G.

ლექსს ვათარილებთ C ავტოგრაფის მიხედვით.

ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში საყოველთაოდ გავრცელებული შეხუდულების მიხედვით, «მუშის» ეპიგრაფად გამოყენებული სტრიქონები გამოჩენილ რუს პოეტს ნ.ა. ნეკრასოვს ეკუთვნის (1821-1878 წწ). მაგრამ ზუსტი წყარო არ არის დადგენილი.

თ. ალექსანდრე ჭავჭავაძე (გვ. 98)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : U: ავტოგრაფები - კრებ. № 108, გვ 116 (B) და გვ. 171 (C), № 109 (D).

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ჟურნ. «ცისკარი», 1861, № 4 გვ. 517 (E), თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 85. (A), სიტყვების თეორია, შედგენილი არხიმანდრიტის კირიონისა და გრ. ყიფშიძის მიერ, ტფილისი, 1898, გვ. 575.

ს ა თ ა უ რ ი : ალექსანდრე ჭავჭავაძე BCD.

თ ა რ ი დ ი : 1860 A; 16 ივლისს, 1860 წ., პავლოვსკი B; 15 ივლისს, 1860 წ., პავლოვსკი E; - CD.

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : *** D ილია ჭავჭავაძე E.

პირველი ნაბეჭდი (E) მისდევს B ავტოგრაფს, რომელიც ლექსის პირველ ვარიანტს წარმოადგენს. იგი ოთხი სტროფისაგან შედგება. 1892 წლის გამოცემას (A) და «სიტყვიერების თეორიაში» კი ტექსტი CD ავტოგრაფების მიხედვითაა დაბეჭდილი. ეს ლექსის მეორე ვარიანტია, რომელიც ამავე დროს ავტორის ბოლო ნებას გამოხატავს (შედგება ხუთი სტროფისაგან).

BE ვარიანტი საგრძნობ სხვაობას იძლევა მეორე ვარიანტთან შედარებისას, ამიტომ ვბეჭდავთ ქვემოთ მთლიანად:

მისი ლექსი სუბუქ ფრთითა
ხან მეჯლისში შეჰფრინდება,
გულს ჩაგეკვრის, გაილაღებს,
მხიარულად ამღერდება.
ხან ღონდება ნაზ ქალსავით
უიმედო სიყვარულით.
ხან იფეთქებს ჭაბუკსავით
და განდევნის სევდას გულით.
ხან რბის ველად, მაღალ კლდეზედ

ზის მარტო, ვით იადონი,
ისმის მღერა ბუნებური,
ვით ბუნება მოსაწონი.

ხან დაჰყურებს ღრუბლიანი
დაფიქრებით გოგჩის ტბასა
და ემდურის ყარიბ მღერით
დაუნდობელ დროთ ბრუნვასა.

E-ში განსხვავებულია სამი ფორმა: 3 ჩაეკვრის; 9 ჰრბის; 14 გოქჩის.

E ტექსტს, B-სგან განსხვავებით, იმის ნიშნად, რომ ერთი სტროფი აკლია, მრავალწერტილი უზის.

C მეორე ვარიანტია. იგი უთარილოა, მაგრამ მოთავსებულია ავტოგრაფ-კრებულის ბოლო ნაწილში (გვ. 117), სადაც 1872 წელს დაწერილი ლექსებია, ე.ი. C ტექსტი გვიანდელია. ამას ადასტურებს აგრეთვე ავტორის კალიგრაფიაში მომხდარი ცვლილებანი. C ტექსტი უფრო მოგრძო ასეობით არის ნაწერი, როგორც კრებულის ბოლო ნაწილში მოთავსებული სხვა ლექსები (კრებულის დასაწყისში კი ასოები უფრო მომრგვალებულია). მოგრძო ასოებით წერა ილიამ გვიანდელ პერიოდში დაიყო.

D ავტოგრაფი თითქმის C-ს გამეორებას წარმოადგენს. იგი შავი მელნითაა ნასწორები, ზედ აჩნია სტამბის საღებავის ლაქები და ფანქრით აწერია ანაწყობი შრიფტის დასახელებანი. CD ავტოგრაფები, როგორც აღვნიშნეთ, საფუძვლად დაედო ავტორის ბოლო ნების გამომხატველ ტექსტს (A-ს).

CD ავტოგრაფების შედარება A-სთან ასეთ ნაირწაკითხვას იძლევა:

98. 2 შეჰფრინდება] მოფრინდება CD. 3 ჩაეკვრის] ჩაგეკვრის C; ჰლალობს, ჰხარობს] ლალობს, ხარობს CD. 4 C-ში, ნაცვლად სიტყვისა «გამღერებს», ჯერ ეწერა «მხიარულად», გადახაზულია. 11 C-ში, ნაცვლად სიტყვისა «შეჰყეფს», ჯერ ეწერა «შეჰკვნესს», გადახაზულია; ვარდსა] სატრფოს D (ჯერ ეწერა «თვისავ», გადახაზულია).

99. 1 D-ში ნაცვლად სიტყვისა «მარტო» ჯერ ეწერა «ჰკვნესს და», გადახაზულია. 8 დაუნდობელ] დაუდგრომელს C (ჯერ ეწერა «დაუნდობელ», გადახაზულია). შემდეგ D-ში და ნაბეჭდებში ილიას კვლავ «დაუნდობელ» აღუდგენია.

ილია ჭავჭავაძის თხოულებათა 1925 წლის გამოცემაში (ტ. I, გვ. 42) ავტორის ბოლო ნება (A) დაცულია, გარდა ერთი შემთხვევისა: მე-3 სტრიქონში, ნაცვლად სიტყვისა «ჩაეკვრის», დაბეჭდილია «ჩაგეკვრის», რომელიც შემდგომ უცვლელად განმეორდა ყველა გამოცემაში. 1937 წლიდან კი ტექსტში ამასთან ერთად ასეთი ცვლილებები შეინიშნება:

ვარიანტებიდან შეტანილ იქნა «მოჰფრინდება», ნაცვლად სიტყვისა «შეჰფრინდება» (ალბათ, შესაბამისად სიტყვისა «ჩაგეკვრის»).

ამრიგად, ნაცვლად ილიას ბოლო ნების გამომხატველი სტრიქონებისა:

«ხან მეჯლისში შეჰფრინდება,
გულს ჩაეკვრის, ჰლალობს, ჰხარობს»,

მივიღეთ:

«ხან მეჯლისში მოჰფრინდება,
გულს ჩაგეკვრის, ჰლალობს, ჰხარობს».

III სტროფის მე-3 სტრიქონში D-დან შემოტანილია «სატროფოს» («შეჰყევს სტროფს გულსაკლავად») «შეჰყევს სატროფოს»-თან შედარებით უფრო სწორია ავტორის ბოლო ნება: «შეჰყევს ვარდსა». IV სტროფის 1-ლ სტრიქონში «მარტო» შეცვლილია სიტყვით «მარტოდ». ბოლო სტროფის მე-4 სტრიქონში C-დან შემოტანილია «დაუდგრომელ» ნაცვლად სიტყვისა «დაუნდობელ» (ამის შესახებ იხ. ზემოთ, ვარიანტები). საერთოდ, ამ ლექსის მიმართ ავტორის ბოლო ნება იმდენად გამოკვეთილია, რომ მისი ნებისმიერი შეცვლა დაუშვებლად მიგვაჩნია.

ჩვენ ავტორის ბოლო ნებად A ტექსტს ვთვლით და წინამდებარე გამოცემაში ეს უკანასკნელი დავბეჭდეთ. ასეთი სახით ლექსი 1914 წლის გამოცემაში გამოქვეყნდა (გვ. 61).

აღსანიშნავია მწერალი ქალის ბარბარე ჯორჯაძის წერილი «თ. ილია ჭავჭავაძის კრიტიკაზე» (დაიბეჭდა 1861 წ., ჟურნ. «ცისკარის» მაისის თვის №5), რომელშიც ავტორი, სხვა საკითხებთან ერთად, ამ ლექსის პირველ პუბლიკაციასაც ეხება. იგი წერს:

«მისი ლექსი სუბუქ ფრთითა
ხან მეჯლისში და სხვ...

სწორეთ მოგახსენოთ. არ ვიცი, რის თქმა ნდომია. სიტყუა ესე «სუბუქ» ქართული არ გახლავსთ - ამის მზგავსი სიტყუა გვაქუს, მართალია, მაგრამ ის სიტყუა «სუბუქ» კი არ გახლავსთ და «სუბუქი» კი. რომ ეთქო, «სუბუქი ფრთითა», თუმცა «ფრთითა» შეცთომია, რადგანაც «ფრთით» მხოლოობით რიცხვა და არა რომელიმე არსება არ არის, რომ ერთის მხოლოობითის ფრთით დაფრინამდეს, მაგრამ არა ჩუწნ შეუტყუეთ, საბუქის ფრთით, ანუ სუბუქის ფრთებით რომ დაეწერა, მარცვალი მეტი მოუვიდოდა და ლექსად აღარ გამოუვიდოდა.

ხან დაჰყურებს ღრუბლიანი
დაფიქრებით გოგჩის ტბასა...

ვის გაგიგონიათ... ითქუას ღრუბლიანი დაჰყურებს. მოღრუბლული დაჰყურებს შეიძლება... ღრუბლიანი დაჰყურებს კი პირუწლი გაგონებაა!» (გვ. 57-58).

ჩანს, ილიამ ყურად იღო ეს შენიშვნები და ლექსის მეორედ გამოქვეყნებისას (1892 წ.) ტექსტში მითითებული ადგილები შეცვალა (ისე, როგორც წინამდებარე ტომშია).

ლექსს ვათარიღებთ B ავტოგრაფის მიხედვით.

ასეა დათარიღებული ეს ლექსი ი. ჭავჭავაძის თხზულებათა 1925 წლის გამოცემაშიც («16 ივლისი, 1860 წ. პავლოვსკი»), როგორც პირველი ვარიანტი ლექსისა (E), ასევე მეორე რედაქციაც (A) ხოლო 1951 წლის გამოცემაში ასეთი დათარიღება მხოლოდ ლექსის პირველ ვარიანტს აქვს, ბოლო რედაქციას კი (ძირითად ტექსტს) თარიღად უზის: «1860 წ.» 1914 წლის გამოცემაში ლექსის ძირითადი ტექსტიც და ვარიანტიც 1860 წლის 16 ივლისითაა დათარიღებული. მითითებულია ლექსის დაწერის ადგილიც. - პავლოვსკი (იხ. სარჩევი, გვ. II, V).

ლექსის ეპიგრაფად გამოყენებული სტრიქონები აღებულია დიდი რუსი პოეტის ა.ს. პუშკინის (1799-1837 წწ.) ლექსიდან «К портрету Жуковского».

გოგჩის ტბა : იგივე სევანის ტბა (სომხეთის სსრ).

გოგჩის ტბა ილიას ნახსენები აქვს ალ. ჭავჭავაძის ცნობილ ლექსთან («გოგჩა») დაკავშირებით.

თ. ნიკოლოზ ბარათაშვილზედ (გვ. 100)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : U: ავტოგრაფი, კრებ., № 108, გვ. 117.

თ ა რ ი ღ ი : 19 ივლისს, 1860 წ., პავლოვსკი, ლექსი ნასწორებია და იმავე მელნითაა გადახაზული.

6 «ხალხო ობოლო, შენ მებრალები»-ს ნაცვლად თავდაპირველად ეწერა: «ძმანო, ცრემლები, სისხლის ცრემლები», გადახაზულია. 7 «დაგაობლა»-ს ნაცვლად ჯერ ეწერა «დაგვაობლა». 8 «განგაშორა»-ს ნაცვლად ჯერ იყო «განგვაშორა», 10 «აღმოვიკვნესე»-ს ნაცვლად ჯერ ეწერა: «მეც ცრემლი ვღვარე», გადახაზულია.

ლექსის შინაარსიდან ჩანს, რომ იგი შეიქმნა ნ. ბარათაშვილის ნაწარმოებებისგან მიღებული უშუალო შთაბეჭდილებების შედეგად (თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ილია ადრეც არ იცნობდა ნ. ბარათაშვილის ლექსებს).

ამ დროს ილია პეტერბურგში სწავლობდა. ზაფხულს ქართველი სტუდენტობა პეტერბურგთან ახლოს, პავლოვსკში ატარებდა. სწორედ იქ გასცნობია ილია ავტოგრაფებს ნ. ბარათაშვილის ქმნილებებისას - «მერანს» და «ბედი ქართლისას», რომლებიც მისთვის გადაუციათ იმ დროს ცარსკოე სელოში მცხოვრები ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანის (ალ. ჭავჭავაძის ასულის) ოჯახში. «ვერ წარმოიდგენთ, რა შთაბეჭდილება მოახდინეს ამ ლექსებმა ილიაზედ, თითქმის მთელი ერთი კვირა ყმაწვილი ჰბოდავდა ბარათაშვილით», - იხსენებს პოეტის ნათესავი და მეგობარი კოხტა აბხაზი («ლიტერატურული მემკვიდრეობა», წიგნი I, 1935, გვ. 564).

ლექსი პირველად დაიბეჭდა ჟურნ. «ფასკუნჯში» (1909 წ., № 11).

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1925-1951 წლების გამოცემებში ეს ლექსი ვარიანტების განყოფილებაშია გადატანილი, - როგორც პირველი ვარიანტი ნ. ბარათაშვილისადმი მიძღვნილი ამგვარადვე დასათაურებული მეორე ლექსისა (იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 107). მაგრამ იგი, ჩვენი აზრით, ილიას მითითებული ლექსის არც ვარიანტია და არც რედაქცია. ამიტომ ჩვენს გამოცემაში ეს ლექსიც ძირითად ტექსტებს შორის მოვათავსეთ, როგორც დამოუკიდებელი თხზულება. 1914 წლის გამოცემაშიც ეს ლექსი ძირითად ტექსტებთან ერთადაა დაბეჭდილი (გვ. 55), 1860 წლის თარიღით, - ლექსის დაწერის თვის, რიცხვის და ადგილის მითითების გარეშე.

ლექსს ვათარილებთ ავტოგრაფის მიხედვით.

ს... ჩ... სას (გვ. 101)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი U: ავტოგრაფი, კრებ., № 108, გვ. 117 (B).

ნ ა ბ ე ჯ დ ი : «კრებული», 1871, წიგნი I, გვ. 108 (C); «ივერია», 1877 წ., № 17, გვ. 9 (D); ჩანგი, შედგენილი ვ. აბაშიძისა, 1889, გვ. 319 (E); თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 179 (A). ჩანგური, შედგენილი სპ. ჭელიძისა, ბათუმი, 1904, გვ. 157 (F); საყოველთაო კალენდარი, 1905 წლისა, შედგენილი კ. თავართქილაძის მიერ, ტფილისი, 1904, გვ. 150 ().

ს ა თ ა უ რ ი : ს... ს ჩ...სას B.

თ ა რ ი ღ ი : 1877 (სარჩევში - 1859) A; 21 ივლისსა, 1860, პავლოვსკი B.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : *** CD; ი. ჭავჭავაძე G; ი. ჭავჭავაძე (სარჩევში) E; ილია ჭავჭავაძე (სარჩევში) F.

2 სუბუქ ფრთითა] სუბუქი ფრთა D. 3 ვითომც] ვითომ E; ვითამც F; მოგხვევივარ] მოგხვევივარ B. 4 სავსეს] სავსე FG; ეშხის სიამითა] ეშხისა სიამით D. 7 ბაგე ბეგეს] ტუჩი ტუჩთან CD. 9 თუმც ეს] ეს ხომ G. 10 მითაც] მითიც; G სტკებება] ჰსტკებება B; გული კრული ~ B. 11 დასტკებეს] დაჰსტკებეს B.

ლექსი თარიღდება ავტოგრაფის მიხედვით.

ს... ჩ...: საშა ალექსანდრა) ილიას ასული ჩაიკოსკაია (იხ. კომენტარი ლექსისა «მაშინ დავსტკებები», გვ. 346-348).

ჩ...სას (გვ.102)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : U: ავტოგრაფი, კრებ № 108, გვ. 118 (B).

ნ ა ბ ე ჯ დ ი : «კრებული», 1871, წიგნი მე-2, გვ. 145 (C); დედა და შვილი და რამდენიმე ლექსი თ. ილია ჭავჭავაძისა, ზ. ჭიჭინაძის გამ. ტფილისი, 1882, გვ. 29 (D); ჩანგი, შედგენილი ვ. აბაშიძისა, ტფილისი, 1889, გვ. 318 (E); თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 165 (A).

ს ა თ ა უ რ ი : - E.

თ ა რ ი ღ ი : 1871 (სარჩევში - 1859) A; 22 ივლისსა, 1860, პავლოვსკი B.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : *** C; ი. ჭავჭავაძე (სარჩევში) E.

4 შთავწურო] შთავსწურო B. 8 გაზრდილი] გაზდილი B. 9 ვყვავი] ვჰყვავი B. 13 ეგრე] ეგრეთ B. 14 წმინდა] წმიდა B. 16 სამარტოოდ] უპასუხოთ BC, უზიაროთ D.

ლექსს ვათარიღებთ ავტოგრაფის მიხედვით.

ჩ...: ჩაიკოსკაია, საშა (ალექსანდრა) ილიას ასული (იხ. კომენტარი ლექსისა «მაშინ დავსტკებები». გვ. 346-348).

პოეტი (გვ. 103)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : U: ავტოგრაფი, კრებ. № 108, გვ. 119 (B).

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ჟურნ. «საქართველოს მოამბე», 1863, № 4, გვ. 81 (C);

ჩონგური, შედგენილი კ. ლორთქიფანიძისაგან, ს. პეტერბურლი, 1864, გვ. 24 (D); დედა და შვილი და რამდენიმე ლექსი თ. ილია

ჭავჭავაძისა, ზ. ჭიჭინაძის გამ., ტფილისი 1882, გვ. 16 (E); თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 79 (A); ჩანგი, შედგენილი ვ. აბაშიძისა, მე-2 გამოცემა, ტფილისი, 1892, გვ. 382 (F); წყარო, შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან, წიგნი II, ტფილისი, 1898, გვ. 196 (G); სიტყვიერების თეორია, შედგენილი არხიმანდრიტის კირიონისა და გრ. ყიფშიძის მიერ, ტფილისი, 1898, გვ. 574; ჩანგური, შედგენილი ვ. აბაშიძისა, მე-4 გამოცემა, ბათომი, 1900 წ., გვ. 113 (H); ლექსები ილია ჭავჭავაძისა, მალ. «ცოდნის» გამოცემა, ტფილისი, 1904, გვ. 17; ილია ჭავჭავაძის რჩეული ლექსები, წ. კ. გ. საზ-ის გამოცემა, № 80, გვ. 9; იგივე გამოცემა, № 81, გვ. 16, ტფილისი, 1907; ჩვენი მწერლობა, I. მგოსნები... შედგენილ-გამოცემული ს. გორგაძის მიერ, თბილისი, 1907, გვ. 37 (I); წყარო, შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან, წიგნი II, მე-3 შევსებული გამოცემა, ქუთაისი, 1907, გვ. 176 (J).

თ ა რ ი ღ ი : 1860 A; 23 ივლისსა, 1860, პავლოვსკი B; 23 ივლისსა, 1860 წ. CDE; 1860 წ. I.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : *** D; ილია ჭავჭავაძე (სარჩევში) GJ; ი. ჭავჭავაძე (სარჩევში)F.

3 ხმათათვის] ხმებისთვის BC. 5 მე ცა] ზეცა DJ; ერი მზრდის] ხალხი მზრდის BFH; ერი] ხალხი CDE. 8. წარუძღვე] წარუძღვე BC. 10 ღვივის] ღუვის BC. 11 ერისა] ხალხისა BCDEFG. 12 ჭმუნვასა] ჭმუნვაში CD. 13 ერის] ხალხის BDEH. 16 მტკიცე] მტკიცედ E. 17 ციდან] ციდან J. 19 მხოლოდ] ხოლოთ B. 20 ერსაც] ხალხსაც BDEFGH.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1925-1951 წლების გამოცემებში ლექსის მე-3 სტრიქონში დაბეჭდილია «ხმებისთვის». ჩვენ A-ს მიხედვით აღვადგინეთ «ხმათათვის».

1914 წ. გამოცემაში ლექსი დათარიღებულია 1860 წ. 29 ივლისით (სარჩევში, გვ II.).

ამ ლექსის წარმომავლობაზე ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში არასწორი შეხედულებები იყო გამოთქმული. მაგ., რ. ფანცხავა (ხომლედი) წერდა: «ამ ლექსის დაწერის ერთი წლის წინათ, ჟურნ. «სოვრემენიკი»-ში დაისტამბა ნ. დობროლიუბოვის ვრცელი განხილვა რუსეთის ლიტერატურის (იგულისხმება ნ. დობროლიუბოვის წერილი «განხილვა რუსული ლიტერატურისა» -რ.კ.)..., სადაც კრიტიკოსი პუშკინის პოეზიას ხალხისათვის არავითარ მნიშვნელობას არ აძლევს, რადგანაც, იმისი აზრით, პუშკინი ფრინველივით უსაგნოდ მღერისო და ხალხის ტანჯვით არ ეწვის გულიო. უეჭველია, ამ სტატიის გავლენის ქვეშ ილიამ დაწერა «პოეტი» (იხ. რ. ფანცხავა, ილია ჭავჭავაძე როგორც ლირიკოსი პოეტი. ჟურნ. «განთიადი», 1915, №16, გვ. 19).

როგორც სამართლიანად არის აღნიშნული თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობაში, რ. ფანცხავას დასკვნა არ გამომდინარეობს კონკრეტული ფაქტების ანალიზიდან, რადგან ილიას «პოეტი» ჩაფიქრებულია ნ. დობროლიუბოვის აღნიშნული წერილის გამოქვეყნებამდე და ხანგრძლივი, დამოუკიდებელი შემოქმედებითი ძიების შედეგია. ამასთან, ასეთივე უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ პოეზიის არსსა და მის დანიშნულებაზე ი. ჭავჭავაძეს შეეძლო ესარგებლა ბ. ბელინსკის წერილებით, რომლებითაც განსაკუთრებით აღტაცებული იყო (ალ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, საქართველოს მოამბე, თბ., 1963, გვ. 127).

ლექსს ვათარიღებთ ავტოგრაფის მიხედვით.

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : U: ავტოგრაფი, კრებ. № 108, გვ. 121 (B); K: ავტოგრაფი, № 1038 (C).

ნ ა ბ ე ჭ დ ი : «კრებული», 1871, წიგნი I, გვ. 140 (D); დედა და შვილი და რამდენიმე ლექსი თ. ილია ჭავჭავაძისა, ზ. ჭიჭინაძის გამ., ტფილისი, 1882, გვ. 16 (E); თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892 წ. გვ. 276 (A)²⁰; ჩანგი, შედგენილი ვ. აბაშიძისა, გამოცემა მე-2, ტფილისი, 1892, გვ. 145 (F); ჩანგი, შედგენილი ვ. აბაშიძისა, გამოცემა მე-4, ბათომი, 1900, გვ. 153 (G); ლექსები ილია ჭავჭავაძისა, მად. «ცოდნის» გამოცემა, ტფილისი, 1904, გვ. 34; ილია ჭავჭავაძის რჩეული ლექსები, წ. კ. გ. საზ-ის გამოცემა, № 80, ტფილისი, 1907, გვ. 23 და იგივე გამოცემა, № 81, გვ. 22 (H).

ს ა თ ა უ რ ი : მესმის, მესმის! H

თ ა რ ი ღ ი : 1860 A; 29 ივლისსა, 1860, პავლოვსკი BC; 29 ივლისს, 1860 DE.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : *** D; ი. ჭავჭავაძე (სარჩევში) FG.

3 ქვეყნად] ქვეყნათა B. 4 დასათრგუნვლად] დასადრგუნვად B. 6 აღმიგზნებს] აღვიძებს BC. 7 ეს] ის BDFG.

1914, 1925-1951 წლების გამოცემებში პირველი სტროფის მე-4 სტრიქონში გამომცემლებს სიტყვა «მონებისა» შეუცვლიათ სიტყვით «მონებისა», ცხადია იმ მიზნით, რათა «მონებისა» მკითხველს «მონის» მრავლობითი რიცხვის ფორმად არ მიაჩნია, რაც ლექსის შინაარსს გაუგებარს გახდიდა («სიმართლის ხმა ქვეყნადა ჰქუხს, დასათრგუნვლად მონებისა»). ფაქტიურად, მონება ლექსში მონობის სინონიმურ ფორმას წარმოადგენს, რაც ილიასათვის უცხო არ არის (იხ. მაგ., მისივე ლექსები «გაზაფხული» და «ჩემი თარიარალი»). ჩვენს გამოცემაში აღვადგინეთ ილიასეული ფორმა «მონებისა», რაც რითმისათვისაც უფრო შესაფერია (მტვრევისა-მონებისა).

D-ში ლექსს ერთვის სქოლიო: «ეს ლექსი გლეხების განთავისუფლების დროს ეკუთვნის». ეს სქოლიო-შენიშვნა არც ერთ ავტოგრაფში არ დასტურდება, არც შემდგომ ნაბეჭდებშია. იგი პირველნაბეჭდში (D) გაჩნდა, - ცხადია, ცენზურის თვალის ასახვევად. ამ ლექსის დაბეჭდვის შესახებ, თავის დროზე, საინტერესო ცნობა მიუწოდებია პ. ინგოროყვასათვის ნ. ნიკოლაძეს: 1870 წელს, როცა «კრებულის» გამოცემას შესდგომია, ნ. ნიკოლაძე ილიას სწვევია დუშეთში, სადაც ის მომრიგებელ მოსამართლედ მსახურობდა. ილიას მისთვის წაუკითხავს ლექსი და თან უთქვამს, რომ იგი მიუძღვნა გარიბალდის და ცენზურის გამო ვერა და ვერ დაბეჭდა. ნ. ნიკოლაძეს თავს უდვია ლექსის გამოქვეყნება, დაუბეჭდავს კიდევ «კრებულში» და ცენზურის თვალის ასახვევად თან ზემოხსენებული სქოლიოც დაურთავს (იხ. ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. I, 1951, გვ. 381-382). ამრიგად, მხოლოდ 11 წლის შემდეგ იხილა ამ შესანიშნავმა ლექსმა დღის სინათლე.

როგორც ითქვა, ლექსი მიემდვნა იტალიის განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადს ჯუზეპე გარიბალდის (1807-1882 წწ.). ილია დიდი თაყვანისმცემელი ყოფილა სახალხო გმირის გარიბალდისა, - იმდენად, ერთხანს იტალიაში გამგზავრებასა და მის რაზმში ჩარიცხვასაც კი ფიქრობდა. როგორც ნ. ნათიძე (მელანია) გადოგვცემს, უფრო ადრე ილიას ბერად შედგომა ნდომებია: «ძრიელ მომწონდა მყუდრო, განდევნილი ცხოვრებაო. მაგრამ, როცა გარიბალდმა დაიწყო

²⁰ A-ში ლექსს აქვს სქოლიო: «დაწერილია 1860 წ.»

თავისი მოქმედებაო, ბერობა გადავიფიქრე და დავაპირე ვოლონტიორად მასთან წასვლაო. შემდეგ, როცა სტუდენტურ ცხოვრებაში გავეხვიე, ვეღარ შევასრულე ეს განზრახვაო», - უთქვამს მისთვის ილიას (ლიტერატურული მემკვიდრეობა, ტ. I, 1935, გვ. 573). ეს დიდი სიყვარული და პატივისცემა იტალიელი გმირისადმი ილიას სიკვდილამდე გაჰყოლია.

ეკ. გაბაშვილის თქმით, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მის საწერ მაგიდაზე «პირველი ალაგი ეჭირა დიდებული პატრიოტის გარიბალდის მშვენიერ დიდ ბიუსტს» (ეკ. გაბაშვილის არქივი M, № 17025, მოგონება ილიაზე).

საინტერესოა ი. მეუნარგიას მოგონება, როცა იგი «ივერიის» რედაქტორის - ილია ჭავჭავაძის - კაბინეტს აღწერს: «...შეხვიდოდით თუ არა კაბინეტში, ყველაზე უწინ თქვენს ყურადღებას იქცევდა ფერადი სურათებით აჭრელებული ჭერი ოთახისა, ჭერის ოთხ კუთხეზე იყო დახატული ფართო მედალიონები: მეფე ლუარსაბისა, დიმიტრი თავდადებულის, გიორგის - თამარის მამისა და დავით აღმაშენებლისა, შუაში იყო წმინდა ნინოსი. კედლებზე ეკიდა მეფე ერეკლესი და გორგასალის სურათები... რომ მიიხედ-მოიხედავდით, დაინახავდით: ერთგან შექსპირის ბიუსტს, სხვაგან გიოტესას, კიდევ სხვაგან რუსთველისას, გ ა რ ი ბ ა ლ დ ი ს ა ს »... (ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, II, 1957, გვ. 37).

ლექსს ვათარილებთ ავტოგრაფების მიხედვით.

ქართველ სტუდენტების სიმღერა (გვ. 105)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : M: ავტოგრაფი, კრებ. № 17501, გვ. 93-99 (B); U: ავტოგრაფი, კრებ № 108, გვ. 125 (C); K: ავტოგრაფი, № 1037 (D); M: ავტოგრაფი, № 17503 (A).

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ჟურნ. «მნათობი», 1870; № 2, გვ.126 (E); თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 125 (F); წყარო, შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან, წიგნი მე-2, ტფილისი, 1898, გვ. 196 (G).

ს ა თ ა უ რ ი : სიმღერა A; ... სიმღერა E; ქართველ სტუდენტების სიმღერა CD; სტუდენტების სიმღერა FG; - B.

ს ა თ ა უ რ ი ს ქ ვ ე შ : ჩემ კარგ სო (გაურკვეველია) C.

თ ა რ ი ღ ი : 1860 DF.-B; 1860 წ., 18 აგვისტოს, პავლოვსკი C;

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : *** ADE; ილია ჭავჭავაძე (სარჩევში) G;

რადგანაც ცენზურული პირობების გამო ლექსი ძლიერ შეცვლილი სახით გამოქვეყნდა, ამიტომ ავტორის ბოლო ნებად ვერც ერთ ნაბეჭდს ვერ ჩავთვლით. სავსებით ვეთანხმებით წინა გამომცემლებს (მიხ. გედევანიშვილს, ალ. აბაშელსა და პ. ინგოროყვას), რომლებმაც ამ ლექსის ძირითად ტექსტად ქრონოლოგიურად ყველაზე ბოლო ხელნაწერი (A) აიღეს. ეს ავტოგრაფი მუქი ყავისფერი მეღვინით არის შესრულებული, ნასწორებია როგორც ავტორის, ისე ცენზორის მიერ. ამ ჩასწორებებით ტექსტი პირველად დაიბეჭდა 1870 წელს (E). ავტოგრაფში სათაურს ქვეშ მიწერილ აქვს: «Дозволено цензурою 16-го декабря 1860 г.» ლექსის ბოლოსაც მიწერილია: «Дозволено цензурою». აშკარაა, რომ პოეტს ეს ავტოგრაფი ჰქონია მიტანილი დასაბეჭდად. ცენზორის მიერ წითელი ფანქრით გადახაზული ადგილები

პოეტს ყავისფერი მელნით სხვა სიტყვებით შეუცვლია და იმავე მელნით იქვე თვითონაც ჩაუტარებია ტექსტზე მუშაობა. მაგალითად, ლექსს სათაურად ჯერ ჰქონია «**მსწავლული კაცის სიმღერა**». პირველი ორი სიტყვა ავტორის მიერ მელნით არის გადახაზული და თავზე აწერია «**სტუდენტის**» (ე.ი. «**სტუდენტის სიმღერა**»). ცენზორს წითელი ფანქრით «**სტუდენტის**» გადაუხაზავს და სათაურად მხოლოდ «**სიმღერა**» დაუტოვებია.

1925-1951 წწ. გამოცემებში CD ვარიანტებზე დაყრდნობით აღდგენილი ლექსის სათაური - «ქართველ სტუდენტების სიმღერა» ყველაზე უფრო სრულია და შეეფერება კიდევ ლექსის შინაარსს. ამიტომ ჩვენც ეს სათაური დავტოვეთ.

სათაურის გარდა, A ავტოგრაფში ასეთი ცვლილებებია შეტანილი:

ცენზორის მიერ წითელი ფანქრით გადახაზულია (ამ წითელ ხაზებზე ილიას მიერ მელნითაა გავლებული ხაზები): 105. 9 «დიდს არ» - ამ გადახაზულზე ილიას მის ნაცვლად «არვის» დაუწერია, შემდეგ ესეც გადაუხაზავს და ისე «დიდს არ» აღუდგენია. 11 გადახაზულია «ძალას» და ზედ ავტორს დაუწერია «ამაყს».

106. 7 გადახაზული «ოდესმე» და ზედ ავტორს დაუწერია: «ყოველთვის». VII სტროფი («მაგრამ ეხლაც...») წითელი ფანქრით ჯვარედინად არის გადახაზული. ეს სტროფი ილიასდროინდელ არც ერთ ნაბეჭდში შეტანილი არ არის. E-ში მისი ადგილი წერტილებით არის აღნიშნული, FG-ში კი საერთოდ გამოტოვებულია.

ილიას გარდაცვალების შემდეგდროინდელ გამოცემებში (1914, 1925-1951 წწ.) აღდგენილია ცენზურის მიერ გადახაზული ადგილები. ამასთანავე, 1925-1951 წწ. გამოცემებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სათაური CD ვარიანტებიდან არის შეტანილი. ამავე დროს ილიას თხზულებათა 1925-1951 წლების გამოცემებში ზოგი ისეთი სწორებაცაა შეტანილი ავტორისეულ ტექსტში, რომელთაც ვერ გავიზიარებთ. კერძოდ ილიას მითითებული ავტოგრაფის VII სტროფში სრულიად გარკვევით წერია: «**ეხლაც რომ მამულმა გვიხმოს, ეხლაც კი გამოვადგებით**». 1925-1951 წლების გამოცემებში კი პირველი «ეხლაც», DE ავტოგრაფის მიხედვით, შეცვლილია სიტყვით «ბრძოლად» («**ბრძოლად რომ მამულმა გვიხმოს, ეხლაც კი გამოვადგებით**») რადგანაც ილიას ახასიათებს ერთი და იმავე სიტყვის განმეორება თავისი სათქმელის უფრო მკვეთრად გამოსახატავად და ამავე დროს ცენზურგამოვლილ ავტოგრაფებშიც კი ეს სტრიქონი უცვლელად არის დატოვებული, ამიტომ პოეტის ბოლო ნებად პირველი «ეხლაც» მივიჩნიეთ და ჩვენს ტომშიც ასე დავბეჭდეთ (1914 წლის გამოცემაშიც ასეა).

BCD ავტოგრაფები საკმაო სხვაობას იძლევა ძირითად (A) ტექსტთან შედარებისას, მაგრამ, ამავე დროს, ერთმანეთისაგანაც განსხვავდება. მათ შორის ყველაზე ადრინდელია B ავტოგრაფი, რომელშიც ლექსის ფრაგმენტებს შვიდი გვერდი უკავია (გვ. 93-99). ტექსტი მუქი მელნითაა ნაწერი და ნასწორებია. ავტოგრაფში ჩანს ავტორის მუშაობა ლექსზე. იგი რამდენჯერმე დაუწყია პოეტს და, ბოლოს, 98-99 გვერდებზე, საბოლოოდ ჩამოუყალიბებია პირველი ვარიანტის სახით.

B ავტოგრაფს წარმოვადგენთ მისი პაგინაციის დაცვით:
გვ. 93.

დედამ რომ შვილი გაზარდოს
ემაგრე ჩვენისთანაო,
მუდამ გამოსადეგნი ვართ
ყველგან და ყველასთანაო!
ლოთთან მართალ ლოთები ვართ...

ბოლო სტრიქონის ნაცვლად ჯერ ეწერა: «ლოთთან მართალ ოხრები ვართ», გადახაზულია. ასევე გადახაზულია მისი მომდევნო სიტყვები «და არც უჭკო ბრძენთანო». ბოლოს წერია მხოლოდ სიტყვები «შობა ასეთ», სადაც წყდება ეს ფრაგმენტი.

გვ. 94

დედამ რო შვილი გაზარდოს
ემაგრე ჩვენისთანაო!
სადაც გინდა ალაგი გვაქვს,
ყველგან და ყველასთანაო!

ლოთთან მართალ ლოთები ვართ,
არც უჭკოსი ბრძენთანაო!
ლხინის დროსა ჩვენ მოვილხენთ.
როგორც ჩვენი ძმა ქართველი,
გულს გარდვიშლით, შემოვძახებთ.

მე-6 სტრიქონის («არც უჭკონი»...) შემდეგ გადახაზულია:

ლხინში დავლევ და ჩვენ ძმასა
სტუდენტს გადავაკვრევინებ,
სწავლაში ოხერ პედანტსა
აზრს აზრზედ დავარღვევინებ.

გვ. 95

დედამ რო შვილი გაზარდოს
ემაგრე ჩვენისთანაო!
მუდამ გულმტკიცე ვიქნებით,
ყველგან და ყველასთანაო.
ლოთთან ლოთურად ვიქცევით,

დავლევთ, გადავაკვრვენებთ (ასეა- რ.კ.)
და ჩხუბში ოხერ პედანტსა
აზრს აზრზედ დავარღვევინებთ.
ძვირად ილხენ...

მე-4 სტრიქონის შემდეგ («ყველგან და ყველასთანაო») გადახაზულია:

ლოთთან მართლა ლოთები ვართ,
არ დაუარდებით სმაში,
არც ბრძენთან სულელები ვრათ...

გვ. 96

დედამ რო შვილი გაზარდოს
ემაგრე შენისთანაო,
თუ სადმე ხარ, პირნათლად ხარ
ყველგან და ყველასთანაო!

ლხინში ლოთურად მოილხენ,
დალევ, გადააკვრევინებ,
სიბრძნეში ოხერ პედანტსა
აზრს აზრზედ დაარღვევინებ.

გული სწავლით შუქშესხმული
საგანძეთ გაქვს წმინდ გრძნობისა,
თავისუფალ თამამი ჭკვა

კეთილშობლურ აზრებისა.
ღარიბებით და შრომითა
იკალება შენი გული...

მე-8 სტრიქონის შემდეგ («აზრს აზრზედ...») გადახაზულია:

გვ. 97

საქმეში გული მტკიცედ გვაქვს,
სიმართლისათვის მზათ ხმალი.

დედამ რო შვილი გაზარდოს
ემაგრე შენისნთანაო!
თუ სადმე ხარ, საფერი ხარ
ყველგან და ყველასთანაო!

გული სწავლით ნათელქმნილი
გიღელდება წმინდ გრძნობითა,
თამამი ჭკვა შუქშესხმული
პატიოსან აზრებითა!

ღარიბი ხარ და შრომაში
ჰკლავ შენს ჭაბუკ სულსა,
მარტო იმით შენ ნუგეშობ,
რომ ეგ უნდა შენს მამულსა.

* *

ლხინში ლოთურად მოილხენ.
დალევ, გადააკვრევინებ,
სიბრძნეში ოხერ პედანტსა
აზრს აზრზედ დაარღვევინებ.
ბრძოლის ველზედ მებრძოლი ხარ,
თუ სიმართლე იქ წინამძღვრობს.

გვ. 98

«დედამ რო შვილი გაზარდოს
ემაგრე ჩვენისთანაო,
სადაც ვიყოთ, საფერნი ვართ
ყველგან და ყველასთანაო.

ლხინში ლოთურად მოვილხენთ,
დავლევთ, გადავაკვრევინებთ,
სიბრძნეში ოხერ პედანტსა
აზრს აზრზედ დავარღვევინებთ!

ძვირად ვლხინობთ და თუ ვილხენთ -

თავისუფლათ, ჩვენებურად,
გულს გადვიშლით, შემოვძახებთ,
ვით ქართველნი, ქართველურად.

დედამ რო შვილი გაზარდოს,
ემაგრე ჩვენისთანაო,
რაც გულში გვაქვს, იმას ვიტყვით
ყველგან და ყველასთანაო.

ამას მოსდევს გადახაზული სტროფი:

დედამ რო შვილი გაზარდოს,
ემაგრე ჩვენისთანაო,
რაც გულში გვაქვს, იმას ვიტყვით
ყველგან და ყველასთანაო.

გვ. 99

დედამ რო შვილი გაზარდოს
ემაგრე შენისთანაო,
ცართან ძმობას არ ვკადრულობთ,
მაგრამ ვნატრობთ გლეხთანაო.

გული სწავლით ნათელქმნილი
გვიღელდება წმინდ გრძნობითა,
თამამი ჭკვა შუქშესხუმილი -
პატიოსან აზრებითა,

ღარიბნი ვართ და შრომაში
ვკლავთ ჩვენსა ჭაბუკ სულსა.
მარტო იმით ჩვენ ვნუგეშობთ,
რო ეგ უნდა ჩვენ მამულსა.

სადაც მამული გვიბრძანებს,
ყველგან ვემსახურებით,
თუ ბრძოლასა ჩვენა მოგვთხოვს,
იქაც კი გამოვადგებით²¹.

ს ავტოგრაფი სრული ტექსტია, ნასწორებია მუქი მელნით, იგი მეორე ვარიანტია ამ ლექსისა:

²¹ 1925-1951 წლების გამოცემებში პრველ ვარიანტად გატანილია ავტოგრაფის 98-99 გვერდებზე ნაწერი ტექსტი.

დედამ რო შვილი გაზარდოს
ემაგრე ჩვენისთანაო,
ძმურად გამოსადეგნი ვართ
ყველგან და ყველასთანაო.

ლოთთან ლოთურად მოვილხენტ,
დავლევთ, გადავაკვრევინებთ,
მთვრალნიც კი ოხერ პედანტსა
აზრს აზრზედ დავარღვევინებთ.

ლხინის დროსა ეგრე გაშლით
გონიერად გავლოთდებით,
ფიქრის, საქმის, შრომის დროსა
ჭკვიანს არ დაუვარდებით!

ჩვენც გვაქვს გული ნათელქმნილი,
ავსებული წმინდა გრძნობით,
თამამი ჭკვა შუქშესხუმილი
პატიოსან აზრებითა.

დედამ რო შვილი გაზარდოს
ემაგრე ჩვენისთანაო,
ძმურად გამოსადეგნი ვართ
ყველგან და ყველასთანაო .

ძვირად ვლხინობთ და, თუ ვილხენტ -
თავისუფლად, ჩვენებურად,
გულ-[ს] გადვიშლით, შემოვმახებთ,
ვით ქართველნი, ქართველურად.

ლხინის გარე ისევ შრომით
ვწურთნით ჩვენსა ჭაბუკ სულსა,
რომ ოდესმე გამოვადგეთ
დაობლებულ ჩვენს მამულსა.

მაგრამ ეხლაც საქმით, სიმხნით
სხვას არც ჩვენ დაუვარდებით,
საომრად რომ ეხლაც გვიხმონ,
იქაც კი გამოვადგებით.

ეგრე გამოსადეგნი ვართ,
ყველგან და ყველასთანაო,
თუ დედამ შვილი გაზარდოს
ემაგრე ჩვენისთანაო.

აქედან: VII სტროფში სიტყვისა «**ვწურთნით**» ჯერ ეწერა «**ვკლავთ**», გადახაზულია VIII სტროფში ნაცვლად სტრიქონისა «**საომრად რომ ეხლაც გვიხმონ**» ეწერა: «**ბრძოლად რომ მამულმა გვიხმოს**», გადახაზულია.

D ავტოგრაფი ის ტექსტია, რომელიც პოეტმა კ. ლორთქიფანიძეს გაუგზავნა პეტერბურგში დასაბაჭდად. 1864 წელს კ. ლორთქიფანიძე გამოსაცემად ამზადებდა ლექსთა კრებულს «**ჩონგური**», რომელშიც ეს ლექსი უნდა შესულიყო, მაგრამ «**ჩონგურში**» ლექსი არ დაბეჭდილა (ალბათ ცენზურამ არ გაუშვა).

D ტაქსტი ყველაზე უფრო ვრცელია და სხვა ვარიანტებისაგან განსხვავებული. ვბეჭდავთ მას მთლიანად:

დედამ რო შვილი გაზარდოს,
ემაგრე ჩვენისთანაო,
ძმურად გამოსადეგნი ვართ
ყველგან და ყველასთანაო.

მას გული აქვს ნათელქმნილი,
ავსებული წმინდა მცნებით,
თმამი ჭკუა შუქმესხმული
პატიოსანის აზრებით.

მოლხინესთან ჩვენც მოვილხენთ,
ლხინსა არ მოვერიდებით,
ფიქრის, საქმის, შრომის კაცთან
სხვას არც ჩვენ დაუვარდებით.

თუ, დედავ, შვილი გაზარდო,
ემაგრე ჩვენისთანაო,
ძმურად გამოსადეგნი ვართ
ყველგან და ყველასთანაო.

მდიდარსა და ბედნიერსა
არ ვექცევით ცბიერულად,
მწუხარსა და დაჩაგრულსა
უღელს გაუწევთ ერთგულად.

ეგრე ვცხოვრობთ, ამ ყოფაში
იმ ფიქრით ვზრდით ჭაბუკ სულსა,
რომ ოდესმე გამოვადგეთ
ჩვენს ქვეყანას, ჩვენს მამულსა.

დედავ! თუ შვილი გაზარდო,
ემაგრე ჩვენისთანაო,
ძმურად გამოსადეგნი ვართ
ყველგან და ყველასთანაო.

მაგრამ დღესაც საქმით, სიმხნით
სხვას არც ჩვენ დაუვარდებით,
ბრძოლად რომ მამულმა გვიხმოს,
იქაც კი გამოვადგებით:

უცხო ქვეყნად მშიერ-მწყურვალ
ხშირად, ძმანო, ჩვენ ვყოფილვართ,
ბევრს შევიძლებთ, რომ ტანჯვითა
სიყრმიდანვე გამოვზრდილვართ.

ეგრე გამოსადეგნი ვართ
ყველგან და ყველასთანაო,
თუ, დედავ, შვილი გაზარდო,
ემაგრე ჩვენისთანაო.

გამხმარს პურსა ცივ წყალშია
უდრტვინველად ხშირად ვალბობთ,
ჩარდახშია ცივსა ოთახს
ჩვენის გულის ორთქლით ვათბობთ.

ღარიბნი ვართ, ჩვენს ჯიბეში
ხშირად გროში არც კი არი,
მაგრამ ჩვენი ძმა სტუდენტი
აი, რით არის მდიდარი:

ავტოგრაფში ლექსს თან ერთვის კ. ლორთქიფანიძისადმი გაგზავნილი წერილი, რომელიც ამ ლექსს არ ეხება. ამის შემდეგ იქმნება საბოლოო ტექსტი (A), რომელიც საფუძვლად დაედო პირველნაბეჭდსა (E) და შემდგომ პუბლიკაციებს. ნაბეჭდი წყაროების შედარებამ A ტექსტთან ასეთი სხვაობა გვიჩვენა:

105. 8 დაუფარდებით] დაუფარდებით F; ბრძენსაც არ] ბრძენს არც ჩვენ FG. 10 მივსცემთ] მივცემთ F. 11 ძალას] ამაყს E, მტყუანს FG. 12 და თაყვანს ვსცემთ სამართალსა] მტლად დავედებით მართალსა FG. 14 რჩომილს] შთომილს FG.

108. 6 მისთვის] მიტომ FG; სულსა] გულსა F. 7 ოდესმე] ყოველგან FG. 8 დაობლებულს ჩვენს] ჩვენს საყვარელსა FG.

რადგან ლექსის ვარიანტებს შორის არ არის რედაქციული ხასიათის სხვაობა, შესაძლებლად ვთვლით ძირითადი ტექსტი დავათარილოთ C ავტოგრაფის მიხედვით.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემაში ლექსი (ძირითადი ტექსტი) დაბეჭდილია სათაურით «სტუდენტების სიმღერა» და დათარიღებულია (სარჩევში, გვ. III) 1869 წლის 16 დეკემბრით, ხოლო ვარიანტების განყოფილებაში, სათაურით - «ქართველ სტუდენტების სიმღერა» დაბეჭდილია ლექსის C ვარიანტი, რომელიც დათარიღებულია 1860 წლის 18 აგვისტოთი (სარჩევში, გვ. V); 1925-1951 წლების გამოცემებში ძირითად ტექსტს თარიღად უზის მხოლოდ წელი («1860 წ.»), ხოლო ვარიანტების განყოფილებაში დაბეჭდილი სამი ვარიანტიდან (B, C და D) დათარიღებულია D ვარიანტი: «18 აგვისტო, 1860 წ. პავლოვსკი».

როგორც ზემოთ აღინიშნა, C ავტოგრაფში ლექსის სათაურის ქვეშ მითითებულია, რომ ლექსი ეძღვნება სოსიკო ვაჩნაძეს. «ეს პირი მოხსენებულია ილიას ერთ კერძო წერილში, რომელიც ილიას მოუწერია რუსეთიდან 1858 წ. 13 აგვისტოს (წერილი მოწერილია სოფ. კოლგაში ანიკო ვაჩნაძისადმი), - ვკითხულობთ ილიას თხზულებათა 1925-1951 წლების გამოცემების სარედაქციო შენიშვნებში, - სოსიკო ვაჩნაძე ამ დროს ჯერ კიდევ საქართველოში ყოფილა და უნივერსიტეტში წასვლისთვის ემზადებოდა. უნივერსიტეტში იგი ამის შემდეგ გამგზავრებულია. ილია ამ დროს უკვე «მველი» სტუდენტი იყო. ილია - ასე ვთქვათ - მასპინძლად დაგვხვედრია ახლად ჩამოსულს ამ ლექსის მიძღვნით აღუნიშნავს თავისი მეგობრობა ახალგაზრდა ამხანაგებთან». (ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა კრებული, ტ. I, 1951, გვ. 400).

ანიკო ვაჩნაძისადმი მიწერილ ზემოაღნიშნულ წერილში სოსიკო ვაჩნაძესთან დაკავშირებით ილია, კერძოდ, წერდა: «ამას წინათ სოსიკოს წიგნი [მომივი]და, ძალიანაც მიამა, ბევრ რაღაცეებსა მწერდა... სოსიკო მწერდა, რომ ვაპირობ რუსეთში წამოს [ლას]ო, არ იქნება ურიგო რომ წამოვიდე; ხომ იცი, საყვარელო დაო, რომ სწავლისთანა ამ [ქვეყანა]ში გამოსადეგი არა არის რა, მაშასადამე ცოდვა არის [სწა]ვლის მსურველს არ მისცენ საშუალება. მე კი წიგნი ვერ მოვსწერე სოსიკოს, რა ვქნა? ეს წყეული სიზარმაცე ვერაფრით ვერ მოვიშორე თავიდან, როგორც კატას ძალდი, ის [ე] მეც მეჯავრება წიგნის წერა» (ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. X, 1961, გვ. 16-17).

როგორც უკანასკნელ ხანებში გაირკვა, სოსიკო (იოსებ) რევაზის ძე ვაჩნაძე (1837-1907 წწ.) ილია ჭავჭავაძის ღვიძლი მამიდაშვილი იყო, - ილიას მამიდის, ეკატერინე პატას ასული ჭავჭავაძე-ვაჩნაძის ვაჟიშვილი. სოსიკო ვაჩნაძე

(ისევე როგორც მისი და, ანიკო ვაჩნაძე - ილიას ზემოთ ციტირებული წერილის ადრესატი) თანშეზრდილი იყო ილიასთან, ხოლო პეტერბურგში ერთად ცხოვრებამ ილია და სოსიკო უფრო დაახლოვად ერთმანეთთან. ეს სიახლოვე მათ მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყოლიათ. პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ იოსებ ვაჩნაძე პეტერბურგში მუშაობდა (მოსამართლედ). მერე იგი ერთხანს პარიზში ცხოვრობდა, შემდეგ კი სამშობლოში დაბრუნდა (იხ. რუსუდან ვაჩნაძე, სიხარული მომგვარა, - გაზ. «თბილისი», 1986, 21 ოქტომბერი, № 242; ოთარ კანდელიანი, ეს ფოტოსურათიც შეავსებს. გაზ. «თბილისი», 1987, 13 თებერვალი № 36).

თ. ნიკოლოზ ბარათაშვილზედ (გვ. 107)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : U: ავტოგრაფები - კრებ. № 108, გვ. 128 (B), № 109 (C).

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ჟურნ. «საქართველოს მოამბე», 1863, № 6, გვ. 31 (D); დედა და შვილი და რამდენიმე ლექსი თ. ილია ჭავჭავაძისა, ზ. ჭიჭინაძის გამ., 1882, გვ. 32 (E); თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 98 (A); სიტყვიერების თეორია, შედგენილი არხიმანდრიტის კირიონისა და გრ. ყიფშიძის მიერ, ტფილისი, 1898, გვ. 576 (F); ლექსები ილია ჭავჭავაძისა, ტფილისი, 1904, გვ. 38; ილია ჭავჭავაძის რჩეული ლექსები, წ. კ. გ. საზის გამოცემა, №81, ტფილისი, 1907, გვ. 27.

ს ა თ ა უ რ ი : ნიკოლოზ ბარათაშვილზედ C; ნიკოლოზ ბარათაშვილს (სარჩევში) A.

თ ა რ ი ღ ი : 1860 A; პავლოვსკი, აგვისტო, 1860 წ. B; აგვისტოს, 1860 D; 1860 წ., აგვისტოს E; - C.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : *** C.

B ავტოგრაფი სუფთა ნაწერია, C - ნასწორები.

ავტოგრაფებისა და ნებეჭდი წყაროების შედარება ძირითად (A) ტექსტთან ასეთ სხვაობას იძლევა:

1 აღარ გვეყვება!...] ჭაბუკ-პოეტო! B, ვაი დავკარგეთ C, ყრმაო პოეტო DE; უღმრთო] უღვთო B. 2 რავდენი] რაოდენ B, რამდენი CE; საუნჯენი] საუნჯენნი B. 3 ეგ მტკიცე გული] ეგე ზღვა-გული C; გამლილი] განშლილი B. 5 თანა] განა C. 8 ჩასჭკნენ] ჩაჭკნენ BC.

ბოლო, III სტროფი განსხვავებულად იკითხება ავტოგრაფებში და ნაბეჭდ წყაროებში. ნაბეჭდი ყველა წყარო მისდევს A-ს:

«არა დედ-მამა, - მაგ. სიკვდილით დაობლდა ერი!..
ვისლა მივანდოთ ჩვენი გრძნობა, ტანჯვა და ლხენა?
მაგრამ, პოეტო საყვარელო, ხარ ბედნიერი,
რომ შენი ლექსი სიკვდილითაც არა გკლავს შენა!

«საქართველოს მოამბეში» (D) არის მხოლოდ ერთი სხვაობა: ნაცვლად სიტყვისა «სიკვდილითაც» დაბეჭდილია «თვით სიკვდილშიც» (როგორც B-შია). B ავტოგრაფში ეს III სტროფი ასე იკითხება (იგი გადახაზულია ავტორის მიერ):

არა დედ-მამა, **შენ** სიკვდილით დაობლდა ერი!
ვინღა მოგვითხრას ჩვენი გრძნობა, ტანჯვა და ლხენა?...
მაგრამ, პოეტო საყვარელო, ხარ ბედნიერი,
რომ შენი ლექსი თვით **სიკვდილში გაცოცხლებს** შენა.

C ავტოგრაფში ეს ადგილი კიდევ უფრო განსხვავდება A-საგან:

არა დედ-მამა, მაგ სიკვდილით დაობლდა ერი.
ვინღა მოგვითხრას ჩვენი **ურვა, ჭირი** და ლხენა?
ვაი ჩვენ, თვარემ შენ მით მაინც ხარ ბედნიერი,
რომ შენი ლექსი თვით **მკვდრეთითაც აღგადგენს** შენა!

აქედან: «ურვა»-ს ნაცვლად ავტორს ჯერ დაუწერია «სევდა», შემდეგ გადაუხაზავს. ასევე «ვაი»-ს ნაცვლად ჯერ დაუწერია «მაგრამ», შემდეგ გადაუხაზავს. მე-2 3 სტრიქონების («ვაი ჩვენს...» ნაცვლად ავტორს ჯერ დაუწერია:

მაგრამ, პოეტო საყვარელო, ხარ ბედნიერი,
რომ შენი ლექსი თვით მკვდრეთითაც აღგადგენს შენა.

შემდეგ ეს სტრიქონები გადაუხაზავს და შეუცვლია სტრიქონებით «ვაი ჩვენ»...

1925 წლის გამოცემაში ძირითად ტექსტად აღებულია 1892 წლის გამოცემის (A) ტექსტი, მაგრამ ბოლო სტრიქონში BD წყაროებიდან შეტანილია სიტყვები «**თვით სიკვდილში**», რის გამოც 1892 წლის გამოცემაში დაბეჭდილი ტექსტის ბოლო სტრიქონმა («რომ შენი ლექსი ს ი კ ვ დ ი ლ ი თ ა ც არა გვკლავს შენა») ასეთი სახე მიიღო: «რომ შენი ლექსი თ ვ ი თ ს ი კ ვ დ ი ლ შ ი არა გვკლავს შენა». ეს სტრიქონი წინამდებარე ტომში აღდგენილია 1892 წლის გამოცემის ტექსტიდან.

1937-1951 წწ. გამოცემებში კი 1892 წელს დაბეჭდილი ლექსის ნაცვლად ძირითად ტექსტად უკვე ჩვენი ლიტერით C ავტოგრაფია (ძვ. № 5169-S) აღებული.

3. ინგოროყვა ამ ავტოგრაფს 1892 წელს დაბეჭდილი ტექსტის გადამუშავებულ რედაქციად მიიჩნევს (იხ. ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, 1951 წ., ტ. I, გვ 411) და 1937-1951 წწ. გამოცემებში შეაქვს, როგორც ავტორის ბოლო ნება; თუმცა მკვლევარს ამ ტექსტშიც შეუტანია ცვლილებები და ავტოგრაფისეული სიტყვა «დაგვარგეთ» შეუცვლია სიტყვით «დაგვარგეთ»; «რამდენი»-ს ნაცვლად 1892 წლის ტექსტიდან (ჩვენი A) შემოტანილია «რავდენი», ავტოგრაფისეული «განა» შეცვლილია სიტყვით «თანა», ხოლო ნაცვლად ფორმისა «ჩაჭკნენ» ნახმარია «ჩასჭკნენ».

ზემოთ მოტანილი ვარიანტების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ C არ არის 1892 წელს დაბეჭდილი ტექსტის (A) რედაქციული გადამუშავების შედეგი (იხ. ზემოთ), რადგანაც მასში გადახაზული სიტყვები (ე.ი. C-ს პირვანდელი სახე) არ ემთხვევა A-ს ტექსტს, რომელიც C-ს ჩასწორების შემდეგ უნდა მიღებულიყო. ამიტომ ლექსის ძირითად ტექსტად ჩვენ ისევ 1892 წელს დაბეჭდილ ტექსტს ვიღებთ, როგორც ავტორის ბოლო ნებას (A).

რაც შეეხება ავტოგრაფებს: ილიას თხზულებათა მიხ. გედევანიშვილისეულ გამოცემაში აღნიშნულია, რომ ეს ლექსი სამჯერ არის დაწერილი (იხ. ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1914 წ., ტ. I, შენიშვ. გვ. VII). თუ ამ «დაწერილში» სამი ავტოგრაფი იგულისხმება, აქედან მოხსენებულია მხოლოდ ერთი - ძვ № 4993 (ჩვენი № 108). მეორე ავტოგრაფში ნაგულისხმევია ჩვენი ლიტერით C ავტოგრაფი, მაგრამ რომელია მესამე, - ძნელი გასარკვევია. დღემდე ცნობილია ამ ლექსის ორი ავტოგრაფი (ასე მიუთითებს პ. ინგოროყვაც. იხ. ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, 1951 წ., ტ. I, გვ. 410-411, გვ. 433). ვფიქრობთ, მესამე «დაწერილი» (ე.ი. III ვარიანტი) არის სწორედ 1892 წლის ტექსტი, რომელიც ემთხვევა 1914 წელს დაბეჭდილ ლექსს (იხ. გვ. 53). იგი B ტექსტთან ერთად გატანილია ძირითად ტექსტად (ე.ი. 1914 წლის მიხ. გედევანიშვილისეულ გამოცემაში ამ ლექსის ორი ვარიანტი A და B გატანილია, როგორც ძირითადი ტექსტები), ხოლო G ვარიანტი, რომელსაც პ. ინგოროყვა ლექსის ბოლო რედაქციად მიიჩნევს, მოთავსებულია ვარიანტების განყოფილებაში (იქვე, გვ. 506).

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1925-1951 წლების გამოცემებში ილიას პირველი ლექსი «თ. ნიკოლოზ ბარათაშვილზედ» (იხ. ჩვენი ტომის გვ. 100) მიჩნეულია წინამდებარე ლექსის პირველ რედაქციად, რასაც არ ვიზიარებთ (იხ. გვ. 378). მითითებულ გამოცემებში ლექსს თარიღად უზის მხოლოდ წელი («1860 წ.») თუმცა სარედაქციო შენიშვნებში (ილიას მხატვრულ ნაწარმოებთა ქრონოლოგიურ სიაში) ლექსი, B ავტოგრაფზე დაყრდნობით, დათარიღებულია ასე: «1860 წ. აგვისტო, პავლოვსკი».

1914 წლის გამოცემაში (სარჩევში, გვ. 11) ლექსი დათარიღებულია 1860 წლის 19 ივლისით და მითითებულია ლექსის დაწერის ადგილიც - პავლოვსკი; ლექსის B ვარიანტი, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, აქ ძირითადად ტექსტებთან ერთადაა დაბეჭდილი, დათარიღებულია (სარჩევში, გვ. VI) 1860 წლის აგვისტოთი (დაწერის ადგილის - პავლოვსკის - აღნიშვნითურთ), ისევე, როგორც ვარიანტების განყოფილებაში დაბეჭდილი ტექსტიც.

ლექსი დავათარიღეთ B ავტოგრაფის მიხედვით.

*** «ჩემო მკვლელო»... (გვ. 108)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : U: ავტოგრაფი, კრებ. № 108, გვ. 129 (B); K: ავტოგრაფი, № 1038 (C).
ნ ა ბ ე ჭ დ ი : «კრებული», 1871, წიგნი 3, გვ. 100 (D), დედა და შვილი და რამდენიმე ლექსი თ. ილია ჭავჭავაძისა, ზ. ჭიჭინაძის გამ., 1882, გვ. 22; ჩანგი, შედგენილი ვ. აბაშიძისა, ტფილისი, 1889, გვ. 320 (E); თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 164 (A).
თ ა რ ი დ ი : 1871 (სარჩევში - 1859) A; აგვისტო, 1860, პავლოვსკი B; 1860 წ., პავლოვსკი C.

ხელმოწერა: ილია ჭავჭავაძე C; *** D; N (სარჩევში)E.

ეპიგრაფი: - CE.

5-6 მაგრამ შენში... ნატვრით გულსა] მაგრამ შენ გაქვს რაღაც მაღლი, ის იზიდავს შენად გულსა C.

C ავტოგრაფში ლექსი «ჩემო მკვლელი»... ჩართულია კირილე ლორთქიფანიძისადმი მიწერილ ილიას ბარათში (იხ. კომენტარი ლექსისა «ვიხილე სატრფო»..., - წინამდებარე ტომი, გვ. 340).

«ჩემო მკვლელი»-ს ადრესატის თაობაზე იხ. კომენტარი ლექსისა «მაშინ დავსტკბები» (გვ. 346-348).

ლექსის ეპიგრაფად აღებულია ტაეპი მ.ი. ლერმონტოვის უსათაურო ლექსიდან: «Я к вам пишу: случайно! право»...

ლექსს ვათარილებთ B ავტოგრაფის მიხედვით.

მეფანტურე (გვ. 109)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : M: ავტოგრაფები - კრებ. № 17501, გვ. 37-39, 42 (B); U: ავტოგრაფი, კრებ. № 108, გვ. 130 (A).

თ ა რ ი ღ ი : B; 12 სექტემბერი, 1860 წ., პავლოვსკი A.

«მეფანტურე», დამოუკიდებელი ნაწარმოების სახით, ავტორის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა.

A ავტოგრაფულ კრებულში «მეფანტურის» ტექსტში რამდენსამე ავტორისეულ სწორებას ვხვდებით: ლექსის 109 გვ. მე-3 სტრიქონში, ნაცვლად სიტყვისა «მაგრამ» ჯერ ყოფილა «მარამ»; ნაცვლად სიტყვებისა «ნაღვლით მზირალი» თავდაპირველად სხვა სიტყვები ეწერა, რომლებიც ვერ იკითხება; მე-19 სტრიქონში ნაცვლად სიტყვისა «მეომარი», ჯერ ეწერა «ერთი», მე-20 სტრიქონში, ნაცვლად სიტყვებისა «მით ერთი», თავდაპირველად იყო «რომ შვილით»; 110 გვ. მე-19 სტრიქონში, ნაცვლად სიტყვისა «დაცვა», ეწერა «დაწვა»; მე-20 სტრიქონში ნაცვლად სიტყვისა «მოწამედ», ჯერ იყო «მოწამეც».

მითითებული ტექსტი (A) ლექსის საბოლოო (მეორე) ვარიანტს წარმოადგენს. ტექსტში შესწორდა ორიოდე ფორმა: 109, 3; 110, 27 ხოლოთ - მხოლოდ. 110, 22 ჩაგქრენ - ჩაქრნენ.

B ავტოგრაფულ კრებულში «მეფანტურის» პირველ ვარიანტზე მუშაობის პროცესია ასახული. აქ ამ ვარიანტის ოთხი ერთიმეორისაგან მეტნაკლებად განსხვავებული ტექსტია მოთავსებული. პირველი ტექსტი (გვ. 37) სუფთად არის ნაწერი. დანარჩენი ტექსტები (გვ. 38, 38-39, 42) ნასწორებია; ზოგი ადგილი ძნელად იკითხება ან საერთოდ ვერ იკითხება.

ქვემოთ ვბეჭდავთ მითითებულ ტექსტებს ავტოგრაფისეული (B) თანმიმდევრობით.

I ტექსტი (B, გვ. 37):

მ ე ფ ა ნ ტ უ რ ე

სოფლებში ვლიდა ოდესღაც თურმე
ბრმა მეფანტურე მოხუცებული;
ფანტურსა იგი დამღერდა ხოლმე,
მის გარსა ხალხი შეგროვებული
ისმენდა მღერას დაღონებული.
თურმე მღეროდა ის იმ დღეებზედ,

ოდეს ვყოფილვართ ჩვენ უკეთესნი,
ჩვენ მამა-პაპის სისხლზედ და ძვლებზედ.

II ტექსტი (B, გვ. 38):

სოფლებში ვლიდა ოდესღაც თურმე
[.....] ხოლმე,
გლახა საბრალო, შეწუხებული,
ბრმა მეფანტურე მოხუცებული.
იგი უყვარდა ჩვენ დაბალ ხალხსა,
დიდსა, პატარას, ყრმასა თუ ქალსა;
რა მას ნახვიდენ დედა და შვილნი,
მოხუცნი, ჯოხზედ ჩამოხეილნი,
მუშა, ჭაბუკი მისკენ სრბოდნენ
და მას მოხუცსა შემოერთყოდნენ,
და ის ღიღინით, დაფიქრებული
თვის ერგულ ფანტურს ზედ დამღეროდა.

III ტექსტი (B, გვ. 38-39):

სოფლებში ვლიდა ოდესღაც თურმე,
ოდესღაც თურმე ვლიდა სოფლებში
გლახა საბრალო, დაღონებული,
ძველ ფანტურითა მუდამა ხელში
ბრმა მეფანტურე მოხუცებული.
ის ჰყვარებია ჩვენ დაბალ ხალხსა, -
დიდსა, პატარას, ყრმასა თუ ქალსა,
რა მას ნახვიდნენ ჭაბუკნი ყრმანი,
მოხუცნი, შვილით ხელში დედანი,
დიდ და პატარა მისკენა სრბოდნენ
და მას მოხუცს გარს შემოერთყოდნენ,
ის კი, ღიღინით, დაფიქრებული
ფანტურს დამღერდა შეწუხებული.
იგი უმღერდა ახალ ქართველთა,
ძველთა გმირების საქმეთა ქველთა,
იმ ნეტარ დროსა, ოდეს თამარი
ჩვენა გვდედობდა დაუვიწყარი.
ოდეს ქართველი ქართველათ ყოფილა
და თვის მამული მას ჰკუთნებია.

აქედან: მე-7 სტრიქონის შემდეგ წერია: «რა ნახვიდნენ მას მოხუცს საწყალსა»,
გადახაზულია; მე-12 სტრიქონის შემდეგ გადახაზულია: «თვის ერთგულ ფანტურს
ზედ დამღეროდა»; მე-13 სტრიქონის შემდეგ გადახაზულია: «მის სიტყვებს ჰქონდათ
საოცნი ძალა».

B-ს 42-ე გვერდზე ილიას კვლავ განუახლებია ტექსტზე მუშაობა. პოეტი
ძირითადად B-ს III ტექსტს დაყრდნობია, თუმც მასში გარკვეული ცვლილებები

შეუტანია და განუვრცია იგი, რის შედეგადაც ლექსმა (პირველმა ვარიანტმა) ასეთი სახე მიიღო:

მ ე ფ ა ნ ტ უ რ ე

ოდესღაც თურმე ვლიდა სოფლებში,
თვის ფანტურითა ყოველთვის ხელში,
გლახა საბრალო, შეწუხებული,
ბრმა მეფანტურე მოხუცებული,
ის ყვარებია ჩვენ ობოლ ხალხსა, -
დიდსა, პატარას, ყრმასა თუ ქალსა!
რა მას ნახვიდნენ ჭაბუკნი ყრმანი,
მოხუცნი. შვილნით ხელში დედანი,
მუშა, მეგუთნე, მფარცხავი, მთესი,
მეურნე, მეხრე, მემცხვარე, მწყემსი,
დიდი, პატარა მისკენ სრბოდნენ
და იმ მოხუცს გარს შემოერთყოდნენ.
ის კი ღიღინით, დაღონებული,
ფანტურს დამღერდა ჩაფიქრებული,
თურმე უმღერდა ახალ ქართველთა
ძველ გმირებისა საქმეთა ქველთა,
იმ დროს, როს ჩვენცა ვყოფილვართ ხალხი,
თვით ხელთ გვჭერია ჩვენ ბედის ჩარხი,
ოდეს გვქონია თავისუფლება
და არ გვცოდნია უღვთო მონება.
სიმღერა იყო მისი მარტივი
და მარტივ სოფლელთ გულსა უთბობდა,
მაგრამ ვით მზისა მხურვალე სხივი,
ხან სწვავდათ საწყლებლს და ხან ატკობდა
იგი პატრონი ძლიერ სიტყვისა,
იგი უბრალო ბრმა მომღერალი.

—

იგი პატრონი ძლიერ სიტყვისა,
იგი უბრალო ბრმა მომღერალი
მიიზიდავდა [ჩვენ გლეხს] მარტივსა
[ვითა] ყანვაში კაცს ცეცხლის ალი.

აქედან: 14-15 სტრიქონებს შორის («ფანტურს»... «თურმე»...) გადახაზულია:

თურმე უმღერდა ახალ ქართველთა
ძველ გმირებისა საქმეთა ქველთა,
ჩვენც როდესღაცა ვყოფილვართ ხალხი,
ჩვენცა გვქონია თავისუფლება;
ჩვენც ხელთ გვეჭირა ჩვენ ბედის ჩარხი.

16-17 სტრიქონებს შორის («ძველ»... «იმ დროს»...) გადახაზულია:

იმ დროს, როც ჩვენცა ვყოფილვართ ხალხი,
ჩვენცა გვექონია თავისუფლება,
ჩვენც ხელთ გვეჭერია ჩვენ ბედის ჩარხი.
ოდეს სცხოვრობდა დიდი თამარი,
ის დედა ჩვენი დაუვიწყარი.

20-21 სტრიქონებს შორის («და არ გვცოდნია»... «სიმღერა იყო»...) გადახაზულია:

და მის სიმღერა იყო მარტივი,
ყოფილა მღერა მისი მარტივი,
უხელოვნო, ვით მინდვრის ყვავილი,
და ვით ზაბახულის ცხარე მზის სხივი
მხურვალე, მლხენი, მომშვები, ტკბილი,
ბედნიერ იყო...

24-25 სტრიქონებს შორის («ხან სწვავდათ»... «იგი პატრონი»...) გადახაზულია: «ხალხი სიმღერით აღტაცებული».

29-30 სტრიქონებს შორის («მიიზიდავდა»... «ვითა ყინვაში»...) გადახაზულია: «გულ დაუწვავდა, ვით ნალვერდალი».

არც ერთი ზემოთ მოტანილი ტექსტი ავტორის მიერ დათარიღებული არ არის (1925-1951 წწ. გამოცემებში «მეფანტურის» ზემოაღნიშნული პირველი ვარიანტის დაწერის თარიღად მითითებულია 1860 წ. და სარედაქციო შენიშვნებში განმარტებულია, რომ ეს ვარიანტი ჩაწერილია ავტოგრაფული კრებულის მეორე ნაწილში, რომელიც წარმოადგენს ილია ჭავჭავაძის 1860 წლის ლექსების შავებს. იხ. ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, 1951, გვ. 438).

ლექსის პირველი ვარიანტისაგან რედაქციულად განსხვავდება «მეფანტურის» მეორე, საბოლოო ვარიანტი (A),²² რომელიც - პირველად ჩვენს გამოცემაში - ძირითად ტექსტებში იბეჭდება.

A-ს ტექსტი დაიბეჭდა ი. ჭავჭავაძის თხზულებათა მ. გედევანიშვილისეულ გამოცემაში (1914 წ.), - ვარიანტების განყოფილებაში (გვ. 508 – 509), დათარიღებულია 1860 წ. 12 სექტემბრით (სარჩევში, გვ. V). ნაბეჭდი თანხვდება ავტოგრაფს.

ი. ჭავჭავაძის თხზულებათა 1925-1951 წწ. გამოცემებში ვარიანტების განყოფილებაში დაიბეჭდა «მეფანტურეს» როგორც პირველი ვარიანტი (B-ს IV ტექსტი) 1860 წ. თარიღით, ასევე მეორეც (A), ზემო მითითებული თარიღით. ამ გამოცემებში A-ს ტექსტში ორიოდე ორთოგრაფიული სწორებაა შეტანილი (ავტოგრაფისეული ხოლოთ შეცვლილია ფორმით **მხოლოდ**, **ჩაკრნენ-ჩაქრნენ**), ხოლო პირველი ვარიანტის ტექსტი საკმაოდ მნიშვნელოვანი ცვლილებებითაა დაბეჭდილი. კერძოდ, ამ გამოცემებში ორთოგრაფიულ სწორებათა გარდა (ყვარებია - ჰყვარებია, შვილნით - შვილით), ავტოგრაფისეული «თურმე ვლიდა»-ს ნაცვლად, ლექსის პირველ სტრიქონში დაბეჭდილია «ვლიდა თურმე». 16-17 სტრიქონებს შორის («ძველ გმირებისა»... «იმ დროს»...) აღდგენილია სტრიქონები: «ოდეს ცხოვრობდა

²² A ავტოგრაფში, ლექსის V სტროფში, ნაცვლად სიტყვებისა «მით ერთი», თავდაპირველად ეწერა «რომ შვილად».

დიდი თამარი, ის დედა ჩვენი დაუვიწყარი», რომლებიც ავტოგრაფში ავტორის მიერაა გადახაზული სხვა სტრიქონებთან ერთად (იხ. ზემოთ); მე-20 სტრიქონში ავტოგრაფისეული «უღვთო» («უღვთო მონება») აღნიშნულ გამოცემებში გადაკეთებულია სიტყვად «უცხო» («უცხო მონება»); ნაბეჭდ ტექსტში გამოტოვებულია ილიასეული ერთი სტროფი -21-24 სტრიქონები («სიმღერა იყო მისი მარტივი»...).

აღნიშნულ გამოცემებში ლექსის პირველ და მეორე ვარიანტებს, გარდა ავტოგრაფისეული დასათაურებისა («მეფანტურე»), საერთო სათაურიც აქვთ მოცემული: «პირვანდელი ესკიზები პოემისა მეფე დიმიტრი თავდადებული». მაგრამ ასეთი დასათაურება, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვან კორექტივს მოითხოვს:

მართალია, «მეფანტურის» მითითებული ვარიანტები (უფრო სწორად - ლექსის მეორე, საბოლოო ვარიანტი) - თუკი «ათვლის ობიექტად» პოემას ავიღებთ, - ადვილად შესაძლებელია «მეფე დიმიტრი თავდადებულის» პირვანდელ ესკიზებად აღვიქვათ, რადგან შემდგომში, «დიმიტრი თავდადებულზე» მუშაობის დაწყებისას, როგორც სავსებით სამართლიანად მიუთითებს პ. ინგოროყვა, «ლექსი «მეფანტურე» ილიას აულია როგორც გამოსავალი თემატიკური ფუძე პოემისათვის... და მის ქარგაზე გაუშლია პოემა»²³ მაგრამ, მეორე მხრივ, არ მოგვეპოვება არავითარი არგუმენტი მტკიცებისათვის, რომ თივით ლექსის შექმნის დროს ილია ვარაუდობდა «მეფანტურის» თემის შემდგომ გაშლას და დამუშავებას, ან «დიმიტრი თავდადებულის» თემასთან მის დაკავშირებას. ამ მხრივ ნიშანდობლივია, რომ ლექსის პირველ ვარიანტში, როგორც ამის თვით პ. ინგოროყვაც აღნიშნავს, «დიმიტრი თავდადებულის სახელი არც კია მოხსენებულია და მეფანტურე წარსულიდან მხოლოდ თამარს მოიგონებს». ხოლო რაც შეეხება «მეფანტურის» მეორე, საბოლოო ვარიანტს (A), აქ უკვე აღარც თამარ მეფის სახელი გვხვდება, - «წარსულის სურათი აქ უფრო განყენებით არის დახატული, მაგრამ შინაარსიდან ირკვევა, რომ პოეტი აქ ერეკლე მეფის დროს იგულისხმებდა. თვით ბრმა მეფანტური წარმოდგენილია როგორც მომსწრე წარსულ დროებათა, როდესაც «ქართველის ბედი ჩვენვე, ქართველთ, გვეპყრა ხელში» და მეფანტურე უმდერის ამ ახლო წარსულის, თავისუფლების ხანის საგმირო საქმეებს და მწუხარებით დასტირის მის დროს დამონებული ქვეყნის დაკნინებულ მდგომარეობას»²⁴

ამდენად, თუკი პოემა «მეფე დიმიტრი თავდადებული» მართლაც არის გარკვეულწილად დავალებული ილიას ჭაბუკობის დროინდელი ლექსით (ამის შესახებ იხ., აგრეთვე, ქვემოთ, - კომენტარი პოემისა «მეფე დიმიტრი თავდადებული», გვ. 510-511), მეორე მხრივ, «მეფანტურე». ეჭვს გარეშეა, «დიმიტრი თავდადებულისაგან» სრულიად დამოკიდებულად არის შექმნილი და ამდენად იგი «პირვანდელი ესკიზი» კი არ არის პოემისა, არამედ დასრულებული, სრულყოფილი პოეტური ნაწარმოები, რომელსაც ფრიად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ილიას პოეტურ ბიოგრაფიაში.

«მეფანტურე» დავათარილეთ A ავტოგრაფის მიხედვით.

²³ ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ტ. I, 1951, გვ. 378.

²⁴ იქვე, გვ. 377-378

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : U: ავტოგრაფი, კრებ. № 108, გვ. 132 (B).

ნ ა ბ ე ქ დ ი : ჟურნ. «საქართველოს მოამბე», 1863, № 3, გვ. 47 (C);

ჩონგური, შედგენილი ვ. ლორთქიფანიძისაგან, ს. პეტერბურდი, 1864, გვ. 119 (D); «კრებული», წიგნი მე-7, ტფილისი, 1872, გვ. 137 (E); თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 92 (A); ჩანგი, შედგენილი ვ. აბაშიძისა, გამოცემა მე-2, ტფილისი, 1892, გვ. 113 (F); ჩანგი, შედგენილი ვ. აბაშიძისა, გამოცემა მე-4, ბათომი, 1900, გვ. 134 (G); გაზ. «ივერია», 1904, № 150, გვ. 2 (H); ლექსები ილია ჭავჭავაძისა, მად. «ცოდნის» გამოცემა, ტფილისი, 1904, გვ. 35; ილია ჭავჭავაძის რჩეული ლექსები, წ. კ. გ. საზ-ის გამოცემა, № 80, ტფილისი, 1907, გვ. 13; იგივე გამოცემა, № 81, გვ. 20.

ს ა თ ა უ რ ი ს ქ ვ ე შ : ლექსი თ. ილია ჭავჭავაძისა E.

თ ა რ ი დ ი : 1860 A; 5 ნოემბერი, 1860 წ., პეტერბურგი B; ნოემბერს, 1860 C; ნოემბერი, 1860 D.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : *** D; ი. ჭავჭავაძე H; ი. ჭავჭავაძე (სარჩევში) F. B-ში თავდაპირველად სათაურად ეწერა «კანვოელი», ავტორს გადაუხაზავს და ქვეშ დაუწერია ახალი სათაური: «იანიჩარი».

1. რაზმიდამ] რაზმიდან E. 2 მისმა] მისსა BC. 4 ჰზის] CBDEF;

B-ში «ვინმეს» ნაცვლად ჯერ ეწერა «ლალი», გადახაზულია. 5 რაღაცამ] რაღამაც D. 7 ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ ~ F. 8 ცხენიდანამა] ცხენიდანა H. 11 იჩენ] აჩენ BCDE. 12 რომ] რო B-ში, ნაცვლად სიტყვებისა «შენს დამღუპველ ოსმალეთსა». ჯერ ეწერა: «შენით ბნელსა ჩრდილოეთსა», გადახაზულია.

1872 წლის «კრებულში» (E) ლექსს ბოლოში დართული აქვს ნიკ. დიმიტრიძის (ნიკ. ყიფიანის) განმარტება: «იანიჩარს ოსმალეთში ემახდნენ უცხო ქვეყნის კაცს, ოსმალეთის ჯარში შესულს, რომელიც ხვანთქარს ემსახურებოდა. იანიჩარებში ერივნენ სხვათა შორის ქართველებიც. ქართველი იანიჩარი, ჩვენი ქვეყნიდან ოსმალეთში გადავარდნილი, უნახავს პოეტსა და გამოუხატავს მშვენიერი ლექსით»...

1904 წელს გაზ. «ივერიაში» დაბეჭდილი ლექსი ჩართულია ა. ფრონელის (ალ. ყიფშიძის) წერილში «ნახული და გაგონილი», რომელშიც ლაპარაკია საქართველოდან გადახვეწილ ქართველებზე, მათ სარწმუნოებაზე და ბოლოს ავტორი დასძენს: «აბა მოისმინეთ, რა სევდა მოსწოლია პოეტს, ქართველი იანიჩარი რომ უხილავს», - და ქვემოთ მოაქვს ლექსი ავტორის ხელმოწერით.

რამ დააწერინა სინამდვილეში ილიას ეს ლექსი? როგორც B ავტოგრაფიდან ჩანს, ლექსი დაწერილია 1860 წელს, პეტერბურგში. რაკი ამ ლექსს ავტორი პეტერბურგში წერს, სავსებით მართებულია ის მოსაზრება, რომლის თანახმადაც, პეტერბურგში ყოფნის დროს ილიას შეეძლო ენახა «კონვოელები», რომლებშიც ქართველი თავადაზნაურებიც ერივნენ და იქ მიღებული შთაბეჭდილებით დაეწერა ეს ლექსი. (იხ. ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, ტ. I, მიხ. გედევანიშვილის გამოცემა, 1914, შენიშვნა გვ. VIII; ილია ჭავჭავაძე, ტ. I, 1937, პ. ინგოროყვას რედაქციით, გვ. 744). ამას გვიდასტურებს ავტოგრაფის თავდაპირველი სათაურიც - «კანვოელი», რომელიც ავტორს შემდეგ გადაუხაზავს.

1925 წლის გამოცემაში გათვალისწინებულია ავტორის ბოლო ნება და ლექსის სათაურად «იანიჩარია» დაბეჭდილია; 1937 წელს გამოცემულ I ტომში აღდგენილია ლექსის თავდაპირველი სათაური «კანვოელი», თუმცა 1951 წლის გამოცემაში კვლავ

«იანიჩარია». «ლექსი ილიას სიცოცხლეში ასეთი სახით იბეჭდებოდა, ჩვენც ეს უკანასკნელი რედაქცია დავტოვეთ» - წერს პ. ინგოროყვა (იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზ., ტ. I, 1951, გვ. 387). ამავე სათაურით დაიბეჭდა ლექსი 1914 წელს, მიხ. გედევანიშვილისეულ გამოცემაშიც (გვ. 66).

რადგანაც პოეტმა ავტოგრაფში თვითონ გადახაზა სათაური «კანვოელი» და ლექსს «იანიჩარი» უწოდა, ჩვენც ამ სათაურით შეგვაქვს იგი წინამდებარე ტომში.

ლექსს ვათარიღებთ ავტოგრაფის მიხედვით.

*** გახსოვს, ტურფავ...» (გვ. 112)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : U: ავტოგრაფი, კრებ. № 108, გვ. 133 (B).

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ჟურნ. «ცისკარი», 1861, № 4, გვ. 518 (C); სასიმღერო ლექსები, გამოცემული ი.დ. ე-სგან, ტფილისი, 1869, გვ. 3 (D); ჩანგი, შედგენილი ვ. აბაშიძისა, ტფილისი, 1889, გვ. 134 (E); თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 95 (A); ჩანგი, შედგენილი ვ. აბაშიძისა, გამოცემა მე-4, ბათომი, 1900, გვ. 295; პატარა ჩანგი, გამოცემა ი. იმედაშვილისა, ტფილისი 1902, გვ. 32 (F); პატარა ჩანგი, გამოცემა მე-2 ი. იმედაშვილისა, ტფილისი, 1903, გვ. 32 (G).

ს ა თ ა უ რ ი : ალბომში CD.

თ ა რ ი ღ ი : 1860 A; 5 ნოემბერს, 1860 წელსა, პეტერბურღი B; 5 ნოემბერს, 1860 წელსა C.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თ. ილია ჭავჭავაძე C; ილია ჭავჭავაძე EG; ი. ჭავჭავაძე (სარჩევში)D.

112. 1 ჩვენს] ჩვენ B. 2 ვრზოდით] ვსრზოდით B. 5 მოსწყვიტე] მოწყვიტე B; ქორფა] ტურფა E. 6 გადმომიგდე] გარდმომიგდე E. 7 B-ში «გიჟო»-ს ნაცვლად ჯერ ეწერა «გმირო», გადახაზულია. 11 ვარდზე] ვარდზედ BDE. 14 აყრდნობდი ჩემს მხარეზე] იხრიდა ჩემს მკერდზედ BCDE.

113. 7 გესლად] გველად D. 8 შენის გმობით] შენ გმობითა B. შავ-გმობითა DE; შემეცვლოდა] შეგვეცვლოდა D.

არსებობს გადმოცემა, რომ ეს ლექსი ილიამ მიუძღვნა თავისი შორეული ნათესავის სოლომონ ჭავჭავაძის ასულს - ელისაბედ ჭავჭავაძეს (შემდეგ - კოტე მარჯანიშვილის დედა). ამის შესახებ იხ. 1914 წლის მიხ. გედევანიშვილისეული გამოცემა, ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, გვ. XVIII –XX (იხ. აგრეთვე. კ. აბხაზის მოგონება ილიაზე, - ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი I, 1935, გვ. 566).

ლექსი დავათარიღეთ ავტოგრაფის მიხედვით.

წუხილი (გვ. 114)

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ჟურნ. «ცისკარი», 1861, № 1, გვ. 134 (B); საჩუქარი ქართველ ყმაწვილებს, შეკრებილი და გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან, ტფილისი, 1878, გვ. 48 (A).

ს ა თ ა უ რ ი : - B.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ჭ. AB.

ლექსის²⁵ B ტექსტი უფრო დაშორებული უნდა იყოს ავტორის ნებისაგან (ამ დროს ილია პეტერბურგში იმყოფებოდა) ვიდრე A. «ცისკარში» დაბეჭდილმა ილიასეულმა ლექსებმა ბევრჯერ იცვალეს ფერი ტექსტში გაპარული უხეში შეცდომების გამო. ეს არის იმის მიზეზი, რომ A-ში დაბეჭდილი ტექსტი უფრო გამართულად გვეჩვენება. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებასაც, რომ ამ დროს (1878 წ.) ილია უკვე თბილისში ცხოვრობდა და უყურადღებოდა არ რჩებოდა თავისი ნაწერების პუბლიკაცია. A ტექსტს შეიძლება ვუწოდოთ ავტორის ბოლო ნება. ამის უფლებას კი, პირველად ყოვლისა. თვითონ ლექსი გვამძლევს. მაგალითად, «ცისკარში» დაბეჭდილია «როცა წუხილი მსჩაგრავს უწყალო», A-ში შეცვლილია: «როცა წუხილი მსჩაგრავს უწყალოდ».

B-ში: «და იმ სიმღერას ჩემს წყურვილს ვანდობ». სწორად მიგვაჩნია სტრიქონის ის წაკითხვა, რომელიც A წყაროშია წარმოდგენილი: «და იმ სიმღერას ჩემს წუხილს ვანდობ». რადგან მთელ ლექსში მწუხარებაზეა ლაპარაკი, ამიტომ კონტექსტს «წუხილი» უფრო შეეფერება, ვიდრე «წყურვილი».

ყოველივე ამის გამო, ჩვენი აზრით, პოეტის ბოლო ნების გამომხატველი უნდა იყოს 1878 წ. დაბეჭდილი ტექსტი, რომელიც მას შემდეგ ასეთი სახით პირველად ქვეყნდება ჩვენს გამოცემაში. სათაურსაც ამ წყაროდან ვიძლევი. ტექსტში გასწორდა ერთი ფორმა; მსჩაგრავს - მჩაგრავს.

ლექსის ავტორისეული თარიღი უცნობია. მაგრამ რადგან «ცისკარის» იმ ნომერზე, რომელშიც წუხილი» დაიბეჭდა, ცენზურის ნებართვა გაცემულია 1860 წლის 20 ნოემბერს, ლექსს პირობითად ასე ვათარილებთ: [1860 წ., 20 ნოემბრამდე]. ი. ჭავჭავაძის თხზულებათა 1925-1951 წწ. გამოცემებში, სადაც ლექსი უსათაუროდაა დაბეჭდილი, დათარიღებულია - [1860 წ.].

*** «დაბნელდა სული...» (გვ. 115)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : U: ავტოგრაფი, კრებ. № 108, გვ. 152 (B)

ნ ა ბ ე ჭ დ ი : თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 93 (A);
სიტყვიერების თეორია, შედგენილი არხიმანდრიტის კირიონისა და გრ. ყიფშიძის მიერ, ტფილისი, 1898, გვ. 575; ჩვენი მწერლობა, I, მგოსნები, შედგენილ-გამოცემული ს. გორგაძის მიერ, თბილისი, 1907, გვ. 37 (C).

ს ა თ ა უ რ ი : დაბნელდა სული C.

თ ა რ ი ღ ი : 1860 წ. AC; 25 დეკემბერი, 1860 წ., პეტერბურგი B.

B-ს დასაწყისში წერია: «დაბნელდა სული, გარშემოც ბნელა, სიცივე მკვიდრობს უბუდურ გულში», - გადახაზულია.

3. საზრდო] საზრდო B. 4 სიმულვილში] სიმულილში B. 5 სიმდაბლეს] სიდაბლეს B. 7 ბევრჯერ] ბევრჯელ B. 11 მდაბალ] დაბალ AB.

ლექსი დავათარიღეთ ავტოგრაფის მიხედვით.

²⁵ პ. ინგოროყვა ამ ლექსს თვლის ლექსის «ჩემო სიმღერავ...» (იხ. ჩვენი ტომის გვ. 117) «საკმაოდ დაშორებულ ვარიანტად» (ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, 1951 წ., გვ. 469). ამის შესახებ დაწვრილებით იხ. ჩვენი ტომის გვ. 405-406.

*** «უსულდგმულო ცხოვრება...» (გვ. 116)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : U: ავტოგრაფი, კრებ. № 108 გვ. 129 (B).

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ჟურნ. «საქართველოს მოამბე», 1863, № 3, გვ. 46 (C); დედა და შვილი და რამდენიმე ლექსი თ. ილია ჭავჭავაძისა, ზ. ჭიჭინაძისა, გამ., ტფილისი, 1882, გვ. 17 (D); თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 97 (A); ჩანგი, შედგენილი ვ. აბაშიძისა, გამოცემა მე-2, 1892, გვ. 379 (E); ჩანგი, შედგენილი ვ. აბაშიძის, გამოცემა მე-4, ბათომი, 1900, გვ. 312. (F); ილია ჭავჭავაძის რჩეული ლექსები, წ. კ. გ. საზ-ის გამოცემა, № 80 და იგივე გამოცემა, № 81, ტფილისი, 1907 (G); ჩვენი მწერლობა, I. მგოსნები, შედგენილ-გამოცემული ს. გორგაძის მიერ, თბილისი, 1907, გვ. 54 (H).

ს ა თ ა უ რ ი : უსულდგმულო ცხოვრება GH.

თ ა რ ი ღ ი : 1860 წ. ACDH; პეტერბურღი 1860 წ. B.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : *** C; ილია ჭავჭავაძე (სარჩევში) EF.

7 და ის უბოლო] და მით უკვდავი B, «უკვდავის» ნაცვლად ჯერ ეწერა «უბოლო», გადახაზულია. 9 კარგის] ქველურ, B დიდის DE. 10 B- ში ნაცვლად სიტყვისა «აღნიშნავს» თავდაპირველად ეწერა «აღბეჭდავს».

ლექსს ვათარღიებთ ავტოგრაფის მიხედვით

ლექსის ბოლო სტროფი, მცირეოდენი ტექსტუალური ცვლილებებით, ამოკვეთილია გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, პეტერბურგის უნივერსიტეტის დამსახურებული პროფესორის დავით იესეს ძე ჩუბინაშვილის (1814-1891 წწ.) საფლავის ძეგლზე (ლენინგრადში, ნიკოლოსკოეს სასაფლაოზედ).

ეპიტაფია ასე იკითხება:

«ნეტარ, ვინც კარგი საქმით
აღნიშნავს თავის დროსა
და აქავ ეწაფება
უკვდავების წყაროსა»

იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ ილია ჭავჭავაძე 1891 წელს, რამდენიმე თვის მანძილზე - ქართული ბანკის საქმეებთან დაკავშირებით - პეტერბურგში იმყოფებოდა, ა. ვასაძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ ილია, რომელიც მისივე სიტყვით, მადლიერების გრძნობით იყო განმსჭვალული თავისი სტუდენტობის დროიდანდელი სახელვონაი მასწავლებლის და ხელმძღვანელის მიმართ, «რომელმაც ბევრი გააკეთა და სახელოვნად იღვაწა მშობლიური სიტყვიერების და ისტორიისათვის») ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. X , 1961 წ., გვ. 135), ცხადია, «ჭირისუფლობასაც გაუწევდა განსვენებულის ოჯახს პეტერბურგელ ქართველ მოღვაწეებთან ერთად... დავით ჩუბინაშვილის საფლავის ქვაზე ილიასეული ეპიტაფიის გაკეთებაც, უთუოდ, პეტერბურგში ილიას ყოფნის დროსვე გადაწყდებოდა. სავსებით გასაგებია, ილიასთვის ეთხოვათ დავით ჩუბინაშვილის

საფლავის ქვის დამშენება ქართული სიტყვით» (ა. ვ ა ს ა ძ ე , ილიასეული ეპიტაფია დავით ჩუბინაშვილის საფლავის ქვაზე, - გაზ. «კომუნისტი», 1986 წ., 6. XII, №280). ასეთი ვარაუდი სავსებით დასაშვებია.

*** “ჩემო სიმღერავ...” (გვ. 117)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : M: ავტოგრაფები - კრებ. № 17501, გვ. 62-63 (B), გვ. 63 (A).

ხელნაწერში ამ ლექსის ორი ვარიანტია (BA). B შავია, ძლიერ ნასწორები. A ფანქრითაა ნაწერი, ძალიან მქრქალად, რის გამოც ტექსტი ძნელად იკითხება. იგი სუფთაა და ბოლო ვარიანტია.

B-ში ლექსი ავტორს ჯერ ასე დაუწერია:

ნუ დადუმდები, სიმღერავ ჩემო,
შენ შეგეთვისა ეს კრული გული,
ნაღველი ჩემი, ჩემი დარდები...

გადახაზულია. შემდეგ მოდის მთლიანი ტექსტი, რომელიც A-სთან ასეთ სხვაობას იძლევა: 3 შენში ცხოვრობენ] შენ შეგეთვისენ B. 5 დამშხამა] დამშხამა B. 8 ეხლა] აგრე B. მე-8 სტრიქონის შემდეგ B-ში ემატება სტრიქონები, რომლებიც გადახაზულია:

და მალვრევინა მან ცრემლი მწარე,
მოვსტყუვდი მე იმ ღვთიურ გრძნობაში,
რითაც ველოდი განსვენებასა,
და ერთი კაციც მთელ ქვეყანაში
შენ უმეგობრე [.....] მდებისა,
შენ მაალხინე მწუხარე გული,
შენ შეითვისე გულის დარდები.
გულის ნაღველი და სიხარული.
მოვსტყუვდი მე იმ ციურ ტრფობაში,
რითაც ველოდდი განსვენებასა,
მთელ სიმდიდრითა მეგობრობასა
მივანდე გული გამოუცდელი.
და იმ ყმაწვილურს ჩემს ოცნებასა
შხამითა ზდიდა მეგობრის ხელი.
გვიან, ძალიან გვიანა მივხვდი,
რომ მეგობრობა სიზმარი არის.

9 მთელ გულის ტანჯვით] მთელ სიმარტივე[ით] მეგობრობას B. 12 შხამსა ასმევდა] შხამითა ზდიდა B. 13-15 თვისი სამარე... ქვეყანაში] სამოთხე ვძებნე მე იმ გრძნობაში, საფლავი ვპოვე ჩემი გულისა, და ერთი კაციც მთელ ქვეყანაში B.

63-ე გვერდზე B ვარიანტის შემდეგ მოდის სუფთა ტექსტი, რომელიც ბოლო ვარიანტად მივიჩნიეთ (A). მაგრამ, ჩანს, პოეტს მაინც არ შეუწყვეტია მასზე მუშაობა და გვ. 64-ზე ჯერ ფანქრით დაუწერია სტრიქონები: “მარტო შენ, ჩემო სიმღერავ, ვიცი

უკუ არ გაქცევს ბედის ქუხილი”, ამას მოსდევს ორი გადახაზული სტრიქონი: “მარტოლა, ჩემო სიმღერავ, შენში ისმის მემკ [....] ქუხილი”. შემდეგ:

ამ შენ უნებურ მწუხარე ხმებში
ნუ დადუმდები, სიმღერავ, შენში
ისმის ჩემ გულის სევდის ქუხილი,
მევე მაყვარებ ჩემს წუხილსა,
სიმღერავ, შენ ხარ ჩემი ნუგეში.
შენში ჰგრძნობ გულსა სევდით ბურვილსა...

აქ წყდება ფანქრით ნაწერი. ამას მოსდევს მეღნიით დაწერილი გადახაზული სტრიქონები:

ხოლოთ მღერაა ჩემი ნუგეში,
ის [ალხენს] გულსა სევდით ბურვილსა,
რადგანც უნებურ თავის ტკბილ ხმებში
მეც მაყვარებს ჩემსა წუხილსა.

1925-1951 წლების გამოცემებში გამომცემლებს ლექსი ბოლო პოეტურად უფრო გაუმართავთ (დაუმატებიათ ერთი სტროფი), რის გამოც ლექსმა, მე-12 სტრიქონის შემდეგ (“შხამსა ასმევდა მეგობრის ხელი”) ასეთი სახე მიიღო:

თვისი სამარე ჰპოვა იმაში,
რაშიც სიცოცხლეს ეძებდა გული...
აწ ვილას ენდოს ის ქვეყანაში.
ესდენ უწყალოთ მოტყუებული, -
[თუ არ შენ, ჩემო სიმღერავ, შენა
შენით დუმდება ბედის ქუხილი...
რაც დამიმღერ მომეცა ლხენა
და მევე მიყვარს ჩემი წუხილი.]

ჩანს, ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი ფრაგმენტებისა და ესკიზების საფუძველზე გამომცემლებმა შექმნეს ეს ბოლო სტროფი და ძირითად ტექსტს (A-ს) დაუმატეს კვადრატულ ფრჩხილებში. ამ სახით, მართლაც, “ჩემო სიმღერავ” თითქოს დაემსგავსა ლექსს “წუხილი”, რომლის ვარიანტნადაცაა იგი მიჩნეული ზემომითითებულ გამოცემებში. რადგანაც “ჩემი სიმღერავ” “წუხილის” ვარიანტად მიიღეს. ბუნებრივია, გამომცემლებმა იგი ვარიანტების განყოფილებაში მოათავსეს. ლექსების ურთიერთშედარება გვიჩვენებს, რომ ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ნაწარმოებებია. ამიტომ წინამდებარე გამოცემაში ორივე ცალ-ცალკე შევიტანეთ ძირითად ტექსტში. ლექსი “ჩემო სიმღერავ” ამ სახით პირველად იბეჭდება ჩვენს გამოცემაში.

მე-12 სტრიქონში ავტოგრაფში იკითხება: “ხელით”, რაც კალმისმიერი შეცდომაა ჩანს და გამოცემებში გასწორებულია: “შხამსა ასმევდა მეგობრის ხელი”. ჩვენც ვიზიარებთ ამ გასწორებას. ავტორისეული ორთოგრაფიის შესაბამისად გასწორდა აგრეთვე ერთი ადგილი მე-15 სტრიქონში: ეზიდენ უწყალოთ -> ესდენ უწყალოდ.

რაც შეეხება დათარიღებას: პ. ინგოროყვა ლექსს ათარიღებს 1860 წლით, რადგანაც იგი მოთავსებულია ავტოგრაფული კრებულის მეორე ნაწილში, ეს მეორე ნაწილი კი “წარმოადგენს 1860 წლის ლექსების შავებს” (ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, 1951, გვ. 435). ჩვენც ვიზიარებთ ასეთ დათარიღებას.

ლქსი პირველად დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1925 წლის გამოცემაში (გვ. 277).

გაზაფხული (“ტყემ მოისხა ფოთოლი..”) (გვ. 118)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : U: ავტოგრაფი, კრებ. № 108, გვ. 151 (B).

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ჟურნ. «ცისკარი», 1861, № 4, გვ. 519 (C); ჩონგური, შედგენილი კ. ლორთქიფანიძისაგან, ს. პეტერბურდი, 1864, გვ. 68 (D); საჩუქარი ქართველ ყმაწვილებს, შეკრებილი და გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან, ტფილისი, 1878, გვ. 2 (E); დედა და შვილი და რამდენიმე ლექსი თ. ილია ჭავჭავაძისა, ზ. ჭიჭინაძის გამ. ტფილისი, 1882, გვ. 19 (F); თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I ტფილისი, 1892, გვ. 130 (A); ჩანგი, შედგენილი ვ. აბაშიძისა, გამოცემა მე-2, ტფილისი, 1892, გვ. 374 (G); წყარო, შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან, წიგნი მე-2, ტფილისი, 1898, გვ. 4 (H); სიტყვიერების თეორია, შედგენილი არხიმანდრიტი კირიონისა და გრ. ყიფშიძის მიერ, ტფილისი, 1898, გვ. 578; ჩანგი, შედგენილი ვ. აბაშიძისა, გამოცემა მე-4, ბათომი, 1900 წ., გვ. 309 (I); ლექსები ილია ჭავჭავაძისა, მად. “ცოდნის” გამოცემა, ტფილისი, 1904 წ., გვ. 32; ჩანგური, შედგენილი სპ. ჭელიძის მიერ, ბათუმი, 1904 წ., გვ. 182 (J); სალამური, შედგ. სპ. ჭელიძის მიერ, ბათუმი, 1904 წ., გვ. 22 (K); ჟურნ. “ნიშადური”, 1907, № 59, გვ. 8 (L); წყარო, შედგენილი არ. ქუთათელაძისა, წიგნი მე-2, მე-3 შევსებული გამოცემა, ქუთაისი, 1907, გვ. 1 (m); ილია ჭავჭავაძის რჩეული ლექსები, წ.კ.გ. საზ-ის გამოცემა, № 80 და № 81, ტფილისი, 1907, გვ. 23.

ს ა თ ა უ რ ი : G I.

თ ა რ ი დ ი : 1861 წ. AE; 1861 წლის იანვრის 28-სა, პეტერბურდი B; 1861 წ., იანვრის 28 დღესა C; 28 იანვარს, 1861 წ. DE.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თ. ილია ჭავჭავაძე C; ალ. ჭავჭავაძე D, (სარჩევში) J; ილია ჭავჭავაძე E, (სარჩევში) H; (სარჩევში) GIKm.

1 ტყემ მოისხა] ტყეს ესხმება CDEF. 2 ჭყვივის] სჭყვივის GI, ჰსჭყვივის L. 4 სტირის] ტირის CDE; B-ში I სტროფი ასე იკითხება:

ტყეს შეესხა ფოთოლი,
აგერ მერცხალიც ჭყვივის,
ბაღში, როგორც ობოლი,
ვაზი ჩუმათა ტირის.

6 აყვავებულან] აყვავებულა CDEI. 8 როსლა] როდის J; აყვავდება] აყვავდება BC.

მწერალმა ქალმა ბარბარე ჯორჯამემ ჟურნ. “ცისკარში” (1861, მაისი) დაბეჭდა წერილი “თ. ილია ჭავჭავაძის კრიტიკაზედ”, რომელშიც სხა ლექსებთან ერთად ამ ლექსსაც აკრიტიკებს: “ტყეს ესხმება ფოთოლი, აგერ მერცხალი ჭყვივის...” თქუწნი რისხა მქონდეს, თუ თავის დღეში გამეგონოს, მერცხალი ჭყვივისო. ღორზედ კი გამიგონია, უთქომთ, ღორი ჭყვივისო. იქნება ოდესმე ბულბულზედაც თქუას. ჭყვივისო... რატომ?.. თუკი მერცხალი დაიჭყვივლებს, რატო ბულბული კი არ უნდა ჭყიოდეს, - სადაც ვაზს აობლებს ბაღში, რომელსაც რამდენიმე ასი და ათასი სხუა ვაზები ახვევიან...” (გვ. 39-40). “ცისკარი” 1861 წლის ივნისის ნომერში ილია ასე პასუხობს ბ. ჯორჯამეს: “მთელს სტატიაში ერთი ნამდვილი შენიშვნა აქვს ჩვენ მწერალ ქალსა, - ეგ მერცხლის ჭყვივილზედა. მართალიც არის, სწორეთ უხერხოთ არის მანდ ეგ ზმნა ხმარებული. მაგრამ ეს ლექსის აზრს არ აბნელებს, რადგანაც “მერცხალიც აგერ ჭყვივის” - მეთქი, მოვიყვანე “გაზაფხულის” ნიშნათ და ამისათვის ჭიკჭიკი მეთქო, თუ ჭყვივილი, მაინც ის აზრი არ მოიშლებოდა... “ობოლი ვაზი” კი, უკაცრავათ არ ვიყო, თავის ალაგს კარგათ არის... გაიგებდით, რომ ხმარობენ: “ობოლი მარგალიტი, ობოლი ხე, ობოლი შტო”, მაგრამ თეორეტიკას ძალიან შეუპყრიხართ და... ამიტომაც არა გაგიგიათ-რა” (გვ. 228-229).

ლექსი დავათარიღეთ ავტოგრაფის მიხედვით.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემაში ლექსი დათარიღებულია 1860 წლით (სარჩევში. გვ. 111).

“მას აქეთ, რაკი...” (გვ. 119)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : M: ავტოგრაფი, კრებ, № 17501, გვ. 106-107 (B);

U: ავტოგრაფი, კრებ. № 108, გვ. 153 (C).

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ჟურნ. “საქართველოს მოამბე”, 1863, № 2, გვ. 190 (D); ჩონგური, შედგენილი ვ. ლორთქიფანიძისაგან, ს. პეტერბურდი, 1864, გვ. 84 (E); დედა და შვილი და რამდენიმე ლექსი თ. ილია ჭავჭავაძისა, ზ. ჭიჭინაძის გამ., ტფილისი, 1882, გვ. 35 (F); თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 129 (A); ჩანგი, შედგენილი ვ. აბაშიძისა, გამოცემა მე-2, ტფილისი, 1892, გვ. 120 (G); სიტყვიერების თეორია, შედგენილი არხმიანდრიტის კირიონისა და გრ. ყიფშიძის მიერ. ტფილისი, 1892, გვ. 577; ჩანგი, შედგენილი ვ. აბაშიძისა, გამოცემა მე-4, ბათომი, 1900, გვ. 140 (H); ლექსები ილია ჭავჭავაძისა, მად. “ცოდნის” გამოცემა, ტფილისი, 1904, გვ. 30 (I); ილია ჭავჭავაძის რჩეული ლექსები, წ.კ. გ. საზ-ის გამოცემა, № 80, 1907, გვ. 15 (J); იგივე გამოცემა, № 81, გვ. 23 (K); ჩვენი მწერლობა, 1. მგოსნები, შედგენილ-გამოცემული ს. გორგაძის მიერ, თბილისი, 1907, გვ. 38 (L).

ს ა თ ა უ რ ი : მას აქეთ, რაკი შენდამი ვჰსცან მე სიყვარული D; მამულს II; მას აქეთ, რაკი K; მას აქედ, რაკი L.

თ ა რ ი დ ი : 1861 AL; 6 აგვისტო, 1861, ს. ყვარელი C; 6 აგვისტოს 1861 წ. DEF; - B.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : *** DE; ი. ჭავჭავაძე (სარჩევში) GH.

B ავტოგრაფი შავია, შავი მელნით ნაწერი, ძლიერ ნასწორები.

C შედარებით სუფთაა, მაგრამ ისიც ნასწორებია.

B - ში ლექსს წინა უძღვის მისი თავდაპირველი ტექსტი, რომელიც ავტორს მთლიანად გადაუხაზავს. ვბეჭდავთ მას ქვემოთ:

მას აქეთ, რაკი შენდამი ვჰსცან მე სიყვარული,
ჰოი, მამულო! გამიკრთა მე ძილი და შვება.
შენსა კვენესასა მე ყურს უგდებ სულგანაბული,
და მეც თვითონ ვჰკვენეს და ეს არის ჩემი ცხოვრება!
ფიქრნი, გრძნობანი მომეწამლნეს იმ საწამლავით.
რომელითაც შენა, ჰოი მამულო, მოწამლული ხარ,
ფიქრი ფიქრზედა გროვდებიან დაუყოვნებლად,
გრძნობა გრძნობაზედ მოდის, იძვრის და დულს ჩემს გულში...

ამას მოსდევს სრული ტექსტი. რომელიც ნასწორებია.

1 აქეთ] აქედ AF; ვცან] ვჰსცან BCDE. 3 ვუგდებ] უგდებ B. 4 დამე თენდება ეგრედ ჩემი] დამე თენდება ჩემი ეგრეთ B; ჩემი დამე ეგრედ თენდება J; ეგრედ] ეგრეთ C. 5-6 სტრიქონების (დაჟინებითა... ჩემს გულში) ნაცვლად B-ში ჯერ ეწერა:

ფიქრი ფიქრზედა გროვდებიან მწუხარებითა,

გრძნობა გრძნობაზედ მოდის, იძვრის და დულს ჩემს გულში, - გადახაზულია. 5 დაჟინებითა] დაჟინებული B. 6 გრძნობაზედ] გრძნობაზე J. 7 და მე არ... ეგრედ] მაგრამ არ დვრტვინავ და არც ვჩივი, რომ ეგრე B; C-ში ჯერ ეწერა: “და მე არ დვრტვინავ და არ ვჩივი, რომ ეგრეთ შრება”, - გადახაზულია; ეგრედ] ეგრე EF; ჰშვრება] შრება BC; შრება EL; ჰშვება²⁶ A. 8 ნაცვლად სიტყვებისა “ჩემი ცხოვრება” B-ში ჯერ ეწერა: “ტანჯვის ცეცხლითა”, გადახაზულია, II სტროფის (“დაჟინებითა”...) შემდეგ B-ში ჯერ ეწერა: “მე ისა მტანჯამს, რომ ბევრი რამ არის ჩემს გულში, ვით [საწამლავი], ისეც მკვლელი და სამწუხარო, ამდენ ხალხში კაცი არ არის”, - გადახაზულია. შემდეგ კვლავ წერია:

მაგრამ მე ის მკლამს, როგორც მკაცრი მტრისა ისარი,
რომ რაც გულში მაქვს სალხენარი და სამწუხარო,
ჩემს ქვეყანაში ამდენ ხალხში კაცი არ არის,
რომ ჩემი ფიქრი ვანდო, გრძნობა განუზიარო,

ესეც გადახაზულია. 9, 10 მხოლოდ] მარტო B, ხოლოთ C. 10 არის] არის C; სავალალო] სატირალი C; ის არის მხოლოდ სავალაო] მარტო ის არის სატირალი B. 11 ამდენ] ამდგენ BCD; განუზიარო] განუზიარო CJ.

ლექსს ვათარიღებთ C ავტოგრაფის მიხედვით.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემაში ლექსი 1860 წლის 6 აგვისტოთა დათარიღებული (სარჩევში, გვ. 11).

²⁶ ეს ფორმა, რომელიც წყაროებში დიდი ნაირფეროვნებით გამოირჩევა, სადავოა (იხ. ლ. მ ი ნ ა შ ვ ი ლ ი , ილია ჭავჭავაძის ლირიკა, თბ., 1977, გვ. 88-90).

*** “ჩემო კალამო...” (გვ. 120)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : M: ავტოგრაფები - კრებ. № 17501, გვ. 115, 116 (B); გვ. 117 (C); U: ავტოგრაფი, კრებ. № 108, გვ. 154 (D).

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ჟურნ. “საქართველოს მოამბე”, 1863, № 1 გვ. 3 (E); ჩონგური, შედგენილი კ. ლორთქიფანიძისაგან, ს. პეტერბურდი, 1864, გვ. 83 (F); დედა და შვილი და რამდენიმე ლექსი თ. ილია ჭავჭავაძისა, ზ. ჭიჭინაძისა, გამ;ტფილისი, 1882გვ. 24 (G); თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 131 (A); ლექსები ილია ჭავჭავაძისა, მალ. “ცოდნის” გამოცემა, ტფილისი, 1904, გვ. 31 (H); ილია ჭავჭავაძის რჩეული ლექსები, წ. კ. გ. საზ-ის გამოცემა, № 81, ტფილისი, 1907, გვ. 24 (I); ჩვენი მწერლობა, 1. მგოსნები, შედგენილ-გამოცემული ს. გორგაძის მიერ, თბილისი, 1907, გვ. 38 (J).

ს ა თ ა უ რ ი : ჩემო კალამო II.

თ ა რ ი ღ ი : ოქტომბერი B; 1861 AEF GHIJ; - C; 1861, ოქტომბერი, ს. ყვარელი D.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : *** EF.

B ავტოგრაფში შავია, შავი მელნით ნაწერი და წარმოადგენს ამ ლექსზე პოეტის მუშაობის დასაწყისს, ავტორს თავდაპირველად დაუწერია (გვ. 115):

შენ ვერ წამოხვალ ჩემთან ერთს გზაზედ,
შენ ვერ ილოცავ ჩემს სალოცავსა,
და ჩემს მწუხარეს –

გადახაზულია. ამის შემდეგ დაუწერია და კვლავ გადაუხაზავს: “ჩემო კალამო! ნუ დაღონდები და ნუ შეხედავ ბრიყვთა როტვასა”. ამას მოსდევს მთელი სტროფი:

ჩემო კალამო! რად გვინდა ტაში,
რასაც ვმსახურებთ, მას ვემსახუროთ,
ჩვენ წმინდა სიტყვა განვადლოთ ხალხში
და შორიდანა სეირს უყუროთ.

კვლავ გადახაზულია სტრიქონები:

დეე, მიჰსცვივდნენ [...] სიტყვა ჩვენი,
კბილთ ჩაიმტვრევენ, დეეშვებიან;
ვიდრე სულელნი...

მე და შენა გვაქვს განზრახვა ერთი,
სულელთა როტვა მას ვერ დაგვიშლის,
ვცდებით თუ არა, ეგ იცის ღმერთმან,
წმინდა ხომ არის განზრახვა ჩვენი.

116-ე გვერდზე უკვე ჩამოყალიბებულია ლექსის პირველი ვარიანტი (B); იგი შედარებით სუფთა ნაწერია, ტექსტს ბოლოში მიწერილი აქვს “ოქტომბერი”. მოგვაქვს ეს ტექსტი:

ჩემო კალამო! რად გვინდა ტაში,
რასაც ვმსახურებთ, მას ვემსახუროთ,
ჩვენ წმინდა სიტყვა წარმოვსთქვათ ხალხში,
და შორიდანა სეირს უყუროთ.

თუ კაცმა ვერ სცნო, ხომ იცის ღმერთმა,
რომ წმინდა არის განძრახვა ჩვენი,
აგვიყოლია ჩვენ ქართველის ბედმა
და მის ძებნაში დავლიოთ დღენი.

[შენ ნუ შეჰსძრახამ] ბრიყვსა ძრახვაზედ,
ნურც დაუშლი ბრიყვს ბრიყვულ როტვასა,
ის ვერ წამოვა ჩვენთან ერთს გზაზედ,
ის ვერ ილოცავს ჩვენს სალოცავსა.

C ავტოგრაფი მეორე ვარიანტია და უახლოვდება ჩვენს ტექსტს (A). II სტროფის შემდეგ (“თუ კაცმა...”) გადახაზულია სტრიქონები:

თუნდ ვეცადნეთ, ხელს არ აიღებს ბრიყვი ძრახვაზედ,
და ვერ დაიშლის ბრიყვი თავის ბრიყვულ როტვასა,
მისთვის. რომ იგი ვერ წამოვა ჩვენთან ერთს გზაზედ,
და ვერ მიჰხვდება, ვერ ილოცავს ჩვენს სალოცავსა.
ვისაცა ცუდი სძულს და ქართველისას სიცუდეს ამბობს,
მასზედ ამბობენ, რომ ქართველისა ის ორგულია,
ჩვენ ნუ დავფარავთ ქართველისა ბოროტებასა,
უშიშარათ ვსთქვათ საქვეყნოთა სიცუდე მისი.

D-ში ტექსტის ზემოთ ილიას ხელით მიწერილია: “ეხლანდელი ქართველი რომ ძალიანა მძულს, ამით ვამტკიცებ, რომ საქართველო ძალიან მიყვარს”. იქვე წაშლილია სიტყვები: “მიყვარს საქართველო და მძულს ეხლანდელი ქართველი. სიტყვები ერთი ჭკვიანი ქართველისა”.

ძირითად (A) ტექსტს ვუდარებთ ზემოთ მითითებულ წყაროებს: 3 უშიშარად] უშიშარადა I; მოფინოთ] განვაგდოთ CDEG. 4 ბოროტო... ვუყუროთ] ბრიყვთა საკლავად და შორიდან სეირს უყუროთ C; მათ სულთ-ხდომის] და შორიდან DEF, და შორითგან G. 5 სცნო] ჰსცნო DEF. 7 ქართველის] ქართლის F. 8 და დაე... ძებნით] და უკუთქმითა ჩვენ ის ვძებნოთ D. 9 ის სიავეს ქართველისას] ეგ ქართველისას სიუცდეს C; სიავეს] სიცუდეს DE. 10 ჰმაღავს] მაღავს D; სიძულვილია] სიძულილია CD. 11 ბრიყვნი ამბობენ] ბრიყვთა ეგე თქვან C, სცნობს] ჰსცნობს DEF. 12 სიძულვილში] სიძულილში D.

ლექსი დავათარიღეთ D ავტოგრაფის მიხედვით.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემაში “ჩემო კალამო” დათარიღებულია 1860 წლის ოქტომბრით (სარჩევში, გვ. III).

გ. აბხ. [ახს] გვ. (121)

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ჟურნ. "საქართველოს მოამბე", 1863, № 7, გვ. 40 (B); თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 140 (A); ჩანგი, შედგენილი ვ. აბაშიძისა, მე-2 გამოცემა, ტფილისი, 1892, გვ. 110 (C); ჩანგი, შედგენილი ვ. აბაშიძისა, მე-4 გამოცემა, ბათომი, 1900, გვ. 131 (D); ლექსები ილია ჭავჭავაძისა, მალ. "ცოდნის" გამოცემა, ტფილისი, 1904, გვ. 12.

ს ა თ ა უ რ ი : მძინარე ყმაწვილის CD.

თ ა რ ი დ ი : 1863 A.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : *** B; ი. ჭავჭავაძე (სარჩევში) CD.

3 ალუხსენ] ალუხვენ CD. 6 შთაბერე ყმასა] შთაჰბერე მაგას B. 7 შეიქმნეს] შეიქმნას C. 9 სდევედე] ზდევედე B. 11 მინამ] ვიდრემდი B, ვიდრემდის CD. 12 მან არ მოსწმინდოს] მანც არ მოჰსმწინდოს B.

ლექსი დათარიღებულია A ნაბეჭდის მიხედვით.

გ . ა ბ ხ : გიგო აბხაზი, ილიას უფროსი დის - ნინო ჭავჭავაძე-აბხაზის შვილი.

1871 წ. 23 მაისი (გვ. 122)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : U: ავტოგრაფი, კრებ. № 108, გვ. 167 (B);

ნ ა ბ ე ჯ დ ი : "კრებული", 1873, წიგნი 5-6, ტფილისი. გვ. 354 (C);

დედა და შვილი და რამდენიმე ლექსი თ. ილია ჭავჭავაძისა. ზ. ჭიჭინაძის გამ., ტფილისი, 1882 ., გვ. 23 (D); თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892 გვ. 167 (A); ილია ჭავჭავაძის რჩეული ლექსები, წ. კ. გ. საზ-ის გამოცემა, № 80, ტფილისი, 1907, გვ. 17 (E); იგივე გამოცემა, № 81, გვ. 34 (F).

ს ა თ ა უ რ ი : პარიჟი ACDEF; 1871 წ. 23-ი მაისი B.

ს ა თ ა უ რ ი ს ქ ვ ე შ : (კომუნის დაცემის დღე) B; კომუნის დამარცხების გამო EF.

თ ა რ ი დ ი : 1871 A (სარჩევში - 1870); 1871 წ., მაისის 29-სა B; 1871 წ., 29 მაისი C; 1873 წ. D.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილ. ჭავჭავაძე C.

122. 3 მჩაგრავ ძალამ] მჩაგვრელ ძალმა B, მჩაგრავ-ძალმა C. 5 მოყვასთათვის] ყოველთათვის B, ჯერ ეწერა "საკვირველი", გადახაზულია. 7 - 8 დიდ წამების მან გვირგვინი] თავს გვირგვინი დიდ წამების B.

123. 2 შესდგნენ] შეჰსდგნენ B.

ი. ჭავჭავაძის სიცოცხლეში ეს ლექსი სამჯერ დაიბეჭდა და სამჯერვე სათაურით "პარიჟი". 1907 წელს ლექსი კიდევ ორჯერ გამოქვეყნდა (EF) ამავე სათაურით. 1914 წლის გამოცემაშიც ლექსი კვლავ ამავე სათაურითაა დაბეჭდილი. 1925 - 1951 წწ.

გამოცემებში კი ლექსს სათაური და ქვესათაური მიეცა ავტოგრაფიდან: “1871 წელი, 23 მაისი (კომუნის დაცემის დღე)” ამის შესახებ პ. ინგოროყვა წერს: “გამოცემებში, რომლებიც ავტორის სიცოცხლეში დაიბეჭდა (იხ. “კრებული”, 1873, № 5 - 6; “ქართველთა ამხანაგობის” გამოცემა 1892 წლისა) ამ ლექსს სათაურად აქვს “პარიჟი”. სათაური, ცხადია, ცენზურის მიზეზით არის შეცვლილი. თვით ილიას ხელნაწერში ეს ლექსი ატარებს იმ სათაურს. რომელიც ჩვენს გამოცემაშია: “1871 წელი, 23 მაისი (კომუნის დაცემის დღე)” (ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, 1951, გვ. 387). ლექსის ზემოაღნიშნული დასათაურება ჩვენც გავიზიარეთ.
ლექსი დავათარიღეთ ავტოგრაფის მიხედვით.

რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით... (გვ. 124)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : U: ავტოგრაფები - კრებ. № 108, გვ. 154 (B), № 116, გვ. 4 (C).

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ჟურნ: “ივერია”, 1879, № 2, გვ. 57 (D); თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 158 (A); ჩანგი, შედგენილი ვ. აბაშიძისა, მე-2 გამოცემა ტფილისი, 1892, გვ. 114 (E); სიტყვიერების თეორია. შედგენილი არხიმანდრიტის კირიონისა და გრ. ყიფშიძის მიერ, ტფილისი, 1898. გვ. 580 (F); ჩანგი, შედგენილი ვ. აბაშიძისა, გამოცემა მე-4, ბათუმი, 1900, გვ. 134 (G); ლექსები ილია ჭავჭავაძისა, მაღაზია “ცოდნის” გამოცემა, 1904, გვ. 49; ჩვენი მწერლობა, I. მგოსნები, შედგენილ-გამოცემული ს. გორგაძის მიერ, თბილისი, 1907, გვ. 45 (H); ილია ჭავჭავაძის რჩეული ლექსები, წ. კ. გ. საზ-ის გამოცემა, № 8, ტფილისი, 1907, გვ. 29 (I).

ს ა თ ა უ რ ი : რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით ანუ ჩვენი ისტორია მეცხრამეტის საუკუნისა B; რა ვაკეთეთ? რას ვშვრებოდით? ანუ ისტორია მეცხრამეტის საუკუნისა C.

თ ა რ ი დ ი : 1871 (სარჩევში - 1870) A; 1871 D; 24 აგვისტო, 1871 წ. B; 24 აგვისტოს, 1871 წელსა C (გადახაზულია); 1870 წ. H.

ხელმოწერა: *** C; ილია ჭავჭავაძე D; ი. ჭავჭავაძე (სარჩევში) EG.

ცენზურული პირობების გამო ზოგ ნაბეჭდში პოეტის მიერ შეცვლილია ადგილები, ზოგი კი ცენზურას ამოუღია და მის ნაცვლად მრავალწერტილი დაუსვამს (იხ. ქვემოთ). ყველა ეს ადგილი აღდგენილია ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1925 -1951 წლების გამოცემებში. წინამდებარე ტომში დაბეჭდილი ტექსტი ამ გამოცემებს ემყარება.

124. 8 სახელი რით] სახელად რა B. 10 ქარლის] ქართველის C. 14 პირლიადა] პირლიათა B.

125. 4 მტრედი] მტრათა: B. 9 გავუჭირეთ] B. 15 როცა საწყალ] როს საწყალმა B. 17 დასადვა] დაჰსდვა B. 18 დასახსნელად] დასახსნელათ B. დასახსნელად C. 21 C-ში, ნაცვლად სიტყვებისა “ვნებივრობდით”, ჯერ ეწერა: “ღმერთს ვმადლობდით”, - გადახაზულია. 25 დასცეს] დაჰსცეს BC. 27 -28 ჩვენც... თვითო-თვითოდ] გულუხვათ სუყველასა თვითეულად BCD.

1892 წლის გამოცემის (A) ტექსტში 45 - 46 სტრიქონებია: “შავმა ბედმა ხელთა გვიგდო და ჩვენი სვე ბურთსავითა” (ასეა 1914 წლის გამოცემაშიც). მათ ნაცვლად 1925 - 1951 წწ. გამოცემებში BC ავტოგრაფებიდან მართებულადაა აღდგენილი სტრიქონები:

“უცხო ხალხმა ხელთა გვიგდო, ქართველის ბედი ბურთსავითა”.

ADFM წყაროებში ამოღებულია სტრიქონები:

ყოფნა უცხო ხალხის ხელში,
როს საშველად მოწვეულმა
წაგვიჭირა თოკი ყელში.

ეს სტრიქონები (წინამდებარე ტომის 126, 7 - 9) დატოვებულია GI ვარიანტებში (1914 წლის გამოცემაში “წაგვიჭირა თოკი ყელში”-ს ნაცვლად მრავალი წერტილია). 1925 წლიდან ყველა გამოცემაში ეს სტროფი სრულად არის აღდგენილი.

126. 7 უცხო ხალხის] ჩვენთა მტრისა E. 13 ამ] იმ B. 14 დღენი] დღენნი B. 21 შეგვამცნიეს] შეგვამჩნიეს G. 23 მოგვკრიბეს] მოგვკრიფეს B.

127. 10 მამულებს] ლუკმაპურს B. 19 აღარ ვარგდა] არ ვარგოდა FG. 24 C-ში, ნაცვლად სიტყვისა “ყმებსა”, ჯერ ეწერა “მყოფ ყმებს”, - გადახაზულია. 25 ის] ეს CF. 26 ჩამოგვერთვნენ] ჩამოგვერთმენ B. 30 მკითხავ] მკითხამ BC.

128. 7 ვლაზღანდარობდით] ვლაჟღანდარობდით B. 10 ჭკვაო] ჭკვაო A. 21 C-ში, ნაცვლად სიტყვისა “უსაქმოდ”, ჯერ ეწერა “ცულლუტად”, - გადახაზულია.

გასწორდა ერთი ფორმა: 125, 6 გულმოდგინეთ-გულმოდგინედ.

ლექს ვათარიღებთ B ავტოგრაფის მიხედვით.

124. 11. “... მ ო გ ვ ი კ ვ დ ა ე რ ე კ ლ ე”, - იგულისხმება ერეკლე II (1720 - 1798 წწ.), 1744 - 1762 წლებში კახეთის მეფე, 1762 - 1798 წლებში ქართლ-კახეთის მეფე.

125. 1. “... მ ე ფ ე გ ი ო რ გ ი”, - იგულისხმება გიორგი XII (1746 - 1800 წწ.) - ერეკლე მეორის ძე, ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე (გამეფდა 1798 წ.).

ბედნიერი ერი (გვ. 129)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : U: ავტოგრაფები - № 114, გვ. 5 (B); კრებ. № 108, გვ. 156 (C).

ნ ა ბ ე ჭ დ ი : “კრებული”, 1971, წიგნი 5, გვ. 199 (D); დედა და შვილი და რამდენიმე ლექსი თ. ილია ჭავჭავაძისა, ზ. ჭიჭინაძის გამ., ტფილისი, 1882, გვ. 20 (E); ჩანგი, შედგენილი ვ. აბაშიძისა, ტფილისი, 1889, გვ. 103 (F); თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 155 (A); სიტყვიერების თეორია, შედგენილი არხიმანდრიტის კირიონისა და გრ. ყიფშიძის მიერ, ტფილისი, 1898, გვ. 578 (G); ჩანგი, შედგენილი ვ. აბაშიძისა, გამოცემა მე-4, ბათომი, 1900, გვ. 107 (H); ილია ჭავჭავაძის რჩეული ლექსები, წ. კ. გ. საზ-ის გამოცემა, ტფილისი, 1907, გვ. 27; ჩვენი მწერლობა, I, მგოსნები, შედგენილ-გამოცემული ს. გორგაძის მიერ, თბილისი, 1907, გვ. 44 (I).

ს ა თ ა უ რ ი : ბედნიერი ხალხი BCDEF.

ს ა თ ა უ რ ი ს ქ ვ ე შ : იტალიანელი პოეტი ჯუსტის მიბაძვა D; იტალიელ პოეტის ჯუსტის მიბაძვა E; იტალიანელის პოეტის ჯუსტის მიბაძვა FH; იტალიურიდან G. – BC.

თ ა რ ი დ ი : 1871 (სარჩევში - 1870) A; 29 აგვისტოს, 1871 წელს B; 29 აგვისტოს, 1871 CE; 1871, 29 აგვისტო D.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : *** BD; ი. ჭავჭავაძე (სარჩევში) FH.

129. 7 უჩივარი] უჩინარი E. 13 ჯორ-ცხენი B.

130. 2-3 თავაკრული, პირს ლაგამი ზომიერი - EFH. 5 B-ში ნაცვლად სიტყვისა “ყველა” ჯერ ეწერა “ბევრჯერ”, გადახაზულია. 14 ყოვლად] ყველა D. 20 გარეთ] სხვასთან A; “ძლიერი”-ს ნაცვლად ჯერ ეწერა “ცბიერი”, გადახაზულია C.

B-ში ტექსტს უძღვის ილიას წერილი პეტრე ნაკაშიძისადმი: “პეტრე! ამ ახლად დაწერილს ლექსებს (იგულისხმება “რა ვაკეთეთ”... და “ბედნიერი ერი” - რ. კ.) გიგზავნი დასაბეჭდად “კრებულში”. მეშინიან კი, რომ ზოგიერთ ხანას დაუნდობელი მაკრატელი ცენზორისა მოჰხვდება”... ტექსტის ბოლოს კი, ხელმოწერისა და თარიღის შემდეგ, პოეტს იქვე მიუწერია: “ამ ლექსზედ შენი აზრი მამწერე. ილია ჭავჭავაძე”.

როგორც მივუთითეთ, DEFH ნაბეჭდ წყაროებში ლექსის სათაურის ქვეშ აღნიშნულია, რომ ლექსი დაწერილია იტალიელი პოეტის ჯუსტის მიბაძვით. ამ შენიშვნის თაობაზე ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ “რასაკვირველია არაა საჭირო “ჯუსტის” სახელი ვეძებოთ იტალიური ლიტერატურის ლექსიკონებში; ისედაც ცხადია, რომ ეს შენიშვნა დამატებულია ცენზურის თვალის ასახვევად, თითქო ამ მწვავე სატირას არაფერი აქვს საერთო საქართველოსთან და უბრალო თარგმანს წარმოადგენდეს” (ი. ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ. I, 1925 წ., გვ. 377). მაგრამ შეხედულება, თითქოს მხოლოდ “საცენზურო პირობებმა... აიძულა ილია ჭავჭავაძე, რომ თავისი “ბედნიერი ერი” იტალიელ მწერალს ჯუსტს მიაკუთვნა”, მაშინ როცა “ეს “იტალიელი მწერალი”... არ არსებობდა” (ი. გ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი, ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა, ბათუმი, 1986, გვ. 141). არსებითს კორექტივს საჭიროებს. გამოჩენილი იტალიელი პოეტი ჯუსტე ჯუსტი (1809 - 1850 წწ.), რომელიც მხურვალედ თანაუგრძნობდა იტალიელი ხალხის ეროვნულ-განმათავსიუფლებელ ბრძოლას, პოპულარობით სარგებლობდა არა მხოლოდ თავის სამშობლოში, არამედ XIX საუკუნის მეორე ნახევრის პროგრესულ რუსულ საზოგადოებაშიც, რომელსაც უკვე 50-იანი წლების დამლევდიდან შესაძლებლობა ჰქონდა ჯუსტის პოეტურ ნაწარმოებებს რუსული თარგმანებით გასცნობოდა. სავსებით ბუნებრივია ჯუსტის პოეზიას ილია ჭავჭავაძეც დაეინტერესებინა, ხოლო იტალიელი პოეტის შესანიშნავ სატირულ ლექსებს (კერძოდ კი ლექსს “ლოკოკინა”, რომელშიც პოეტი მწვავედ დასცინოდა საკუთარ ნიჟარაში შეყუჟულ და თავისი სავალალო ხვედრით კმაყოფილ თანამემამულეებს), გამორიცხული არ არის, მართლაც მიეცათ ილიასათვის გარკვეული სტიმული “ბედნიერი ერის” შესაქმნელად (ჯ. ჯუსტისა და ი. ჭავჭავაძის პოეტურ ნაწარმოებთა ტიპოლოგიური მსგავსების შესახებ იხ. ზ. ს ტ უ რ უ ა, ილია ჭავჭავაძის ერთი ლექსის ისტორიისათვის, გაზ. “ლიტერატურული საქართველო”, 1987, 24. VII, № 30).

ქართველი საზოგადოებრიობა დიდი მოწონებით შეხვდა ილიას ამ ლექსის გამოქვეყნებას. “რამდენი კმაყოფილება და თან მწარე ღიმილი მოგვგვარა ჩვენ ამ

მშვენიერმა და გესლიანმა “ბედნიერმა ხალხმაო”, - წერდა ს. მესხი (გაზ. “დროება”, 1871, № 39).

ლექსი დავათარილეთ B ავტოგრაფის მიხედვით.

გამოცანები (გვ. 131)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : U: ავტოგრაფები - № 118 (B); კრებ. № 108, გვ. 157 (A).

თ ა რ ი ღ ი : 7 დეკემბერი, 1871 წ. AB.

B-ში მე-5 გამოცანის პირველ სტრიქონში, ნაცვლად სიტყვებისა “თეთრ-წითელი ვაშლსავითა”, ჯერ ეწერა: “ვაშლსავითა მრგვალი, წითური”, გადახაზულია; მე-8 გამოცანის მე-7 სტრიქონში, ნაცვლად სიტყვისა “გაუბედავია”, ჯერ ეწერა: “ქალაჩუნა არი”, გადახაზულია; მე-11 სტრიქონში ნაცვლად “ამ კარგსაც”, ჯერ ეწერა: “ამათსაც”, გადახაზულია; მე-9 გამოცანის მე-4 სტრიქონში, ნაცვლად სიტყვებისა “იგი ჩვენი” ჯერ ეწერა: “ის მათი” გადახაზულია. მე-5 გამოცანის მე-11 სტრიქონში გასწორდა: ამ ძრომსაც -> ამ მძრომსაც; მე-8 გამოცანის მე-10 სტრიქონში - შემმაერთავი -> შემაერთავი.

გამოცანები პირველად დაიბეჭდა ილიას გარდაცვალების შემდეგ, ჟურნ. “ნიშადურის კრებულის” 1907 წლის № 1-ში (გვ. 8-10), რაც არც ერთ გამოცემაში მითითებული არ არის (ილია ჭავჭავაძის თხზულებათა მ. გედევანიშვილისეული გამოცემაში - შენიშვნ. გვ. XIII, - აღნიშნული, “გამოცანები” პირველად ამ გამოცემაში იბეჭდებო).

“გამოცანების” (და “კიდევ გამოცანების”, იხ. გვ. 135-140) დაწერის ისტორიას საგანგებოდ ეხება პ. ინგოროყვა: “უშუალო მიზეზი გამოცანების” დაწერისა - ეს ყოფილა თავადდაზნაურობის კამარილიის მოქმედება იმპერატორის ალექსანდრე II-ის ჩამოსვლის დროს საქართველოში 1871 წელს. თავადაზნაურობა ამზადებდა ადრესს იმპერატორისათვის მისართმევად. თავადაზნაურობის ყრილობამ, რომელიც საგანგებოდ იყო მოწვეული ამ შემთხვევის გამო, დაადგინა -“თერგდალეულთა” ჯგუფის გავლენით - მოეთხოვათ უნივერსიტეტის გახსნა თბილისში, რის შესახებაც შედგენილი იქნა სათანადო მიმართვა. მაგრამ თავადაზნაურობის მარშალმა რევაზ ანდრონიკაშვილმა მეფისნაცვლისა.. და თავადაზნაურთა რეაქციული ჯგუფის სურვილის თანახმად, გვერდი აუარა ამ დადგენილებას და წარადგინა სხვა ადრესი, სადაც ნაცვლად უნივერსიტეტისა, მოთხოვნილი იყო კადეტთა კორპუსის გახსნა თბილისში... ეს ადრესი შედგენილი იყო... კომისიის მიერ, რომელშიც შედიოდნენ: გიორგი მუხრან-ბატონი, დიმიტრი ჯორჯაძე, იესე ჭავჭავაძე, ბესარიონ ლოლობერიძე და მიხეილ თუმანიშვილი.

ადრესის ისტორიამ და საერთოდ იმ ლაქიურმა სულმა, რომელიც დატრიალდა თავადაზნაურობის მოთავე წრეებში იმპერატორის ჩამოსვლის გამო, გამოიწვია ილიას ეს გამოცანები” (ილია ჭავჭავაძე, თხზულებათ სრული კრებული, I, 1951. სარედაქციო შენიშვნები, გვ. 388).

“გამოცანებმა” დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მკითხველ საზოგადოებაში. გრ. ორბელიანს, რომელიც გასცნობია “გამოცანებს”, ასე უთქვამს: “არა, არა მწყინს. მამას არ უნდა ეწყინოს სილა თავის პატარა შვილისა. ერთი რამ მაწუხებს მხოლოდ: იქ ზემოდ მივა ეს ამბავი და არ ივარგებს. არავინ უნდა იცოდეს ჩვენი იდუმალი გულის

ზრახვანი” (იხ. ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, ტ. I, 1914 წ., - გრ. ყიფშიძე, ილია ჭავჭავაძე, გვ. XXXVIII).

“გამოცანები” იმ დროს ხელნაწერის სახით გავრცელდა, რადგან ყველა იქ გამოყვანილი პირი ცნობილი პიროვნება იყო და, რაც მთავარია, ცოცხალი. ამიტომ “გამოცანების” ავტორის გამჟღავნებას ყველა ერიდებოდა. თვითონ ილიაც მალავდა თავის ავტორობას, თუმცა კი ლექსის გავრცელებას ხელს უწყობდა. ამის შესახებ იგი 1871 წლის 11 დეკემბერს დ. ერისთავს სწერს: “დათიკო! გიგზავნი “გამოცანებს”, რომ წაიკითხავ და დააკვირდები, მგონია, მიხვდე, ვინც არიან აწერილნი, საქმე იმაშია, რომ არავინ - არც შენმა მახლობელმა და არც ჩემმა - არ უნდა იცოდეს ვისგან არის დაწერილი და ხალხში გავრცელებული. შენ იცი, როგორც შეინახავ ჩემს სახელს საიდუმლოდ. დაბეჭდვა მაგ ლექსისა არ იქნება, - ეგ ისე უნდა გავრცელდეს ქალაქში. მაგ გავრცელებაშიაც ძალიან ფრთხილად უნდა მოიქცე, თორემ, ჩვენდა სამტროდ, “ისინი” ყოველსფერს სიმურტლეს იკადრებენ და მაშინ ჩიტი პრტყვნად აღარ ეღირება. გამომიცხადებია, რომ შენს მეტს მანდ ქალაქში არავის ვანდე ეგ ჩემი ლექსი. შენ იცი, როგორც უპატრონებ” (ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. X, 1961, გვ. 33).

დ. ერისთავს ძალიან მოსწონებია ეს გამოცანები და რუსულადაც უთარგმნია. ამის შესახებ კვლავ სწერს ილია დ. ერისთავს: “ძმაო დათიკო! შენი წიგნი თარგმანითურთ მივიღე, ზოგიერთი ხანა ძალიან კარგად არის ნათარგმნი.. მიკვირს მე- VII გამოცანა რატომ აღარ გადაგიღია. მე შევიტყვე, რომ “პასუხი”, “პასუხის-პასუხი” და სხვანი გადაგიღია. თუ გიყვარდე, გამომიგზავნე, ან გადმოდი და თან წამომიღე... თუ ღმერთი გწამს... გადმოდი, ერთი მასალათით სული მოვიბრუნოთ” (ილია ჭავჭავაძე, თხზ., ტ. X, 1961. გვ. 34). ილიასაც უცდია თავისი გამოცანების თარგმნა. უთარგმნია კიდევ პირველი ორი გამოცანა და გაუგზავნია დ. ერისთავისთვის: “აბა ჩემი ნათარგმნიც ნახე, ჭაშნიკად გიგზავნიო”.

I

Он плешив и усаст,
Руколиз и бас густой,
Хоть и карлик, а забияка,
С бестолковой головой.

Мал он ростом, но ведь важен,
Во всем прочем, остальном,
На дела родного края
Ему плюнуть нипочем.

II

Франтик он, да и пролаза,
Мал тож ростом, худощав,
Клювонос он, вечно хмурый,
Нелюдим и крутонрав.

В нем истерлись ум и сердце,
Праздно дремлет в мире сем,
И ему на дело края

Плюнуть также нипочем.

“გამოცანები” ცხრა გამოცანისაგან შედგება. მასში გამოყვანილი პირები დადგენილია და ცნობილი. მათზე კომენტარები დაიბეჭდა 1914 წელს, მიხ. გედევანიშვილისეულ გამოცემაში. კომენტარები შეასრულა ასიკო ერისთავმა (იხ. ამ გამოცემის შენიშვნები, გვ. XIII-XIV). 1925 – 1951 წწ. გამოცემებში გამოყენებულია იგივე კომენტარები, რომლებიც შევსებულია ნ. ნიკოლაძის დამატებითი ცნობებით (იხ. ილია ჭავჭავაძე, თხზ., ტ. I, 1951, გვ. 387-389). უფრო დაწვრილებით კი “გამოცანებს” და მასში მოხსენებულ პირებს შეეხო გ. ჯიბლაძე მონოგრაფიაში “ილია ჭავჭავაძე” (1966, გვ. 210-223).

“გამოცანებში” დასახელებულ პირთა კომენტარს ვიძლევიტ “გამოცანების” თანმიმდევრობის დაცვით:

I, რევაზ ივანეს ძე ანდრონიკაშვილი (1818-1877), ერთ-ერთი მეთაური რეაქციონერთა დასისა, გენერალ-ლეიტენანტი. 1871 წ., იმპერატორ ალექსანდრე II-ის საქართველოში ჩამოსვლის დროს, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი იყო.

II, გიორგი კონსტანტინეს ძე მუხრან-ბატონი (მუხრანსკი) (1820-1877), იმ დროს სენატორი, შემდეგ სახელმწიფო საბჭოს წევრი. ავტორი ბროშურისა «О существе национальной индивидуальности и об образовательном значении крупных народных единиц» (იხ. აგრეთვე გვ. 424).

III, ივანე კონსტანტინეს ძე მუხრან-ბატონი (მუხრანსკი), გიორგი მუხრან-ბატონის ძმა, დიდი მემამულე და გავლენიანი პირი. იმ დროისათვის გადამდგარი გენერალი.

IV, პლატონ იოსელიანი (1809-1875), ცნობილი ისტორიკოსი, რომელიც, ილიას აზრით, რეაქციონერთა თანამგრძობი იყო.

V, დიმიტრი ჯორჯაძე (1822-1883), კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი.

VI, იასე ჭავჭავაძე, იმ დროისათვის საგუბერნიო სამმართველოს წევრი.

VII, ბესარიონ ლევანის ძე დოღობერიძე (1833-1879), პედაგოგი. ბოლო დროს მსახურობდა ქუთაისის სათავადაზნაურო ბანკში. თავდაპირველად “თერგდალეულთა” ჯგუფს ეკუთვნოდა, შემდეგ “მამათა” ბანაკს მიემხრო.

VIII, გრიგოლ დიმიტრის ძე ორბელიანი (1804-1883), ცნობილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე, “მამათა” ბანაკის წარმომადგენელი.

IX, გამოცანა ეხება თვით ილია ჭავჭავაძეს.

“გამოცანებს” და შემდეგ “კიდევ გამოცანებს” (იხ. გვ. 131-140) მოჰყვა გრ. ორბელიანის ცნობილი “პასუხი შვილთა”, რომელსაც ილია გამოეხმაურა ლექსით “პასუხის პასუხი” (იხ. გვ. 141).

კიდევ გამოცანები (გვ. 135)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : U: ავტოგრაფები - № 119 (B); კრებ. № 108, გვ. 161 (A).

თ ა რ ი ღ ი : 7 დეკემბერი A; 7 დეკემბერი, 1871 წ. B.

B ავტოგრაფი A-სთან შედარებით ადრეულია, შავია. შესრულებულია გრძელ ფურცელზე. ნაწერია შავი მელნით, ჩასწორებულია ავტორისავე ხელით, მუქი შავი მელნით.

I, 7 დროთა ბრუნვის] დროებისა B. 10 სურს... სურს] ჰსურს... ჰსურს B. 13 ერი დაკლა ~ B. 14 დაიდვა] დაიდო B.

III, 9-12 B-ში “დედათა წყევლამა ... ჰკიდია”-ს ნაცვლად ჯერ ეწერა:

ჯარობანას რომ თამაშობს,
ჰგონებს საქმე ჰქმნა დიდია,
ამ ბოთვერასაც ქვეყანა,
ძმანო, ფეხებზე ჰკიდია, -

გადახაზულია.

IV, 9 იგივე] თურმე B; თავდაპირველად B-ში ეწერა “თურმე იგი”, გადახაზულია. 10. თურმე] იგი B, “იგი”-ს წინ გადახაზულია “თურმე იგი”. 15-17 თავი მოჰსწონს... თავმომწონეა] ჰგმობს ყოველს და თავის თავსაც, თუ რომ დაჰპირდი ჩინია, წვრილებში თავმომწონეა B. 19 “გამოდის” ნაცვლად B-ში ჯერ ეწერა “მას ვიცნობთ”, გადახაზულია. 21 მოსწონს] მოჰსწონს B. 22 ვერ კი შეუტყეს] მე კი შევატყე B, ჯერ ეწერა “მე ვით ვსთქვი მისი ცუდობა”, გადახაზულია. 24 “იცის” ნაცვლად ჯერ ეწერა “ზოგჯერ”, გადახაზულია. 26 სავეზირო] სავაზირო B.

V, 14-15 სტრიქონებს (“ლონე”... “ვახ”...) შორის B-ში გადახაზულია “დარღვეულნი ერთ სურვილით შეგვაერთა”. 16 B-ში “ჩვენ მათ”-ს ნაცვლად ჯერ ეწერა “ჩვენთანა”, გადახაზულია. 23 მაგრამ კარგის საქმის დამთესს] მაგრამ კარგ საქმის დამთესსა B. 26-27 სტრიქონებს (“ჩვენში”... “მარტო...” შორის B-ში გადახაზულია “მარტო მას, ძმანო, ქვეყანა ეთქმის. მგონია მე, რომ ქვეყანა ჰსჩანს მას”.

VI, 16 შინვე] შინაც A.

VII, 3 მეთაურნი დაგვილანძღა] მეთაურნი დაგვილანძღვა A, ორის მეტსა ყველას ჰლანძღავს B. 5 მტერი სიბრმავეა] მტერია სიბრმავე B. 16 დაფლვად] დაფვლად A.

“კიდევ გამოცანები” ილიას სიცოცხლეში არ დაბეჭდილა, იგი “გამოცანებთან” ერთად გამოქვეყნდა 1907 წლის “ნიშადურის კრებულის” №1-ში) ტექსტი დაწერისთანავე ხელნაწერის სახით გავრცელდა. ეს ის პერიოდი იყო, როცა “მამათა” და “შვილთა” შორის ბრძოლამ კულმინაციას მიაღწია. “ჩვენში ძალიან ბევრი ახალი ამბებია, - სწერს ამ დროს სერგეი მესხი კირ. ლორთქიფანიძეს პეტერბურგში, - ორი ასეთი ხელნაწერი პამფლეტი²⁷ გამოვიდა აქ ამ დღეებში, რომელმაც მთელი ქალაქი შესძრა”²⁸...

“გამოცანებმა” და “კიდევ გამოცანებმა” აღაშფოთა “მამების” ბანაკი გრ. ორბელიანმა ამის საპასუხოდ დაწერა ცნობილი ლექსი “პასუხი შვილთა”, რომელსაც მოჰყვა ი. ჭავჭავაძის არანაკლებ ცნობილი “პასუხის პასუხი” (იხ. გვ. 105).

I გამოცანე ეხება მიხეილ ტარიელის ძე ლორის - მელაქოვს (1825 - 1888), თერგის ოლქის უფროსს, რომელმაც შემდგომში შინაგან საქმეთა მინისტრის თანამდებობასა და უმაღლესი კომისიის თავმჯდომარეობას მიაღწია.

²⁷ იგულისხმება “გამოცანები” (იხ. გვ. 131-134) და “კიდევ გამოცანები” (“გამოცანების” და “კიდევ გამოცანების” დაწერის ისტორია იხ. გვ. 417-418).

²⁸ ჟურნ. “მნათობი”, 1932, № 8-9, გვ. 202.

უფრო გვიან იყო რუსეთის იმპერიის კანცლერიც. სარგებლობდა ალექსანდრე II -ის დიდი ნდობით.

II, ლევან ივანეს ძე მელიქიშვილი (1817 - 1892), კავალერიის გენერალი, იმ დროს დაღესტნის ოლქის უფროსი, 1880 წ. კავკასიაში მეფის ნაცვლის თანაშემწე.

III, იოსებ დავითის ძე თარხნიშვილი (?- 1873), გენერალ-ადიუტანტი.

IV, მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილი (1818 - 1875), პოეტი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, ჟურნ. “ცისკრის” თანამშრომელი. წერდა “მოლაყბის” ფსევდონიმით. ილიამ მას “ქართველი მალჩალინი” (ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი ალ. გრიბოედოვის კომედიისა “ვაი ჭკუისაგან”) უწოდა.

V, დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი (1814-1887), ცნობილი საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, მწერალი, მთარგმნელი.

VI, გამოცანა კონკრეტულად არავის ეხება.

VII - ეხება თვით გამოცანების ავტორს - ილია ჭავჭავაძეს.

ლექსს ვათარილებს B ავტოგრაფის მიხედვით.

პასუხის პასუხი (გვ. 141)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : U: ავტოგრაფები - № 108, გვ. 166 (B); № 120 (A).

ს ა თ ა უ რ ი : A.

თ ა რ ი ღ ი : -B; 28 იანვარი, 1872 წ. A.

B ავტოგრაფი ნაწყვეტია, მოიცავს მხოლოდ დასაწყისს (ლექსის პირველ თხუთმეტ სტრიქონს), A სუფთა და სრული ტექსტია. წინამდებარე გამოცემაში ჩვენ დავიცავით ავტორისეული ფორმები. სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილებით, ავტორისეული ენობრივი ნორმების შესაბამისად, გასწორდა მხოლოდ ორიოდე ფორმა: II, 7 რალათა ორალადა; III, 12 მგზავსთათვის ორგავსთათვის; V, 18 მრუდეთ ომრუდედ.

“პასუხის პასუხი”, როგორც ცნობილია, ილიას დროს არ დაბეჭდილა (იგი დაიბეჭდა 1914 წელს. მიხ. გედევანიშვილის გამოცემაში). ლექსი ხელნაწერის სახით გავრცელდა ქართველ საზოგადოებაში. “პასუხის პასუხი” დაიწერა გრ. ორბელიანის ლექსის - “პასუხი შვილთა” - გამო. გრ. ორბელიანის ამ ლექსის პირველი ვარიანტი, სათაურით “გამოცანების პასუხი”, რომელიც იმ დროს ხელნაწერის სახით გავრცელდა, ძლიერ მწვავედ იყო დაწერილი. არსებითად ილიამ ამ პირველ ვარიანტს გასცა პასუხი. შემდეგ ეს ლექსი გრ. ორბელიანმა უფრო შერბილებული სახით დაბეჭდა, სათაურით “პასუხი უღირსთა შვილებთა” (ჟურნ. “ცისკარი”, 1874, № 7-8, გვ. 1-8).

ცნობილია, თუ რა შეურიგებელი ბრძოლა მიმდინარეობდა მე-19 საუკუნის 60-70-იან წლებში ძველ თაობასა (“მამები”) და ახალ თაობას (“შვილები”, “თერგდალეულები”) შორის, რასაც მოჰყვა ილიას “გამოცანები”, “კიდევ გამოცანები” (იხ. გვ. 131-140), მათ საპასუხოდ - გრ. ორბელიანის “პასუხი შვილთა” და შემდეგ ილიას “პასუხის პასუხი”. ამ ლექსებმა დიდი გამოხმაურება და მითქმა-მოთქმა გამოიწვია. “პასუხის პასუხზე” არანაკლები სიმწვავეთ გამოხატა თავის პროტესტი “მამათა” მიმართ ავ. წერეთელმა თავის ლექსში “ხარაბუზა ღენერალს”, ხოლო პოეტმა

ქალმა ნინო ორბელიანმა დაწერა საკმაოდ მოზრდილი ლექსი “პასუხის პასუხი პასუხი” (ა, № 1446, № 57, ფ. 6-8).

145. 4-6 “პირველ თქვენგანმა, იმა ბედშავმა, მას მკვდრის სუდარი გადააფარა” - ამ სიტყვებში ილია გულისხმობს გ. მუხრან-ბატონს (მის შესახებ იხ. იქვე. გვ. 420, 424.).

ლექსს ვათარილებთ A ავტოგრაფის მიხედვით.

რჩევა (გვ. 147)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : U: ავტოგრაფები - № 124 (B); კრებ. № 108, გვ. 168 (C).

ნ ა ბ ე ჭ დ ი : გაზ. “დროება”, 1872, № 35, გვ. 2 (D); თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, ვგ. 173 (A); ჩანგი, შედგენილი ვ. აბაშიძისა, გამოცემა მე-2, ტფილისი, 1892, გვ. 135 (E). ილია ჭავჭავაძის რჩეული ლექსები, წ. კ. გ. საზ-ის გამოცემა, № 81, ტფილისი, 1907, გვ. 81.

თ ა რ ი ღ ი : 1872 A; 1872 წ., მარიამობის 29-სა BD; 1872 წ., აგვისტო C.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : N (სარჩევში) E.

B ავტოგრაფს ატყვია სტამბის საღებავის ლაქები. არშიაზე ილიას ხელითაა მიწერილი და გადახაზული: “უსათუოდ “დროებაში” დააბეჭდინე. გიგზავნი ჩემს სახეს”. ლექსის ბოლოსაც იმავე მეღნით არის მინაწერი და გადახაზულია: “კორრექტურას შენ განდობ”. ჩანს, ეს ავტოგრაფი დასდებია საფუძვლად ლექსის პირველ პუბლიკაციას. C სუფთა ნაწერია.

147. 5 ბრძნობით] გრძნობით E. 8 ჰყლაპოს] ყლაპოს BCDE. 11 ჯერ] აწ BD. 18 მონებური] მონებრივი BC²⁹. 19 მაღლა] მაღლად B.

148. 2 გ გვყავს] B. D-ში ლექსის ბოლო ოთხი სტრიქონი ამოღებულია ცენზურის მიერ და შეცვლილია მრავალი წერტილით.

ცნობილია, რომ ეს ლექსი დაიწერა გიორგი მუხრან-ბატონის (იხ. კომენტარი, გვ. 420) ბროშურის გამო - «О существе национальной индивидуальности и об образовательном значении крупных народных единиц» (1872 წ.). მასში ავტორი ასეთ აზრს ატარებს: დიდმა სახელმწიფოებმა უნდა შთანთქან პატარა ერებიო. ამ ბროშურამ ძლიერ აღაშფოთა მაშინდელი ქართველი ინტელიგენცია. “თუმცა ჩვენ უკვე ანდერძი აგვიგო გიორგი მუხრან-ბატონმა, მაგრამ სტყუის უბედური, ჩვენს სიკვდილს ვერავინ მოესწრება”, - უთქვამს აკაკი წერეთელს, თავის დროზე ამ ამბავს გამოხმაურებია გაბრიელ ეპსიკოპოსიც (ქიქოძე) (იხ. ს. მ გა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი , მოგონებანი, 1938, გვ. 178).

ამ ბროშურის შესახებ 1872 წ. 30 VIII-ს ილია დუმეთიდან სწერდა პეტრე უმიკაშვილს (ილია მაშინ დუმეთში მსახურობდა): “მუხრანსკის ბროშურა წავიკითხე. აი ჩემი პასუხი: «Лишь права сильного раб свято почитает». მაგ. ბროშურის პასუხად აი, რა დავსწერე და გთხოვ “დროებაში” დააბეჭდინო, ჩემს გვარს ნუ მიაწერ”... ამის შემდეგ იქვე მოტანილია ლექსი “რჩევა”. ეს წერილი B ავტოგრაფს უძღვის წინ (დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის X ტომში, 1961, გვ. 38).

²⁹ 1925-1951 წწ. გამოცემებში ლექსის მე-18 სტრიქონში, ნაცვლად სიტყვისა «მონებური», დაბეჭდილია «მონებრივი».

როგორც წერილის მიხედვით გაირკვა, ლექსი დუშეთში დაიწერა, ამიტომ შეგვიძლია B ავტოგრაფისეულ დათარიღებას ლექსის შექმნის ადგილის მითითებაც დავურთოთ: [დუშეთი].

*** “ჩემო კარგო ქვეყანავ...” (გვ. 149)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : U: ავტოგრაფი, № 108, გვ. 170 (B).

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ჟურნ. “ივერია”, 1880, № 2, გვ. 149 (C); სალამური ანუ ლექსთა კრება, № 1, გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან, ტფილისი, 1882, გვ. 18 (D); თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 187 (A); ჩანგი, შედგენილი ვ. აბაშიძისა, გამოცემა მე-2, ტფილისი, 1892, გვ. 377 (E); სალხინო საზანდარი ანუ უქმ-დროების შემაქცევარი სიმღერების კრება ძველთა და ახალთ მწერლების, შედგენილი და შეთხზული გ.ი. სკანდარნოვისაგან, გამ, მე-4, ტფილისი, 1895, გვ. 159 (F); ჩანგი, შედგენილი ვ. აბაშიძისა. გამოცემა მე-4, ბათომი, 1900, გვ. 312 (G); ლექსები ილია ჭავჭავაძისა, მად. “ცოდნის” გამოცემა, ტფილისი, 1904, გვ. 3 (H); ჩანგური ანუ სახალხო მეჯლისი, გამოცემული დ. ლაზარევის მიერ, ტფილისი, 1905, გვ. 36 (I); ჩვენი მწერლობა, I, მგოსნები, შედგენილ-გამოცემული ს. გორგაძის მიერ, თბილისი, 1907, გვ. 46 (J); რჩეული ლექსები ილია ჭავჭავაძისა, წ. კ. გ. საზ-ის გამოცემა, № 80, ტფილისი, 1907, გვ. 18; იგივე გამოცემა № 81, გვ. 15 (K).

ს ა თ ა უ რ ი : ჩემო კარგო ქვეყანავ FGIIK.

თ ა რ ი ღ ი : 1880 (სარჩევში - 1878) A; 1878 J; 15 სექტემბერი, 1872 წ. B.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : *** C; ი. ჭავჭავაძე D; ი. ჭავჭავაძე (სარჩევში) EG; ილია ჭავჭავაძე I.

A ტექსტის სტრიქონს “ჩემო თვალის სინათლევ” - B-ში ყველგან ენაცვლება “ორთავ თვალის სინათლევ”.

2 გწყალობს] გწყალობს CG. 3 დაგშორდნენ] დაგვშორდნენ CD. 4 ახალთ] ახლათ D. 7 იქნები] იქმნები BC. 8 მიენდები] მიენდობი H. 11 შენისა ტრფობის] ტრფობისა შენის B. 14 შეჰმუსრონ] შემმუსრონ D. 15 მაშ რად] რაზედ B.

საინტერესოა ამ ლექსზე ვახტანგ ორბელიანის (1812 - 1890 წწ.) მიერ ლექსითვე გამოხმაურება (“სამშობლო ქვეყნის პასუხი”, გაზ. “დროება”, 1883 წ. № 5):

მკითხე, ჩემო პოეტო, რაზედ მომიწყენია?
ნება მომეც, მეც გკითხო, შენ კი მოგილხენია?
მეუბნები, მარწმუნებ: “მომავალი ჩვენია”.
მაგგვარი იმედები ჩემს ყურს ბევრჯელ სმენია...
და ა.შ.

ლექსს ვათარიღებთ B ავტოგრაფის მიხედვით.

*** “ალარც ნატვრა...” (გვ. 150)

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ჟურ. “ივერია”, 1879, № 9 - 10, გვ. 119 (B); თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 184 (A); სიტყვიერების თეორია, შედგენილი არხიმანდრიტის კირიონისა და გრ. ყიფშიძის მიერ,

ტფილისი, 1898, გვ. 584 (C); ჩვენი მწერლობა, I. მგოსნები, შედგენილ-გამოცემული ს. გორგაძის მიერ. თბილისი, 1907, გვ. 39 (D).

ს ა თ ა უ რ ი : აღარც ნატვრა და იმედი B.

თ ა რ ი დ ი : 1878 (სარჩევში - 1877) A; 1877 B.

8 აღსდექი]A აღდექი B, აღსდეგი C .

კ. ბ. მ-სას (გვ. 151)

ნ ა ბ ე ჯ დ ი : გაზ. “ივერია”, 1877, № 4, გვ. 8 (B); დედა და შვილი და რამდენიმე ლექსი თ. ილია ჭავჭავაძისა, ზ. ჭიჭინაძის გამ., ტფილისი, 1882, გვ. 30 (C); თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 177 (A).

თ ა რ ი დ ი : B; 1877 A.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : *** B.

151. 1 ჩვენგანს] ჩემგანს BC. 8 უარვეყოფდი] უარვეყოფდი BC.

4 სიმდაბლეს] სიდაბლეს B.

152. 4 შთენია] ჰშთენია B.

კ. ბ. მ-სა - ვინ იგულისხმება ამ ინიციალებში, გამოიფვრა ვერ მოხერხდა.

ბაზალეთის ტბა (გვ. 153)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : U: ავტოგრაფები, № 130 (BCDEFG).

ა ნ ა წ ყ ო ბ ი : a, საცენზურო კომიტეტის ფონდი, № 480, ანაწერი I, საქმე 548, გვ. 69-70 (H)³⁰.

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ჟურნ. “ჯეჯილი”, 1890, № 1, გვ. 26 (J); თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 295 (A); სიტყვიერების თეორია, შედგენილი არხმიანდრიტის კირონისა და გრ. ყიფშიძის მიერ, ტფილისი, 1898, გვ. 540 (I); ლექსები თ. ილია ჭავჭავაძისა, მად. “ცოდნის” გამოცემა, ტფილისი, 1904, გვ. 8; ილია ჭავჭავაძის რჩეული ლექსები, წ. კ. გ. საზ-ის გამოცემა, № 81, ტფილისი, 1907, გვ. 37.

ს ა თ ა უ რ ი ს ქ ვ ე შ : (ხალხური თქმულება) H;

თ ა რ ი დ ი : 1890 A; 14 მკათათვეს, 1883 წ. G; 1883 წ., 14 ივლისი H.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : *** H; ილია ჭავჭავაძე J; ი. ჭავჭავაძე I.

ლექსი პირველად დაიბეჭდა ჟურნ. “ჯეჯილში” (J); აქ მას ბოლო სამი სტროფი აკლია, ალბათ, ცენზურის მიზეზით. ამას გარდა, A-სთან შედარებით, არის მცირეოდენი სხვაობაც: **153**, 3 გარშემო] გარემო J; **154**. 4 დამღერიან] დაჰმღერიან J;

მეორედ ლექსი სრულად გამოქვეყნდა (A) და შემდეგ პუბლიკაციებშიც ამ ტექსტის მიხედვით იბეჭდებოდა, ამიტომ განსხვავება ნაბეჭდებს შორის თითქმის არ არის.

³⁰ ცნობა მოგვაწოდა ლ. ჭრელაშვილმა.

რაც შეეხება ავტოგრაფ U № 130-ს, იგი ცალკე ხელნაწერია, დაწერილი მოგრძო ფურცლებზე შავი მელნით და ნასწორები იმავე მელნით, ხელნაწერი შედგება რამდენიმე გვერდისაგან, სადაც მოცემულია ლექსის ექვსი ვარიანტი (BCDEFG), ექვსივე უსათაურო, ამათგან ხუთი-უთაროდო (დათარიღებულია მხოლოდ ბოლო G ტექსტი), ოთხი (BCDE) - დაუმთავრებელი (ხუთ ან შვიდსტროფიანია) და ორიც (FG) მთლიანი ტექსტია. ამ ავტოგრაფებიდან 1914 წლის გამოცემაში დაბეჭდილია ხუთი, მაგრამ ამათგან მხოლოდ ერთია ვარიანტად მიჩნეული (ჩვენი ლიტერით G ტექსტი). აკლია ჩვენი ლიტერით F ავტოგრაფი (იხ. ილია ჭავჭავაძის თხზულებანი, ტ. I, მიხ. გედევანიშვილის გამოცემა, 1914, შენიშვ. გვ. XVII).

პ. ინგოროყვა ავტოგრაფთა საერთო რაოდენობას არ ასახელებს, მაგრამ აღნიშნავს, რომ ამ ლექსს აქვს სამი დასრულებული ვარიანტი, გარდა პირვანდელი ესკიზებისაო (იხ. ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I; 1951, გვ. 456). ვარიანტების განყოფილებაში კი ამ ლექსის მხოლოდ ორი ვარიანტია გატანილი: პირველ ვარიანტად - ჩვენი ლიტერით D (გვ. 299) და მეორე ვარიანტად - ჩვენი ლიტერით F (გვ. 300). რაც შეეხება მესამე ვარიანტს (ჩვენი ლიტერით G), იგი ვარიანტების განყოფილებაში არ არის დაბეჭდილი, მაგრამ ტომში მისი ფოტოკოპირია მოთავსებული (გვ. 402-403).

ჩვენ ზემოთ დასახელებულ ექვსივე ტექსტს ვარიანტად ვთვლით, რომლებშიც ნათლად ჩანს პოეტის მთელი მუშაობის პროცესი ამ ლექსზე. ქვემოთ ტექსტებს ვალაგებთ არა იმ თანმიმდევრობით, როგორც ხელნაწერშია, არამედ - ჩვენი ვარაუდით - ქრონოლოგიურად (ე. ი. რომელი უფრო ადრინდელია, რით დაიწყო ავტორმა ეს ლექსი და რით დაამთავრა). ამის უფლებას თვით ტექსტებზე დაკვირვება გვაძლევს.

ავტოგრაფები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ავტორის მიერაა ნასწორები: B (ავტოგრაფში რიგით მე-4):

ბაზალეთისა ტბის ძირსა
ოქროს აკვანი არისო,
ზემოდამ ადგა მჭვირვალე
კარავი წმინდა წყალისო.

მის გარე ბაღი თურმეა,
არც ჰბერდება, არცა ჰკნება,
ქვეყნისა დროთა ცვლილებას
იგი არ ემორჩილება.

არ ერჩის თურმე მის მწვანეს
არც ზაფხული, არც ზამთარი,
და იმის მზიან ჩრდილებში
მუდამ გაზაფხული არი.

იმ ბაღის შუა გულში
ის აკვანი ასვენია,
და ჯერ კაცთაგან იქ ჩასვლა
ვერავის გაუბედნია.

მარტო ერთნი სირინოზნი...

აქ წყდება ტექსტი. აქედან: 5 “მის გარე”-ს ნაცვლად ჯერ ეწერა “წყლის ქვეშე”, - გადახაზულია. 6 “არც” - მის ნაცვლად ჯერ ეწერა “არასდროს”, - გადახაზულია. 7 ნაცვლად სიტყვისა “ცვლილებას” ჯერ ეწერა “ბრუნვასა”, - გადახაზულია. 9 ნაცვლად სიტყვების “მწვანეს” ჯერ ეწერა “ყვავილს”, - გადახაზულია. 10 ნაცვლად სიტყვებისა “არც ზაფხული” თავდაპირველად ეწერა “არც სიცხე”, - გადახაზულია. 12-13 სტრიქონებს (“მუდამ...” “იმა ბალის”...) შორის გადახაზული:

“ბალის მშვენიერს მდებლობედ
ის აკვანი ასვენია,
და ჯერ კაცთაგან იქ ჩასვლა
ვერავის გაუბედნია.

აქ, პირველ სტრიქონში ჯერ ეწერა “იმ ბალის შუაგულშია”, გადახაზულია. შემდეგ: “იქ ჩასვლა”-ს ნაცვლად ეწერა “იქამდე”, გადახაზულია. ნაცვლად სიტყვისა “ვერავის” ვერა “ჩასვლა ვერ”, გადახაზულია.

C (რიგით მე-2):

ბაზალეთისა ტბის ძირსა
ოქროს აკვანი არისო,
მის გარშემო წყლის ქვეშე
ლამაზი ბალი ყვავისო.

მწვანეა მუდამ ის ბალი,
არასდროს თურმე არ ჰსჭკნება,
ქვეყნისა დროსა ცვლილებას
იგი არ ემორჩილება.

არ ერჩის თურმე მის ყვავილს
არცა სიცხე, არც ზამთარი,

[და] ლამაზ მზიან ჩრდილებში
მუდამ გაზაფხული არი,

იმ ბალის შუა გულშია
ის აკვანი ასვენია
და ჯერ კაცთაგანს იქ ჩასვლა
ვერავის გაუბედნია.

მხოლოდღა სირინოზნი კი
აკვანსა გარს ეხვევიან,
ნელის ღულუნით ტურფანი
ტკბილს ნანას ეუბნებიან.

აქედან: 8-9 სტრიქონებს (“იგი არ”... “არ ერჩის”) შორის გადახაზულია: “ფოთოლს ვერ უშრობს ვერც სიცხე, ვერცა ზამთარი”, “ვერცა ზამთარი უზრავსო”. 9 სიტყვის “არ” ნაცვლად ეწერა “ვერ”, - გადახაზულია; ნაცვლად სიტყვისა “ყვავილს” ეწერა “მდელოს”, შემდეგ “მწვავეს”, - გადახაზულია.

11. ნაცვლად სიტყვისა “ჩრდილებში” ეწერა “იმ ბაღში”, გადახაზულია.

12. ნაცვლად სიტყვისა “მუდამ” ეწერა ჯერ “ტურფა”, შემდეგ “ტკბილი”, ორივე გადახაზულია.

D (რიგით I): პირველი ორი სტროფი თანხვდება C-ს I - II სტროფებს. შემდეგ მოდის:

აკვანი იგი ოქროსი
ოდითვე იქ ასვენია,
და ჯერ კაცთაგანს იქ ჩასვლა
ვერავის გაუბედნია.

ტურფანი სირინოზნი კი
იმ აკვანს გარს ეხვევიან,
ნელის ღულუნით ლამაზნი
ტკბილს ნანას ეუბნებიან.

ამბობენ, თამარ მეფესა
იგი იქ ჩაუსვენია
და ის კი აღარ იციან
შიგ მას ვინ ჩაუწვენია.

იქნება მასში ის ყრმა წევს,
რომლის არ ითქმის სახელი
და რომელსაც დღედაღამ
ნატრულობს ჩუმად ქართველი.

თუ ეგრე არის, ნეტა მას,
ვაჟკაცსა სახელოვანსა,
რომლისა ხელიც პირველად
შეარწევს იმა აკვანსა.

აქედან: 11 “და ის კი აღარ იციან”... - ამის ნაცვლად ჯერ ეწერა: “ამას კი აღარ ამბობენ”, გადახაზულია.

ძირითად ტექსთან შედარებით, არ არის III სტროფი (“ვერ ერჩის...”); VI (“ამბობენ, - თამარ დედოფალს...”) და VII (“ამას კი აღარ ამბობენ...”), სტროფების აზრი გაერთიანებულია D ტექსტის V სტროფში:

E (რიგით მე-3) უახლოვდება A ტექსტს. დასრულებული არ არის და ხუთი სტროფისაგან შედგება.

ბაზალეთისა ტბის ძირსა
ოქროს აკვანი არისო

და მის გარშემო წყლის ქვეშე
წალკოტი უცხო ყვავისო.

მწვანეა მუდამ წალკოტი,
არასდროს თურმე არ ჰსჭკნება,
ქვეყნისა დროსა ცვლილებას
იგი არ ემორჩილება.

არ ერჩის თურმე მის მწვანეს
არცა სიცხე, არც ზამთარი,
და იმის მზიან ჩრდილებში
მუდამ გაზაფხული არის.

წალკოტის შუა გულშია
ის აკვანი ასვენია,
და ჯერ კაცთაგანს იქ ჩასვლა
ვერავის გაუბედნია.

მარტო ერთნი სირინოზნი
იმ აკვანს გარს ეხვევიან,
ნელის ღიღინით გრძნეულნი
გრძნელს ხმებს ეუბნებიან.

აქედან: IV სტროფის (“წალკოტის შუა გულშია”) შემდეგ გადახაზულია:

მარტო ერთნი სირინოზნი
იმ აკვანს ზედ ეხვევიან, ზედ დაჰხარიან,
ნელის ღიღინით, გალობით
გრძნელუს ხმებს ეუბნებიან.

ამ გადახაზული სტროფის გვერდით, არშიაზე წერია: “ზემოდამ ადგა მჭირვალე
კარავი წმინდა წყალისაო”.

F (ავტოგრაფში რიგით მე-5) შავი, სრული ტექსტია. იყოფა ორ თავად: I-ში
შედის ჩვენი ტექსტის (A) პირველი ხუთი სტროფი, II-ში - მომდევნო ხუთი სტროფი,
A ტექსტთან შედარებით F ასეთ სხაობას იძლევა:

153. 7 ტრიალსა] მუქარას F, ამის ნაცვლად ჯერ ეწერა “ცვლილებას”,
გადახაზულია. 10 ვერც სიცხე, ვერცა ზამთარი] არც სიცხე, არცა ზამთარი F, ეწერა,
“არც ზამთარი, არც ზაფხული”. გადახაზულია.

154. 1 მარტო ერთნი სირინოზნი] მარტო ისინი გრძნეულნი F, ეწერა “ტურფანი
სირინოზნი კი”, გადახაზულია. 3 F-ში “მარტო იგინი”-ს ნაცვლად ჯერ ეწერა “ნელის
ღიღინით”, შედმეგ “გრძნეულნი”, ორივე გადახაზულია. 4 წ-ში, ნაცვლად სიტყვებისა
“დასტრფიან და დამღერიათ”, ჯერ ეწერა: “ტკბილ ნანას ეუბნებიან”, - გადახაზულია.
6 ნაცვლად სიტყვებისა “ის აკვანი იქ ჩაუდგამს”, F-ში ჯერ ეწერა: “იგი იქ ჩაუსვენია”,
“დაუდგენია”, “ტბის ძირსა ჩაუდ”, “იმ ადგილს დაუდგავს”, - ეს ყველაფერი
გადახაზულია და ზედ აწერია: “ის აკვანი იქ ჩაუდგამს”. 9 ამასს] იმას F. 11-12 ან
თვით... დაადინა] ან ტბის ქვეშ აკვნის დამარხვა რისთვის მოიწადინა F. 13 იქნებ

აკვანში] იქნებ მასში F. 14 ვისიც] რომლის F. 15-16 ვისაც... ქართველი] და რომელსაცა დღედაღამ ჩუმიად ნატრულობს ქართველი F. 17 ესე] ეგრე F. 19 ვისიცა] რომლისა F. 20 დასწვდება] ჩასწვდება F. 23-24 ვინც იმ... ცხებულსა] რომელსაც იმ ყრმობას პირველად მიაწვდის თავის ძუძუსა F.

ტექსტის გვერდით ასეთი ავტორისეული მინაწერია: “შენ იქნება ბრმადაც ჩამთვალო, რომ მე ჩვენში ინტელიგენცია ვერ შემიმჩნევია, მაგრამ გარწმუნებ, მიკროსკოპიც რომ აიფარო თვალებზედ, მაინც ვერ იპოვი ე რაღაც ინტელიგენციაა. მეტი ჩარა არ არის, უნდა დამიჯერო, რომ ინტელიგენცია, როგორც ცალკე რაზმი, როგორც ის საკუთარი, თვით-არსებობითი მოვლენა ჯერ არ არსებობს და მალე არც იქნება”.

ამ ტექსტს კიდევ აქვს მინაწერი: “რომ ჩვენში ახალი რაზმი გამოდის და თანდათან მატულობს ეს ყველა თვალხილულისათვის”... იმავე ფურცელზე მოთავსებულია ნ. ნიკოლაძისადმი წერილი, რომელსაც ლექსთან ასევე არაფერი საერთო არ აქვს.

G (რიგით მე-6) ავტოგრაფი სუფთაა და სრული ტექსტია. იგი უფრო ახლო დგას A ტექსტთან, ვიდრე ზემოთ ჩამოთვლილი ვარიანტები.

ვუდარებთ ჩვენს ძირითად (A) ტექსტს:

153. 3 გარშემო] გარემო G. 6 სჭკნება] ჰსჭკნება G. 7 ტრიალსა] მუქარას G. 9 მის] იმ G. 12 გაზაფხული] ყვავილები G. 13 წალკოტის შუაგულშია] იმ წალკოტის შუაგულში G. 15 G-ში იყო “და კაცთაგანსა”, შემდეგ ავტორმა ჩაუმატა “ჯერ”, ხოლო “კაცთაგანსა” გადააკეთა სიტყვად “კაცთაგანს” (“და ჯერ კაცთაგანს”).

154. 6 ჩაუდგამს] დაუდგამს G (ასეა, რ. კ.). 11 ან] და G. 12 ზედ ტბად] ტბა ზედ G. 13-16 ნაცვლად სტრიქონებისა - “იქნებ აკვანში... ქართველი?” – G-ში არის:

იქნება მასში ის ყრმა წევს,
რომლის არ ითქმის სახელი,
და რომელსაცა დღე და ღამ
ჩუმიად ნატრულობს ქართველი G.

19 G-ში “ვისაც ხელი”-ს ნაცვლად ჯერ ეწერა “რომლის ხელ”, გადახაზულია.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, “ბაზალეთის ტბის” მხოლოდ ბოლო ვარიანტია (G) დათარიღებული (“14 მკათათვეს, 1883”), ეს იმას ნიშნავს, რომ პოეტმა დაასრულა ლექსზე მუშაობა. მართლაც, იმავე 1883 წელს ილიას გადაუწყვეტია მისი დაბეჭდვა ჟურნ. “ივერიაში”. ამას მოწმობს H წყარო. იგი ორი გვერდისაგან შედგება (69, 70), ორივე გვერდი აწყობილია და აქა-იქ კორექტურაც არის გაკეთებული. 69 გვერდზე სრული ტექსტია, აქვს სათაური, ხელმოწერა და თარიღი. 70-ე გვერდზე იგივე ტექსტია, ოღონდ - უსათაურო. სათაურის მაგივრად არის *, ქესათაურად კი - “ხ ა ლ ხ უ რ ი თ ქ მ უ ლ ე ბ ა”. ეს ტექსტი მოკვეცილია (ტაეპიდან - “იქნებ აკვანში ის ყრმა წევს” - ბოლომდე) ცენზურის მიერ და იქვე მიწერილია საცენზურო კომიტეტის რეზოლუცია: “По журналу цензурного комитета 20 июля 1883 год определено в виду 3 ст. пун. ценз. дель. Напечатание воспретить и удержать при делах”.

H ტექსტი მომდინარეობს G ავტოგრაფიდან, მცირეოდენი სხვაობით, რითაც H ტექსტი უფრო ახლოს დგას საბოლოო ტექსტთან, რომელიც ბოლომეკვეცილი სახით

დაიბეჭდა 1890 წელს “ჯეჯილში”. მოვიტანთ H-ის განსხვავებულ წაიკითხვებს A-სთან შედარებით:

153. 7 ტრიალსა] მუქარას H. 12 გაზაფხული] ყვავილები H.

154. 6 ჩაუდგამს] დაუდგავს H. 13 იქნებ აკვანში] იქნება მასში H. 15-16 ვისაც... ქართველი] და რომელსაცა დღედაღამ ჩუმად ნატრულობს ქართველი H. 17, 21 ესე] ეგრე H. 22 სახელდებულსა] გამარჯვებულსა H.

ლექსს ვათარილებთ G ავტოგრაფის მიხედვით.

ბ ა ზ ა ლ ე თ ი ს ტ ა ბ ა - მდებარეობს დუშეთის მახლობლად.

დამაკვირდი (გვ. 155)

ნ ა ბ ე ჭ დ ი : გაზ. “ივერია”, 1886, № 80, 85, 97, 100, 117, 119, 137, 141, 155, 175, 181, 187 (B); დამაკვიდრი ანუ აფორიზმები ძველთა და ახალთა ბრძენთა, მეცნიერთა და გამოჩენილ კაცთა მიერ თქმულნი, დაბეჭდილი “ივერიის” რედაქციის მიერ, ტფილისი, ე. ხელაძის სტამბა, 1887, გვ. (C); გაზ. “ივერია”, 1888, № 1 (D); თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 279 (A); გაზ “ივერია”, 1904, № 264, 267, 277, 279 (E); ლექსები ილია ჭავჭავაძისა, მად. “ცოდნის” გამოცემა, ტფილისი, 1904, გვ. 59 (F); ჩვენი მწერლობა, I. მგოსნები, შედგენილ-გამოცემული ს. გორგაძის მიერ, თბილისი, 1907, გვ. 67 (G); ჟურნ. “ნიშადური”, 1907, № 4, გვ. 10 (H).

ს ა თ ა უ რ ი : დამაკვირდი BG; საახალწლო მილოცვა პ. უმიკაშვილს D; ქართული სიბრძნე (მგოსანთა გამონათქვამიდან) E; ილია ჭავჭავაძის აფორიზმები H.

ს ა თ ა უ რ ი ს მ ა გ ი ე რ : (თქმული ლარიძისა) C.

თ ა რ ი დ ი : 1889 AG.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ლარიძე BC; (ილია ჭავჭავაძე) E.

“დამაკვირდის” მთლიანი ტექსტის ავტოგრაფი მიუკვლეველია. მხოლოდ ერთი სტროფის (“ვაჟკაცად იმას არ ვაქებ”...) ავტოგრაფი აღმოაჩინა შ. გოზალიშვილმა (იხ. მისი “უცნობი ავტოგრაფები”, გაზ. “კომუნისტი”, 1964, 18/I).

1886 წლის გაზ “ივერიის” (B) ზემოჩამოთვლილ ნომრებში საერთო სათაურით “დამაკვირდი” იბეჭდებოდა სხვადასხვა პოეტის გამონათქვამი, მათ შორის ილია ჭავჭავაძის თითო სტროფი თითო ნომერში ასეთი თანმიმდევრობით: XII, V, XIII, VI, IX, II, IV, III, X, I, XIV, VIII, VII, XI.

თითოეულ მათგანს მიწერილი აქვს ილიას ფსევდონიმი “ლარიძე”. ამავე ფსევდონიმით დაიბეჭდ გაზ. “ივერიის” გამოცემაში (C) უკვე ლექსად აკინძული ტექსტის სტროფთა ასეთი თანმიმდევრობა: I, IV, III, X, IX, VIII, VI, VII, II, XIII, V, XIV, XII.

1888 წლის “ივერიაში” (D) კი ხელმოუწერლად დაიბეჭდა მხოლოდ ერთი სტროფი (IV – “წუთის-სოფელი ესეა”...), რომელიც მიეძღვნა პ. უმიკაშვილს.

F-ში დაიბეჭდა სტროფთა ასეთი განლაგებით: XIII, I, VII, VIII, XI, IV, X, V, XII, III, II, VI, IX, XIV.

G-ში - II, XII, VII, IV, XIII.

H-ში კი ასე: VII, IX, VI, III, XIII, IV, II, X, XII, XI, VIII, V. ბოლო სტროფი H-ში არის:

წინა კაცი უკანასი
ხიდიაო, ნათქვამია,
დღეის ვაგლახს ამით დასძლევს,
ვინცა ხვალისა მდგომია.

ეს სტროფი სხვა წყაროებში არ გვხვდება. დანარჩენი სტროფები თითო-ოროლა სიტყვის სხვაობით მისდევს A-ს, რომლის კომპოზიციასაც ვიცავთ წინამდებარე ტომში, როგორც ავტორის ბოლო ნებას.

ი. ჭავჭავაძის თხზულებათა მიხ. გედევანიშვილისეულ გამოცემაში სტროფთა განლაგება თანხვდება A-ს VI სტროფის ჩათვლით. შემდეგ კი თანმიმდევრობა ასეთია: IX, X, XIII, VII, VIII, XIV, XII, XI. 1925 – 1951 წლების გამოცემათა I ტომებში გამომცემლებს შეუცვლიათ ამ სტროფთა განლაგება ასე: XII, XIII, V, VI, IX, II, IV, III, X, I, XIV, VII, VII, XI.

AG წყაროებში “დამაკვირდი” დათარიღებულია 1889 წლით.

როგორც ზემოთ დავინახეთ, “დამაკვირდის” ბეჭდვა ილიამ დაიწყო 1886 წლის “ივერიის” № 80-დან და დაამთავრა № 187-ში. დღეისათვის სადავო გახდა IV სტროფის (“წუთის-სოფელი ესეა”...) ილიასეულობა. 1979 წელს გამოცემული “ქართული ხალხური პოეზიის” VII ტომში ეს ლექსი შეტანილ იქნა, როგორც ხალხური ლექსი (გვ. 31). ხოლო მის შესახებ შენიშვნაში (გვ. 229) ვკითხულობთ: “ქართლი”, ჩამწ. მირზაშივლი. ფ. არქ. 13238, იგივე “ივერია” 1888 წ., № 1, საახალწლო მილოცვა პ. უმიკაშვილს; იგივე ი. ჭავჭავაძის თხზ. სრ. კრებ. ტ. I, 1951, გვ. 107, აქ შეცდომითაა მითითებული, რომ პირველად ეს ლექსი 1886 წელს დაიბეჭდა “ივერიაში” (იქვე, გვ. 456). ლექსი პირველად ხელმოუწერლად გამოქვეყნდა “ივერიაში” 1888 წელს, როგორც საახალწლო მილოცვა პ. უმიკაშვილისადმი. ამის შემდეგ შეჰქონდათ ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემებში. აქამდე არც ერთ ფოლკლორულ კრებულში არ დაბეჭდილა, რადგან, როგორც ჩანს, ილიასეულად მიაჩნდათ. თუმცა სხვა საბუთი, გარდა იმისა, რომ იგი “ივერიაში” დაიბეჭდა, ჯერჯერობით არა ჩანს. ფოლკლორული ჩანაწერების არსებობა და ის გარემოება, რომ აღნიშნული ლექსი კახური სუფრული სიმღერებიდან ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია, ვფიქრობთ, გვადლევს უფლებას შევიტანოთ იგი ხალხური ლექსების მრავალტომეულში”. იქვე მოტანილია ამ სტროფის კახური ვარიანტი:

“წუთისოფელი იგრეა, დღე-ღამე გვითენებია,
რაც რომ მტერს დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია”.

აქ ნათქვამია, რომ ლექსი შეტანილია ი. ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებულის I ტომში (1951 წ.) და რომ აღნიშნულ გამოცემაში არასწორად არის მითითებული ლექსის პირველი პუბლიკაციის თარიღი (1886 წ.) რამდენად შეეფერება ყოველივე ზემოთქმული სინამდვილეს? არის თუ არა ეს ლექსი მართლა ხალხური?

ლექსი “დამაკვირდი” შედგება თოთხმეტი ნაწილისაგან. თითოეულ ნაწილში კი მოთავსებულია ერთ- ან რამდენიმესტროფიანი ლექსი, სადაც ავტორი პოეტურად აყალიბებს თავის დაკვირვებებს და შეხედულებებს ადამიანზე, მის ცხოვრებაზე და საერთოდ წუთისოფელზე. ლექსი “წუთის-სოფელი ესეა” “დამაკვირდიში” IV ნაწილად არის შესული (რადგან პ. ინგოროყვამ “დამაკვირდის” ნაწილებს ადგილი შეუცვალა, ი. ჭავჭავაძის თხზულებათა 1925-1951 წლების გამოცემებში ლექსი VII ნაწილადაა წარმოდგენილი).

როგორც აღვნიშნეთ, 1886 წლიდან გაზ. “ივერიაში” თავდაპირველად საერთო სათაურით - “დამაკვირდი” იბეჭდებოდა მსოფლიოს სხვადასხვა მწერლისა თუ მოაზროვნის ბრძნული გამონათქვამები, მათ შორის ილიას ლექსებიც, - თითო ნაწილი თითო ნომერში. ასე ამგვარად, ეს წვრილ-წვრილი ლექსები ილიასი ცალკე-ცალკე დაიბეჭდა 1886 წლის გაზეთ “ივერიის” თხუთმეტ ნომერში (№ 80, 85, 97, 100, 104, 117, 119, 137, 141, 155, 175, 179, 181, 187). თითოეულ მათგანს ქვეშ მიწერილი აქვს გვარი “ლ ა რ ი ძ ე”. გაზეთის ზემოთ დასახელებული ნომრებიდან № 119-ში მოთავსებულია ჩვენთვის საინტერესო ლექსი “ლარიძის” ხელმოწერით.

1887 წელს “ივერია” საერთო სათაურით “დ ა მ ა კ ვ ი რ დ ი” ბეჭდავს ცალკე წიგნს, რომელშიც, სხვა ავტორთა ლექსების გვერდით, ერთადაა დაბეჭდილი ზემოხსენებულ ნომრებში ცალ-ცალკე გამოქვეყნებული ლარიძის ლექსები და სათაურის მაგიერ თავზე აწერია: (“თ ქ მ უ ლ ი ლ ა რ ი ძ ი ს ა”). მასში ლექსიც “წუთის-სოფელი ესეა” (გვ. 79). ამის შემდეგ, 1888 წელს, გაზ. “ივერიის” № 1-ში იბეჭდება სწორედ ეს ლექსი, როგორც მილოცვა პეტრე უმიკაშვილისადმი. ლექსი აქ ხელმოწერილია, მაგრამ მისი ავტორი უკვე ცნობილია (ლარიძე), ამიტომ ეჭვი არ გვეპარება, რომ ამ ხელმოწერელი ლექსის ავტორის ვინაობა პ. უმიკაშვილსაც ეცოდინებოდა. მით უფრო, რომ იგი ავტორს ახლოს იცნობდა.

ლექსის ავტორის ვინაობა უკვე ყველასათვის ნათელი და აშკარა გახდა, როცა ტექსტი შეტანილ იქნა 1892 წელს გამოცემულ ილიას თხზულებათა I ტომში (გვ. 282). ამ გამოცემაში ლექსი დაიბეჭდა “ივერიის” ზემოხსენებულ ნომრებში გამოქვეყნებულ სხვა ლექსებთან ერთად, სათაურით “დამაკვირდი”. ამიერიანად, 1892 წლამდე ილიას ეს ლექსი სამჯერ გამოქვეყნდა: ორჯერ “ლარიძის” ფსევდონიმით, ერთხელ - ხელმოწერულად. 1892 წლის გამოცემა კი, როგორც ცნობილია, ილიას უშუალო მეთვალყურეობით მომზადდა. 1904 წელს იბეჭდება კრებული - “ლექსები თ. ილია ჭავჭავაძისა”, რომელშიც შეტანილია ილიასეული “დამაკვირდის” მთლიანი ტექსტი, დღეს სადაოდ გამხდარი ლექსითურთ (გვ. 59). ამრიგად, 1907 წლამდე, ილიას სიცოცხლეში, “წუთის-სოფელი ესეა” რამდენჯერმე გამოქვეყნდა; პოეტის სიკვდილის შემდეგაც გამომცემლებს იგი უყოყმანოდ შეჰქონდათ ილიას თხზულებათა კრებულებში (იხ. ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის და 1925-1951 წწ. გამოცემები და სხვა). ასე რომ, ლექსის ილიასეულობა უდავოა.

ლექსს ვათარიღებთ მისი პირველი პუბლიკაციის მიხედვით: [1886 წ.]

კითხვა -პასუხი (გვ. 159)

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ჟურნ. “მოამბე”, 1894 წ., № 2, გვ. 145 (B); გაზ. “ივერია”, 1894, № 46, გვ. 3 (C); პატარა ჩანგი, გამოცემა “გუთნისა” (სტამბა არ. ქუთათელაძისა), თფილისი, 1902, გვ. 4 (D); პატარა ჩანგი, გამოცემა მე-2, სტამბა ძმები

თავართქილამეებისა, ტფილისი, 1903, გვ. 4 (E); ლექსები ილია ჭავჭავაძისა, მად. “ცოდნის” გამოცემა, 1904, გვ. 20 (A).

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილია ჭავჭავაძე BDE;

გაზ. “ივერიაში” ლექსი ჩართულია სტ. ჭრელაშვილის სტატიაში “ბიბლიოგრაფიული წერილი”, რომელშიც ნათქვამია: “ამავე მეორე ნომერში (იგულისხმება ჟურნ. “მოამბე”, 1894 წ. № 2, - რ. კ.) დაბეჭდილია სხვათა შორის ახალი ლექსი ბ-ნ ილია ჭავჭავაძისა “კითხვა-პასუხი”, რადგან ეს ლექსი ეკუთვნის რედაქტორს ჩვენის გაზეთისას, ამიტომ მისი დაფასება მიგვიჩვენებს სხვისთვის. მაგრამ რადგან ამ ავტორს დიდი ხანია აღარ დაუწერია ლექსი, ამიტომ იმედი გვაქვს, მკითხველი აღარ დაგვემდურება, რომ მთლიანად ამოვბეჭდეთ ხსენებული ლექსი. თანაც ამ ლექსით მკითხველს საშუალება მიეცა, რომ სიგრძე-სიგანით გაზომოს უშველებელი ძალა “კვალის” კრიტიკოსისა (იგულისხმება გ. წერეთელი, - რ. კ.), რომელიც აუწყებს ქვეყანას, რომ ბ-ნმა ილია ჭავჭავაძემ გაუშვა ხელი ქართველთა მაჯას “გლახა ჭრიაშვილის” დაწერის შემდეგო... აი ეს ლექსი სიტყვა-სიტყვით”... და ამის შემდეგ მოტანილია ლექსი მთლიანად. იგი თანხვდება B ტექსტს.

ლექსის დაწერის თარიღი ცნობილი არ არის, იგი პირობითად თარიღდება პირველი პუბლიკაციის მიხედვით: [1894 წ.].

ორხმიანი საახალწლო ოპერეტი (გვ. 161)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : U: ავტოგრაფი, № 185 (B).

ნ ა ბ ე ჭ დ ი : გაზ. “ივერია”, 1895, № 1-5 (A)

ს ა თ ა უ რ ი : ფელეტონი B.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ფირუზა A.

ავტოგრაფი შესრულებულია შავი მელნით, შეყვითლებულ უხაზო ქაღალდზე; არის მხოლოდ ერთი გვერდი, რომელზეც წერია ტექსტის პირველი ხუთი სტროფი. მისი გაგრძელება, ჩანს, დაკარგულია.

161. 7 სასძლოდ] სარძლოდ B.

162. 8 B-ში ნაცვლად სიყვისა “სხვებზე” ჯერ ეწერა “მტრებზე”, გადახაზულია. 10 ჩვენი პოეტი აკაკი] ზღაპრების უსტა აკაკი B.

ჩვენს გამოცემაში გასწორებულია ორი ფორმა: გვ. 165, 24 აქედ-აქეთ; გვ. 170, 7 სმენლისა -> მსმენლისა.

161. გ ი ო რ გ ი წ ე რ ე თ ე ლ ი (1842-1900); ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე.

ზოილი: ფსევდონიმი დავით კეზელისა (1854-1907), - პუბლიცისტი, მწერალი. წერდა აგრეთვე “დავით სოსლანისა” და “არაგველის” ფსევდონიმებით.

162. “კვალი” ყოველკვირეული ლიტერატურულ-პოლიტიკური გაზეთი (1893-1904), დამაარსებელი და ფაქტობრივი ხელმძღვანელი - გ. წერეთელი.

ჩ ვ ე ნ ი პ ო ე ტ ი ა კ ა კ ი : აკაკი წერეთელი (1840-1915).

163. “ივერია” ლიტერატურულ-პოლიტიკური პერიოდული გამოცემა, (1877-1906), რომლის დამაარსებელი იყო ილია ჭავჭავაძე.

164. გეურქ-აღა წერეთელი - იგულისხმება გიორგი წერეთელი.

“შევკარ დასი”: აქ იგულისხმება “მესამე დასი”, რომლის ერთ-ერთი ორგანიზატორი იყო გიორგი წერეთელი.

“ჩემი მესამე დასია”: “მესამე დასი” - პირელი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია საქართველოში (დაარსდა 1893 წ.). “მესამე დასმა” დიდად შეუწყო ხელი მარქსიზმის გავრცელებას და საფუძველი ჩაუყარა სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას საქართველოში.

165. სილოვან ხუნდაძე: (1860-1928), ცნობილი პედაგოგი და ლიტერატორი.

ილია ხონელი: ფსევდონიმი მწერლისა და ჟურნალისტის ილია ბახტაძისა (1859-1900).

166. “პოეტის სილოვანისა”: იგულისხმება სილოვან ხუნდაძე.

“მოამბე”: ყოველთვიური სალიტერატურო ჟურნალი (1894-1905), რომლის რედაქტორიც იყო ალ. ჭყონია. გამომცემლები: ნ. ლოლობერიძე, შემდეგ - ალ. ჯაბადარი.

გაზ “კავკაზი”: ყოველდღიური პოლიტიკური და ლიტერატურული რუსული გაზეთი, გამოდიოდა თბილისში (1846-1918). 1850 წლიდან გაზეთს სცემდა კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარია.

167. “ანტონმაც მე წინ გამიგდო”: იგულისხმება ცნობილი მწერალი ანტონ ფურცელაძე (1839-1913).

168. მიხეილ მაჩაბელი: ივანე მაჩაბლის მომხრე ბანაკის ირგვლივ გამართულ კამათში.

170. “ამისთვის მარტო ვანოსი”: იგულისხმება ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მწერალი, შექსპირის უბადლო მთარგმნელი ივანე (ვანო) მაჩაბელი (1854-1898).

ძმანი ყიფშიძენი: იგულისხმება გრიგოლ (1856-1921) და ალექსანდრე (1862-1916) ყიფშიძეები, “ივერიის” თანამშრომლები და ცნობილი ლიტერატორები.

“ისევ სჯობს სადმე წავიდე, ბანკში ურგებად გდებასა”: ნათქვამია საადგილმამულო ბანკზე, რომლის დამაარსებელი, სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში (1875-1905 წწ.) იყო ილია.

171. მიშო: იგულისხმება მიხეილ მაჩაბელი.

172. ნ. ზ. ცხვედაძე: ნიკო ზეზუნდის ძე ცხვედაძე (1845-1911). პედაგოგი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე. მისი ინიციატივით წამოიჭრა საკითხი ქართული უნივერსიტეტის შენობის აგებისა.

173. ი. გოგებაშვილი: იაკობ გოგებაშვილი (1842-1911), ცნობილი პედაგოგი, მწერალი საზოგადო მოღვაწე.

მართალია, “ორხმიანი საახალწლო ოპერეტი” ავტოგრაფსა და პირველნაბეჭდში დათარიღებული არ არის. მაგრამ, პ. ინგოროყვას მოსაზრებით, “ეს ლექსი, როგორც ჩანს მისი სადღეისო ხასიათის მიხედვით, დაწერილია 1894 წლის მიწურულში, საახალწლოდ” (იხ. ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. I, 1951, გვ. 440). მართლაც, ამ ლექსის შინაარსი, მასში ნახსენები ისტორიულ-ლიტერატურული რეალიები

ექვმიუტანლად ადასტურებენ, რომ იგი დაწერილია 1894 წლის დამლევის, ლექსსაც ასე ვათარილებთ: [1894 წლის დამლევი]³¹.

*** “რად გვინდა, ვინ ხარ” (გვ. 175)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი :U: ავტოგრაფი, № 131.

ავტოგრაფი ნაწერია უხაზო ქაღალდზე. შავი მელნით. ნაწერი სუფთაა, დაუთარილებელი.

ავტოგრაფიდან ჩანს, რომ ლექსი ილიას ერთდროულად დაუწერია (ან გადაუთეთრებია) და გამოცანები თანმიმდევრობით დაუნომრავს (1, 2, 3).

ტექსტის მე-3 სტრიქონში, ნაცვლად სიტყვებისა “რაც კაცი ხარ”, ჯერ ეწერა “რაც შიგან ხარ”, გადახაზულია.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1925-1951 წწ. გამოცემებში, მე-2 გამოცანის მე-15 სტრიქონსა და მე-3 გამოცანის პირველ სტრიქონში, ნაცვლად ავტოგრაფისეული სიტყვისა “რამ” (“რაც გინდ რამ ქერქი იცვალოს”; “კალამი რამ უშოვნია”) დაბეჭდილია “რომ”. ჩვენ აღვადგინეთ ილიასეული სიტყვა.

მე-2 გამოცანის მე-9 სტრიქონში გასწორდა ერთი ფორმა აქედ-იქით -> აქეთ-იქით (ეს ფორმა გასწორებულია 1925-1951 წწ. გამოცემებშიც).

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემაში ეს ლექსი ნაწყვეტების განყოფილებაშია შეტანილი (გვ. 543). ლექსის ადრესატად მიჩნეულია დ. კეზელი (“როგორც ლექსის შინაარსიდან სჩანს, იგი დაწერილია დ. კეზელის შესახებ”. - ვკითხულობთ აღნიშნული გამოცემის “შენიშვნებში”, გვ. XXV). პ. ინგოროყვა I გამოცანაზე ამავე აზრისაა: “პირველი გამოცანა, ყველა ნიშნებით, ეხება დავით კეზელს, - წერს იგი, - მეორე გამოცანა შესაძლოა გიორგი წერეთელს იგულისხმებდეს, თუმცა ამის გადაჭრით თქმა ძნელია. ხოლო ვის ეხება მე-3 გამოცანა, ეს გამოურკვეველი რჩება” (იხ. ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტ. I, 1951, გვ. 457).

რაც შეეხება ლექსის დაწერის დროს, პ. ინგოროყვას აზრით, მართალია, ამ ლექსის თარიღის გასარკვევდ ზედმიწევნითი ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ ყველა ნიშნით იგი 90-იან წლებს ეკუთვნის (იხ. ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული ცხრა ტომად. პ. ინგოროყვასა და ალ. აბაშელის რედაქციით, ტ. I, 1925 წ., გვ. 420).

ილიას თხზულებათა 1951 წლის გამოცემაში ლექსი პირობითად ასეა დათარიღებული: “[90-იანი წლ.]”. ჩვენ ვიზიარებთ ასეთ დათარიღებას.

«Т и ф л и с к и й л и с т о к» - თბილისის ყოველდღიური რუსული გაზეთი (1886 - 1919), რომელშიც დ. კეზელი თანამშრომლობდა (დ. კეზელის შესახებ იხ. გვ. 436).

³¹ ი. ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემაში ლექსი დაბეჭდილია ნაწყვეტების განყოფილებაში და დაუთარილებულადაა დატოვებული; 1925-1951 წწ. გამოცემებში ლექსი დათარიღებულია 1894 წლის დეკემბრით.

აჩრდილი (გვ. 179)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი - U: № 107 (B); M: კრებ. № 17501, გვ. 40 (C); K: № 1024 (E); ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი - U: № 112 (D)³².

ნ ა ბ ე ჯ დ ი :³³ ჟურ. “ცისკარი”, 1859, №10, გვ. 101; ჟურნ. “საქართველოს მოამბე”, 1863, № 7, გვ. 39 და № 8, გვ. 40; ჩონგური, შედგენილი კ. ლორთქიფანიძისაგან, ს. პეტერბურდი, 1864, გვ. 35 (G) “კერებული” 1872, წიგნი 8-9, გვ. 1; “კრებული”, 1872, წიგნი 10-12, გვ. 1; “კრებული”, 1873, წიგნი 1, გვ. 268; “კრებული”, 1873, წიგნი 2, გვ. 208; “კრებული”, 1873, წიგნი 5-6, გვ. 183; ჟურნ. “ივერია”, 1881, № 2, გვ. 3 და № 3, გვ. 99 (H); თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 225 (A); ჩანგი, შედგენილი ვ. აბაშიძისა, გამოცემა მე-2, ტფილისი, 1892, გვ. 378; პოემების სრული კრებული, გამოცემა მ. ლაღიძისა, ტფილისი, 1898, გვ. 3; ჩონგური, შედგენილი სპ. ჭელიძისა. ბათუმი, 1904, გვ. 7; ქნარი. შედგენილი სპ. ჭელიძისა, ბათუმი, 1904, გვ. 7; ლექსები თ. ილია ჭავჭავაძისა, 1904, გვ. 4; ჩვენი მწერლობა, I. მგოსნები... შედგენილ-გამოცემული ს. გორგოძის მიერ, თბილისი, 1907, გვ. 39, 50, 53. ილია ჭავჭავაძის რჩეული ლექსები, 1907, გვ. 19.

თ ა რ ი დ ი : 26 იანვარს, 1859-სა წ. B; ტფილისი, 1860 წ. D; 1881 (სარჩევში - 1860) A.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ***; ილია ჭავჭავაძე; ილია ჭავჭავაძე.

“აჩრდილის” ტექსტისათვის

“აჩრდილის” ტექსტი ყოველმხრივ რთულია. ილიას ბევრი უმუშავნია მასზე. “...ამ “აჩრდილმა” ტყავი გამაძრო. ისტორიულს ნაწილზედ... შევდექ და ერთი ბიჯი წინ ველარ წავდგი. არ ვიცი, რა ვქნა: ვამბობ, ამ “აჩრდილს” თავი დავანებო-მეთქი. ეგ ოხერი ჩვენი ისტორიაა... მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა, ერი არსადა ჩანს. მე კი ასეთის აგებულობის ადამიანი ვარ, რომ მეფეების და ომების სახე არ მიზიდავს ხოლმე. საქმე ხალხია და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არა ჩანს. ვწუხვარ და ვდრტვინავ და განკითხვა არსაით არის”, - სწერს ილია დ. ერისთავს (ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე , თხზულებანი, ტ. X, 1961, გვ. 34). ალბათ სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ილიამ პოემას საბოლოო სახე მაინც ვერ მისცა (აკლია 22-ე და 23-ე თავები).

³² არსებობს ამ ვარიანტის რამდენიმე ხელნაწერი ტექსტი, კირ. ლორთქიფანიძის. პ. უმიკაშვილის და უცნობი პირის მიერ გადაწერილი. მისი ავტოგრაფი ჩვენამდე არ მოღწეულა. ჩვენ შევჩერდით ხელნაწერ № 112-ზე, რომელიც ცალკე ხელნაწერ წიგნად არის შეკრული და მომზადებულია დასაბეჭდად, ამავე დროს, სხვა გადაწერილებისაგან განსხვავებით, სრული ტექსტია.

³³ წყაროების სიმრავლის გამო აქ ლიტერებით აღვნიშნავთ მხოლოდ მათ, რომლებზეც ვარიანტული შეჯერების დროს ქვემოთ გვექნება საგანგებო მსჯელობა. დანარჩენ შემთხვევაში წყაროებს ვასახელებთ ლიტერების გარეშე. ამის გამო ხელმოწერებსაც ვეღარ აღვნიშნავთ ლიტერებით, თუმცა ქვემოთ, ვარიანტებზე მსჯელობის დროს, ყველგან მივუთითებთ იმ წყაროებს, სადაც ეს ხელმოწერები გვხვდება. აქ კი ვუთითებთ მხოლოდ იმისთვის, რომ ვაჩვენოთ მკითხველს, რა ხელმოწერით ბეჭდავდა საერთოდ ილია პოემის ტექსტს.

პოემაზე მუშაობის დროს ავტორის გზადაგზა ცვლიდა არა მარტო ცალკეულ სტრიქონებსა და სტროფებს, არამედ მთელ თავებსაც კი. ამიტომაც ახსოვდა მას, თუ სად რომელი თავები იბეჭდებოდა პოემისა: “ძმაო კირილე... - სწერდა ილია კ. ლორთქიფანიძეს, - უმიკოვს ჩემი “აჩრდილი” აქვს ახლად გადაკეთებული. იქედან VII, VIII და IX მუხლი დაბეჭდე იმ სათაურით, როგორც ადრე იყო დაბეჭდილი “კრებულში” (ტ. X, გვ. 30 წერილი უთარილოა). ამ პატარა ციტატიდანაც ნათელია ილიას დამოკიდებულება თავისი პომისადმი. ყოველივე ამას ამიტომ აღნიშნავთ, რომ ილიას გარეშე მის სიცოცხლეში შეუძლებელი იქნებოდა ტექსტში რომელიმე გამომცემლის ან რედაქტორის თვითნებური ჩარევა.

ცნობილია, რომ “აჩრდილზე” მუშაობა ი. ჭავჭავაძემ არსებითად 1872 წელს დაამთავრა (იხ. ქვემოთ, დათარიღების შესახებ), რის შემდეგაც რედაქციული ცვლილება ტექსტს აღარ გაუწვდია, თუმცა ზოგიერთი სწორება სტილისტური თუ პოეტური თვალსაზრისით მაინც გრძელდებოდა. ამას ადასტურებს 1872 წლის შემდეგ ილიას სიცოცხლეშივე მომზადებული და გამოქვეყნებული პოემის ტექსტები (იგულისხმება 1892, 1898, 1904, 1907 წლებში დაბეჭდილი პოემის მთლიანი ტექსტი ან მისი ცალკეული თავები).

“აჩრდილის” ავტოგრაფებისა და ნაბეჭდი წყაროების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ჩვენთვის საინტერესო ზოგი სიტყვა, რომლებსაც ქვემოთ შევხებით, ილიას თხზულებათა 1892 წ. გამოცემაში შეცვლილია სხვა სიტყვებით (უნდა აღინიშნოს, რომ 1881 წიდან 1892 წლამდე პოემა არ გამოქვეყნებულა). მათი რაოდენობა არც თუ ისე მცირეა. ეს სიტყვები 1892 წლის შემდგომ გამოცემებში დამკვირვებულან და აღარც უცვლიათ სახე. 1892 წლის გამოცემა ერთგვარი ზღვარია, რომლის შემდეგაც “აჩრდილის” ტექსტი უცვლელად მეორდებოდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე უმნიშვნელო ნაირწყაობას. ექვს გარეშა, რომ ამ წლებში გამოქვეყნებულ თავის პოემას ან მის ფრაგმენტებს ავტორი უყურადღებოდ არ ტოვებდა და თვალყურს ადავნიებდა. ყოველივე ამის გამო ჩვენ მიგვაჩნია, რომ 1892 წლის გამოცემაში “აჩრდილის” ტექსტში შეტანილი ცვლილებანი ავტორისეულია ან ავტორის თანხმობას ემყარება და არა რედაქტორ-გამომცემლის თვითნებობას.

ი. ჭავჭავაძე ძალიან განიცდიდა ცენზურის ჩარევას, რაზეც მეტყველებს მისი არაერთი წერილი კერძო პირებისადმი. სავსებით სამართლიანად მოიქცნენ პ. ინგოროყვა და ალ. აბაშელი, როცა თავიანთ გამოცემებში აღადგინეს ცენზურის მიერ ამოღებული ადგილები ან ბეჭდვის დროს გაფრენილი სტრიქონები და მკითხელს მისცეს პოემის ნამდვილი, სრული ტექსტი (იხ. ილია ჭავჭავაძის თხზულებათა I ტომები 1925 - 1951 წლების გამოცემებისა). მაგრამ არ ვეთანხმებით ზოგ სწორებას, რომლებიც მათ შეიტანეს ილიასეულ 1892 წლის გამოცემის ტექსტში (ე. ი. ძირითად ტექსტში, რომელიც საფუძვლად დაედო როგორც ზემო-ხსენებულ გამოცემებს, ისე წინამდებარე გამოცემებსაც)³⁴. ამ პუბლიკაციას ისინი სამართლიანად მიიჩნევენ “აჩრდილის” საბოლოო ტექსტად, მაგრამ მხედველობაში აღარ იღებენ 1892 წლის შემდეგ ილიას სიცოცხლეშივე კვლავ გამოქვეყნებულ პოემის ტექსტებს (ამ შემდგომ ნაბეჭდ წყაროებს ისინი არც ასახელებენ) და პოემის 1892 წლამდე არსებული ვარიანტებიდან გამოცემებში შეაქვთ სწორებები ტექსტის ზოგი ადგილის პოეტურად უკეთ გამართვის მიზნით (იხ. ტ. I, 1951 წ., გვ. 457-460). ამრიგად, 1925-1951 წლების გამოცემებში ტექსტის დადგენისას მხედველობიდან არის გამორჩენილი ის

³⁴ სწორებები შეტანილია აგრეთვე “აჩრდილის” ვარიანტებშიც, რომლებსაც გზადაგზა შევხებით ამ ვარიანტებზე მსჯელობის დროს.

გარემოება, რომ 1892 წლის გამოცემაში ნახმარმა სიტყვებმა და ფორმებმა მის შემდგომ პუბლიკაციებში უკვე მოიპოვეს მოქალაქეობრივი უფლება, როგორც პოეტის ბოლოს ნებამ. მაგალითად:

“აჩრდილის” I თავში (მე-7-8 სტრიქონები) 1892 წლის გამოცემაში ვკითხულობთ:

იგივ დიადი, იგივ მძინვარი,
იგივ დიდებულ და დადუმებულ.

1881 წლიდან (ჟურნ. “ივერია”) ეს სტრიქონები მეორდება 1892 წლის გამოცემაში და მის შემდეგ დაბეჭდილ ტექსტებშიც. ამას უცვლელად ბეჭდავს პოეტის სიკვდილის შემდეგ მიხ. გედევანიშვილიც 1914 წლის გამოცემაში. 1937 წლიდან ამ სტრიქონებში რატომღაც გამომცემლობებმა სიტყვები **დიადი** და **დიდებული** ერთად ვერ იგუეს და პირელი მათგანი შეცვალეს ვარიანტისეული სიტყვით - **ზვიადი**, რაც ილიას ბოლო ნება აღარ არის.

იგივე უნდა ითქვას პოემის V თავის მე-3 - 6 სტრიქონების შესახებ. 1881 წლიდან (“ივერიის” პუბლიკაციიდან) 1914 წლის ჩათვლით ეს სტრიქონები ასე იბეჭდებოდა:

... შენს კიდებზედ ჩემი მამული
იყო ერთ დროსა გამშვენებული!
ჩემის **მამულის** დიდება ძველი
შენს წმინდა თვალწინ აღყვავებულა.

1925 წლიდან ყველა გამოცემაში ეს სტრიქონები ასეა შეცვლილი:

... შენს კიდებზედ ჩემი მამული
იყო ერთ დროსა გამშვენებული!
ჩემის **ქვეყნისა** დიდება ძველი
შენს წმინდა თვალწინ აყვავებულა.

ასეთი სწორება გამომცემლებმა ადრეული წყაროებიდან, ჩანს, იმიტომ შეიტანეს, რომ ილიასეული გამეორების ხერხი არ მოეწონათ (ორი სტრიქონის ზემოთ ისევ “მამული” გვხვდებოდა, 1951 წ., ტ. I, გვ. 458). მაგრამ იქვე (მე-9 სტრიქონში) ილიას რომ კვლავ აქვს “**ჩემის ქვეყნისა**”, ამაზე გამომცემლები აღარაფერს ამბობენ (აქაც ხომ გამეორება გამოდის). მოგვაქვს მათ მიერ შეცვლილი ტექსტი:

შენს კიდებზედ ჩემი მამული
იყო ერთ დროსა გამშვენებული!
ჩემის ქვეყნისა დიდება ძველი
შენს წმინდა თვალწინ აყვავებულა;

მიყვარხარ მისთვის, რომე ქართველი
აქ - შენს კიდებზედ დაბადებულა.
შენს ზვირთებ შორის ჩ ე მ ი ს ქ ვ ე ყ ნ ი ს ა
გრძელი მოთხრობა დამარხულია...

ასე რომ, გამომცემლების მიერ “ჩემის მამულის” შეცვლა სიტყვებით “ჩემის ქვეყნისა” მაინც ვერ გამოდგება პოეტური გამოცემის თავიდან აცილებისათვის. წინამდებარე გამოცემაში აღვადგინეთ ილიას ბოლო ნება. პოემის V თავის მე-15 - 16 სტრიქონებში ავტორისეული სიტყვები:

იქ ერთხელ ქართველთ სიცოცხლე ჰდულდა,
იქ მამულისთვის ქართველთ ხმა ჰქუხდა.

1925 წლიდან შეცვლილია ასე:

იქ ერთხელ ქართველის სიცოცხლე ჰდულდა,
იქ მამულისთვის ქართველის ხმა ჰქუხდა.

თუმცა ასეთი ფორმები გვხვდება რამდენსამე ვარიანტში (1892 წლამდე), მაგრამ 1892 წლიდან იგი აღარ მეორდება. ჩვენ ვიცავთ ილიას ბოლო ნებას, XII თავის მე-13 სტრიქონში ბოლო ნებად ვთვლით:

ნამუსს მოუკვლენ შეუბრალებლად,
უბრყვილო გულში ღვარძლს ჩაასხმიან.

1925 წლიდან გამოცემებში ასეთი ცვლილებაა:

ნამუსს მოუკვლენ შეუბრალებლად
და წრფელსა გულში ღვარძლს ჩაასხმიან;

XVI თავის 22-ე სტრიქონში ავტორისეული სიტყვა “უგემურადა” შეცვლილია სიტყვით “უფერულადა”; XVII თავის მე-15 სტრიქონში ილიასეული “დაბანილი” შეცვლილია სიტყვით “გაბანილი”; XIX თავის მე-4 სტრიქონში ილიასეული “მოძალე” შეცვლილია სიტყვით “მოძულე”. ასევე შეცვლილია ფორმები: ხლმის ორბმლის; მონებური ორმონებრივი; მხვედრი ორხვედრი; სამღრთოდ ორსამღრთოდ; ესრედ>ესრეთ; ქმნა ორქმნა; ლაშკარი ორლაშქარი და ა.შ. ამგვარ შესწორებათაგან ჩვენ გავიზიარეთ მხოლოდ რამდენიმე: I, 1 აღმოპრწყინდა ორალმოპრწყინდა; 7 მძინვარე ორმძვინვარე; XVI, 17 ცალიერი ორცარიელი (ასეა B-ში); XIX, 2 ლაშკარმა ორლაშქარმა; XXI, 14 ჰხადოდენ ორჰხადოდენ; XXVI, მე-3 და მე-11 სამღრთოდ ორსამღრთოდ.

როგორც ზემოთ ვთქვით, 1892 წლის გამოცემა ამ შემთხვევაში ილიას ბოლო ნებად იმიტომ მივიჩნიეთ, რომ, ჯერ ერთი, ის თითქმის უცვლელად მეორდება სხვა ნაბეჭდებშიც და, მეორეც, თვით ტექსტი შინაარსობრივად გამართულია და არ არის რაიმე ისეთი შეცდომა, რომლის გამოსწორება სხვა წყაროების მოშველიებას თხოვლობდეს. პოეტმა ეს სწორებები შეიტანა ტექსტში, მისი საბოლოო ნება ასეთია და იგი პოეტურად ლამაზად ჟღერს, თუ არა, მეცნიერული გამოცემის პრინციპის თანახმად, უნდა გავიზიაროთ, როგორც ავტორის ბოლო სურვილი.

“აჩრდილის” ავტოგრაფებიდან გამიყოფა ორი, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული ვარიანტი, რომლებსაც თავიანთი ვარიანტები (ე.ი. ვარიანტის ვარიანტები) აქვთ (მათ შესახებ იხ. ქვემოთ).

I ვარიანტი პირველი ტექსტია (B), რომელსაც თარიღად უზის 1859 წლის 26 იანვარი.

II ვარიანტი E ავტოგრაფია. რომელიც გადამუშავებულია 1872 წელს. ილიამ “აჩრდილის” პირველი ვარიანტის (B) წერა დაასრულა 1859 წლის 26 იანვარს, პეტერბურგში ცხოვრების დროს, ტექსტი მოთავსებულია ყავისფერ მუყაოს ყდაში ჩასმულ, 21 ფურცლისაგან შემდგარ რვეულში ფურცლები ცისფერია, შავი მელნით ნაწერი, აქა-იქ ნასწორებია წითელი ან შავი ფანქრით. ტექსტი ძირითადად შესრულებულია სუფთად და წარმოდგენილია სრული სახით (არც ერთი თავი არ აკლია).

B-ში სათაურის (“აჩრდილი”) შემდეგ მოდის ტექსტი სათაურით “მღვნა”, რომლის ბოლოსაც პოეტის ხელმოწერა: “ილია ჭავჭავაძე”. ყველაფერი ეს რვეულის პირველ გვერდზეა მოთავსებული. მეორე გვერდი კვლავ იწყება სათაურით “აჩრდილი”, შემდეგ მოდის ეპიგრაფი და ამის შემდეგ იწყება თვით პოემის ტექსტი.

პოემის ტექსტის შემდეგ ილიასავე ხელით ყდაზე მიწერილია ხალხური ლექსი:

ა, ჰოროველ, ჰოროველ

მეფე გიორგი ჩივოდა, ვერ მოუარე თავსაო,
საბძანებელი დავკარგე - ტახტი დაუგდე სხვასაო.

კუდამ დაიწყო ტირილი, ცრემლები გადმოყარაო,
ლამაზი ქალი შემომწერა, ქოქოლა მომყარაო,
ასე თქვა მუხრან ბატონმა - ესე სოფელი ცრუაო.

თავფურცელზე კი წერია: “წიფრანას კვერცხი დაედო, შიგ მგელი გამობლუოდა - ისეც მოვივა ზამთარი, რაცა შენა სთქვი მართალი”.

რადგანაც “აჩრდილის” პირველი ავტოგრაფი (B) ძლიერ განსხვავდება ბოლო ტექსტისაგან (A), ქვემოთ მას მთლიანად მოვიყვანთ. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ქრონოლოგიურად ეს ვარიანტი პირველი ტექსტია, რომელსაც თავისი ვარიანტები აქვს ხელნაწერებისა თუ ნაბეჭდების სახით (ეს ნაჩვენებია ქვემოთ). B ტექსტი, როგორც “აჩრდილის” პირველი ვარიანტი, დაიბეჭდა 1925-1951 წლების გამოცემებში, მასში ზოგიერთი ცვლილების შეტანით. მაგალითად, “მღვნის” ბოლოს გამოტოვებულია ხელმოწერა - “ილია ჭავჭავაძე”. IX თავის სათაურად ავტოგრაფშია: “ერთი მონოლოგი აჩრდილიდან”, რაც ზემოთ მითითებულ გამოცემებში არ არის აღნიშნული. XXII თავის დასაწყისში “მრავლათ მრავალი” გადაკეთებულია სიტყვებად “მრავლათ მრავალი”. ტექსტის ბოლოს გამოტოვებულია “დასასრული”.

ავტოგრაფში ნახმარია ასოები ზ და ძ, რაც გამოცემებში არ არის. ზემოხსენებულ სწორებებთან ერთად გამომცემლებმა ილიას თითქმის ყველა დიალექტური ფორმა დაიყვანეს თანამედროვე ლიტრატურულ ფორმამდე. მაგ: ილიასეული ხოლოთ¹Γ²ემხოლოდ; რამთვენ³ჯერ⁴Γ⁵რამდენ⁶ჯერ; ნახამ⁷Γ⁸ნახავ; იქმნება⁹Γ¹⁰იქნება; ზდ¹¹Γ¹²ზრდ (გაზრდილი, ზრდის და ა.შ.); მოქმედობენ¹³Γ¹⁴მოქმედებენ; მიხწეულ¹⁵Γ¹⁶მიღწეულ; დაისხნის->დაიხსნის; დამსხნელმ¹⁷Γ¹⁸დამხსნელ; სამღრთოდ¹⁹Γ²⁰საღმრთოდ; -თ, -ათ²¹Γ²²ედ,-ად (კაცათ²³Γ²⁴კაცად); პსალმუნდიამ²⁵Γ²⁶ფსალმუნდიამ და სხვ.

ქვემოთ მოტანილი ტექსტი ავტოგრაფის მიხედვით იბეჭდება (ილიას სიცოცხლეში მისი სრული ნაბეჭდი არა გვაქვს). ტექსტში ვიცავთ ილიასეულ გრამატიკულ თუ დიალექტურ ფორმებს და ვბეჭდავთ მას ისე, როგორც ილიას კალმიდან არის გამოსული. ავტორის მიერ ტექსტში ცალკეული სწორებებია შეტანილი. ამ სწორებებზე ვუთითებთ ტექსტის ბოლოს.

Б ავტოგრაფი:

ა ჩ რ დ ი ლ ი

ძღვნა

მიიღეთ, ჩემო მეგობრებო, პირმშო ძე ჩემი,
ახლად შობილი, ნუგეშის და იმედით მომცემი!...
იგი მოგიტხოვრებდა ჩემსა ტანჯვას და ჩემსა ფიქრსა,
რა მამის ცრემლი ზედ ატყვია ლოყებზედ შვილსა;
მიიღეთ ძღვნათა თქვენ მეგობრის ლაღი ტირილი,
თამამათ მოთქმა მის, რომელიც აშინებს სხვასა;
მიითვისეთ და შეიყვარეთ ჩემი “აჩრდილი”,
ეგ მოგაგონებთ, მეგობრებო, ჩემ გულის წვასა.

ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე .

ა ჩ რ დ ი ლ ი

“აღზდექ, უფალო ღმერთო ჩემო, და
აღმართე ხელი შენი, და ნუ დაივიწყებ
გლახაკთა შენთა სრულიად!...”
(წმ. დავითის პსალმუნიდამ)

I

მზე დაჰყურებდა კავკასს მღვიძარე,
განაბრწყინდება მას თეთრ-თმოსანსა;
და მთა - ურყევი, მძლავრი, მყინვარე -
ხევდა ჰაერსა ლაჟვარდოსანსა.
ტახტი ნაკვეთი ედგა მთას მთაზედ,
ყინვის გვირგვინი ეფარა თავზედ,

მეფებრ სიმძლავრით, ამაყობითა,
მთელ სიდიადის მშვენიერობითა,
ვარსკვლავთა შორის ზე აღზიდული -
იყო უძრავი, გაჩუმებული.
ზვავი მძლვრ მხრებზედ მთას შეჰკრებია,
დაცემის წამსვე შეჰყენებია,
თითქო ელისო განწირულ სხვერპლსა,
რომ იგრილოს, წამოიქუხოს,
მეხათ დაეცეს, მერეთ ქვესკნელსა
თვითც ჩაიღუპოს, ისიც ჩაღუპოს.

II

და უფრო მაღლა ყაზბეგი თეთრად
წასულა ზემოთ, გამეფებულა;
სრბოლა თამამი მისი უეცრად
იქ ძლიერ სიტყვით შეეყენ[ებ]ულა.
იქ ვერ ჰბედავენ ღრუბელნიც სრბოლას.
სადაც ყაზბეგი მძლავრი მდუმარებს:
ის გრიგლის ბღავილს, ქარიშხალთ ქროლას,
ქუხილთ და მეხთა ხოლოდ აუფლებს.
მისი ყინვისა დიად გვირგვინი
იქ... შორს... შორს... ზემოთ აღინთებოდა.
ქვეყნის ყაყანი, არწივთ ყრიგინი
მის სიჩუმეს ვერ შეეხებოდა.
იმ მორჭმულს მოხუცს თვით მთიებთ კრება
თითქოო გრძალვით ეალერსება!
მის განრისხება ქუხილთ შობს სრბოლას,
მის აღმოსუნთქვა - გრიგლის მძაფრ ქროლას,
მისი ღიმილი - ელვის კლაკვნასა
და მისი ცრემლი - სეტყვასა მძაფრსა.

III

ყაზბეგზედ ვნახე კაცი მდგომარე,
დიდი, მორჭმული, მოხუცებული:
შვენოდა იგი მთაზედ ელვარე,
უძრავი, უხმო, ჩაფიქრებული.
თეთრ სამოსელი ესხა მას ტანსა,
ღვთიურ სხივებში გაბრწყინებული;
მის დიდებასა, მის ძლიერ თვალსა
თვით მთა მოჰნებდა შეშინებული,
და თვით მზის სხივიც თითქო ძრწოლითა -
კანკალით მის ტანს შეეხებოდა,
ან მის ფეხ ქვეშა იმავ თრთოლითა
თოვლზედ უვნებლად აღენთებოდა.

თავღია იდგა; მის დიდი შუბლი,
საუკუნებით მთლად გადახნული,
ჰფარავდა ნიშნებს ღრმისა ჭკვისასა,
ვით მწუხრის ჟამი შუქსა დღისასა.
და თეთრნი თმანი, მის ძლიერ მხრებზედ
სქლად ჩამოყრილნი, ბრწყინავდნენ მზეზედ,
უმანკო თოვლი ხოლოთ იმ მთების
მის თმის სითეთრეს თუ შეედრების...

IV

შევეყრებდი იმ საკვირველ კაცსა!...
არც ცოხალს ჰგვანდა და არცა მკვდარსა;
ძალა არ ჰქონდა მასზედ სიკვდილსა,
და არც თვით ჰგვანდა, სიკვდილის შვილსა.
საიღამა ხარ? რამ მოგავლინა?
ჟ, საკვირველო კაცო! მითხარ!
რად დაგიგდია შენ შენი ბინა,
და ამ მთაზედა რათა ხარ მდგარი?
კაცი ხარ ჩემებრ, თუ მარტო სული?
ნუთუ იმ ქვეყნით შენ ხარ მოსული,
სადაც მშვიდობა, ნუგეში ცხოვრობს,
ანგელოზთ დასი ღვთაებას ჰგალობს?
ნუთუ მუნით ხარ წარმოგზავნილი,
რომ ჩემი ხალხი, აწ დავრდომილი,
გამოაღვიძო ღვთიურის სიტყვით
და შეჰქმნა შვილი მამა-პაპივით?
და საქართველოს, ჩემს მამულს ტკბილსა,
იმედთ ქვეყნიდამ იმედი ჰბერო?
მამათ ამბავი ქართველისა შვილსა
გასამხნეველად მთიდამ უმღერო?

V

მარჯვენა ხელით ეჩრდილნა თვალნი,
ყურადღებითა შორს გაჰყურებდა,
მის გარშემო შვენოდნენ მთანი,
და მის ფერხთა ქვეშ თერგი გაჰყეფდა.
თერგი მრისხანე, თერგი გაჰყეფდა.
თერგი მრისხანე, თერგი ბ [დ] ღვინვარე,
რა აღქაფებულ ზვირთ მოაქანებს,
ვით შმაგი ლომი, დაჭრილი, მწარე,
მორბის, მობღავის, ყვირის, ღრიალებს;
მორბის და მოქუხს; კლდენი და მთანი
თვის შობილ შვილსა მალლიდამ მჭვრეტენ
და მის ბღავილთან მათი ყრუ ხმანი

ხეობაში მგზავრს აშინებენ.

VI

იქით შორს ჩანდნენ მინდვრები, ტყენი;
მათ შორის მსხლტომი არაგვიც ჩვენი!...
ჩვენო არაგვო! რარიგ მიყვარხარ!
ქართველის ცხოვრების მოწამეთ შენ ხარ!...
შენს კიდებზედ ჩემი მამული
იყო ერთ დროსა გამშვენებული;
ჩემის ქვეყნისა დიდება ძველი
შენ მღვრიე თვალწინ აღვაკებულა,
მიხვარხარ მისთვის, რომე ქართველი
აქ შენს კიდეზედ დაბადებულა.
შენ ზვირთებ შორის ჩემი ქვეყნისა
გრძელი მოთხრობა დამარხულია
და წმინდა სისხლი ქართველებისა
შენს კიდებზედ გადასხმულია;
იქ, სადაც შენსა მღვრიესა წყალსა
შეურევ ხმოვან, შფოთიან მტკვარსა,
იქ ერთხელ ქართველის სიცოცხლე დულდა,
იქ მამულისთვის ქართველის ხმა ქუხდა!...
შენ ზვირთებს გაჰყვნენ საუკუნენი
და საუკუნეთ - ერთგულნი ძენი!...
გულ-ხელდაკრეფბილ შენსა მღვრიე წყალს
რამთვენჯერ ტანჯვით გადევნებდი თვალს!
რას ვეძებდი მე?... ჩემ ქვეყნის წარსულს,
შენ წინ დაღუპულს ჩემ ძველსა მამულს,
და მარტო სისხლი ჩემს თვალს დაღალულს
აძლევედა ხოლმე გულსაკვდავ პასუხს!

VII

მაგრამ არც თერგმა და არც არაგვმა,
არც ტყემ საკუთრად და არცა მთამა
არ მიიზიდეს მოხუცის თვალი,
შორი მხედვეელი, ძლიერი, მალი.
სულ საქართველო მოჩანდა შორსა...
და ის მოხუცი, როგორც სატრფოსა,
თვალითა სჭამდა, თრთოლით უმზერდა
და უფრო, უფრო გული უძგერდა.
საქართველოცა თვის უხვ სიმდიდრით,
თვის მინდვრებითა გარდიშლებოდა,
და მას ტრფიალსა ზღვანი ორიგ მხრით,
როგორც საყვარელს, გარდახვეოდა.
და იმა ზღვებში მთის მძლავრნი მკლავნი

აქეთ და იქეთ ჩაშვებულ იყვნენ,
და იგი ზღვანი, როგორც ფთანის
ზღაპურულ დევისა, დუმილით იწვნენ.

VIII

მაგრამ არც თერგმა და არც არავგმა,
არც ტყემ საკუთრად და არცა მთამა
არ მიიზიდეს მოხუცის თვალი,
შორი მხედველი, ძლიერი, მალი.
სულ საქართველო მოჩანდა შორსა...
და ის მოხუცი, როგორც სატრფოსა,
თვალითა სჭამდა, თრთოლით უმხერდა
და უფრო, უფრო გული უმგერდა.
საქართველოცა თვის უხვ სიმდიდრით,
თვის მინდვრებითა გარდამლგობდა
და მას ტრფიალსა ზღვანი ორივ მხრით,
როგორც საყვარელს, გარდახვევდა.
და იმა ზღვებში მთის მძლავრნი მკლავნი
აქეთ და იქეთ ჩაშვებულ იყვნენ,
და იგი ზღვანი, როგორც ფთანის
ზღაპურულ დევისა, დუმილით იწვნენ.

VIII

უყურებს, გულმა დაუწყო ღელვა,
თვალში ღვთის ცეცხლმა გამოუელვა;
და რაღაც ფიქრით აღტაცებულმა
ჩანგს მიჰყო ხელი მოხუცებულმა,
და მის ძლიერნი თითნი ფერმკრთალნი
სიმებთა შორის მარდათ იძროდნენ,
ხმა ხმაზედ - თითქო ზენით ნასწავლნი -
ვით ცრემლი ცრემლზედ მომდინარობდნენ.
ის ზომიერი ხმა მოსაწონი
ისე ციურად მთებს დაჰბერავდა,
რომ ანგელოზი, იმ ხმის გამგონი,
იმ მოხუცს შურით გარდმოხედავდა.
მთანიცა მაშინ ჩუმათა იყვნენ!
ღრუბელნიც მაშინ უძრავად იწვნენ!
იმ სასოებით, როგორც ლოცვასა,
განცვიფრებული უსმენდა ჩანგსა.
გული ხარბათა იმ ხმებსა სთნქავდა...
მოხუცი მღერით ამას მოსთქვამდა:

IX

“მარად და ყველგან შენთან ვიყავ, ტკბილო ქვეყანა!
დასაბამითვე შენი დამყვა მე სიყვარული.
შენ შვილთა სისხლით გული ჩემი გარდაიბანა,
ამ გულში მეჰყრა შენი აწმყო, შენი წარსული.
გამომიცდია, მიცხოვრია შენის ტანჯვითა,
შენისა ცრემლით თვალნი ჩემნი მიტირებია,
მთელი სიმწარე შენ წარსულ დღის მისვავს თასითა,
და შენ აწმყოთი სული, გული დამწყლულებია;
შენ წარსულ დროთა მოგონებით ჩემ დასაწვავად
მთელი არსება სისხლის ცრემლით აღმევსბოდა,
მისგან ტანჯულის ჩემის გულის გოდება წყნარად
იმ აღგვილ დროთა გაუგებრად მიერთმევოდა.
თუ სადმე შენს შვილს თვის უღონო მწუხარებაში
შენს აწმყოზედა მწარე ცრემლნი უსხამს, უღვრია,
მეც მისებრ სრულად სუსტსა და ფუჭს განძვინვარებაში
მეც მის პასუხად, მის უცნობლად ცრემლნი მიღვრია.
ვიდრე ძე შენი არ დადგება იმ სიმაღლეზედ,
სიდამც მშვიდათ სჭვრეტს კაცი ღვთიურს უცვლელ განგებას,
და ღრმა შეხედვით ყოველ ხალხთა მთელ ცხოვრებაზედ
ჭკვით არ განსჭვრიტავს საზოგადოს ცხოვრების დენას,
იმ დრომდინ იგი დაარწმუნებს წყევლით თვის თავსა,
რომ მომავალი არ ექმნება მის ღვიძლსა ხალხსა,
და ცრემლი მისი - იმ მტანჯველის წყეულ წუთისა -
იქმნება მხოლოთ ცრემლი მისვე სიუძღურისა.

X

“ტკბილო ქვეყანავ!... აქა ბუნებას
შეუკრებია ყოველი ფერი!
აქაც ალაგი არ აქვს რწმუნებას,
აქაც კი კაცი არს თავის მტერი!..

რაც გინდა არის: აგერ დიდ ველნი,
ჯერ აუშლელნი, ხელუხლებელნი,
აგერ მინდორთა აღმოცენება,
აგერ მთებისა ცას ელვარება!
აგერ ტყენიცა აღყვავებულნი
და აგერ წყალნიც გაბრწყინებულნი!
ოხ! საქართველოვ! რაღათ ხარ ურვით,
რათ ხარ აქამდის მოცული ღრუბლით?
ნუთუ ამაოთ ორ ზღვათა შუა,
ევროპიის და აზიის შუა
ცამ დაგინიშნა აღმოცენება?
შენ გულში ბევრი რამ იმალება

და კაცსა ბოროტს ჯერ ემალება.

XI

“ყოვლი ფოთოლი შენ გაზდილ ხისა,
ყოველი სხივი მასზედა მზისა,
ყოველი სცოცხლობს, ყოველი ცხოვრობს...
და სძინავთ, სძინავთ მარტოკა კაცებს.
აგერ ის კაცნი, აქა მცხოვრებნი,
რარიგ უძლურად მიმოიძვრიან,
სხეულსა ზდიან, ვითა ცხოველნი,
მაშინ როდესაც მათ სულსა შიან.
აქა ყოველი თავისთვის ცხოვრობს,
ურთიერთისთვის არავინ ფიქრობს,
მოყვასი მოყვასს და ძმა ძმასა მტრობს,
საკუთარს მამულს, როგორც მტერი, ჰგმობს,
აქ კაცს სიკეთე რათ უძვირდება?
და ან სიცოცხლე რათ უმძიმდება?
კაცი რათ სუნთქამს მძიმედ და ძნელად
ამ თავისუფალ ბუნებაშია
და ღვთიურ ნიჭსა რად ჰფარავს ბნელად,
ვით ზანტი მონა, შავ მიწაშია?
სადღაა აქა გმირული ძმობა,
მამულისთვისა მტკიცე ერთობა,
მამლისთვისა თრთოლა და ძრწოლა
და მის საშველად საომრათ სრბოლა?

XII

“ტფილისიც ვნახე: ყრმასაც და ბერსაც,
ქალსა მახინჯსაც და მშვენიერსაც,
თავადსა, გლეხსა, მთავარს, მმართველს,
იქაურსა ბრძენს, იქაურ სულელს -
მე უხილავი ყურსა უგდებდი,
მაგრამ კი, ვფიცავ ქართველის სახელსა,
მათ აზრში აზრსა მე ვერ ვპოვებდი!
რარიგ დაეცა ეს ხალხი დღესა?!
ერთ მხრივ შეხედავ და იქ ცხოვრება
მართალ ცხოვრებათ მოგეჩვენება:
ლხინობენ კიდეც, კიდეც ხარობენ,
ფიქრობენ, გრძნობენ და მოქმედებენ,
ხედავ ფაციფუცს და ყველგან ჟღივილს,
უბედურ ცრემლთან ბედნიერ ღიმლის,
მაგრამ მათ ღიმლის და იმათ გრძნობას,
სიხარულს თუ ფიქრს, თუ მოქმედებას,

ფრჩხილის ოდენიც აზრი არა აქვს!
ისე ფუჭია იგი ცხოვრება,
უფერულია და ცარიელი!..
არც სიცოცხლეა, არც გემოვნება,
არცა საგანი გამცოცხლებელი!
ყალბ ბუზმენტსავით ყალბობს იქ გრძნობა,
ძმის მოხვევნაში დაგშხამავს გმობა,
ვინ გუშინ ძმად გჩნდა, დღეს გახდა მტერი,
რაც გუშინ გწამდა, დღეს არის მტვერი;
იქ დღე რბის დღესა, ვით რბოდა გუშინ,
ერთნაირად და უფერულადა,
რასაც მამანი ილოცვდნენ უწინ,
დღეს შვილთ არ უღირთ არც ერთ ფლურათა;
გრძნობას ოქროსა ფასად ჰყიდიან,
მთავრის ღიმილზედ პატიოსნებას,
და დაჟანგებულ ბორკილზედ სცვლიან
თავის მამულის თავისუფლებას.

XIII

“ზნელო დემონო!³⁵ ადავსე გესლით
ამ დაღლილ ხალხის სუსტი არსება
და ბოროტების ძლიერ მარჯვენით
პირველ შენ ჩარგე აქ ბოროტება;
მაცდურის ხელით მაცდური თასი,
ღვარძლითა სავსე, შენ ამ ხალხს ასვი;
და იმათ თასის გრძნეულსა სიტკბოს
სად უძლო კაცმა, რომ [აქ] გაეძლოს?!...
და რა საზარელს ბოროტებასა
მიეც მშვენიერ გარესაცმელი,
ვერ გიცნო ხალხმა და იმავ წამსა
შეიქმნა ბრმათა შენი მლოცველი;
და ის, ვინც შუგინ მწარედ გწყევლიდა,
დღეს თვის დამსხმნელად ხოლოდ შენ გზდიდა!
ბრმათა მოგანდო მან თვისი გული,
გული დაღლილი, მაგრამ ერთგული!...
ზნელზედ გაცვალა ხალხმა ნათელი,
დამონებაზედ სასუფეველი!
მას აქეთ წინ გზა დამონებისა
და უკან კვალი უმეცრებისა
ხალხს დაულოცე და დაუნიშნე,
ყოველი აზრი შენ მას მოუკალ,
და იმ იმედით დღეს დაამინე,

³⁵ამ დემონს იცნობს ყოველი, ვისაც კი საქმე ესმის.

რომ დაიძინებს იგი კიდევ ხვალ.

XIV

“აქ სძინავს მძიმე ძილითა კაცსა,
მას უღონდება სული და გული;
მას აღარ ახსოვს, რომ ქვეყნად ცასა
ღვთათ მოუცია მარტო მამული.
სამდთო, საზეო არის ცხოვრება,
რომელიც მამულს შეეწირება!
ზედნიერ არის, ვისაც ეღირსა
მამულისთვისა თავის-დადება!..
ნეტა მას ქველსა, ნეტა მას გმირსა!..
ის თავის ხალხში აღარ მოკვდება.
მას განაცოცხლებს სიმღერა ხალხთა,
შორს საუკუნებს ეტყვის მის სახელს,
და არაერთხელ ჭაბუკთა ყრმათა,
ხლმის ტარზედ ძლიერს აუთრთოლებს ხელს.
იმ სიმღერას რა ისმენს მხცოვანი,
წარსულ დროებზედ გულს დაიღონებს,
გმირის სიკვდილი სახელოვანი
ახლად ცხოვრებას მას მოანდობს;
აკვანზედ დედა უმღერებს შვილსა
მწუხარე ხმითა იმ სიმღერასა, -
და თუ ინატრებს რასმე ძისთვისა -
უთუოთ გმირის მის დიდებასა.
და უფრო ხშირად იმღერს ქალწული,
გმირს მოიგონებს, შეებრალება;
ყოველი იმღერს და სხვა მორჭმული
გმირი იმ მღერით დაიბადება.

XV

“მაგრამ, ჰე, ველო! სად არის გმირი,
რომელსაც ვეძებ, ვით მწირსა მწირი?
იგი აღარ გყავს, მის მოედანი
ჯაგით აღვსილა, გაუქმებულა;
და შენი ხალხის ფიქრნი, ზრახვანი
მამულისთვისა დაძინებულა.
აგერ ორ კაცსა რაღაც უგვრძნიათ,
გაცოცხლებულან, გაუღვიძნიათ,
ძმათა საშველად ერთათ მოდიან,
მაგრამ ურთიერთს არ ენდობიან.
ის ორი კაცი, წინ წამოსული,
რას იქმს, როს გული, როს მათი სული
ურთიერთისთვის მკერდში არ იძვრის,

როს იმათ გულსა შური ძნელი სთხრის?
ორ კლდეთ შუა გზა ვიწრო შეკრულა,
კლდიდამ დიდი ხე გადმოქცეულა;
გზის გასასხნელად კიდევ მივიდნენ,
ვერ შესძრეს ის ხე, ბევრი ეჭიდნენ,
მისთვის, რომ ერთი აქეთ ეწევა,
მეორე იქით, ხე არ ინძრევა;
წინ და უკულმა იმ ხეს ეჭიდნენ,
ვერარა ქმნეს რა, უკან გაბრუნდნენ.

XVI

“ვხედავ, მიადგნენ საშინელ კლდესა,
წინა შედგა და შთახედა ხევსა,
და, რა იხილა საშინელება,
ისურვა მსწრაფლვე გამობრუნება;
მარამ უკანამ შურით ხელი ჰკრა
და წინა კაცი თვალთაგან გაქრა.
მას, ძმის დამლუპველს, შემდგარს იმჟამით,
დაუახლოვდა სხვა კაცი მარდათ;
შურმა აღუნთო ამასაც გული
და, როგორც ლომი, დამშეიებული,
თავის ძმას ეცა და ორნივ ერთათ
მაგრათ ჩაკრულნი იმ საშინელ ხევს
შურისა გამო მიეცნენ სხვერპლათ!...
აი, რა ბოლო ჰქონდათ მათ საქმეს!
წინა კაცობა რომ ეგრეთ წახდეს,
სამწუხაროა, საშინელია!
შური რომ ძმასა საფლავს უთხრიდეს,
ეგ უფრო, უფრო სატირელია!...”

XVII

“აგერ უფალი და მისი მონა!
თრთოლით სასწორზედ უწონს ხარჯს ძნელსა,
და რა დასწორდა პინებზედ წონა -
უფალი პინსა ზე ადებს ფეხსა,
და მით გირვანქას ერთს ოცადა ხდის.
მონამ წუხილით გულს განიღიმა,
ცდილობს სისწორეს და თვის ხარჯსა ზდის,
და საწყლის თვალში ცრემლმა იწვიმა.
მაგრამ ქვა არის ბატონის გული,
არ ებრალება მონა მოკლული;
განა ბატონის მის შებრალება
ამგვარ მხეცზედა დაიხარჯება?!”

მონა საწყალი, მონა გამშრალი
დგას, ევედრება შვებას მის თვალი
და გულში ფიქრობს: “ხვალ ჩემ ცოლ-შვილსა
შიმშილი მისცემს მწარე სიკვდილსა.
ვჲა, ჩემი ოფლი მათთვის დაღვრილი,
ნაყოფი იმა ოფლით გაზრდილი,
დღედაღამ ჩემი ტანჯვა და შრომა,
დარში, ავდარში მინდორზედ გდომა,
ვამ-ვაგლახი ჭირნახულობა,
თმენა, შიმშილი და უძილობა!
ვჲი, ცოლ-შვილო! თქვენ არას გარგებს,
მარტო ბატონის თვალს გაახერებს!
ვაი, ცოლ-შვილო! ხვალ რა გექმნება?
ღმერთო! სად არის აქ სამართალი?
ვინა შრმოზდა და ვინა ტკბება?
ვამ, ცოლ-შვილო! ვაი თქვენი ბრალი!

XVIII

“შენში კაცისას გრძნობას არ ხედვენ:
დედის ძუძუდამ შვილსა აჰგლეჯენ,
და ვინ უწყს, საით სად გაჰყიდიან!...
შეუბრალებელ ხელითა სთხრიან
დედისა გულში უკეთეს გრძნობას,
ცოდვით უთვლიან შვილისა ტრფობას.
თუ ღმერთმან მისცა შენსა ასულსა
სილამაზე და მშვენიერება,
საბრალო მონავ! ეგ შენსა გულსა
სასიხარულოდ არა ექმნება:
ქალს წაგართმევენ, ქალს გაჰყიდიან,
ნამუსს მოუკვლენ შეუბრალებლად;
უმანკო სულში ღვარძლს ჩაუსხმიან,
გაზდიან ყვავილს ფეხ-ქვეშ სათრეველად.
უმანკო პირზედ შენ ტურფა ქალსა
გარყვნა დაასვავს საზარო დაღსა;
მას, რაც გიყვარდა, ნახამ დაცემულს,
ნამუსწართმევულს და შეგინებულს!
პირს უკუ-იქცევ, თვით შეშინდები,
ცრემლს მოინდომებ და არ გექმნება,
წყევლით, ვაებით გამობრუნდები,
შენ შენი თავი თვით შეგძულდება;
და მაშინ იყვი: “ნეტავი გველად,
გველის წიწილათ გამჩენოდი მე,
და არ გამხდოდი ქვეყნის სათრეველად,
ვაიმე, შვილო! ვამ, ვაიმე!

XIX

“საბრალო მონავ! მძიმე უღელი
შენ ერთგულ ხართან სწიევი მედგრად
და დალოცვილი ეგ მარჯვე ხელი
აშრომე; შრომა შენია მხვედრად.
მხნე იყავ მუდამ, ნუ დაეცემი,
მნელ ტანჯვაშია გამოიკალე,
მომავალია ნუგემ-მომცემი,
რაც ვერ ჰპოვე დღეს, იპოვი ხვალე.
მოვა დრო, როცა მაგ შენ უფალსა,
შეუბრალებელს, ხარბსა, გულქვასა
თვისი დიდება, ამპარტავნება -
ფუჭი, ამაო - დაავიწყდება;
მაშინ გიხილავს უბრალოდ დასჯილს,
სინანულითა გარდგეხვევა ძმა,
შენს მტკიცე გულზედ ცხარე ცრემლს დაღვრის
და შენც, კეთილო, მიუტევე მას,
მაშინ ეგ შენი წურვა ოფლისა
შენ გეკუთნება და შენ ცოლ-შვილსა;
დღეს მხიარულად ღამით შინ მოხვალ,
ხვალ ისევ მინდვრათ, საშრომით გახვალ.
ეგ მწუხარე ხმა შენ სიმღერისა,
დაბლათ გუგუნნი დაღონებული,
მღერა - ვით კვნესა საწყალ მეხრისა,
შორი ხმა მწყემსის დაობლებული, -
მხიარულ ხმებათ გარდაგვეცვლების;
და შენს გუთანზედ გულით ღმობილი
იტყვი სიმღერას თავისუფლების, -
ის სიმღერაა ლოცვებზედ ტკბილი!..
მინდორნი, ტყენი, ნახნავნი, ველნი, -
შენ სიხარულით გაიხარებენ;
უსულო ქვანიც და უგრძნო კლდენი
შენს ტკბილს გალობას ხმას გამოსცემენ.

X X

“აგერ ვილაცა პატიმყოყვარე
მოდის ამაყათ ოქროთ მღვიმარე;
გლახამ მშიერი ხელს უწვდის მასსა,
და იგი მოყვასს არიდებს თვალსა.
აგერ მსაჯულიც თვის სამართალსა
სწონამს და ჰყიდის ვერცხლისა ფასად,
მდიდრისა სხვერპლათ ხდის ის მართალსა

და ღარიბს ღუპავს მარად და მარად.
აგერ ვაჭარიც მცბიერ ღიმილით
კაცსა ატყუებს, რა ჰყიდის ნივთსა,
და კაცი მოკვდეს თუნდა შიმშილით,
უნაღვლოთ განვლის ცხოვრების ხიდსა.
და აგერ მღდელნი, ხალხთა მამანი,
რომელთ ღვთისაგან შთაჰბარებიათ
ამა ხალხისა სულთა აღზდანი,
რარიგ გულ-ხელი დაუკრეფიათ!
სად არის სიტყვა მაღალ სწავლისა,
სიყვარულის და სამართალისა,
რომ მათ ბაგითგან არ მომდინარობს,
ოდეს დემონი კაცზედან ხარობს,
რომ ბოროტებას, ბიწსა, ცოდვასა
შესაზარელსა არ ასვავს დაღსა?
სად არის იგი ჭეშმარიტება,
ის წმინდა მშობის მაღალი მცენება,
რომელიც ჯვარზედ გაცმულმა მოგვცა,
და მით გვაჩვენა, რა ახლოა ცა?"

და მის ძლიერნი თითნი ფერმკრთალნი
განრისხებითა ჩანგზედ იძროდნენ,
და გაყინულნი მისნი შავ თვალნი
ცხარეს ცრემლითა აივსებოდნენ.

XXI

ამ დროს მოღურჯო ციაგსა ცასა
შავნი ღრუბელნი მიმოიძროდნენ,
მღვიმარესა მზეს, ჯერეთ არ მცხრალსა,
იგინი მძიმეთ ეპარებოდნენ.
ასტყდა ნიავი და თანდათანა
იგი ქარადა აღიზდებოდა
სიჩუმეც გაქრა იმ ნიავეთანა,
ბუნებაც ნელ-ნელ აღელდებოდა.
გარნა მოხუცი ის უშიშრათა
იდგა უძრავათ კვლავ იმა მთაზედ,
ჩანგს მარჯვეთ ჰსეცმდა ისევ ძველფრათა
და თვალს აშტერდა ივერიაზედ.
დიდხანს უყურა და ერთი კვნესა
გულმოსაკვდავი მოედო მთებსა,
და ორი ცრემლი, ძირს დაცემული,
შობა საშინელ იმა კვნესამა,
და თვით ის კვნესა შეწუხებული
დაჰბადა ძველ დროთ მოგონებამა...
და მას მოსთქვამდა:

XXII

“მრავალთ მრავალი,
ველო! შენს თავზედ იყო მავალი
ქუხილი, ტეხა, ბედისა გმოზა,
მაგრამ მათ უწინ ებრძოდა ძმოზა.
ველო! გქონია შენც დრო კეთილი!..
თუმცა ფურცელნი ისტორიისა
შენ შვილთა სისხლით გაქვს აღწერილნი,
მაგრამ გაქვს ძეგლნიც ბევრ კეთილ დღისა.
აქა ფაზისმა ნახა გათქმული
ხომალდი “არლო” იაზონისა,
აქაც მოსთქვამდა ძველად ქებული
ჩანგი ორფეის მოსაწონისა.
ველო! ბერძენთა რაწამს გიხილეს,
წინმხედველ თვალთ მამინვე იგრძნეს,
რომ შენ მდინარეთ ცივ ზვირთებშია,
ცამდინ მიღწეულ ამაყ მთებშია
საუნჯე ბევრი კაცს ემალება!..
და ზღაპრად გათქვეს შენი დიდება...
და შავ ზღვის პირზედ ქალაქნი წყნარნი
მათ მარჯვე ხელით იყვნენ აღმდგარნი...
აგერ ეხლაც ჩანს “ეას” ნანგრევი;
დიდების ნაშთსა კვლავ აქვს დიდება,
და ის მშვენიერ ნაქალაქევი
აწ კაცსა ახალს გაუკვირდება;
აგერ იქ მოჩანს დიოსკურია...
ნახე, აწც როგორ მედიდურია
იგი ნაქცევი, რომელიც ძველათ
კოლხიდაშია ყვავოდა ღმერთათ!
ა იქ ბიჭვინტა, ქალაქი წყნარი,
თვის სიმდიდრითა ძველთ აკვირებდა,
და ვითა ქორი ლაღი, წყაზარი
შავ ზღვას ამაყად გარდაჰყურებდა.

XXIII

“ტკბილო ქვეყანავ, რა არ გინახავს!..
აგერ, ვხედავ იმ მოღრუბულსა მთას,
სიდამც ფარნავაზ დაღონებული
ჩამოდიოდა ჩაფიქრებული.
რაზედ ფიქრობდა? თვის მამულზედა
და თვით დაჩაგრულ ობოლ¹ ხალხზედა.

¹ ავტოგრაფში წერია «ოფოლ».

მიენდობოდა რა თვის მშვილდს, მკლავსა,
გულში იზდიდა სამღრთოსა აზრსა;
ქართველისთვის სურდა ბედნიერება,
მამულისთვისა და ხალხისთვისა
უნდა მიეცა თავისუფლება, -
და აღასრულა მარტომან ისა.
მას აქეთ, ველო, მრავალ ველურ ხალხს
შენს გმირულ მკერდსა ზედ შეაღწედი,
მამაცურათა რა ხმარობდი ხმალს,
მათ მთების იქით მყის გარდახვეწდი.
შენგან ის ხალხნი დამარცხებულნი,
ვით ზღვა, სხვა ქვეყნებს მოედებოდნენ,
და ის ქვეყნები - მათგან ძლეულნი -
შენგან ნალეწ ხალხს ემონებოდნენ;

XXIV

“ტკბილო ქვეყანავ! მახსოვან წამნი,
როს მხიარულათ ჭაბუკნი, ბრმანი
შენს ძახილზედა მოგროვდებოდნენ
და მამულისთვის გმირულად თრთოდნენ;
მამულის დროშა წინ მიუძლოდათ,
გული ბრძოლისთვის მკერდში უხტოდათ
და იმ ჭაბუკთა მკერდთა კედელი
იყო მტერთაგან შეუღწეელი;
და თუ შეღწეოდნენ, დაამარცხებდნენ
იმ მამულისთვის განწირულ ხალხსა,
მაგრამ მაინც კი გაადიდებდნენ
დამარცხებითაც ქართლოსის ხმალსა.
ეხლა რაღა არს? წარვიდნენ ყრმანი,
მამულისთვისა სხვერპლათა მზანი!..
და საკვირველნი მათი ქმნულება
ეხლანდელ შენ შვილს არც ესიზმრება.

XXV

“სისხლი, სულ სისხლი ჰფარავს და ჰფარავს
შენს წარსულ ჟამსა, შენ ბედის ვარსკვლავს!
თვით მეფენიც კი თვის ცხებულ თავსა
სხვერპლათ აძლევდნენ მშობლიურ ხალხასა.
განა დიმიტრი თავდადებული
იქნება როსმე დავიწყებული?!
და იმ შფოთ შორის თუ შეგხვდებოდა
წუთნი მშვიდობის და მოსვენების,
დაღლილი სული მსწრაფლ მალღებოდა

შენ დამშვიდებულ ვაჟკაც შვილების.
ველურ ალაგზედ მაშინ ქალაქნი
თითქო მიწიდგან აღიზებოდნენ,
სადაც ტყე იყო უწინ, იქ ხალხნი
მთელის ცხოვრებით აღელდებოდნენ,
და ქვათლილისა წმინდა ტაძარნი
ტყეში ან კლდეზედ გამოჰკრთებოდნენ,
იქ წმინდა მამათ წმინდა ლოცვანი
შეწირულთ ჭაბუკთ ცას ავედრებდნენ.
ყმაწვილკაცობა იმ ნათელ წამში
განშორდებოდა საყვარელს მამულს
და განათლებულ დიდ ათინაში
ჭეშმარიტებით აინთებდა გულს;
დაბრუნდებოდნენ და თავის ხალხსა
უმსახურებდნენ თავიანთ თავსა,
სთესდნენ სიკეთეს, მშობლიურს ენას
მისცემდნენ სიღრმეს და აღმფრენას.

XXVI

“მშვენიერ ველო! შენზედ გაზდილ ხალხს
სად წაუღია, სად დაუმარხავს
იგი სიკეთე, იგი დიდება,
მხნეობა, ღონე და ძლიერება?
იყო დრო, როცა ჰკუთნათ ნათელი
მეფე დავითი აღმშენებელი
მართალის ხელით მართავდა ხალხსა,
და თვის გვირგვინსა სახელოვანსა
თვის ამაყ შუბლზედ არ შეინძრევდა,
ორ მტრულ სამეფოს, ვით ხეს, არხევდა;
და მის პორფირის მშვიდსა ჩრდილშია
ხალხი თვის ბედსა და მხვედრს ლოცავდა
და თავის მეფის ტკბილ ღიმინშია
თვის დამსხნელს ვარსკვლავს მადლით ხედავდა.
მის შემდეგ იშვა დიდი თამარი,
ზედ დაჰყვა რუსთვლის უსწორო ქნარი,
ქართველთ თამარი, ქართველთ დიდება,
ქართველთ სახელი, ამპარტავნება!
მას აქეთ განქრენ საუკუნენი.
სამეფოებიც ბევრნი დაეცნენ,
ბევრ ხალხთ ცხოვრება, ბევრ ხალხთ საქმენი,
ვით მეტეორნი ცაშია, ჩაჰქრენ;
გარნა თამარის ძლიერ სახელმა
განჰფანტა მტვერი საუკუნების
და აწვ რვაას წლის შემდეგ ქართველმა
იცის სახელი თავის დიდების.

დიდი თამარი - საუკუნებში
და წარსულ დროთა მფარველ ღრუბლებში -
შორით მოზრწყინავს ნათლად და მტკბარად,
ქართველის გულს ათბობს მარად და მარად.

XXVII

“მახსოვს კომნენნი გამოგდებულნი
თამარს ხადოდენ თავის იმედათ
და მის დიდებით გაკვირვებულნი
მის კარზედ იდგნენ შველის სახვეწნათ.
კომნენის ტახტის ბრძანა თამარმა
აღდგენა, - და მის ერთგულ[მა] ჯარმა
საიმპერიო ტრაპიზონისა
წამოაყენა ძირს დაცემული
და კომნენისა უბედურ შვილსა
მისცა გვირგვინი გამთელებული.
მითხარი, ველო, სად არს ის ხალხი,
რომელთ მთელ ქვეყნის ბედისა ჩარხი
ეგრე მამაცათ დაატრიალეს,
მითხარ, სად არის იგი ხალხი დღეს?
აგერ, ჩანს იგი შანქორის ველი,
სადაც ის ომი, ის საკვირველი,
იმ ძლიერ ხალხსა მოუხდენია
და თვის სახელიც შთაუბეჭდნია.
მაშინ კავკასით ჩრდილეთის ველზედ
გაიხმაურა ქართველის სახელმა,
და კაზანისა მაგარ კედლებზედ
იოანემა, რუსთ ხელმწიფემა,
თვისი ლაშქარი დასუსტებული
იმ ომის ამბით გაამამაცა,
და მსწრაფლ კაზანი გამაგრებული
თათრებს ხელიდამ მან გამოსტაცა...

XXVIII

“მას შემდეგ იყვნენ ის ტკბილნი წამნი,
როს მხიარულნი ჭაბუკნი, ყრმანი
საყვარელს თამარს კარს უმშვენებდნენ
და შენ დიდებით განიხარებდნენ.
და იმ მშვენიერ ჭაბუკთ კრებაში,
იმ თავისუფალ ბედნიერ ხალხში
დიდი რუსთველი ნაზად დამღერდა
მას, ვისთვისაც ხალხს გული უძგერდა.
იგი აძლევდა რუსთვლისა ქნარსა

იმ მშვენიერსა აღმაფრენასა,
რომელიც ეხლა ქართველსა უკვირს
და რომელზედაც ხან ხარობს, ხან სტირს,
როგორც გამქრალსა თვის ვარსკვლავზედა
და მიფარებულ დიდებაზედა.
თამარო დიდო! ველურ ხალხშია -
ჩემ წინ გადაშლილ ხეობაშია -
პირველ დათესე ქრისტისა მცნება
წმინდა, ღვთიური ჭემმარიტება.
იქ, სადაც ხოლოთ ღრუბელი სრბოდა,
ჰფრენდა არწივი, ქურციკი ხტოდა,
იქ, სადაც ძმა ძმასა ებრძოდა,
შენ მეოხებით ლოცვა ისმოდა,
და იმ ლოცვასთან სიტყვა: “მშვიდობა,
სიყარული და ერთობა, ძმობა”.
შენს შემდეგ, დიდო, კვლავ ბევრი ხანი
მთებში ისმოდნენ ეგე სიტყვანი!

XXIX

“წარხმდარა ყველა, ის ღონე და ის ძლიერება,
მტვრათა შექმნილა ახოვანი იგი ცხოვრება!
აწ ის ცხოვრება თვის დენაში შეყენებულა!..
იგი ოდესღაც მოდენილი თვის ფართო გზაზედ,
ბევრჯელ უსაგნოთ, ბევრჯერ აზრით აღელვებულა,
ქართველის ბეჭედი ყოველთვის კი სჩნევია მასზედ.
დენილი იგი ტანჯვათ შორის და სიამეთა,
ხან დაცემულა და გამქრალა, ხან აღდგომილა,
ხან შური, მტრობა და წადილი სთხრიდა კიდეთა,
რომელთაც შორის ის ცხოვრება მძლავრი შობილა.
მაშინ გათხრილნი ის კიდენი მთლად დარღვეულან,
ძლიერნი ზვირთნი იმ ცხოვრების, აღქაფებულნი,
სხვადასხვა ტოტათ გადმოსულან, გადმოგდებულან,
დაუნთქამთ შრომა წინაპართა ოფლითა რწყულნი,
როსღა ვიხილებ მშვენიერსა ამ ქვეყანასა
თვისსა დიდების ნაშთთა ზედა კვლავაცა აღმდგარსა.
დროსთან დათქმულსა სხვადასხვათა კავშირთა ბრძოლას,
ერთის ცხოვრების, ერთის სულის ძლიერსა ქროლას?
როს ეს ტოტები ერთ ცხოვრების, ერთის საგნისა,
ეხლა გაყრილნი, ერთ მდინარეთ შეერთდებიან?
როს იგი ტომნი ცათ მიღწეულ მძლავრ კავკასისა
ერთისა აზრით, ერთისა ფიქრით აღელდებიან?
თავისუფლების მშვენიერის სხივთ ბზინვარება
როდის დაადნობს დაჟანგულ დიდხნის ბორკილსა?
და ქართველობას საკვებხარათ როდის ექმნება
ქვეყნის წინაშე ყოველ ქართველის ერთგულსა შვილსა?”

XXX

“ნუთუ ეს ხალხი, რომელთ დაჰბადეს
დავითი, დიმიტრი, დიდი თამარი,
რუსთველი და მის ძლიერი ქნარი, -
ნუთუ ეს ხალხი აღარა აღზდგეს?
ნუ შიშობ, ველო! შენს მშვენიერ ხალხს
წარუვლენ წელნი ძილის ჟამსა,
ხალხი აღინთებს კიდევ თვის ვარსკვლავს,
სისხლი მამათა დაისხნის შვილსა!
წარვლენ ეს წელნი ძილის ჟამისა
და გაბრწყინდება მზე მომავლისა!
ოხ, ღმერთო! ამა ხალხთ გაღვიძება
დიდ ძილის შემდეგ რა ტკბილ იქნება!...”

და მის ძლიერნი თითნი ფერმკრთალნი
სიხარულითა ჩანგზედ იძროდნენ,
იმედით სავსე მისნი შავთვალნი
რადაც ღიმილით ველს დაჰყურებდნენ

XXXI

ამ დროს ქუხილმა დაიგრიალა,
გრგვინვა დაიწყო იმ ხმამა მთებში;
ცაზედ ელვამა გაიპკრიალა
და განანათლა მდინარე ხევში;
ცას გადაედვნენ შავნი ღრუბელნი,
ნისლში შთაცვივდნენ მთანი და კლდენი;
ქარმა დაჰდმუვა სასტიკათ მთებსა,
ბუქი სვეტსავით აატრიალა,
რისხვითა ჰგლეჯდა საშინელ კლდესა,
ზვავმაც მთებიდამ დაიგრიალა.
მყის იმ ბუნების მშვიდი ღუმილი
ბნელ ჯოჯოხეთათ გარდიქცევოდა;
წყალი და ცეცხლი, მეხი, ქუხილი
ერთათ საშიშრათ აირევოდა.
და იმ მთებისა ვაგლახებშია
მე განვარჩევდი გრძნეულ სიტყვათა
(ჩემი სიცოცხლე იმ სიტყვებშია,
ისინი ჩემს გულს აქვს იმედათა):
“წარვლენ ეს წელნი ძილის ჟამისა
და გაბრწყინდება მზე მომავლისა!
ოხ, ღმერთო! ამა ხალხთ გაღვიძება
დიდ ძილის შემდეგ რა ტკბილ იქნება!...”
ამ სიტყვებს დაბლა კლდენი და მთანი,

მაღლა - ქუხილნი, ცაში მგრგვინაენი,
ჩემთან, ჰე ძმანო, იმეორებდენ,
თითქო ჩემსავით თვითონც ხარობდენ.

XXXII

მაშინ შევხედე ყაზბეგსა მძლავრსა,
დიდხანს ვეძებდი იქ მოხუცს კაცსა;
მაგრამ ღრუბლისა ბნელ საბურველნი
იყვნენ ყაზბეგზედ სქლათა მწოლელნი;
მცირეს ხანს შემდეგ დაჰბერა ქარმა,
მყის განიღიმა ნათლათა მთამა;
და ღვთიურ შუქით გაბრწყინებული
კვლავ დავინახე მოხუცებული.
ცისკენ აღელო მას თრთოლით ხელნი
და მოედრიკნა მუხლნი ძლიერნი,
თურმე მოხუცი ის ლოცულობდა
და ღმერთსა ესრეთ ევედრებოდა:

“დედავ ღვთისაო! ეს ქვეყანა შენი მხვედრია!
შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ საწყალ ხალხსა,
სამღთოთ მიიღე სისხლი, რაიც ამ ხალხს უღვრია!
ღმერთო ძლიერო! ნუ არიდებ მოწყალე თვალსა.

“რაც უტანჯნია ამა ხალხსა, ტანჯვათ ეყოფა!
მოეცი ძალა დავრდომილსა კვლავ აღდგომისი,
სახელოვანი განუახლე წარსულთ დღეთ ყოფა,
მამაკაპური ძარღვი, ძალა გარდმოეც შვილსა!

“ძლიერო ღმერთო! შენთვის ბრძოდნენ ქართველთა ძენი!
დასაზამითვე არ იციან, რა არს მშვიდობა!
იმყოფე სამღთოთ მათ პატიჟნი და სისხლის ძღვენი,
თუ რამ შეგცოდეს, მათ ისყიდეს ტანჯვით შენდობა!

“მოეც ქართველსა ქართველის ნდობა და სიყვარული,
მას განუღმერთე, შეაყვარე თვისი მამული!
ჰ, სახიერო! ცისარტყელა განავლე ცასა,
რათა წარღვნისა მოლოდინი განუფრთხო ხალხსა!»

მყის გადმოეშო ცისა ლაჟვარდსა
შვიდფერიანი სარტყელი ცისა,
და მოეფინა ჩემს ქვეყანასა
მახარობელად ტკბილ იმედისა.

აღმერთო გული გრძნობითა ცეცხლებრ,
ერთ ფიქრს მიეცა გულისთქმა...
“ოხ, ღმერთო! ამა ხალხთ გაღვიძება

დიდ ძილის შემდეგ რა ტკბილ იქმნება!”

და რა თქვა ესა, გამოჰკრთა ელვა,
მთელ ბუნებამა დაიწყო ღელვა,
კვლავ მეხი გასქდა ახლო მთებშია,
მოხუციც გაქრა მსწრაფლ ღრუბლებშია.

დასრულდა

26 იანვარს 1859-სა წ.

ქართველთადმი

აჰა, გათავდა!... ქართველნო, მიცნობთ
ამ ლექსში მწუხარს და მტირალს ქართველს!
შორით, რუსეთით ძმა ძმებს მოგიტხოვრებთ
მას, რაც არ უშრობს ნამდვილ შვილსა ცრემლს.

ჩვენი მშობელი, ტკბილი მამული
ცხადათ წინ მედგა ბედით მოკლული,
და ბნელ ღამეში - ჩვენ დამსხნელს ვარსკვლავს
ჩვენ მამულზედა ვხედავი შემდ[გ]არს.

გულში ვფარავდი რა ტკბილსა იმედს,
მის აღსრულებას ვავედრებდი ღმერთს,
მე შევესტიროდი ჩემს ქვეყნის ბედსა
და მშიშარს კალამს ვანდობდი ცრემლსა.

თუ ჩემს ცრემლს, ეხლა ფურცლებზედ შემშრალს,
თქვენი ცრემლიცა მოემატება,
მაშინ ვფიცავ იმ ჩვენს დამსხნელ ვარსკვლავს, -
იგი, რაც გვინდა, აღვვისრულბედა!

აქედან: IX თავს სათაურად ჯერ ეწერა (შავი ფანქრით): “მონოლოგი”, ხოლო ფრჩხილებში (წითელი ფანქრით) - “ერთი ადგილი “აჩრდილიდან”. შემდეგ ავტორს სიტყვა “ადგილი” გადაუხაზავს და ზედ დაუწერია “მონოლოგი” (“ერთი მონოლოგი “აჩრდილიდან”). ამავე თავის მე-15 სტრიქონში, ნაცვლად სიტყვებისა “მეც მისებრ სრულად სუსტსა და ფუჰს”, ჯერ ეწერა “მეც მისებრ სუსტსა სრულად ფუჰს” (გადახაზულია); XVII თავის 26-ე სტრიქონში, ნაცვლად სიტყვისა “აქ”, ეწერა “მრქვა” (გადახაზულია); XXXII თავის II, 1 (“დედავ ღვთისაო”-ს თავზე) ეწერა სათაური “ლოცვა მოხუცისა” (გადახაზულია წითელი ფანქრით). ამ ნაწილის (“დედავ ღვთისაო”) მე-13 სტრიქონში, ნაცვლად სიტყვისა “ქართველსა”, ეწერა “ქართველის ძმის” (გადახაზულია). 22-27 სტრიქონების ნაცვლად ეწერა:

მყის გადმოემო შვიდფეროვანი
საქართველოზედ სარტყელი ცისა,

ცას შეჰყურებდა იგი მხცოვანი,
სჭვრეტს რა, აღსრულდა ხმა მის ლოცვისა,
თქვა: წარვლენ წელნი ძლიერის ჟამისა,
იმედი არის მომავალისა.

ეს სტრიქონები გადახაზულია და იმავე ფანქრით მიწერილია ჩვენთვის ცნობილი სტრიქონები.

პირველ ვარიანტს (B-ს) ქრონოლოგიურად მოსდევს D-ს ტექსტი. მათ შორის არის C ტექსტი. რადგან იგი ესკიზია და არა ვარიანტი, ამიტომ მას ვიხილავთ ქვემოთ ცალკე (იხ. გვ. 470-471). იგი B-ს ვარიანტია. ტექსტი მოთავსებულია პატარა ფორმატის უხაზო ფურცლებისაგან შეკრულ რვეულში, რომელიც 24 გვერდისაგან შედგება. იგი ნაწერია სუფთად ყავისფერი მელნით. თავფურცლებზე, რომელიც ყდის მაგივრობას ეწევა, წერია პოემის სათაური - “აჩრდილი”, ხოლო ქვემოთ: **ტფილისი, 1860**. ეს ტექსტი, როგორც B-ს ვარიანტი, ძირეულად განსხვავდება, ძირითადი (A) ტექსტისაგან. ამიტომ მას ვუდარებთ B-ს, რაც უფრო ნათელს ხდის პოემაზე ავტორის მიერ ჩატარებული მუშაობის თანმიმდევრობას. D-ს მე-2 გვერდზე სათაურია (“აჩრდილი”), რომლის ქვეშაც უკვე ჩნდება ახალი წარწერა: “**ივანე პოლტრაცკის და ილია წინამძღვრიშვილს**”. შემდეგ წერია “**ძღვნა**” და “**ძღვნის**” ტექსტის ბოლოს ხელმოწერა: “**ილია ჭავჭავაძე**”. რვეულის მესამე გვერდზე კვლავ პოემის სათაურია, მის ქვეშ ისევ ის ეპიგრაფია, რაც B-შია, მხოლოდ ბოლოში უკვე მიწერილი აქვს “**ჰსალ. დავითისა**”, ამას მოსდევს რუსთაველის აფორიზმი, რაც B-ში აგრეთვე არ არის (“რა ვარდმან თვისი ყვავილი...”) ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ იწყება პოემის ტექსტი.

B-სთან შედარებით D-ში ტექსტმა ასეთი ცვლილება განიცადა (შედარებისას B ავტოგრაფის თავები გვაქვს მხედველობაში): III თავი, 8 შეშინებული] განცვიფრებული D. IV, 9 მარტო სული] ხოლოთ სული D. 14 აწ დავრდომილი] ბედით დასჯილი D. 20 უმღერო+და მერეთ ისევ იქავ ახვიდე, სად არს ნუგეში, სად არს სიმშვიდე D. V, 19 შობილ... მაღლიდამ] ღვიძლს ამაყათ D. 12 აშინებენ+იქით შორს ჩანდნენ მინდვრები, ტყენი, მათ შორის მსხლტომი არაგვი ჩვენი D. VI, 20 ერთგულნი ძენი] იგი ქართველნი D. 22 რამთვენჯერ] რამთენჯერ D. VII, 5 სულ] სრულ D. VIII, 9 ზომიერი] გარმონიული D. IX თავს სათაური არ აქვს D. 3 გული ჩემი ~ D. X, 1 ტკბილო] ქართველის D. 11 ოხ] ვიმ D. XI, 19 სადღაა აქა] ვაი, რა იქმნა D. XIII, 1 დემონო] ეშმაკო D. XIV, 7 ბედნიერ არის] ბედნიერია D. 12 საუკუნებს] საუკუნეთ D. XV, 2 ვით მწირსა მწირი] რომლისთვისც ვსტირი D. 20 ხე არ ინძრევა] არ ჩაინძრევა D. XVI, 8 დაუახლოვდა] წამოსწვდა შორით D. 14 მათ] მას D. 18 ეგ უფრო, უფრო] სამარცხვინო და D. XVII, 4 ადებს] ადგამს D. 5 ოცადა] ათათა D. არ ებრალება მონა მოკლული] არ შეჰბრალებდა მას მონის წყლული D. 12 მხეცზედა] კაცზედა D. 16 მისცემს] უძღვნის D. მინდორზედ] ცის ქვეშ D. 22 შიმშილი] ცდა, სიმხნე D. 28 ვაი, თქვენი ბრალი] უხ, შენი ბრალი D.

XVIII, 3 საით - D; 10 არა] ეგე D. 15 ტურფა] სატრფო D. 22 შეგძულდება] შეგზარდება D. XIX, 28 ის] ეგ D. 32 გალობას] სიმღერას D. XX, 19 ბაგითგან] ბაგიდგან D. 20 ოდეს დემონი კაცზედან ხარობს] რომ ხალხის დაცემულს არ აღამაღლებს D.

D-ში B-სგან განსხვავებით XX თავის შემდეგ იცვლება პოემის მთელი არქიტექტონიკა და რიგი: XXI თავის ნაცვლად D-ში მიდის XXXII თავი, ე. ი. B-ს XXI თავებს შორის D-ში XXXII თავი, რომელიც ასე იწყება: “**მაშინ შევხედე ყაზბეგსა მძლავრსა**”, სადაც გამოტოვებულია სტროფი (“**ცისკენ აღელო...**”). ამ თავშიც არის

ცვლილებები: 1-7 სტრიქონების (“მაშინ შევხვდე... გაბრწყინებული”) ნაცვლად D-ში წერია:

დიდხანს ვუგდებდი ყურსა იმა ჩანგს,
თრთოლით შევხედე ყაზბეგსა მძლავრსა
და ღვთიურ სხივით გარემოცული.

ამ თავში მე-12 სტრიქონის (“და ღმერთსა”...) შემდეგ D-ში სათაურია - “ლოცვა აჩრდილისა”. ბოლო სამი სტროფი ამ ლოცვისა განსხვავებულად იკითხება B-სთან შედარებით:

მსწრაფლ გადმოემო ცისა ლაჟვარდსა
შვიდფეროვანი სარტყელი ცისა,
და მოეფინა ჩემს ქვეყანასა
მახარობელად ტკბილ იმედისა.
აღმენტო გრძნობა მადლითა ცეცხლებრ,
ერთ ფიქრს მიეცა გულისთქმა ყველა.
და მაშინ ვიგრძენ, რომ მშვენი მისებრ
ჯერ არ მენახა მე ცისარტყელა.
მცირეს ხანს შემდეგ გამოჰკრთა ელვა,
უფრო დაიწყო ბუნებამ ღელვა.
მეხცი დაეცა ახლო მთებშია.
მოხუციც გაჰქრა მსწრაფ ღრუბლებშია.

B-ს XXI თავი D-ში XXII თავად მიდის; B-ს XXII თავი D-ს XXI თავად მიდის. B-ს XXIII თავს D-ში XXIV თავი ენაცვლება. მათში: 1 ტკბილო ქვეყანავ] ქართულის ქვეყანავ D. XXIV თავის ნაცვლად D-ში XXV თავია. მათში: 1 ტკბილო ქვეყანავ] ოჰ, საქართველოვ D. XXV თავს ენაცვლება D-ს XXVI თავი. მათში: 15 ქვათლილისა] თლილის ქვისა D. 18 ცას] ღმერთს D. XXVI-ის ნაცვლად D-ში XXVII თავია. 1 მშვენიერ ველო] ვაიმე ველო D. 10 მტრულ] მტრის D. 13 ტკბილ] მშვიდ D. 14 მადლით ხედავდა] დაინახავდა D. 16 უსწორო] უებრო D. 25 აწვ რვაას] აწ ექვსას D. 27-30 დიდი თამარი... მარად და მარად] დიდო თამარო, შენი სახელი იცოცხლებს, ვიდრე სცხოვრობს ქართველი, ეგეა ჯილდო დიდ ცხოვრებისა, ესეა წესი ამა ქვეყნისა... D. B-ს XXVII თავის ნაცვლად D-ში XXVIII თავია. მათში: 1 გამოგდებულნი] გადმოგდებულნი D. 14 სად არის] რა იქმნა D. 18 და თვის სახელით შთაუბეჭდნია] და თვისი ძეგლი აღუდგენია D.

B-ს XXVIII თავი გაყოფილია D-ში ორ თავად: XXIX (B-ს 1-14 სტრიქონები) და XXX თავებად (B-ს მე-15-დან - “თამარო დიდო”... - ბოლომდე). 14 და მიფარებულ დიდებაზედა+

დიდო რუსთველო, დადუმდა ქნარი,
ლონის და ძალის აღმართოლარი,
იგი ოდესღაც ტკბილათ გალობდა,
ეხლა აღარ არს, ხალხი დაობლდა. D

15 თამარო დიდო ~ D.

XXIX თავიც ორ თავად არის D-ში გაყოფილი: XXXI (1-18 სტრიქონები) და XXXII (მე-19-დან: “როს ეს ტოტები”... ბოლომდე). I ის ღონე და] ის დიდება D.

B-ს XXX თავი მიდის D-ს XXXIII თავად. მათში: 8 სისხლი] შრომა D; სისხლი მამათა დაიხსნი შვილსა]

შვილი აღსდგება შეიკრებს ძალსა
და ბედნიერსა შეიქმს მყობადსა,
ეხლა გზა კაცის არს გაკვალული
და უნდა ნდობა და მხნეი გული,
რომ მიხვდეს მის ბედნიერ ჟამსა
და შეეყაროს ტკბილ მომავალსა! D

B-ს XXXI თავი მიდის D-ს XXXIV თავად. მათში: 11-14 სტრიქონები (“მყის ბუნების... აირევოდა”) D-ში არ არის. XXXII თავი კი XX თავის შემდეგაა გადატანილი.

ამ შედარებიდან ჩანს, რომ B და D ავტოგრაფები ძირითადად ერთმანეთს მისდევს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ D-ში თავებად დაყოფის შეცვლას და სტროფების დამატებას.

D ვარიანტს ქრონოლოგიურად წინ უსწრებს C ავტოგრაფი, რომელის სათაურია “აჩრდილი ყაზბეგზედ ანუ ჩანგი მოხუცისა”. მას ეპიგრაფად აქვს: “აღსდევ, უფალო, ღმერთო ჩემო! აღმართე ხელი შენი და ნუ დაივიწყებ გლახაკთა შენთა სრულიათ” (“ჰსალმუნი დავითისი”). პ. ინგოროყვას აზრით, ესკიზი დაწერილი უნდა იყოს 1859 წლის 13 აპრილის ახლო ხანებში (იხ. ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე , თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, 1951 წ., გვ. 475) C წარმოადგენს D-ს ესკიზს. სათაურის შემდეგ წერია “I”. ჩანს, ქვემოთ მოყვანილი ტექსტი ავტორს პირველ თავად ჰქონდა ნავარაუდები, მაგრამ შემდეგ გადაუფიქრებია ასეთი დასაწყისი და შექმნა ისეთი ტექსტი, როგორც D-ში. ქვემოთ ვბეჭდავთ C ავტოგრაფ-ესკიზს სრულად, რადგანაც იგი ასეთი სახით შემდგომ არსად არ გვხვდება:

მზე დაჰყურებდა კავკასს მღვიძარე,
განაბრწყინებდა მას თეთრ-თმოსანსა,
და მთა ურყევი, მძლავრი, მყინვარე
ხედავდა ჰაერსა ლაჟვარდოსანსა.

მოწმენდილ ცაზედ გძლათ გაწოლილნი
ღრუბელს, ვით ბოლსა, ის მთები ხევდნენ
და შორს ციაგათ მთანი შეცვლილნი
უზომო სივრცეს იკარგებოდნენ;
თავნი ებჯინათ ცისა კამარას.

დიდხანს უგდებდი ყურსა¹ იმ ჩანგსა,
თრთოლით შევხედე ყაზბეგსა მძლავრსა
და ღვთიურ სხივით გაბრწყინვებული

¹ ამ სიტყვების ნაცვლად ჯერ ეწერა “მივაპყარ ყურნი”, გადახაზულია ფანქრით და ფანქრითვე ზედ აწერია “უგდებდი ყურსა”.

კვლავ დავინახე მოხუცებული.

ცისკენ აღეღო მას თრთოლით ხელნი
და მოედრიკნა მუხლნი ძლიერნი,
თურმე მოხუცი ის ლოცულობდა
და ღმერთსა ესრეთ ევედრებოდა:

ლოცვა

.....

მსწრაფლ გარდმოეშო ცისა ლაჟვარდსა
შვიდფეროვანი სარტყელი ცისა
და მოეფინა ჩემ ქვეყანასა
მახარობელათ ტკბილ იმედისა.

აღმენტო გრძნობა მაღლითა ცეცხლებრ,
ერთს ფიქრს მიეცა გულისთქმა ყველა
და მაშინ ვიგრძენ, რომ მშვენი მისებრ
ჯერ არ მენახა მე ცისარტყელა.

ამ ტექსტის (C) D-სთან შედარებისას ჩანს, რომ მისი პირველი სტროფი (“მზე დაჰყურებდა...”) თანხვდება D-ს I თავის I სტროფს; III - IV სტროფი (“დიდხანს უგდებდი... ევედრებოდა”) კი თანხვდება D-ს XXI თავის პირველ ორ სტროფს. ბოლო V და VI სტროფები (“მსწრაფლ გარდმოეშო”... “აღმენტო გრძნობა”...) მისდევს D-ვარიანტის “ლოცვის” ტექსტის მომდევნო I და II სტროფებს.

ყოველივე აქედან ჩანს, რომ პოეტს განზრახული ჰქონდა ტექსტის რადიკალურად გადამუშავება და მთელი მისი კომპოზიციის შეცვლა, რაც სისრულეებში მოიყვანა რამდენიმე წლის შედმეგ.

როგორც ზემოთ ითქვა, “აჩრდილის” პირველი ვარიანტი (BD) შეიქმნა 1859-1860 წლებში. მაგრამ - ჩანს ცენზურული პირობების გამო - პოემას მთლიანად დაბეჭდვა დიდხან არ ღირსებია.

1859 წლის ჟურნ. “ცისკრის” № 10-ში პირველად გამოქვეყნდა (B ავტოგრაფიდან) პოემის მხოლოდ V თავი (“ჩვენო არაგვო...”), სათაურით “არაგვი (საკუთარ პოემიდან “აჩრდილი””, ხელმოწერით: “ილია ჭავჭავაძე”.

D ვარიანტიც დიდხანს იყო დაუბეჭდავი, იგი მხოლოდ 1863 წელს გამოქვეყნდა ილიას მიერ დაარსებულ ჟურნალში “საქართველოს მოამბე”, ისიც ფრაგმენტულად, ცალკეულ თავებად, კრებოდ: ჟურნალის № 7-ში დაიბეჭდა “ლოცვა აჩრდილისა (აჩრდილითგან)” ხელმოწერით ***** (ტექსტის XXVI-XXVII თავები); № 8-ში - მხოლოდ XXIV თავი, ხელმოუწერლად.

1864 წელს პეტერბურგში კ. ლორთქიფანიძემ შეადგინა და გამოსცა კრებული “ჩონგური”, რომელშიც დაბეჭდა “აჩრდილის” V თავი, სათაურით “არაგვი”. ზეოთ აღნიშნული დაბეჭდილი თავების ტექსტთან შედარებისას გაირკვა, რომ ეს თავები მისდევს ავტოგრაფს მცირეოდენი ნაირწაკითხვებით. მხოლოდ ერთგან, ნაბეჭდის

XXIV თავში, ცენზორს ამოუღია ტექსტი, მე-18 სტრიქონიდან (“ერთის ცხოვრების”...) დაწყებული. ეს ადგილი შევსებულია მრავალწერტილით.

1872 წლისთვის კვლავ იქმნება “აჩრდილის” რედაქციულად განსხვავებული ტექსტი (E). იგი პირველი ვარიანტისაგან (BD) მკვეთრად განსხვავდება და უახლოვდება საბოლოო, ჩვენს ძირითად ტექსტს (A-ს). ეს ახალი ტექსტი (E) შეიცავს მხოლოდ პირველ 19 თავს. XX რომაული ციფრებით იქვე მიუნიშნებია ავტორს. მაგრამ ტექსტზე მუშაობა ამჯერად აღარ გაუგრძელებია. ამ 19 თავში მოთავსებულია თითქმის მთელი “აჩრდილი” (A ტექსტის თავების ნუმერაციის მიხედვით E-ში არ არის XVIII - XXV თავები ჩანს, ავტორს შეგნებულად გამოუტოვებია ისინი).

X თავამდე E ტექსტის თავების თანმიმდევრობა მისდევს A ტექსტს, მაგრამ შემდეგ უკვე იწყება პოემის არქიტექტონიკის შეცვლა და E-ში X თავად მიდის ჩვენი გამოცემის ((A ტექსტის) XVII თავი; XI თავად - XVI თავი; XII თავად - X თავი; XIII თავად - XI თავი; - XIV თავად - XII თავი; - XV თავად - XIII თავი; XVI თავად - XIV თავი; XVII თავად - XV თავი; XVIII თავად - XXVI თავი; XIX თავად - XXVII თავი.

როგორ აღვნიშნეთ, E ტექსტი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ თავების გადაადგილებას, ძირითადად მისდევს A-ს, ვარიანტული ნაირწაკითხვებით (ამ ტექსტს ქვესათაური და თარიღი არა აქვს. იგი აქა-იქ ნასწორებია. ზოგი ადგილი ძნელად იკითხება). ვუდარებთ მას A ტექსტს:

I, 2 გაანათლა] განანათლა E. 3 კაკვასის] კაკვაზის E. 18 წამოიქუხოს] წარმოიქუხოს E. 19 მერმედ] მერედ E.

II, 5 დადუმებული] დაყუდებული E. 12 ზეცაც] ცაცა E.

III, 1 ხოლოს კი] მაგრამ იმ E. 2 მეც] მსწრაფლ E.

IV, 4 დაფიქრებული+

მის თეთრ [თმანი] ძლიერსა მხრებზედ
სქლად გადმოშლილნი ბრწყინავდნენ მზეზედ,
უმანკო თოვლი მხოლოდ იმ მთების
მის თმის სითეთრეს თუ შეედრების E.

10 ქაფისა] აღმღვრეულთ E. 17 სჩანდნენ] ჰსჩანდნენ E.

V, 2 ქართველის] ჩვენის E. 6 შენს წმინდა თვალწინ] შენთა თვალთა წინ E. 9 შენ ზვირთებ] შენთა ზვირთ E. 13 ძლიერსა] წმინდასა E. 15, 16 ქართველთ] ქართველის E. 24 გულსაკვლდავ] გულსაკლავა E.

VI, 4 მთიდამ ამაყად] იმ სიმაღლიდამ E.

VII, 1 ვარ] ვალ. E. 7 მეც წარტყვევნილვარ] წარტყვევნილ ვარ E.

17 ზოგადს ცხოვრებას] მეცნიერებას E. 18 და მცნების] ვიდრე მის E, 24 ჰღადადებს მხოლოდ] მხოლოდ აღნიშნავს E.

VIII, 1 აქ... პატარასა] აქ კაცად-კაცსა, ზნეობით მკვდარსა E. 11 იმ ვაჟკაცს] მას ქველსა E. 21 უმღერებს] უმღერის E.

IX, 6 წაწყმედილა] წარწყმედილა E.

X (E-ში XII), 1 აქაც კი] თუმც იქაც E. 6 იმ ზოგთა] უკეთესთ E. 7 ამა ჭირთაგან მათი] ამისა გამო მხნეთა E. 9 ორს-სამს კაცს] ორ კაცსა E. 12 და ერთმანეთს კი] მაგრამ ერთმანეთს E. 14 თითქო] ორწილ E.

XI (E-ში XIII), 2 ხარჯს] ხარკს. 4 პინას] პინსა E. 5 და მათ... ჰხდის] მით ის გირვანქას ერთი ათას ხდის E. 6 გაიღიმა] განიღიმა E. 7 უმწეობითა... ჰზრდის] გულისა წვითა, თავის ხარკის ზრდით E. 8 და საწყლის თვალთაგან] საწყლის

თვალთაგან E. 13 მონა... საწყალი] მონა საწყალი, მონა გამშრალი E. 15, 17 ვიშ] ვახ E. 18 გაზრდილი] გაზდილი E. 28 სად არის აქ] აქ სად არის E.

XII (E-ში XIV), 2 ძუძუთგან] ძუძუდამ E. 9 ჩაგრულო] ბედკრულო E. 15 E-ში ნაცვლად სიტყვისა “უმანკო” ჯერ ეწერა “და წრფელსა” - გადახაზულია. 19 E-ში, ნაცვლად სიტყვისა “შედრწუნდები”, ჯერ ეწერა “შეშინდები”, გადახაზულია. 26 ნაცვლად სიტყვისა “შენ” ჯერ ეწერა “ვაიმე” და გადახაზულია.

XIII (E-ში XV) 1 ნაცვლად “შრომისა” E-ში ჯერ ეწერა “მამვრალთა”, გადახაზულია. 3 თუმცა] მაგრამ E. 8 მყოობადი] მომავალი E. 12 E-ში ნაცვლად სიტყვისა “გამზადებულა”, ჯერ ეწერა “დამველებულა”, გადახაზულია.

XIV (E-ში XVI), E-ში დასაწყისი შვიდი სტრიქონი ისეა წაშლილი მელნით, რომ ძნელად იკითხება. 3 სოფელსა] სოფლისა E. 9 არ იქმნებიან] აღარა იქმნენ E. 10 ძმობა, ერთობა] თანასწორობა ძმობა E. 11 აღარ ივლიან] ქვეყნად აღარ ვლენ E. 20 ვის] სხვას E. 28 ეგ სიმღერაა] რომელიც არი E. 32 ბანს გამოსცემენ] ბანსა მისცემენ E.

XV (E-ში XVII), 3 საწყალი] ყოველი E. 5 მოძმეთა] ყოველთა E. 9 ის რად... ქვეყნისა] რად ინდომებს ის ქვეყნისთვის E. 16 ცხოვრების] სიცოცხლის E. 18 ვალად] კისრად E. 21 დიდის სწავლისა] დიადის სწავლის E, ნაცვლად “დიადის” ჯერ ეწერა “მადლის”, გადახაზულია. 22 სიყვარულის და სამართალისა] სიყვარულისა და სამართლის E. 23 ბაგეთგან] ბაგიდგან E. 26 ქვეყნის ხსნისათვის] ქვეყნისა ხსნისთვის E.

XXVI (E-ში XVIII), 3 რომელ] რაიც E. 4 ჩაგრულთ სასოო] დმერთო ძლიერო E; მოწყალე] მოწყალეს E. 5 ეს ქვეყანა] ესე ხალხი E. 8. მამაპაპური... შვილისა] მამაპაპისა ძალა, სული შთაბერე შვილსა E. 9 ქართველისა] ქართველთა E. 12 შეისყიდეს] მათ იყიდეს E. 13 მოჰმადლე... სიყვარული] მიეცი ქართველთ, ქართველსა მტკიცე სიყვარული E. 15 სახიერო] ძლიერი E.

XXVII (E-ში XIX), 3 გადაეფინა] მოეფინა E.

“აჩრდილის” ეს ტექსტი იბეჭდებოდა 1872 - 1873 წლებში, ჟურნალ “კრებულის” ნომრებში. მასში ქვეყნდებოდა პოემის მხოლოდ ცალკეული თავები და ისიც არათანმიმდევრულად, სათაურებით: “რამდენიმე ხანა პოემისა “აჩრდილი” ხელმოწერით: “ილია ჭავჭავაძე” ან “ილ. ჭავჭავაძე”.

1872 წლის “კრებულში” (წიგნი 8 - 9) დაიბეჭდა ჩვენი ტექსტის მიხედვით XIII, XIV, XVII, XVIII თავები (XVIII თავი “კრებულში” XX თავად მიდის). E ავტოგრაფიდან “კრებულში” დაბეჭდილი ტექსტები (E₁) A-სთან ასეთ სხვაობას იძლევა:

XIV, 8 სძოვდეს] ჰსძოვდეს E₁. 9 არ იქმნებიან] აღარ იქმნენ E₁. 10 ძმობა, ერთობა] თანასწორობა E₁. 11 აღარ ივლიან] ქვეყნად აღარ ვლენ. 16 უნდა შვას იგი] ჩაისახა ის E₁. 17 მაშინ... განკაცდები] რომელთაც განჰკაცდები E₁. 32 გამოსცემენ] გამოჰსცემენ E₁.

XVII, 6 - 8 “ქართველის გულიდამ... გარდმოდენილი” “კრებულიდან” ამოღებულია. 9 სიტყვას “სუნნელისა” აქვს სქოლიო: “ნამვის ხეზე თქმულობა, იხილე ვახუშტის გეოგრაფიაში” E₁. 12 სცემდა] ჰსცემდა E₁. 13 ხილი] შლილი E₁. 16 ქართველის... დაყუჩდებოდა] ქართლის... დაჰყუჩებოდა E. 17 სჩქევს] ჰსჩქევს E₁.

XX (ჩვენი ტექსტის XVIII თავი), 1 ქართველის... დაბადებულო] ქართლის სამშობლოვ! მშვენიერო, ყოვლად შემკულო! E₁. 4 ეკლიანს ეკლისა E₁. 8 - 9 სტრიქონებს შორის (“რომ სხვა...”, “შენთა შვილთ...”) E₁-ში დაბეჭდილია:

ორისა დიდი საგნისათვის ძე შენი ბრძოდა,
მათთვისა ბრძოლამ სხვა საქმისთვის არ მოიცალა,

მამულისა და ჯვარისათვის იგი იღწვოდა,
ორივ დაიცვა, მაგრამ ყველა მათ ანაცვალა.

13 - 16 სტრიქონები, ე. ი. XX (A-ს XVIII) თავის ბოლო სტროფი (“ორი რამ იყო”...) E₁ - დან ამოღებულია.

1872 წ. “კრებულის” № 10 - 12-ში დაბეჭდილია პოემის I- II - III თავები (გვ. 1 - 4), ძირითადი (A) ტექსტისაგან იმ განსხვავებით, რომ ქვესათაური არა აქვს, არც ეპიგრაფი აქვს. ამოღებულია III თავის მე-2 სტროფი (“ვსთქვი, თუ: სადაც ცა ეგრე მჭვირვალეს”...) და მე-5 სტროფი (“თვალთ ჩემთ განშორდა თითქო სიბნელე”...)¹.

1873 წ. “კრებულის” № 1-ში (გვ. 268-274) დაბეჭდილია “აჩრდილის” IV, V, VI, VII, VIII თავები. ამ თავების ტექსტმა ძირითად (A) ტექსტთან შედარებისას ასეთი ვარიანტული სხვაობა მოგვცა.

10 ქაფისა] აღმღვრეულთ E₁. 12 ჰრბოდა, ჰბლაოდა] რბოდა, ბლაოდა E₁. 13 სჭექდა] ჰსჭექდა E₁. 14 მაშფოთარ შვილს] მშფოთვარს შვილსა E₁. 17 სჩანდნენ] ჰსჩანდნენ E₁.

V, 5 ჩემის მამულის] ჩემის ქვეყნისა E₁. 13 ძლიერსა] წმინდასა E₁. 15 ჰდულდა] დულდა E₁. 15 - 16 ქართველთ... ქართველთ] ქართველის... ქართველის E₁. 18 საუკუნეთ] საუკუნოდ E₁. იგი ქართველნი]... E₁. 22 ძველსა მამულს] ძველს მამულსა E₁. 24 ხოლმე გულსაკვდავ პასუხს] გულის საკვდავს პასუხსა E₁.

VI, 4 მთიადამ ამაყად] იმ სიმალიადამ E₁. 13 ვსთქვი] ვჰსთქვი E₁.

VII, 4 მაქვს]... E₁. (ასეა, რ. კ.). 5 ჰე] ჰოი E₁. 7 მეც წარტყვევნილვარ] წარტყვევნილი ვარ E₁. მე 11 სტრიქონიდან “თავისუფლება...” - აქ წყდება “კრებულში” ეს თავი, ე. ი. მე-11 სტრიქონიდან ბოლომდე VII თავში გამოტოვებულია ტექსტი.

VIII, 1 აქ არავის - დიდსა თუ პატარასა] კაცად -კაცადსა, ზნეობით მკვდარსა E₁. 11 იმ ვაჟკაცს... იმ] მას ქველსა... მას E₁. 21 უმღერებს] უმღერის E₁.

1873 წ. “კრებულის” № 2-ში (გვ. 208-214) დაბეჭდილია თავები: XI (ჩვენი A ტექსტის XVI), XII (A-ს X), XIII (A-ს XI) XIV (A-ს XII). “კრებულის” ტექსტი A-სთან ასეთ სხვაობას იძლევა:

X (E-ის XII თავი), 1 აქაც კი] თუმც იქაც E₁. 7 ამა ჭირთაგან მათი] ამისა გამო მხნეთა E₁. 9 ორს-სამს კაცს] ორ კაცთა E₁. 12 და ერთმანეთს კი] მაგრამ ერთმანეთს E₁. 14 თითქო] ორნივ E₁. “კრებულში” (E₁) პირის ნიშანი ჰ თითქმის არ იხმარება.

XI (E₁-ის XIII), 2 სასწორზედ] პინებზედ E₁. 5 და მით მის ხარჯსა ერთსა ორად ჰხდის] მით ის გირვანქა ერთს ათათა ჰხდის E₁. 6 გაიღიმა] განიღიმა E₁. 10 ვერ დაარბილებს] ვერა დაალბობს E₁. 13 ბედშავი.. საწყალი] საწყალი... გამშრალი E₁. 15, 17, ვიმ] ვახ E₁.

XII (E₁-ის XIV) 2 ძუძუგდგან... აჰგლეჯენ] ძუძუდამ... აგლეჯენ E₁. 9 ჩაგრულო, ვითამ] ბედკრულო! ვითომ E₁.

XVI (E₁-ის XI) 3 თავადსა] თავადს თუ E₁. 9 ჰლხინობენ... ჰხარობენ] ლხინობენ... ხარობენ E₁.

1873 წ. “კრებულის” № 5-6-ში (გვ. 183), დაბეჭდილია XVII (A-ს XV) თავი, რომელიც უმნიშვნელოდ განსხვავდება ძირითადად ტექსტისაგან (გამოტოვებულია მხოლოდ II სტროფი - “მომმეთა ხსნისთვის...”).

ხელნაწერთა ინსტიტუტში (U) დაცულია ავტოგრაფი № 127 (ძვ. S - 5032), ჩვენი F ტექსტი. იგი უთარილოა. სათაურის (“აჩრდილი”) შემდეგ წერია “დასასრული”, რაც

¹ ეს სტროფები ამოღებულია 1892 წლის გამოცემიდანაც.

გვაფიქრებს, რომ იგი გაგრძელება უნდა იყოს E ვარიანტისა (F იწყება მე-18 თავით და სრულდება 27-ე თავით).

ჩვენ (A) ტექსტისაგან F თითქმის არ განსხვავდება (რამდენიმე უმნიშვნელო ნაირწაკითხვის გარდა). იგი საბოლოო რედაქციაა, რომელიც საფუძვლად უნდა დასდებოდა “ივერიაში” დაბეჭდილ ტექსტ (იხ. ი. ჭავჭავაძე, ტ. I, სარედაქციო შენიშვნები, 1951, გვ. 415). F ხელნაწერი შესრულებულია გრძელ უხაზო ფურცლებზე შავი მელნით. დაწერილია სუფთად და მხოლოდ ერთი-ორგან არის ნასწორები, აქაც გამოტოვებულია XXII - XXIII თავები, რომლებიც საქართველოს ისტორიას უნდა შეხებოდა. მართალია, ისინი აღნიშნულია რომაული ციფრებით, მაგრამ ეს თავები კვლავ მომავლისთვის გადაუდვია ავტორს სამუშაოდ.

ვუთითებთ იმ სხვაობებს, რაც ავტოგრაფ F-ში შეინიშნება A-სთან შედარებით. მასში ყველგან ვით. ბრუნვის ნიშანი - თ, -ათ ფორმანტია, ხოლო -დნენ სუფიქსის ნაცვლად არის -დენ.

XIX, 14, 15 რაშიაც] რაშიცა F-ში ნაცვლად სიტყვისა “კირთების” ეწერა “მონების”, გადახაზულია. XX, 4 ხელს ჰკიდებს მას] მას ხელს ჰკიდებს F. XXVI-ს დასაწყისი 8 სტრიქონი გადახაზულია და არ იკითხება, დანარჩენი თანხვდება A-ს. XXVII, 2 შვიდფეროვანი] შვიდფერიანი F.

როგორც აღვნიშნეთ, F ტექსტი ავტორმა პოემის ტექსტში შეიტანა, როცა მას “ივერიაში” (H) ბეჭდავდა. “ივერიის” (1881 წ.) ტექსტი კი იმით არის საყურადღებო, რომ იგი პირველად გამოქვეყნდა მთლიანი სახით¹ (მანამდე, როგორც ზემოთ დავინახეთ, მხოლოდ ფრაგმენტულად იბეჭდებოდა), თუმცა მას ატყვია ცენზორის ხელი: ამოღებულია სიტყვები, სტრიქონები, სტროფები (იხ. ქვემოთ). H-ის ორივე ნომერში ტექსტს აქვს ხელმოწერა: “ილია ჭავჭავაძე”. ქვესათაური და ეპიგრაფი ემთხვევა A-ს იმ განსხვავებით, რომ H-ში ეპიგრაფის ქვეშ მითითებულია მისი ავტორის სახელიც (“შოთა რუსთაველი”).

შევუდაროთ H წყარო A-ს (თავები A-ს მიხედვითაა):

I, 2 გაანათლა] განანათლა H. 4 გადაჰვინა] გარდავინა H. 11 სრბოლა] ბრძოლა H; 16 დასცქერის] დაჰსცქერის H. 18 წამიქუხოს] წარმოიქუხოს H.

II, 5 დადუმებული] დაყუდებული H. 12 ზეცაც] ცაც H.

III, გამოტოვებულია ამ თავში II (“ვსთქვი, თუ”...) და V (“თვალთ ჩემთ”...) სტროფები.

V, 5 მამულის] ქვეყნისა H. 6 წმინდა თვალწინ] თვალთა წინა H. 9 შენ ზვირთებ] შენთა ზვირთ H. 13 ძლიერსა] წმიდასა H. 15 ქართველო] ქართველის H. 24 ხოლმე გულსაკვდავ პასუხს] გულის საკვდავს პასუხსა H.

VII, 5 ჰე] ჰოი H. 11 თავისუფლება]... H. 13 შენი აღდგენა]... H. 22 აღდგენასა]... H.

VIII, 1 არვის] ყოველს H.

IX, 6 წაწყმედილა] წარწყმედილა H. 10 აღტკინდეს] აღტყინდეს H.

X, 12 და ერთმანეთს კი] მაგრამ ერთმანეთს H.

XI, 15, 17, ვიშ] ვახ H. 18 გაზრდილი] გაზდილი H.

XII, 2 ძუძუდგან] ძუძუდამ H. 13 უბრყვილო] და წრფელსა H.

XIII, 19 მძარცველი] მცარცველი H.

XIV, 7 ძარცვა] ცარცვა H. 9 არ იქმნებიან] აღარა იქმენ H. 10 ძმობა, ერთობა თავისუფლება]... H.

XV, 3 - 4 მაშინ, როს მისი მოძმე საწყალი სასოწარკვეთილ მონებაშია - H.

¹ გამოტოვებულია მხოლოდ XXII-XXV თავები.

XVI, თავის ბოლო სამი სტრიქონი: “მთვარის ღიმილზე... თავსიუფლებას” H-ში არ არის.

XIX, 14, 15 რაშიაც] რაშიცა H.

XXVII, 2 შვიდფეროვანი] შვიდფერიანი H.

“ივერიაში” (H ტექსტი) პოემის III თავიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამოღებულია II და V სტროფები:

II: ვსთქვი თუ: სადაც ცა ეგრე მჭვირვალეხს,
ღამე ესეთის დილით თენდება,
სადც მზის ნათელი ეგრე ბრწყინვალეხს
იქ ძალუმს კაცსაც ბედნიერება.

V: თვალთ ჩემთ განშორდა თითქო სიბნელე,
ხედვად უცნაურთ სახილველისა,
მოეხსნა ყურთა თითქო სიძნელე
სმენად ბუნების მეტყველებისა.

ეს სტროფები აღადგინა პ. ინგოროყვამ 1925 - 1951 წლების გამოცემებში, რადგან ამას მოითხოვდა ლექსის შინაარსი. გამომცემლის მიერ აღდგენილ იქნა აგრეთვე XVI თავის მე-14 სტრიქონი (“ჭმუნვას, სიხარულს თუ მოქმედობას”..) და ა. შ. ჩვენს ტექსტში ეს სწორებები გაზიარებულია.

“ივერიაში” პოემის გამოქვეყნების შემდეგ გავიდა კიდევ 11 წელი და 1892 წელს “ქართველთა ამხანაგობის” მიერ გამოცემულ ილია ჭავჭავაძის თხზულებათა I ტომში კვლავ დაიბეჭდა “აჩრდილი” (ჩვენი ძირითადი ტექსტი A), მცირეოდენი კუპიურებით, მაგრამ მასში ძირითადად აღდგენილია ის ადგილები, რომლებიც “ივერიაში” არ დაბეჭდილა (იხ. ზემო ვარიანტები); ამის შემდეგ პოემას ცვლილებები თითქმის აღარ განუცდია და პოეტის სიცოცხლეშივე იბეჭდებოდა სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახით, - სრულად თუ ფრაგმენტულად (იხ. ზემოთ), მცირეოდენი ნაირწყაბიანებით. იმავე წელს ვასო აბაშიძეს “ჩანგში” შეაქვს პოემის V თავი, უსათაუროდ. 1898 წელს “პოემების კრებულში” იბეჭდება მთელი პოემა (ხელმოწერით: თ. ილ. ჭავჭავაძე; უთარილოდ), რომელიც მისდევს A ტექსტს. 1904 წელს ცალკე წიგნად იბეჭდება “ლექსები თ. ილია ჭავჭავაძისა”, რომელიც ნაწყვეტების სახით დაიბეჭდა პოემის სხვადასხვა თავები. სათაურებით: “ლოცვა (აჩრდილიდან)”, თავი XXVI, გვ. 4; “არაგვი (აჩრდილიდან)”, თავი V, გვ. 5; “მარად და ყველგან საქართველოვ (აჩრდილიდან)”, თავი VII, გვ. 6; იმავე წელს სპ. ჭელიძე უშვებს კრებულს “ჩანგური” და “ქნარი” რომლებშიც უსათაუროდ იბეჭდება ნაწყვეტები პოემიდან (წარმოდგენილია XIII, XIV, XV თავები) 1907 წელსაც იბეჭდება ნაწყვეტები “ილია ჭავჭავაძის რჩეულ ლექსებში” და ს. გიორგაძის კრებულში “ჩვენი მწერლობა, 1. მგოსნები”, სადაც “აჩრდილის” მთლიანი ტექსტია დაბეჭდილი. ოღონდ ალაგ-ალაგ შემოკლებული.

ასე იწერებოდა და იბეჭდებოდა “აჩრდილი” 1859 წლიდან 1907 წლამდე. ზემოთ განხილული და შესწავლილი ტექსტები პოემისა ცხადჰყოფს, რომ ილიას თავისი პოემის XXII და XXIII თავები პირველი (B) ვარიანტის შემდეგ აღარ დაუწერია, მუდამ კი აღნიშნავდა მათ ადგილს პოემაში, მუდამ შეჰქონდა პოემის თავების სათვალავში, რაც მოწმობს იმას, რომ ამ თავების დაწერას ყოველთვის ფიქრობდა პოეტი. პ. ინგოროყვას ეს თავები დაკარგულად მიაჩნია (იხ. 1951 წლის გამოცემა, გვ. 372); ხოლო გ. ჯიბლაძის აზრით, პოეტს I ვარიანტის შემდეგ პოემის XXII და XXIII თავები

საერთოდ არ დაუწერია, თუმცა კი ფიქრობდა მათზე მუშაობას (იხ. გ. ჯ ი ბ ლ ა ძ ე , ილია ჭავჭავაძე, 1966, გვ. 273).

რაც შეეხება პოემის დათარიღებას: რადგან მისი პირველი ვარიანტი დაიწერა პეტერბურგში და დათარიღებულია 1859 წლის 26 იანვრით (ამ დროს ილია პეტერბურგში სწავლობდა), ხოლო მისი ბოლო რედაქცია ავტორმა ფაქტიურად დაასრულა 1872 წელს¹ (დუშეთში ცხოვრების პერიოდში), ამიტომ პოემას ვაძლევეთ ფართო თარიღს: [26 იანვარს, 1859-ს წ. პეტერბურგი, - 1872 წ., დუშეთში]².

ი. ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემაში “აჩრდილი” დათარიღებულია 1859 წლის 26 იანვრით (სარჩევში, გვ. IV).

ი ვ . პო ლ ტ ა რ ა ც კ ი : ივანე პოლტარაცკი (1836 - 1892) - ილიას მეგობარი გიმნაზიიდან.

ი ლ ი ა წ ი ნ ა მ ძ ვ რ ი შ ვ ი ლ ი (1834 - 1920) - საზოგადო მოღვაწე, ლიტერატორი, პედაგოგი, სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის დამაარსებელი სოფ. წინამძღვრიანთკარში, ილიას მეგობარი.

XIX, 2 “როს შენ დაგიბყრო მაკედონის გმირმა ლაშქარმა”: ლაპარაკია ალ. მაკედონელის ლაშქრობაზე საქართველში. ალექსანდრე დიდი მაკედონელი (356 - 323) წ. ჩვ. ერამდე), მეფე ფილიპე II-ის ძე, მხედართმთავარი და სახელმწიფო მოღვაწე, მაკედონიის მეფე (336 - 323 წ. ჩვ. წელთაღრიცხვამდე). შეხედულება საქართველოზე ალექსანდრე მაკედონელის გამოლაშქრების შესახებ ისტორიული წყაროებით არ არის დადასტურებული.

XX, 5 “ფარნავაზ ჰაეროვანი”: ფარნავაზ მეფე, მოღვაწეობდა IV- III საუკ. ჩვ. წ. აღ-მდე. ქართველთა პირველი გამაერთიანებელი, პოლიტიკურად დამოკიდებული ქართული ეროვნული სახელმწიფოს ფუძემდებელი და ფარნავაზიანთა დინასტიის დამაარსებელი.

მკითხველისათვის რომ უფრონათელი იყოს, თუ როგორ იბეჭდებოდა ილიას დროს მისი “აჩრდილი”, წარმოვადგენთ ტექსტის პუბლიკაციას ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, სადაც ჯერ ტექსტებს დავასახელებთ, ხოლო შემდეგ წყაროებს (პასპორტისაგან განსხვავებით, იხ. დასაწყისი):

1. V თავი (“არავგი”) - ჟურნ. “ცისკარი”, 1859, № 10.
2. XXVI – XXVII თავები - ჟურნ. “საქართველოს მოამბე”, 1863, № 7.
3. XXIV - თავი - ჟურნ. “საქართველოს მოამბე”, № 8.
4. V თავი - კრებ. “ზონგური”, 1864.
5. V თავი - “ზუნების კარი”, 1868.
6. XIII, XIV, XVII, X (A-ს XVIII) თავები - “კრებული”, 1872, წიგნი 8-9.
7. I- III თავები - “კრებული”, 1872, წიგნი 10-12.
8. IV- VIII - თავები - “კრებული”, 1873, წიგნი I.
9. XI (ჩვენი XVI), (ჩვენი X), XIII (ჩვენი XI), XIV (ჩვენი XII) თავები - “კრებული”, 1873, წიგნი 2.
10. XVII (ჩვენი XV) თავი - “კრებული”, 1873, წიგნი 5-6.
11. V თავი - “ზუნების კარი”, 1873.
12. I - XVII თავები - ჟურნ. “ივერია”, 1881, № 2, XVIII – XXVII თავები, № 3.

¹ ბოლო ტექსტის დამუშავების თარიღი უშუალოდ ავტორისაგან არ ვიცით, მაგრამ, რადგანაც მისი ბეჭდვა 1872 წლის “კრებულში” დაიწყო და მის შემდეგ რედაქციული ცვლილება ტექსტს არ განუცდია, ამიტომ ეს თარიღი პირობითად ითვლება პოემის ბოლო თარიღად.

² 1925-1951 წწ. გამოცემებშიც პოემა ასეა დათარიღებული “26 იანვარი, 1859 წ. პეტერბურგი [პეტერბურგი] (ბოლო რედაქცია 1872 წ.)”.

13. მთელი პოემა (აკლია XXII – XXIII თავები) თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, ტ. I, 1892.
14. V თავი - კრებ. “ჩანგი”, შედგენილი ვ. აბაშიძისა, მე-2 გამოცემა, 1892.
15. მთელი პოემა (აკლია XXII – XXIII თავები) - პოემების კრებული, ლადიძის გამოცემა, 1898.
16. XIII, XIV, XV თავები - კრებ. “ჩონგური”, შედგ. სპ. ჭელიძისა, 1904.
17. XIII, XIV, XV თავები - კრებ. “ქნარი”, შედგ. სპ. ჭელიძისა, 1904.
18. XXVI, V, VI თავები (ცალ-ცალკე დაბეჭდილი) – “ლექსები თ. ილია ჭავჭავაძისა”, 1904.
19. მთელი პოემა შემოკლებით - ჩვენი მწერლობა. I. მგოსნები, შედგენილ-გამოცემული ს. გორგაძის მიერ, 1907.

ქართვის დედა (გვ. 199)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : M: ავტოგრაფი, კრებ. № 17501, გვ. 84 (B); U: ავტოგრაფი, კრებ. № 108, გვ. 109 (C); M; ავტოგრაფი, № 17504 (D); U: ავტოგრაფები - № 113 (E), № 126 (F).

ნ ა ბ ე ჭ დ ი : “კრებული”, წიგნი 3, ტფილისი, 1871, გვ. 175 (G);
 ჟურნ. “ივერია”, 1879, № 7, გვ. 3 (H); დედა და შვილი და რამდენიმე
 ლექსი თ. ილია ჭავჭავაძისა, ზ. ჭიჭინაძის გამ., ტფილისი, 1882, გვ. 11.
 (I); თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 145 (A) ჩანგი,
 შედგენილი ვ. აბაშიძისა, მე-2 გამოცემა, 1892, გვ. 459 (J); სიტყვიერების
 თეორია, შედგენილი არხიმანდრიტის კირიონის და გრ. ყიფშიძის მიერ,
 ტფილისი, 1898, გვ. 633 (k); ჩანგი, შედგენილი ვ. აბაშიძისა, გამოცემა მე-
 4, ბათუმი, 1900, გვ. 24 და ქნარი, შედგენილი სპ. ჭელიძის მიერ, ბათუმი,
 1900, გვ. 371 (L); ჩანგური, შედგენილი სპ. ჭელიძისაგან. ბათუმი, გვ. 24
 (m); ლექსები ილია ჭავჭავაძისა, 1904, გვ. 18 (n); ჩვენი მწერლობა, I,
 მგოსნები, შედგენილ-გამოცემული ს. გორგაძის მიერ, თბილისი, 1907,
 გვ. 60 (p); დედა და შვილი, წ. კ. გ. საზ-ის გამოცემა, № 87, 1907, (q).

ს ა თ ა უ რ ი : ძღვნა B; დედა და შვილი ACFGHJKLOP. ქართვის დედა DE; - m.

ს ა თ ა უ რ ი ს ქ ვ ე შ : პეტრე ნაკაშიძეს B; (სცენა მომავალ ცხოვრებიდან) უძღვნი
 პეტრე ნაკაშიძეს C; (უძღვნი პეტრე ნაკაშიძეს D; დრამული ეპიზოდი,
 უძღვნი თ-ა...პეტრე ნაკაშიძეს E; (ეპიზოდი დავით აღმაშენებლის
 დროთაგან, როცა არაბთაგან ანთავისუფლებდა საქართველოს) ვუძღვნი
 ჩემს ამხანაგს F; დრამატიული ეპიზოდი თამარ მეფის დროიდან
 ოსმალოებთან ომის წინ. უძღვნი თ. პეტრე ნაკაშიძეს G; (ეპიზოდი
 დავით აღმაშენებლის დროთაგან, როცა არაბთაგან ანთავისუფლებდა
 საქართველოს) HI; (ეპიზოდი დავით აღმაშენებლის დროიდან) JL;
 (დავით აღმაშენებლის დრიდან) K; ნაწყვეტი პოემიდან “ქართვის
 დედა” m; ვუძღვნი პეტრე ნაკაშიძეს qO; სცენები P.

თარიღი: 14 ივლის[ს]ა, 1860 წელსა, პავლოვსკი C; 1871 წელსა, მარტის 19-სა დღესა D¹. 1871 წელსა, 18-სა მარტსა E; 1871 წელს, 18 მარტს G; 1860 წ. OP; 1871 (სარჩევში - 1860) A.

ხელმოწერა: *** DEG; ილია ჭავჭავაძე FH, (სარჩევში) JL.

ეპიგრაფი: სჯობს სიცოცხლესა ნამრახსა, სიკვდილი სახელოვანი. რუსთაველი CD.
გაგვიძეხ ბერო მინდიავ, მუხლი მაიბი მგლისაო.

გაიყოლიე უმცროსნი, ვისაც თავი აქვს ცდისაო (გლეხური სიმღერა) EG.

EG წყაროებში თარიღები “ძღვნის” შემდეგ წერია. F-ში სათაურის ქვეშ ნაცვლად სიტყვისა “ამხანაგს” ჯერ ეწერა “პ. ნაკაშიძეს”, გადახაზულია.

როგორც ცნობილია. ილიას პოემებიდან ცენზურისაგან ყველაზე უფრო “ქართვის დედა” დაზიანდა. ავტორს არაერთხელ უცდია მისი სრული სახით გამოქვეყნება, რისთვისაც ბევრჯერ მიუმართავს სხვადასხვა ხერხისათვის ცენზურის თვალის ასახვევად (სათაური შეუცვალა, ცვლიდა ქვესათაურებს, ტექსტს), მაგრამ პოემა მაინც დიდი ხარვეზებით იბეჭდებოდა (დაწვრ. ამის შესახებ იხ. ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტ. I, 1951 წ. გვ., 361-364). ხარვეზებით დაიბეჭდა იგი 1892 წლის გამოცემაშიც. რომელსაც ძირითადად ეყრდნობა ავტორის სიცოცხლისდროინდელი და შემდგომი ხანების გამოცემები. 1925-1951 წწ. გამოცემებში პ. ინგოროყვამ აღადგინა ცენზურის მიერ დამახინჯებული ადგილები, რითაც გამართა ტექსტი.

ჩვენი ლიტერით DE ავტოგრაფიდან აღდგენილ იქნა პოემის სათაური “ქართვის დედა”.

ცნობილია. რომ ილიამ პოემას პირველად (C) “დედა და შვილი” უწოდა (იხ. ტ. I, 1951, გვ. 363, გვ. 363; ასევე წინამდებარე გამოცემაში პოემის პასპორტი). შემდეგ ავტორმა შეცვალა სათური და დაარქვა “ქართვის დედა”. ამ სათაურით ილიას სურდა პოემის გამოქვეყნება 1871 წელს ჟურნ. “კრებულში”. მაგრამ ცენზურის გამო იძულებული გამხდარა შეეცვალა სათაური და პოემისათვის ისევ “დედა და შვილი” ეწოდებინა. პოემა ამ სათაურით გამოქვეყნდა და შემდეგ პუბლიკაციებშიც ასე იბეჭდებოდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ. პოემის ქვესათაურიც რამდენიმეჯერ შეცვალა ავტორმა და მას ყოველთვის ისტორიულ წარსულს უკავშირებდა, რასაკვირველია, ცენზურის გამო.

პირველ სრულ ავტოგრაფში (ჩვენი C) პოემის ქვესათაურია “**სცენა მომავალ ცხოვრებიდან**”. ამრიგად გაითვალისწინა რა ავტორის ნამდვილი ნება, პ. ინგოროყვამ სამართლიანად აღადგინა DE ავტოგრაფებიდან სათაური, ხოლო C ავტოგრაფიდან - ქვესათაური და პოემას ასეთი სახელწოდება მისცა: “ქართვის დედა (სცენა მომავალ ცხოვრებიდან)”¹ ამ სათაურით ვბეჭდავთ ჩვენც პოემას წინამდებარე გამოცემაში.

აქ ზოგადად აღვნიშნავთ, როგორ გაიმართა ტექსტი ი. ჭავჭავაძის თხზულებათა 1925-1951 წწ. გამოცემებში:

“ ძ ღ ვ ნ ა შ ი ” და ბ ე ჭ დ ი ლ ი პ . ინ გ ო რ ო ყ ვ ა მ აღ ა დ გ ი ნ ა :
ი ყ ო :

¹ ამ ავტორის თარიღის ნაცვლად პ.ინგოროყვას 1925-1951 წწ. გამოცემებში ერთგან მითითებული აქვს **1871 წლის 17 მარტი**, ხოლო მეორეგან აღნიშნავს - ეს მეორე ვარიანტი დასრულებულია **17 მარტს 1872 წლისაო** (იხ. ტ. I, 1951, გვ. 415, 478).

¹ ამ ქვესათაურით (და სათაურით - “დედა და შვილი”) პოემა დაიბეჭდა 1908 წლის ჟურნ. “ფასკუნჯის” № 1-ში.

5 “იმ დროთ”
7 “ცხოვრებისაგან”

“მეობადს”
“აწმყოსაგან”

G-ში დაბეჭდილი იყო (დედის მონოლოგიდან):

ჩემი მამული საყვარელი დღეს მიცოცხლდება!
ხალხი აზვირთდა, ხალხი ჰფიქრობს, ხალხი მოქმედობს,
.....
.....
დიდია ხალხი, რომ ეს გრძნობა წინ წარუძღვება.

H A-ში (დასხვა პუბლიკაციებშიც) ეს სტრიქონები ასე დაიბეჭდა:

ჩემი მამული, საქართველო, დღეს მიცოცხლდება!
ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს,
ერთის ზღვიდამა მეორემდე ერთს ფიქრსა ჰფიქრობს, -
და ეგ ფიქრია ჩვენის ქვეყნის თავისუფლება!..
დიდია ხალხი, როს ეს გრძნობა წინ წარუძღვება.

ავტოგრაფიდან პ. ინგოროყვამ აღადგინა:

ჩემი მამული, საქართველო დღეს მიცოცხლდება!
ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს,
კასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდინა ერთს ფიქრსა ჰფიქრობს, -
და ეგ ფიქრია მთელ კავკასის თავისუფლება!..
დიდია ხალხი, როს ეს გრძნობა წინ წარუძღვება!

ნაცვლად სტრიქონებისა: ჯარის სიმღერაში
აღდგენილია:

მამულის დახსნის არმდომი
თავისა თავის მგმობია,
ძმანო, შენ უღლით სიცოცხლეს
ომში სიკვდილი სჯობია!

თავისუფლების მშოვნელი
ამ ქვეყნად მარტო თოფია,
შენ უღლით გაქნილს მშვიდობას
ომში სისხლის ღვრა სჯობია

ჩვენ ვიზიარებთ ამ სწორებებს და წინამდებერე ტომში ვბეჭდავთ ტექსტს (ამოსავალია 1892 წლის გამოცემა), შევსებულს ამ აღდგენილი ადგილებით.

არ ვიზიარებთ ზოგ ცვლილებას, რომლებიც შეტანილია 1925-1951 წწ. გამოცემებში და რომლებიც, ჩვენი აზრით, ავტორის ბოლო ნება არ უნდა იყოს (მითუმეტეს აქ არავითარი კვალი არ ჩანს ცენზურის ჩარევისა).

1. ადრინდელი ვარიანტი:

თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი...
შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა.

პოეტმა 1892 წლის გამოცემაში (A) ასე შეცვალა (გვ. 147, 13,15):

თავისუფლებავ, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი...
შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა.

1925-1951 წწ. გამოცემებში აღდგენილია პირვანდელი ვარიანტი “სიმართლე” (ასე 1914 წლის გამოცემაშიც). ჩვენი აზრით, “სიმართლე” უფრო მიესადაგება ტექსტის შინაარსს და, ამავე დროს, ავტორის ბოლო ნებაცაა. ამიტომ წინამდებარე გამოცემაში ეს უკანასკნელი დავტოვეთ.

2. 1892 წლის გამოცემაში ილია ბეჭდავს (გვ. 148, 9):

“მოვიდა ჩვენი სანატრელი, დედავ, ამბავი”.

1925-1951 წწ. გამოცემებში ეს სიტყვა ვარიანტებიდან შეცვლილია სიტყვით “დიდხანს” (“მოვიდა დიდხნის სანატრელი, დედავ, ამბავი”). გამომცემელმა სიტყვა “დიდხნის” იმიტომ შემოიტანა ტექსტში, რომ მეორე სტრიქონში ისევ “ჩვენი” მეორდება (“ჩვენი ქვეყანა, საქართველო, გაღვიძებულა”). რადგანაც სიტყვების განმეორება ილიას ჩვეული ხერხია, ამიტომ წინამდებარე ტექსტში სიტყვა “ჩვენი” დავტოვეთ (ნეცვლად სიტყვისა “დიდხნის”).

3. 1892 წ. გამოცემაში ილიას ბოლო ნებად მიგვაჩნია:

“მშვიდობით, დედა! ძნელი არის შენი დათმობა,
მაგრამ უფრორე ძნელი არის მამულის გმობა” (გვ. 154, 10-11),

და არა სტრიქონი “მშვიდობით დედა! მეძნელება შენი დათმობა”, რომელიც 1951 წლის გამოცემაშია დაბეჭდილი (გვ. 157).

3. ინგოროყვა თავის სწორებას ასე ამართლებს: ჩვენ პირველ ვარიანტს (ე.ი. “მეძნელება”-ს - რ. კ.) ვაძლევთ უპირატესობას, რადგან ფრაზა: “ძნელი არის” გვხვდება შემდეგ სტრიქონშიცო (ტ. I, 1951, გვ. 460).

ჩვენ არაერთხელ შეგვხვედრია იმის მაგალითები, როცა მოვლენის ან სიტუაციის გამკვეთრებისათვის პოეტი მიმართავს განმეორების ხერხს (იხ. ზემოთ, ასევე “აჩრდილი” და სხვ.). აქაც ასეთ შემთხვევას აქვს ადგილი (“ძნელი არის შენი დათმობა, მაგრამ უფრორე ძნელი არის მამულის გმობა”).

4. არ ვიზიარებთ სწორებას სიმღერაში - “გათენდა დღე დიდებისა”, ნაცვლად სტრიქონისა “დღე გათენდა დიდებისა”, რომელიც 1892 წლის გამოცემაშია (ასეა “ივერიაშიც”). ამ შესწორებას ინგოროყვა ასე ხნის: პირველი ვარიანტი რიტმის მიხედვით უფრო სწორია, რამდენადაც სიმღერა დაწერილია დაბალი შაირითო (ტ. I, 1951, გვ. 460).

სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილების თანახმად, ტექსტში შესწორდა ვითარებითი ბრუნვის რამდენიმე ფორმა: 201,13; 206, 13; 207, 4 უშენოთა GEუშენოდა; 24 უსისხლოთა GEუსისხლოდა; 205, 15 გზათა GEგზადა.

ილიასეულ სხვა წყაროებში ასეთი ვითარებაა:

“ძღვნა” არ არის IJKO-ში.

Bm წარმოადგენს ნაწყვეტს.

B-ში მხოლოდ “ძღვნის” ტექსტია წარმოდგენილი. ჩანს, მას გაგრძელებაც ჰქონია, მაგრამ მომდევნო ფურცლები აკლია და ალბათ ამის გამო მხოლოდ ეს ტექსტი შემოგვრჩა. ეს არის პირველი ესკიზი (თუ ვარიანტი) ამ დრამატული სცენისა. ნაწერი ძლიერ მჭრქალია, ძლივს იკითხება. იგი თანხვედბა C ტექსტის “ძღვნას”, ორიოდე შემთხვევის გარდა. კერძოდ, B-ში ბოლო ორი სტრიქონი C-სგან განსხვავებულად იკითხება: “თუ რამ მეტი ვსთქვი ამ სცენაში, დამითმე ისა, მი[ი]ლე ასეთი ეს შრომა და ნუ გამკიცხამ მე”.

ასევე 4 ლხენითა] მღერითა B. 6 მომიტევე] მაჰატიე B.

m ნაწყვეტია, დაბეჭდილია უსათაუროდ. მასში მხოლოდ დედის მონოლოგის ბოლო ნაწილია და თანხვედბა ჩვენს ტექსტს (იხ. გვ. 201, 6 “თავისუფლებავ”... ბოლომდე).

C ავტოგრაფი, რომელიც B-ს შემდეგ არის დაწერილი, შეიქმნა 1860 წელს. იგი მცირე ზომის უხაზო ფურცლებზეა ნაწერი, აქა-იქ ჩასწორებულია ყავისფერი მელნით.

როგორც წესი, ილიას პოემების ავტოგრაფებში სათაური და ძღვნა ცალკეა გამოყოფილი და ერთ გვერდზეა მოთავსებული. მეორე გვერდიდან ისევ მეორდება სათაური და ამის შემდეგ იწყება ტექსტი. ასეა C ავტოგრაფშიც (იგივეა EF-შიც): პირველ გვერდზეა სათაური და ძღვნა (ამ უკანასკნელის ბოლოს მიწერილია “ავტორი”). მეორე გვერდიდან ისევ სათაურია, რომელსაც მოსდევს ეპიგრაფი (იხ. პოემის პასპორტი) და ტექსტი.

1925-1951 წლის გამოცემებში ეს პირველი ვარიანტი მცირეოდენი შესწორებებით დაიბეჭდა (ვარიანტების განყოფილებაში). ქვესათაური “(სცენა მომავალ ცხოვრებიდან) უძღვნი პეტრე ნაკაშიძეს” გამოტოვებულია. არ არის აგრეთვე ძღვნის ტექსტის ქვეშ მიწერილი “ავტორი”, ხოლო ეპიგრაფის ქვეშ. ნუცვლად ილიასეული რუსთაველისა, წერია რუსთველი. ასევე, ილიასეული მხთალად შეცვლილია ფორმით მხდალად; სასიკვდინოთს GE სასიკვდილოდ; თვითონ GE თითონ; სხვერპლი GE მსხვერპლი; ხოლოთ, ხოლოთა GE მოლოდ, მხოლოდა; სამღვთო GE საღმრთო GE ჰოი; სთნქავს GE სთქავს; ჩემის GE ჩემი და ა.შ.

1914 წლის გამოცემაში პოემის ძირითად ტექსტად წარმოდგენილია ჩვენი ლიტერით A და C ტექსტები (გვ. 143; 152), თუმცა შენიშვნებში ყველა ავტოგრაფია დასახელებული (გვ. XX-XXI), ჩვენი ლიტერით B ნაწყვეტის გარდა. 1914 წლის გამოცემაში დაბეჭდილ მეორე ტექსტში (ჩვენი C) გამოტოვებულია პოემის ქვესათაური: “(სცენა მომავალ ცხოვრებიდან) უძღვნი პეტრე ნაკაშიძეს” და ძღვნის ბოლოს წარწერა “ავტორი”.

რადგანაც C ტექსტი რედაქციულად განსხვავდება ბოლო, ძირითადი ტექსტისაგან, ვბეჭდავთ მას პირველად ისეთი სახით, როგორც ილიას ჰქონდა, შეუსწორებლად:

დედა და შვილი
(სცენა მომავალ ცხოვრებიდან)

უძღვნი პეტრე ნაკაშიძეს

ძღვნა

აი იმ დროთგან ერთი სცენა ამოღებული,
სადაც გონება ჩვენი ხშირად ერთათა ჰფრენდა,
სადაც ჭაბუკი ფანტაზია გალაღებული
უკეთესთ ყვავილთ ქართველის გულში ლხენითა ჰკრეფდა.
მყობადს ავხადე ერთი კუთხე დიდის ფარდისა
და ეს ვიხილე; მომიტევე მე სითამამე!
ეს არს ნაყოფი აწმყოსაგან შობილ დარდისა,
ამით მამართლე, მიილე და ნუ გამკიცხამ მე!...

ავტორი

დედა და შვილი

“სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა
სიკვდილი სახელოვანი”.
რესთაველი

დედა (ზის მარტო)

ბედნიერ დროში დამინიშნა ღმერთმა ცხოვრება:
ჩემი მამული - საქართველო დღეს მიცოცხლდება.
ხალხი აზვირთდა, ხალხი ფიქრობს, ხალხი მოქმედებს,
კასპის ზღვიდამა შავ ზღვამდინა ერთ ფიქრსა ფიქრობს:
ეგ ფიქრი არის - მთელ კავკასის თავისუფლება...
დიდია ხალხი, როს ეს გრძნობა წინ გაუძღვება!

ერთი შვილი მყავს საყვარელი და სანატრელი,
მარტო იგი მყავს სიბერისა ნუგეშმცემელი,
იგია ჩემი სიცოცხლეცა და სიხარული,
იმითი მიდგა უძღურ ტანში უძღური სული,
ჩემის სიბერის მისაყრდომად ის დამშთენია!...
თუ მთხოვ, მამულო... წაიყვანე!... დღეს ის შენია!...
მე დედისერთას, საყვარელ შვილს შენთვის ვშორდები!...
ვინ იცის, შვილო!... რომელს ველზედ მარტო მოჰკვდები!
დამტირებელი დედაც ახლოს არ გეყოლება.

(ტირის)

მის მზრუნველ ხელით არ შეიხვევ საშიშარ წყლულსა,
მისი ცრემლები სისხლიან მკერდს არ გეპკურება,
მისი ალერსით არ დაიტკბობ მწუხარე გულსა!...

(შემდეგ რაოდენიმე ხანისა)

უნდა გულიდან ამოვგლიჯო ძის სიყვარული!...
მნელს რასმესა მთხოვს მე უძლურსა ჩემი მამული.
მაგრამ ვალია!... თუმც სიცოცხლედ მიღირს ეს მსხვერპლი!...
აგერა შვილიც!...

(ცრემლს იწმენდს)

გულს მოუწყლავს ჩემი ტირილი,
სად სისხლი უნდა, იქ არ ვარგა საღებობი ცრემლი!...
მოვილხენ, თვარა დედის ცრემლით მხოლოდ ხდება შვილი!

შ ვ ი ლ ი (შემოდის მხიარული)

მოვიდა დიდხნის სანატრელი, დედავ, ამბავი:
ჩვენი მამული საყვარელი გაღვიძებულა,
მთელი კავკასი თვის შვილებით, ვითა ზღვა შავი,
ერთისა აზრით, ერთის ფიქრით აღელვებულა!
არ გიხარიათ?! მაგრამ, დედი, გჭვრეტ მწუხარესა?

დ ე დ ა (იმაგრებს რა გულს)

მე ვწუხარ მარტო მასზედ, რომ ჩემ სიბერესა
სანუგეშებლად ხოლოთ ერთი მოეცა შვილი,
მე ვწუხარ მასზედ, რომ ჩვენს მამულს ამ უკვდავ დღესა
ხოლოთა ერთი შეაკვდება ჩემგან შობილი...
ასიც რომ მყვანდეს, ასვეს მხედრად მამულს მივსცემდი,
ყველას მივსცემდი...

შ ვ ი ლ ი (ცდით)

შენლა, დედავ?!

დ ე დ ა (მწუხარებით)

მე?... ვილოცებდი.

შ ვ ი ლ ი (ისევ ცდითა)

მაშ, მეც, დედილო, მეც მიმეტებთ დედისერთასა,
მეც - უკანასკნელს თქვენს ნუგეშსა მამლევ მსხვერპლად!

დ ე დ ა

სულზედა ცოდვა დიდი უნდა აწვეს დედასა,
რომ შვილი ამ დროს არ გაჰგზავნოს ძმათ საშველათა...

დმერთმა მიფაროს, ჩემო შვილო, ემაგ სირცხვილსა,
რომ შენ შინ იჯდე, ოდეს სხვანი იხოცებიან!..
ვინც არ იმეტებს მამულისთვის თავისა შვილსა,
სჩანს, მას შვილები თავის დღეში არ ჰყვარებიან!
(აძალებს რა თავს)

ვაჟკაცად იყავ!... აი, მარტო რის მთხოვნელი ვარ!...

შ ვ ი ლ ი (აღტაცებით გარდაეხვევა)

ოხ! ჩემო დედავ! არადროსა არ მყვარებიხარ
ისე, როგორც დღეს!... რასაც ითხოვ, აღვისრულდება.
მაგეთ დედისა შვილი განა მხთალად მოკვდება!..
(ისმის ჯარების ხმაურობა. შვილი მივარდება ფანჯარას).

დ ე დ ა (თავის-თავად)

არ იცი, შვილო, როგორ მიღირს მე ეს სიტყვები
და არც შეიტყობ!... ჩემ ტანჯვებთან მარტო მე ვრჩები!..
(ისმის ჯარების ორპირი)

ს ი მ დ ე რ ა

“მოვიდა დღე დიდებისა, ქართველო!
მოსარეწი სახელისა, გმირ-ქველო!
სიცოცხლესა დღეს სჯობია სიკვდილი,
დღეს გამოჩნდეს ქართველისა მხნე შვილი!..
მოდით, ვინცა დღეს სახლშია დადგება,
დედის ძუძუ არმათა შეერგება!
მოდით, ძმებო! გავიმეტოთ თავები,
როგორც ჩვენი იმეტებდნენ მამები!
სიცოცხლესა დღეს სჯობია სიკვდილი,
დღეს გამოჩნდეს ქართველისა მხნე შვილი!..”

(ქუჩიდან ისმის დედაკაცების და პატარა
სოფლის ბიჭების ძახილი: “გამარჯვება ჯარს! გამარჯვება!”
კიჟინა და ხმაურობა).

შ ვ ი ლ ი (გახარებული)

[აქ] მოდი, დედავ, გაიხარე ამათ ხილვითა!..
რა გატირებს, თუ მამულის ბედს იყიდი ძითა?!..
მოდი, არიან ესენიცა შენი შვილები,
თან გააყოლე დედობრივი ტკბილი ლოცვები!..

(დედა ტირილით მიდის ფანჯარასთან)

შეხედე, დედილო! ამ გაწირულ ყმაწვილკაცობას!
ისე მიდიან სასიკვდინოთ, როგორც დღეობას!
შეხედე, ხალხი რარიგ ლოცვით ჯვარსა აცილებს!
დედი, პატარა მხიარულობს, შენ რა გატირებს?!..

(ფანჯრის ახლო მოვიდა ჯარი. ისმის ორპირი)

“სიცოცხლესა დღეს სჯობია სიკვდილი!
დედისერთა დედამ მოგვცეს ჩვენ შვილი!..”

დ ე დ ა (ტირილით)

ათასჯერ რომა ერთი შვილი მეშობნოს, ძმებო,
მაინც თქვენია!... წაიყვანეთ თქვენთან, გმირებო!
ღმერთმა კურთხევა დიდ საქმეში წინ წაგიმძღვართ!
ჩვენ კი, დედებმა... ღვთის წინ უნდა ცრემლები ვღვართ,
რომა შეგვასწროს - მამულისთვის გამზადებულნი, -
კიდევ გიხილოთ შინ მოსულნი, გამარჯვებულნი!..

(თავის-თავად)

გულსა ვიმაგრებ, ღონეს ვიკრეფ ხოლოთ მისთვისა,
რომ იმ დრომდინა მაინც გავძლო, ვიდრე ჩემ შვილსა
მე გავისტუმრებ!

(კანკალი მოუვა)

მერე კი, ვგრძნობ, რომა მოვკვდები...
მუხლო! გამაგრდი!... უდროოთა ნუ მომეჭრები!...

ც ხ ე ნ ო ს ა ნ ი (მოადგება რა ფანჯარას)

კიაზო! წამო! რაღას იცდი? გვიგვიანდება!
დრო საშურია! ჩვენ ძმებს წუთით მშველი აკლდება!...

შ ვ ი ლ ი (ისწორებს რა ხმალს)

აჰა, მოვდივარ!... აბა, დედი, იმაგრე გული,
ჩემგან მეომარს, შენგან შვილსა ითხოვს მამული!

(დედა ხმას ვერ იღება და ეხვევა შვილს)

მშვიდობით, დედავ! ჩემზედა შენ ნუ ატირდები!

ცოცხალი მოვალ, თუ არა და ისე მოვკვდები,
რომ ჩემ სიცოცხლეს ამჯობინო ჩემი სიკვდილი!
ნუ სტირი, დედი! გზაზედ ვდგევარ, დამლოცე შვილი!

დ ე დ ა (ძლივსლა ამბობს)

ვაიმე, შვილო!... მოვიდა დრო განშორებისა,
და გული მიწუხს!... უძლურია გული დედისა!...
ეგ არაფერი!... ეგ გამივლის!... ნუ შეწუხდები!...
თავსა მანებებ!... რა დროს, შვილო!... (ტირის და სუსტდება)

შ ვ ი ლ ი (თავის-თავად)

დედის ცრემლი
ფოლადს დააღობს, და მეც თითქმის, მეც თვითან ვლბები!
უძლურ დედისთვის ძნელი არის ამგვარი სხვერპლი!...

დ ე დ ა (ტირილით)

დედა არ გიყვარს, შენი დედა მოხუცებული?...

შ ვ ი ლ ი (გაოცებით)

მერე, რომ მიყვარს?!...

დ ე დ ა (ხვეწნით)

მასთან დარჩი!...

შ ვ ი ლ ი

მერე, მამული?

დ ე დ ა (მწუხარებით)

მართლა, მამული!... ის დედაზედ უმაღლესია!...
მაშ, წადი, შვილო!... ის ბუნების სამღვთო წესაა!...

(ტირილით)

მაგრამ მე რომა უშენოთა მარტო მოვკვდები,
ვინ დამიტირებს?... წადი, შვილო, ნუ გვიანდები!..

შ ვ ი ლ ი

(აღტაცებით, დედა კი თანდათან სუსტდება,

მაგრამ კი ცდილობს თავის დაჭერას)

ა, ძლიერო, დიდო სიტყვავ! შენს ღვთიურ ძალსა
ვინ დაუდგება?!... კლდის სიმაგრეს აძლევ ჩვილ ქალსა!
ოდეს შენდამი სიყვარული დაიძვრის გულში,
თვით დედა შვილის სიყვარულს სთნქავს შენ სიყვარულში
რა სიხივოსანი შენი შუქი აღმობრწყინდება
კაცის გულშია, ყოვლი გრძნობა მასში ინთქმება -
როგორცა მზეში უმცირესი მნათობი ცისა,
როგორცა ზღვაში დაცემული წვეთი წვიმისა!
ძლიერო სიტყვავ! ვთმობ დედასა, შენთან ვერთდები,
თუ შენთვის მოვკვდი, სრულიათა მე არ მოვკვდები!
მშვიდობით, დედავ! ხედავ, შენს შვილს უხმობს მამული,
როგორც მე შენი, ისე ჩემი სთმე სიყვარული.

(გამოვარდება და გადის, დედა, სასიკვდინოთ მისუსტებული,
გადავარდება ტახტზედ).

დ ე დ ა (ძლივსლა ლაპარაკობს)

ვაიმე, შვილო! ... შენ... წას... ვლასთან... მიქრება ალი ჩემ სიცო...
ცხლისა... უშენ...ნო...თა... ძნელია ყო...ფნა!... დიდ...ხანს... იბ...
რძოდა...და... ძის... ტრფო...ბას...თან... მამულ...ლის... ვა...ლი...
ვალ...მა... აჯო...ბა... მაგ...რამ... ძვირ...ად მი...ღირ...და...
ჯობ...ნა... მე... მა...გან... მომ...კლა... ტკბილ... ყო...ფი...ლა...
მაშინ სიკვ...დი...ლი... ო...დეს... შენ... შენ...ნი ა...და...სრუ...
ლე!... მა...მუ...ლი!... ვალი!...

1871 წელს ილიამ კვლავ გადააკეთა პოემა და შექმნა ვარიანტულად ახალი ტექსტი, რომელიც A ტექსტთან ახლოსაა, თუმცა მათ შორის ვარიანტული სხვაობა შეიმჩნევა.

1871 წლის ორი ავტოგრაფიული ვარიანტი არსებობს: D და E. D უფრო დიდ სხვაობას იძლევა A-სთან შედარებით, ვიდრე E. ეს უკანასკნელი ჩასწორებული სახით დაიბეჭდა 1871 წლის “კრებულში” (G); ეს პირველი პუბლიკაციაა პოემისა.

D დაწერილია ორ მოგრძო უხაზო ფურცელზე, მუქი ყავისფერი მელნით. ნასწორებია.

პოემის ტექსტს წინ უძღვის ეპიგრაფი: “სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა”... შემდეგ გვერდით მიწერილია “ძღვნა”, რომელსაც ხელმოწერა აქვს: “ავტორი”.

“ძღვნას” მოსდევს სცენის აღწერა: “(სცენათა არის ოთახი, ერთი მხრივ გაშლილია ლოგინი, შიგ წევს ავადმყოფი და ძალიან მისუსტებული დედა)”. ამის შემდეგ იწყება პოემა, რომელსაც ბოლოს უზის თარიღი და ავტორის ხელმოწერა (იხ. პოემის პასპორტი). ბოლოს ვკითხულობთ პეტრე ნაკაშიძისადმი მიწერილ ტექსტს:

“ - პეტრე! გიგზავნი ხელახლად გადაკეთებულს, შენდამი ნაძღვნევს ჩემს “ქართვლის დედას”. თუ მოგეწონება, მიეცი ნიკოლამეს დასაბეჭდად. გთხოვ, შენი პირმოურიდებელი აზრი მაცნობო ამ პატარა თხზულებაზედა. კარგად კი წაიკითხე. მე ყველაზე უფრო ჯარის სიმღერა მომწონს. გლეხურ კილოზედ მოწყობილია. თუ

მოგეწონოს დასაბეჭდათ, შენთან მოწერილი ძღვნობის ლექსიცა დააბეჭდინე ამასთან ერთად. კორრექტურა შენთვის მომინდვია.

შენი ილია ჭავჭავაძე”.

E-ც შესრულებულია ორ მოგრძო უხაზო ფურცელზე ყავისფერი მელნით. ნასწორებია.

EO-ს ტექსტს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს ხალხური ლექსის ორი სტრიქონი: “გაგვიძელ, ბერო მინდიავ”, რომელსაც მიწერილი აქვს: “(გლებური სიმღერა)”, შემდეგ მოდის “ძღვნა”, მის ბოლოს მიწერილია: “ავტორი და თარიღი. ამის შემდეგ არის სცენის აღწერა: “(სცენათ არის ოთახი, რომლის ფანჯარანიც ქუჩას გადაჰყურებენ. ერთ მხრივ ტახტზედ ლოგინია გაშლილი, შიგ წევს სნეული და ძალიან მისუსტებული დედა)”.

“კრებულში” (G) ცენზურამ ზოგი ადგილი ამოაგდო, ზოგიც თვით ავტორმა შეცვალა (ზოგ შემთხვევაში კვლავ ცენზურის გამო):

1. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (იხ. გვ. 482) ი. ჭავჭავაძეს პირველად სათაურად “დედა და შვილი” უწოდებია ამ ნაწარმოებისათვის. მეორე ვარიანტში (D) სათაური შეუცვლია და “ქართველის დედა” დაურქმევია. E-ში ცენზორს ეს სათაური ამოუღია, რის გამოც ილიას კვლავ აღუდგენია თავდაპირველი სათაური “დედა და შვილი” (G).

2. “კრებულში” (G-ში) ავტორმა ქვესათაური უფრო ვრცლად წარმოადგინა და ცენზურის თვალის ასახვევად დაუმატა: “დრამული ეპიზოდი თამარ მეფის დროებიდან¹ ოსმალელებთან ომის წინ”.

3. O-დან ცენზორს ამოუღია და ცარიელი ადგილი მრავალწერტილით შეუვსია:

ა) ორი სტრიქონი (ჩვენი გამოცემის გვ. 200, სტრ. 10-11):

“კასპის ზღვიდან შავ ზღვამდინა ერთს ფიქრსა ჰფიქრობს,-
და ეგ ფიქრია მთელ კავკასის თავისუფლება”.

ბ) გვ. 201, სტრ. 30-31:

მთელ კავკასი, მტერზედ რისხვით აღმომქშინავი,
ერთისა აზრით, ერთის გრძნობით აღელვებულა.

4. ჯარის სიმღერა (“ქართველო, ხელი ხმალს იკარ”) შეცვლილია შემდეგი ტექსტით:

“მოვიდა დღე დიდებისა, ქართველო,
მოსარეწი სახელისა, გმირ-ქველო.

* *

სიცოცხლესა დღე სჯობია სიკვდილი,
დღეს გამოჩნდეს ქართველისა მხნე შვილი.

* *

¹ და არა “ცხოვრებიდან”, როგორც ეს 1925-1951 წწ. გამოცემებშია აღნიშნული (იხ. ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, 1951, გვ. 361).

მოდით, ვინც დღეს სახლშია დადგება,
დედის ძუძუ არმათა შეერგება.

• *
•

სიცოცხლესა დღეს სიკვდილი სჯობია,
დღეს გამოჩნდეს ქართველისა მხნე შვილია”.

ქვემოთ DEG წყაროებს ვუდარებთ ჩვენი გამოცემის ტექსტს:

199. 3 რომელთ იმედი, ღვთიურ სხივით გაბრწყინებული] იმ დროთ იმედი, ღვთისა შუქით გაბრწყინებული D. 5 მყობადს] იმ დროთ D; დიდის ფარდისა] დიდის ფარდის E. 7 შობილ დარდისა] შობილის დარდის E. 8 გამკიცხავ] გამკიცხამ DE.

200. 7 არ მოჰკვეთე] განმიგრძელე G; აქამომდე არ მოჰკვეთე ჩემი] ამ დიდ დღემდე განმიგრძელე მოკლე D; აქამომდე განმიგრძელე ჩემი E. 8 საქართველო] საყვარელი G. 9 ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა] ხალხი აღელდა, ხალხი აღზდგა D. 10 კასპიის ზღვიდამ] თეთრი ზღვიდამა D (“თეთრი ზღვიდამა”-ს ავტორის სქოლიო აქვს: “კასპიის ზღვა”). 11 და ეგ ფიქრია] ეგ ფიქრი არის DE. 12 გრძნობა] ფიქრი D; წარუძღვება+(შედგება მცირე ხანს) D. 14 იგია მარტო ~ DE. 15 სიცოცხლე] სიცოცხლეცა D; იგია ჩემი სიცოცხლეი და სიხარული - G. 16 სული] შვილი D. 19 ჩაფიქრდება] თავს ჩაღუნავს D; იტყვის - D. 24 ეჰა] მაგრამ DEG. 25 მივეც] მივე DEG. 26 მაგრამ შენთვის მე მას ვშორდები] ვაიმე, რომ მას განვშორდები D; მაგრამ შენთვის მას განვშორდები EG. 29 მის ცხარე ცრემლი] მისი ცრემლები D. 30 დედისა] მისისა DEG; განგმირულს] დაკოდილს D.

201. 2 დედა შენიც] დედაშენი G. 7 ჩაგრულის... წმინდა] ტანჯულის... უხვი D, ტანჯულის... ფართო EG. 10 “მტარვალთა თქმითა”... აქედან, 21 “და რისთვის დახვალ ამა ქვეყნად პირსისხლიანი”... აქამდე (ჩათვლით) D-ში არ არის. 19 ჰღვრის] ღვრის G. 22 ხარ მშვიდობა ~ E; მომფენი] გამთენი EG. 22-23 თვით ხარ... მძებნელი შენი] თვით ხარ იეფი, შოვნა შენი რად არის ძნელი, თვით მშვიდობა ხარ, სისხლს რათა ღვრი შენი მძებნელი D. 23 იკვლევს გზას ~ EG. 25 მისი] ვერსად D. 29 ქვეყანა] მამული DE; ქვეყანა, საქართველო გაღვიძებულა] მამული, საყვარელი აყვავებულა G. 30 მტერზედ რისხვით აღმომქშინავი] თვის შვილებით, ვითა ზღვა შავი D. 33 სწუხარ] ჰსწუხარ G.

202. 1 დედა+(გულდამშვიდებით) D. 4 ნეტარს] უკვდავ D. 5 მხოლოდღა] მხოლოდა DEG. 11 ერთს... ასახელოს] მას... მასახელოს DE. 13 - 14 როგორ... სახსნელად] როგორ, მეც გინდა, რომ წავიდე ხალხის სახსნელად, რა თავი დავდო მამულისა ჩემისა მსხვერპლად D. 14 სახსნელად] სასხნელად G. 18 გვაშოროს] დამისხნას D; შვილო ჩემო ~ G. 20 - 21 ვინც მამულისთვის... ჰყვარებიან] ვინც არ იმეტებს მამულისთვის თავისა შვილსა, მას შვილნი თვისნი, ჩემო შვილო, არ ჰყვარებია DEG; E-ში ეს ბოლო სტრიქონი ასე იკიცხება: “მათ შვილნი თვისნი, ჩემო შვილო, არ ჰყვარებიან”. 23 შვილი+(აღტაცებით გადაეხვევა). 25 შენ, დედაჩემო] ჰოი, დედაო EG. 24 - 25. არასდროს... აღვისრულდება] ჰოი, დედაო, არასდროს ისე, როგორც დღეს არ მყვარებიხარ. რასაც მნუკავ, აღვისრულდება E. 27 გარედგან] გარედამ EG.

203. 4 ვერც... მაგას ჩემგან] არც... ჩემგან მაგას D. 5 დანაშთენსა] შევიმაგრებ D. 9 სიმღერა ორ-პირად] ორპირი E¹. ორპირი სიმღერა G. 13 მოდის] დადგა E. 14 დახსნის] დასხნის E. 22 - 25 სტრიქონების (თავისუფლების... სჯობია)² ნაცვლად DE-ში წერია: “მამულის დასხნის არმდომი, თავისა თავის მგმობია, ძმანო, შინ უღლით სიცოცხლეს, ომში სიკვდილი ჰსჯობია” DE.

204. 9 (აღელვებული)+ და თვალში ცრემლმორეული D. 10 ქვეყნისა] ჩემ ქვეყნის DG. 13 ჩამოიყვანს ლოგინიდგან] შვილი ჩამოიყვანს ლოგინიდამ DE; ლოგინიდგან+შვილი G. 19 გატირებს+(ამ დროს ჯარები ფანჯრის წინ გაივლიან) D. 22 დედებმა] დედეთა DG. 23 რომ ჩვენ] რათა D, რომ EG. 24 გამარჯვებულნი + (შვილს) EG. 28 როს ვეღარ ნახავს] რომ ვერ იხილავს DE, რა ვერ იხილავს G.

205. 2 თუკი სხვა გზით შევლა] დედი, სხვა გზითა ხსნა D. 7 ძმებს ჩვენით] ძმათ წუთით D. 9 მოიეც] იმაგრე DEG. 11 (დედა გადაეხვევა შვილს...)] (დედა მოიზიდამს შვილს და გულზედ იკრამს) D. 12 შენ ჩემზედა E. 15 დამლოცე] დალოცე E. 17 ვაი, შენს დედას] ვაიმე, შვილო D. 22 ანებებს+შვილს EG; ზარდაცემულსავით + გაშტერებით EG. 25 დედა შენი ~ E.

206. 5 (ძლივს ბედავს თქმასა) – AD. 13 ვიმ! მე რომ] მე რომე DE. 14 დამმარხავს] მიტირებს D. 16 ეჰა] ჰოი EG. 19 ჰკლავს] ჰსნთქავს DEG. 21 მასშია ჰქრება] შენში ინთქმება DE. 23 ვითა ზღვაშია] ვით დიდ ზღვაშია EG.

207. 2 ღონემიხდილი - D; გადიქცევა] გადავარდება EG. 5 ებრძოდა შვილის ტრფობას] იბრძოდა მისა ტრფობასთან G. 7 არ ყოფილა ძნელი] ტკბილ ყოფილა მაშინ DG. 8 როცა] ოდეს D.

1879 წლისათვის ილიას კვლავ დაუმუშავებია ხელნაწერი E “ივერიაში” დასაბეჭდად. ავტოგრაფი E ავტორის ხელითაა ნასწორები, მაგრამ ცენზურის მიერ ზოგი სიტყვის ქვეშ წითელი ფანქარია გასმული ან ამავე ფანქრითაა გადახაზული. E-ს ეტყობა სტამბის საღებვის ლაქები.

FH-ში ქვესათაურია “(ეპიზოდი დავით აღმაშენებლის დროთაგან, როცა არაბთაგან ანთავისუფლებდა საქართველოს)”.

F-ში, როგორც დასაწყისში აღინიშნა, “ვუძღვნი პ. ნაკაშიძეს” - პ. ნაკაშიძე გადახაზულია და ზედ ავტორისავე ხელით აწერია “ჩემს ამხანაგს” (ე. ი. “ვუძღვნი ჩემს ამხანაგს”). პოეტი ძღვნის დაბეჭდვასაც ფიქრობდა და იქვე აშიაზე სურვილიც გამოუთქვამს: “ეს პირველს გვერდზედ დაბეჭდეთ და შემდეგ მეორე გვერდიდამ დაიწყეთ, რაც სკობკეფშია, სულ წვრილის ასოებით ააწყეთ”. მაგრამ “ძღვნა” იქვე ცენზორის მიერ წითელი ფანქრით არის ჯვარედინად გადახაზული, რის გამოც “ივერიაში” იგი აღარ დაუბეჭდავთ. სხვა ავტოგრაფებთან შედარებით F ყველაზე უფრო ახლოს დგას ძირითად (A) ტექსტთან, როგორც ბოლო ვარიანტი. ქვემოთ აღვნიშნავთ FH-ის ვარიანტულ სხვაობებს A-სთან შედარებით:

200. 6 ჰე] ეჰ F. 9-10 ხალხი აზვირთდა... ჰვიქრობს] ხალხი აზვირთდა, ხალხი აღზდგა, ხალხი მოქმედობს, თეთრი ზღვიდამა შავ ზღვამდინა ერთს ფიქრსა ფიქრობს FH. 11 კავკასიის] ქვეყნისა H.

201. 2 მისთვის რომ] რადგანაც F. 7 ჩაგრულის] ტანჯულის F. 33 F-ში გადახაზულია “მაგრამ შენ ჰსწუხარ, თითქო ამ თქმით მე ვერ გაამე”. მის ნაცვლად ზედ აწერია: “ნუთუ ამით მე ვერ გაამე, შენ შუბლს არ იხსნი”.

¹ E -ში ჯარების სიმღერა 16 მარცვლოვანია.

² ეს სტროფი ვარიანტებიდან აღადგინა პ. ინგოროყვამ, როგორც ავტორის ნება (იხ. ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე , თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, 1951, გვ. 479).

F-ში 202. 3 ნაცვლად სიტყვისა “მხოლოდ” - ჯერ ეწერა “მარტო”, გადახაზულია; 4 ნაცვლად სიტყვისა “ნეტარს” ეწერა “უკვდავს”, გადახაზულია.

F-ში 203 - 204 ჯარის სიმღერა თექვსმეტ-მარცვლიანია, გამოტოვებულია IV სტროფი (“თავისუფლების მშოვნელ”...); H-ში ამ სტროფის ნაცვლად წერია:

მამულის დახსნის არმდომი თავისი თავის მგმობია,
ძმანო, შინ უღლით სიცოცხლეს, ომში სიკვდილი ჰსჯობია.

204. 17 სტირის + (შვილი) F. 23 რომ ჩვენ] რომე F.

205. 22 ზარდაცემულსავით + თვალეზში შეაცქერდება F.

206. 19 ჰკლამს] ჰსნთქავს FH. 21 მასშია ჰქრება] მასში ინთქმება F.

“ივერიაში” (H) გამოქვეყნების შემდეგ ეს ნაწარმოები ხშირად იბეჭდებოდა (იხ. პოემის პასპორტი).

ამ პუბლიკაციების შედარებამ A ტექსტთან უმნიშვნელო სხვაობები მოგვცა (მაგ. I-ში ჯარის სიმღერას სათაურად აწერია “ორპირი”, ხოლო ნაწარმოების ბოლოს “ღვდება” არ არის. გვ. 206, 5 “(ძლივს ბედავს თქმასა)” IOP-ში არ არის და სხვ.). აქ სხვაობა მეტწილად არის ქვესათაურებში, თარიღებში, ეპიგრაფებსა და ხელმოწერებში (იხ. პოემის პასპორტი).

რადგანაც ილიამ პოემის პირველი ვარიანტი 1860 წლის 14 ივლისს დაასრულა, ხოლო საბოლოოდ მასზე მუშაობა 1871 წლის 18 მარტს დაამთავრა, ამიტომ, პოემას ვაძლევეთ ფართო თარიღს: [14 ივლისსა, 1860 წელსა, პავლოვსკი, - 1871 წელსა, 18-სა მარტსა]. ამ თარიღებს ვიღებთ CE ავტოგრაფებიდან.

ი. ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემაში პოემა დათარიღებულია 1860 წლის 14 ივლისით (სასრჩევში გვ. IV).

ი. ჭავჭავაძის თხზულებათა 1925 - 1951 წლების გამოცემებში პოემა ასეა დათარიღებული: “14 ივლისი, 1860 წ. პავლოვსკი. (ბოლო რედაქცია 18 მარტი, 1871 წ.)”.

პ ე ტ რ ე ნ ა კ ა შ ი ძ ე : (1836 - 1895) - საზოგადო მოღვაწე, ჟურნალისტი, ილიას უახლოესი მეგობარი. “ქართველის დედის” გარდა ილიამ მას უძღვნა პოემა “დიმიტრი თავდადებული”.

რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის
ცხოვრებიდან (გვ. 208)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : U: ავტოგრაფები - № 140 (B); № 110 (C); M: № 17506 (D); U: კრებ. № 108, გვ. 134 (E).

ნ ა ბ ე ჯ დ ი : ჟურნ. “საქართველოს მოამბე”, 1863, № 10, გვ. 50 - 56 (G), ჩონგური, შედგენილი კ. ლორთქიფანიძისაგან, პეტერბურდი, 1864, გვ. 129 - 147 (H); ჟურნ. “ივერია”, 1879, № 5 - 6, გვ. 152 - 173 და “რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან”, ტფილისი, ა. ენფიანჯიანცის სტამბა, 1879 (I); გაზ. “დროება”. 1879, №167, გვ. 1 და № 168, გვ. 1 (J); თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 101 - 124 (A); ორი პოემა... გამოცემა სპ. ჭელიძისა, №9, 1904 (K); ჩანგური, შედგენილი სპ. ჭელიძისა, ბათუმი, 1904, გვ.

339 - 360 (L); ქართველი მწერლები, წიგნი I. ი. გომელაურის გამო., თბ., 1906, გვ. 138 - 159 (m); ჩვენი მწერლობა, I. მგოსნები, შედგენილ-გამოცემული ს. გორგაძის მიერ, თბილისი, 1907, გვ. 47 - 49 (n); კაკო ყაჩაღი. რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან, თბილისი, ქ. შ. წ. კ. გ. საზ-ის გამოცემა, № 82, 1907; რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან, ქუთაისი, ჭილაძის სტამბა, 1907.

ს ა თ ა უ რ ი : *** “ნიაგო, ჩემო ნიაგო”... B; მოთხრობა ქისიყელისა C; ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან E; ერთი მოთხრობის დასაწყისი G; რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდან J; ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან L; საღამო ალაზნის პირად n; - DE.

ს ა თ ა უ რ ი ს ქ ვ ე შ : შეუპოვარი C.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : *** DGH; ილია ჭავჭავაძე I; ი. ჭავჭავაძე (სარჩევში) K; - J.

თარიღი: 16 დეკემბერი, 1860 წელს, პიტერი C; 1860 წ., დეკემბ. 11 D; 1860 წ., 11 დეკემბერს, პიტერი E; დეკემბერი, 1860 წ. H; 1860 წ. AIn; - G.

ე პ ი გ რ ა ფ ი : - C.

ჩვენი ძირითადი ტექსტი ეყრდნობა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1892 წლის გამოცემას, მაგრამ ვითვალისწინებთ 1925 - 1951 წწ. გამოცემებსაც, რომლებშიც ავტოგრაფებიდან აღდგენილ იქნა 1892 წელს დაბეჭდილ ტექსტში გამოტოვებული სტრიქონი:

“საწყალი იყო თავისმომწონე” (ჩვენი გამოცემის გვ. 224, სტრ. 1).

1925 - 1951 წწ. გამოცემებში მართებულად არის გასწორებული კორექტურული შეცდომა, რომელიც ტექსტში აზრობრივ ცვლილებას იწვევდა.

1892 წ. გამოცემაშია:

დრო გადიოდა და თან მიჰქონდა¹
მამიჩემისა უბედურება (გვ. 114, 17-18).

გასწორდა:

დრო გადიოდა და თან მოჰქონდა
მამიჩემისა უბედურება.

1892 წ. გამოცემაში: “და იქამდინა მიუშვი მტვერი” (გვ. 121, 16).

1914, 1925-1951 წწ. გამოცემაში გასწორდა: “და იქამდინა მიუშვა მტერი”.

წინამდებარე ტომში ეს სწორებები გათვალისწინებულია.

1925 - 1951 წწ. გამოცემებში პოემის ტექსტში შეტანილია სხვა ცვლილებებიც, რომლებიც ილიას ბოლო ნებას არ გამოხატავს და ამდენად ისინი გაუმართლებლად მიგვაჩნია. კერძოდ, ზემოხსენებულ გამოცემებში სხვა ვარიანტებიდან შეცვლილია სტრიქონი:

“ეგრეა, ძამო, გლეხკაცის ბედი”, ნაცვლად ილიას ბოლო ნებისა: “ეგრეა, ძამო, კაცისა ბედი”. ასევე შესწორდა “მერე მდუმარემ მწუხარე თავი” ნაცვლად ილიას ნებისა: “მერმე მწუხარემ მწუხარე თავი”.

“შეზდილა” შესწორებულია “შეზრდილა”; ბევრჯელ → ბევრჯერ;
შინჯავდნენ ΓEსინჯავდნენ; ბაშვი → ბავშვი; იქმნება → იქნება; რიგ-

¹ ასეა 1914 წლის გამოცემაშიც, გვ. 174.

რიგად → რიგრიგითა; გარშემო → გარშემო; ეგრედ → ეგრეთ. ჯერედ → ჯერეთ;
გამიმთელა → გამიმრთელა; ხლმის → ხმლის; მერმე → მერე და სხვ.

სარედაქციო კოლეგიის გადაწყვეტილებით, ჩვენი გამოცემის ძირითად ტექსტში (A) შეტანილია სულ რამდენიმე შესწორება: **210**, 17 მოჰსცა → მოსცა; **219**, 22 იახლა → ეახლა; **227**, 7 მომკდორიყო → მომკვდომიყო.

U № 140 ხელნაწერი წარმოადგენს ილიას დაუმთავრებელ მოთხრობას “კაკო”, რომელიც დაწერილია “კაკო ყაჩაღზე” ადრე, 1858 - 1859 წწ.

B ტექსტი მოთავსებულია სწორედ ამ მოთხრობის თავფურცლის (რომელიც ყდის მაგივრობას ეწევა) მეორე გვერდზე, ნაწერია და ნასწორები ფანქრით. შესაძლოა იგი იყოს შესავალი მოთხრობისა “კაკო” ან დაწერილი იყო პოემაში შესატანად.

B ტექსტს წინ უძღვის (გვ. 1) ერთსტროფიანი ლექსი, ხელმოწერით: “ილ. ჭავ.” იგი მელნით არის ნაწერი:

დარდთა მოთქმითა,
ნაღვლიან ხმითა,
თუ მიგდებ ყურსა,
მოგილხენ გულსა.

შემდეგ მოდის B ტექსტი, რომლის პირველი სტროფი გადახაზულია:

ნიავო, ჩემო ნიავო,
ნუ სჩაგრავ ტყეში ობოლსა.
მსტვინავო ჩიტო, მსტვინავო,
შენ უალერსე კაკოსა!
სუნბულო, ჩემო სუმბულო,
უჩემოდ შორსა ნუ ჭკნები,
ბულბულო, ჩემო ბულბულო,
[მოაკლე ეულს] დარდები!
ბულბულო, ჩემო ბულბულო,
გაიზეპირე სიტყვები,
უთხარ, უმისოთ უსულო
ცრემლებად ვცვი[ვი] და ვშრები!
ღრუბელო, აღმა მავალო,
ის კაკო გებრალეზოდეს,
მე კისრად ვიღებ, დამსხნელო,
რაც იმას ემართლებოდეს.
ნიავო, ჩემო ნიავო,
ნუ სჩაგრავ ტყეში ობოლსა,
ღრუბელო, ცაზედ მფრინავო,
ნუ ემუქრები კაკოსა.
ღრუბელო, შავო მცურველო,
უსახლო გებრალეზოდეს,
მე კისრად ვიღებ, ღრუბელო,
რაც იმას ემართლებოდეს.

1925 - 1951 წწ. გამოცემებში ამ ტექსტში ცვლილებებია შეტანილი (იგი დაბეჭდილი ვარიანტების განყოფილებაში სათაურით “პირვანდელი ესკიზები პოემისა “ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან”). კერძოდ, “სუნბულო”-ს ნაცვლად წერია “სუმბულო”; ჭკნების → ჭკნები; უმისოთ → უმისოდ; კაკო → ბიჭი; დამსხნელო → დამსხნელო.

თუ რატომ არ შეიტანა ეს ლექსი პოეტმა “კაკო ყაჩაღში” ან რატომ არ დაბეჭდა იგი საერთოდ, ამის შესახებ კიტა აბაშიძე სამ შესაძლებლობას უშვებს:

1. ილია რეალისტური მიმართულების წარმომადგენელი იყო, ამიტომ ცდილობდა არ გემოემჟღავნებინა პირადი რომანტიკული დამოკიდებულება თავის გამირისადმი. “შესაძლოა ამ მოსაზრებით ილიამ უხერხულად მიიჩნია ამ ლექსის ჩართვა პოემის სათაურში და მით უფრო - მოთხრობის შესავალში.

მაშინდელ ლიტერატურულ მოთხოვნილებას არ შეესაბამებოდა... ის გენიალური დარღვევა ლიტერატურული მოდისა, რომელიც კიდევ მეტ ფასს დასდებდა მის მომაჯადოებელ პოემას და სახელგანთქმულ მოთხრობას”.

2. შესაძლოა ილიამ ტექნიკურად ვერ გადაწყვიტა, სად მოეთავსებინა ის - პოემაში თუ მოთხრობაში.

3. ილია ყოველგვარ დაბრკოლებას გადალახავდა, მაგრამ ცენზურა ძნელად მოსარევი იყო. “ეს ლექსი ცენზურას შეეძლო “ყაჩაღობის” ხოტების შესხმად მიეღო, მის გამართლებად”. ამ დროს ილიას არ აპატიებდნენ “ყაჩაღის” მოფერებას და მის თანაგრძნობას. ამიტომ კ. აბაშიძეს ეს ახსნა ყველაზე საფუძვლიანად მიაჩნია: სწორედ ცენზურის გამო ვერ შეიტანა ვერსად ილიამ ეს ლექსი და ვერ დაბეჭდა საერთოდ¹.

C პატარა, ყავისფერ მუყაოს ყდაში ჩასმული უხაზო ფურცლებისაგან შემდგარი წიგნაკია, გვერდებნაკლულია, ნაწერია ხან ფანქრით, ხან მელნით. პირველი ფურცლის მეორე გვერდზე გადახაზულია სტრიქონები:

გაკვირვებული დარჩა მეურმე,
რადაც ფიქრითა თავი ჩაღუნა,
და, გაიქნია რა თავი მერმე,
შურით ხარს შოლტი გაუტყლაშუნა.
და მერე ისევ უფრო მწუხარედ
თვისი სიმღერა დაიღულუნა,
იმ ბანს აძლევდა...

აქ წყდება ტექსტი. შემდეგ იგი კვლავ მეორდება ბოლო სტრიქონის გარდა, მხოლოდ გადახაზული აღარ არის. წიგნაკის მეორე ფურცლიდან იწყება პოემა, რომელშიც შავი მელნით არის შესრულებული. აქა-იქ კი ფანქრითაა ნასწორები. სათაურად აწერია “მოთხრობა ქისიყელისა”, ხოლო სათაურს ქვეშ მიწერილი აქვს: “I. შეუპოვარი”. ტექსტს ეპიგრაფი არა აქვს. იგი თავებად არის დაყოფილი მხოლოდ მე-5 თავამდე.

D ავტოგრაფს დასაწყისი აკლია. ნაწერია პატარა ფორმატის უხაზო რვეულში. თავზე აწერია: “გაგრძელება”. ტექსტი წარმოადგენს პოემის ბოლო ნაწილს და იწყება სიტყვებით: “მხეცი რამ იყო ჩემი ბატონი” (გვ. 219).

¹ კ ი ტ ა ა ბ ა შ ი ძ ე , ილია ჭავჭავაძე (კრიტიკული მიმოხილვა). - ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს თხზულებანი, ტ. I, 1914, გვ. XCI.

E ავტოგრაფი სუფთად ნაწერი ტექსტია, მაგრამ, A-სგან განსხვავებით, მასში საგრძნობლად შემოკლებულია ცალკეული ადგილები (დაწვრილებით იხ. ქვემოთ ვარიანტებში).

ნაბეჭდი ტექსტები ასეთ სურათს იძლევა:

G ნაწყვეტია და თანხვდება A-ს. იწყება თავიდან და წყდება სტრიქონზე: “ეხლანდელ დედამ ვეღარ გაზარდოს” (გვ. 214).

H მცირეოდენ სხვაობებს იძლევა A-სთან. დაბეჭდილია დასაწყისი, რომელიც მთავრდება სტრიქონით: “იახლა ბატონს თხოვნით, ხვეწინითა (გვ. 219).

I სრული ტექსტია, A-ს მისდევს მცირეოდენი სხვაობით.

J-ში ტექსტი დაბეჭდილია სტრიქონიდან “მაშინ შევიქენ მეც ოცის წილისა” (გვ. 219).

n-ში ორი ნაწყვეტია: გვ. 47-ზე დაბეჭდილია ზაქროს ბავშვობა (სტრიქონიდან “მაშინ თორმეტი წლისა ვიყავი”, ვიდრე სტრიქონამდე “მადლიერია თავის ბედისა”). გვ. 49 ნაწყვეტია, სათაურით “სადამო ალაზნის პირად” (სტრიქონიდან “სამშობლოს ცასა” - ვიდრე სტრიქონამდე “თვისი სიმღერა დაილულუნა”).

პოემა პირველად სრულად დაიბეჭდა ჟურნ. “ივერიაში” 1879 წელს, № 5-6. სქოლიოში ვკითხულობთ რედაქტორის შენიშვნას: “ამ პოემის პირველი ნაწილი დაბეჭდილი იყო “ჩონგურში”, ეხლა იბეჭდება მთლად და ამის გამო ამ ნაწილის გადმობეჭდვაც საჭიროდ დავინახეთ”.

“დროების” (J) სქოლიოში კი წერია: “პოემის დასაწყისი დაბეჭდილი იყო “ჩონგურში”, აქ იბეჭდება ბოლო”.

CE-ში **ზაქროს** ნაცვლად ყველგანაა მხედარი. მათ ვარიანტების ჩვენების დროს აღარ აღვნიშნავთ:

208. 1 სამშობლოს] სამხრეთის C; 2 მწუხრის] ღამის CE. 3 და მთვარის შუქზე მთებისა] და მაღალ მთების მოზნელე CE. 5-6 მუდამ მჭმუნავი... ვიდოდა] მთვარე მჭმუნავი, ხელმწიფურად მომდინარობდა E. 6 მთვარე... ვიდოდა] ხელმწიფურადა მომდინარეობდა C. 9 შორნი მნათობნი] ტურფა ვარსკვლავნი CE. 11 მდუმარს ქვეყანას] და ერთმანეთსა C. მდუმარე მთებსა E. 12 ზედ დაჰხაროდნენ] ეთამაშოდნენ C.

209. 2 ველს მშვენიერსა] ალაზნის ველსაც CE. 3 მხოლოდ] ხოლოდ CE. 7 მარტო მთაი] იქ მთა მარტო CE. 8 დაფიქრებული] დაღონებული C; ჩაფიქრებული E. 9 ყველას ეძინა, დღით ჰფეთქავს რაცა] არრა ისმოდა... არც ფეხის ხმაცა CE. 11 მხოლოდ კი] მხოლოთა C. მხოლოდდა E. 12 მიჭრიალებდა] ჭრიჭინით ვლიდა CE. 14 დალულუნებდა] ველს გაჰსძახებდა CE. 15-18 ლულუნი იგი... ქარი] შორს გაისმოდა ხმა ზარივითა დაგვიანებულ იმ მეურმისა CE; ოხ, ბევრჯელ, ბევრჯელ მაგრამ მღერითა გამქარვებია გესლი ჭმუნვისა C; - E; სავსე იყო სრულ სიმარტივითა CE; გლეხური დარდი მისი მღერისა C; კვნესა და დარდი იმ სიმღერისა E; C-ში გადახაზულია: “ოჰ ბევრჯელ, ბევრჯელ მაგგვარ მღერითა გამქარვებია გესლი ჭმუნვისა” 20. ასკუპა] მოსხლიტა CE. 21 იგი ურემს ~ CE. 24 თამამად] ამაყად E. 35 ვხედავ] გხედავ E.

210. 1 ბევრს] ბევრ E. 2 მაინც, თუ] ცოტათ E. 4 შენს ქურანს] ემაგ შენს E. 6 - 9 მაღია... ხელი - E. 15 უცებ] მარდად E. 17 მოსცა] მისცა E. 18 - 19 თითქო... შენ] გაკვირვებული დარჩა მეურმე, ცხვირში რაღაცა E. 25 უწინ ყაჩაღის იყო საფარი] ყაჩაღებისა ერთგული ფარი E. 28 ბლაჭიაშვილი] ბლაჭაშვილიო] C; C-ში 28-ე სტრიქონიდან ტექსტი პირდაპირ გადადის გვ. 211-ის მე-11 სტრიქონზე “წამოხტა კაკო...”

211. 3 შეჰკრთა, აცქვიტა] შეკრთა, აცქვიტნა E. 4 თავი აიღო და გაიხედა] აქედ იქით მიმოიხედა E. 5 მერე] მერმე E; იწყო] მოჰყვა E. 6 ერთ ალაგსა] ერთსა ალაგს E. 7 უცქერდა] უჰკრეტდა E. 10 დააფრთხოვინა] დააფრთხოვინა E. 15 რისთვის ... მტრად] მოყვარე ხარ თუ მოსული მტრად C. 16 მხედარი - C. 17 მოყვრად, გულფიცხო] მოყვარე, სთქვა მან C.

C-ში ამის შემდეგ მოდის გვ. 212-ის მე-11 სტრიქონის ტექსტი: “კაკო: ხომ-გელდი, ძმაო!” რომელიც უკვე ფანქრითაა შესრულებული (მანამდე მეღნიტაა ნაწერი). 5 - 9 მომწონს ეგ სიტყვა... ჭირი და ლხენა - E. 16 სადც მიღამდება] სად მიღამდება C, სადაც ღამდება H.

213. 1 მყვანან რკინისა] მახლავს ერთგული C; მე თანა მყვანან] ჩემთან ჩვეულნი მე მყვანან E. 3 არც მიმტყუნებენ, არც ვემტყუნები] ამათ არასდროს არ გავეყრები C. 4 მკლავი] სული C. 6 როგორც რომ] როგორცა E. 9 - 12 ამათ... ერთგულებს ზედა - C. 10 არ აიყრიან] არა იყრიან H. 13 ჩემი სიმდიდრე აი ეს არი] აი, სიმდიდრე ჩემი, ეს არი!... E. 17 ჩამოხედ ბინას გაჩვენებ] ბინას გაჩვენებ, ჩამოხედ, C. 22 წამოჰყვარა] წამოჰყვარა C. 23 მაგრად] ნაზად C. 25 ჩაკრული უკან ~ C. 26 სავსე] ცხენით CE. 32 - 33 სტრიქონებს შორის (“და მოეწონნენ”... “მივიდნენ წყნარად...”) C-ში არის (გადახაზულია):

წავიდეთ ძმაო, უთხრა კაკომა,
შენ დაღლილი ხარ შორის გზიდან,
ხის ძირს დასხდნენ ორივე ერთად...

33 მივიდნენ წყნარად და ხის ძირს] მივიდნენ ხის ძირს და ორნივე C; წყნარად] მერე E.

214. 1 ერთმანეთს თითქო] ერთი ერთმანეთ C. ერთი ერთმანეთს E. 2 ბოლოს კი] და დაბოლოს CE. 4 დამძრახავ] დამძრახამ CE. 6 ჩემთან მოსვლა რამ გაგაბედვინა?] ვინ მოგასწავლა ეს ჩემი ბინა C; ან რად მოსულხარ, რამ დაგაშინა E. 8 C-ში სიტყვების - “შენი გაცნობა” - ზემოთ მეღნიტით ეწერა: “შენი გაცნობა ძნელი არ არის, შენი ამბავი შორს ზღაპრად გადის, შორს გავარდნილა შენი სახელი”, გადახაზულია. მე-15 სტრიქონის (“ზღაპრად მიუვა ჩვენს შვილიშვილებს”) შემდეგ C-ში გვ. 215-ის I სტრიქონამდე (“ჯერ არ მენახე”...) გა მო ტ ო ვ ე ბ უ ლ ი ა ტ ე ქ ს ტ ი . 20 - 23 რომ ბედში... დაჩაგრულია - E. 26 - 27 გლეხკაცის... უტარებია] გლეხკაცის დარდი, გლეხკაცის ლხენა იმ ბიჭსა გულში უტარებია E.

215. 2 შენი ცხოვრება] შენი ნახვა მე E. 4 მენახებოდა] მებრალეობდა E. 6 დამიტრიალდა... ბედი] უკუღმა ბედი დამიტრიალდა C. 6 - 7 სტრიქონებს შორის (“დამიტრიალდა”... “ყური მომიგდე”) C-ში წერია: “გულში ამენთო მე ჯოჯოხეთი და კაცი ვინმე მე შემომაკვდა”. 9 ერთ დროს] წინად C; ბოლოს E. 11 მაშინ... ვიყავი] თორმეტი წლისა მაშინა ვიყავი C. 15 დაჩაგრდა] დამძარდა C. 16 უმშობლოდ] მეძროხედ E. 17 ჰლხინობდნენ] მღეროდნენ C. 17 - 18 სხვები... მშრებოდა] ბაშვი მამასთან სიყრმით ჩვეული, რაღა თქმა უნდა, დაღონდებოდა E. 18 ცრემლისა თვალზედ] ცრემლის თვალზედა C. 23 მცხვენოდა] მცხვენოდა C. 24 ამხანაგებს] ამხანაგებს E. 25 მიუჯდებოდი] მიუჯდებოდი C. 31 ჩემს ყოფას მალე] მერე ჩემს ყოფას C. 33 ჩემს სახლ-კარზედა] ჩემ მშობელზედა C, და ჩემ მამაზედა E.

216. 1 ძმაო, რა ტკბილად] და ჩიტვივითა, უდარდელადა C. 3 საფიქრელად] სატანჯველად C. 3 - 4 არარა მქონდა... არ მამალებდნენ] რად მომცა დღენი მაშინ სალხენად ღმერთმა, თუ ბოლოს გამწარდებოდნენ F. 5-დან (“ძროხას ვუვლიდით”...) 218-ის 6-მდე (“მე მამა მყვანდა”) - E. 9 დაწვებოდა] ჩაქრებოდა C. 12 ყველანი] მაშინვე

C. 13 და დავაბამდით] დავაბამდით ჩვენ C. 14 ტყის პირს] ტყეში C. 24 და დილის ტკბილსა] დილისა ტკბილის E. 26 მთა-ბარი] ტყე, ველი C. 31 სხვა იქ] ზოგი H. 35 ჩვენ კი ხტომით] ჩვენ მღერითა C.

217. 1 ძილს დავიფრთხოვდით] ვაფრთხოვდით ძილსა C. 3 ვხტოდით...] შიგ ჩავაგდებდით ტიკს გაბერილსა C. 5 ვმართავდით] ვმართამდით C. 8 ჩამოვრეკავდით] ჩამოვრეკამდით C. 18 აქამდინა დამრჩნენ ხსოვნაში] აქამდისა შემჩნენ ხსოვნაში C. 20 მხიარულ] უდარდელ C. 21 - 28 ეკ, მარტო ერთი... გული და სული].

ჩვენი ნაქები ყველა გათქმული
არსენა თვალწინ წამიდგებოდა,
ათრთოლდებოდა პატარა გული
და არსენობა ენატრებოდა.
ქოროლობასაც მაშინ ვფიქრობდი,
იმის ცხენისა სიკეთე მშურდა,
და რაკი ძარღვში ღონესა ვგრძნობდი,
კაი სახელის მოხვეჭა მწყურდა. C.

24 ხან მომაღხენდა, ხან მალონებდა ~ H. 30 მე მეზღებოდა] გამეზრდებოდა H. 30 - 34 არსენას ამბით... ბიჭობაში შეუპოვარი] იმ ზღაპრებითა გაიზღებოდა და ჩემი დილა კეთილდღიანი ღრუბლითა დიდხანს არ ბნელდებოდა C.

218. 3 და მადლიერი...] და ბედნიერი მადლიერ ღვთისა C. 4 რომ ჩემებრ] ჩემსავით C. 7 დაუღლეელი და] დაუღალავი E. 9 ბევრი არ] არავინ C. 12 უხვად] იმას CF. 14 იქმნება] ვიქნებით C. 15 მადლიერად...] მადლიერები შვილი და მამა C. 16 ის დააღონა] ჩვენ დაგვალონა C. 17 უმტყუნა] გვიმტყუნა C. 19 რარიგ] როგორც C. 20 ყმასა გუშინ] ყმა გუშინა CEH. 21 არ] ნუ C. 24 - 25 გლეხკაცის... გასძლებს] და საწყალ ყმისა უბრალო ბედი დიდხანს ვერ გაძლებს C; ლიტონი] EH. 30 თუმცა კი შერჩა] თუმცა შერჩა ისევ C. 32 აღარც] არცა C. 33 დროგარდასრულსა] მოხუცებულსა C. 33 - 34 სტრიქონებს შორის (“აღარ მოსდევდა”... “საბრალო მამა”) C-ში წერია:

რომ გლეხიკაცი ორჯელა კვდება,
ძმავ შენც გექნება გაგონებული:
პირველად, როცა ღონე აკლდება,
მეორედ, როცა ერთმევა სული.

34 საბრალო მამა] მამაჩემიცა C. 34-იდან (“საბრალო...”) 219, 2-მდე (“და სახლ-კარიცა”...) – E. 35 რამდენადაც] რამდენადაც C; აკლდება] უკვდება C.

219. 1 იმდენად] იმდენად C. 3 უბედურსა] განწირულსა E. 7 კაცისა] გლეხკაცისა C. 9 გაღებრუნდება] გაუბრუნდება C. 10 სულ უკულმართათ დატრიალდება] ძნელად [...]] ზედ გამაჰყვება C. 17 სხვისთვისა] უსაქმოდ CE. 18 შინ კი...] მამას კი შემწე ენატრებოდა CH; მეღუპებოდა] გვეღუპებოდა E. 19 - 22 ერთხელ... ხვეწნითა - C; 21 - 22 საწყალი ... ხვეწნითა] იახლა ბატონს მოხუცებული, საბრალო მამაჩემი ხვეწნითა EH. 24 ერთი, აჯამი გულქვა....] უჯათი, გულქვა, უღვთო C. 25 იმას] ამას D; კაცებრი] კაცისა CDE. 27 რა... თავადის-შვილი] ერთი სიტყვითა თავადიშვილი CE. 28 ავი] ცუდი CDE. 30 ამგვარს უხამსსა ბატონს] ბატონს თხოვნით, ხვეწნითა I; უხამსსა] აჯამსა CDE. 32 გავუველ] აუველ D. 33 დამითმე] მომეცი C, მიბოძე D.

220. 2 რას ბოდავ] რა გნებავს D. 5 ზაქარა] ზაქრო DE. 7 მერე თუნდა] მერმე თუგინდ DE. 9 ორად] ორათა D. 13 ეგ რომ] თუ ეგ CDE; გაექცევიდი] გაექცევიდი D. 14 შენ ჩემს სამსახურსა CE. 15 - 16 ქოფაკო... თქმასა] განა ქოფაკო? თუ მაგ ფიქრობდი, მიწაში ეხლავ დაგფლამ ცოცხალსა C; განა ქოფაკო!... თუ მას ფიქრობდი, ეხლავ მიწაში ჩაგფლავ ცოცხალსა DE. 21 მექმნება] მექმნება D. 24 ვიქმ] CD; მთლად] სულ CE. 26 ვინახავდი] ვინახამდი D.

221. 1 ვიწურავდი] ვიწურამდი D. 3 აწ] მე CDE. 5 ვედარა ვუვლი] ვედარ ვმსახურობ C; ვედარ მოუვლი D. 7 ეხლა] სრულად C. 8 ვაი] ვაი D. 10 არა] არის D. 11 - 22 სიყრმით ჩამიკლავს... დამითმე შვილი]

შენი ჭირიძე, გთხოვ მე ამასა,
ბატონო, შვილი დამათხოვინე,
რომ უპატრონოს სნეულ მამასა
და შენი თავი დამალოცვინე CDE.

(D-ში “და“-ს ნაცვლად არის “მე”). 13 ჩემის ოფლითა] ეგ ჩემის ოფლით E. 14 წვით და დაგვითა] დაგვით, შრომითა E. 16 ჩემის... ოჯახისთვის] ჩემ სახლ-კარისთვის, ჩემ ოჯახისთვის E. 17 ამდენი ჯაფა] ამთვენი შრომა E. 22 დამითმე] მომეცი E. შვილი] + და შენს სახელსა მტლად დავედები E. 25 ვიშოვნი] ვიშოვი D. 26 ვერა... ზაქარო] ვერ-ვერა მოგცე შენ მე ზაქარო C. მე შენ D. 28-დან გვ. 222-ის 4-მდე ვერ უყურებთ... ბატონო] მე შენ სახლ-კარსა, შენს ოჯახსაცა, მაგ შენ ჩერჩეტა ქოფაკ თავსაცა, მე მირჩევნია ჩემი ძროხები E; წადი, გამეცა, ვირო, ნუ სცდები C. წადი, ქოფაკო, ნუ მეღრიჯები D.

222. 1 - 5 მამა... მეღრიჯები] – D. 7 ვისლა] ვილას C. 8 მომამშველებს] გამიმართავს CDE. 14 თუნდ... მენადვლება] მეტი ჯავრი მე ნულარ მექნება C; არ] რა D. 15 ისა] ისე D. 18 იქმნება] იქნება D.

223. 2 - 5 სუ! შე ქოფაკო... სიტყვებს]

ხმა ჩაიწყვიტე, ქოფაკო, ეგ ხმა,
ხმა გაიკმიდე, ძაღლო. თორემა
მე არ დავხედავ მაგ შენს სიბერეს
და ჯოხით უკან ჩაგჩრი მაგ სიტყვებს CD.

7 მკლავ] მკლამ CDE. 8 მმარხავ] მმარხამ CD. მილუპავ] მილუპამ CD. 9 - 10 ბებერ კაცს... უკვდება - C. 10 შვილსა შიმშილით მამა] მამა შიმშილით შვილსა D. 11 მამის] ჩემი C; მამის] მისი D. 12 ამის] იმის C. 14 შემინახოს] გამომზარდოს CDE. 15 მართალს] მართალ E. 18 უღმრთოდ] უღვთოდ CD. 20 აბა სთქვი] მითხარი D; მიბრძანე C. C-ში 20 - 21 სტრიქონებს შორის (“მაგრამ”... “ეხვეწებოდა”) წერია:

ბებერ ცხოვრების ილაჰს ართმევდნენ,
[....] შვილს მამა ევედრებოდა,
შვილსაც კი ნებას ის არ აძლევდნენ,
რომ იმ უბედურს მიშველებოდა.

22 საწყალი] საბრალო C. 23 როგორც ცივს რკინას და ქვასა] როგორცა უფულო ქვასა CE. 26 მოკლულმა] მოწამლულ CE. 28 უსამართლობამ] უსამართლობით C.

224. 5 მომიბრუნაო] შემიბრუნაო CD. 8 წამოეჭიდნენ მისივ მოძმეები] წამოეჭიდნენ თვით გლეხები E; გამოეკიდნენ ის უღვთოები C; შეაჭიდნენ ის უღვთო ბიჭები D. 11 იმისი კვნესა] იმის კნავილი C. 12 მიკლავს] მიკლამს C; რო] რომ D. 13 - 14 (“არც უღონობამ”... “არც სიბერემა”...) სტრიქონები D-ში გადახაზულია, CE-ში კი გადაადგილებული. 15 და არც] არცა C. 16 მიპატივეს] გიპატიეს D; ბებერი] საწყალი C; 18 გულამომჯდარმა] გულ ამომჯდარად CD. 19 მერმე მწუხარემ მწუხარე] მერეთ მწუხარედ, მდუმარე CD. 20 - 21 სტრიქონებს შორის (“ამოიკვნესა”...) “წამოხტა”) C-ში წერია: “ფუ, შენს კაცობას, კაცისშვილობას, ფუ შენს სახელსა, შენს ვაჟკაცობას. 22 აერია] აემღვრია E. 23 შეუტია] შეუტივა CDE. 24 იდექი] იდეგი E. 27 მითხარ, დედალო] მითხარი მხთალო CE; მითხარი, მხდალო D. 31 რას... სეირსა] შენ უყურებდი მარტო სეირსა D; ნუთუ] მარტო E. 32 სწუწვნიდნენ] სწუწნიდნენ D. 33 - 34 ფუ, შენს ნამუსსა.. შენს ვაჟკაცობას - C; 33 ნამუსსა...] კაცობას, კაცისშვილობას DE.

225. 1 გიკლავდნენ] გიკლამდნენ D. 2 იდექი] იდეგი E. 6 - 7 ემაგ შერცხვენილ... ჰბედავდი] ჩემთან მოსვლასა როგორ ჰბედავდი, ემაგ შერცხვენილს ხლმისა პატრონი? CD. 9 შენ, ძმავ, ყაჩაღად] შენ ყაჩაღადა CDE. 9 - 11 შენ, ძმავ... კაცობას] მე შენი ვიყო, თავს მოვიკლავდი ან თავზედ ლეჩაქს დავიხურავდი, წადი, გამეცა C. 11 ფუ, მაგ კაცობას] წადი, გამშოდი D. 16 არც გავექცევი ხმალში] და არც შევარცხვენ მხთლობით CD. 18 მეძახის მხდალს] ეძახის მხთაღს D. 18 - 19 (“და იმის”... “ეგრე ნუ მძრახავ”) სტრიქონებს შორის C-ში გადახაზულია: “ყური მომიგდე, მე საცოდავი, მაშინ შორს ვიდექ, მე მომესმა ხმა; გავხედე, ვნახე მე ის ამბავი”. 19 ეგრე ნუ მძრახავ] ნუ მძრახავ, ძმაო CD. 21 ბატონი ხელითა ~ D. 23 “მოჰკალ”... მამალებდა] მოკალ... ჩამძახებდა D. 26 მკვდარსა...] ცოცხალს თუ მკვდარსა კბილით დაჰჭამდნენ C; შემჭამდნენ D. 27 ამის] მაგის CD. 28 უღმრთოდ სტანჯავდნენ] უღვთოთ სტანჯავდნენ D. 30 მაშინ კი, როცა] როცა კი მამა CDE.

226. 1 ამენთო] მომიკვდა CD. 3 მხრიდამ გადვიგდე ~ CD. 4 რო] როს E. 7 იმ] ამ D. 8 წამწყმენდელსა+მაშინ თავი არ მაგონდებოდა და დაჭერისა არ მეშინოდა C, - გადახაზულია. 11 ბიჭი ყოფილხარ] ბიჭი ხარ, ბიჭი E. ხლმისა] ხმლისა D; ბიჭის C. 15 ვისაც შენებრი] ვისც შენი მზგავსი E. 15 - 16 ვისაც შენებრი... შენის ჭირიმე] ვისც შენთვის ძუძუ უწოვებია, შენი გამჩენის, ძმაო ჭირიმე CD. 24 ვაჟკაცი] მამაცი C. 25 - 26 ვით... ქება - C. 25 ვით მეტი იყო] როგორც მეტ იყო E.

227. 7 ვაიმე, მამა...] საწყალი მამა მომკვდარი იყო C. 8 როზგქვემა უღმრთოდ, უზიარებლად - C. 10 ჯოჯოხეთია] მე მეძნელება DE. 13 - 17 დიდხანსა ეგდო... ბალღამიც დუღდა] მის მიხედვით თვით კაკოც შეწუხდა, სულ გაიტაცა ზაქროს ნაღველმა, რა ცეცხლიც ამ ორ გულშია დუღდა C; 14 - 18 გულში ვაებით... თვითონ მკითხველმა]

თავის ტანჯვებში მარტო დანთქმული,
ზაქროსავითა კაკოც შეწუხდა,
ორნივ წაიღო ერთმა ნაღველმა;
რაც ცეცხლი ამ ორ გულშია დუღდა,
წარმოიდგინოს თითონ მკითხველმა! D.

თუ რამ შთააგონა პოეტს ამ პოემის დაწერა, ამის შესახებ მოგვითხრობს ილიას სიყრმის მეგობარი კოხტა აბხაზი (1838 -1913): “...კაკო ყაჩაღის” შესახებ მახსოვს კარგად, რომ კაკო პირდაპირ ცხოვრებიდან არის აღებული. კაკო გახლამთ ერთი

კარდანახელი გლეხი, ვინმე გაუხარაშვილი¹, რომელმაც მართლა ესროლა თავის ბატონს (რომელიდაც ვაჩნაძეს) და ყაჩაღად გვარდა, იმალებოდა კარდანახის ტყეში და გამვლელ-გამომვლელს სცარცვავდა. ხმა და სახელი დიდი ჰქონდა გავარდნილი. ერთხელ ილია სწორედ იმ გზით მოდიოდა ჩვენსა კარდანახში, თან ახლდა მოსამსახურე ბიჭი. უცბად ერთ ალაგას წინ გადასდგომია შეიარაღებული გაუხარაშვილი და შეუჩერებია, გამოუკითხამ ვინაობა და მოგზაურობის მიზანი. რომ გაუგია ჭავჭავაძის გვარი, უკითხამ: ჭავჭავაძეს კარდანახში რა უნდაო? ბიჭს აუხსნია, რომ კარდანახში თავის ნათესავ ახზაზიანთსა მიდისო. მაშინ ყაჩაღს თოფი დაუშვია ძირს და ილია მიუწვევია თავის ბინაზე, კარგად გამასპინძლებია და დაუთვრია კიდეც. ასე რომ, როდესაც ილია ჩვენსა მოვიდა, ბარბაცებდა და მარტო იმას გაიძახოდა ენის ბორძიკით: “დამაძინეთ, დამაძინეთო!” მეორე დღეს კი გვიამბო თავის თავგადასავალი. ხოლოდ დაუმატა, რომ გაუხარაშვილი სულ ბატონებს სწყევლის და აგინებსო” (ლიტერატურული მემკვიდრეობა, ტ. I, 1935. გვ. 565). მართლაც, ყაჩაღთან შეხვედრას გავლენა უნდა მოეხდინა პოეტზე. ამას პოემის თავდაპირველი სათაურიც გვაფიქრებინებს - “მოთხრობა ქისიყელისა”. გაუხარაშვილიც კარდანახელი იყო. მაგრამ პ. ინგოროყვას აზრით, “კაკო ყაჩაღში” ილიამ მაინც მხატვრულად განზოგადოებული სახე წარმოადგინა. მისი პროტოტიპი პირველ ყოვლისა არსენა უნდა იყოს, რადგანაც კაკო, მართლაც, არსენას ორეულიაო².

პოემას ვათარილებთ E ავტოგრაფის მიხედვით.

მეფე დიმიტრი დავდადებული (გვ. 228)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : U: ავტოგრაფი, № 125 (B).

ნ ა ბ ე ჭ დ ი : გაზ. “ივერია”, 1878, № 1, გვ. 4-8 (C); ჟურნ. “ივერია”, 1879, № 1, გვ. 5-35 (D); მეფე დიმიტრი თავდადებული, პოემა ილია ჭავჭავაძისა, საამხანაგო ქართული წიგნის მაღაზიის გამოცემა, ტფილისი, 1880 და იგივე გამოცემა 1899 (E); ჩანგი, შედგენილი ვ. აბაშიძისა, ტფილისი, 1889, გვ. 250-257 (F); თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 188-222 (A); სიტყვიერების თეორია, შედგენილი არხიმანდრიტის კირიონისა და გრ. ყიფშიძის მიერ, ტფილისი, 1898, გვ. 307-325 (G) ლექსები თ. ილია ჭავჭავაძისა, ტფილისი, 1904, (H); ჩვენი მწერლობა, I, მგოსნები, შედგენილ-გამოცემული ს. გორგაძის მიერ, თბილისი, 1907, გვ. 57-60 (L).

ს ა თ ა უ რ ი : “მოდით, შვილნო” H; დიმიტრი თავდადებული L.

ს ა თ ა უ რ ი ს ქ ვ ე შ : ვუძღვნი პეტრე ნაკაშიძეს C; ნაწყვეტი G; დიმიტრი თავდადებული H. რამდენიმე ნაწყვეტი L.

თ ა რ ი დ ი : 1880. AL.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : *** C; ილია ჭავჭავაძე DG; ი. ჭავჭავაძე (სარჩევში)F.

¹ არსებობს ცნობა, რომ გაუხარაშვილი იგივე გლეხი ივანე ჩალათაშვილია, რომელსაც საცოლის გამო მოუკლავს თავადი ვაჩნაძე და ყაჩაღად გავარდნილა, - იხ. ალ. მღვდლიაშვილი, “ილია კარდანახში” ჟურნ. “დროშა”, 1968, № 8, გვ. 15.

² ი ლ ი ა ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე , თხზულებათა სრული კრებული, ტ. 1, 1951. გვ. 373-374.

B ტექსტი შავი მელნითაა ნაწერი და იმავე მელნით ნასწორები. სათაურად ჯერ ეწერა “ზრმა მეფანტურე”. შემდეგ ავტორს ეს სათაური გადაუხაზავს და ზედ ფანქრით ახალი სათაური დაუწერია: “მეფე დიმიტრი თავდადებული”, ხოლო სათაურქვეშ - “ვუძღვნი თ. პეტრე ნაკაშიძეს”.

ავტოგრაფის პირველი გვერდის დასასრულს გადახაზულია: “ძმაო პეტრე, შენგან ჩაგონებულს, შენვე გიძღვნი”.

ხელნაწერი დათარიღებული არ არის.

ავტოგრაფი (B) შეიცავს პოემის პირველ 12 თავს და სათაურით, ქვესათაურითა და ტექსტით არსებითად თანხვდება A ტექსტს, თუმცა მათ შორის მანც არის მცირეოდენი ვარიანტული სხვაობა (იხ. ქვემოთ).

B ავტოგრაფი საფუძვლად დაედო პოემის პირველი 12 თავის ტექსტს, რომელიც დაიბეჭდა 1878 წლის გაზ. “ივერიაში”, № 1 (C); სრული სახით კი პოემა გამოქვეყნდა 1879 წლის ძურნალ. “ივერიაში”, № 1-ში (D), რომლის სქოლიოშიც აღნიშნულია: “თორმეტი მუხლი დაბეჭდილი იყო შარშან “ივერიაში”. 1880, 1899 წლებში პოემა ცალკე წიგნადაც გამოვიდა (E). იგი სრული სახით დაიბეჭდა 1892 წელსაც ილიას თხზულებათა I ტომში (A).

ACDE უმნიშვნელოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან.

CD წყაროში I თავის 5-6 სტრიქონები (“... ქართლის ბედი ჩვენ ქართველთვე გვეპყრა ხელში”) ამოღებულია და ცარიელი ადგილები წერტილებით არის შევსებული. A-ში ეს სტრიქონები აღდგენილია.

F-ში დაბეჭდილი III – XVIII თავები.

G-ში დაბეჭდილია III - XII თავები.

HL-ში პოემის ცალკეული ნაწილებია დაბეჭდილი (H-ში I-II თავები, რომლებიც თანხვდება A-ს; L-ში კი პოემა შვიდ თავად არის დაყოფილი: I-IV თავი მისდევს პოემას, შემდეგ მისი შინაარსი 26-ე თავამდე თხრობით არის გადმოცემული. 26-თავიდან ტექსტი კვლავ ლექსადაა. ჩანს ეს ცვლილებები გამომცემლის მიერაა შეტანილი).

წინამდებარე ტომში დაბეჭდილი ტექსტი ეყრდნობა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1892 წლის გამოცემას (A). მასვე ეყრდნობა 1925 - 1951 წწ. გამოცემებიც, ოღონდ ამ გამოცემებში პოემის ტექსტი დაბეჭდილია გარკვეული ცვლილებებით, რომელთაგანაც რამდენიმეს ვიზიარებთ: 1892 წლის გამოცემაში პოემის I სტრიქონი იკითხება ასე: “უქმე დღე იყო, ტვირთმძიმენი...” პოემის I თავის მე-8 სტროფში ვკითხულობთ: “ეგრედ, შვილო, აქ სცხოვრებდა...”; XIII თავი მე-7 სტროფში დაბეჭდილია: “წინად ბარგად გაეგზავნათ”... 1925-1951 წწ. გამოცემებში, ავტოგრაფსა (B) და “ივერიის” პირველნაბეჭდზე დაყრდნობით. ციტირებული სტრიქონები ასე შესწორდა: “უქმი დღე იყო, ტვირთმძიმეი”...; “ეგრეთ, შვილნო, აქ სცხოვრებდა”...; “წინათ ბარგით გაეგზავნათ”...

ამას გარდა, 1925-1952 წწ. გამოცემების ტექსტში შეტანილია მთელი რიგი ორთოგრაფიული ცვლილებები: ეგრედ → ეგრეთ; ბაშვებს → ბავშვებს; სწუხართ → სწუხხართო; წყემსსა → მწყემსსა; ბერვჯელ → ბევრჯერ; თავგაწირვას → თავგანწირვას და სხვა. მათგან ჩვენ მხოლოდ ორიოდე გავიზიარეთ. ჩვენი გამოცემის ტექსტში A-სთან შედარებით შეტანილია შემდეგი ცვლილებანი, რომლებიც ემყარება ვარიანტთა ჩვენბასა და ილიასეულ ენობრივ ნორმებს: 228, 11 ტყვეთ → ტყვედ; X, 15 წყემსს → მწყემსსა; XIV, 23 უკეთეს → უკეთესს; XX, 21 მოგცილდება → აგცილდებათ;

XXXIII, 3 მოსვლის → მისვლის; XXIV, 11 უნდივართ → ვუნდივართ; XXV, 3 სვაო → სვაო.

A-სთან შედარებით პოემის დანარჩენი წყაროები ასეთ ვარიანტულ სხვაობებს გვაძლევს: პოემის შესავალში: B-ში მე-10 სტრიქონში ნაცვლად სიტყვისა “მოაშორო” ჯერ ეწერა “ჩამოჰხიკო”, გადახაზულია. მე-16-ში ჯერ ეწერა “გლოვისა”, შემდეგ “ტკბილისა”, ორივე გადახაზულია და შეცვლილია სიტყვით “ნელისა”.

I, თავი, 5 - 6 ქართულის ბედი... ხელში - CDE (წერტილებით არის შეცვლილი). 9 თქვენნი] თქვენი B. 17. ტკბილსა ძუძუს დედა შვილსა] დედა შვილსა ტკბილსა ძუძუს B. 28 და სატევრად] გარედ ბასრი B.

II, 1 საწველ] მწველელ BE. 2 გადვიქცეთ] გარდვიქციეთ DE. 6 ვიქნებით] ვიქმნებით E. 7 გვიხსნის] გვისხნის B.

V, 10 იმ ურჯულოს მიხვდა წადილს] მიხვდა იმ ურჯულოს წადილს B.

VI, 3 B-ში “ვეზირნი და ნაზირები”-ს ნაცვლად ჯერ ეწერა “კარისკაცნი, უხუცესნი”, გადახაზულია. 6 ნაცვლად სიტყვისა “დიდებულად” B-ში ჯერ ეწერა “ვაჟკაცურად”, შემდეგ “გმირულად”, ორივე გადახაზულია. 16 B-ში “ტურფა”-ს ნაცვლად ჯერ ეწერა “კარგი”, გადახაზულია.

VII, 4 “აემღვრიათ მწარედ გულნი”, B-ში ამ სტრიქონის ნაცვლად ჯერ ეწერა “მწარეთ გადატირებულნი”, ასევე “აემღვრიათ”-ის ნაცვლად “აუტირდათ”, გადახაზულია. 10 B-ში ნაცვლად სიტყვებისა “რად გვინდა სახლი, ქონება”, ჯერ ეწერა “ქვა ქვაზედა ნუ იქნება”, გადახაზულია.

VIII, 7 ძვლებს] მამებს DE.

X, 16 მგელს დაუგდოს] და მგელს მისცეს C. 26 ასრულდეს] აღსრულდეს BCD.

XI, 17 B-ში ნაცვლად სიტყვისა “თავგანწირვას” ჯერ ეწერა “თავდადებას”, შემდეგ “დასდო თავი”, გადახაზულია.

XII, 32 B-ში “დიდსულოვნობის” ნაცვლად ჯერ ეწერა “კაიკაცობის”, გადახაზულია.

XIV, 28 შეედგა] ჩაედგა D.

ილიაზე ბავშვობაშივე დიდი შათაბეჭდილება მოუხდენია მეფე დემეტრეს ტრაგიკულ თავგადასავალს. პოეტი თავის ავტობიოგრაფიაში დიდი სიყვარულით იხსენებს თავის პირველ მასწავლებელს, სოფლის მთავარს, რომელსაც საშინაო სკოლა ჰქონდა გახსნილი და სოფლის ბავშვებს ასწავლიდა. იგი თურმე დიდი გატაცებით უყვებოდა თავის მოწაფეებს საქართველოს ისტორიულ წარსულზე: “ბევრი ამ ამბავთაგანი ჩამრჩა გულში და ერთი მათ შორის, დიმიტრი თავდადებული, თემად გამოვიყენე მრავალის წლის შემდეგო”, - აღნიშნავს ილია (იხ. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე , თხზულებათა სრული კრებული, ტ. IX, 1957, გვ. 308).

აღსანიშნავია, რომ დემეტრე მეორის მოწამებრივი სიკვდილი ილიას ჯერ კიდევ “აჩრდილის” პირველ ვარიანტში აქვს ასახული (თითქმის ორის ათეული წლით ადრე “მეფე დიმიტრი თავდადებულის” დაწერამდე), - როცა პოეტი საქართველოს ისტორიული წარსულის სურათს ხატავს:

სისხლი, სულ სისხლი ჰფარავს და ჰფარავს
შენს წარსულს ჟამსა, შენ ბედის ვარსკვლავს!
თვით მეფენიც კი თვის ცხებულ თავსა
მსხვერპლად აძლევდნენ მშობლიურ ხალხსა.
განა დიმიტრი თავდადებული
იქნება როსმე დავიწყებული?

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა (იხ. კომენტარი ლექსისა “მეფანტურე”, გვ. 394 - 399), პოემის “გამოსავალ თემატიკურ ფუძედ” ილიამ აიღო 1860 წელს დაწერილი ლექსი “მეფანტურე” (იხ. წინამდებარე ტომის გვ. 109) და მის ქარგაზე გაშალა პოემა. კერძოდ, “მეფანტურე” გამოყენებულია “მეფე დიმიტრი თავდადებულის” პირველ თავად, რომელშიც ლექსს ჩამოცილებული აქვს პირველი და ბოლო ორი სტროფი (ტექსტში მცირეოდენი ვარიანტული სხვაობებიც არის შეტანილი). თვით მეფანდურე, როგორც პოემის პერსონაჟი - მთხრობელი - ფიგურირებს ნაწარმოების შესავლიდანვე, ხოლო მესამე თავიდან იწყება მეფე დემეტრეს ტრაგიკული თავგადასავალი, რომელსაც სწორედ ეს მეფანდურე ჰყვება.

ამდენად სავსებით სამართლიანია მოსაზრება, რომ მართალია, “თემა ბრმა მეფანტურისა ილიას დამუშავებული ჰქონდა პოემაზე ადრე, სრულიად დამოუკიდებლად “დიმიტრი თავდადებულის” თემისაგან, მაგრამ პოემა “დიმიტრი თავდადებულის” ორგანულად არის გამოსული ლექსიდან “მეფანტურე” (ამ მხრივ ნიშანდობლივია, რომ პოემისათვის ილიას თავდაპირველად “ბრმა მეფანტურე” უწოდებია); სწორია ისიც, რომ პოემას “ორი თემატიკური სათავე ჰქონია, ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი (ერთი - თხრობა ბრმა მეფანტურეზე, მეორე - თხრობა დიმიტრი თავდადებულზე) და რომ შემდეგ მომხდარა ამ ორი თემის შეჯვარება” (იხ. ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე , თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, 1951, გვ. 377 - 378, - პ. ინგოროყვას სარედაქციო შენიშვნები).

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, “მეფე დიმიტრი თავდადებულის” ილიამ მიუძღვნა თავის მეგობარს პეტრე ნაკაშიძეს, რომელსაც პირად საუბრებში გაულრმავებია პოეტის ინტერესი დემეტრე მეფის პიროვნებისადმი და შთაუგონებია პოემის დაწერის იდეა. ამას მოწმობს ავტოგრაფის პირველ გვერზე ილიას მინაწერი : “ძმაო პეტრე! შენგან შთაგონებულს შენვე გიძღვნი”. პეტრე ნაკაშიძესვე მიუძღვნა ილიამ პოემა “ქართველის დედა”, რაც აგრეთვე ადასტურებს ილიას დიდ სიყარულს და პატივისცემას თავისი მეგობრისადმი (პეტრე ნაკაშიძეზე კომენტარი იხ. გვ. 496).

როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, “მეფე დიმიტრი თავდადებულის” პირველი თორმეტი თავი 1878 წლის გაზ. “ივერიის” № 1-ში გამოქვეყნდა (5 იანვასრ). ჩანს, ამ დროისათვის ილია ჭავჭავაძეს ჯერ კიდევ არ ჰქონდა დასრულებული პოემაზე მუშაობა. 1879 წლის ჟურნ. “ივერიის” № 1-ში კი პოემა უკვე სრული სახით დაიბეჭდა. ამრიგად, სავარაუდოა, რომ “მეფე დიმიტრი თავდადებულის” იწერებოდა 1877 - 1878 წლებში. მაგრამ, როგორც ითქვა, პოემის პირველ თავს საფუძვლად დაედო ილიას მიერ ჯერ კიდევ 1860 წელს (12 სექტემბერს) პავლოვსკში დაწერილი ლექსის (“მეფანტურა”) ტექტი. და თუმცა ეს ტექსტი პოემის საერთო მოცულობასთან შედარებით ძალზე მცირეა, მაგრამ ამ მოტივით მისი დაწერის თარიღის იგნორირება, ვფიქრობთ, არ იქნება გამართლებული. ზემოთქმულიდან გამომდინარე, პოემას, პირობითად, ორმაგ თარიღს ვაძლევთ: 12 სექტემბერი, 1860 წ. პავლოვსკი; 1877 - 1878 წწ.¹

მეფე დიმიტრი თავდადებულის: დემეტრე II ულუ დავითის ძე (დაახლ. 1259 - 1289 წწ.) აღმოსავლეთ საქართველოს მეფე 1271 - 1289 წლებში.

¹ ი. ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემაში “მეფე დიმიტრი თავდადებულის” 1880 წლით არის დათარიღებული (სარჩევში, გვ. IV; 1925-1951 წწ. გამოცემებში პოემას თარიღად “1878 წ.” აქვს მიწერილი, სარედაქციო შენიშვნებში კი მითითებულია, რომ “მეფე დიმიტრი თავდადებულის” დათარიღებული უნდა იქნას 1877-1878 წლებით.

დემეტრე II სიკვდილით დასაჯა თათარ-მონღოლთა ყანმა 1289 წლის 12 მარტს. საკუთარი სიცოცხლის ფასად მეფემ სამშობლო გადაარჩინა მტრის შემოსევისა და აოხრებისაგან. ამიტომ იგი “თავდადებულად” წოდებული შევიდა საქართველოს ისტორიაში.

განდეგილი (გვ. 255)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : U: ავტოგრაფი, № 128 (B).

ნ ა ბ ე ჭ დ ი : ჟურნ. “ივერია”, 1883, № 2, გვ. 1-25 (C); განდეგილი; ექვთ. ხელაძის სტამბა, ტფილისი, 1883 (D); ჩანგი, შედგენილი ვ. აბაშიძისა, 1889, გვ. 241 (E); თხზულებანი ილია ჭავჭავაძისა, I, ტფილისი, 1892, გვ. 251-275 (A); ჩვენი მწერლობა, 1. მგოსნები, შედგენილ-გამოცემული ს. გორგაძის მიერ, თბილისი, 1907, გვ. 183-192 (F). განდეგილი, წ. კ. გ. საზ-ის გამოცემა № 86, 1907 (G).

ს ა თ ა უ რ ი : განდეგილიდამ E.

ს ა თ ა უ რ ი ს ქ ვ ე შ : (ლეგენდა) კნენა ოლგა ჭავჭავაძისას B; (ლეგენდა) ოლგა ჭავჭავაძისას CD; ლეგენდა F; ლეგენდა (ვუძღვნი ოლგა ჭავჭავაძისას) (G).

თ ა რ ი ღ ი : 1883 A; 6 თებერვალი, 1883 წ. BCD.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილ. ჭავჭავაძე C; ი. ჭავჭავაძე (სარჩევში) E; ილია ჭავჭავაძე F;

“განდეგილის” ერთადერთი ავტოგრაფია B ხელნაწერი. იგი დაწერილია მუქი (შავი) მელნით. სუფთა ნაწერია. მაგრამ ნასწორები. როგორც ავტოგრაფიდან ჩანს, ავტორს პოემისათვის ჯერ უწოდებია “მეუდაზნოე”, ქვესათაურად დაუწერია “(ხალხში გაგონილი ლეგენდა)”. შემდეგ “მეუდაზნოე” და “ხალხში გაგონილი” გადაუხაზავს, გადახაზულის სათაურის თავზე დაუწერია ახალი სათაური “ბეთლემი”, ესეც გადაუხაზავს და მის ზემოთ დაუწერია “განდეგილი”, რომლის ქვესათაურად დაუტოვებია “(ლეგენდა)”, ქვეშ კი მიუწერია “კნენა ოლგა ჭავჭავაძისას”.

E წარმოადგენს პოემის ნაწყვეტს, დაბეჭდილია მე-19 თავიდან (“ღმერთო, ნუ მიწყენ”...) ბოლომდე.

ი. ჭავჭავაძის თხზულებათა 1925-1951 წწ. გამოცემების ტექსტში, ვარიანტებზე დაყრდნობით, A-სთან შედარებით რამდენიმე ცვლილებაა შეტანილი (იხ. ტ. I, 1951, გვ. 461-462), რომლებიც ჩვენი გამოცემის სარედაქციო კოლეგიამაც გაიზიარა.

1892 წლის გამოცემაშია:

I თავი: “ვით კლდის ნაპირზედ არწივის ბუდე”.

XVII. “გავახწევდილა იმ ღამეს ბედშავს”.

“წავსულიყავ და იმ ბნელაშია”.

“თურმე ნუ იტყვი, გზა ამერია”.

1925 - 1952 წწ. გამოცემებში

დაიბეჭდა:

“ვით კლდის ნაპრაღზედ არწივის ბუდე”.

“გავალწევდილა ამ ღამეს ბედშავს”.

“წავსულიყავ და ამ ბნელაშია”.

“თურმე ნუ იტყვი, გზა ამრევია”.

გარდა ამისა, 1925-1951 წწ. გამოცემებში დედნისეული ორთოგრაფიულ-გრამატიკული ფორმები ხშირად შეცვლილია (განსულან GEგასულან; გამიფთხო GEგამიფრთხო; გარედ GEგარეთ; უსოლებია GEუსოვლებია; წმიდა GEწმინდა და ა.შ.). მათგან ჩვენ მხოლოდ მცირე ნაწილი გავიზიარეთ. A-სთან შედარებით ჩვენი გამოცემის ტექსტში შეტანილი ცვლილებანი შემდეგია: I, 14 წმინდათ GEწმინდანთ (შდრ. იქვე, V,1; V, 18; XXVIII, 13 და სხვ.). XVIII, 13 მას აქედ GEმას აქეთ; XXIV, 6 დასაკდომად GEდასაკვდომადა; XXVIII, 14 მჯავრის GEმსჯავრის.

A-სთან შედარებით სხვა წყაროები ასეთ ვარიანტულ ცვლილებებს იძლევა;

II, 6 წუთისოფლის წუთი-სოფლის BC (ასეა სულ, - რ. კ.)

IV, II, წყმედილი] წყმედული B. 15 არ - B (ცხადია, შემთხვევით არის გამოტოვებული, - რ. კ.).

V, 8, გადაჰფენოდა] გარდაჰფენოდა C. 18 წმინდანსა] წმინდასა B. 20 B-ში ნაცვლად სიტყვისა “განდიდებულს” ჯერ ეწერა “გამარჯვებულსა”, - გადახაზულია.

VI, 4 მღალადებელზედ] იმ წამებულზედ B. 7 გადმოდენილა] გარდმოდენილა B. 12 B-ში “ჩაეშვებოდა”-ს შემდეგ ერთი სტროფი წერია, რომელიც ძნელად იკითხება, ისეა წაშილი. პ. ინგოროყვამ ეს სტროფი ასე ამოიკითხა (იხ. ტ. I, 1951, გვ. 462):

“[იმ შუქზედ ლოცვანს იგი ღვთის კაცი

ზედ დააყრდნობდა, როს ლოცულობდა,

და ღვთის ბძანებით [იგი] ლოცვანი თურმე

[მზის სხივზედ თურმე] ხორცთუსხმელს სხივზედ გაჩერდებოდა]”.

მის ნაცვლად, გვერდით წერია ჩვენი ტექსტის IV სტროფი (“როს ჰლოცულობდა”...). 13 “ჰლოცულობდა”-ს შემდეგ B-ში ჯერ ეწერა “იგი”; ავტორს გადაუხაზავს და ზემოდან დაუწერია “მწირი”, ბოლოს ისიც გადაუხაზავს. 14 “მწირი”-ს ნაცვლად B-ში ჯერ ეწერა “თურმე”, გადახაზულია.

VII, 8 იმრგვლივ] იმგრგლივ B, იმგრგვლივ C. 9 ნაკვერჩხალი] ნაკვერცხალი BC.

VIII, 8 B-ში “წარმოვიდა”-ს ნაცვლად ჯერ ეწერა “გადმოეშვა”, გადახაზულია, მხუილით] მხუვილით B. 19 ევედრებოდა] შეჰლაღადებდა B.

X, 11 მუნ დახვდა მწირი] მწირი მუნ დახვდა B.

XI, 16 მწირს] მას B, ეწერა “მწირს”, გადახაზულია.

XVIII, 14 “წელთა”-ს ნაცვლად B-ში ჯერ “ჟამთა” ეწერა, გადახაზულია.

XIX, 20 მოვიკლავ] მოვიკლამ BC.

XXIII, 15 მისი გული] ეს გული B. 19 რად] რათა B.

XXIV, 8 ზეარსთა ძალიც] ძალიც ზენარი B, ჯერ ეწერა “თვითონ ღმერთიც კი”, გადახაზულია. 14 მის სასოება ~ B.

XXVI, 16 B-ში “წყეული”-ს ნაცვლად ჯერ ეწერა “ღამაზი”, გადახაზულია.

XXVII, 5 ჰრბის, დამრწის] დარბის და B, გადახაზულია. 9 მოვარდა] მოვიდა B.

BCD დათარიღებულია ერთნაირად: 6 თებერვალი, 1883 წ. ასევე ვათარიღებთ წინამდებარე ტექსტს.

“განდეგილის” შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის გრ. ყიფშიძე: “განდეგილის”... თითქმის შობასაც ვუცქირე და ნათლობასაც დავესწარი. დილა იყო, როცა მივედი ივ. მაჩაბელთან ერთად ილიასთან სახლში საქმეების გამო. “დავიწყე ერთი პოემა და არ ვიცი, როგორი გამოვა”, - გვითხრა ილიამ საქმეების გათავების შემდეგ და წაგვიკითხა პირველი ხანა, მეტი არა ჰქონდა ჯერ დაწერილი. დიდებული სურათი თოვლიან-ყინულიანის მთებისა და მუნ გამოკვეთილის ბეთლების მონასტრისა თვალწინ წარმომიდგა. თითქო თავბრუ დამესხა... და თითქმის ვეღარა გავიგერა იმისა, რაც გვიამბო იმ თემისა და შინაარსისა, რომელიც უნდა განვითარებულიყო და დაწერილიყო პოემის დასათავებლად”.

ილიამ “განდეგილი” წაიკითხა ცნობილი მრეწველისა და მეცენატის დავით სარჯიშვილის სახლში. “... მაშინდელი ინტელიგენცია, მოყვარულნი მწერლობისა, თითქმის სულ იქ იყვნენ. ილიამ კითხვა გაათავა და აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, თითქო ეკითხება შეკრებილთ, რას ბრძანებთო, - განაგრძობს გრ. ყიფშიძე, - თუ ხსოვნა არ მალაატობს, წამოდგა ი. მ-ა (იონანა მეუნარგია - რ. კ.)... და სთქვა აღტაცებით: “მშვენიერია, ილია, მშვენიერი, მხოლოდ პოემაში სურათს ვერ ვხედავ, თვით განდეგილის სურათს, მის გარეგნობის აღწერას, მის პორტრეტსო”. ილიას გაუზიარებია ეს შენიშვნა და, როცა პოემა “ივერიაში” დაბეჭდა (1883 წელს), V თავში უკვე შეტანილი ჰქონდა განდეგილის გარეგნობის აღწერა. “განდეგილის” შექმნის შემდეგ სახელი ილიასი, როგორც პირველხარისხოვანისა და ღრმად მოაზრე მგოსნისა, უფრო გაითქვა და განდიდდა. სამარადისო თემა, ჩაქსოვილი ამ პოემაში, თემა სულისა და ხორცისა, კეთილისა და ბოროტისა, რწმენისა და ურწმუნოებისა ოლიმპის მწვერვალამდე ამაღლებს ილიას და ჰქმნის მის გარშემო თაყვანისმცემლების ატმოსფეროს” (გრ. ყიფშიძე, ილია ჭავჭავაძე, - ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემა, გვ. XLII-XLIV).

რამ შთააგონა პოეტს ამ პოემის დაწერა? ილია ჭავჭავაძე, რა თქმა უნდა, იცნობდა ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომს “აღწერა სამეფოსა საქართველოსა” და ამ ნაშრომში მოწოდებულ ცნობებს ბეთლემის შესახებ (“მცინვარის კლდესა შინა არიან ქვაბნი გამოკვეთილნი ფრიად მაღალსა კლდესა და უწოდებენ ბეთლემს. გარნა საჭიროდ ასავალი არს, რამეთუ არს ჯაჭვი რკინისა გარდმოკიდებული ქვაბიდან და მით აღვლენ. იტყვიან უფლის აკვანსა მუნ, აბრაამის კარავსა, მდგომსა უსვეტოდ, უსაბლოდ, და სხვათაცა საკვირველითაცა”); მაგრამ უთუოდ საფიქრალია, რომ ილიას, რომელიც არაერთხელ ყოფილა ხევში და რომელიც მუდამ რუდუნებით ჰკრებდა ქართული ზეპირსიტყვიერების მასალებს, უშუალოდაც მოესმინა მოხევეთა მონათხრობი მცინვარწვერის ჭიუხებში რეალურად არსებული გამოქვაბულის შესახებ და ამ “წმინდანთ სადგურთან” დაკავშირებული ლეგენდა ბეთლემში ოდესღაც დაყუდებულ მეუდაბნოეზე.

ჩანს, პოემას სწორედ ეს “ხალხში გაგონილი ლეგენდა” დაედო საფუძვლად.

როგორც პოემის ქვესათაურიდან ჩანს, ავტორმა იგი მიუძღვნა თავის მეუღლეს და მეგობარს, ყოვლად კეთილსა და სათნო ადამიანს - ო ლ დ ა თ ა დ ე ო ზ ი ს ა ს უ ლ გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ - ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს ა ს (1842 - 1927 წწ.).

საზოგადოებრივ სარბიელზე მოღვაწეობით ოლლა ჭავჭავაძეს შესამჩნევი წვლილი შეჰქონდა ქართული ეროვნული კულტურის განვითარებაში: მონაწილეობას იღებდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების საქმიანობაში, თავმჯდომარეობდა ქართველ ქალთა საქველმოქმედო

საზოგადოებას (1895 - 1906 წწ); მისი ხელშეწყობით დაარსდა სკოლა საგურამოში - ილიასეულ სახლში და სხვ.

ბ ე თ ლ ე მ ი : მცინვარწვერის სამხრეთ-აღმოსავლეთ ქედზე - ზღვის დონიდან დაახლოებით 4000 მეტრ სიმაღლეზე - კლდოვან მასივში გამოკვეთილი მცირე მოცულობის უსარკმლო სენაკი, რომელიც ძველად (არა უგვიანეს X - XI საუკუნეებიდან) წარმოადგენდა ბერების ადგილსამყოფელს. სენაკში აღმოჩენილი საეკლესიო ინვენტარი, მონეტები და სხვ. დაცულია ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

რწყილთაგან ტანჯვაი და მათი ანბავი (გვ. 277)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : U: ავტოგრაფი, № 134 გვ. 25. 26.

ტექსტში გასწორდა ენობრივი ლაფსუსები: 277. 3 ცვოდეა ოცოდვა; მოგრის ოცოდვრის. 278. 12 შაელჩოთ ოცოდვრის. 14 მომკდარი ოცოდვრის. 279. 2 დავღალურვარ ოცოდვრის. 17 ტაჯვამ ოცოდვრის.

საინტერესოა ამ ლექსის დაწერის ისტორია. ილიას ყრმობის მეგობარი კობია აბხაზი (1838 - 1913) თავის მოგონებებში წერს: "...ილია იქნებოდა ესე 11 წლისა. ჩვენს სოფელში კარდანახში ვიყავით [ორივე გემნაზიელები]¹ კვირა დღე იყო და ერთი ოცი თუ თხუთმეტი ვერსის მანძილზე მამაჩემს მამითადი ჰქონდა. ჩვენც იქ წავედით. მთელი დღე ვუცქეროდით გახურებულ მამითადს. საღამოთი შინისაკენ დავბრუნდით და კარდანახამდინ რო ასე 7 ვერსის სავალი დაგვრჩა, კოკისპირული წვიმა დაუშვა და მთელი ნიაღვარი მოვარდა. მეტი გზა არ იყო, შევბრუნდით ახლო მდებარე სოფელში ჩალაუბანში და ღამეც იქ გავატარეთ. მაგრამ მთელი ღამე არ მოგვითვლემია. ერთს გლეხკაცის სახლში ვიწექით და ღამე იმოდენა მკბენარი (რწყილები) დაგვეხვია, რომ გათენებისას გამოვარდით გარეთ ლოგინებითურთ და ერთს დიდ კაკლის ქვეშ გავშალეთ და ცოტა მაინც გამოვიძინეთ. აი, სწორედ აქ დაწერა ილიამ თავისი პირველი ლექსი "რწყილები" (47 - 48 წ.). საუბედუროთ, ეს ლექსი არ შენახულა, და არც ვიცი, რა უყო ილიამ. მახსოვს მარტო, რომ ამ ლექსში დიდის ოხუნჯობით და მეტად კომიკურად იყო აღწერილი ჩვენი რწყილებთან ბრძოლა, და ლექსმა ბევრი გვაცინა..." ("ლიტერატურული მემკვირეობა", ტ. I, 1935 წ., გვ. 563).

თუ ზემოთ დამოწმებულ მოგონებას დავეყრდნობით, ლექსი შეიძლება პირობითად დავათარილოთ 1848 წლით.

"რწყილთაგან ტანჯვაი და მათი ანბავი" შეტანილი არ არის და არც დასახელებულია ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 და 1925 - 1951 წლების გამოცემებში. 1914 წლის (მიხ. გედევანიშვილისეული) გამოცემის შენიშვნებში ნათქვამია (გვ. XXIV): ყრმობის ლექსების სულ ხუთი ლექსია, მათში ერთი თარგმანი ("პატარა ჩიტი)". თუმცა ამავე გამოცემაში დაბეჭდილია შვიდი ლექსი, თარგმანის გარდა: განყოფილებაში - "ყრმობის ლექსები" (გვ. 535 - 540) ოთხი ლექსია "სიტკბოება თვის მამეულში", "ჭაბუკობაზედ", *** ("დაღონებული არ ვიცი, რაზედ"), "მოთქმა საწყლისა", შენიშვნებში კი (გვ. XXIV) - "ალბომში კნენა ნატალია

¹ ჩანს, იგულისხმება კერძო სასწავლებელი (იანიშვილის და ჰაკეს პანსიონი), სადაც ილია ჭავჭავაძე 1848 - 1851 წლებში სწავლობდა.

ანდრონიკაშვილისას”, “კნენა თიკოს ჭავჭავაძის ალბომში”, “ჩემი გონებიდამ განუშორებელი დაო ნინავ!”.

1925 - 1951 წწ. გამოცემების სარედაქციო შენიშვნები აღნიშნულია, რომ არსებობს ილიას ბავშვობის დროის შვიდი ორიგინალური ლექსი და ერთი თარგმანი. იქვე ჩამოთვლილია ეს ლექსები: “სიტკბოება თვის მამულში”, “ჭაბუკობაზედ”, *** (“დაღონებული, არ ვიცი, რაზედ”), “მოთქმა საწყლისა”, “ალბომში კნ. ნ. ანდრონიკოვისას”, “კნ. თიკო ჭავჭ. ალბომში”, “წერილი ნინო ჭავჭავაძე-აფხაზისას” და “პატარა ჩიტი” (ტ. I, 1951, გვ. 488). განყოფილებაში “ყრმობის ლექსები” (გვ. 339-341) შეტანილია: *** (“დაღონებული, არ ვიცი რაზედ”), “ ალბომში კნენა ნატალია ანდრონიკოვისას” და “პატარა ჩიტი” (წინამდებარე გამოცემაში ეს ლექსი თარგმანების ტომშია გადატანილი). “რაც შეეხება დანარჩენებს, - აღნიშნავს პ. ინგოროყვა, - მათი დაბეჭდვა ზედმეტად ვცანით, რადგან ისინი არც კი შეიძლება ჩაითვალოს ლექსებად: დარღვეულია ელემენტარული მოთხოვნილებანი მეტრისა და რიტმის, სტილიც სრულებით ბავშვურია” (იქვე, გვ. 488).

“რწყილთაგან ტანჯვაი და მათი ანბავი”, რომელიც დაკარგულად ითვლებოდა, აღმოაჩინა და გამოაქვეყნა გიორგი ლეონიძემ 1938 წელს გაზ. “ლიტერატურულ საქართველოში”. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ლექსი გამოქვეყნებული იქნა არა როგორც დამოუკიდებელი ნაწარმოები, არამედ როგორც უშალო გაგრძელება ილიას ყრმობის დროინდელი მეორე უსათაურო ლექსისა - “დავსწერ სოფლისას ქებასა”... (იხ. წინამდებარე ტომი, გვ. 280). ეს ლექსები მკვლევარმა ერთი ნაწარმოების - პოემის - შემადგენელ ნაწილებად ჩათვალა და დაბეჭდა საერთო სათაურით - “ჩალაუბანი”. “პოემას ერთი სათაური არა აქვს, - წერდა გ. ლეონიძე, - პოემის მეორე ნაწილის სათაურია “რწყილთაგან ტანჯვაი და მათი ანბავი”. რაკი პოემის პირველ ნაწილში სოფ. ჩალაუბნის (სოფ. კახეთში) აღწერილობაა, პოემას ვუწოდეთ “ჩალაუბანი”... (იხ. გ. ლეონიძე, ილია ჭავჭავაძის პირველი პოეტური ნაწარმოების აღმოჩენა, - გაზ. “ლიტერატურული საქართველო”, 1938 წ., 12 აპრილი, № 9).

ჩვენი აზრით, “რწყილთაგან ტანჯვაი და მათი ანბავი” და “დავსწერ სოფლისას ქებასა” ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ნაწარმოებებია. ამასთან, “რწყილთაგან ტანჯვაი...” - კობტა აბხაზის ზამთრ დამოწმებულ მოგონებაზე დაყრდნობით, - ყრმა ილიას პირველ ლექსად მიგვაჩნია. ამიტომაც წინამდებარე ტომში ილიას ყრმობის დროინდელ ლექსთაგან თავდაპირველად სწორედ ეს ლექსი დავბეჭდეთ, ხოლო შემდეგ - “დავსწერ სოფლისას ქებასა”.

*** “ დავსწერ სოფლისას ქებასა...” (გვ. 280)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : U: ავტოგრაფი, № 135, გვ. 23-24.

გასწორდა ავტოგრაფში გაპარული ენობრივი ლაფსუსები: 280. 4 მეცადდა. 8 მასსა. 13 ხმასას ყორანისას. 281, 6 ტაჯვად. 24 მისცეთ. 282, 5 დაკელ. 9 შექცოდა. 10 დაკლდა.

ლექსი შეტანილი არ არის და არც დასახელებულია ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 და 1925 - 1951 წწ. გამოცემებში.

როგორც ხელწერა, ასევე შინაარსი ამ სახუმარო ლექსისა ადასტურებს, რომ იგი დაახლოებით იმავე ხანებში უნდა იყოს დაწერილი, როცა “რწყილთაგან ტანჯვაი და მათი ანბავი” (იხ. წინამდებარე ტომში, კომენტარი გვ. 516). კერძოდ, ლექსში - “დავსწერ სოფლისას ქებასა” მოხსენებული “დიდი ტანჯვაი”, ყრმა პოეტს ჩალაუბანს

რომ გარდახდა, სწორედ იმ კონკრეტულ შემთხვევას უნდა გულისხმობდეს, რომელსაც ილიას პირველი ლექსი მიეძღვნა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ლექსს პირობითად ვათარილებთ 1840-იანი წლების დამლევით.

ლექსი აღმოაჩინა და გამოაქვეყნა გიორგი ლეონიძემ 1938 წელს (იხ. კომენტარი ლექსისა “რწყილთაგან ტანჯვაი და მათი ანბავი”, გვ. 516).

**ჩემი გონებიდგან განუშორებელი
დაო ნინავ! (გვ. 283)**

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : U: ავტოგრაფები - № 62-S, გვ. 190 (B), № 105, გვ. 4 (A).

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თ. ილია ჭავჭავაძე B.

B ავტოგრაფი ჩაწერილია ტყავგადაკრულ მუყაოს ყდაში ჩასმულ დიდტანიან კრებულში, რომელიც შეიცავს სხვადასხვა პროზაულ ტექსტებს (გადამწერი - კონი ბებუროვი).

კრებული ილია ჭავჭავაძის მამის საკუთრება ყოფილა (კრებულის თავფუცელზე წერია: “ეს წიგნი გრიგოლ ჭავჭავაძის არის”).

კრებულს ერთვის გრიგოლ ჭავჭავაძის მინაწერები, მათ შორის ასეთი მინაწერი: “წელსა ჩყა თებერვლის 11 დღესა ასულმან ჩემა ნინოუცამ იქორწინა თავად ნიკოლოზ აბახაზზედ. თავადი გრიგოლ ჭავჭავაძე”; უშუალოდ ამ მინაწერს კი მოსდევს ავტოგრაფი ილიას ზემოდასახელებული ლექსისა.

ყრმა ილიამ ეს ლექსი მიუძღვნა თავის უფროს დას - ნინოს¹. ლექსში პოეტი მოიხსენიებს თავის საყვარელ დისშვილს გიგოს, რომელსაც შემდეგში უძღვნა ლექსი “გ. აბხ[აზს]” (იხ. გვ. 121).

B ავტოგრაფული პირველი ვარიანტია ამ ლექსისა. ბოლო ტექსტი (A) უფრო დახვეწილია ენობრივად.

283. 1 დას] და B; 2 მოგწერ]მიუწერ B. 3 ვსტანჯავ] ვსტანჯამ B. 4 ვსთხოვ] ვთხოვ B. 9 ყოვლის სიკეთით] ყოვლისა ფერით B. 10 სტკებოდე] ტკებოდე B; ბედით] შვებით B. 11 აღტაცებულ ვისიამოვნებ] აღტაცებული ვისიამუნებ B. 12 უფალს] ღმერთსაც B. 13 გიძღვნი ჩალაუბნის] გიძღვნი ჩალაუბნის B. 14 დართობ შენს] დართობთ თქვენს B. 15 ჰპოვებ] პოებთ B. 16. რათლა] რადლა B. 20 შემწეობით მისთვის მასსა ვთხოვ] მისთვის შემწეობას ვსთხოვ მასა B.

284. 3 თვალსაც მომედვა ძილია] ხელიც მაქვს დაღალულია B. 4 აქა შენი ძმაჲ] შენივე ძმაჲ B.

B-ში ტაქსტის ბოლოს ილიას მიუწერია: “გათავდა ეს ლექსი”. ლექსის დათარიღებასთან დაკავშირებით, ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1925 - 1951 წლების გამოცემების სარედექციო შენიშვნებში მითითებულია, რომ ლექსი მიმართულია პოეტის დისადმი, როცა ეს უკანასკნელი უკვე გათხოვილი იყო ნ. აბახაზზე და პატარა ვაჟიშვილიც ჰყავდა, ნინო ჭავჭავაძე კი 1851 წლის 11 თებერვალს გათხოვდა. მითითებულია ისიც, რომ B ავტოგრაფში ეს ლექსი “მოთავსებულია 1851 წლის

¹ ამ ლექსთან ერთად - როგორც ეს თვით ლექსშივე აღნიშნული, - ილიას თავისი დისათვის, რომელიც გათხოვების შემდეგ კარდანახში ცხოვრობდა - მეუღლის მამულში, - გაუგზავნია (ან - ვარაუდობდა გაეგზავნა) “ჩალაუბნის ქება” (“ამ წიგნთან გიძღვნი ჩალაუბნის ქებას, თუ წარკითხვისთვის დართობ შენს ნებას...”). ჩანს, ილია გულისხმობდა თავის უსათაურო ლექსს “დავსწერ სოფლისა ქებასა...” (იხ. წინამდებარე ტომი, გვ. 280).

ქრონიკული ცნობების შემდეგ” და, ამრიგად, ლექსი, ჩანს, დეწერილი უნდა იყოს 1851 წლის მომდევნო ხანებში.

დასახელებულ გამოცემაში დადგენილია, აგრეთვე, ლექსის Terminus post quem – 1856.

კერძოდ, პ. ინგოროყვა იმოწმებს იმ ფაქტს, რომ A ავტოგრაფში, რომელშიც აღნიშნული ლექსიც არის ჩაწერილი, ილიას ყრმობის დროინდელ სხვა ლექსებთან ერთად მოთავსებულია ილიას მიერ თარგმნილი ლექსი - “ჩიტი”, რომლის შესწორებული პირი ჟურნალ “ცისკარში” დასაბეჭდად პეოტს 1856 წლის ნოემბერში გადაუცია².

მოხსენებული ცნობების შეპირისპირებით პ. ინგოროყვა მიდის დასკვნამდე, რომ “ჩემი გონებიდგან განუშორებლო დაო ნინავ” დაწერილია “1851 - 1856 წლებს შორის” (დაწვრილებით იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, 1951, გვ. 488-489)

მაგრამ, ჩვენი აზრით, არსებობს შესაძლებლობა, რათა ლექსის დაწერის სავარაუდო ქრონოლოგიური საზღვრები უფრო ვიწროდ შემოვფარგლოთ.

აღსანიშნავია, რომ ი. ჭავჭავაძის თხზულებათა 1925 - 1951 წლების გამოცემებში არ არის გათვალისწინებული ილიას პირველი ლექსები - “რწყილთაგან ტანჯვაი და მათი ანბავი” და “დავსწერ სოფლისა ქებასა”, რომლებიც დაახლოებით 1840-იანი წლების დამლევით თარიღდება და რომელთაც უთუოდ აქვთ მნიშვნელობა პოეტის ყრმობის დროინდელი ლექსების ქრონოლოგიურ საზღვრებზე მსჯელობისას.

დასახელებული ლექსების გამოვლენამდე ცნობილი იყო ილიას მხოლოდ 8 ყრმობის დროინდელი ლექსი (მათ შორის, ერთი თარგმანი - “პატარა ჩიტი”), რომლებიც A ავტოგრაფში ილიას მიერ ასეთი თანმიმდევრობითაა ჩაწერილი: 1. სიტკბიება თვის მამულში. 2. ჭაბუკობაზედ. 3. *** (“დაღონებული, არ ვიცი რაზედ...”). 4. მოთქმა საწყლისა. 5 პატარა ჩიტი. 6 ალბომში კნენის ნატალია ანდრონიკოვისა 7. კნეიჟა თიკოს ჭავჭ[ავძის] ალბომში 8. ჩემი გონებიდგან განუშორებლო დაო ნინავ.

აქედან პირველი 5 ლექსი, როგორც პ. ინგოროყვა შენიშნავს, “ჩაწერილია ბავშვური, სრულებით დაუმუშავებელი ხელით და მართლწერითი შეცდომებით”, ხოლო “ჩემი გონებიდგან განუშორებლო დაო ნინავ” (და, ასევე, ზემოდასახელებული მე-5 და მე-6 ლექსი) – “უფრო გვიანდელი დროის ხელით” (თუმცა არა უგვიანეს 1856 წლისა).

მაგრამ, როგორ ზემოთ უკვე ითქვა, არსებობს ამ ლექსის უფრო ადრეული ვარიანტიც (B), რომელიც ილიას მამის კუთვნილ დავთარშია მოთავსებული და რომელიც “ჩაწერილია იმავე ბავშვური, დაუმუშავებელი ხელით, როგორც პირველი ხუთი ლექსი” ზემომითითებული A ავტოგრაფიდან (ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, 1951, გვ. 489).

ამავე დროს, რაც მთავარია, ეს ადრეული ჩანაწერი, ხელწერის ხასიათის მიხედვით, ბევრად უფრო მიემსგავსება ილიას პირველი ლექსების ავტოგრაფებს (“რწყილთაგან ტანჯვაი...” და “დავსწერ სოფლისას ქებასა”), რომელიც 1840-იანი წლების დამლევით თარიღდება, ვიდრე ხელწერას თვით A ავტოგრაფში მოთავსებული ბოლო სამი ლექსისას, რომლებიც, როგორც ჩანს, ჩაწერილია არა უგვიანეს 1856 წლის ნოემბრისა.

² ჟურნ. “ცისკარში” ლექსი დაიბეჭდა 1857 წელს (№ 1, გვ. 7).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, “ჩემი გონებითგან განუმორებელო დაო ნინა” შეიძლება პირობითად დავათარილოთ 1852 წლით.

სიტკბოება თვის მამეულში (გვ. 285)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : U: ავტოგრაფი, № 105, გვ. 1.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თ. ილია ჭავჭავაძე.

ლექსი დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის თხზულებათ 1914 წლის გამოცემაში, - განყოფილებაში “ყრმობის ლექსები” (გვ. 535 - 536); დათარიღებული არ არის; ავტოგრაფისეულ ტექსტში გარკვეული ცვლილებებია შეტანილი. ავტოგრაფის მე-11 სტრიქონში არის **სადც**, - ნაბეჭდშია **სადაც**; 17 **განიახლებ** GE **განიახლებთ**; 37 **შენს** GE **თქვენს**; 40 **გეტყვი** GE **გეტყვით**; 43 **სადღაც** GE **მაღლიც**. ჩვენს გამოცემაში დაცულია ავტოგრაფისეული ფორმები. გასწორდა მხოლოდ უნებლიე ლაფსუსები: 286, 6 მოგრიდი GE მოგვრიდი. 8 მოქონდა GE მოგქონდა. 12 გქონდა->ქონდა, 19 ყოფნო GE მყოფნო. 26 გეტყით GE გეტყვიით.

1925 - 1951 წლების გამოცემებში - სარედაქციო შენიშვნებში - ლექსი მოხსენებულია და პირობითად დათარიღებული - [1850-იანი წლებიდან - 1856-მდე] - მაგრამ დაბეჭდილი არ არის.

“სიტკბოება თვის მამეულში”, ჩვენი აზრით, იმავე წლებში უნდა იყოს დაწერილი, როცა “ჩემი გონებიდგან განუმორებელო დაო ნინავ”. (იხ. მითითებული ლექსის კომენტარი - გვ. 518). მაგრამ თუ ეს უკანასკნელი შეუძლებელია 1851 წელზე ადრე დაწერილიყო, ასევე დაბეჭდით ვერ ვიტყვით ლექსზე “სიტკბოება თვის მამეულში”; გამორიცხული არ არის, რომ ლექსი ილიას უფრო ადრეც დაეწერა.

ამ თვალსაზრისით, მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ “სიტკბოება თვის მამეულში” (და, აგრეთვე, ზემოთ მითითებულ ავტოგრაფში ჩაწერილი მომდევნო სამი ლექსი: “ჭაბუკობაზედ”, “დაღონებული, არ ვიცი რაზედ”... “მოთქმა საწყლისა”), თავისი ბავშვური, შეუმუშავებელი ხელით, - ისევე, როგორც მართლწერითა და სტილით, - ძლიერ უახლოვდება არა მხოლოდ თავდაპირველ ვარიანტს ლექსისა “ჩემი გონებიდგან განუმორებელო დაო ნინავ”, არამედ, ამდენადვე, ლექსებს: “რწყილთაგან ტანჯვაი”... და “დავსწერ სოფლისას ქებასა”, რომლებიც 1840-იანი წლების დამლევით თარიღდება (იხ. დასახელებული ლექსების კომენტარები - გვ. 516, 517).

საგულისხმოა ისიც, რომ ზემოაღნიშნულ ავტოგრაფში, რომელშიც - 1840-იანი წლების დამლევს დაწერილი ამ ორი ლექსის გამოკლებით, - ილიას ყველა, დღემდე მოღწეული ყრმობისდროინდელი ლექსი ჩაწერილია, “სიტკბოება თვის მამეულში” რიგით პირველია, ეს კი შესაძლებლებელია, ამ ლექსის დაწერის ქრონოლოგიურ რიგსაც გულისხმობდეს, - ამავე ავტოგრაფში მოთავსებულ პირველ 5 ლექსთან მიმართებით.

აღნიშნულ მოსაზრებებზე დაყრდნობით, ჩვენი აზრით, “სიტკბოება თვის მამეულში” პირობითად შეიძლება 1840-იანი წლების დამლევითა და 1850-იანი წლების დასაწყისით დავათარილოთ.

ჭაბუკობაზედ (გვ. 287)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : U: ავტოგრაფი, № 105, გვ. 1.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თ. ილია ჭავჭავაძე.

ლექსი დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემაში, განყოფილებაში - “ყრმობის ლექსები” (გვ. 536 - 537), - დაუთარილებლად, მცირეოდენი ცვლილებებით (287, 14 არს ორგანო. 288. 1 პოვოს ორგანო. 5 არა მკიდეს ორგანო მკიდეს. 11 სიკდილს ორგანო სიკდილს. 12 გასწრობთ ორგანო გასწრობთ. 13 ჭაბუკსა ორგანო ჭაბუკსა. 17 ძრწუნავს ორგანო ძრწუნავს).

ჩვენს გამოცემაში დაცულია ავტოგრაფისეული ფორმები (გარდა აშკარა ლაფსუსებისა: 287, 10 შეხდების ორგანო შეხდების. 288, 11 სიკდილს ორგანო სიკდილს).

1925 - 1951 წწ. გამოცემებში (სარედაქციო შენიშვნებში) ლექსი დასახელებულია, მაგრამ დაბეჭდილი არ არის; ლექსი დათარიღებულია პირობითად: “[1850-იანი წლებიდან - 1856-მდე]”.

“ჭაბუკობაზედ”, ჩვენი აზრით, დაახლოებით იმავე ხანებში უნდა იყოს დაწერილი, როცა “სიტკობეა თვის მამეულში”, - 1840-იანი წლების დამლევს ან 1850-იანი წლების დასაწყისში (დათარიღებასთან დაკავშირებით იხ. კომენტარები ლექსებისა “სიტკობეა თვის მამეულში” - გვ. 520, და “ჩემი გონებიდგან განუშორებელო დაო ნინავ”, - გვ. 518).

*** “დაღონებული, არ ვიცი რაზედ...” (გვ. 289)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : U: ავტოგრაფი, № 105, გვ. 2.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თ. ილია ჭავჭავაძე.

ლექსი დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემაში, განყოფილებაში “ყრმობის ლექსები” (გვ. 537 - 538), დათარიღებული არ არის. ნებაჭდში, ნაცვლად ავტოგრაფისეული ფორმისა “გარდვაველ” არის “გარდავაველ”; რა ყო ორგანო; სახავდა ორგანო სახავდა; წიწკლები ორგანო წიწკლები; განფატებულნი ორგანო განფატებულნი.

ლექსი დაბეჭდილია 1925 - 1951 წლების გამოცემებშიც, ყრმობის ლექსების განყოფილებაში; სარედაქციო შენიშვნებში ლექსი დათარიღებულია პირობითად: “[50-იანი წლებიდან - 1856-მდე]”. აღნიშნულ გამოცემებში ლექსის VII სტროფის მე-3 - 4 სტრიქონებში ავტოგრაფისეულ სიტყვებს **მოხატავდა, სახავდა** დამატებული აქვს მარცვლები: [მი]მოხატავდა, [გამო]სახავდა (ასეა ჩვენს ტომშიც). ამ გამოცემებში, ნაცვლად ავტოგრაფისეული ფორმისა “მთვარეს”, არის “მთვარის”; ასევე: ვხედიდი ორგანო ვხედავდი, ჩემი ორგანო ჩემნი; ვარსკლავთ ორგანო ვარსკვლავთ; მშვენიერათ ორგანო მშვენიერად; განფატებულნი ორგანო განფატებულნი; დამთლემდა ორგანო დამთვლემდა.

ჩვენს გამოცემაში დაცულია ავტოგრაფისეული ფორმები. (გავასწორეთ მხოლოდ ორი აშკარა ენობრივი ლაფსუსი (ვარსკლავთ, წიწკლები).

“დაღონებული, არ ვიცი რაზედ...”, ვფიქრობთ, დაახლოებით იმავე ხანებშია დაწერილი, როცა “სიტკობეა თვის მამეულში” და “ჭაბუკობაზედ”, - 1840-იანი წლების დამლევსა თუ 1850-იანი წლების დასაწყისში (დათარიღებასთან დაკავშირებით იხ. კომენტარები ლექსებისა “სიტკობეა თვის მამეულში”, - გვ. 520 და “ჩემი გონებიდგან განუშორებელო დაო ნინავ”, - გვ. 518).

მოთქმა საწყლისა (გვ. 291)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : U: ავტოგრაფი, № 105, გვ. 2.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თ. ილია ჭავჭავაძე.

ლექსი დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემაში, განყოფილებაში “ყრმობის ლექსები” (გვ. 538 - 540), დაუთარილებლად, ცალკეული ცვლილებებით (მე-4 სტრიქონში ავტოგრაფისეული ქვეყნათ შეცვლილია ფორმით ქვეყანათ; მე-11 სტრიქონში სიტყვა მარა შეცვლილია სიტყვით მამა; 27-ე სტრიქონში - წყაროდთ-წყაროთი; 37-ე სტრიქონში - ვადიდებ GEგადიდებ). ჩვენს გამოცემებში დაცულია ავტოგრაფისეული ფორმები.

1925 - 1951 წლების გამოცემაში “მოთქმა საწყლისა” დაბეჭდილი არ არის, მაგრამ მოხსენებულია (სარედაქციო შენიშვნებში) და მისი დაწერის სავარაუდო თარიღიც არის მითითებული: “[50-იანი წლებიდან - 1856-მდე].

ზემოთ მითითებულ ავტოგრაფში ეს ლექსი ისეთივე ბავშვური ხელითაა ჩაწერილი, როგორითაც “სიტკბოება თვის მამულში”, “ჭაბუკობაზედ” და “დაღონებული, არ ვიცი რაზედ...”, რომლებიც, ჩვენი ვარაუდით, 1840-იანი წლების დასასრულსა თუ 1850-იანი წლების დასაწყისში უნდა იყოს დაწერილი (იხ. დასახელებული ლექსების კომენტარები). “მოთქმა საწყლისა”, ვფიქრობთ, ამავე ხანებს განეკუთვნება.

თუკი ლექსის შინაარსს დავეყრდნობოდით და ვირწმუნებდით, რომ მასში ზუსტად არის ასახული ყრმობა პოეტის ცხოვრებაში მომხდარი მოვლენები, შეიძლება ლექსის დაწერის სავარაუდო ფართო თარიღი — [1840-იანი წლების დამლევით - 1850-იანი წლების დასაწყისი] — შედარებით უფრო ვიწრო ჩარჩოთი შემოგვესაზღვრა: კერძოდ, შეიძლებოდა მიგვეჩნია, რომ “მოთქმა საწყლისა” დაიწერა 1852 წლის შემდგომ, — როცა ილია მამითაც დაობლდა (ილიას მამა, როგორც ცნობილია, გარდაიცვალა 1852 წლის 10 დეკემბერს, ძვ. სტილით).

მაგრამ ლექსის ასეთ ბიოგრაფიულ ინტერპრეტაციას ადგილი შესაძლებელია შეცდომაში შევეყვანეთ, რადგან ამ ლექსში ისეთი ფაქტებიც არის წარმოსახული, რომლებიც ილიას ცხოვრებაში არასდროს მომხდარა (ასე მაგ., ილიას ყრმობის პერიოდში არ ყოფილა მომენტი, რომ მას არ ჰყოლოდა “შემნახავი”, არ ჰქონოდა სახლ-კარი თუ თავშესაფარი, და ლუკმაპურის სათხოვნელად “კარიკარ” დასჭირვებოდა სიარული).

ალბომში კნეინის ნატალია ანდრონიკოვისას (გვ. 293)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : U: ავტოგრაფი, № 105, გვ. 4.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თ. ილია ჭავჭავაძე.

ლექსი დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემაში (სარედაქციო შენიშვნებში, გვ. XXIV), დაუთარილებლად, სათაურით — “ალბომში კნეინა ნატალია ანდრონიკაშვილისას” და ზოგიერთი ჩასწორებით: მე-2 სტრიქონში ავტოგრაფისეული შეცვლილია ფორმით ჭაბუკთათვის, მე-4 სტრიქონში — დათთა ცელქობამ GEდიდთა ცელქობა; მე-6 სტრიქონში ლექსა GEლექსსა.

1925 - 1951 წლების გამოცემებში ლექსი დაბეჭდილია განყოფილებაში “ყრმობის ლექსები”. ნაცვლად ავტოგრაფისეული ფორმებისა — დათთა გიშვეს (მე-4

სტრ.).ლექსა, საალბომოთ (მე-6 სტრ.), ძმათ (მე-7 სტრ.) — ამ გამოცემებშია: დათა, გიშვეს, ლექსა, საალბომოდ, ძმად.

წინამდებარე ტომში დაცულია ავტოგრაფისეული ფორმები (გასწორდა მხოლოდ კალმისმიერი შეცდომები: 4 დათა. 6 ლექსა).

მითითებულ გამოცემებში (სარედაქციო შენიშვნებში) ლექსი დათარიღებულია პირობითად: “[50-იანი წლებიდან - 1856-მდე]”.

“ალბომში კნეინა ნატალია ანდრონიკაშვილისას”, როგორც ხელნაწერის ხასიათი ადასტურებს, ზემომითითებულ ავტოგრაფში შედარებით უფრო გვიან უნდა იყოს ჩაწერილი (მსგავსად ლექსისა “ჩემი გონებიდგან განუმორებელო დაო ნინავ” და ასევე — “კნეინა თიკოს ჭავჭავაძის ალბომში”); ვიდრე აქვე მოთავსებული ლექსები — “სიტკბოება თვის მამულში”, “დაღონებული, არ ვიცი რაზედ” და “მოთქმა საწყლისა”, რომლებიც დაახლოებით 1840-იანი წლების დამლევითა და 1850-იანი წლების დასაწყისით თარიღდება (იხ. დასახელებული ლექსების კომენტარები).

მეორე მხრივ, როგორც პ. ინგოროყვა შენიშნავს ი. ჭავჭავაძის თხზულებათა 1925 – 1951 წწ.გამოცემების კომენტარებში, მართალია, “ალბომში კნეინის ნატალია ანდრონიკოვისას”, ისევე როგორც “კნეინა თიკოს...” ხემო აღნიშნულ ავტოგრაფში “ჩაწერილია ...უფრო გვიანი დროის ხელით, რომელიც გვაგონებს ილიას ერთ კერძო წერილს 1856 –1857 წლებისას”, მაგრამ, რასაკვირველია, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ეს ლექსები უთუოდ “1856 –1857 წლებს ეკუთვნის”, - არ ნიშნავს, რადგან ადვილად შესაძლებელია რომ ზემოაღნიშნულ ხელნაწერში ჩვენ გვაქვს ამ ორი ლექსის “არა პირველნაწერი ავტოგრაფი, არამედ მათი პირი რომელიც ავტორს შემდეგ გადაუწერია”. (ისევე, როგორც აქვე ჩაწერილ ლექსს - “ჩემი გონებიდგან განუმორებელო დაო ნინავ”, როგორც ვიცით, უფრო ადრეული ავტოგრაფიც მოიპოვება - იხ. კომენტარი ლექსისა “ჩემი გონებიდგან განუმორებელო დაო ნინავ”, გვ. 518).

ლექსის თარიღის მეტ-ნაკლები სიზუსტით და დასადგენად აუცილებელია ვიცოდეთ, თუ კონკრეტულად როდის მოხდა ის “ქორწინება”, რომელიც ამ ლექსში მოიხსენიება, მაგრამ ამის თაობაზე არავითარი ვარაუდის გამოთქმა არ შეგვიძლია. ვინაიდან ზემოთ მითითებულ ავტოგრაფში ჩაწერილი ლექსების ქრონოლოგიური ჩარჩოები დაახლოებით 1852 –1856 წლები განისაზღვრება (იხ. კომენტარი ლექსისა - “ჩემი გონებიდგან განუმორებელო დაო ნინავ”), ლექსს პირობითად ამ წლებით ვათარიღებთ: [1852 - 1856-წწ.].

ნატალია ანდრონიკოვისა: ნატალია (ანდრონიკაშვილი) მოხსენებულია ილია ჭავჭავაძის სტუდენტობის დროინდელ ერთ კერძო წერილში (1858 წ., 13 VII), რომელიც მან თავის ნათესავს ნენე დიმიტრის ასულ ჭავჭავაძე-ანდრონიკაშვილს გამოუგზავნა რუსეთიდან. წერილის კონტექსტის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნატალია იყო ნენეს მეუღლის - დიმიტრი ანდრონიკაშვილის და (მითითებული წერილი იხ. ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრულ კრებულში, ტ. I, 1961, გვ. 12 –15).

კნიაჟნა თიკოს ჭავჭავაძის] ალბომში (გვ. 294)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : U: ავტოგრაფი, № 105, გვ. 4.

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : თ. ილია ჭავჭავაძე.

ლექსში გასწორდა ერთი კალმისმიერი ლაფსუსი: 5 ლექსსაღეღექსსა. გასწორდა აგრეთვე კნეიჟნაღეღქნიაჟნა.

ლექსი დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემაში, - სარედაქციო შენიშვნებში (გვ. XXIV), დაუთარიღებლად, სათაურით: “კნეინა თიკოს ჭავჭავაძის ალბომში”, სარედაქციო შენიშვნებში, ლექსი მოხსენიებულია (სათაურით: “კნ. თიკო ჭავჭ. ალბომში”).

1925 – 1951 წლების გამოცემებში, სარედაქციო შენიშვნებში, ლექსი მოხსენიებულია: “კნ. თიკო ჭავჭ. ალბომში”), მაგრამ დაბეჭდილი არ არის, დათარიღებულია პირობითად - “[50-იანი წლებიდან - 1856-მდე]”.

ლექსს ჩვენც ფართო თარიღს ვაძლევთ: [1852-1856 წწ.]. დათარიღებასთან დაკავშირებით იხ. კომენტარი ლექსისა “ალბომში კნეინის ნატალია ანდრონიკოვისას” (გვ. 524).

თიკო ჭავჭავაძე: თავისი უფროსი დის - ნინოსადმი პეტერბურგიდან გამოგზავნილ წერილში (1859 წ., 18 II), უახლოეს ნათესავეებთან ერთად, ილია თიკოსაც (ჭავჭავაძე?) უთვლის მოკითხვას. აშკარაა, თიკო ჭავჭავაძე ილიას ოჯახის ახლობელი იყო, მაგრამ ლექსის ადრესატის შესახებ რაიმე ცნობების მოძიება ვერ მოხერხდა (დასახელებული წერილი იხ. ილია ჭავჭავაძის თხზულებათა სრულ კრებულში, ტ. X, 1961, გვ. 8-11).

პავლოვსკის პარკი (გვ. 295)

ხელნაწერი: U: ავტოგრაფი, კრებ. № 108, გვ. 54.

თარიღი: 1858-სა წელსა, 1-სა აგვისტოს, ს. ტიარლევო.

ავტოგრაფი გადახაზულია წითელი ფანქრით და იმავე ფანქრით არშიაზე მიწერილია: ”რიტორიკა უშვერი”.

ამ ლექსის ერთადერთი ავტოგრაფი არსებობს. ლექსი პირველად გამოქვეყნდა 1914 წელს, ილია ჭავჭავაძის თხზულებათა მიხ. გედევანიშვილისეულ გამოცემაში (გვ. 20), სადაც ტექსტი უმნიშვნელო ცვლილებით დაიბეჭდა. კერძოდ, ილიასეული “პარკს დასდებოდა” შეცვლილ იქნა სიტყვებით “პარკს დასდგომოდა” ასევე: “ვსჭვრეტდი” - ვჭვრეტდი”. მეტი ცვლილებებია შეტანილი ავტოგრაფისეულ ტექსტში ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1925-1951 წწ. გამოცემებში. სახელდობრ, 1951 წლის გამოცემაში, ავტოგრაფისეული ფიქრით შეცვლილია სიტყვის ფიქრში; გრგვინვით რისხვით; ცის მზის; მარამღეღმარამ; დამიფთხო, ბედიც წარმტაცა დამიფრთხო, ბედიც წარმტაცა (1925 წლის გამოცემაში უცვლელადაა დატოვებული სიტყვები: ფიქრით, გრგვინვით, ცის). ასევე ვითარებითი ბრუნვის ნიშნით -ათ, -თ, შეცვლილია -ად, -დ ფორმებით.

ჩვენს გამოცემაში ილიასეული ტექსტი იბეჭდება უცვლელი სახით.

პავლოვსკი: 1796 წლიდან მეფის საზაფხულო რეზიდენცია მდ. სლავიანკაზე, პეტერბურგიდან (ახლანდელი ლენინგრადი) რამდენიმე კმ-ის მოშორებით. ცნობილია ულამაზესი პარკით (უკავია 600 ჰა). ილიას დროს ქართველი სტუდენტობა ზაფხულში პავლოვსკში ატარებდა.

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : M: ავტოგრაფი, კრებ. № 17501, გვ. 29 (B); U: ავტოგრაფი, კრებ. № 108, გვ. 62 (A).

თ ა რ ი ღ ი : 30 დეკემბერს, 1858 წელსა, ს. პეტერბურდი B. 1858-სა წელსა, 30-სა დეკემბერს, ს. პეტერბურდი A.

A ავტოგრაფის აშიაზე ილიას ხელით ფანქრით მიწერილია “რიტორიკა” და იმავე ფანქრით გადახაზულია მთელი ლექსი.

ტექსტი ნასწორებია: მასში მე-8 სტრიქონის (“შობისა უმაღლ...”.) შემდეგ გადახაზულია სტროფი: “შენ ჩემი ცრემლი ბედს მოგიწამლავს, ოხ! მძიმე ოხვრა გულს შეგიწრწუნებს, არა! ვერ გასმენ მას, რაიც შობავს იმ ოხვრის სუნთქვას, იმ ცრემლის გუბეს”.

4 ჩემს] ჩემ B. 9-10 არა, ვერ გასმენ... იმ ოხვრის სუნთქვას - B. 12 შენგან ჩაგრული და განგდებული] შენგან უცნობი და დაჩაგრული B.

ლექსი პირველად დაიბეჭდა 1914 წელს, ილიას თხზულებათა მ. გედევანიშვილისეულ გამოცემაში (გვ. 28). ამ გამოცემაში, ლექსის მე-5 სტრიქონში, ნაცვლად ავტოგრაფისეული სიტყვისა “გასმენ”, დაბეჭდილია “გისმენ”.

ლექსი დავათარიღეთ AB ავტოგრაფების მიხედვით, ვიცავთ A-ს დათარიღების სტილს.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 და 1925-1951 წლების გამოცემებში არ არის განმარტებული, თუ ვინ იგულისხმება გამოქვეყნებული ლექსის სათაურში გამოტანილ ინიციალში (“ს”) - ვის ეძღვნება ეს სატრფიალო ლექსი.

“ს...ს”, ჩვენი ვარაუდით, გულისხმობს “სამას” (ან “საშენკას”) და ისევე როგორც ლექსები “მაშინ დავსტკბები” (გვ. 71), “ს...ჩ.....სას” (გვ. 101) და “ჩ...სას” (გვ. 102), ეძღვნება პეტრე ილიას ძე ჩაიკოვსკის დას, ალექსანდრა (სამა) ჩაიკოვსკაიას (იხ. კომენტარი ლექსისა “მაშინ დავსტკბები”, გვ. 344).

*** “მითხარ, “მიყვარხარ”... (გვ. 298)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : M: ავტოგრაფი, კრებ. № 17501, გვ.11.

თ ა რ ი ღ ი : 18 იანვარს, 1859 წელს, პეტერბურდი.

ავტოგრაფში ლექსი ჯვარედინად გადახაზულია მელნით, - ჩანს, ილიას მიერვე.

ლექსი პირველად დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა მიხ. გედევანიშვილისეულ გამოცემაში, 1914 წელს (გვ. 41).

*** “ტუჩთა მიკონვა”... (გვ. 299)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : M: ავტოგრაფი, კრებ. № 17501. გვ. 20 (B); U: ავტოგრაფი, კრებ. № 108, გვ. 63 (A)

თ ა რ ი ღ ი : 1859 წელსა, 20 თებერვალს, ს. პეტერბურდი B; 1859-სა წელსა, 20-სა თებერვალს, ს. პეტერბურდი A.

ორივე ავტოგრაფში ტექსტი გადახაზულია, - ჩანს, ავტორის მიერ.

1 ჩაკოკრება] მიკარება B. 2 ჩვენ] ჩვენს B. 6 მსუნაგსავით] ნატვრისაგან B; ყლაპავს] ყლაპას B.

ლექსი პირველად დაიბეჭდა 1914 წელს, ი. ჭავჭავაძის თხზულებათა მიხ. გადევანიშვილისეულ გამოცემაში (გვ. 44).

სიზმარი (“ძმაო, სურვილით”...) (გვ. 300)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : U: ავტოგრაფი, კრებ. 108, გვ 46.

ლექსი დაუთარიღებელია, გადახაზულია (ჩანს, ავტორის მიერვე).

“სიზმარი” პირველად დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემაში (გვ. 30). ნაბეჭდი თანხვედბა ავტოგრაფს. აღნიშნულ გამოცემაში (სარჩევში) ლექსი დათარიღებულია 1858 წლის (თუმცა განმარტებული არ არის, თუ რას ემყარება ასეთი დათარიღება).

1925-1951 წწ. გამოცემებში ლექსი დათარიღებულია 1859 წლით, რაც იმით არის არგუმენტირებული, რომ “სიზმარი” მოთავსებულია ილიას ავტოგრაფული კრებულის პირველ ნაწილში, რომელიც პ. ინგოროყვას ვარაუდით, “გადაწერილია 1859 წელს, 4 ივნისს და 30 ნოემბერს შორის” (იხ. ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, - სარედაქციო შენიშვნები, - 1951, გვ. 409, 431).

ასეთი ვარაუდი გამართლებულად მიგვაჩნია, მაგრამ ვფიქრობთ, ილიას მიერ “სიზმრის” გადაწერის თარიღის დადგენა არ არის საკმარისი ამ ლექსის შექმნის თარიღის გასარკვევად. მართლაც, მითითებული ავტოგრაფული კრებულის პირველ ნაწილში, რომელშიც “სიზმარია” მოთავსებული, ილიას დანარჩენ 44 ორიგინალურ და თარგმნილ პოეტურ ნაწარმოებთაგან მხოლოდ ზოგი (14 ნაწარმოები) თარიღდება 1869 წლით, სხვები კი - 1856, 1857 და 1858 წლებით (1856 წლით - ერთი ნაწარმოები, 1857 წლით - სამი, 1858 წლით - ოცდაექვსი). ამავე დროს - რაც მთავარია, - აღნიშნული ნაწარმოებები ილიას მიერ ავტოგრაფულ კრებულში არ არის განლაგებული ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. ასე, მაგ., “სიზმრის” მომდევნო ცამეტი ნაწარმოებიდან (სიზმარი კრებულში რიგით ოცდამეთორმეტეა) ექვსი ნაწარმოები 1859 წლით თარიღდება ექვსი - 1858 წლით, ერთი - 1857 წლით. ამრიგად, ავტოგრაფიულ კრებულში “სიზმრის” ადგილის მიხედვით შეუძლებელია რაიმე დასკვნების გამოტანა იმის თაობაზე, თუ 1856-1859 წლებიდან კონკრეტულად რომელ წელსაა ეს ლექსი დაწერილი. ამიტომ ჩვენ ვერ გავიზიარებთ “სიზმრის” იმ დათარიღებას, რომელიც ილიას თხზულებათა ზემოთ მითითებულ გამოცემებშია წარმოდგენილი.

ჩვენი აზრით, “სიზმრის” დათარიღება მხოლოდ ძალზე მიახლოებით არის შესაძლებელი: კერძოდ, თუკი ვირწმუნებით, რომ ავტოგრაფულ კრებულში ეს ლექსი მართლაც 1859 წლის 30 ნოემბრამდეა ჩაწერილი, და თუ გავითვალისწინებთ ნაწარმოების შინაარსს, რომლის მიხედვითაც უფლება გვაქვს ვივარაუდოთ, რომ “სიზმარი” საქართველოს ფარგლებს გარეთ შეიქმნა (ჩანს - რუსეთში, ილიას სტუდენტობის პერიოდში), - დაბეჯითებით მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ ეს ლექსი დაიწერა არა უადრეს 1857 წლის ივლისისა (ილია ამ დროს ჩავიდა პეტერბურგში), და არა უგვიანეს 1859 წლის ნოემბრის მიწურულისა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე “სიზმარი” პირობითად შეიძლება ასე დავათარილოთ: [1857 წ. ივლისი - 1859 წ. ნოემბერი].

ზოგიერთს (გვ. 302)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : U: ავტოგრაფი, კრებ. № 108, გვ. 132.
თ ა რ ი ღ ი : 6 ოქტომბერს, 1860, პეტერბურგი.

ტექსტი გადახაზულია (ჩანს, ავტორის მიერ) ფანქრით, ჯვარედინად.

ავტოგრაფში, ლექსის მე-7 სტრიქონში, ნაცვლად სიტყვებისა “რას იტყვიან” ჯერ ეწერა “არა ხედვენ”. შემდეგ ავტორის მიერ შესწორებულია: “რას იტყვიან”, მაგრამ “არას” პირველი ა ოდნავ არის გადახაზული და შეიძლება წაკითხულ იქნას: “არას იტყვიან”. ი. ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემაში დაბეჭდილია “არას იტყვიან”, 1925-1951 წლების გამოცემებში კი - “რას იტყვიან” (ამავე სტრიქონში იკითხება “სიდაბლეთა”, რომელიც 1925-1951 წწ. გამოცემებში შეცვლილია ფორმით: “სიმდაბლეთა”).

ლექსი პირველად დაიბეჭდა 1914 წელს, მიხ. გედევანიშვილისეულ გამოცემაში, გვ. 65, დათარიღებულია 1860 წლის სექტემბრით (სარჩევში, გვ. II).

კოლა ერისთავს (გვ. 303)

პ. ინგოროყვას ცნობით, “ლექსი წარწერილი ყოფილა ილიას თხზულებათა კრებულზე (“ქართველთა ამხანაგობის” 1892 წლის გამოცემა), რომელიც ილიას კოლა ერისთავისათვის მიუძღვნია” (ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე , თხზულებათა სრული კრებული, სარედაქციო შენიშვნები, ტ. I, 1951, გვ. 491). ი. გრიშაშვილს ამ ლექსის პირი გადაუცია პ. ინგოროყვასთვის, ხოლო ამ უკანასკნელმა პირველად იგი დაბეჭდა 1937 წელს, ილია ჭავჭავაძის თხზულებათა I ტომში (გვ. 684). “ეს ილიას უცნობი ექსპრომტია-დეკლამატორ კოლა ერისთავისადმი მიძღვნილ წიგნზე წარწერილი”, - წერდა ლექსის შესახებ ი. გრიშაშვილი (იხ. მისი “ილია ჭავჭავაძე და თეატრი”, საიუბილეო კრებული, 1939 გვ. 90).

პ. ინგოროყვას მიერ მოწოდებული ცნობის შესაბამისად, ექსპრომტად პირობითად შეიძლება დავათარილოთ 1890-იანი წლებით.

კო ლ ა ე რ ი ს თ ა ვ ი (1865-1933 წწ.) - ცნობილი დეკლამატორი, რომელიც ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებებსაც კარგად კითხულობდა. მიუხედავად ასაკობრივი სხვაობისა, კოლა ერისთავი ახლომეგობრულ ურთიერთობაში იყო ილიასთან და მუდმივი სტუმარი ყოფილა საგურამოში ილიაობის აღსანიშნავად გამართული ტრადიციული წვეულებებისა, რომელზეც, მწერლის პატივსაცემად, ქართული ინტელიგენციის რჩეული წარმომადგენლები იყრიდნენ თავს. ლხინს თან სდევდა “სიტყვა-თამაში, სიტყვები, ექსპრომტები, მოსწრებული ლაპარაკი და ბოლოს კოლა ერისთავისაგან წარმოთქმული მშვენიერ კილოზე ჩვენი პოეტების ლექსები, ილიას და აკაკის პოემები” (ს. მაგალობლიშვილი, მოგონებები, თბ. 1938, გვ. 168).

ეკატერინე სარაჯოვისას (გვ. 304)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : M: ავტოგრაფი, № 17502 (B); ავტოგრაფი, დაცული საგურამოს ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში (A).

ხ ე ლ მ ო წ ე რ ა : ილია ჭავჭავაძე (ორივე ტექსტზე).

B-ში ლექსი დაწერილია მცირე ზომის მუყაოზე. მისი ტექსტი პირველად გამოქვეყნდა 1922 წელს ჟურნ. “ლომისში” (№ 4, გვ. 2), -ცალკეული უზუსტობებით (ლექსის პირველ სტრიქონში, ნაცვლად ფორმისა “ლექსს”, დაბეჭდილია “ლექს”; ნაცვლად ფორმისა “სდაც”, არის “სადაც”, რაც არღვევს სალექსო სტრიქონის ზომას). B-ს ტექსტი დაიბეჭდა ი. ჭავჭავაძის თხზულებათა 1925-1951 წწ. გამოცემებში (პირველნაბეჭდის მითითებული უზუსტობები ამ გამოცემებში გასწორებულია).

ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახლ-მუზეუმის საგამოფენო დარბაზში ექსპონირებულია ილიას საკმაოდ მოზრდილი ფოტოსურათი (ადრე ეს ფოტოსურათი დაცული იყო ლიტერატურულ მუზეუმში), რომელზეც ილიას მიერ წარწერილია ეკატერინე სარაჯიშვილისადმი მიძღვნილი აღნიშნული ლექსი (A). ამ ავტორის ტექსტი B-ს მცირეოდნად განსხვავებულ ვარიანტს წარმოადგენს. კერძოდ, ნაცვლად B-ს მეორე სტრიქონისა - “შიგ გაგიხვევ მე”, ამ ვარიანტშია “და გაგიხვევ შიგ”; მეოთხე სტრიქონში სიტყვა “შენსა” შეცვლილია სიტყვებით “მე შენს”.

A-ს ტექსტი გამოაქვეყნა გ. შარაძემ 1980 წელს (იხ. მისი “არქეოგრაფიული ეტიუდები. 1 ილიას ერთი ლექსი და მისი ადრესატი”, - ჟურნ. “საბჭოთა ხელოვნება”, 1980 წ. № 8, გვ. 69).

ილია ჭავჭავაძის ფოტოპორტრეტი დაახლოებით 90-900-იან წლებს განეკუთვნება. ილიას ექსპრომტსაც პირობითად ასე ვათარილებთ: [1890-900-იანი წწ.].

ეკატერინე სარაჯიშვილისა: ეკატერინე ივანეს ასული ფორაქიშვილი-სარაჯიშვილისა (1862-1916), - ცნობილი ქართველი მრეწველისა და საზოგადო მოღვაწის დავით სარაჯიშვილის (1848-1911) მეუღლე, რომელიც არანაკლებ ცნობილი ყოფილა თავისი უანგარობით და ქველმოქმედებით. ქართველი ინტელიგენციის დიდი ქომაგების, სარაჯიშვილების სახლის კარი მუდამ ღია იყო ცნობილი ქართველი მოღვაწეებისათვის. სარაჯიშვილების ხშირი სტუმარი ყოფილა ილია ჭავჭავაძეც, რომელსაც მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა მათთან. ამ სახლში გამართულ ლიტერატურულ საღამოებზე ილიას პირველად წაუკითხავს “განდევილი”, “ოთარანთ ქვრივი” და სხვ. ეკ. სარაჯიშვილისადმი დიდი პატივისცემის ნიშნად, პოეტს მისთვის უსახსოვრებია თავისი პორტრეტი ზედ წარწერილი მითითებული ლექსით.

*** “ამ შენ სახეს”... (გვ. 305)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : ავტოგრაფი, დაცული ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში.

ეს სახუმარო ლექსი ილიას მიერ წარწერილი ნ. ხიზანიშვილის ფოტოპორტრეტზე, რომელიც ამჟამად ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმშია ექსპონირებული.

ლექსი პირველად დაიბეჭდა 1937 წელს, ილია ჭავჭავაძის თხზულებათა პირველ ტომში, სათაურით - “ნიკო ხიზანიშვილს” (გვ. 684). ლექსის პირი, გამოსაქვეყნებლად,

პ. ინგოროყვასათვის ი. გრიშაშვილს გადაუცია. ნაბეჭდი თანხვდება ავტოგრაფს (გარდა ერთი შემთხვევისა: ავტოგრაფია “შენ”, ნებეჭდში - “შენს”).

ლექსს ვათარილებთ ნ. ხიზანიშვილის ფოტოპორტრეტის მიხედვით, რომელიც მიახლოებით 1890-1900-იან წლებში უნდა იყოს გადაღებული.

ნიკო ხიზანიშვილი (1851-1906 წწ) - ცნობილი ხალხოსანი, პუბლიცისტი, ეთნოგრაფი, ისტორიკოსი, იურისტი. თანამშრომლობდა “იმდემი”, “დროებაში”, “ივერიაში” და სხვ. წერდა ფსევდონიმებით “ურბნელი”, “PIebs”. მისი მეუღლე იყო გამოჩენილი ქართველი მსახიობი (შემდეგში საქართველოს სსრ სახალხო არტისტი) ელისაბედ ჩერქეზიშვილი.

ნ. ხიზანიშვილს ახლომეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ილიასთან და შეხუმრებულებიც იყო მასთან. ილია სხვას არ აპატიებდა, ნ. ხიზანიშვილისაგან კი არ სწყინდა სიყვამოსწრებული ხუმრობაო, წერდა ი. მანსვეტაშვილი (იხ. მისი “მოგონებანი”, 1936 წ., გვ. 133). ეს სახუმარო გამქირდავი ექსპრომტიც ილიამ თავის მეგობარს, ჩანს, მისი ენაკვიმატობის საპასუხოდ მიუძღვნა.

თედო სახოკიას მოგონებებში აღწერილია ნ. ხიზანიშვილთან დაკავშირებული რამდენიმე შემთხვევა, რომელთაგან თითოეული ადვილი შესაძლებელია ილიას ამ ექსპრომტის უშუალო საბაზი გამხდარიყო. ერთხელ, ილია ჭავჭავაძესთან სტუმრად ყოფნისას, ვახშამზე, ნ. ხიზანიშვილი, რომლის “ჭამა-სმა ყველას საარაკოდ ჰქონდა..., შეპარულა ი ლია ჭავჭავაძის სამზარეულოში, დაუნახავს დაბრაწული გოჭი..., მოსჯდომია და მანამდე უჭამია, სანამ ცარიელი ძვლებიღა დარჩებოდა. გოჭის შემოტანა რომ დაუგვიანებია მზარეულს, თვითონ ილ. ჭავჭავაძე გამოსულა და მზარეულთან შესულა გოჭის ამბის გასაგებად, დახვედრია დარცხვენილი ნიკო ხიზანიშვილი და ცარიელი ძვლები გოჭისა. რა თქმა უნდა, ყველაფერი საერთო სიცილით გათავებულა (თ. სახოკია, ჩემი საუკუნის ადამიანები, თბილისი, 1984, გვ. 29).

*** “ჯერეთ ყრმა ვიყავ...” (გვ. 306)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : M: ავტოგრაფი კრებ., № 17501, გვ. 60.

ავტოგრაფული კრებულის გვ. 60 ა-ზე ჩაწერილი ფრაგმენტების პირველი ტაეპის ვარიანტი: “ჯერედ ყმა ვიყავ, როცა ვიცან მე ჩემი ბედი”, გვ. 60-ზე კი ჩვენს ტომში დაბეჭდილი ბოლონაკლული სტროფია.

ტექსტში გასწორდა კალმისმიერი ლაფსუსი: 2 სიტბო ΓEსიტკბო.

ილია ჭავჭავაძის თხზულებთა 1914 და 1925-1951 წლების გამოცემებში ეს ფრაგმენტი არ არის დაბეჭდილი ან მოხსენიებული. იგი მოხსენიებული არ არის არც წიგნში - “ილია ჭავჭავაძის ავტოგრაფები”, რომელშიც ილიას ზემოაღნიშნული ავტოგრაფული კრებულის დეტალური აღწერილობაა წარმოდგენილი (იხ. ილია ჭავჭავაძის ავტოგრაფები, აღწერილობა, შეადგინა და დასაბეჭდად მოამზადა შ. გოზალიშვილმა, თბ., 1951, გვ. 26-38).

ფრაგმენტი მოთავსებულია ავტოგრაფული კრებულის იმ ნაწილში, რომელიც შეიცავს ილიას ნაწარმოებებს (ორიგინალურს და თარგმნისს), დაწერილს ძირითადად 1859-1960 წლებში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ფრაგმენტს, პირობითად, 1859-1860 წლით ვათარილებთ.

*** “ერთხელ ვიყავ ბედნიერი” (გვ. 307)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : M: ავტოგრაფი, კრებ. № 17501, გვ 102.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემაში ფრაგმენტი არ არის დაბეჭდილი და არც მოხსენიებული.

“ერთხელ ვიყავ ბედნიერი...” რამდენიმე სხვა ფრაგმენტთან ერთად დაიბეჭდა 1925-1951 წლების გამოცემებში, თარიღით, - “[1860 წ.]” დათარიღებასთან დაკავშირებით, მითითებული გამოცემების სარედაქციო შენიშვნებში ნათქვამია, რომ ეს ფრაგმენტი, ცხადია, 1860 წელს განეკუთვნება, რადგან “ჩაწერილია ავტოგრაფის იმ ნაწილში, რომელიც 1860 წლის შავებს წარმოადგენს” (იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 1, 1951, გვ. 436).

შესაძლებელია, ფრაგმენტი 1860 წელს დაიწერა, მაგრამ ასევე შესაძლებელია, რომ იგი 1861 წელს იყო დაწერილი, რამდენადაც ზემომითითებულ ავტოგრაფულ კრებულში “ერთხელ ვიყავ ბედნიერი” ჩაწერილია არა 1860 წელს დაწერილ ნაწარმოებებთან, არამედ 1860 და 1861 წელს დაწერილ ნაწარმოებებს შორის, - 1860 წელს დაწერილი ნაწარმოებების შემდეგ და 1861 წელს დაწერილი ნაწარმოებების წინ (დასახელებული ავტოგრაფული კრებულის აღწერილობა იხ. შ. გოზალიშვილის ნაშრომში “ილია ჭავჭავაძის ავტოგრაფები”, 1951, გვ. 26 – 38).

ზემოთქმულიდან გამომდინარე ლექსს მიახლოებით ვათარიღებთ: [1860 – 1861 წწ].

სამი სიკვდილი (გვ. 308)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : M: ავტოგრაფი, კრებ. № 17501, გვ 109.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის და 1925 – 1951 წლების გამოცემებში ფრაგმენტი არ არის დაბეჭდილი ან მოხსენიებული.

ფრაგმენტი ჩაწერილია ზემოთ მითითებული ავტოგრაფული კრებულის ბოლო ნაწილში, - 1961 წლის ლექსებს შორის: უშუალოდ ამ ფრაგმენტის წინ ჩაწერილია პირველი ვარიანტები ლექსისა “მას აქეთ, რაკი...”, რომელიც 1861 წლის 6 აგვისტოთი თარიღდება, ხოლო შემდეგ - დაუთარიღებელი ფრაგმენტი “დიამბეგის შვილს ნანა”... და უკანასკნელი ჩანაწერები ამ კრებულისა, - ვარიანტები ლექსისა “ჩემო კალამო”... რომლებიც 1861 წლის ოქტომბერს განეკუთვნება.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ფრაგმენტებს ვათარიღებთ 1861 წლით.

*** “დიამბეგის შვილს ნანა...” (გვ. 309)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : M: ავტოგრაფი, № 17501, გვ 113.

ავტოგრაფში ტექსტის სამივე სტრიქონი გადახაზულია, - ჩანს, ილიას მიერვე. შემდეგ ილის განმეორებით დაუწერია ლექსის პირველი ტაეპი, მაგრამ ამაზე შეჩერებულა და ტექსტზე მუშაობა აღარ გაუგრძელებია.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემაში “დიამბეგის შვილს ნანა” არ არის დაბეჭდილი და არც მოხსენიებული.

ფრაგმენტი დაიბეჭდა 1925 - 1951 წლის გამოცემებში, - თარიღით: “[1860 წ.]”. ამ გამოცემათა სარედაქციო შენიშვნებში ნათქვამია, რომ ეს ფრაგმენტი, “ცხადია... ეკუთვნის 1860 წელს”, - ისევე, როგორც “ერთხელ ვიყავ ბედნიერი”... (იხ. ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, გვ. 436; იხ. აგრეთვე, ჩვენი კომენტარი ფრაგმენტისა “ერთხელ ვიყავ ბედნიერი...” გვ. 533).

ჩვენი აზრით, “დიამგების შვილს ნანა...” დაწერილი უნდა იყოს არა 1860, არამედ 1861 წელს, რადგანაც ტექსტი ჩაწერილია ზემომითითებული ავტოგრაფული კრებულის ბოლო ნაწილში, ფრაგმენტის - “სამი სიკვდილი” - შემდეგ, 1861 წელს დაწერილ ლექსებს შორის (იხ. კომენტარი ფრაგმენტისა - “სამი სიკვდილი...” 533).

ზემოაღნიშნულ მოსაზრებებზე დაყრდნობით, ფრაგმენტს ვათარილებთ 1861 წლით.

ტექსტში გასწორდა ერთი კალმისმიერი ლაფსუსი: დიამბიკოსს GE დიამბიკოს.

*** “რითაც ვიყავ მოქადული...” (გვ. 310)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : U: ავტოგრაფი, № 133.

ლექსი დაწერილია ცალკე ფურცელზე, რომელსაც ბოლო მოხეული აქვს. ამის გამო ძნელია თქმა, დაასრულა თუ არა ილიამ ლექსი. ავტოგრაფი იწყება გადახაზული სტრიქონებით:

რითაც ვიყავ მოქადული,
ყველა მე შენ განაცვალე,
მე უშენოდ აღარა მწამს
არც დღეისი, არცა ხვალე.
ყველა წარხდა... ცნობა, გრძნობა,
აღარარა შემრჩენია,
მხოლოდ გულში შენი სახე,
ვითა ხატი, მისვენია.
მას ვლოცულობ, მე დღედაღამ
მას შევხარი, მას შევცქერი.

ამას მოსდევს ტექსტი, რომელიც გადახაზული არ არის, მაგრამ ბოლო მოხეული აქვს:

რითაც ვიყავ მოქადული,
ყველა მე შენ განაცვალე:
სული, გული, ცნობა, გრძნობა,
დღეისი და ჩემი ხვალე.

შენ გემსხვერპლა ცნობა, გრძნობა,
აღარარა შემრჩენია...
ესღა შემ...

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემაში ეს ლექსი არ არის დაბეჭდილი და არც მოხსენიებულია.

“რითაც ვიყავ მოქადული” სხვა ფრაგმენტებთან ერთად დაიბეჭდა 1925 - 1951 წლების გამოცემებში.

ლექსის დაწერის თარიღთან დაკავშირებით ამ გამოცემებში რამდენიმე ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებაა გამოთქმული: სარედექციო შენიშვნებში ერთგან (ილიას მხატვრულ ნაწარმოებთა ავტოგრაფებისა და ნუსხების დახასიათებისას) ნათქვამია, რომ მითითებული ფრაგმენტის “თარიღის გამოურკვეველია”; მეორეგან (ილიას მხატვრული ნაწერების ქრონოლოგიური სიის სქოლიოში) აღნიშნულია, რომ, მართალია, ამ ლექსის თარიღი “ზედმიწევნით გამორკვეული არაა”, მაგრამ ლექსი, ჩანს, ეკუთვნის “ილიას ცხოვრების ბოლო პერიოდს 90-იან - 900-იან წლებს”; ფრაგმენტის ნაბეჭდ ტექსტს კი თარიღად უზის: “[80 - 90-იანი წლ.]”.

ლექსის თარიღის დადგენა ვერც ჩვენ შევძელით და ამიტომ იგი დაუთარიღებლად დავტოვეთ.

ძირითად ტექსტად მივიღეთ ი. ჭავჭავაძის თხზულებათა 1925 -1951 წლების გამოცემებში დაბეჭდილი ტექსტი, რომელიც გამომცემლების მიერ არის აღდგენილი.

*** [ირაკლი] (გვ.311)

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი : M ავტოგრაფი, № 17501, გვ. 71 - 83.

ავტოგრაფი შავია, მასზე ჩანს ავტორის მთელი მუშაობის პროცესი. ზოგი სიტყვა ძნელად იკითხება ან სულ არ იკითხება.

თვითონ ტექსტი უსათაუროა და უთარილო. 1925 - 1951 წწ. გამოცემებში სათაური “ირაკლი” პირობითად აქვს მიცემული. ჩვენც ვიზიარებთ ასეთ დასათაურებას. ზემოხსენებულ გამოცემებში არ არის რატომღაც შეტანილი გვ. 315-ის მე-3 სტრიქონიდან (“რათ გვინდა ჩვენ”...) მე-19 სტრიქონის (“თუ ვერ აიტანს..”) ჩათვლით. ჩვენს გამოცემაში სრულად მოვიტანეთ ილიასეული ტექსტი, რომელიც ასეთი სახით პირველად იბეჭდება.

1925 - 1951 წწ. გამოცემებში სიტყვები, რომლებიც ხელნაწერში ძნელად იკითხება, კვადრატულ ფრჩხილებშია მოქცეული, ხოლო მრგვალ ფრჩხილებში მოთავსებულია ის სიტყვები, რომლებიც ავტორს გადაუხაზავს და სამაგიერო აღარ დაუწერია. ჩვენც ვტოვებთ მათ ისე, როგორც წინა გამოცემებშია.

311. მე-13 სტრიქონის (“ცავ! მე დამითმე...”) შემდეგ გადახაზულია “მის მაგიერათ მე დამეცი შენ რისხვის მეხნი”.

312. მე-12 სტრიქონის (“იგი დღედაღამე...”) შემდეგ გადახაზულია “შენ გწვავს ის, რომ იწვის შენი შვილი”. მე-16 სტრიქონის (“იქ, მე ვფიქრობდი, განვასვენებ”...) შემდეგ გადახაზულია “ჩემი ბრალია, რომ შემქმნელმან ჩვენ ესე შეგვქმნა”. მე-20 სტრიქონის (“ვისაც შეეძლო...”) შემდეგ გადახაზულია “და იქაც შევცდი, მან უწყალოთ მე განმამდევნა, ვაიმე შვილო, უბედური მყვანდი მყოლ [...] შენა”.

314. მე-13 სტრიქონის შემდეგ (“არც მილოცნია”...) გადახაზულია.

— არა მყოლია მე უფალი, მაშ ვერც ვგმობ მასსა,
არც მილოცნია ის ჩემ დღეში, ვერც ვგმობ მასსა,
მე ხოლოთ ვამბობ, მას აკლია ერთი თვისება,

— უნაკლოა იგი და მის დიდი არსება.
— არა, ჩვენდამი მას არა აქვს არც სიყვარული,
თავის თავშივე იგი არის ღრმად ჩამარხული,
— დადუმდი, თვარა შენ მსმენელი ლამისა მოვკვდე,
— მაგას შენ ამბობ, განა ამას აქვს სიყვარული,
ვინც...

314. 20 - 21-ე სტრიქონის (“ირაკლი, მარტო”) შემდეგ გადახაზულია:

საბრალო მამა! ტვირთი მცნებისა
განა მძიმეა! შენ გაექცე შენ შენსა შვილსა,
მე კი, მე კი რად გავექცე თვით ჩემს თავსა.
მე დასჯილი ვარ სიყვარულით, ეჭვით, მცნებითა,
ავიტან ყველას...
რისთვის აცვია ხრწნადი ტანი სულსა უკვდავსა.

316. მე-4 სტრიქონის (“რალათა ბძანე...”) შემდეგ გადახაზულია: “ან რათ მითხარი, ხოლოთ უნდა კეთილი იყო, როს შემძლიან ბოროტიცა ყოველთვის ვიყო?” მე-8 სტრიქონის (“თუ ვერ აიტანს...”) შემდეგ გადახაზულია:

თუ სიკეთე ხარ, რისთვის ქმნიდი ბოროტებასა,
თუ ბოროტი ხარ, რალათ ჩემობ კეთილობასა.
თუ სიკეთე ხარ, რალად შეჰქმენ შენ ბოროტება,
ვინც ქმნა ბოროტი, ის კეთილი ვითლა იქმნება,
თუ შენ მაშინებ, რომ ჩამაგდებ შენს ჯოჯოხეთში,
არა და, რა შენ ვერ გხედავ...

მე-13 სტრიქონის (“მეც დაუძღვრდი...”) შემდეგ გადახაზულია “სანთელი გაქრა, ჩემი ტანჯა რათ არა ქრება?” მე-15 სტრიქონის (“თუ შენ გივყვარვართ...”) შემდეგ გადახაზულია “რათ არ ვიძინებ? შემასვენებს განა მე ძილი?” მე-20 სტრიქონის (“ის ბედნიერი”) შემდეგ გადახაზულია:

მაგრამ შენ იყავ თუნდ ბედნიერ, მშურს მე არარა,
ისე ბედნიერ, ვით შენა ხარ [...] მსურს,
შენ მარტოკა ხარ, თანამგრძნობელი არვინ გყავს, არა.

317. მე-11 სტრიქონის (“ირაკლი”) შემდეგ გადახაზულია:

სად მიბძანებ, ვძებნო სიკეთე,
შენში ხომ არა, შენ თივთონვე მით ხარ საწყალი,
შენვე ამბობ, რომ შენ
შენი ღმერთის ვარ დანაზადი
შენი ღმერთის ვარ დანაზადი.

318. მე-5 სტრიქონის (“შენ უკვდავი ხარ”...) შემდეგ გადახაზულია: “ის კი არ იცი, რომ ჩემ თავსა შენზედ არ გაცვლი (მცირე ხანს მდუმარებაა - ირაკლი დაჩუმებული

დაჰყურებს მძინარე ქალს)”. მე-10 სტრიქონის (“შენ, რომელიცა...”) შემდეგ გადახაზულია:

[...] დაღლის შენსა უკვდავებასა
შენა, ჯალათო, ჯალათების უკვდავ მთვარისა.
ჩვენ კი. ჩვენ კაცნი მრავალგვარათ ვხარხარობთ,
ჩვენ უკვდავებას ვაწარმოებთ მასში და ყველგან.
შენ მიბრიალებ მე, როცა უნდა მებრალეობდე მე.
წადი შენ, ღმერთო! იქ სამოთხე შენ გელოდება,
ჩემთვის კი სრული...

ტექსტში გავასწორეთ კალმის ლაფსუსი: 315, 31 მიუცდომი ΓΕმიუწდომი.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 1914 წლის გამოცემაში აღნიშნული ფრაგმენტი დაბეჭდილი არ არის და არც მოხსენებულია.

ფრაგმენტის ტექსტი (სათაურით –“ირაკლი”) დაიბეჭდა 1925-1951 წლების გამოცემებში და დათარიღდა 1860 წლით. ასეთი დათარიღება, როგორც აღნიშნულ გამოცემათა სარედაქციო შენიშვნებშია განმარტებული, ემყარება იმ ფაქტს, რომ ზემოთ მითითებულ ავტოგრაფში (M № 17501) “ირაკლი” მოთავსებულია 1860 წელს ჩაწენილ ნაწარმოებებთან ერთად ჩვენც ვიზიარებთ ამ დათარიღებას.